

მნათობი

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

114  
1932

10-12

156

1

9

3

2



# მნათობი

სრულიად საქართველოს საშჩითა მწი-  
რების ჯგეშირის ყოველთვიური სალიტე-  
რატური, სასკოლური და საზოგადოებრივ  
სამშლიცავთ ქერნალი

## 10-12

წლიწავდი მესხტი

56892


423



სახარეხარე

1932

ბიბლიოთეკა







პ/მგ. რედაქტორი: გიორგი ყურაშვილი

რედკოლეგიის წევრები: ივ. ვაშაშვილი

ს. უში

შ. კალიანი

ბალ. ტაბიძე

თიც. ტაბიძე

დ. სულიაშვილი

სიმ. ჩიქოვანი

პ. ჩხიკვაძე

რედკოლეგ. მდივანი: ივ. ახათიანი

პოლიგრაფტრესტის 1-ლი  
სტაზბა

შვკ. № 2765. ტირ. 3000.  
მთლიტ. № 583ა.

ტფილისი, მაიახლის ქ. № 13.

რედაქციის მისამართი: ვან. ნინოშვილის სახელ. შერატო სასახლე, ტელ. № 1-66

კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 34, პერიოდსექტორი.

# უბარჯიღნი

ოცდაათიანი წლების

ქართული ჟრონიკები

პირველი წიგნი

## პირველი ნაწილი

1

აი, სოფელზე ვრცელდება ბინდი,  
მზე ჩასულა და უმაღ:  
მინდორს არ ხნავენ,  
ხეებს არ კრიან,  
გზას არ მიდიან, —სდუმან.

ოდებს ორორი ფანჯარა ენთო  
და სიბნელეში ოდნავ, —  
მტრის თვალეზივით ჩასაფრებულა  
სერიდან სერზე ოდა.

არემარეში კაცი არ არი, —  
შემოხიზნულან შიგნივ.  
და მხოლოდ შემდეგ, შუალამეზე  
მოულოდნელად მოდიან შეიღნი.

ღამეა ყრუ და უკუნი გვიან,  
უკანასკნელი ვარსკვლავიც კრება,  
მოსახლეობას ძინავს და გვიან  
კამათობს მარტო უჯრედის კრება!

ეხლა მათ გავლას გზები ელიან  
და ხიდეები ხეზე ნაგები...  
სოკულზე მივლენ, მიიმღერიან  
კომკაეშირელი ამხანაგები.



მიდამოები დამუნჯებულან,  
და გლუხი-კაცის კართან  
უკვე არავინ აღარ ჩაიარს,—  
მათი ნაბიჯის გარდა...

მაგრამ, ღამეში ერთმანეთს ღრნიდენ  
კაცი და მისი ჯავრი;  
ცის ქვეშ სრულიად განმარტოებულს,  
ძლივს შემოხედენ ჩველით.

მისი არ იყოს, ოდნავ მოხრილი  
მის მხართან იდგა ხე და...  
შეჩერდენ. ერთმა ტოლამხანაგებს  
დაჰკრა ხელი და:—ხედავ?

აგერ ის კაცი. აქედან ვიცნე,  
თუ ავი თვალის არ ვარ,—  
ოდასთან იქვე დგას მისი ლანდი  
და ორიოდე ალუა.

ოდაში მგონი ისევე გალობენ  
ქალებს არ ძინავთ შინ ჯერ...  
ამხანაგებმა დააყურადენ  
და გაგონება სინჯენ.

ლალეს ლოგინთან, გათენებამდე,  
თვლემდა სანთელის ალი.  
სარკმელს ეკიდა ბადე,  
ლექსებს გალობდა ქალი:

«ჩონგური კენესის. რძალო  
ლოგინად წივებარ ლალე,  
ცრემლი რავინდა მალო  
არ დაგელევა მალე.

უძილო ლალეს თვალო  
ცაში ვარსკვლავი თვალე,  
ლალე, სანთელი ქრება.  
ო, დაიძინე ლალე...»

მიდამოები დამუნჯებულან  
შუალამეა მშვიდი.  
სოფელზე მივლენ, მიიმღეროინ  
კომკავშირულად შეიდნი.

## 2

ღამე დასრულდა. ეხლა მეორე  
დღეა პოემის... და უკვე თქმული  
ძირს მთავორები მდებარეობენ  
ზედ სახლებია მოღზე დადგმული.

მზეში ნიადაგს ემჩნევა შრომა:  
ძვეს დაბატული მრავალ ფერებით,  
გამოიდარა და გასაშრობად  
გამომხეტრდენ მინდორველები.

და დილიდანვე სოფლად გაისმა  
გლეხის ნაბიჯი და ნაჯახის ხმა.

მზე მძვინვარებდა როგორც ჩვევია —  
შემდეგ შუადღე გააჩალა რა,—  
ლურჯია ცა და ძლივს გაჩენია  
თეთრი ღრუბელი როგორც ქალაქა.

ქვიდან ქვაზე რბის, ხეების ჩრდილ ქვეშ  
მარდი ნაკადი ველური ხენეშით! —  
და გოგოები ქალაში იქვე  
მიიქარაინ სადილით ხელში.

ბონდი ვაულებს და აგერ ფშანებთან  
ახალმოჭრილი ყრია მორები,—  
თვალწინ ფოთლები გადაშალენ და  
ხედავენ დაბლა ბრუნავს მორვეი...

მორვეში თურმე ვაქაკი იდგა,—  
ალმოდებული გოლევიან მზიდგან.

დახურული აქვს ბნელი თვალწარბი  
გაშალა მკლავი, გაინებინა,—  
განიერ მკერდზე ლელვით გადარბის  
მდინარე იაეფ ჩველულებრივად.

ხან წეისუნთქავს ჰაერს იმგვარად  
და შებრუნდება ღონიერ მხრებით,—  
რომ ლელავს გუბე და აღარ კარა,  
ზეირთებ გამშრალი, მზის მეოხებით.

ხან თუ მორვეში თავი ჩაჰყურა,—  
სველ უღვაშებით სადმე ამორგავს...  
ქალები ფოთლებს მოთარებულან  
და საუბარი შრიალს ჩამოგავს:



—ვინ ვაიგონა მასთან ალერსი,  
ნადირს ასე რამ დაამგვანაო!—  
და უყურებენ ქმარი ლალესი  
ბალნიან მკერდით როგორ ბანაობს.



შერცხვათ. ფოთლებში გული ძლივს უცემთ,  
გაიცინეს და მოჰკურცხლენ უცებ.

ცხელოდა. იქვე ნაპრაღში ისევ  
ხარები იწვევენ მშვიდათ...  
და შუა ცაზე ამოსული მზე  
ველიდან ლანდებს შლიდა.

მუხა ოდესღაც ქარმოხალისე.  
ძირს ვგდო როგორც ლეში!  
და კაცი იგი შეუდგა ისევ  
შრომას ნაჯახით ხელში.

შეარხევს ცაში ახოვანი ხე  
ხმელ ხელეზივით რტოებს,  
ხელეზის მტვრევა სასოწარკვეთილ  
შთაბეჭდილებას ტოვებს...

მაგრამ, შემოჰკრა ეხლა კიდევ მან  
და ამოითქვა ჰ! (ჰაე)  
ხის და ნაჯახის ლანძღვა-გინება  
სოფლად მიჰჭონდა ჰაერს.

### 3

უჩარდიონი და გულდა ერთხელ  
აქ ამ დღეებში ერთმანეთს შეხედენ.

უჩარდიონი ჯერ კიდევ ხევში  
იდგა,—დაღლილი შრომის მოყვარე.  
ხელეზ მოჭრილი ხე ანუ ლეში  
ვაივავლაბით მოჰჭონდა ხარებს.

შემოეყარა კლდეების ყურთან  
უცრთვ გულდა ჩვეულ სიმღერით;  
მაშინ ჩვიდმეტის არ იყო გულდა  
ფხიზელ სახეზე ედო მზისფერი.

და საფეთქელთან თმა როგორც მძიმე (,)  
ჰჭონდა ჯერ დანით ხელუხლებელი,  
ამოდიოდა სოფელში მძიმედ  
ბილიკზე ფიქრებს როგორც შეჰფერის.

მხრებზე გაედო უსაქმოდ წნელი,  
საყელო ჰქონდა გულამდე ღია,—  
აქა იქ ლურჯი კალმით ნაწერი  
მოჩანდა ჩითის პერანგზე ია.



და რუხრა მაშინ უჩარდიონმა:  
— ჩემო გაზრდილო თვალს ნუ მარიდებ!

მან კი მიუგო:— ვგონებ ჩვენ ორმა  
ჯობს ჩავიაროთ მდუმარებითვე.

სანამ სოფელში მტერი არ გერქვა  
შეგეძლო ძმურად მოგენდო გული,—  
ამიერიდან როგორც აგერ ქვა  
ფეხქვეშ რომ ეგდოს ქუსლით გადაეუვლი!

— მე,—დაეჭაღნა უჩარდიონი,—  
ეგ ცოდნა უნდა ვიკისრო ბრალად!  
ფული ვახარჯე. მაგრამ, ჯერ მგონი  
ჩემი ვარსკვლავი სულ არ ჩამქრალა!..

— უჩარდიონო! ვაი რომ ხარებს  
დაიჩეშე და ამოოდ სჩაგრავ,  
ამიერიდან ვერ გაიხარებ  
ეგ შენი ბედის ნიშანიც ჩამქრა!

და... სულ ამოდ უთვალთვალეზდი  
ცას, დაგინახე ხეებთან წუხელ,—  
უგნურებაა!—და ვარსკვლავების  
ცრუ მნიშვნელობას, ნურვის გაუმხელ.

გააჩენს, თორმე, სივრცეში ცქრიალს  
შუქი ასეულ წლების სავალზე...  
და ხშირად ცამდე ჩამოდის გვიან  
შენ კი შეხედავ ბედს შესთავაზებ.

და შესაძლოა შენი ვარსკვლავი  
უკვე ჩამქრალა,—და ნისი შუქი  
აენტო ეხლა როგორც ამბავი  
დრო გადასული, მკვდარი და უქმი!...

თქვა განგებ გულდამ როგორც იგავი,  
გზა მიაწება, და გადმოსძახა:  
— ხვალ ყრილობაა, ახლო იყავი  
გაიგონე და მიხედები რა ხარ...

უჩარდიონი გზას განაგრძობდა  
და გამოუთქმელ ძალღონეს გრძობდა.

## მომკე ნაწილი

## 1

ოდა ქელემენდ კუდალას ჰქონდა!—  
სამაგალითო ცისფერი ოდა...  
ირგვლივ ხეები შემოერგო და  
ხეხილი სახლზე დაღუნულიყო.

ეხლა მამული ხელში თუ უძევს,—  
მან შეიძინა, მან უერთგულა,  
კაცად ქელემენდ კუდალა თქმულა  
და ჭონებაც არ ჰქონდა ურიგო:

დაბლა, გზისპირად, ქალაქის ახლო  
«სტუმარმოყვარე მარანი» ედგა;  
სოფლად—ვენახი, შინ სამოსახლოდ  
ორი შავთვალა ქალი, და ეთქვა:

რისი შეძენაც მსურდა,—მთლიანად  
იმდენი არა გამაჩნია რა!...

ჰო და... აი ბაღს მზე გასჩენოდა,—  
იდგენ ხეები დილინდელ აღში...  
დილაა ჩრდილი მოადგა ოდას  
ქვის კიბეებზე შედგა და მაშინ

კარები ჩუმად შემოაღო და  
უჩარდიონი შემოვიდა შინ.

იქვე ქელემენდ კუდალაც გაჩნდა  
შეეგება და გაიხმო ცალკე,  
ცალი თვალი კი ბოლომდე დარჩა  
ვადასროლილი აივნისაკენ.

## 2

სახლში ბინდი ვერ გამოლეულა,  
შუქი ფარდებით იყო ჩამქრალი,—  
და ერთ ლოგინში თავშექცეულად  
ნებივრად იწვა ორივე ქალი.

იტყოდი ბანქოს ქალადი არი  
და ჯვარის ქალად გამოხატულან.

იქვე კედელზე ჩუმად ეკიდენ  
სურათები და მათ შუა მარტო  
მილურსმულია კედელზე კედევ  
ზღვის ნიჟარებით ნაქედი ჩარჩო:



ქართული  
ენციკლოპედია

შიგ მასპინძელი ზის და მუხლებზე  
ხელები მძიმედ დაღავებუ—ან...  
თვალეზი მისი ოთახში გეძებს  
ცოცხალი კაცის თვალისებურად!



არა მგონია თვალში დაგინდოს,—  
თვალს მორეოდა ნაღველი გარსად...  
და თავი იგი ხრიოკად იღო  
მობალახებულ მინდორის მსგავსად.

მას გაურბოდენ... და ეხლა თვითონ  
ურბრციონი მოვიდა მასთან.

დღეა. და ვიდრე აქ ბაასობენ  
ცალკე ოთახში ჩაკარგულები,—  
იქ უკვე ჰკრებენ მინდორზე სოფელს,  
ძველისძველ ზარის განკარგულებით!

რტოებში ხეებს მზე გასჩენია,—  
აღში ხალისით ხეები დგანან..  
რომ ვაიხაროს,—რა დარჩენია,  
პატრონის გული ხე არის განა?

### 3

და მათ გარშემო, შეძლების გვარად  
მოსახლეობდენ სხვანი.

მეზობელ გლეხის ავლადი ვებ ას  
ჰყოფდა ლობე და ზღვარი:

ის ნიადაგის გულში აცხოვრა  
და მხარმკლავების ღონემ;  
ხნიერი იყო. ბრვე და მაღალი  
მამია ერქვა,—ვგონებ

მან მოიჩრდილა დაჯორძებული  
ხელისგული და უმზერს:  
ჩაფიქრებული გადმოდიოდა  
ხალხი გორების გულზე.

ადგა, გაჰქუსლა ბილიკი მთისკენ,—  
სადაც ზარს კიდევ რეკენ.  
მზეა სოფელზე. ცისმარდილითვე  
ნისლები ჩაშრენ და ჩაილეკენ.

აგერ მოდიან, მოიმღერიან  
კომკავშირელი ამხანაგები!...



კაცი, ზედავენ, რომ ხნიერია,—  
მუხლით არაა მათზე ნაკლები.

ნახეს, მამია და პეტრე-მოკლე  
შებვედრილან და ერთად მიდიან,  
პეტრე მოკლეა, თვალი ვერ მოჰკრეს,  
მამია ტანად მეხთამრიდია!

იგი ხან მოსწევს ყალიონს ხარბად  
და მერე გზაში უეცრივ დგება! —  
ხან აჩქარდება

და პეტრე-მოკლე  
გრძელ ნაბიჯების ქვეშ ებორკება;

გზა სიარულში გამოვლია  
და ხიდები ხევზე ნაგები...  
მისკენ მიდიან, მიიზღერიან  
კომკავშირელი ამხანაგები,—

გამოაფხიზლეს მთელი მანძილი  
და მათ მხიარულ სიმღერას ზოგან —  
ვადმოსძახებენ ხელებ აყრილი  
და ვადმოხტება ვინმე ეზოდან!..

## 4

ქალს გაეხუმრენ ახალგაზდები,  
მან გაიღიმა,— და გახალისდენ.  
სწევდენ თამბაქოს და გაზტებით  
თემალმასკომის კიბეზე ისხდენ.

ხელი ანიშნეს,— და გაეშურა  
ერთი მათგანი დარბაისლურად;

ზოგიერთები ეკითხებოდენ:  
— ჩვენ დროებაზე რას სწერენ, თქვეო,—  
და ახალგაზდა ანბანის მცოდნემ  
უნდა ცხოვრება გამოარკვიოს...

ირგვლივ კი ისევ იდგა ხალხი და  
პირღია მალლა შეჩერებოდენ,—  
სად ფრინველივით, ბებერ ცაცხვიდან  
უნდა ლექსები ეთქვა რადიოს.

— გამოცანაა! —

იფიქრა ერთმა,—

პაერში მარტო ქარი შეგონა.



მერე მიიხედ-მოიხედა მან  
და გასაგონად განიშეორა.



— გამოცანაა და ახსნა უნდა,—  
გაესაუბრა ღიმილით გულდა:

— ეთქვათ რომ დაეყრდენ თოხის ტარზე და  
შეჭყურებ ზეცას, ყანაში მდგარი,—  
ბევრჯერ ვინახავს, თუ გაგახსენდა  
შენ შიპასუხე აბა რა არი:

ჩიტმა ჩიორამა გამოცანა ბრძანა:  
ფრინველებმა ფრთა გავშალეთ,—დაიმონა ცა მან  
არც ორბია, არც არწივი, როგორც გამოცანა  
ცაში მისი დიდი ფრთები საოცარად სჩანან \*.

5

იქვე მინდორზე, სადაც ჩრდილები  
იღო ოდების მიერ,—  
მუსაიფობდა შამია ცალკე,  
გაოცებულნი ძლიერ...

— ისე დილა არ გამითენდებო,  
ჩემზე კბილი არ ლესონ!—  
თქვა და  
სილაში მოხაზა შოლტით  
უჩარდიონის ეზო.

—აბა! —

შესძახა უჩარდიონმა,—  
თვალებს რომ განვებ ნაბავ,  
აქ ვარ ბედშაო, ეხლა მიბრძანე,  
რა დაგიშავე, აბა!

— უჩარდიონო შენი ვარამი  
თვითონვე დაგლეეს ჩქარა.  
ვინ ჩავინერვა ჯავერი?

— არავინ.

ჩვენი მტერი ხარ!

— არა,

\* ) ბავროპლანი.

— გლეხი ვარ კარგად მიცნობ მამია,  
ლარიბი კაცი ვიყავი წინად.  
თავდადებულად მიმუშავია  
ჩემი სიმდიდრე რომ შემეძინა

და უნდა იგი დავეკარგო?

— ამინ!

თქვა პეტრე-მოკლემ და ჩაიციხა.  
უჩარდიონი შეჩერდა წამით,  
ძირს დაჰკრა ქუსლი, ამტვერდა სილა,—

ერთი შეაფლო თვალები მტრულად  
და შინ უთქმელად გამოეშურა.

ხმა დააყარეს. მისი ქადილი  
ხალხს აინუნში არ ეხრილებო,  
კარგად იცინა: ახლა, ამ დილით  
ლარიბ გლეხობას ჰქონდა ყრილობა.

აგერ მათ შუა ჩადგეს მაგიდა,—  
ყაყანებდენ და მოულოდნელად,  
რა თავმჯდომარე მალლა ავიდა  
შეიკრიბა და გააუმდა ყველა.

— ვინ ჩააგონა მტრობა ან და სად  
დილითვე ნახა ორთავე თვალმა,—  
თქვა პეტრე-მოკლემ ვრცელი ანდაზა  
უჩარდიონის შესახებ ალბად;

ქარაგმულად თქმული ანდაზაა ბრძნული:  
შინდორს თვალი გააჩნია, ყოველ კედელს ყური.

## მესამე ნაწილი

### 1

ყრილობა შედგა ოცდარგას. დილით.  
და არსებითი საკითხი დასვა.  
აქ მოკლედ არი გადმოშეკრიბილი  
გულდას გამოისვლა, კამათი და სხვა.

— ამხანაგებო!—

ამზობდა გულდა,—

როგორც ვთქვი, უქმი მსჯელობა მძულს და;  
აქ სამუშაო ბევრია მუდამ,  
დრო კი მოკლეა და აი დასკვნა:



გარემოების საუკეთესო  
აზნას ლენინის წერილში ვხვდები:



«თუ ძველებურად—  
წერილ ანუ კერძო  
მეურნეობის ხელში ვისხდებით,

თუნდ თავისუფალ დედამიწაზე  
თავისუფალი მოქალაქენი...  
ჩვენ, სოფერთია, მაშინ, იმწამსვე  
აუცილებლად დავიღუპებით!»\*

აი, მსჯელობის გზა და სათავე.—  
ჩემი თვალის წინ დვას წინამძღოლად!  
მე მართალი ვარ მაშასადამე,  
და ვიმეორებ: განვაგრძოთ ბრძოლა...

კლასიურ მტრების, თუ იერიშით  
განადგურებას გმირობა ჰქვია, —  
უფრო ძნელია საკუთარ ტეინში  
მანკიერ გრძნობებს ესროლო ტყვია!

მარტო ხელაა გლეხი კაცი და  
ბედის ძებნაში ჩაკედება სადმე, —  
ძლიერ შეძენილი მცირე განძი და  
გლეხური აზრი მამულისადმი—

მე შივიჩნიე კლასობრივ მტრებად, —  
და ჩემში ძველი გრძნობები კედება!

უნდა ამოვჭრა მცირეა ვიდრე, —  
ხორცზე ნესტარი დამესო ცრეად!  
და ცვარი სისხლი რომ გადმომდინდეს  
ვიცი ტკივილი გულამდე მივა...

წარბი გამართე, — არ შეკრთე გულდა!  
ჯერ სნეულ უჯრედს ამოჭრა უნდა.

და აგრე გულთან დაჭიდებულ ვარ—  
მისი მანკი რომ გაეატიალო!  
რომ საბოლოოდ გამარჯვებულმა  
მილიონებთან ერთად ვიარო...

ორივე მკლავით თქვენში ვარ მუდამ  
გალომგულეებულ მებრძოლის გვარად!

\* ლენინი ტ. XIV. გვ. 158.

...და ხალხის შუა  
 მოუბარ გულდას  
 მაღლა აყრილი ხელები ჰფარავს.



## 2

ესლა შემდეგი სიტყვა ეძლევა  
 რკინიგზელ მუშას (საერთო ტაში).  
 — ამხანაგებო! აი, დაეტოვე  
 სამუშაო და ამოგულ მთაში.

მემანქანე ვარ და სარბიელი  
 თქვენი გაშლილი არემარეა. —  
 ვარ ქალაქელი და ვარ მთიელი  
 და ორთქლმავალიც მომთაბარეა...

ყანების შუა გამოჭროლებულს,  
 რამდენი გლეხი გამიკდენია!  
 მოიწრდილებენ შუბლზე, ხელისგულს,  
 შემომძახებენ და მიცქერიან.

შორს, სიმიწდებში ცხრაას ხუთივით  
 სიმღერაა და ფრიალებს დროშა!  
 ხომ არ ვიქნები ისე გულცივი  
 არ მოგესალმოთ აი, ამ დროსა...

ამხანაგებო!.. ყოველი ნერგი,  
 არ გამოზარდეთ შვილივით განა?  
 (ხმა ადგილიდან: ძმობილო შენ კი  
 შვილს გირჩევნია შენი მანქანა).

— ო, მეც მაქა ვარ. ძალიან კარგი.  
 აბა ვიამბო ჩემია რა არი, —  
 ორთქლმავალს სკედდენ: რუსი და ფრანგი  
 და გერმანელი და სხვა მრავალი...

ვარ მარტოოდენ ერთი მათგანი, —  
 მმართველი გული მძლავრი მანქანის.

სადაურია? — მანძილს ერევა, —  
 შემოიარა არე სრულიად!  
 სადაც ბორბალი შეუჩერდება  
 იგი ჩემსავით იქაურია...

ჩემი არ იყო და შევიყვარე,  
 ხალხს მოვახმარე მისი კენესა მე!



ამგვარი გრძნობით შეხედე ყანებს  
მისი გაჩენის პირველ დღესავე...

მას ვამუშავებ მართლა შეილივით,—  
ვერ შეგვაშინოს ველმა გაშლილმა!  
იყო ომი და გაჭრეს კვილით  
ბრძოლის ველები მამა და შეილმა.

მთებში იფიქრეს იქნებ დამალვა,  
აგერ უსაქმოდ ხეები დგანან...  
დასქერ, დარაზმე! რომ ორთქშავალმა,  
ჩაურბენიოს დროზე ქარხანას!

ხეებიც უნდა ფიცრებად ხერხონ,—  
რომ უქმი დგომა ვერ მოახერხონ...

მემანქანე ვარ  
და სარბიელი  
თქვენი გაშლილი არეზარეა,  
ვარ ქალაქელი და ვარ მთიელი,  
და ორთქშავალიც მომთაბარეა!

ჩემი არ იყო და შევიყვარე,  
ხალხს მოვებმარე მისი კვნესა მი! —  
ამგვარი გრძნობით შეხედე ყანებს  
მისი გაჩენის პირველ დღესავე.

ჩვენ გაგვახარებს შრომა საერთო,  
ცალკე ამაოდ ჯანი გველევა!  
უნდა გავიგო: რა გავაკეთო,  
უნდა შევიგნო: რა მოხელე ვარ...

3

მოისმინეს რა, საქმე აგრეთვე  
თითო-ოროლა მანე მტერისა,—  
მათ დაადგინეს: რომ პირველადვე  
უნდა ალაგმონ შესაფერისად;

და ძლევაშოსილ მეურნეობად  
გაერთიანდეს მოსახლეობა.

...კრება დაშლილა. რკინიგზელი და  
მეურნეები შინ მიდიოდენ.  
რკინიგზელმა თქვა: ამიერიდან  
უნდა ვებრძოლოთ უჩარდიონებს.



და საბოლოოდ ისევ დასძინა,—  
რასაც გულდასმით ამბობდა წინად:

ნიდავგი და წყალი ნერგებმა  
დაიკერძოონ გულხარბად მარტო! —  
კაცს გმართებს მეტი გონიერება  
უსულდგმულოებს რომ განუშარტო:

— შენი მინდორი:

შენი მდინარე,—  
შენ შეიყვარე ნერგო!  
მე ენახო ჩემი შრომის შედეგი  
და სიხარული მერგოს.

## 4

გულდას გზავიან ქალაქში ადრე,—  
რა დარჩენია გრძელი გზის გარდა!..  
აი, შემოჰყრა ქუსლი მეტადრე  
და ბედაურმა გაინაგარდა...

კაცის ძახილი ისმის აქა იქ,  
დილაა სოფლად ჩვეულბერივი...  
დღე რომ იაოს, ღამით ქალაქიც  
ხევში ჩაცვენილ ვარსკვლავებზე

ძევს... და მანძილზე, ცხენი ონაგარ  
ტორების ცემით გაირბენს შალე...  
მაგრამ «შენ საით» გაიგონა მან  
და ალაგესთან შენიშნა ლაღე.

შედგა.

— სიმართლე თქვენებს აქამდე  
ვერ ჩავაგონე, რა დაგიმალო,  
ეხლა აიკრან გულანაბადი  
მე, ჩემო კარგო, სამტროდ მივალო!

თავდაღუნული ის იდგა ჩუშად,  
თვალეები გულდას გამოეცალენ,—  
ხიდან ფოთლები სააბრეშუმოდ  
დაეკრიფა და ესმოდა:

— ლაღე

ცის ქვეშ დარჩენილს, შენ არა ერთხელ  
ფიქრი გამანდღე თორმეტი წლისამ.  
გეფერებოდი მე ღამის მეტრე,  
მზის ამოსვლამდე ვებრძოდით ძილსა!..



როგორ ჩამქვალხარ, ქალო, რა კარგი!  
მეგრამ... ვაისმა ზარივით: — ლაღე!  
იქ უჩარდიონს ვაეღო კარი,  
აბრიალებდა სისხლიან თვალებს! —

გაშორდენ. გულდა გზა და გზა მიჰქრის  
და ყორანივით მიჰყვება ფიქრი:

«ძველ მემამულეს, ცხოვრება უქმი  
მოენატრა და გაიჭრა ველად!  
ერთმა ვესროლეთ. ჩაენგრა ზურგი  
და გულის ხორცი ამოახველა!

ობოლი სოფლად ჩამოგიყვანა  
უჩარდიონმა როგორც ნადავლი! —  
ლაღე, რა კარგი გნახე იმ ხანად;  
მარმარილოდან გამონათალი...

მოგფრებვიარ ტლუ ღამის მებზე,  
შენ ბაგეებზე დაეხრილვარ ჩრდილად!  
ძლივს შეგისრულდენ წლები რომ, ერთხელ  
გამზრდელმა ცოლად დაგიმორჩილა».

გულდამ გადაქრა გზები აქა იქ,  
დღე გაატარა ჩვეულებრივი...  
და ხეობაში ღამით ქალაქიც  
ენტო ჩაცვენელ ვარსკვლავებივით.

5


სოფლად კი ძგერდა მუშაობა და  
ერთი მეორეს ეუბნებოდა:

— ერთხელ მოვიდა ძველად მეურნე  
მთა მიითვისა. შეუდგა შრომას;  
და უნებურად დახატა თურმე  
ფერად-ფერადი ფერდობი ბლომად.

იქვე გორებზე ააგო სახლი,  
გააგო ეზო შესანიშნავად!  
ზოგან ხე დარგო,  
ზოგან ვენახი,  
ზოგან ხნულები გადააშავა...

მარტოხელაა გლეხი კაცი და  
თუ საარსებოდ ირბძრდა საღმე,

423 56892



საქართველოს  
პარლამენტი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა





თავისებურად მიდამოს ცვლიდა  
გლახური აზრი მამულისადმი \*.

ეხლა სოფელში  
სხვა სურათიდან  
კოლმეურნეებს დაინახავდი;

ამოჩნდენ სერზე ჩალის ქუდებით,—  
ბევრი რომ არ ეთქვა,—სამოციოდე,  
და მხრებით დაბლა დაღუნულები  
მანძილზე ნელა ამოდიოდენ.

გამხნეებული სივინდს მარგლიახ,  
დაიგუგუნეს ერთედ ჰერიო!—  
ვრცელი მიდამო მოუფარგლიათ  
უნდა უარონ და მოერიონ...

ერთმა თქვა, მაინც, — მკერდშიშველამა:  
— ზეალ ქალაქიდან გულდა ჩამოვა,  
მთავრობის აზრი მოგვეშველება  
თუ არა მცირე სამუშაოა!

ვგონებ: სანგარი და ლობეყორე  
ყველგან ამრიგად უნდა აჰყარონ,—  
შისი ადგილი უქმად ძვეს თორემ  
სამაგალითო სივინდი ხარობს...

თქვა, შოიშრალა მკლავით სახე და  
აშრიალეზულ ყანებს გახედა.

## მეოთხე ნაწილი

### 1

მიდამოები ხან გაშლილია,—  
ხან ამართულან ცამდე;

ველზე,

მთებში და

მდინარეებზე

საურმე გზები სჩანდენ.

\* იხ. დ. კაკაბაძის პეიზაჟი. ეროვნ. გალერეა.

გზა დაბნეულა ხან სოფელშივე,  
ხან ქალაქამდე

მივა;

მდიდრიანი გზებზე ამბები,  
სიმინდი, ღვინო, ზე-ტყე და თივა.

ხან ჩაძირულა ოხერტიალი  
მდინაარეებში და ვერ ნახულა...  
გზა ხეობაში მოხეტიალე  
ადიდებულმა წყალმა დახურა!

როცა მზე ჩავეა,—მარტომარტო ძეც  
და ცხენოსანი დაძლიოს უნდა.  
აგერ გაივლის მალე სოფელზე  
და მხიარულად შედგება გულდა...

მაგრამ ტრიალით მთებში დაკარგულს  
სოფელი ახლო არ ეგულება.—  
და ქალაქიდან მოდის გულდაგულ!  
მოაქვს გმირული განკარგულება!

ვაშაფინა მისი ხმა ქარმა,  
თან მოსძახოდენ შრიალით ხენი!—  
ხეს შეატეხა შოლტი მხედარმა  
და გულმოსულად აჩქარდა ცხენი...

## 2

დანარჩენები შარისპირადვე  
შეგროვებულან ხესთან,  
გზა შორიდანვე დააყურადენ,—  
მოელიან და სხედან.

ჯერ საღამოა,  
ჯერ კიდეც მაღლა  
ცაში ტრიალებს ორბი...

გულდა ბედაურს ესაუბრება  
და ბედაური ხალისით შორბის!

მან დაიშონა მანძილი მარდათ,  
გაითამაშა გზაში ელვები.—  
რომ, უცებ კაცი წამოიშართა  
და აისროლა ცაში ხელები:





—ჰეი!  
დაიბნა ძახილზე ცხენი  
და ალაგმული ჰაერში დგება.

უჩარდიონი მხედარს უცქერის,  
დგას ტანვეება,—და ეუბნება:

— გულზე მაჩნია შენი კბენანი,  
მან დამიწლუნგა მარტო ენა მან!  
აბა, გაბედე, დასძარ მერანი,—  
გადაგარჩინოს მისმა რბენამა...

გინდა მამული გაუტილდეთ,—  
ზოგიერთები მტრებათ იცანი.  
მგონი ზეიმით სანამ იარდე  
ჩამოაწითლო მკერდი კლდისანი!

აბა, ლალესთან რა ფიქრებს მალავ,—  
თქვიო, სიკვდილმა შემოგითვალა!..

## 3

გულდამ თქვა მაშინ,—პირშიშველამა:  
— წინ გაბედულად, გზაში ნუ დგება!  
რაგინდ შემხედო მაგრე ელამად,  
რაგინდ მედაო,—განადგურდები...

გულდამ თქვა: მსურდეს, მაქვე დაგაკლავ,  
შებმას აშკარად როგორ ჰბედაო?!—  
და გულმოსულმა ზოლტი გადააჭრა  
უჩარდიონს და შემდეგ ბედაურს...

## 4

ისევ ძახილი... და წინ მთებურად  
ეხლა წამოდგენ თორმეტიოდეს;  
უჩარდიონთან შეერთებულან  
და კრილობები ერთად ტკიოდენ.

მაშინ მოუნდა მხედარსაც ბრძოლა,  
მაგრამ, ჩაჭოლვა ვერ აიშორა...

და დააყარეს ღმუილით ქვები,  
შემოეხეიენ გარშემო გუნდათ!  
ბრძოლაში იქვე დაეცენ ქვევით  
მძიმე ხროტინით ქვები და გულდა.

თავზე დაადგა უჩარდიონი,  
თავზე დაადგა თორმეტოდე...  
დაბლა დაცემულ კამკაეშვირელის  
თვალეებს ცრემლი და სისხლი დიოდენ.



უკვე ბნელოდა.

ნელი ძუნძულით  
გაბრუნდა უკან ბრბო და  
მდინარის პირზე გულდა ეგდო და  
მდინარე კენესით რბოდა...

## 5

არსაიდან გზა ხმას არ იღებდა,  
არ მოდიოდა ხალხის ყურამდე.  
ყოველ ეზოში, ყოველი კაცი  
ჩასულიყო და კიშკრებს ხურავდენ.

მარტო ისმოდა მდგლოს ბიბინი;  
იავნანური ძილი ენებათ! —  
რომ ბედაურმა შეჭჳნა კიხვინი  
და შარა გრძელი შესძრა ქენებამ!

ფაფარ გაშლილმა არემარენი  
სულ დაარბია შმაგ სირბილითა,  
და გაპობილი მისგან ჰაერი  
უზანგებს ჰგლეჯდა უნაგირიდან...

ადგა ხალხი, და  
ეზოები,  
გზა და

მდინარე  
თან ახვიანდა! —  
გორაკებზე შეირხენ ხენი...

ძახილითა და ლაპარაკით ჩამოიარეს  
და იმათ შუა, მძიმე სუნთქვით შეტერდა ცხენი.

## 6

რა უნდა ეთქვა? — დუმილში დარჩენ. —  
მან საუბარი აღარ იცოდა...  
დახარა თავი ხალხის წინაშე  
და სისხლიანი ფაფარი ჰქონდა.

იყო დუმილი ყრუ, საშინელი,  
გლეხებს უკვირდათ და ხელეებს შლიდეს,

აქ იდგა ყველა კომკავშირელი  
დაიგვიანა მარტო მეშვიდემ,—

— გულდა გვაკლია, ამხანაგებო!  
თუ დააშავა გზაშივე ცხენმა...

მიმოიარენ მთელი გარემო,  
დაადგენ გზებს და დაიწყეს ძებნა.

აანთეს კვარი,  
და აქა-იქ სჩანდა გორებთან,—  
მიმჭრალი შუქი  
თვალბედითად  
შოსიარულე!

ჩახდახენ ხევს და ხევი ძახილს იმეორებდა...  
ვერ ნახეს გულდა და გულისთქმა ვერ აისრულენ.

## 7

გულდამ თქვა: მტრებმა დღე დამიმოკლენ  
და კლასობრივი ბრძოლა,—  
ჩემ მიერ

განვლილ  
წელიწადებზე  
გაველო წითელ ზოლად.

გულდამ თქვა: ჩენი გამარჯვებანი  
ახალ ბრძოლებსვე კმნიან,—  
მაშასადამე, მშრომელი ხალხის  
მეომარს გმირი მქვიან.

ჩემი სიკვდილი ნუ დაიტვირთ,—  
მე ცრემლი მძულდა მუდამ.  
თქვენ შეგემატონ ჯანი და ღონე,  
რაც ვერ დავხარჯე გულდამ.

## მეხუთე ნაწილი

## 1

უჩარდიონი შემოვარდა, თქვა რომ—გაახა...  
და შედგა, მძიმედ ამოითქვა ყელიდან: დგურენ!  
—კრა ჩაგეპრო უჩარდიონ, არ ჯობდა განა?—  
ვინეუ გენახა მეზობლებმა ვით იორგულენ.



განადგურენ მამაჩემო ქონება ჩენი,  
 თურმე ამოდ ვამუშავეთ მიწა მე და შენ...  
 მხემ საუკუნოდ ამოშრიტა თვალები შენი  
 როდესაც ოფლი ამოაშრო მღვრიე და მლაშე



მაგრამ, ორნივე  
 მაინც უნდა გადაგვასახლონ.  
 ხალხი ამზობდა. ჩაუარე ლანდივით ახლო.

ჯალაბო შენი მძიმე ჩარხი ვერ ავაბრუნე  
 და რა ვიღონო?... დამნაშავე იქნებ არიან.  
 შავი თვალები, იქნებ ლაღე  
 ბედათ მარგუნე,—  
 შემოდი შინ და ბედშაობა შენი ბრალია!

რა იქნა ლაღე?—ტირის ლაღე და დედამთილი  
 ბუხართან უზის ფრთამოხრილი შავი მანდილით.

—მამავ როგორმე. ცივი ძვლები გამართო იქნებ,  
 ადგე და ხეებს ბავშვბრევით დაემშვიდობო!—  
 და გზა მამულში ათრთოლებულ ხელით გაიგნე  
 რომ გაიხსენო შენი ყოფნა და ეს მიდამო..

## 2

ხალხმა თქვა: ცრემლი და შებრალება  
 ყოველ ბრძოლაში უთუოდ ქრება;  
 კლასობრივ მტერზე ამხედრებული  
 ბობოქრობს ღარიბ გლეხების კრება.

ვერსად ვერ ნახეს კვალი აქამდე.  
 ყოველი მთა და ყოველი გორა  
 შემოიარეს, და ქალაქამდე  
 მიუგნებელი არა იყო რა...

დე, ჩადენილი შურისძიება  
 დარჩეს ბრძოლების უბედურ ამბად!—  
 აგრე მღელვარედ ჩაძირულ გულდას  
 გადაუარა მდინარემ ალბად...

და დაადგინეს, განადგურება  
 თითო-ოროლა მანე მტერსა.  
 თემს მანებელად ვინც ეგულება  
 უნდა ალაგმონ შესაფერისად.

ანუ აპყარონ, გადაასახლონ,  
 განკულაკებულ სოფლიდან სადმე,—

არ გაიქაროს არავინ ახლო  
მკვლელი გულდასი, უკუნისამდე.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 3

აი, ორი ხე, ახოვანი, — მაღალშობილი;  
ძლევაქოსილად დგანან მკლავებ გადაქდობილი.

ვეება ქვევრი ხეებს ქვეშ ძევს მარტოოდენ, —  
ცხრა დანარჩენი ნიადაგში ჩამარხულია;  
ქვევრებში ღვინო აღარაა ცოტაოდენიც,  
ხეების ქერქი მზრუნველობით არ ახურია...

და ძლივს მოსული ყავარჯენით ეხლა აქამდე, —  
მამა და შვილიც ღონემიხდილ ჩრდილებს აგავდენ.

გული მოჟკლა ხნიერ მამას თვალებდითობამ, —  
ეხლა ხეებმა ხელის-გული იქნებ აამონ...  
უჩარდიონს კი სიჯეველ ან გულდიდობა  
რას არგებს, როცა, მამულს უნდა გამოესაღმონ.

ჩემო ხეებო! —

ამოითქვა ყელმა ხრიალით...

და შეჭყურებდა ამაყი და თვალისისხლიანი.

აქ თითქო განგებ აიშალენ შრიალით რტონი  
და უჩარდიონს შემოესმა მჭარალი ღიმილი:  
«ჩემო ხეებო?» შრიალებდენ მეფურად დრონი, —  
ხეები იდგენ ახოვანი, — ძლევაქოსილი...

პირქვე დაეცენ ხეების ქვეშ შემამულენი,  
და შრიალებდენ ღიმილივით საუკუნენი.

## 4

ღამით ეღვიძა უჩარდიონს, იჯდა მღვლევარე...

და გაჯავრებულს, მორჩილებით უსმენდა ლალე.

— შენ არ გდევნიან მაგრამ, გრჩება სამგლოვიარო,  
რადგან მყერდის ქვეშ, უბედურო, ჩემ შვილს ატარებ.  
შენი სხეულით მსუნაგ ბიჭებს ვერ გავახარებ, —  
უჩარდიონის ქარავანთან უნდა იარო!

დგება შავი დღე უნიათო და გულსაკლავი.

ცას შერჩენია ერთად-ერთი შავი ვარსკვლავი.

## 5

ფარდულიანი ურემი და მისი მეურმე  
დაუბრებელი, გრძელ შარა გზას ნელა შეუდგენ.

ურემზე ხარბად გაბაწრული ელაგა ბარგი  
სანოვავე და ხორბლეულის მთელი მარაგი.



ქართული  
ენების ცენტრი

და აღრენილი თავისებურად  
მიძინძულებდა ურემთან მურა...

6

შუაგულ ველზე მეურმე შედგა  
და თქვა:— მოვსულვარ უჩარდიონი,  
ელგეეარ დევნილი სოფელო შენგან  
და ამნაირად იცვალენ დრონი...

სადლა არიან,  
დე აიკრან გუდანაბადი,  
სხვა, დანარჩენმა დევნილებმაც  
ხმა ამოიღონ!..

გახედა გორებს  
და საკუთარ გულის კარამდი  
მშვიდობიანი, სამუშაო სალამო იყო.

ზოგან ისმოდა ისევ ნადური,—  
მზნედ იმღეროდენ ერთად ჰერიოს...  
მან გაიღიმა:— ჩემი მამული  
მიიღონ გულდას საზაგიერთ!

— ვნახავ, ჩაჭკრება ერთსულოვნება.  
შეესევიან ერთმანეთსავე,—  
განა სხვა ბალი არ ენდომებათ,  
ჯერ მხოლოდ ჩემზე თუ მოიცალენ!..

ამგვარი ფიქრით  
გასცქეროდა გორებს ავგული  
და აჩუმებდა ჩადენილი დანაშაული.

7

თემოდან, ხალხის განკარგულებით  
განდევნილები მოდიან კიდევ,  
და ველზე მალე ყველა ურმები,  
თითო-ოროლად შემოიკრიბენ.

შეჭყურებენ და ყველანი სდუმან,—  
ისევ შეყრილან თორმეტოდე...  
და დაიკვნესა:— ვაჟკაცი თუ ვარ  
დე, უჩარდიონს გული მტკიოდეს,





დაე, გამხადონ ლაბავ ღარიბი,—  
და მინ გამოხსნა ლაბა ხელადვე...  
გაოცდებიან ჩუმიად ხარები  
და თვინიერად შემოხედავენ.

მან შეისუნთქა ჰაერი ხარბად;  
— ვაჰმო, — თქვა და

ხარს დაავლო  
ხელები რქებში!

წაიდგორხილა უკან ხარმა და  
ორივე მუხლი

მოიყარა  
კაცის წინ ხენეშით.

ხელებ ღონიერს არ აღონებდა  
დამორჩილებულ

დამარცხებულ  
ხედავის კენესა!...—

შემოიკრიბა ხარმა ღონე და  
გამართა მუხლი,

შეუტია  
მტერს უარესად.

იგი შეება დაუზოგველად.  
თან დაახარჯა

მთელი ჯანი  
მთელი ხალისი....

დააგდო დაბლა და ვებერთელა  
რქებით ჩაეფლო

ნიადაგში,  
შესაბრალისი.

ხარს ცალი თვალი მინდორზე უძევს,  
შეორე ცის ქვეშ

უჩარდიონს  
ემუდარება.

მუხლები ყრიან, — ველარ გაუძღეს  
და შემოთვალენ

მთელი ტანის  
უბედურება.

ვერ დაენახონ ცამდე მართალი,  
და სულ ამოდ უთვალთვალებენ.  
თურმე გულამდე ჩასცენ ხანჯალი,—  
მინდორზე გდიან და სულს დაღევენ.

8

წამოდგა მძიმედ. აიმაღლა მხრები მოღბენით,

და ნერვიულად უღვაშებზე შეივლო ხელი. **მარტინული**  
**ხიზლიჩოსიკა**

ხალხი შორიდან შემხედვარე,—

უსულოდ იდგა.

ყოველი კაცი გამოთლილი ყოფილა ხისგან;

და მან შესძახა ვრიგალივით ხეებს: — იარღე!

იარღე გზების დაღვეამღე, გტოვებღენ შთები,

ღონიერი ხარ, მღიღარი ხარ, და მაინც კვღები?!

ძახიღმა ხალხი შეარხია და აშრიალღენ.

— ეხ, უჩარღიღონ, მასპინძეღო (!) დაუღინარო

დაე სტუმრები წუთისღოფელს მოეღხინარღონ...

### მეფხვე ნაწიღი

1

მეურმეები მიღღორზე დარღენ.

ღუმიღია და ღამე.

მიღღორს მღინარე ჩაუღღის მარტო,—

ზეირთები ღოღებს ხრავენ.

მცენარეები ამოსულან და

გადაჰყურებენ ურმებს,—

რტოები ცაში გამრავღებუღი

ჰაერს სუნთქავენ თურმე;

და სულღგმულეები იშრიალებღენ

ხშირად სულიერ ქართან,—

ეხღა კი ცაში არა ჰყრღია რა

შორ ვარსკვღავების გარღა;

სულგანაბუღი დაბღა დახრიღა

ვეღზე ყოვეღი ხე და

ქვეშ განღვენიღი ხალღის მტრები და

უსახღკარღნი სხეღან.

გაშალენ სუფრა.

შემოგარღნი

ჩაფიქრებულან ისევე,

მაღალი ცეკღლი დანთებუღი

სიფრცეღი მოხალისე...

აი, ვადივლენ შუბლზე ხელები,  
 ძლიეს ვადიშორენ სევდა...  
 და ნაპერწყლები იცქრიალებენ  
 მოლხინებულთა ზედა...



### სადღეგრძელო:

ჯერ შენი სისხლით ამივსონ,  
 ლაბავ, პირველი ფიალა,—  
 დაელიო, ჩადგეს ძარღვებში  
 სხვა ძმობას არ აკლია რა!—  
 ჩვენი ნაშრომი ძმიბილო  
 დროებამ გაატიალა!..

მე როგორ შეველეოდი,  
 სწორებო, ამოდენა ხარს,  
 თვითონვე მთხოვა სიკვდილი  
 ეგ ბედი რომ არ ენახა.  
 ვერ გაიხარონ ყანებმა,  
 ვერ გაიხაროს ვენახმა!

ამაოდ გადავაშავეთ,  
 ლაბავ, მე და შენ ხნულები,—  
 თურმე საპარალო კაცი ხარ,  
 დროებას ემსახურები...  
 შინ მიტანილი გვეგონა  
 ლაფში ჩაფლული ურემი!

### 2

გლებები სხედან.  
 და სანოვავით  
 ხარბად გაივსო ტაბლა.  
 მშურვალე გულის გამგრილებელი  
 დოქები იდგენ დაბლა.

ცოცხალი თევზი კეცზე იწვოდა.  
 ფრინველი ბლომად დაჰკლენ,—  
 და შამფურებით ცეცხლის წინაშე  
 ჩარიგებულან ცალკე.

წაბლის ფოთლებში  
 ჩააკრეს მკადი;  
 სულგუნმა მისცა გემო!  
 მთვარეებივით თორნის პურები  
 ძევს მწვანეილებში ქვემოდ.



ვახშაში უკვე მოხარშულია,  
ქვაბებში ჩადგა ორთქლი,  
სისხლით გაელენთილ  
ხორცეულს სკამენ, —  
ხარის ბეჭიდან ბოთლილს.

ირგვლივ: გემრიელ ხორაგეულთ  
აჭრელებულა სუფრა.  
უჩარდიონმა ძმებს გაუღიმა  
და სადღეგრძელო უთხრა:

### სადღეგრძელო:

ყური დამიგდე ყურძენო,  
შვილო კუზიან ვახისა, —  
ლალეს თითებმა დაჰკრიფონ  
შენი მტკვნეები ლალისა  
და საწნახელში დასწუროს  
უჩარდიონის ხალისმა!..

დალიონ. — შეერგებოდენ  
წვეთები შარბათისანი!  
ცეკვაში ცერზე იელვონ,  
არ ეშლებოდენ ქვიშანი. —  
ესროლონ ცაში შევარდენს  
და გაუმართლო ნიშანი.

გუნებაე კაეშნიანო, —  
შენი წამალი რა არი!  
თუ არა ღვინო სალხინო,  
აღისფერი და ალალი...  
ჰეი, ალალო ბიჭებო!  
ჰარალო — ჰარი — ჰარალი...

### 3

მარჯვნივ ქელემენდ კუდალა იჯდა  
უჩარდიონის მხართან.  
და არაფერი გაეგებოდა  
ხელადა ღვინის გარდა.

დღეს დაიჩემა ლოთობა ყველამ, —  
რომ გაილეშონ ღვინით.  
თითქო ეამია

და სიკვდილის წინ  
სურთ ჰირვეული ლხინი.



მან, ჩაეარდნილმა საგონებელში  
გზა ვერ მონახა სხვა და  
ხმას არ იღებდა, როგორც წურბელი  
დაეხარბა და სვამდა.

მისი შეთვალა ქალიშვილები  
მოწყენით ისხდენ იქვე;  
ხან გადიყრიდენ  
მხრებზე ნაწნავებს  
იყურებოდენ პირქვე,—

ხან ისევ შლიდენ თმებს, უნებურად,  
ჩუმი ვულწილი დები.  
ხან მიიტანდენ თვალთან ახლო და  
ცრემლებს იშრობდენ თმებით.

#### სადღეგრძელო:

წიგნი არ ვიცი. წინ არ ვარ.  
ცხოვრების აზრი მე ადრე  
ამოვიკითხე მოხელემ  
ხელისგულზე და მეტადრე,  
შენ ჩემო დღე და სოფელო,  
მე ისევ შენ მომენატრე!

დროებამ უკვე გავლილი  
ძირს ხიდები ჩაჰყარა,—  
წინ გზა არ მოჩანს. საელელი  
ვეგონებ დროც არა დარჩა რა!  
ან დამელია სული და  
ან გამჩენოდა ქალარა!..

მამავ დავხარჯოთ დოვლათი  
თუ არა კბილებს ლესავენ!  
დაჯექ, დღეგრძელო, იმღერე  
შენი ჯავრი და შენსავე  
ჩონგურს სიმები გაუბი  
და გამაგონე კენესა მე!..

#### 4

[ველზე სიო და გრილი ჰაეაა,—  
ლალე გახადა აეად.  
მელოგინე ქალს  
ძვლები ტკევა და  
ჰკლავს ნესტიანი ჰაეა.]



ლალე ჩრდილების ქვეშ დაიშალა,  
ჩონგური ველარ ართობს.  
ესაუბრება დედამთილსა და  
ურემთან სხედან მარტო;

— წუხელ უაზრო სიზმარი ვნახე  
ნეტავი დედავ რააო?—  
ცის ქვეშ ვითომ ძევს  
    ძუძუმკერდივით  
მინდორი პატარაო.

უცნობ გოლიათს, მძიმე ნაბიჯით  
ზედ შეუმჩნელოთ ევლო;  
ჩნდა ნაკვალევი თეთრი და შავი  
და გაეთელა მდელო!

ცად წოდებული ჰაერი მისი  
მან დაარბია უცებ...  
და ძირს ორორად რამდენიმე«ი»  
დასწერა მდელოს გულზე.

მეორე დილას ლალე მოკვდა \*  
და დედამთილმა ასე დაატირა:

სრულიად მარტო მინდორი თუ ძევს  
და დაუბნელდა ცაო,—  
შვილო, ეგ შენი ძუძუმკერდია,  
ვაი შენს დედასაო!

ნაბიჯებივით შეიარდებოდა  
ყოველი დღე და ღამე,—  
გული გათელენ; გოლიათივით  
მძიმე ნაბიჯებს დგამენ.

უჩარდიონმა ნახა ეგ ტანი,  
ვერ შეაბრალებ, ალბად...  
და იქ როგორც «ი»  
    დაღი დასტოვა  
მისმა შერანის ნალმა!..

### მეშვიდე ნაწილი

1

«— ეგებ დაეხარჯო მთელი მამული  
თუ არა სხეები კბილებს ლესავენ;

\* იხ. პოემის მეშვიდე ნაწილის V თავი.



ჩონგურს სიმები ისევე გაუბი  
და გამაგონე მისი კენესა მე...»

უთხრა და სუფრას გადაპყურებდა  
უჩარდიონი როგორც აფთარი.  
სუფრა დაითრო. მარტო ურემთან  
ლალეს არ ძინავს და ავით არი.

მაშინ ხელებით საკუთარ მუხლებს  
დაებჯინა და

ტოლუმბაში

წამოდგა მძიმედ.

თენდება. ღზინი ყოფილა წუხელ,—  
ებლა ჩაქრა და აიჯანა მდელი სიცივემ.

მას მოეკუნძა ტანი საზარად  
და ნაბიჯები თავისნებით ველზე დაუდის.  
იარა. შედგა და მოისახრა:  
რომ გაღეშილი  
დგას მამულის წინ,—ვარაუდით.

აგერ ბოგირთან ორი ჩინარი,  
აგერ კიშკარი  
დარჩენილი

პირველად ღია!

ქასთან ცალფეხზე დგას ოწინარი,  
მის წინ გვიში ძევს და გარშემო რიყის ქვა ყრია!..

ძირს გაბზარული აგღია კოკა,  
დაცემულა და წყალი ველარ მოუტანია.  
წიწილამ ეზო ააწიოკა,—  
თეთრი ბუმბული  
მინდორველად გაჰქონდა ნიავს.

იქვე რბოდა რუ, ჩაადო ქვა: ბლუმ!  
ამოიხედა თევზივით ქვამ და წყალშივე თქვა:  
— უჩარდიონო ჩაიაროს რუმ,—  
ანდაზის მუქმელი მაინც მე ვარ ჩაძირული ქვა.

## 2

ღვინო და ღამე ვერ მოერია,  
მაგრამ რა ნაბა თავისი ეზო,—  
უძილო მზერა, ჩლუნგი და ზღვრია  
სულ სინანულის ცრემლით გავესო.



ერთ კაცად მაინც ვარგოდა სოფლად  
გულდას რჩევისთვის რომ დაეჯერა.  
გაჯავრებულმა გულდა მოჰკლა და  
ხალხის გულისთქმა ვერ შეაჩერა...

დარჩა უმწეოდ. ცის ანაბარა  
ამართა ხელი და ბედს მიანდო.  
ბედშავი კაცი დადის მთაბარად,  
მზე ამოსულა საგანთიადო

და ჰაერშივე, ხედავს, ერთბაშად  
ფრთებ გადაშლილი აფრინდა ძერა,—  
უჩარდიონმა იძრო დამბაჩა,  
მიზანს ესროლა ტყვია და მზერა!

მტაცებელ ფრინველს ჭრიან ფრთებსა და  
ჰაერში უფრთოს რა ეშველება!—  
და იქ დაეცა,—ტანები სადაც  
დაჰყარეს ღვინით გაღეშებულმა...

აფორიაქდენ ველზე.

მახლობელ

ხმისაგან შეკრთა მძინარე ბრბო, და—  
უჩარდიონი იდგა მალლობზე  
შლიდა ხელებს და გაიძახოდა:

— აი, ხომ ხედავ,  
ყოველ მხარეს გზაა საურმე,—  
საითაც ვსურდეს, ინებე და იმოგზაურე!

3

აქ, ამ ნიადაგს ერთად ვომა,  
როგორც ამბობენ ლონე ლომისა,—  
და აღორძინდა მეურნეობა  
ამხანაგ გულდას სახელობისა.

ჯერ სიმინდებში დილის ნამია,  
რომ საშოროდოთ ჩასულან გუნდათ;  
აქ არის ყველა. არის მამია  
და პეტრე-მოკლეც, რაღა თქმა უნდა.

სხვებმა აიკრეს გულანაბაღი  
და გრძელ შარაგზას ამდილის შემდეგ  
რამოდენიმე ძმა გულითადი  
დაუბრებელი ნელა შეუდგენ.





მძიმე ურემში უმაღლესი  
 ლაბას მაგიერ ნიშა მოზვერი.  
 უჩარდიონმა სული განაბა  
 მიდის და გაუღიღ გზას გადმოცქერის.

იქ ძროხა და ხბო მოხეტიალე  
 კვლავ ღობე-ყორეს ედებოდნენ და  
 მათ ნაკვალევში მორბედი ლალე  
 გაწვალელებული ძლივს მოდენიდა.

ლალეს, ლამაზად მოკახშული უნაგირითა  
 შეენიერი და უკადრისი

ქურანი ლაფშა,—

გაბუტულივით მიჰყვებოდა  
 თავდახრილი და  
 ბაეშის არ იყოს,  
 გზაში ქვეები გაითამაშა!

## 4

მაღალი მთები ჰგვანან გოლიათს,  
 გზაში მგზავრივით წშირად შეხედები,—  
 და მოგზაურებს მუდამ ჰგონიაო  
 ნელი ნაბიჯით მოდიან მთები;

ჩაუდგებიან, თვალის წინ სოფელს  
 და უზრდელივით შეაქცევენ ზურგს.  
 მთები ჯერ ერთი,—ვერ მოძრაობენ,  
 მეორე ის რომ სრულიად არ სურთ!

და ეხლა სოფელს თუ აქედანვე  
 განდევნილები ველარ ხედავენ,—  
 თვალი სიარულს ემორჩილება,  
 მთას კი არა და მუხლებს ედავე!

სად მიხვალ ქალო?—მელოგინე ხარ,  
 რა ბრალი გიძევს მომხდარ ამბავში...  
 ეხლა დროა და ამოიღე ხმა  
 რომ სიკვდილს მაინც გადარჩეს ბავში;

თვალ გაუხსნელად, გულზელ დაკრეფილს  
 ჯერ შენ მკერდის ქვეშ დასძიებია...  
 ან დაჰკარ დანა მტრისგან გაჩენილს  
 და შენთან ერთად დამიწდებიან!—

ან მოაგონე თვალები მისი,  
 ყოველ კაცისგან შესაბრალისი...



ასე ფიქრობდა სწეული ლაღე,  
თავზე დაადგა უჩარდიონი:  
—თავადის ქალო, ადუქ, იარე!  
ლაღე:—არაა მუდამ იოლი

შიშველ ქუსლებით ქვიშაზე ვრბოდე,—  
მაგრამ, როგორმე ვიარ და მოვალ.  
ო, ეხლა მაინც გებრალეზოდე  
როცა მგზავრობა სამუდამოა.

#### უჩარდიონი:

მომგვარე ცხენი თუ ქალი ხარ და  
ფერებას ნუ მთხოვ, რა მეფერება!  
ჩვენებს დაშორდი. და ამის გარდა  
მთას მოეფარენ...

#### ლაღე:

მაშ დამრთე ნება  
ლონე მიხდილი დროებით კიდევ  
შინ მაინც დავრჩე და მოვლოვინდე,  
გემუდარები... შენ კი უზანგებს  
შიადგი ფეხი, ფიქრი დამიგმე  
და გესლიანი ღიმილით, განგებ  
დამახინჯებულ ბაგეებს იკებენ...

#### უჩარდიონი:

მამული ჩემი თუ არ იქნება  
ქვაზე ქვა გადნეს!...

#### ლაღე:

უჩარდიონო!  
გმართებს ვერავი ხელის მიგნება  
და მარტო მასთან უნდა იოზო...

#### უჩარდიონი:

უკვე ვიოშე. რა, არ გიამა!  
ჩაკოლე. ქვების ქვეშ გაიფუდა  
შე შენგან არა გამიფია რა—  
მაგრამ შენ გამო მივაგენ...

ლაღე:  
გულდა!  
ნუ თუ შენ მოკალ...

5

და მოერიდა,—  
ძლივს ამრითქვა სული ვით ლაღემ.  
მან კი უბრძანა:—მე თუ არ მინდა  
არ გამიბედო ხმა.—და იარე!

ქუსლი ჰკრა, ორზე დვას მერანი და  
თითქო სასროლად მშვილდი გაბმულა!

ლაღემ თქვა:—მოვედე! ეხედავ მე მაინც  
დედაშვილობა მან არ მარგუნა!—  
იძრო დანა და... უშალ მერანიც  
მან ჰაერშივე შემოაბრუნა

გვიან. მანამდე გაეცლო დანას  
რამდენჯერმე და გულიც მოეკლა.  
უჩარდიონი დაიბნა. თანაც  
სისხლი და ღვინო აღრჩობდა ცხლა,-

— ვაჰმეო,—ერთი ამოიკვნესა,—  
მიუშვა ცხენი... და მიდამოდან  
ველურ სირბილში უძლიერესად  
მისი ვაება გამოითქმოდა...

---

1932 წლის  
იანვარი—ნოემბერი.

პირველი წიგნის დასასრული.



# ნაბიჯები

ფრილთვია. წიგნი პირველი

ც ა ლ ი მ რ ი ხ ე ლ ა ბ ი თ

ბეგიმ დაბრუნებისთანავე ინახულა ამხანაგები. კომიტეტის წევრებს დიდხანს ეთათბირა. კასრაძე დაიმართობელა და გაფიცვის მოწყობაზე ესაუბრა. შემუშავებული გეგმა მოუწონა.

—მაშ ვიწყებთ გაფიცვას, ამხანაგო, სერგო!

—ყოველ მიზეზს გარეშე... ეს გაფიცვა პოლიტიკურ ბრძოლის უდიდეს დემონსტრაციად უნდა გადაიქცეს, გარდა იმისა, რომ მას ადგილობრივ მუშათა ეკონომიური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნის მნიშვნელობაც ექნება.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბეგი ლადარია სამეგრელოში მომხდარ ამბებზე ფიქრობდა. თვალწინ დაქრილი ძიკი ელანდებოდა.

„ალბად სასიკვდილოდ დაიჭრა“—გაიფიქრა მან და გული შეეკუმშა. —თავი ძალად შემომაკლა. გაუმადლარი“...

—საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხანაგები შენ გასახელებენ.— განაგრძობდა კასრაძე, — გვარამაძეს ერიდე, ბეგლარ! საეჭვო კაცია. მომხრეებიც ჰყავს, ისინიც საეჭვონი არიან. თუ ჰკუთით დაუზღვდები, კომიტეტში ის მუდამ უმცირესობაში იქნება. ეცადეთ როგორმე, — კასრაძემ ხელი ისე გაიქნია, რომ ლადარია უსიტყვოთ მიხვდა რის თქმაც უნდოდა.

—ვეცდები. — დაუდასტურა ლადარიამ და კვლავ ფიქრებში ჩაინთქა.

—გაფიცვებს მოჰყვება ეგზეკუცია, ყაზახების თარეში, ციხე, გადასახლება ციმბირი... თუმცა რა გაეწყობა... თითქო სხვა გზაც არ არის.“

—ფურცლები ხომ ჩამოიტანე? — ჰკითხა კასრაძემ.

—ბეგრი. გავრცელება უნდა დაჩქარდეს. რაკი ვიწყებთ ბარემ...

—ჰო რაც ადრე, მით უკეთესი იქნება. სიფრთხილე გმართებთ. ეცადეთ წრის აქტიურ მომუშავეთაგანი არავენ ჩაუგდოთ ხელში პოლიციას. მორიგე წევრები რომ დაატუსაღონ, კიდევ არაფერია, იოლად გაუშვებენ. სხვათა შო-

რის სურებში მეც საფრთხე მომელის. ცნობა მივიღე, ჯაშუში უკვე მოიხი-  
ლი მყოლია. შე ეხლა ორი დღით სოფელში ჩავალ, ორი დღის შემდეგ დაე-  
ბრუნდები და დავიძვრები კიდევ ტფილისისკენ.

— გაფიცვები? ხელმძღვანელობა?

— თქვენ ვერ უხელმძღვანელებთ? ფურცლები მზად გაქვთ. მოთხოვნილებას  
წარუდგენთ კონცესიონერს. უარის შემდეგ ფურცლებს გაავრცელებთ და მუშა-  
ობასაც შეწყვეტთ. სიფრთხილე გმართებთ, ბეგლარ, პროვოკატორი არ აღმოჩ-  
ნდეს ორგანიზაციაში. შე რაღაც ექვები მაქვს. ყოველი ჩვენი ფეხის გადადგმა  
კონცესიონერს აღწევს, რწმუნებულს ყოველგვარი ცნობები მოეპოება. ეს დამა-  
ფიქრებელია. გარდა ამისა... პო...

— პროვოკატორი? — შეაწყვეტინა ლადარიამ და მარჯვენა თვალი მოხუცა-  
თითქო რაღაცას იგონებდა.

— მოსალოდნელია. — მშვიდად მიუჯო კასრამემ.

ოთახში გვარამაძე და კომიტეტის სხვა წევრები შემოვიდნენ. ყველა ბეგლა-  
რის მოგზაურობით იყო დაინტერესებული. მაგრამ ახლა სამასლაათოდ ვის-  
ლა ეცალა.

— ხოსია წადი და ფურცლები კოწიას ბინაზე გადაიტანე. — მიმართა ლა-  
დარიამ შემოსულ ხოსიას.

— კოწია შემჩნეულია...

— ილიკო?

— ილიკოს სახლიც ორჯერ გაჩხრიკეს. ელიშულ რამიშვილი ძალიანით-  
უთვალთვალეს.

— მაშ სად შევინახოთ? — შეეკითხა კომიტეტის წევრებს ლადარია.

— მე შევინახავ, გეტყვი მე.

— სად, ხოსია, ვისთან?

— ეგვიტოს მივაბარებ. თავსავით მოუვლის.

— ეგვიტო?!

— ეგვიტო... შეყოყმანდენ ზოგიერთები.

— ფიქრი ნუ გაქვთ, გეტყვი მე! მე. ვიცი და ეგვიტომ. ეგვიტო ნამ-  
დვილი ახალთაობის ქალია... რომ საჭირო გახდეს, თოფს აიღებს და  
გამოგვყვება.

— მართალია! — დაემოწმა ხოსიას ილიკო, რომელსაც მარინესგან ბევრი-  
რამ ჰქონდა გაგონილი ეგვიტოს ახალთაობისადმი თანაგრძობის შესახებ. — ეგვი-  
ტო მებრძოლი ქალია. გამჭირახიცი.

— კარგი ვენდოთ, ოღონდ ხოსიას პირადი პასუხისმგებლობით, — უცებ და-  
თანხმდა ბეგლარი და სხვებს გადახედა.

— ვენდოთ.

— ექნები პასუხისმგებელი გეტყვი მე! — დაიქნია თავი ხოსიამ და წასა-  
სვლელად მოემზადა.

— მაშ, ასე! ხვალ მოთხოვნილებას წარვადგენთ. უარისთანავე ვიწყ-  
ებთ ფურცლების გავრცელებას და ვწყვეტთ მუშაობასაც. პირველი შე არ

გავალ სამუშაოზე ჩემი ასეულით, შემდეგ ირაკლი, ილიკო, სპირდონი და ასე...

—შენ უკვე დაგიტოვეს, ბეგლარ. წყენით აცნობა ბეგლარს ტოლოტაძემ—  
შენს ადგილას ვილაც რუსი დანიშნეს, გვარად შმატკოვი.

—რუსი?—შეყოყმანდა ლადარია და ყური მოისროსა. ამგვარ აზრებს არ  
მოელოდა და უცებ გულზე მდღლარე გადაესხა.

—ჰო, შენ რომ გაემგზავრე, იმ დღეს ხუთი რუსი „გვესტუმრა“, თანამ-  
დებობებიც ჩაიბარეს. ზოგი ათისთავია და ზოგი ასისთავია.

ბეგლარი დაღონდა. მას ახლა ისლა აწუხებდა, რომ დათხოვნის შემდეგ  
მუშებში თავისუფალი მისვლა-მოსვლის საშუალება ესპობოდა, თორემ უშუ-  
შევრობა...

—დამითხოვეს?!—მეტანიკურად გაიმეორა ბეგლარმა და მძიმედ ამო-  
ისუნთქა.

—ნუ გეშინია, ბეგლარ, არაფერს მოგაკლებთ.

—ჩიტვიტო შევინახავთ, ბეგლარ. დააიშედეს ბეგლარი ამხანაგებში.

ბეგლარმა ხელი ჩაიჭნია და შწარედ გაიღიმა.

—განა მე ჩემი თავის შენახვას ვდარდობ?

—მაშ რა გაწუხებს? ჩვენ აქ არ ვართ?

—ლადარიას დათხოვნა თავხედობა იყო.—მოულოდნელად განაცხადა გვა-  
რამაძემ.

ყველას გაუკვირდა გვარამაძის ასეთი სიტყვები.

„ნუ თუ“—გაიფიქრეს ზოგიერთებმა.

„აქ რალაც ოინია, თორემ გვარამაძე ჩემს დათხოვნაზე წუხდეს?! თვალთ-  
მაქცობაა“—გაივლო გულში ლადარიამ და ირაკლის გადახედა.

და მართლაც გვარამაძე თავისთვის ასე ბქობდა: „ლადარია დათხოვნით  
არ შეწუხდება. ხალხში კი მეტ ნდობასა და სახელს მოიხვეჭს, რომ საჭირო  
გახდეს მისი დაპატიმრებაც გაძნელებდა. ამიტომ სჯობს მუშებში იყოს სანამ  
გაფიცვა დაიწყებოდეს; მანამდე კასრაძეს რაიმეს მოუხერხებ, ლადარიას კი  
ან ბლალოჩინი „მოუვლის“, ან ელიშუდ რამიშვილი. შერვაშიძეც კბილჩასობილია  
ლადარიაზე. აბა ელიოტს ვინ რას ეკითხება მუშების მიღება-დათხოვნის სა-  
ჭმეში? აქ რწმუნებული ყველაფერია, ამიტომ“...

—გამაყოლეთ ერთი კაცი შერვაშიძესთან და კომიტეტის სახელით მო-  
ვითხოვთ ლადარიას სამუშაოზე დაბრუნებას.—შეიტანა წინადადება გვა-  
რამაძემ.

—კარგი აზრია...

—დიდებულია.—დაემოწმენ დანარჩენებიც.

—სცადეთ, —დაუმბატა კასრაძემ,—თუ არაფერი გამოვა ბევრს არაფერს ნიშნავს  
ლადარიას სამუშაოდან დათხოვნა, სხვები აქა ხართ და უშუალოდ უხელმძღვ-  
ნელებთ გაფიცვას. ლადარია გარედან დაგვემარებათ, ხომ, ამხანაგო ირაკლი?—  
—განგებ გვარამაძე დაიმოწმა კასრაძემ და პასუხს დაელოდა.

—მართალია, მე წინააღმდეგი ვიყავი გაფიცვის მოწყობის, მაგრამ რაკი  
კომიტეტის უმრავლესობა ამ აზრს ადგანა... დაეწყოთ, მეც თანახმა ვარ.

გულში კი ასე გაიფიქრა: „შერვაშიძეს ვაიძულებ ლადარია დაუშვას. ხვალ-ზეგ მოთხოვნილებას გაეუზღავნით კონცესიონერს. კონცესიონერი სამი-ოთხი დღით პასუხს შეაყოვნებს. ლადარია დაიწყებს ფურცლების გავრცელებას. მას დაჰპატიმრებენ... ტორორაძეს, გვირგვინს კომიტეტში უმრავლესობა ჩემს მხარეზე იქნება, ვაფიცვასაც ჩაეშლი და საქმეს ბოლომდე გაეიტან, ანუ რაც მთავარია, ლადარიას თავიდან მოვიშორებ და კასრატესაც „თავმოკრილს“ ავბარგავ სურების რაიონიდან. შევდეგ მე ვიცი და შერვაშიძემ“.

გვარამაძის დღევანდელმა საქციელმა კომიტეტის წევრები გააკვირვა. ერთი წუთით დაეკვდა თვითონ ლადარიაც, მაგრამ— „თვალთმაქცობაა“, — გადაჭრით სთქვა მან და თავისი აზრი კასრატესაც გაუზიარა.

— როგორ იოლად დათმო...

— დანას ეხეოდა ვაფიცვის საწინააღმდეგოდ და უყურებ! — ფიქრობდენ კომიტეტის ზოგიერთი წევრები.

ლადარიას და კასრატეს კი გადაჭრით არ სჯეროდათ გვარამაძის გულწრფელობა და არც ცდებოდენ შორსმჭერეტელი პოლიტიკოსები, გვარამაძე თავის გზას იკათავდა.

— მაშ, მივდივართ რწმუნებულთან, — სთქვა ბოლოს გვარამაძემ და წამოდგა.

— წაპყე, გვიჩია.

— კოწია აჯობებს.

— ილიკო! — წამოიძახეს კომიტეტის წევრებმა.

— მე და ილიკო წაველთ. — დინჯაუ სთქვა გვარამაძემ და ილიკოსთან ერთად ოთახიდან გამოვიდნენ.

\* \* \*

შერვაშიძემ უარით გამოისტუმრა მუშათა დელეგაცია.

„მე თვითონ მოველაპარაკები ლადარიასო“, გამოსთქვა სურვილი რწმუნებულმა.

მართლაც, არ ვასულა ერთი საათი, რომ ბეგლართან რწმუნებულის მზღებელი ქერიმი მოვიდა წერილით.

რწმუნებულს სთხოვდა ლადარიას მასთან მისუღიყო ბინაზე ფრიად სერიოზულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

მცირე ყოყმანის შემდეგ ლადარიამ გასწია შერვაშიძის ბინაზე, შერვაშიძე მას მზიარულად შეხვდა. ხელი ჩამოართვა. მოიკითხა და უმაღლეს საქმეზე გადავიდა.

— შენი დათხოვნა ელიოტის განკარგულებით მოხდა, ბეგლარ. მოგეხსენებათ, განკარგულების შეუქრულებლობა ჩემის მხრივ შეუძლებელი იყო და უხერხულიც. დავითხოვეთ, მაგრამ — ყალბი და უხერიო ტონით განავრძო შერვაშიძემ — ეს დიდი უბედურება როდია.

— არც არავის მიაჩნია უბედურებად. — რიხით მიხახალა ლადარიამ და შერვაშიძის შეთავაზებაზე, სკამზე დამჯდარიყო, უარი განაცხადა.

— შეჩქარება — მომიზნება მან და ფეხი მოინაცვლა.

— დაბრძანდი, ბეგლარ. მე თქვენთან მოლაპარაკება მსურს <sup>ფორად სერიოზულ</sup> საკითხზე. — უკვე „თქვენობით“ დაუწყო რწმუნებულმა <sup>გაფრცხვებულ</sup> ლადარიას.

— მოლაპარაკება? — გაიკვირვა ლადარიამ.

— დიალ, გაიკვირდათ?

— საოცარია! — გაიქნია თავი ბეგლარმა და შეთავაზებულ სკამზე ეხლა ცალგვერდად ჩამოჯდა, წარბი შეიკრა და სახის ცივი, მიუყარებელი გამომეტყველება მიიღო.

— ეხლავე გაიგებთ საოცარია თუ არა. — არ დააყოვნა რწმუნებულმა და თვითონაც დაჯდა — თქვენ ახლა უმუშევარი ხართ, — იმავე კილოზე დაიწყო შერვაშიძემ.

— შერე? — თითქო სიტყვა უნდა შეაწყვეტინოსო ისე ჩაურთო ლადარიამ.

— მე ვიცი რამდენად ძნელია უმუშევრობის ატანა, მით უმეტეს როცა კაცი ოჯახის პატრონიცა ხარ. როგორც გადმომცეს, თქვენ დედა გყოლიათ სამეგრელოში.

— უკვე აღარა მყავს. — ცივად მოუქრა ლადარიამ.

— როგორ? — გაიოცა შერვაშიძემ.

— გარდაიცვალა. — დახარა თავი ლადარიამ და მძიმედ ამოიხსნოთქა.

„მაშ მართალი ყოფილან მუშები, როცა სთქვეს ავადმყოფ დედის სანახავად წავიდა სამეგრელოშიო, მაგრამ დამატებითი ცნობები?“ — გაიფიქრა შერვაშიძემ.

— სამწუხაროა... ძმა ხომ გყავთ?

— ის ჩემზე უკეთ ცხოვრობს. შევლას არ საჭიროებს.

— არა, მარტოხელიც რომ იყოთ, უმუშევრობა მაინც ძნელი ასატანია.

— თქვენც სწორედ იმიტომ დამითხოვეთ, არა! — მწარედ შენიშნა ლადარიამ და თითები დაიმტვრია.

— აკი მოგახსენეთ, თქვენი დათხოვნა ელიოტის განკარგულებით მოხდა მეთქი. ერთი რამ კი უდავოა, რომ თქვენ დღეს უმუშევარი ხართ და ვინ იცის...

— სხვაგან მოვძებნი სამუშაოს, — შეაწყვეტინა ბეგლარმა, — ფეხებში კი არავის ჩაუფარდები.

— როგორ გეკადრებათ! მე მხოლოდ ორიოდ სიტყვა მინდა გითხრა.

— გისმენთ. — უგულოდ უპასუხა ლადარიამ და სკამზე მთელი ტანით დაჯდა.

— მაშ მე პირდაპირ გეტყვით. თქვენ გამჭირახი კაცი ხართ და ყველაფერს ადვილად გაიგიბეთ.

— გისმენთ. — მოუთმენლობის ნიშნად გაუმეორა ლადარიამ.

— დანებეთ თავი მაგ ჩხირკედლობას, შეაფურაბეთ უშმაქს და მოჰკიდეთ ხელი პატიოსან საქმეს.

— ჯაშუშობა დაეწყო? — უკმეხად წამოისროლა ლადარიამ.



შერვაშიძე აიმრიზა. უნდოდა თავხედ რევოლუციონერთან საუბარს შეეწყვიტა, მაგრამ ისევ ეშმაკობა იხმარა, ლადარიას სიტყვა „ჯაშუშობა“ ხელმო-  
ბაში ჩაატარა და იმავე ტონით განაგრძო.

— დაანებეთ თავი მაგ კომიტეტობიას.

— ბატონო რწმუნებულო! — თავის აწვევით გააფრთხილა შერვაშიძე ლადარიამ.

— გამჭირიბი კაცი ხართ. ტყვილა ჰქარგავთ დროს უნაყოფო და უმადურ შრომაში. თქვენ დიდი გაქანების უნარი გაქვთ, მე ამაში ბევრჯელ დავრწმუნდი. თქვენ ისე ვერ იცნობთ საკუთარ თავს, როგორც მე მაქვს შესწავლილი თქვენი ცხოვრების ასავალ-დასავალი, ამიტომ...

„შესწავლილი რატომ? რისთვის?“ — გაიფიქრა ლადარიამ.

— თქვენ დიდი, ძალიან დიდი საქმის გაძლოლა შეგიძლიათ.

— შესაძლებელია, — ამაყათ დაუდასტურა ლადარიამ.

— მაშინ მოჰკიდეთ ხელი ერთს ისეთ დიდ საქმეს... ოლონდ იმ პირობით, რომ მაგ უტუშალიობის თამაშს წინასწარ თავს გაანებებთ.

— ბატონო რწმუნებულო! — ხელმეორედ თავის აწვევითა და წარბის შეთამაშებით გააფრთხილა შერვაშიძე ლადარიამ — გთხოვთ საზღვრებს ნუ გადაღიხართ.

— უამისობა კი შეუძლებელია.

— მაშინ მიიღეთ მოწყალება და შეეწყვიტოთ მაგ საკითხებზე საუბარი. მე უმუშევარი ვარ, მორჩა და გათავდა! ენახოთ ვინ გაიმარჯვებს ამ ქიდილოში.

— შეჯიბრება! ჰე, ჰე, ჰე! — გაღიხარხარა შერვაშიძემ და წველი შეისწორა. — მომწონს თქვენი გამბედაობა... შეჯიბრება!

— დიად — რიხით მიახალა ლადარიამ და ამდენ ხანს მათი წუნარი საუბარი ეხლა ცხარე დიალოგად გადაიქცა.

— ინანებთ — ისმოდა ხანდახან შერვაშიძის გამწყრალი ხმა.

— ენახოთ! — არანაკლები რიხით უპასუხებდა ლადარია.

— ინანებთ მეთქი! — მუქარით იმეორებდა რწმუნებულის.

— ენახოთ! — იყო ლადარიას განმეორებული უკმეზი პასუხი.

— ძალიან დიდ გულზე ხართ, მაგრამ არ ვიცი რის პატრონი, — უცებ ცინიკურად გადაუკრა შერვაშიძემ ლადარიას და თვითმპყრობელ ნიკოლოზის სურათს მიაჩერდა. ლადარიას თვალი მოაჩინდა და იმავე კილოზე გაუშეორა: არ ვიცი რის პატრონი.

— სიმატლისა და ხალხის გულის ამოძახილის.

— სისულელეა! — ჩაიქნია ხელი რწმუნებულმა ისე, რომ თვალი თვითმპყრობელის სურათისათვის არ მოუშორებია. — რა საცოდავად გამოიყურება. ალბად ამ მგლების შემხედვარე — გაივლო გულში შერვაშიძემ და ცალი თვალთ ლადარიას გადახედა.

— მაგასაც დავინახავთ.

— გიმეორებ, უტუშალიობიას თამაშია და სხვა არაფერი. შეაფრთხეთ ეშმაკს და ერთი წლის შემდეგ...



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

- საჩუქარი, არა?
- არა.—მოუჭრა რწმუნებულმა.
- მაშ?
- ათეული ათასების ბატონი იქნებით და თვითონვე მშენებლობის რეზერვების დარიგებას... მე თქვენ გარწმუნებთ...
- მე სწორედ შეძლებულთა წიხალმდევ ვიბრძვი, თქვენ კი...
- ეს იმიტომ, რომ თქვენ ლატაკი ხართ, ხელდარეცხილი.
- პირადულ სიმდიდრეზე ჩვენ როდი ვფიქრობთ. ჩვენ მხოლოდ ადამიანური ცხოვრება გვინდა და სხვა არაფერი.
- ოქროსა და სიმდიდრეს ხელს მაინც არავინ წაჰკრავს, რაგინდ...
- სახალხო სიმდიდრე რა ხელწასაკრავია. კერძო კი ყველაფერი უნდა განადგურდეს და სახალხო გახდეს ყველასათვის ხელმისაწვდომი... ასეთია ჩვენი პროგრამა.—დაცინივით შენიშნა ბეგლარმა.
- მაშ უარი?—შეეკითხა ბოლოს შერვაშიძე.
- ისეთივე როგორც ჩემს მუშაობაზე აღდგენის შესახებ.
- მე მეტსაც ვთავაზობთ. მოიხმარეთ.
- მეტი ჩვენ არ გვითხოვია. რაზე სწუხდებით?
- აღარ ინანოთ.
- ენახოთ ვინ უფრო მეტს ინანებს, ბატონო რწმუნებულო.
- იმუქრებით?—დასცინა შერვაშიძემ და აღდგოლი მოინაცვლა.
- შეიძლება ასეც იყოს.
- სამეგრელოში მომხდარ ამბებზე რაღას იტყვით? ძიკი ძიგუას დაქორამდენი დაგოჯდებათ თქვენის ანგარიშით?—დაცინივით განაგრძო შერვაშიძემ და ლადარიას კრილობაზე ფეხი ისე მიძიმედ დაადგა, რომ ბეგლარს თითქო მეხი დაეცაო, მოკვდა და განადგურდა.
- „მაშ ყველაფერი იციან! ჩემი ვინაობაც... ძიკის დაქორა. ეს ხომ ხუთი დღის წინად მოხდა... ასე უცებ. ასე ჩქარა“.
- აიღეთ ხელი ჯიუტობაზე. თქვენთვის უმჯობესია. მთავრობასთან მე შეგარიგებთ... ძიკი ძიგუასთანაც. შუამდგომლობას ყველგან მე გაგიწევთ. რას იტყვით!?
- ბეგლარი დამუნჯდა.
- სხვათა შორის, თქვენი ნამდვილი ვინაობაც გამოჩვენდება. თქვენი ნამდვილი გვარი ძიკის გვარს უფრო წააგავს... პა? რას იტყვით?!
- კმარა დაცინვა, ბატონო რწმუნებულო!—ველარ მოითმინა ბეგლარმა გადაკრული სიტყვების მწვავე შოლტები და რისხვით, აქუნდა.
- მე იმას მოგახსენებთ, რაც უკვე მთავრობის ყურამდე მისულა და დღეს ხეალ სათანადო ზომებსაც მიიღებენ. ერთი თანხმობა და ყველაფერი გათავდება. მთავრობასთან მე გიშუამდგომლებთ, უკვე გასაგზავნად გამზადებულ ცნობებს დაეახეინებთ, ასე რომ მალული ცხოვრებიდანაც გამოხვალთ და ისევ ძიგუას გვარსაც დაიბრუნებთ. დაფიქრდით...
- საზიზღრებო!—გადმოაფრქვია ლადარიამ და შუბლი შეიკრა.

— ასეთია ძალა ლომისკარელის. — ისეთივე დაცინვით დაუშავა შერვაშიძემ და ოთახში სიარულს მოუჩქარა.

— ლომისკარელი, რომელმაც იმსხვერპლა... ოჰ! — ლაღბრემ უტუქები მოიკვნიტა. ანთებული თვალებით რწმუნებულის ბინა უაზრობა წასჩქვამდგრა. ყარაბინებისა და საერთოდ იარაღების სიუხვე თვალში მოხვდა.

— რას იტყვით? — ჩააცვიდა რწმუნებული ამღვრეულ ლადარიას.

რა ეთქმის ლადარიას! ბრძოლა გაჩაღებულია. ერთი შემცდარი ნაბიჯის გადადგმა და ყველაფერი დაილუპება, ამიტომ...

— მოვიფიქრებ. — მცირე ყოყმანის შემდეგ უაზროდ წამოიძახა ბეგიმ.

— იფიქრეთ. ხვალ შუადღისას მოველი პასუხს. მეგობრულად გირჩევ თავი გაანებო ჯიუტობას. ცალიერი ხელებით მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა სისულელეა და სხვა არაფერი. რის პატრონი ხართ? ჯარი და პოლიცია მთავრობას უმაგრებს წელს, ფული და ოქროც მთავრობის ხელშია, მთრახვი და ძალა უკანასკნელის ძლიერებას კიდევ უფრო ამაგრებს, ამიტომ... გირჩევ შეაფურობო ეშმაკს და...

— კარგი, მოვიფიქრებ. ვაიმეორა ლადარიამ და შერვაშიძის ბინიდან გამოსულს ტვინში ჩაეჭვდა: „ცალიერი ხელებით“... არა, ჩვენ თოფ-ზარბაზნებითაც უნდა შევიარაღდეთ. შერვაშიძე მართალია. ცალიერი ხელებით ბრძოლა სისულელეა, ჩვენ გვჭირდება ძალა. იარაღი, ცეცხლი და ცეცხლმფრქვეველი... ჩვენ გვჭირდება ასაფეთქებელ ნივთიერებათა არსენალები... ცეცხლი, ცეცხლი დრომოკმულ ქვეყანას! ცეცხლი და ზარბაზნების ქექა-ქუხილი გარყენილ სასახლეებს! ჩვენ უნდა შევიარაღდეთ! დიად იარაღი, უნდა ავისხათ, ნამდვილი ფოლადის იარაღი“.

ლადარია შინისკენ გაეშურა.

— ესეც ასე. — დაასკვნა შერვაშიძემ, — რამოდენიმე კომბინაციას გავანაღდებ, ან ჯანდაბაქდე გზა ჰქონია. ხელზე აებარავ სურების უღელტეხილიდან.

### „ბარიკადებზე“

დაღონებული და ფიქრებში გართული დაბრუნდა შინ ლადარია, შეუმჩნევლად გაიარა სოფლის ორღობე, თოვლით დაფარული მიდამოები.

„ხვალ შუადღემდე, შემდეგ კი... აღარ ინანო“ — მოაგონდა ლადარიას, — „ნუთუ სანანებელი მას გაუხდება ვის მხარეზედაც სიმართლე არის? ნუთუ ის ინანებს ვისაც მომავალი ეკუთვნის? რა უნდა შეეუთვალო?!“

ლადარია მოიღრუბლა. გონება ველარ დაიმორჩილა. — „აღარ ინანო“ — ისევე დაიწვილა ვიღაცამ ყურის სიახლოს.

„უარი... უარი... უარი.“ — თითქო პასუხად ხმამაღლად დაიღრიალა ბეგლარმა. „მივიმალები... მალულ ცხოვრებას დაუბრუნდები... თუ საჭირო გახდება გვარს კიდევ გამოვიცვლი... საცხოვრებელ ადგილსაც გამოვიცვლი, გამოვიცვლები გარეგნულადაც, გრიმს გავიკეთებ, მაგრამ დაწყებულ ბრძოლას, ამოღებულ ხმალს უსისხლოდ ჭარქაში არ ჩავაგებ. წინ, ბეგლარ. შენი სამოქმედო სარბიელი შეუზღუდავია! ცხოვრება წინ გვეძახის. ჩავრულთა ალიონი ჯერ კიდევ წყვილია შიშა. ის იჩქარის განთიადისაკენ“.

ბეგლარი უკვე ხოსიას ოდის აივანზე იყო. ოთახის კარი ფრთხილად შეალო ლადარიამ, პალტო გაიხადა. ბუხარში მიფერფლილ ცეცხლს შეურყნებურა, შეშა მიუმატა, ჯიბიდან ვაზეთების შეკერა ამოიღო, დინჯად გაშალა და თვალღებრა დაუწყო. ბეგი ქართულ ეურნალ-ვაზეთებს სისტემატურად კეთიხულობდა, რუსულსაც, ამიტომ მუშებშიაც და სოფლებშიც „ბრძენი კაცის“ სახელი ჰქონდა გავარდნილი და კეუა-საკითხავ კაცად იხსენიებდენ.

„ქვეყნის აბავს ტყობილობს თურმე ვაზეთებში“.

„იაპონიის ჩხუბში რა ხდება—ყველაფერი სცოდნია“.

„რა თავი უძლებს ამდენ კითხვას, რატომ არ იღლება“,—უამბობდენ ერთმანეთს სოფლის დედაკაცები, რომელთა შორის მეთაური ყოველთვის ეგვიტო იყო, ან ილიკოს ცოლი მარინე.

„ბეჩა, იმ ვაზეთებს რომ აბრეშუმის ქიის ჩელტების დასაფარებლად მოგვცემდეს მეტი მადლი არ უნდა“...

„ეთხოვოთ და ნახმარ ვაზეთს რაფა დაგვამადლის. სახლსაც კი მოაშვალღებებს კაცი“...

ბეგის სწყინდა, რომ სოფელი ჯერ კიდევ მხოლოდ შპალიერისა და ჩელტის ჩასაფარებელ ქალადის მნიშვნელობას ანიჭებდა ეურნალ-ვაზეთებს, მაგრამ ამის მიზეზი ბეგლარისთვის ნათელი იყო და სწორედ ის უფრო უმახვილებდა მას ბრძოლისა და შეტევის სურვილებს.

ბეგლარი ახალ ამბებს ათვალღებებს. უცებ მის მოღუშულ სახეზე ნისლი გაიფანტა. ღიმილმა დასერა მოკუმშული ტუჩები. თვალებმა ხალისისა და ალტყინების ნაპერწკლები გადმოაფრქვია.

„ბათონის მუშებში გაფიცვის ტალღა ძღიერდება“...

„გაიფიცენ ფოთის მტვირთავი მუშები“...

„ქიათურაში დიდი მღელვარებაა, ხაზეინები და პოლიცია ტყვიით უმასპინძლებიან გაფიცულ მუშებს. მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის. დაიჭრა სამი მუშა, მოკლულია ერთი პოლიციელი“.

ბეგლარი ტოკავს ახალი ამბვის ჩათვალღებებზე. გული უცემს და, თითქო მხრებზე რალაც სიმძიმე აწევსო, მხრებს ათამაშებს.

„პეტერბურგში მუშებს სისხლიანი შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. პოლიცია ჯერ კეტებით დერია გაფიცულთა ბრბოჩ. ხელი გამოიღეს აჯანჯებულეზმაც. პოლიციან სროლა ასტება. დაჭრილთა რიცხვი გამოურკვეველია. მოკლულია 97. მუშათა გეამები ერთ ორმოში ჩაპყარეს. დამარხვის დროს სიახლოეს არავის აკარებდენ“.

— საძაგლები!—ხმამალა დაიგმინა ლადარიამ.—„ცალიერი ხელებით“.—მოაგონდა მას შერვაშიძეს სიტყვები—„უიარაღო მუშები და შეიარაღებული პოლიცია“...

ოთახში ნათელა შემოვიდა.

ბეგლარი შეკრთა ნათელას დანახვაზე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ნათელას და უხერხულობიდან თავის დასაღწევად ესლა წაიჩურჩულა:

— ხელი ხომ არ შევიშალეთ?

— არა, ბოდიში, რომ დაპირება ვერ შეგისრულეთ, მაგრამ ჩემი წაუსვლელი შეუძლებელი იყო.

ბეგლარს სიტყვები შემოაკლდა. „რა დროს ოჯახსა და ცუდს ვეღუფლებოქრია! სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლები იწყება“, — გაივლოს და დააბრუნდა და ამით ნათელასთან თავისი სიტყვაქაქუნა გაამართლა.

— დაჯექით. — მიმართა ბოლოს ლადარიამ.

ნათელა გაწითლდა. გამბედაობა დაჰკარგა და ის იყო უკან გაბრუნებას და გაქცევას აპირებდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, მეტი სითამამე გამოიჩინა და ბუბართან შორიანლო დაჯდა. ნათელას გული შესამჩნევად უცემდა. თავიანთი იყო და დალაპარაკებას ვერ ახერხებდა.

ბეგი ცდილობდა მზარული სწვენებოდა ნათელას, მაგრამ მძიმე ფიქრებით გულდამძიმებულ პირსახეზე ხალისსა და ღიმილს ვერ იკარებდა.

— ცივი ღამეა, ნათელა — დაარღვია სინუშე ლადარიამ.

ნათელას, თითქოს ყინულში ჩაადგესო, გული შეეკუმშა, ლადარიას ასეთ უგულო შეხვედრასზე.

„ნუთუ სხვა სალაპარაკო ვერაფერი იპოვა ჩემთან, რომ ამინდსა და უამინდობასზე არ დაეწყო საუბარი? ნუთუ მოფერებისა და მოალერსების ღირსიც აღარ ვარ? ახალგაზრდა — და ასეთი უსიცოცხლო“.

— რამ დაგაღონა, ნათელა, ირინაა გათხოვება და დაშორება ხომ არ ვწყენია? რა კარგი ქორწილი გადაუხადეს! ეჰ, ბედნიერი ქალია ახლა ირინა. საკუთარი ოჯახი აქვს, ქმარი ჰყავს, ჩქარა შვილებიც ეყოლება.

— გიყვარს ოჯახი? — გაბედა ნათელამ.

— მიყვარდა, ეხლა კი... ყველგან ჩემი ოჯახი მგონია.

— საკუთარი ოჯახი მაინც სხვა არის.

— ზოგჯერ... მაგრამ ეხლა სხვა დროა, ნათელა! ეხლა კერძო ოჯახსა და შირად ბედნიერებაზე მხოლოდ არამზადები თუ ფიქრობენ.

— მყუდრო ცხოვრება ვის მოეწყინება!

— მოწყინით ვის მოეწყინება — შწარედ გაიღიმა ლადარია, — მაგრამ, როცა მყუდრო ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევენ, მაშინ ბრძოლაა საჭირო მისი უფლების მოპოებისათვის.

ნათელამ საპასუხო ვერაფერი გამოናხა რადგან თვითონაც იზიარებდა ლადარიას ასეთ შეხედულებას. „ბრძოლაა საჭირო მისი მოპოებისათვის“, — გაიმეორა გულში ნათელამ და ბეგლარს ქურდულად შეხედა.

მორცხვი იყო ეს შეხედვა. გაუბედავი.

ბეგლარმა ღიმილით უპასუხა ნათელას მიპარებულ თვალებს და ორი გული აფორიაქდა ერთმანეთის სიახლოვით.

— ბეგლარ!

ნათელას თავბრუ დაესხა. თვითონაც არ მოელოდა ისე უცრად წამოიძახა უცხო, მაგრამ მის გულთან ახლო მყოფი მამაკაცის სახელი.

— რა გინდა, ნათელა? — ღიმილით შემოაგება ბეგლარმა.

— მე უწინოდ სისცოცხლე არ შემიძლია.

ნათელამ თავი კალთაში ჩამალა. ბეგლარი კი იჯდა ნათელას გამბედაობით და სითამამით გაშტერებული და ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა...

...რა დროს ეს არის? ხვალ-ხვდ ტყეს უნდა შევეყვოდო, მაღალ ცხორებას დავუბრუნდე და აქ კი... შეუღლებასა და ცოლქმრობაზე ლაპარაკი სხვა პირობებში ვინ პირშავი უარს ვიტყვოდი, მაგრამ ახლა... ვადაშქრეფს მთაწმინტში, მაშინ როცა ყოველი წუთი ძვირფასია მოძრაობაში ჩაბმულ რევოლუციონერისთვის... არა, არა! ევ შეუძლებელია. ოჯახი ასეთ დროს ბოროტია, ხედმეტი საზრუნავი და საფიქრალი.

— არ მოგწონვარ?—ბრაზმორეულ კილოზე იკითხა ნათელამ ცოტა მოგვიანებით.

ეს იყო ნათელას უკანასკნელი გამბედაობა. მას თვითონვე უყვირდა საკუთარი გამბედაობისა. უყვირდა ისიც, რომ ოჯახსა და სიყვარულზე მან ჩამოუგდო სიტყვა ლადარიას და არა პირიქით, უყვირდა ყველაფერი ეს, მაგრამ გულს იმით იმაგრებდა, რომ თვრამეტი წლის ქალს დღემდე, არამც თუ ვინმესთან უსაუბრია ასეთ საკითხებზე, ღიმილითაც კი არავისთვის შეუხედავს და ამით თავი მოსწონდა და გულმაგრდაც იყო.

— მომწონხარ, ნათელა... სხვა დროს უაღრესი აღტყინებით დაეთანხმებოდი შენს წინადადებას, თვითონ მე გთხოვდი ხელს, მაგრამ... დღეს, როცა საერთო მდგომარეობა ასე აწეწილ-დაწეწილია.

— მწუხრობ?—გაუთმეორა აღშფოთებულმა ნათელამ. რომელიც ლადარიას ყოყმანს, მისი დაწუნებით ხსნიდა და ბრაზი ერეოდა, თავი რატომ დავიმცირო.

— არა გრცხვენია, ნათელა?!

— მე ყველაფერს ავიტან, ბეგლარ!

— ნათელა, მე გაგარდნილი კაცი ვარ, უსახლკარო, უმუშევარი და მთავრობისაგან დევნილი.

— მეც შენთან ერთად ვიქნები.—გათამამდა ნათელა და თავი ასწია.

— ბრძოლა დაიწყება...

— ბრძოლაშიაც გამოგყვები. ბარიკადებზე ვიბრძოლებ.

— შენ რა იცი ბარიკადებისა?—გაიკვირვა ბეგლარმა.

— შენს გაზეთებში ამოვიკითხე. მე ყველაფერი ვიცი, რაც ხდება ქვეყანაზე.—ღიმილით მიუგო ნათელამ.

ბეგლარი სახტად დარჩა. ამდენი ხანია ის ხოსიას ოჯახში ცხოვრობს და არასოდეს ნათელასთან პოლიტიკაზე არ უსაუბრია, ქვეყნის აჯვარგი მისთვის არ გაუცნია. ამას, ცხადია, თავის მიზეზებიც ახლდა, მაგრამ ეხლა მთავარ დამნაშავედ მაინც ბეგლარმა თავისთავი იგრძნო და სირცხვილით გაწითლდა.

— მაშ შენ ბარიკადებიც იცი, ნათელა?—სიამოვნებით გაიმეორა ლადარიამ ნათელას სიტყვები და ერთხელ კიდევ გაუღიმა სახელაწილ ქალს.

— მიბასუხე, ბეგლარო!—არ დააყოვნა ნათელამ, როცა შეხედა, რომ ბეგლართან საუბარში გაბედულად ჩაება და თავისი გამბედაობით ბეგლარიც გააკვირვა.

— გაგვიძინეღდება, გეთაყვა, ერთად ცხოვრება სანამ...

— სანამ რევოლუცია გაიმარჯვებს? ეკონებ ეს უნდა გეთქვა.

— ჰო... არა, თვითონ დაფიქრდი. ყველაფერი მოსალოდნელია. ციხე, ციხიბირი, გადასახლება, მუდმივი კატორღა და... სიკვდილიც.

— სოცედილით, განა ბრძოლებს გარეშე არ კვდებიან?

ბეგლარი დაჩუმდა. გულში რალაც სითბო ჩაუდგა. „ბარეკადები“, გარემო-  
რა გულამაჯებულმა ლადარიამ და თითქო თავდადებულ მებრძოლმა დაუმე-  
გობრდაო, სიხარულით აივისო.

ოთახში ხოსიამ შემოიხედა. ნათელა და ბეგლარი საუბარში გაბმული რომ  
დაინახა, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ეს შენიშნა ბეგლარმა და ხოსიას  
მიამხა:

— შემოდი, ხოსია, ცუცხლი გაითბე.

ხოსია ხელების ფშენებით მიუჯდა ბუხარს და შენამწყვეტელი მუგუზლები  
დააჩინჩხალა.

— ხოსია, — მიმართა ნათელამ, — მე ბეგლარს ცოლად უნდა გავყვე.

— გაჰყვე, გეტყვი მე, შენ იცი და მაგან.

ხოსიას ესიამოვნა კიდევ ნათელას ნამახარობლი, მაგრამ განგებ არათფერი  
შეიმჩნია და ისევ მუგუზლებს დაუწყო ჩუჩხური.

— ბეგლარი უარზეა. — დაუმატა ნათელამ.

— ეს კი აღარ ვიცი, გეტყვი მე. თუ უარზეა, როგორღა მიჰყვები?

— ხოსია, შენ ხომ იცი რა დღეში ვართ — სერიოზულად დაიწყო ლადა-  
რიამ. დღეს შერვაშიძემ ისეთი მოთხოვნისება წამომიყენა, იძულებული ვარ  
მალულ ცხოვრებას დავუბრუნდე.

— მე გამოგყვები სადაც გინდა. ხელში თოფს ავიღებ და, თუ საჭირო  
იქნება, ძმობასაც გაგიწევ და მუღლულობასაც.

— სხვათა შორის, ნათელა იშვიათი მსროლელია, გეტყვი მე.

— ციხეში რომ ჩავვარდე? რომ გადამასახლონ? რად აეკიდო შენი ცოდ-  
ვა და დარდი!

— მეც შენთან ერთად ვიქნები, ბეგლარ, მეც მინდა ვიბრძოლო შენს  
გვერდით და შენი გვირცე ვატარი. სულერთია მუგუზლები შენს ცოლად მისა-  
ხელებენ და... რას იტყვი?

ბეგლარი ფიქრებმა წაიღო. ბოლოს:

— თანახმა ვარ. მხოლოდ ერთი პირობით-ერთბაშად წამოიძახა ბეგლარ-  
მა, — მე ოჯახზე ვერ ვიფიქრებ მანამ, სანამ ეს ბრძოლები ჩვენი გამარჯვებით  
არ დამთავრდება. მოხარული ვარ, მაგრამ ვიცი, ძვირად დაგიჯდება ეს თავ-  
განწირვა.

ბეგემ ნათელას ხელი გაუწოდა. ცალი ხელი ხოსიას ჩასჭიდა და ხოსიამ  
ფანჯრიდან ივდითს გადასძახა:

— მოდი, დედა რა გახარო.

ივდითი უმალ ოდაში გაჩნდა.

— ნათელა დღეიდან ბეგლარის დანიშნულია. ღიმილით შეაგება ივდითს  
ხოსიამ.

— შეუღლება და ქორწილი, გეტყვი მე! — წამოიძახა ხოსიამ, და ბეგლარს  
მიაჩერდა.

— პირველი შესაძლებლობისთანავე. ვნახოთ, ეს ჩაბნეული საქმეები რო-  
გორ გამოსწორდება, თუ არა და ადგილს მოვიწინაცვლებ. სამუშაოდ ქალაქში

გადავალ, ნათელასაც იქ წაიყვან და შევეცდებით ერთად ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ კიდევ „ბარიკადებზე“, ხომ ნათელა?!

— შერცხვეს ის ქალი, ვინც ვაჟაკზე ცუდად იბრძოლოს!



**კუბო ხომ იცი?**

გათენდა მეორე დღე.

საცაა შუადღე წამოიხრება. შერვაშიძე პასუხს ელოდება ლადარიასაგან. ზის გახურებულ ოთახში რწმუნებული და საათს წერვილად შეჭყურებს, თან შეუწინველად ბრაზი მოსდის და გულზე ცეცხლი ეკიდება.

„საოცარი ხალხია ეს რევოლუციონერები, უანგარონი. ოჭროსა და სიმდიდრეს ისე ვაფრბიან როგორც კეთროვანს. არა, საოცარია, საოცარი! ათასებს სთავაზობ და ვანზე დგება; უარობს. იშვიათად თანხმდება. ქრთამი არ უყვართ და მოუსტიდველნი არიან. ამიტომ ძველდება მაგათ წინააღმდეგ ბრძოლა. ამას წინად მაზრის უფროსი აშობობდა ერთ რევოლუციონერის გამოტება ხუთასთუმნადე დამიჯდაო. საეჭვოა კიდევ, ნამდვილად გამოტყდა თუ ითვალთმაქცაო. ჩაგრულთა გამარჯვებაზე ოცნებობენ. ძმობა-ერთობა აკერიათ ენაზე, ფანატისკოსები. ფანტასტიური სოციალიზმი ურწვენიათ ერთბაშად გამდიდრებასა და საპატიო წარჩინებას. მომავლი ჩვენს მხარეზეაო. არა, რა სახარბიელოა ძმობა-ერთობა და ისიც ოღესღაც, მეორედ მოსვლის დროს! თანასწორობა. ასე რომ ხოსია ტრაპაძე, ტოროტაძე, გვიჩია და შერვაშიძე თანასწორები ყოფილან, არც მეტი, არც ნაკლები: თანასწორები:—ხაზი გაუსვა შერვაშიძემ სიტყვა „თანასწორს“ და სარკის წინ გაიჯგვიმა. მეფის წყალობა პავონებს მოალერსების მიზნით მტკერი მოსწმინდა და მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმულ თვითმპყრობელის სურათს მიიჩერდა. „რა გულუხვია და გულკეთილი! მეფეს არ შეშვენის ასეთი ხელგაშლილობა. მუდამ მოლიმარია და უბრალოებით აღსაესე. თავის კამერპერზე უფრო თავდაბალია. იმპერატორია და ძალაუფლების კერთხის მპყრობელიო, ვერც კი იფაქრებ. ხშირად ზის მარტოდმარტო და ბანქოს თამაშით ერთობა. ხან ტიკინა დედოფალებს ესაუბრება და აჯავრებს, ნამდვილი ბავშვია. ერთი წელი მის სიახლოვეს და... ეჰ! შერვაშიძის ბედს ძალი არ დაჰყვება, მაგრამ ქართველ კაცს როდის ჰქონია იღბალი, რომ ახლა ჰქონდეს“.

ლოდინით განერვიულებულმა შერვაშიძემ მოზრდილი კიქა კონიაკი დაისხა და სამეარსკვლავიან სარაჯიშვილისეული თვალდახუჭვით გადაჰკრა. ერთიც დასხა და ქერიშ გაუწოდა.

— დღეგრძელობა ქიშვარდ—ეფენდის.—ქერიშმა გადაჰკრა კონიაკი და სიამით ჩაახველა.

შუადღეს გადაცდა. ლადარია არ სჩანს იგვიანებს.

— უარის ნიშანი—ფიქრობს შერვაშიძე—აღარ მოვა, ან კიდევ... არა, ყველაფერი მოსალოდნელია. თავზეხელაღებული ხალხია, რას არ მოიფიქრებენ! სიფრთხილეა საჭირო. თუმცა რას ვახდებიან? ჯარი, ფული და პოლიცია, აი სამება, რომელიც კისერს მოუგრებს ყოველ ურჩსა და განდგომილს. თუ კონ-



ცესიის საქმე ჩვენი გეგმით არ წარმართა, ყველაფერი დაიღუპება. თანადრწვილობა ისე გამიჭრა ხელში ერთხელაც არ ამომისუნთქავს ხეირიანად. დღეს ისეთი დრო დადგა, რომ ფულიანი და შეძლებული თავადიც არის და შერჩენებულიც. ფული კი ვაჭრობა-მრეწველობაშია. ვაჭრობა აზნაურებს არასოდეს ეგერხებოდა. ჩვენ უფრო გაყიდვა ვისწავლეთ, ისიც მამაპაპეული მიწა-მამულების. ზოგიერთმა მიწა-მამულს ჰკუცაც თან გააყოლა, ბანქოს თამაშში უძრავი და მოძრავი დააგირავა. ლამაზი ცოლები წააგო, ნაძღენი და ნაანდერძევიც. მიწა-მამულზე ხელდარეცხილი აზნაურები განსაკუთრებით ჩვენში, გურიისში, გლეხებზე უფრო გაღატაკებულნი არიან. იხტიბარს არ ვიტყვით, (არა, ზოგიერთებს ჯერ კიდევ გვიდგას სული), თორემ ჩვენი დრო წასულია. გზის სამუშაოზეც კი გამოგვაწვიეს. მოძრაობისა და ახალთაობის შუქი, თორემ გზაში გაწვევას აზნაურებს ვინ გაუბედავდა! თუ რომ ეხლა ჰკუთით არ დავუხვდით საქმეს, თუ ერთი ხელი შეგვიცურდა, მშვიდობით: ან ფული და ვაჭარ-მრეწველნი, ან კიდევ მუშათა კლასი, აზნაურობის საშველი კი მაინც არსად სჩანს. თუ გლეხი წინათ ქორწილში მთელა ლაშე ფეხზე იდგა და მერიქიფეობდა, დღეს გვერდით გიზის და ალაფერდს პირდაპირ შენთან გადმოდის. ჯინაზე აზნაურთან არჩევენ შეჯიბრებას. ხშირად გვეკობნიან კიდევ და ვაი იმ აზნაურს, ვისაც გლეხი დასჯაზნის და დაიბრიყვებს. თავი გარეთ აღარ გამოეყოფა. ფული და ოქრო იმაჯავებს. ფული ხდება ყველაფრის ბატონ-პატრონი“.

შერვაშიძე ფიქრებმა გაიტაცა.

ეზოში ნაბდიანები გამოჩნდა. ძაღლის დაყეფებაზე რწმუნებულმა ხელმოფარებით გაიქვრიტა ფარდამაშოვებულ ფანჯარაში და ნაცნობების დანახვაზე წარბი შეიკრა.

— ნეტა რა უნდათ! ვაივლო გულში რწმუნებულმა — არ მიყვარს ეს კაცი და მოსვენებას არ მძღღევს თავისი ხშირი და მომამბეზრებელი სტუმრობით“.

— შეიძლება? — აოხროხდა ვილაც აივანზე.

— მობრძანდით. გაეზმაურა შერვაშიძე და ქერიმმა კარი გააღო.

— ოჰ, ქერიმ, სალიამელექუმ. ქეიფ ნავარ, ყარდაშ? ჩაუთათრულა მოსულმა და ჭიშვარდის მოკრძალებით მიესალმა.

— ყაჩაღებს გაუმარჯოს. — შემპერავი დაცინევით და თანაც გულლია მიღების ნიშნად შეაგება შერვაშიძემ და მოსულები ბუხართან მიიბატატა.

— ყოჩაღებს, ბატონი ჭიშვარდი! ჩვენ შეცდომით თუ გვეძახიან ყაჩაღებს... თათრულად ყოჩაღები უფრო გვესადაგება, ხომ ქერიმ-ეფენდი?

— მართალია, დათიკო-ეფენდი. — დაუდასტურა ღმილით ოსმალომ და ჩქარა საუბარმა საქმიანი ხასიათი მიიღო.

— რაზე გარჯილხართ? ჰკითხა შერვაშიძემ როცა შევარდნაძემ მოკლე, მავრამ მეტად საქმიანი და მაღალი მუჭარითსაცხე სიტყვები დაასრულა.

— მე ერთხელ გაგაფრთხილეთ: ლადარიას გაუფრთხილდით მეთქი, თქვენ კი კონცესიონერს უფრთხილდებით. ინკლისელ მაიმუნის ინტერსებს ღინდათ ანაცვალოთ ჩვენი საუკეთესო — ამბანაგები. ჩვენი გაფრთხილება და მგობრული თხოვნა, ვითომც ერთი ქეციანი ძაღლის დაღრინება ყოფილიყო სხვა არაფერი, აქ ცოტა არ იყოს თავმოყვარეობის საკითხიც არის და... შევარდნაძე დაბრმევებს როდია ჩვეული.

— როგორ გეკადრება, დათიკო! რა დაბრიყვება, რომელი-გაფორთხილება? ლადარიას დათხოვნა ელიოტის განკარულებით მოხდა.

— ელიოტის?

— ნოდარს გეფიცები.

მაშ კარგი, ელიოტთან გვექნება საქმე ამ საკითხის გარშემო.

შერვაშიძე ჩიხში მოექცა. მართალია, თავისი ნამოქმედები ინგლისელს ადვილად გადააბრალა, მაგრამ არაფერია, გაქნილი რწმუნებული ელიოტთანაც ყველაფერს გამოაწყობს.

— ლადარიასთან გუშინდელ საუბარზე რაღას იტყვით?— განაგრძობდა შევარდნაძე.

„ხომ ვამბობდი, რაღაცას მოჩმაზვენ მეთქი“.— გაიფიქრა შერვაშიძემ, მაგრამ თავი მაგრად დაიჭირა, და რიხიან შეკითხვაზე რიხითვე უპასუხა:— არაფერს, გარდა იმისა, რომ როგორც სამეგრელოდან იტყობინებიან, ბეგლარი სხვა გვართ არის გვეარდნილი, რომ ის ძიკი ძიგუას ძმა არის... და ბოქაულ შირზახანის ნამდვილი მკვლელი.

— მერე?

— ვურჩიე თავი გაანებოს მალულ ცხოვრებას.

— სხვა?— აღარ მოეშვა შევარდნაძე.

— სანუშავოს შევპირდი და მთავრობასთან შუამდგომლობას.

— კიდევ?

— ეგ შეტის შეტია, დათიკო ჩემო!— იწყინა რწმუნებულმა.— ისე მგვითხებით როგორც სასამართლოს გამომძიებელი.

— შეტნაკლებზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა შეკითხვაზე მიპასუხეთ. ხომ არ გავიწყდებათ, რომ შევარდნაძე გაძღვეთ შეკითხვებს?— მწარედ გაიღიმა შევარდნაძემ და იატაკს დააშტერდა.

— დათიკო შევარდნაძე!— გაიცინა რწმუნებულმა, რომლის მნიშვნელობა ვერავინ გაიგო, ახლო ნაცნობობის ნიშანი იყო, თუ... ჩვეულებრივი ირონია.

— დიალ, შევარდნაძე და არა შენი ოჯახის ხიზანი და ხელქვეითი.

— ეგ რაღა მოსატანი იყო, დათიკო!

— არც მაგას გეკითხებიან თუ რა იყო მოსატანი და რა არა. გაქვთ თუ არა კავშირი ნიკო ბლალოჩინთან?

შერვაშიძე გაშრა. შევარდნაძის ანთებულ თვალებში მძულვარება და ზიზღი ამოიკითხა.

— ვიცნობ ისე, როგორც შენ ვიცნობ.

— ელიშულ რამიშვილთან?

— არავითარი საერთო.

— სცრუობ!

— დათიკო; ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ მისი უშუალოდესობის სვიტის ოფიცერს ელაპარაკებით.

— Наплевать мне на твои погони! იცნობ თუ არა ელიშულ რამიშვილს და გაქვს თუ არა მასთან რაიმე კავშირი?

შევარდნაძე ფეხზე წამოდგა ხელი ზურგისკენ წაიღო და მძურღლებიც ფეხზე წამოიშალენ: შიშის ზარი დადგა რწმუნებულის ბინაზე. იატაკში ჩამგდარი ქერიმი ადგილზე გაშენდა. შერვაშიძემ არაფერი შენიშნა. მგვრამ ხაფრით კინალამ ძიგძიგი აუვარდა.

— ცნობა გვაქვს, შენ ჯაშუშთა სიაში უნახავხარტ ჩვენს ამხანაგებს.

— შეუძლებელია!— ვითომ რისხვით, მაგრამ სინამდვილეში შიშით დაიგმინა შერვაშიძემ და ბაიასავით გაუციოთლა.

— მოვედი ვაგაფრთხილო, მეგობარი ხარ, მაგრამ თუ ასეთ ხელობას დაეტანები, ტყვია გაგვითშავს. ქერიმა ვიპოწმით. ერთი კვირის ვადაში თუ შენი მდგომარეობა შენ თვითონვე არ გამოგორკვევია და თავი არ გაგიმართლებია ჩვენი ორგანიზაციის წინაშე, არამც თუ შეტყევეზე გადმოსვლა, გათავდა! შევარდნაძე გაფრენილს ესვრის და არასოდეს გაწვილებულა. შაშხანას მიტომ კი არ ვატარებ რომ ბელურებს ვესროლო. მოგბეზრდა სიცოცხლე!

— დათიკო! დათიკო! შენ მე დიდი ტალახი მესროლე დღეს.

— თუ არ გაბანილხარ და თუ არ გაწმენდილხარ ამ ერთ კვირაში, აღარაფერი ინანო, ქიშვარდი, არ ინანო შეტქი!

— შევარდნაძე ფაფარაყრილ ლომს ჰგავდა. თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა. მისი ყოველი გამოხედვა მუჭარისა და რისხვის ნიშანი იყო.

— რას იტყვი?— მოგვიანებით იკითხა შევარდნაძემ.

— როგორ ვიმართლო, ან რაში ვიმართლო, როცა არაფერი დანაშაული მიმიძღვის.

— ჩვენი თვალის ახვევა ძნელია. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენზე მეტი იცით, რომ მხოლოდ თქვენ შეგძლიათ შეჭრიბოთ საიდუმლო ცნობები, მაგრამ სცდებით, ტყუილებით. ჩვენს თვალებს არაფერი დაეშალება. ჩვენს ყურებს არაფერი გამოგბარება. გვარამაძესთან რა თათბირი გქონდათ? ბლალოჩინს რა საქმე ჰქონდა იმ ღამეს? უცხო სტუმრები რისთვის მოიწვიეთ?— განგებ მიაყარა შეკითხვები შევარდნაძემ და იატაკს დააშტერდა.

— თუ სტუმრების მიღებასაც მიკრძალავთ...— დაცინვის კილოზე სთქვა შერვაშიძემ და მხრები აიხეწა.

— ვიცით რა სტუმრებიც არიან. კუბო ხომ იცი, ქიშვარდი? კუბო ხომ გინახავს?

— მაშინებთ?

— გაფრთხილებთ— დაუქნია თითი შევარდნაძემ და ისევ დაბლა დაიხედა, რაც მეტისმეტი წყრომისა და გულმოსულობის ნიშანი იყო.

— ერთი კვირის ვადა მომიკია. ლადარიას შესახებ კი ახლავე მიამბე სად რა იციან და რომელი წყაროებიდან.

— თქვენ საზღვარს გადადობხართ, ბატონო დათიკო! გავიწყდებათ რომ... მართლა და...— ბრაზით ენა დაება მკერმეტყველ რწმუნებულს და გაფითრებული მიტკალივით გაუფერულდა. — თქვენ მე ვინ გონივართ?— შერვაშიძემ ქერიმს რალაც ანიშნა, მაგრამ მოთმინებიდან გამოსულმა შევარდნაძემ ყარაბინის ლულა რწმუნებულს ცხვირწინ გააღახდა და ქერიმმა ხელის გაქნევა ვერ მოაწყო, რომ გონა ურდიდამ მათხერი ყელზე მიბჯინა.

— ერთი განძრევა და გათავდა! მოჰყევი, რა იცი ლადარიან ჩემებზე. ან საიდან იცი. ვინ არიან ჯაშუშები? ცნობებს ვინ დაწვდით? ჩემია...  
 შევარდნადის მეორე მხლებელი დარიგებოსამებარ ჯიბეში ხელობა წყობილ წინდაუკან სიარულს მოჰყვა რწმუნებულის ფართო სასტუმროს კარებში შეხვედრას გველივით ასრიალებდა გამოცდილი რაზმელი. სხვის ტანის ყოველგვარ მოძრაობას უშინაით ივებდა.

შერვაშიძე მსგავს არაფერს მოელოდა. ამიტომ მოულოდნელმა შეტევამ შინის თავზარი დასცა და, როცა ცხვარწინ შევარდნადის თოფის ლულას მოჰკრა თვალი, უყოყმანოდ მოჰყვა რაც კი იცოდა ლადრის საქმის გარშემო: „იორდანიე დანელია სამეგრელოში მუშაობს. ბლლიონის ლონისკარელი ემპარბა, ამბობენ რამიშვილიცო, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს ვეტყვი... მაზრის უფროსი, ბოქაულები, ჩაჩუტები... კავშირი მჭიდრო აქვთ. უამრავი ფული იხარჯება. ყველანი ათვალთვალბული ჰყავთ. ყველას ასავალ-დასავალი იციან. ლადარიას აქ ჩამოსვლა და შეთვალყურეს დანიშვნა ერთი იყო... შენ ხომ კარგად იცი დათიკო, რა აპარატით იბრძვიან ვაგვარდნილთა წინააღმდეგ. შენ საბოქალაქოში ნამუშევარ კაცი ხარ... იქაური „სეკრეტები“ ხომ გახსოვს?  
 სინჯე ჩამოვარდა.

ყველაფერი გამოჩვეული იყო. შერვაშიძემ არ იცოდა, მაგრამ ცნობა იყო, რომ ელიოტი საკუთარი შტატით მოქმედებდა მოძრაობაში შემჩნეულთა წინააღმდეგ. ელიოტს პირდაპირ პეტერბურგში ჰქონდა კავშირი შინაგან საქმეთა მინისტრთან პირადათ. რუსი მონხელების საპუშაოზე ჩამოსვლაც იმასთან იყო დაკავშირებული, ასე რომ შეთვალყურები აღარ ხუმრობდნენ. შერვაშიძე კი უფრო ვიწროდ და შინაურული რეცეპტით ფიქრობდა მოძრაობის „მკურნალობას“, ყველაფერს საკუთარ ზარალსა და სარგებლიანობას უკავშირებდა. ბრიკებს უწყობდა კონცესიონერსაც. მაგრამ არც მუშათა ორგანიზაციებს ეძინათ. წითელი რაზმელები ფეხზე იდგნენ ელოდნენ ელვას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაც სწორედ მაშინ გაჩაღდებოდა.

— თავის მართლების შემდეგ სიტყვას მისცემ ჩვენს ორგანიზაციას, რომ შორს დაიქვრ თავს ყოველგვარ ჩვენს საწინააღმდეგო მუშაობიდან. ჩამოშორდები ყველა საეჭვო პირს...

ამ—სიტყვებით შევარდნაძე გამოეთხოვა რწმუნებულს და გარეთ გაიქრა.

— შეგიძლია შთავრობას აცნობო, რომ შევარდნაძე სურების რაიონშია.

— რატომ იკადრე, დათიკო! განა შენს შენახვაში მე ღვაწლი არ მიიძღვის? იწყინა თავზარდაცემულმა რწმუნებულმა, რომელმაც ძლივსლა ამოისუნთქა განსაცდელს ამორებულმა.

— არა, ამას გთხოვ კიდევ, შეგობრულად გთხოვ, გაიგებენ, რომ მე სურებში ვარ. აქვთ დაიძვრებიან და დანარჩენისა მე ვიცი.

— აჰა, ეგ სხვა საქნია!—გაიღია ფერწასულმა შერვაშიძემ.

— ისე დაუბნევე დაეთარს, რომ... დედაჯალღეტილები! ჩვენს რაზმთან შებრძოლებმა შილაფლავის ჭემა ხომ არ ჰგონია ქუსურბეგს!—განგებ მოაგონა შევარდნაძემ ბოქაული ქუსურბეგი, რომელსაც ხშირი სტუმრობა ჰქონდა შერვაშიძესთან.

ისმოდა ზარის გუგუნი.

მორწმუნეებმა ლომის კარელს ევიდრებოდნენ.

ნიკო ბლალაშინი გაფაციცებით ჰკრებდა ყოველგვარ ცნობებს, ანუ ანუ—  
 დანაც კი და სპეციალურ რეჟისს აესებდა ახალ—ახალი ცნობები. **სამშაბათობით** კი ცნობები ედიშულ რამიშვილის ხელით დანიშნულებების  
 ადგილას იგზავნებოდა: ბოჭულებთან, მაზრის უფროსთან, ცალკეულ ჩაჩუტებ-  
 თან, ზოგჯერ გუბერნატორთან და სინოდის მოხელეებთანაც. კომიტეტის წევ-  
 რები ელოდნენ შევარდნიას დაბრუნებას.

— ირაკლი სად არის?

— დღეს არ გვინახავს.

— სოფელში თუ წავიდა.

— არ შეიძლება „სამშაბათლოდ“ არ იყოს სადმე წასული,— დაბეჯითე-  
 ბით სთქვა სერგო კახრაძემ და დაბრუნებული შევარდნიამ რომ დაინახა, კო-  
 მიტეტის წევრებს მიუბრუნდა. აბე ჩქარა დაესხდეთ, ამხანაგებო, გვაგვიანდება.

### მოძიებით მოწყალება!

კომიტეტის სხდომა დასრულდა.

ჯერ სოფლის წარმომადგენლების მოხსენებები მოისმინეს.

სოფლელები სჩიოდნენ: უზომო დრამის ფულის გადასახადს, სიმინდისა და  
 საკვების უქონლობას, სოფლის მოხლეების უდიერ და უბეშ მოპყრობას, მამა-  
 სახლისების თავგასულობას და ვინ მოსთელის რამდენ გასაკირსა და უბედურებას.

სახელდახელო დროა. ხალხი სიმშვილობს და ამდენ გასაკირსა და შეურაც-  
 ყოფას იტანს. „წინამძღოლი, თორემ გაყოლით ბევრი გამოგყვება“ ამტკიცებდნენ  
 სოფლის წარმომადგენლები.

დასასრულ, კონცესიონერთან წარსადგენი ათი მუხლისაგან შემდგარი მუ-  
 წათა მოთხოვნილება წაიკითხეს, შესწორებები შეიტანეს და დელეგაციის გამო-  
 ყოფას შეუდგენ.

— ხოსია.

— გვიჩია.

— გვარამაძე.

— გვარამაძე აქ რომ არ არის?— წამოიძახა ელამაც.

— სად არის?

— ალბად განგებ თუ უგანა...

— სოლომონი შევიყვანოთ...

— სოლომონი იყოს...

— დელეგაცია მზად იყო სამი კაცის შემადგენლობით. კომიტეტის წევ-  
 რები ახლა ფურცლების გაერცელებაზე ფიქრობდნენ. სოფლის წარმომადგენლებს  
 თითო შეგერა ფურცლები დაურიგეს გასაერცელებლად.

— თუ ხვალ პასუხი არ იქნება, ვიწყებთ ფურცლების გაერცელებას. პო-  
 ლიციას დაიხმარებენ, იქნება ყაზახებიც ჩამოგვიყვანონ, მაგრამ...

— მაგრამ რაიმე დათმობაზე ლაპარაკი იგივე ლალატია და მუშათა კლასის ინტერესების მიფურჩქება — განაცხადა ლადარიამ და კაპიტონი გაღიზიანდა, რომელიც საფელში წასასვლელად მომზადებულიყო და კომიტეტის სკდომის დასასრულს ელოდებოდა.

დამაყრუებელი წივილ-კივილი გადმოსქდა მაღალ სერჯანტს და მისი კმეიძრა მახლობელი სრფლები. კივილს თან მოჰყვა ძაღლების ყეფა და ყმუილი.

— ვილაც შეიცხადეს.

— ყვითელოფრიდან მოდის ხმა... კაპიტონი თუ მოკვდა.

კაპიტონია ნამდვილად. საცოდავო ბიჭო!

შარაში მომავალი ეგვიტო გამოჩნდა. ის გზადაგზა იცეამდა საგარეო კაბა-წელზედას და ცალი ხელით ნაწნავეებს იშლიდა.

— რა ამბავია, ეგვიტო, თუ იცი? მიიძახა გაფითრებულმა კოწიამ.

— რაღა ამბავია! კაპიტოს მოუსავდა... ვაი უბედურ დედამის!

— საცოდავო კაპიტო! რაღა გადააყოლა თავი შევიდაბახიან სამუშაოს! წივილ-კივილმა იმატა.

ახალგაზრდა ქალის გულისგამგვირავი მოთქმა ხანდახან ისტერიული შეკივლება ცას წვდებოდა და გულდამდღღრული მგზავრები ცრემლით იღრბოდნენ ახალგაზრდა მეზობლის უდროვოდ დაკარგავზე.

— უბედური შენი ცოლშვილი!

— ვაი შენს დედას უბედურს! — მოთქვამდნენ მეზობლის ქალები.

შეშინებული კაპიტოს ოთხი წლის ბავში ვახტანგი მამის ცხედარს არ შორდებოდა, პირზე ზეწარს ხდიდა და „მამიკონაო“ ნამტირალევი ჩახლენილი ხმით ეძახოდა. ბავში გრძობდა რაღაც უბედურებას მაგრამ საშველად სამუდამოდ დაკარგულ მამას ეძახოდა. მამის აწოლისაკენ მიიწევდა. ვერ წარმოედგინა სიკვდილი რა იყო ან რა ატირებდა ერთად შეკრებილ ხალხს ასე გულმდღღარედ.

ვახტანგის ცოდვით ბევრი გულმაგარი ცრემლად დადნა და კაპიტოს ღარიბული ოჯახი ზარითა და მოთქმით დაყრუვდა.

კონცესიონერს წარუდგინეს მუშათა მოთხოვნილება. დელეგაციასთან გამოსვლაც არ იწება ელიოტმა. პასუხი თარჯიმანის პირით შეუთვალა მისალეზ ოთახში მოლოდინე დელეგატებს: „პასუხი ერთი კვირის შემდეგ“.

— მოახსენეთ ბატონ ელიოტს, რომ თუ ხვალ პასუხი არ იქნება, როგორც ეს მოთხოვნილებაშია ნათქვამი, საგაფიცვო კომიტეტი თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას მოსალოდნელ გაუგებრობათაგან.

— მოიღეთ მოწყალება... — ცივად მიუგო თარჯიმანმა მუშათა დელეგაციას და კარებს შეხედა, სადაც შეკანიანი ზანგი მუმიასავით იდგა და დელეგაციის წასვლას ელოდებოდა, რომ კარი ურდულით გამოეკეტა და თვითონ იქვე ჩაეთვლიმა უძილობასა და მოსვენებაზე მუდმივ მოწუწუნეს.

— ჩვენ წავალთ, მაგრამ... გადაეცით ბატონ კონცესიონერს რომ ჩვენი ასე აბუჩად აგდება ძვირად დაუჯდება. როგორც სჩანს თქვენ კარგად ვერ იცნობთ ახალთაობის ბიჭებს.

\* \* \*



მუშათა მოთხოვნილებამ თავზარი დასცა გულგრილ ინგლისელს. ის არ მოელოდა მუშების ასეთ „თაჯედობას“ და როცა მუშათა ათწევნიანობა გადაიკითხა, გუნება შეეცვალა. „ალარა ხუმრობენ“ დაუდასტურა მან თავის თავს და ყველა ხელქვეითი ფეხზე დააყენა.

მოიწვიეს რწმუნებული შერვაშიძე და მთავრობის ორი მოხელე, რომელნიც შემთხვევით იყვნენ ჩამოსულნი ფრიად საიდუმლო საქმეებზე ..

— თქვენი აზრი, სერ ქიშვარდი! — იკითხა ელიოტიმ.

— რა მოგახსენოთ. მე თვითონ გამოუვალ ჩიხში ვარ მომწყვდეული. მოკვლას შემუქრებიან.

— შეშინებულხართ ბატონო რწმუნებულიო. — შენიშნა მთავრობის მოხელემ, რომელსაც გულზე რაღაც ლენტი ჰქონდა მიკერებული. წარჩინების ნიშანი თუ იყო.

— რა გაეწყობა. ტყვია ბრმა არის. გარჩევა არ იცის. სროლაში კი ისეთი გაწვრთნილები არიან, რომ გაფრენილ ჩიტსაც არ ააცდენენ.

შერვაშიძის გულშემატკივრობა ყველამ თავისებურად ახსნა. ინგლისელში კი რაღაც ახალი ეჭვები აღაპარაკდა; „მღალატობს, საქმეს ართულებს და განგებ მიქმნის დამბრკოლებებს. გარდა ამისა ვინ იცის მუშებში რა კავშირი აქვს“.

— როგორ მოვიქცეთ, ბატონო რწმუნებულიო, რას გვირჩევთ... — არ მოეშვა ელიოტი ეჭვ შიტანილ შერვაშიძეს.

— აცნობეთ ხელისუფლებას და დახმარებაც სთხოვეთ.

— თქვენ რაღას იტყვი?! — მიუბრუნდა სხვებს კონცესიონერი.

რწმუნებულის აზრი ყველას მოეწონა. ამროგად მუშათა მოთხოვნილების პასუხად მაზრის უფროსს სამასი ყაზაზი მოსთხოვა კონცესიონერმა და გუბერნატორს დაშიფრული წერილი გაუგზავნა. წერილში დაწვრილებით აცნობა მეთაურთა გვარებიც და რევოლუციონერ ორგანიზაციის ყოველი წვრალმანი, რაც კი მის განკარგულებაში მოიპოვებოდა.

## უნდა გისროლო!

კონცესიონერთან თათბირის შემდეგ რწმუნებულმა თავის სოფელში გამგზავრება გადასწყვიტა. ქერიმს ცხენების შეკაზმვა დააეღა და რამდენიმე წუთის შემდეგ არაბულფ ყორანი ჩოროთი მისდევდა ფორეჯა იორლას. ფიქრებში გართული შერვაშიძე სადავეშიშვებულ იორლას დაუზოგავად მიჰქანებდა და მის განუყრელ ქერიმს დროგამოშვებით რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ პასუხს არ უცდიდა და ისევე ფიქრებსა და საკუთარ თავთან საუბარს განაგრძობდა.

შორი გზა ჰქონდა გასავლელი შერვაშიძეს, გზა ალაგალაგ ორწოხებიანი და სახიფათო. ქაფმორეული ცხენები ლაგამს ტკვერდენ და ფეხმარდობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თითქო შორი გზის ჩქარა ათოკვას ლამობენო. ზამთრის მზიანი დღე იდგა და საღამოს ყინვა გაძლიერდა. გაშვანული თოვლი შეიკრა და ყინული ახმაურდა დაქედულ ფლოკებს შვეშ.

— ქერიმი! მარცხენა თვალი მითამაშებს.

— სიხარული იცის, ქიშვიარდი ეფენდი.

სასიხარულოს ქიშვიარდი არაფერს მოელოდა და ამიტომ ოსმალის სიბრძნე გულს არ გააკარა. „სიხარულს ვინ დაეძებს... — გაიფიქრა მანერქანდუმი ჩიფეწია მდგომარეობა. თუ ეხლა მშრალად გამოიძვეერი, აღარაფერი დაგმეფქსქსქსქს დაბინდდა. მგზავრები ვანის წყალს მიუხალოვდენ.

გძელ მოსახვეწი ცხენოსანს მოჰკრეს თვალი და მხედრებს ერთმანეთისათვის არც კი შეუხედავს. მუნჯურად ცხენს ჭუსლი ჰკრეს და დაწინაურებულ ცხენოსანს თავს ჯიქურ წაადგნენ.

იცნეს.

ერთმანეთს უგულოდ მიესალმენ,

— სოფელში სერგო ეფენდი? — ჰკითხა ოსმალომ,

— სოფელში... — მოკლედ მოუქრა კასრადემ.

— მაშ ექვიფობთ. სერგო ჯანი! — შუბლი გაიხსნა შერვაშიძემ და ღიმილი გაიმეტა, საუბარში ჭერიმს თვალი ჩაუკრა და კასრადე შუაში მოიმწყვდია. ეს შენიშნა კასრადემ, ცხენი შეაყენა და თვითონ არჩია უკან გაჰყოლოდა დაწინაურებულ თანამგზავრებს,

— წინ მიბრძანდი, სერგო ეფენდი. — ვითომ თავაზიანობით შეეპატიჟა კასრადეს გამოცდილი ოსმალ.

— წინ, სერგო ჯანი, წინ წამობრძანდი, დაეხმარა ჭერიმს შერვაშიძე,

— მე რა მოწინავე ვარ, რომ წინ გაგიძღვეთ! — გაღუნა სიტყვა კასრადემ ნამდვილად კი ასე უნდოდა ეთქვა: „მე რა თქვენი მოწინავე ვარ. რომ წინ გაგიძღვეთ“.

— შერვაშიძემ — გაიგო კასრადის ქარავმა, მაგრამ გამომწყვეი არაფერი უბასუხა, თორემ კასრადის უკან ჩამოტოვებისა და ცხენების გაქენების სურვილმაც კი წამოუარა.

გზადაგზა კასრადემ ცხენს სადავე მოსწია და ეგვიტოს აჯილდა ნაბიჯში ჩააყენა, შერვაშიძის იორლა კი თავშეკავენას ველარ ითმენდა, ხტუნავდა, ყალყზე დგებოდა, ლაგამს ტყვერდა და ნაბიჯის გაშლასა და გათამაშებას ლამობდა.

ქერიმიც თავს უწყვედა მუხლმაგარ ყორანს.

ცხენები ჩქარობდენ და მხედრები ძალაუნებურად ნაბიჯით სიარულს არჩევდენ.

ღუმელში შორი მანძილი გამოიარეს, დაეძვებული ჭერში გზადაგზა იმდენს ეცადა, რომ კასრადეს უკან მოექცა. რომ ყველაფერი ეს შეუძინეველი დარჩენილიყო, ოსმალომ ბაიათს მოუხშირა, მაგრამ კასრადეს რა გამოეპარებოდა? ხუთი წელია კასრადე ფიზილობაში და სიფრთხილეში გაიწვრთნა, გადმოხვეწილი ოსმალს რაღას აჯობებდა!

— ახლა კასრადემ სცადა უკან ჩამორჩენილიყო. ოსმალს კი ბაიათს განაგრძობს და ყორანს ექაჩება. ნაბიჯში აგდებს და ძალად გასაქანს არ აძლევს.

კასრადეს ბრაზი მოერია. „ეს ოსმალს რაგამიხდა“ — გაიფიქრა და ცხენი განგებ დაათოხმავა. თავბრუდახვეული აჯილდა ორჯელ ერთდღიამვე აღაგას შემოატრიალა და, როცა შერვაშიძისა და ჭერიმს უკან ჩამორჩა. მოულოდნელად დასწყვიტა ბაიათის მოლიღინე ოსმალს:



— დაწინაურდი, ქერიმი! აბა, უბნოდ და უკანმოუხედავად.

შერვაშიძეს გააცოცხა. გაიხედ—გამოიხედა და თვალწინ შავი კლდეები/მთებივით წამოვლდა.

დაბლა სუფსა ასკდებოდა სიბებს და კივილით მიიკვლევდა... დასავლეთისაკენ.

ქერიმიც აიბუძგა. იგრძო, რომ კასრადის შეძახილი უმნიშვნელო არ იყო და არც რაიმე სიკეთეს მომასწავებელი. ხელის გაღება ვერ გაბედა ოსმალომ რომ კელავ მოესმა კასრადის ასეთივე შეძახილი და, ქერიმმა მოუშვა ყორანს სადავე.

— ათი ნაბიჯი წინ იარე უკან აღარ მოიხედო!—ბრძანების ტონი გამოამკლავნა კასრადემ და ნაბადი მარცხნით შემოიკეცა.

— ქერიმი არ არის ბრძანებას ჩვეული... ქერიმი თავისუფალი ოსმალოა სერგო ჯან, თავისუფალ ქვეყანაში გადმოხვეწილი. —ლამაზი სიტყვით მოეშველა ქერიმს შერვაშიძე, მაგრამ დიპლომატიურობამ და მიკიბულ-მოკიბულობამ არ გასჭრა, და არც შერვაშიძის ცდამ, ხუმრობაში ჩაეტარებია ყველაფერი.

კასრადე ჯიქურ შეტევაზე გადავიდა.

— მაშინ მე თვითონ დავაჩქარებ,—შეჰკიელა კასრადემ და ცხენს ლაჯებში ტყვია მიახალა.

დაფეთებული ყორანი ჩიტივით გაფრინდა და შეშინებული ოსმალო თან გაიტაცა.

გაქანება მოინდომა იორღამაც მაგრამ კასრადე გვერდში აეტუხა შერვაშიძეს ახლა ამას შეუტია ცოდმორეულმა:

— უნდა გავსწორდეთ, ბატონო ქიშვარდი, პირისპირ უნდა გავსწორდეთ:

— რა გვაქვს კაცო გასაყოფი?!—დაიდაბლა ხმა თავზარდაცემულმა შერვაშიძემ.

— თუ არაფერი, ცნობის გაგზავნას ვინდა გსჯიდა? ჩემი ასავალ-დასავალი რისთვის გაინტერესებდა. ციმბირი არც ისე ახლია, რომ იქიდან ვინმეს ხელი უწვდინო საქართველოში. ალბად შენც იმიტომ ამომირჩიე მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ციმბირი და იაკუტის ცივი ტაივა.

— არაფერი მესმის, ნოდარს ვფიცავარ!

— ცნობების გაგზავნა ხომ გესმის?—გადმოღვარა რისხვა კასრადემ და შერვაშიძეს ლაგამში სტაცა ხელი გასაჩერებლად.

— უნდა გავსწორდეთ, ქიშვარდი!—გაიმეორა მან და ნაბად ქვეშ მალხერმა გაიელვა.

შერვაშიძე სახტად დარჩა. მალხერი და თათრული სატყვეარი წელზე შეაცივდა. ცხენი დადგა და თვითონაც დაძაბუნდა.

— არ წახდე, ბიჭო, არ მესროლო!—ესლა მოასწრო აცაცახებულმა.

— უნდა გესროლო! გაიღე ხელი თუ ვაქცავი ხარ!

შერვაშიძე გაღენჩებული იჯდა ცხენზე და მოძრაობას ვერ ახერხებდა — ეს ერთი მაპატე და ამიერიდან ჩემისთანა მფარველი არ გვეოლებო საქართველოში. ნოდარი დამიფიცებია... სიტყვას გაძლევ. ამოიღო ხმა შერვაშიძემ.

— არა, გავსწორდეთ!—კვლავ დასკვივლა კასრადემ და მაუზერი გულში უსწორა.

— არ წახდე ბიჭო, არ მესროლო!—იღრიალა შერვაშიძემ და ორივე ხელი მაღლა ასწია.

მძიმე იყო და გულშემზარავი ეს წუთები. ერთი წამიც და ყველაფერი უნდა გათავებულყო.

კასრადე შედგა. ცხენიდან შერვაშიძეს საყვლოში წედა, თვალში ჩახედა და ერთი მაგრა წაუბილიკა, თან დააყოლა: „ერთი კრინტი კიდევ რეგოლუციონერთა დაბეზღების შესახებ და გათავდა! შენ კი იცი, რომ მე პროპაგანდისტობაზე უკეთესი სროლა ვიცი... და „დახეთქება“.

— ვიცი. მაპატიე. დღეიდან თქვენი ორგანიზაციის მფარველი და ხელის შემწყობი ვიქნები.

და გულში ასე გაიფიქრა: „საშველი არ მაქვს თუ ამ ხალხთან მეგობრულ ურთიერთობაში არ დავრჩი. ეს ხალხი არ ხუმრობს. სიცოხცლე ყველაფერზე ტკბილია და ძვირფასი. მეორედ მოსვლა არავის უწერია. ამიტომ: გაძვერი და გამოძვერი ყველას თავი დაუკარ და სალამი მიეცი.

ყველას რაღაცას გამოჩენები კაი სიტყვითა და თავდაბლობით; ამ ორ დღეს ხელს მოითბობდა ტკბილად იცხოვრებ. ჯიუტობა რა საჭიროა! შეგიძახებენ—გაილტურსე, ძალა დაინახო—დაემორჩილე. როცა თავი ძლიერად იგრძნო, თვითონ შეუძ. ხე და დაიმორჩილე. ცხოვრება ზღვის ტალღებია. მუდამ მშფოთარე და დაუწყნარებელი. ლეღვას უნდა დაუმორჩილდე. ტალღებს მიჰყე და გადასცურავ. გაჯიქებით ცხოვრებას ვერ მოსკამ. გაჯიქებულს არავინ არაფერს დაგითმობს და მტერს კი უამრავს გაიჩენ. დაღუპვა არ აგცდება. გაძვერ-გამოძვერი კი შეარდი და ამ ორი დღის ცხოვრებას ერბოსავით შეირგებ. ვისაც მომავალი სწამს, მას შეარგოს მისმა გამწენმა. მე დღევანდელი კვერცხი მიჩინებია ზვალინდელ სოციალიზმს. სოციალიზმი მე არ მესმის. არც თავს ვიტყიებ საცემბირო და საკატორლო საქმისათვის. ქვეყანა უნდოა და უპირო, ორმა თუ რაიმე იცის, ის უკვე საიდუმლო აღარ არის ამათ რა გამოეპარება! შეძებრის ყნოსვა აქვთ და არწივის თვალები, დღეს შევარდნამქს ძლივს გადაურჩი, ახლა კასრადე ამეკვიატა, ვინ იცის ლადარიამ რა შეაკირს გადაგვიდოს“.

— გაპატიებ, —დაუშვი დაბლა მაუზერი კასრადემ და მძიმედ ამოისუნთქა.

— ეხლა რაც სურებში ამბები დატრიალდება, შენი წყალობა უფროავინემ პოლიციის თავგასულობისა მაგრამ...

მაგრამ ეცადე მომავლით გამოისყიდო, გამდიდრებაზე ნულარ ოცნებობთ. კი შეარდი დღეს ხვალ ყველაფერი წაილეკება და გული უფრო გეტკინება ბევრის დამკარგავს. იბრუნე პირი. ხალხს დაუახლოვდი, ხალხს. ხალხისა და ახალთაობის წინააღმდეგ ბრძოლა, ცეცხლთან თამაშს უდრის... იცი, ცეცხლთან თამაშს!

— მჯერა. თქვენ აღარ ხუმრობთ. მაგრამ იცოდეთ—შერვაშიძემ ხმა დაიდაბლა და პირველად თავის ცხოვრებაში საკუთარი სისხლის ხალხს უღალატა. მათი საიდუმლოება გაიმეტა—სურებიდან ცუდი ცნობებია წასული, ყაზახებს ელოდებიან და ეცადეთ მარჯვედ დაუხვედო მოსალოდნელ უბედურებას.

— ყახახებს?— გაიკვირვა კასრამემ, მაგრამ უმაღლესი უფლებილი გაითვალისწინა და გული სიხარულით აფესო. — ერთს არ გამოვეშვებდი ტოტალს სურებიდან. ოცი ბიჭით დივიზიას გაევანდგურებთ.

გაითვალისწინა  
გაითვალისწინა

### ჩუმი საუბარი

შერვაშიძე რომ სოფელში გაემგზავრა, ხალამპრე მიკიტანმა ჩვეულებრივზე აღრე დაჭკეტა დუქანი, ყაფაზები შიგნიდან გამოიხურა, ივანშმა და სიკოიას უთხრა, დაიძინო.

სიკოია სიხარულით ცას დაეწია, ძილმოკლებულმა და ხანგძლივი მუშაობით დაქანცულმა ფიცხლავ ვაშალა ლოგინი დუქნის უკან ფარღალა ოთახში, სადაც ქარი თავისუფლად დათარეშობდა და ჩქარა უდარდელი ხვრიწვა ამოუშვა.

ხალამპრე მიკიტანი იჯდა დახლში და საანგარიშო ჩოტზე სანისიო წიგნის ფურცლებს აჯამებდა, თან გამვლელთა ფეხის ხმას აყურადებდა.

სოფელს რახანია ეძინა.

კარვებში სინათლე ჩამქრალი იყო, ხალამპრე კი ისევე აჩხაკუნებდა საანგარიშო ჩოტს, აჩხაკუნებდა და მიიმედ ამტუნარებდა.

ვიღამაც კარზე მოაკაკუნა.

სიკოიამ ხმაურობაზე უური სცქვიტა, გაიზნორა, მაგრამ თავი ისევე მოიმძინარა. „ვაი თუ ვინმე ოხერი შემოვიდეს, ღვინო მოითხოვოს და ძლივს გათბარ ლოგინიდან წამომაგდონო“— გაიფიქრა ზედმეტი მუშაობით თავგაბებრებულმა სიკოიამ. — „დღეს მელირსა აღრე დაძინება და ეხლაც რომ წამამწარონ...“ მაგრამ სიკოიას მოლოდინი არ გამართლდა.

ხალამპრემ კარი ფრთხილად გააღო და დუქანში ვიღაც თავშეხვეულებს შემოუძღვა. სიკოიამ ქუჭრუტანში გაიჭყრიტა და ლამპის პირდაპირ მუდომი ირაკლი გვარამაძე იცნო, სხეებსაც დააკვირდა, მაგრამ ამოღო.

— ბიჭს ხომ სძინავს?— იკითხა გვარამაძემ.

— სძინავს,

სიკოია სმენად გადაიქცა. თავი კედელს მიაყრდნო, ცალი თვალი ქუჭრუტანას უსწორა სტუმარმასპინძლის საიდუმლო ამბავს მიაყურადა. ხალამპრემ სუფრაც ვაშალა თითო ქიქა ღვინოც გადაჭკრეს და ისევე წყნარი ჩურჩული გააბეს.

ხალამპრე მიკიტანი ხშირად იშვერდა ხელს კარისკენ და შემდეგ რაღაც ხმამალა უამბობდა სტუმრებს, მაგრამ ისე ჩუმად იყო ეს საუბარი, რომ სიკოიამ ერთი სიტყვაც ვერ გაარჩია.

თავშეხვეულნი ჩქარა წამოიშალენ და წავიდნენ.

ხალამპრემ სამიკიტნოს კარი მაგრად გადაჭკეტა, სინათლე ჩააქრო და თვითონაც დაიძინა.

არ ვასულა ერთი საათი, დუქნის ეზოში ხმაურობა და ჩურჩული განმეორდა.

— სიკოია გძინავს?— გასძახა ხალამპრემ სიკოიას.

— გააღე კარი!—გაისმა გარედან და ატყდა ძლიერი ხმაფრობა.

სიკოია ჯერ დაფრთხა, კანკალი დააწყებინა, მაგრამ შემდეგ განიქცა: „იქნება აქ რაღე ოინი იყოსო, გული რაზე გაეიხეთქო“ და სწორედან წამოიწია.

— სიკოია, მიშველე ბიჭო!—აღმოხდა ხალამპრე მიკიტანის და სწორედ ამ დროს განის კარზე მომხდურებმა რალაცა დაადგერეს, კარი ჩამოაგდეს და დუქანში შემოცვივდნენ.

— ვაიმე ცოლო და შვილო!—აღრიალდა ხალამპრე მიკიტანი და დუქანში შეიქნა გაურკვეველი ჩორჩქოლი და ხმაურობა.

დილით ხალამპრეს დუქნის წინ ხალხი ირეოდა. ყველა განის კარს ათვალიერებდნენ. კოჭყურებს სინჯავდნენ კარის ძალიად ჩამოგდემას იდასტურებდნენ.

— ძალითაა შემტვრეული.

— ჩამოგდებულა.

— გარედან არის შეხეთქილი.

— კი, მაგრამ ეძინა ხალამპრეს თუ...—იკითხა ქაიხოსრო ბარამიძემ, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა მომხდარ ამბავს.

— კი არ ეძინა, მაგრამ რას გახდებოდა... ბარე სამნი ყოფილიყვენ.

მამასახლისი ამ დროს ხალამპრეს ჩვენებას ართმევდა. მწერალი ოქმს აყენებდა და წვრილი, ლობიოს მარცვლის ტოლა თვალეზით ხალამპრეს ხელში შეყურებდა.

ოქმი შეაყენეს.

— ოქმი უშველის ჩემს მშვიერ ცოლშვილს?!—დაიქყანა ხალამპრე მიკიტანი და თვალეზი ცრემლებით ამოვესო.

— რა ვქნა ჩემო მამო... შექმულ და დაკარგულს რალა ეშველებო. დღეს კიდევ ველოდოთ და თუ ვერაფერი გამოვარკვეით, მოვასვენოთ ლომის კარელი და დაეფიცოდ ხატზე დიდი და პატარა. ასე აჯობებს.—დაასრულა მამასახლისმა ხალამპრესთან საუბარი და ფეხზე წამოდგა.

— ლომის კარელი უშველის ჩემს დაღუპულ საქმეს?

ყველამ განცვიფრებული თვალით გადახედა ღვთის მოშივარ მიკიტანს.

— ლომისკარელს შველაც კი შეუძლია და დასჯაც, ნუ გენიღვლება, —ქარაგმით უპასუხა ხალამპრეს ქაიხოსრო ბარამიძემ.

—თუ სიმართლე გაქვს, არ დაგეკარგება—დაუმატა რომელიღაც ხანშესულმა და ლომისკარელის უდიერ ხსენებაზე პიჯვარი გამოისახა.—დიდია მისი ძალა და დიდება, დაილოცა მისი სამართალი!

— ამაზე მეტი სიმართლე რალა იქნება!.. ლუკმა ხელიდან გამოშტაცეს, ხუთი თვის თავნაყარი გროშები წამართვეს. ახლუქუნდა ხალამპრე მიკიტანი და ხალხში შეიქნა ჩუმი ჩორჩქოლი და ზოგჯერ მიკიტანის შეცოდებაც.

ყველა შეწუხდა დუქნის გატეხის ამბვის შეტყობაზე. ყველაზე მეტი მოწყენილობა ლადარიას დაეტყო.

„შარს მოგვდებენ. თავდასხმას ორგანიზაციას დააბრალებენ და მერე რა დროს!“—უწუხდნენ კომიტეტის სხვა წევრებიც.

— შევარდნაძე სად იყო წუხელ თუ იცი? — იკითხა ლადარიამ, რომელიც მიუხედავად იმისა რომ დიდი ნდობით უყურებდა შევარდნაძესა და მის რაზმს პირადად შევარდნაძეზე მაინც ეჭვი ეპარებოდა, — ხელს ვერ ვაქროსო“ იტყოდა ხოლმე ხშირად.

— შევარდნაძე ჩემსას იწეა? — არ დააყოვნა ტოროტაძემ.

— გოჩაც?

— გოჩაცა და სხვებიც.

— ამა რაცხა მამაძალლობაა, იცოდეთ. სერგო სად არის?

— სერგო წუხელი სოფელში წავიდა.

— სოფელში? — უთოდ რალაც ამბავია. დუქნის გატეხა ან მოგონილია, ან კადევ... კარს ეტყობა, რომ „ზაკაზად“ არის გატეხილი. კოქქურები ნაძალადეზად გადაღრეცილი და მოგლეჯილი.

— ვნახოთ რა გამოირკვევა.

— არ იცი რა უბდა გამოარკვევის ლომისკარელმა?

— ლომისკარელი?!

— ყველა დამუნჯდა ლომისკარელის ხსენებაზე. გულში კი თითქმის ყველამ ერთხმად გაიფიქრა: „განა დრო არ არის ლომისკარელის გაჭრობისა და განადგურების“?

გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში

## ლექსები ოქტომბერზე

1

ეს მეხუთმეტე  
წელიწადია,  
რაც ახალ-ახალ  
მწვერვალებს ვიპყრობთ;  
მეც სიმღერები  
ისე მწაღია,  
რომ იგრძნოს ყველამ  
რასაცა ვფიქრობ!  
ჩვენს მიღწევებში  
ბრმებიც დარწმუნდენ,  
ამას აშკარად  
მტრებიც ამბობენ,  
ზოგნი კი  
ისე გამაიმუნდენ,  
რომ სარკეშიაც  
თავის თავს ვერ სცნობენ!  
ან კი ამ დიად  
გამოფენაზე  
რა აღგილი აქვს  
ტელმანს და ნავაეს;  
ვინც განგებ იღებს  
კლიტეს ენაზე,  
ის მეტყველებას  
მართლა დაჰკარგავს!  
ჩვენ კი, ვისთვისაც  
ჭვირფასი არი  
ეს მეხუთმეტე  
წელთა აღრიცხვა,—

ვმეყოთ:

ბრძოლები  
კიდევ წინ არი!—  
სუსტთა და შერყევთ  
ზიზღი და კიცხვა!



2

კომუნისმის  
წითელ დროშით  
მოდის,  
ნოქტურის  
ოქტომბერი  
და მსოფლიოს  
შიშის ზარს ჰკვრის  
მისი წინსვლა,  
მისი ფერი!  
კაპიტალიზმს  
კრიზისი ღრღინის,  
უმუშევრებს  
სულს ხდის  
ჰუგუდავს:  
ქარხნები თუ  
ფაბრიკები  
უმოქმედოთ  
დგანან ცუდათ.  
და დღეს,  
როცა ზემს იხდის  
უძლეველი  
ოქტომბერი,—  
ეგროპა იქ  
ებრძვის სიკვდილს,  
უკურნებელ  
მძიმე სენით.  
თუმც სიცოცხლე  
ბებრუბანას  
ისე სწყურის,  
ისე უნდა,  
როგორც სისხლი მუშებისა,  
სვავივით რომ  
სწოვდა მუდამ,  
შავრამ მაინც  
ვერ იცოცხლებს



ფეხი ისე გაღებრუნდა,  
მეც ამიტომ მოგიწოდებთ:  
მიაყარეთ ქეა და გუნდა!  
„დოსტაქრებო“,

ამაოა:

თქვენი ზრუნვა,  
თქვენი ხელი;  
მაგ მომაკვდავ  
ბებერ ქოფაკს  
ველარაფრით  
ვერ უშველით.  
და რომ გაბრწნით  
არ მოსწამლოს

ეს წყალი და  
ეს ჰაერი,—  
დაუბრუნეთ  
ისევ მიწას,  
მიწამ სკამოს  
მიწის მტვერი.

თქვენც მუშებო,  
ყველა ქვეყნის  
ყველა ტომის,  
ყველა ერის,—  
სამარისკენ გააქანეთ  
ხარხარით და  
მხნე სიმღერით.

3

ვაშა, საბჭოთა  
შრომის გმირებს,  
ვაშა ოქტომბერს,  
მეორე ხუთწლეულს  
ტემბებით რომ ანხორციელებს.  
ვაშა ხეღეთის  
მეექვსედი ნაწილის მფლობელს,  
ვაშა კომინტერნს  
და მის დროშის,  
მედგარ დამცველებს!

იგი ზეიმობს  
ძლევაშოსილ  
გარდახდილ ბრძოლებს



და ახალ-ახალ  
გამარჯვებებს ითვალისწინებს,  
ამსხვრევს ციხეებს,  
და მონობის ბორკილთა რგოლებს,  
ანთავისუფლებს ჩაგრულებს და  
წინ მიუყენებს!



დაბრკოლებათა გადალახა  
კლდენი და ღრენი,  
წითელი დროშით  
ომის ცეცხლი გამოიარა,  
შემესრა ყველა ყვაე-ყორნები  
ყრაწყრაშით მფრენი  
და საბოლოო ბრძოლებისთვის  
ლესავს იარაღს!

ვაპქრა რუსეთის  
ენდარმული შავბრელი ხანა,  
რომანოვების დინასტიის  
ტახტი დაეცა;  
იშვა საბჭოთა  
საკავშირო შრომის ქვეყანა,  
სადაც წითელი ვარსკვლავებით  
ქათქათებს ზეცა!

და ვფიცავთ ლენინს,  
რომლის დროშას  
მტკიცედ ვატარებთ,  
რომლის მემკვიდრე  
თვით სტალინიც  
გმირობას გვმატებს,—  
ვიბრძოლებთ,  
ვიდრე მსოფლიოზე  
არ დაეამყარებთ  
მუშურ და გლეხურ  
შეერთებულ საბჭოთა შტატებს.



# შერილი ჩისკუბლიკას ჩემი მიგობრისაგან

აგებ საძირკველს, აგყავს კედელი,  
მატარებლებით მიაპობ წყვედიადს.  
ყოველ ქეშმარიტ და ნაღდ სიტყვაზე  
შენ მიპასუხებ თანხმობით—„დიახ!“

შენ მაპატიე მე შეცდომები—  
წარსულს ჩაბარდა სევდა, წუხილი.  
ამიღე, გადამაკეთე  
და წინ გამტყორცნე ქეჟა-ქუხილით.

შენი ძვალისა და შენი რბილის  
მე ვარ ნამდვილი შთამომავალი.  
შენც მაპატიე—თუ სიცოცხლეში  
არეგ-დარეგა მქონდა მრავალი.

გატენე ჩემი ტვინი ბრძანებით,  
პირი ამივსე ქარის ხმაურით.  
ამიღე, გადამაკეთე  
და წინ დამძარი აურ-ზაურით.

მე შენს საწოლში ხშირად შეძინა—  
გადახურული თოვლით და ნისლით.  
არის დაღვრილი შენს დიდ ველებზე  
ჩემი ყრმა სისხლი.

ბრძოლაში მე არ დავიგვიანებ,  
ჩავდგები რიგში გულის ბღღვიალით.  
მაშ ამიღე და გადამაკეთე,  
და წინ გამტყორცნე გრგვინვის გრიალით!

ჩემისთანები თავგამეტებით  
იღუპებოდნენ ბლომად და ბლომად.  
მე შენს გაზეთებს, სკოლებს და კლუბებს  
კვებავდი ჩემი საკუთარ შრომით.

ჩემისთანებმა ქარხანა, დეპო  
მაღლა ასწიეს შრომის დუღილით.  
ამიღე გადამაკეთე  
და წინ გამტყორცნე ქეჟა-ქუხილით!

ათანაბრებდნენ დღესა და ღამეს  
ჩემისთანები ციფერების თვლაში,  
ველარ იჩენდნენ საკმაო ძალას—  
შენ მათი შველა შეგეძლო მაშინ.



შენით ვინც არი ძლიერი—  
 შრომობს,  
 ვისაც შენ სტოვებ—  
 მოკვდება მალე.  
 შენივე ხელით გადამაკეთე  
 და წინ დამძარი, ამაგრიალე.  
 ვუძლოდი შე შენს ექსპედიციებს,  
 შენს რეტორტებთან ვიდექ პირველი.  
 მე ვასრულებდი ჩემს სამუშაოს  
 არც ისე მარჯვე და საკვირველი.  
 შენ თეიდან—თვემდე აშენებ შედგრად,  
 მუდამ გამტკიცებს წელთა ტრიალი.  
 ხელი ჩამკიდე, გადამაკეთე  
 და წინ დამძარი გრავინვის გრიალით!  
 და შე კვალ-და-კვალ შენ მოგყვებოდი  
 ოჯახის ბარგით, ერთგული, წრფელი.  
 დედა და ცოლი—და ჩემი დები  
 შენს საცვლებს რეცხდნენ თავისი ხელით.  
 მე ბინის ქირა დაეწყევლე ურჩი,  
 მე წყალსადენის დავგმე უღელი.  
 ამილე, გადამაკეთე  
 და წინ გამტყორცნე კეკა-ქუხილით.  
 მე ძლივს ვეციმციმებ შინარე ცეცხლად,  
 და ძლივს გამომოყავს ლექსის სტრიქონი.  
 და იმისათვის, რომ გაეხდი ცივი  
 შენც მაპატიე. შენც გამოგონე!  
 იზრდება შენი აღმშენებლობა  
 და მეც მომიწევს რიგი ხმაურით.  
 ჩამკიდე ხელი გადამაკეთე  
 და წინ დამძარი აურ-ზაურით.  
 სამი თაობა ძველი კულტურის,  
 და კიდევ სევდის სამი თაობა,  
 ყოფნის, წიგნების, ადამიანთა  
 მთლად წაკითხული სხვადასხვაობა.  
 ეს რესპუბლიკამ ხომ კარგათ იცის,  
 ის დამიძახებს ცეცხლის ალღებით:  
 ამიღებს, გადამაკეთებს  
 და წინ გამტყორცნის აგრიალებით.  
 შენ ჰქმნი საძირკველს, აგყავს კედელი,  
 მატარებლებით შიამოშ წყედვადს.  
 და პატროსან სიტყვაზე მუდამ  
 შენ მიპასუხებ თანხმობით—„ღიახ!“  
 მაშ დაიჯერე ეს ხალდი სიტყვა,  
 ეს გულის ცემა, გულის ტრიალი.  
 ამილე, გადამაკეთე  
 და წინ დამძარი გრიალით!

# პლიტუს ცხოვრების რთმანი\*

## VI. შტრასსბურგი

გაზაფხულმა ტანმრთელობა და ახალი ოცნებები მოუტანა ვოლფგანგს. ავად-მყოფობის შემდეგ განსაკუთრებით მძაფრდება სიცოცხლისადმი წყურვილი, ჰაბუკუკის გულში ამგვარი მომენტი შემოქმედებისა და ბრძოლის ენერჯიას აათქვამს. შორეულისა და ბუნდოვანისადმი ტრფიალი უსაზნოდ რიალებად მის ფანტაზიაში; ამ გრძნობას უფრო მეტად ამძაფრდება ოდნავ აღრენილი მამის ოჯახში შექმნილი მოსაწყენი ცხოვრება. ვოლფგანგი დღითი დღე ვაჟაკდებოდა, ხანდახან მამა ისევე ექცეოდა, როგორც იმ პატარა ვოლფგანგს, რომლის მისვლამოსვლას ფანჯრის თვალიდან უთვალთვალებდა ოდესღაც იგი.

ცნობილია: უნივერსიტეტებიდან შინ მობრუნებულ ახალგაზრდა სტუდენტებს დაუოკებელი ნოვატორობის კრიკინა აწუხებთ ხოლმე. ვოლფგანგმა ლაიპციგსა და დრეზდენში ყოფნისას მრავალი რამ შეიძინა ხუროთმოძღვრების დარგშია. ამ ახლად მოხვეტილ იდეების ზედგაუღენით მან კრიტიკული თვალთ დაუწყო მხერა მამისეულ სახლს.

გოეტეანთ სახლს, სხვათაშორის ერთი უხერხულობა აბასიათებდა: შემოსავალი კარიდან აღმომავალი კიბე გაუწყვეტლად გადადიოდა სართულიდან სართულზე, თანაც მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ უშველებელი არეები ეკავა ცარიელ ტალანებს. ერთ დღეს, მამასთან საუბრის დროს ვოლფგანგმა სიტყვა ჩამოაგდო: ესაო და კიბე სხვა მხრიდან გავაკეთოთ და ეს ცარიელი ტალანები ოთახებად ვაქციოთო.

მამა მეცხსეულად აენტო, ფრიად გაფიცდა და უხეზად შეაწყვეტინა სიტყვა ვოლფგანგს. კეთილი დედა და კორნელია ბევრს ეკადნენ, ამ უსიამო უთანხმოების ჩაქრობა ეწადათ, მაგრამ ვერას გახდნენ, დასასრულ ამ კონფლიქტმა უნივერსიტეტში წასვლა დააჩქარებინა ვოლფგანგს.

იგი წინადაც ფიქრობდა შტრასსბურგის უნივერსიტეტში გადასვლაზე. გერმანიაში, ოდითგანვე ასეთი წესია: სტუდენტი რამოდენიმე სემესტრის განმავლობაში ერთი საუნივერსიტეტო ქალაქიდან მეორეში გადადის, ხანაც წლობით გრძელდება ამგვარი ხეტიალი. ზოგი ამა თუ იმ პროფესორს სხვა უნივერ-

\* იხილე მნათობი № 8-9.

სიტუაში მიწვეულს თან მიჰყვება, ზოგი უკეთეს კლიმატურ პირობებს ეძებს, ზოგს ამა თუ იმ მხარის გაცნობის სურვილი ხელმძღვანელობს და სხვა.

პირადად ვოლფგანგისათვის სულ სხვა მოტივი იყო ამ შემთხვევაში. მისი მშობლები იყვნენ გერმანელი მწიგნობარი.

შტრასსბურგი ძველთაგანვე გერმანულ და ფრანგულ კულტურათა სამიჯნოზე იმყოფებოდა. გოეტემ ღრმა მიხრწნილებების წლებშიაც აღვიარა თავისი მიღრეკილება ფრანგული კულტურისადმი, ბავშვობიდანვე დიდ გავლენას ახდენდა მასზე ფრანგული ენა და ლიტერატურა, სწორედ ამიტომაც აირჩია მან შტრასსბურგი.

ფრანკფურტიდან დილიენსით შტრასსბურგს ჩაეიდა და აქ სასტუმრო „Zum Geist“-ში დაბინავდა. იმავე დღესვე ფეხით გაემართა შტრასსბურგის დიდი ტაძრის სანახავად. ეს იყო მისთვის ოდითგანვე გულში ამოჭრილი ნატვრის ახდომა. შტრასსბურგის ტაძარი გოტიკის ერთ-ერთი უმშვენიერეს ძეგლთაგანია. ჯერ კიდევ ქალაქში შემოსვლამდის მისი აღზუნებული მხერა ალტაცებული ეალერსებოდა ამ უშვილებელ, გრანტიტის მუსიკის ტალღას სატანურის ჯიქობით ცისკენ ატყორცნილს და ცაშივე გაყინულს. ამ გოლიათის პირისპირ მან აღვიარა კიდევაც: „როცა პირველად შტრასსბურგს ჩავედი, ჩემს თავში მრავალი ცნება ირეოდა ზოგადი გემოვნებისაგან ნაესხები. სიტყვა გოტიკის ქვეშ ლექსიკონურ განმარტების დარად მე ვათავსებდი ათასგვარ სინონიმურ გაუგებრობას; არა ბუნებრივობას, უაზრო დაყორებას... მაგრამ როცა ამ უზარმაზარ, თავბუქება დევს თვალი შევაღწე, ელდისაგან შევკრთი ერთბაშად. უშვილებელმა და უესარმა შთაბეჭდილებამ კიდემდის ამივსო სული, ვინაიდან იგი შემდგარი იყო მრავალი ათასი ერთეულისაგან, ყოველი მათგანით დატკობა, ყოველი მათგანისაგან ალტაცება ჩემს ხელში იყო, მაგრამ მათი შეცნობა და განმარტება—ყოველად შეუძლებელი აღმოჩნდა“.

ეს ტაძარი გერმანელი ოსტატის ანაგებია. იმ დროს ელზასი პოლიტიკურად საფრანგეთის ხელში იყო, მაგრამ ეს „დატყვევებული“ გოლიათი ისე ურყევად და მტკიცედ იდგა სხვის ქვეყანაში, როგორც ლეგენდარული დევი, ჰონდრის კაცების ბანაკში.

გოეტეს თვალი მუდამ დაუცხრომლად ნადირობდა სანახაობაზე, ყოველი დიდი ხროთმოძღვრული ქმნილების დანახვისას მისი უპირველესი სურვილი იყო: ზედ ასულიყო და იქიდან შორეული სანახები მიმოეხილა. ტაძრის პლატფორმაზე ავიდა მყისვე. შტრასსბურგქალაქის ნაგებობანი და მისი მწვეანში ჩაფლული სანახები გადაეშალა თვალწინ, რაინისა და ილდერის წალკოტოვანი ნაპირები მიმოიხილა ეოლფგანგმა, შორეულ ნისლის გვირისტებით კიდეშემკული ტყეები, მშვიდად მთვლემარე ველები და კორდები. ელზასის წკანწკარა რუები ვერცხლის თასმებად ევლებოდნენ მინდვრებს და წალკოტებს.

\* \*

პატარა ბინა მოსძებნა მეთევზეთა ბაზრის მახლობლად, სარეკომენდაციო ბარათები გადასცა დანიშნულებისამებრ. შტრასსბურგში უნდა მიეხდინა ვოლფ-

განგს თავისი სალოტორო პკომოცია. გერმანელ სტუდენტობის წევრებისა-  
მებრ სუფრის შეინახეები მოსტებნა. მათ ასეთი წესი აქეთ: განსაზღვრულ რეს-  
ტორანში, განსაზღვრულ საათზე ურთიერთს ხედებიან ამხანაგებედა უკრთად  
სადილობენ. ვოლფგანგის სუფრის შეინახენი სამკურნალო ფაქტორებისა და  
ტემბი აღმოაღწენ, ამიტომაც მუდამ მედიცინაზე ბაასობდნენ.

1770 წელს ავსტრიიდან შტრასსბურგზე გამოიარა მარია ანტუანეტამ,  
ავსტრიის ერც პერცოვის ასულმა და საფრანგეთის დედოფალმა. მის ჩამოსვლამ-  
დის შტრასსბურგის ორივე ხილს შორის უშველებელი ფანჩატურები ააგებინა  
და ელჩები დაახვედრა მისმა საქმრომ ლუამ ვოლფგანგი უკანასკნელი სტუდენ-  
ტური გროშებით იქრთამავდა მეკარეებს რათა ამ ფანჩატურების კედლებზე  
აკრული ოკრომკედით ნაქსოვი აბრეშუმის შპალერი დაეთვალიერებინა, იგი  
აღტაცებაში მოიყვანა რაფაელის კარტონების მისგავსებით გაკეთებულმა ნო-  
ხებმა. ვოლფგანგი ყოველდღე შემოიბარებოდა ხოლმე ამ ფანჩატურებში და  
მზერით ველარ გამძღარიყო. ძლიერ მოსწონდა მას პატარა დარბაზების მორ-  
თულობა, ხოლო მთავარი დარბაზი პირველ ხანებში ამაზრცენ შთაბე დილემას  
ახდენდა მასზე, მთელი დარბაზი უახლოესი ფრანგი მხატვრების ნამუშევრების  
მიხედვით მოქარგულ პოტელისებით იყო მორთული. ამ სურათებში გადმოცე-  
მული იყო იაზონ და მედეას ისტორია. უბედური ქორწინების ილლაუსტრაცია.  
ტაბტის მხარშარტხნით სულთმობრძავი საცოლე იყო დახატული, ხოლო მხარ-  
მარჯვნივ დახოცილ შვილებზე აქვითინებული მამა. ვოლფგანგის მესხიერებაში  
სამუდამოდ აღიბეჭდა მინის სარკმლიან კარეტაში მჯდარი მომცინარე მარია  
ანტუანეტას სახე. მან ისეთი შთაბეჭდილება მიიღო: მარია ანტუანეტა დასცი-  
ნოდა ქუჩებზე მოზინშივე ხალხს. შტრასსბურგის გუშმათი ანთებული კვარებით  
იყო გაჩირალდნებული. ქალაქში დედოფლის შემოსვლამდის პოლიციამ ზომები მი-  
იღო არც ერთი მახინჯი, მითხოვარი, ან ლატაკი ვინმე დედოფალს არ მოსჩვენებოდა  
და სახეიმო განწყობილება არ წაეხდინათ მისთვის. ამ ამბის გამო ქალაქში მრავა-  
ლი ანგდოტი ითქვა, ხოლო ვოლფგანგს სახუმარო ზმა შეთხზა: ქრისტე და  
საფრანგეთის დედოფალი დაუბირდაპირა რატომღაც ურთიერთს. ამ ლექსში აღ-  
ნიშნული იყო: თუ ქრისტე გლახაკებს და დაერლომილებს აღერსიანად ეგებე-  
ბოდა, სამაგიეროდ საფრანგეთის დედოფალი მათთვის უბრალო შეხედვასაც  
არ იმეტებსო.

ერთი ფრანგი სტუდენტი ფრიად გააბრაზა „უცნობი პოეტის“ ამგვარმა  
„თახედობამ“, ლექსის მეტრი და ენა დაუწუნა ავტორს და ამის შემდეგ ვოლ-  
ფგანგს ფრანგულად არაფერი დაუწერია.

მარია ანტუანეტამ პარიზს მიაღწია და შტრასსბურგში ამბავი მოვიდა:  
საქორწინო ზეიმის დროს პარიზში, პოლიციის დაუდევრობის წყალობით, ერთ  
ქუჩაზე რამოდენიმე ათასი ადამიანი დამწვარაო. ახლად უჯვარდაწერილ სეფე-  
წულებს და მთელს ქვეყანას ეს დაუმალა კიდევაც საფრანგეთის მთავრობამ.

ვოლფგანგსა და მის ლაიპციგელ მეგობრებს ზნედა სჭირდათ: ძლიერ მოს-  
წონდათ, ურთიერთის მისტიფიკაცია. ამ მიზნით ვოლფგანგმა ამ ხანებში შტრას-  
სბურგიდან მისწერა ერთ თავის მეგობარს ფრანკფურტში: ვერსალში ვიშყოფები  
და აქაურ ზეიმში მონაწილეობას ვლტებულობო, თანაც სთხოვდა ეს ამბავი არა-

ვის გაუმხილოო. შემდეგ ამისა ვოლფგანგი ელზასის ერთერთ დაბაში დასასვენებლად წავიდა და ნახევარი თვე იქ დარჩა. პარიზში მომხდარ უხედავების ამბავმა ფრანკფურტშიაც მოაღწია. ვოლფგანგის მეგობარმა *კრისტოფან ჟუჯახს* შეატყობინა: ვოლფგანგი პარიზშია და ვაჟ თუ იგიც კატასტროფის მსხვერპლი გახდაო. შშობლები დაფრთხნენ. ვოლფგანგი ძლიერ დააღონა თავისიანების ეგზომ შეშფოთებამ და გადასწყვეტა ასეთ ოინებზე სამუდამოდ აელო ხელი. მაგრამ მაინც თავს იმართლებდა: „ნამდვილი ცხოვრება ხან და ხან ისე ხუნდება, რომ ჯამიდანამაშე მას მისტიფიკაციით და სიცრუით გადახალისება ესაჭიროებაო“.

ვოლფგანგს შტრასბურგის საზოგადოებაში ერთგვარ მენტროზას უწევდა ვინმე ზალცმანი. ზალცმანი აცნობდა მას შტრასსბურგელ ოჯახებს, ხანდახან ვისტს თამაშობდნენ. შტრასსბურგის მოქალაქეთა ცოლები და ქალიშვილები ჯერ კიდევ ძველებურ გერმანულ კაბებს ატარებდნენ, გრძელი ნაწნავები ქალის ღირსებად ითვლებოდა, მაღალის წრის ქალები პარიზულ მოდაზე ირთვებოდნენ, გრძელშლიფიან კაბებს იცვამდნენ.

ვოლფგანგს მშვენიერი თმები ჰქონდა, მაგრამ შტრასსბურგელი პარიკმახერები დაეინებით ურჩევდნენ, რაკი თმები ჯერ კიდევ საკმაოდ მოკლეა, უთუოდ პარიკი უნდა გაიკეთოო, რადგან იმ დროს უპარიკოდ შეუძლებელი იყო საზოგადოებაში გამოჩენა. ვოლფგანგი დიდხანს ჯიუტობდა, მაგრამ პარიკმახერი არწმუნებდა: ისეთს პარიკს გაგიკეთებთ, თქვენივე საკუთარი თმებისაგან ვერაფერს გაარჩიოო. ზოგიერთი ქირი მართლაც მარგებელია და პარიკის გაკეთებამ ვოლფგანგის დადინჯებას ხელი შეუწყო. დილიდანვე გაბუდრული უნდა ყოფილიყო, ფეცხელსა და ტემპერამენტთან მოძრაობას უნდა მორიდებოდა, რათა გაოფლიანებული პარიკს არ შეეწუხებინა და საიდუმლო არ გამოაშკარავებუ-ლიყო. დინჯად უნდა ეარნა. მოდისამებრ ქუდი ილლის ქვეშ უნდა ეტარებინა.

გარდა ამისა, ვოლფგანგი აძულებული იყო მაღალყელიან წინდებს ზემოდ ტყავის გამაშები ეტარებინა, რადგან შტრასსბურგელ მოქალაქეებს რაინის კოლოები ფრიად აწუხებდნენ.

რაკი თავის საუკუნეში გაბატონებული მოდა სხეულის ფეცხელ მოძრაობას უკრძალავდა ვოლფგანგს, დაგუბებული ენერჯია ლაპარაკში პოულობდა გამოსავალს, სიჭაბუკეში იგი ფრიად ბევრს ლაპარაკობდა, უყვარდა საუბარი და თხრობა.

ბუნებით კეთილ ვოლფგანგისათვის უცნობი იყო შურაინობა და ყოველი ადამიანის დაწინაურებას იგი შუბლგახსნილი ეგებებოდა, ამიტომაც იგი ყველგან პატივისცემას და სიყვარულს იხეჟქდა. ზალცმანის ინიციატივით შედგენილი სუფრის შეინახეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. იმ ხანებში გაეცნო ვოლფგანგი ერთ ფრიად საამურ ახალგაზრდას—იუნგ სტილინგს.

იუნგ სტილინგი ძველებურ მოდაზე იცვამდა, ხანდახან ფრიად დიდ უხეშობას იჩენდა, ხანაც ფრიად ნაზ ბუნებას ამქვავებდა. ნელი და ტკბილი ხმა ჰქონდა იუნგ სტილინგს, ჯამიდანამაშე, როცა იგი გაფიცხდებოდა, ან პათოსით ლაპარაკობდა, მისი ხმა ფოლადის დარად აწკრილდებოდა. საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა იუნგ სტილინგს. იგი მენახშირე უნდა გამოსულიყო, ერთბაშად

გეზი იცვალა და მეგრული გახდა. გაიტაცა წიგნების კითხვამ და თორნიანსწავლამ, ისევე შეიცვალა პროფესია და მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი. ერთხელაც ბედმა უმტყუნა, მასწავლებლობა ველარ შესძლო, ისევე ხელობას დასწავლდა, იშრომა, იბრძოლა, იტანჯა, ისევე შეამოიწია, როგორც იქნა შინაური მასწავლებლის ადგილი იშოვნა. ტანჯვა აკეთილშობილებს ადამიანს, და იუნგ სტილინგი ფრიად კეთილშობილი აღნაგობის ადამიანი დადვა. იუნგ სტილინგს უყვარდა მეგობრებისათვის განვლილთა გულსიჭირთა თხრობა. ნათხრობი საამური იყო მოსასმენად და ვოლფგანგიც დაჟინებით სთხოვდა: დაეწერა თავისი ცხოვრების ამბები. საერთოდ მთელი მისი არსება და ბუნება ძლიერ მოაგონებდა ვოლფგანგს მთვარეულს. იგი ფრიად შორცხვი იყო, მუდამ თავმოდრეკილი, ცხოვრების სიმწარეს ოდნავ მოეთენთა იუნგ სტილინგ, ოდნავ გაეტება მისი ჯანი და სულიერი სიზნევე და ამიტომაც „რწმენა მისი იქვს ველარ ითმენდა, ხოლო იდეები მისი დაცინვას ველარ იტანდნენ“. ასეთ შემთხვევაში ვოლფგანგი მუდამ გულხშიერად ექცეოდა მეგობარს და ამიტომაც იუნგ სტილინგ განსაკუთრებულს სინაზით მიეყვავილა მას. ალბად განვლილი ცხოვრების სიდუხჭირემ საბოლოოდ მოსტება ბუნებრივი აქტუალობა მის ხასიათში და ამიტომაც რელიგიურ ჰერეტას მიეცა იუნგ სტილინგ, მაგრამ მისი რელიგიურობა უალრესი მიამიტობითა და ჟამიდანეთაშე ჰირწმინდად ბალღური გულუბრყვილობით იყო შეფერილი.

სისადავეს მისსას, შეურყენელსა და სპეტაკ ბუნებას ალტაცებაში მოჰყავდა ვოლფგანგი და ამიტომაც მუდამ ერიდებოდა მასთან შეკამათებას, არც კი სცდილობდა რაიმე ზეგავლენა მოეხდინა მასზე, ან აზრი რაიმე შეეცვლევინებინა მისთვის. ასეთივე გულხშიერებით ექცეოდა ზალცმანიც იუნგ სტილინგს.

შტრასსბურგელი მეინახეთა შორის ვოლფგანგის ყურადღებას იქცევდა ლერზეც, შეზღუდული, თავმდაბალი, ზომიერი ახალგაზრდა. ლერზე ტიპიური წარმომადგენელია იმ საშუალოობისა, რომელიც არსებითად გერმანული ბეჯითი და მუყაითი ბაჟურგერობის ზედსაყრდენია. ამ საშუალოობის ზურგზე გადადის ცხოვრების უმძიმესი ტვირთი, იგი უფანტაზიოა და შრომის მოყვარე, გაქანება და აღმაფრენა აკლია, მაგრამ იგი ძლიერია თავისი შეზღუდულობისა და სიწიროვის წყალობით. ლერზე ღარიბი იყო. მუდამ ერთი და იგივე კოსტიუმი ეცვა, ერთსა და იმავე ჰალსტუხს ტარებდა, მაგრამ ძლიერ უფრთხილდებოდა ტანისამოსს, რადგან ამგვარ ადამიანებს სჯერათ: არსად ისე აშკარად არ შეღავნდება ადამიანის შინაგანი ბუნება, როგორც მის ჩაცმულობაში.

ლერზე არასოდეს იდაყვს არ დააბჯენდა მაგიდაზე, არც თუ რაიმეს მიეყრდნობოდა, რადგან დაქანცულობა აროდეს მიიყვანდა თავდავიწყებამდის, საერთოდ თავდავიწყება უცნობი იყო მისთვის. ლერზე მუდამ ზომიერად ლაპარაკობდა, ზომიერად სჭამდა, ზომიერად ეძინა მას, რადგან თავად ფრიად განზომილი კაცი იყო. ასეთივე ზომიერება და პედანტური სისუფთავე დამყარებული იყო მის ბინაზედაც; უმცირესი მტერიც რომ სადმე შეენიშნა, მოსამსახურეს საყვედურით აიკლებდა. ლერზე მუდამ გულმოდგინედ ლაპარაკობდა, ცოტას, მაგრამ მკაფიოდ, მშრალად მაგრამ ზუსტად. მსუბუქი ირონია თან ახლდა მის საუბარსა და სიტყვა-პასუხს.



აღნაგობით ტანწყობილი იყო, ჩოფურა და ვულგარული სახე ჰქონდა, ისეთი სახე, რომლისთვისაც გენიას კონცის ნატერფალი აროდეს აღსაბეჭდავს, ისრიმის ფერი და ისრიმივით მძაფრი თვალები ჰქონდა. ფარცველებს ხაჭაპურში პირველი იყო, „ფეტხმაისტერს“ უწოდებდნენ. თავად მუდამ წინასწარმანახავი ეკიდა და ფარიკაობის წესებს უალრესის პედანტობით იცავდა, ყოველგვარი ცილობის ეპოს მსაჯი იყო მიუდგომელი.

ყოველ კაცს, ოკდაოთხი საათის მანძილზე რომ გულდასმით უსმინოს დაკვირვებულმა ადამიანმა, მას ისეთი რამ წამოცდება უთუოდ, რაც საფლავის ეპიტაფიად გამოადგება ჩასვე. ლერზესაც წამოსცდა ერთხელ ასეთი აღსაჩნება: „ზეცამ მე არ მარგუნა, ამბობდა ლერზე, ომებისა და მიჯნურობის გმირი კყოფილიყავ, სამაგიეროდ მე მიჩნეული მაქვს ერთად-ერთი ადგილი ამ ცხოვრებაში: რომანების და ფარიკაობის ეპოს სეკუნდანტად ყოვნა“.

მართლაც, იგი იდეალური სეკუნდანტი იყო. გოეტემ გამოსტაცა ხელიდან დავიწყებას ლერზეს სახელი, მან სიკვარულით მოიხსენია იგი თავის ავტობიოგრაფიაში, ხოლო „გოც ფონ ბერლიხინგენში“ უქცნობი ძველი აუგო მას: ამ ქმნილების ერთ-ერთ გმირს ფრანც ლერზე უწოდა. ვოლფგანგი ისეთი საუკუნის შვილი იყო, როცა საკვირველებას ეძებდნენ იქაც, სადაც იგი მოსალოდნელიც არ იყო. იმავე საუკუნის პირმშო—ნაპოლეონ ბუონობარტე ამბობდა აქი: მე მუდამ საკვირველებას ვეძებდიო. გოეტეც მუდამეპოს საკვირველებას ეძებდა, მაგრამ იგი სცდილობდა თვალი შეეჩვია ამ საკვირველებისათვის. ახლოს მიკრილიყო მასთან და შეეცნო. სწორედ ამიტომ თანაბარის გულმოდგინებით სწავლობდა იგი ბოტანიკას და მინეროლოგიას, გეოგრაფიას და გეოლოგიას, ხუროთმოძღვრებასა და აღქმისას.

როცა ჩენი დროის ადამიანი საღამო ეპოს ეკლესიის ებოში შედის, შესაძლოა არც ლაშემ და არც ეკლესიამ მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინო. გოეტის დროს ეს უბრალო ფაქტი გაცილებით მეტ ემოციებს იწვევდა. მოუხედავად ამისა, ვოლფგანგი განგებ შეღამებისას ავიდოდა შტრასსბურგის ტაძრის პლატფორმაზე და ბნელში სჭვრეტდა ბნელი საუკუნოების ურთულესსა და უდიდესს ძეგლს. ამგვარივე გამბედაობით სწავლობდა იგი ანატომიას, რათა ადამიანის აგებულობის უსახიზღრესს დეტალებისათვის თვალი შეეჩვია.

## VII. ეპილია და ლუციდა

წარმოიდგინეთ უალრესად პურიტახულად განწყობილი მეთვრამეტე საუკუნის გერმანელი. იურისტი და საქმის კაცი—ვოლფგანგის მამა. სწორედ ამ „მშრალმა კაცმა“ ასწავლა ვოლფგანგს ცეკვა. ვოლფგანგს ფრანკფურტელ ფრანგულ თეატრშიაც არა ერთხელ უნახავს დიდის ხელოვნებით შესრულებული ცეკვა, როგორც სოლო, ისე Pas des deux. გრეტბენთან რომანის კატასტროფის შემდეგ, ლაიპციგში ყოვნის დროსაც, ვოლფგანგი ცეკვას გადაეჩვია, როცა ვოლფგანგი ცეკვაზე უარს იტყოდა ხოლმე, ყველანი დარწმუნებული იყვნენ, ალბად ქალების გასაჯავრებლად ჯიუტობსო, შტრასსბურგში. სანახევროდ ფრანგულ ქალაქში, სადაც გრაციის კულტი მეტათ მძლავრობდა, ვოლფგანგი ცეკვის მანიამ

შეიპყრო. კვირაობით სტუდენტობა საცქევეო დარბაზებში იყრიდა თქვენ და აქ ამართებოდა წყვილების შეჯიბრი.

ამბობდნენ: მომავალ ზამთრისათვის ბრწყინვალე ცეკვის რეფორმები უნდა გაიმართოსო. მეგობრებმა უჩიეს ვოლფგანგს ტანცმაისტერის დახმარებითა და სათანადოდ დახელოვნებულყო ამ საქმეში. ტანცმაისტერი ფრანგი იყო, ძლიერ მარჯვე, მშრალი, მაგრამ ფრიად თავაზიანი კაცი. ვოლფგანგმა აქაც დიდი გულმოადგინება გამოიჩინა და ცეკვისოსტატი ფრიად აღტაცებული იყო თავის შეგირდის წარმატებითა. ვოლფგანგს ქალები მუდამ შველოდნენ, როგორც შაირობაში, ისე პირად ცხოვრებაში. ცეკვისოსტატს ორი ახალგაზრდა ქალიშვილი ჰყავდა. ორივენი კარგად ცეკვავდნენ. ამ გარემოების პირისპირ ვაფის თავმოყვარეობამ გაიღვიძა. არ უნდოდა დიაცებს დაეჯახნა ცეკვაში და ამიტომაც ბევრს ვარჯიშობდა. ცეკვის ოსტატს ბევრი მუშტარი არა ჰყავდა, ოჯახი ფრიად განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ ვოლფგანგს ხშირად შინ ეპატრონებოდნენ. ვოლფგანგიც სიამოვნებით სთანხმდებოდა მით უმეტეს, რომ ცეკვისოსტატის უმცროსი ქალი ძლიერ მოსწონდა. ცეკვისოსტატი ჭიანჭურს უკრავდა და ვოლფგანგიც ხან ერთ დასთან ცეკვავდა, ხანაც მეორესთან. ხან და ხან ვოლფგანგი რომელიმე რომანის ნაწყვეტებს უკითხავდა ქალწულებს, და მათ ეს ძლიერ ახარებდა. უფროსი ქალი თავშეკავებულად, მაგრამ მაინც ეაშვიკებოდა. ვოლფგანგს, ყოველგვარი მის ჭირვეულებას ანგარიშს უწყევდა. უმრწემესი კი ხან და ხან უკმეხადაც ექცეოდა ვოლფგანგს და შეძლებისამებრ მასთან ყოფნასაც გაურბოდა კიდევაც. ერთ საღამოს ვოლფგანგმა და უფროსმა დამ დიდხანს იცეკვეს მენუეტო და დაქანცვის შემდეგ ბინაში შესვლას ამარებდნენ. ქალი შესდგა და ვოლფგანგს ეუბნება:—ცოტა შევიცადოთ აქ, ჩემს უმცროს დას მკითხავი ქალი ჰყავს დაბარებული, უნდა გაიგოს შორეული მეგობრის საქმე როგორ არისო. ჩემი გული კი თავისუფალია და კარგად ვიცი, მე კიდევაც რომ ვინმე შემიყვარდეს, სამაგიეროს ვერ მივიღებო. ვოლფგანგმა უჩიოა უფროს დასაც: თქვენც მარჩიელს უნდა დაეკითხოთო. თავად ვოლფგანგმაც მოინდომა მარჩიელის ასრების მოსმენა. ოთახში რომ შევიდნენ, ვოლფგანგმა შეამჩნია: უმცროსი და ძლიერ კარგ გუნებაზე იდგა. იგი ფრიად თავაზიანად მიეგება სტუმარს.

მოხუც მარჩიელს კომპლიმენტები შესთავაზეს და კარგ გასამრჯელოს დაპირდნენ, უკეთუ იგი მართალს ეტყოდა ვოლფგანგსა და მის დასას.

მარჩიელმა წინასწარი ცერემონიების ჩატარების შემდეგ კარტები გაშალა. ერთბაშად შეჩქვითდა, ხელი ნიკაბთან მიიბჯინა, პირში სიტყვა გაეხირა.

— როგორც ვხედავ თქვენ იმიტომაც შესდგევით, რომ ჩემი დისათვის მწარე სიმართლის თქმას ერიდებით, ჩაადლო სიტყვა უმცროსმა დამ. მე კი კარგად ვხედავ ე, მანდ ის კარტი ნაესია.

უფროსი და გაფითრდა, მაგრამ თავი შეიკავა და მარჩიელს მიმართა: სთქვით რაც სათქმელია, ნუ გედარდებათ, მოხუცმა ამოიოხრა და შემზამრი ტუჩები ააცმაცურა.

— ეს არის, ამბობდა ბებერი, მას ერთი ვინმე უყვარს, მაგრამ ამ ეავს არ უყვარს იგი, რადგან ვიღაც მესამე ოთახში მით შორის. უფროსი და შეკრთა.

ბებერი შეეცადა ცოტაოდნავად მაინც მოემჯობინებინა მისთვის გულს და ამიტომ წერილებისა და ფულის მიღების შესაძლებლობანი აღუთქვა.

— წერილებს არ ველი, ფულის მიღება არც კი გამახარებდა.

— თუ, როგორც თქვენ ამბობთ, მე მართლაც ვინმე მიყვარს, მაშინ მაგვიეროს ღირსიც ვიქნები.

— ვნახოთ, ეგებ უკეთესობა იქნეს, მიუვო ბებერმა, კარტები აურიდა და მეორეჯერ გაშალა. თანადამსწრენიც ატყობდნენ უფრო ჭარბი კარტები დასხდნენ. უფროსი და ძლიერ შეწუხდა. იგი საკუთარი თვალთ ხედავდა: მეგობარი განზე გამდგარიყო, შუაფიგურები ახლოს მოწეულიყვნენ, ბებერი თვალდაც ამირიზა. ისევე არაა კარტი და მესამეჯერ გაშლას ამირებდა, მაგრამ ამასობაში ქალწული აქვითინდა, მისი მშვენიერი მკერდი ტოკავდა. ბოლოს ველარ მოითმინა, ადვა და ოთახიდან გავიდა. ვოლფგანგი დაიბნა, თანაგრძნობა გაქცეულისავენ ეწეოდა, გრძნობა კი დარჩენილისავენ.

— წადით, ლუციდე ანუგეშეთ, ამბობდა უმცროსი და.

ვოლფგანგი უძრავად იჯდა, აღარც კი იცოდა როგორ ენუგეშებინა იგი, ვინც არ უყვარდა.

— მოდი, ორივენი მივიღეთ ლუციდესთან, ეუბნება ვოლფგანგი უმცროსს დას—ემილიას.

— კი მაგრამ მე არ ვიცი ჩემი ხლება თუ სანუკველი იქნება მისთვის.

ადგნენ და ლუციდესაკენ გაემართნენ, მაგრამ ლუციდეს მაგრად ჩაეცეტა კარები. უკაქუნეს, უძახეს, ევედრნენ, მაგრამ ამაოდ.

ემილია მოითხოვდა: ახლა ვოლფგანგისათვის ემარჩიელა ბებერს. ვოლფგანგი უარს დაადგა. მან ფული აჩუქა მკითხავს და გაეცალა იქაურობას. მეორედღეს ცეკვისოსტატთან წასვლას ველარ ბედავდა. მესამედღეს შიკრიკი გამოაგზავნა ემილიამ. უთვლიდა: უთუოდ უნდა მოხვიდეთ. საღამოს ვოლფგანგი კვლავ ესტუმრა ცეკვისოსტატს. უმცროსი გვიან მობრუნდა შინ. ცოტახანს იცუკვს მუნუტი, ვოლფგანგმა და ემილიამ. ამ საღამოს მენუტი არაჩვეულებრივად გრაციული გამოვიდა. აღტაცებული მამა ახალგაზრდებს არწმუნებდა: ასეთი ელფგანტური წყვილი ჯერ თვალთ არ მინახავსო. დასასრულ მამა გაეცალა ემილიას და ვოლფგანგს. ლუციდე აღარსად სჩანდა.

— იგი ავადაა, ამბობდა ემილია, მაგრამ არა უშავს, მას ასე სჩვევია: როცა ფიზიკურად ავად გახდება, სულიერი ტკივილები მაშინ უამრებდა. გუშინ ღამ ძლიერ ცუდად გახდა. ანდერძად მიბარებდა, სიკვდილის წინ ის მატყუარა მეგობარი მომგვარე, მაგრად უნდა გაეკიცხოო.

— ღმერთმა იცოდეს, მე იგი არ მომიტყუებია, სჩივოდა ვოლფგანგი, არც თუ რაიმე დაპირებანი წამომცდენია.

ემილიამ გაიღიმა და ეუბნება:

— მდგომარეობას დაყოვნება აღარ სჭირია, თუ ენერგიულად არ მოვიქცეთ, შემდეგ გვიან იქნება, თქვენ რას იტყვით ნეტავ, მე რომ გთხოვოთ ცეკვის გაკეთილები შესწავლითთქო?

— მაშ ასე, გამოდის თქვენ ამას მირჩევთ: თქვენსას მოსვლას ვერიდო, არა?

— დიახ, მე გეუბნებით ამას, მაგრამ ეს მარტო ჩემი აზრი როდესაც იმ საღამოს თქვენ რომ წახვედით, თქვენ სახელზე სამჯერ ზედიზედ გავსული კარტი და სამჯერვე იგივე კარტები დასხდნენ. თქვენ გარს გერთყავთ მეგობრები, სიამენი, დიდსახელოვანი ბატონები გეახლებოდნენ, ოქრო და ვერცხლით მკაფიოდ შემო რიალებდა. ქალები მოშოოებიდ იდგნენ. საცოდავი ჩემი დაიკო ყველაზე შორს—არც ერთხელ თქვენს გვერდით არ მოხვედრილა იგი, ვილაც შესამე შეაში დგებოდა. თქვენ დარბაისელი ვაჟი ხართ და ყოველივე ამას ჯეროვანად გაიგებთ. მე პირადად შორეულ მეგობარს აღვუთქვი ჩემი ხელი, ის კაცი ქვეყანას მერჩია, მაგრამ თუ თქვენ ახლა არ გამეცალეთ, მე აღარ ვიცი რა მომივია. შესაძლოა იმ კაცის ადგილი თქვენ დაიკავოთ ჩემს გულში. ახლა თქვენ თავად დაფიქრდით როგორი უბედურება დატრიალდება ჩვენს ოჯახში, ან რა უნდა პქნათ თქვენ ამ ორ დას შორის? ერთს თანაგრძნობით მოჰკლავდით, ხოლო მეორეს გულცივობით. იყავით კარგად, — ეუბნება ვოლფგანგს და ხელს უწყდის გამოსათხოვრად. ვოლფგანგი შეჩქვითდა, შეყოყმანდა. როცა ვოლფგანგმა კარამდის მიაღწია, ემილია შემოტრიალდა, ყელზე მოეხვია ვოლფგანგს, აკოცა და მწარედ აქვითინდა. ვოლფგანგმა მკერდზე მიიკრა ათრთოლებული ქალი. ერთბაშად მახლობელ ოთახიდან შემცხადებულსავეით თმაგაწეწილი ლუციდე გამოვიარდა. ახლა იგი მოეხვია მიმავალ ვოლფგანგს. ლუციდეს თვალთაგან მდუღარება გადმოდიოდა. თანაც მწარედ ჰკიცხავდა დას.

— ეს პირველი შემთხვევა არაა, სჩივოდა ლუციდე, მას არა ერთი და ორი მოყვარულის გული გამოუფლვევია ჩემი ხელიდან. — ემილიამ თვალთ ანიშნა ვოლფგანგს: წასულიყო როგორმე. ვოლფგანგმა წასვლა დააპირა, ლუციდე ჭოჩორში წასწვდა და მრავალგზის აკოცა ტუჩებში. ვოლფგანგმა ბაგე აარიდა, თავი განზე გადახარა.

— წყველა იმას, ვინც ამ ტუჩებზე ამიერ იდან აღბეჭდოს კოცნა. თქვენ კი ბატონო, წადით, წადით და აღარ განახოთ ჩემმა თვალებმა.

ვოლფგანგი უარესად დაიბნა, ველარ გაეგო ეს ყოველივე სინამდვილეში ხდებოდა, თუ სცენაზე. გამობრუნდა, კბეები ჩაიჩრბინა ლანდის უსწრაფესად და ამის შემდეგ აღარასოდეს აუვლია ამ კბეებზე.

## VIII. კლკვობოკი, ჰერდერი და შექსპირი

გოეტეს ახალგაზრდობაში გერმანელი პოეტის ბედი მაინც და მაინც არ იყო სახარბიელო. მას არც მატერიალური საფუძველი მოეპოვებოდა, არც ავტორიტეტი. თუ საშუალო საუკუნოების წყვილიაში პოეტი მეტწილად ფეოდალების კარის მოშიორედ ითვლებოდა, შეეფების, თავადების და ჰერცოგების ნასუფრალს მისჩერებოდა, არც მე-XVIII საუკ. იყო შესაძლებელი პოეტს პროფესიად გამოეყენებინა თვისი პოეტობა. შემთხვევითი პოეზია იძლეოდა კიდევ შემოქმედების იმპულსს, ეს იყო იმდროინდელი სოციალური შეკვეთა. მრავალი ტალანტი დაღუპულა ამ პირობებში, რადგან პოეტი ჯერაც ტაკიმასხარად და ქალაჩუნა მიხობტედ ჰყავდა მიჩნეული საზოგადოებას. ასეთი როლის შესრულება უხდებოდა მას როგორც ცხოვრების, ისე თეატრის ასპარეზზე; ხოლო



იხვეჭდნენ. ცხადია, მეტწილად მეზობენი, პირმოთნენი და ფარისევანი ეტანებოდნენ ამგვარ ნასუფრალს, მაგრამ ათასში ერთხელ ღირსეულნიც გამოვლინდნენ თავშესაფარს მათ სასახლეებში. ასე რომ მე XVIII საუკუნეში, როცა ლიტერატურა ჯერაც პროფესიად არ იყო ქვეული, ამგვარი მეცნიერნი წიგნწერდნენ პოეტს მოცალეობას.

საუკუნის დიდკაცთა შორის კლოპშტოკს ჰქონდა უპირატესი ზეგავლენა ვოლფგანგის პიროვნების და შემოქმედების ფორმაციის პროცესში.

„კლოპშტოკი გარეგნულად უფრო დიპლომატსა ჰგავდა, გვიმოწმებს გოეტე, ტანმოზილი იყო, მაგრამ ამავე დროს ჩინებუ - აღ ტანწყობილი, სერიოზული ქვევა ჰქონდა, ბეჯითი და დარბაისლური საუბარი სჩვევოდა. ასეთი ადამიანები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ თითქოს საკუთარი პიროვნების გარდა კიდევ ვიღაცას, უზენაესი არსების პიროვნებასაც ატარებენო. კლოპშტოკს ეტყობოდა იგი რელიგიის, ზნეობის და თავისუფლების ქურუმის მოადგილის როლს ასრულებდა. პოეტურ და ლიტერატურულ საქმეებზე იშვიათად ლაპარაკობდა“.

კლოპშტოკმა იცოდა: გოტეს და მის მეგობრებს რკინის თბილამერებზე სრიალი უყვარდათ, („პომერის ღმერთების დარად ფრთასხმულად სრიალი ხმელად ქვეულ ზღვებზე“) და ამიტომაც ხშირად ესაუბრებოდა მათ ამ სპორტის შესახებ. ცხენოსნობაზედაც ხშირად საუბრობდა და თავადაც სიამოვნებით ეწეოდა მას.

იგივე ითქმის ჰერდერის შესახებაც. ვოლფგანგი ჯერაც შტრასსბურგელი სტუდენტი იყო, როცა ჰერდერმა გზად გამოიარა შტრასსბურგში. ვოლფგანგის წრემ ეს იმბავი მუცსვე გაიგო. ყველას აინტერესებდა. საკუთარი თვლით ენახა ჰერდერი, რომელიც უკვე სახელმწიფოებში მწერლად ითვლებოდა, ვოლფგანგმა სასტუმრო Zum Geiste-ს მიიქიბა, რადგანც აქ ევლებოდა ეს სახელოვანი სტუმარი.

მისვლისთანავე შეინშა კიბეზე ამავალი კაცი, რომელიც ძლიერ წააგავდა სასულიერო პირს, თმები დაპუდრული ჰქონდა და ჭავლისდარად დახვეული შავი, გრძელი, აბრეშუმის ძანტია ეცვა, შავივე კოსტაჟში. მანტიის ქვედა ქუბა ერთად მოეხემა, და ჯიბეში ედო. მასთან შესიტყვებამდის დარწმუნდა: ვოლფგანგი: სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ჰერდერი. მრგვალი სახე ჰქონდა მას და ფრიალ მაღალი შუბლი, ქვინტმოხლუნგებული ცხვირი, თავაზიანი და ოდნავ აბურცული ტუჩები, გიშრის ფერი ენერგიულად გამომეტყველი თვალები.

უცნობმა გვარი ჰკითხა ვოლფგანგს და როცა მის სმენას მოხვდა: „გოეტე“, წამსვე სახეზე შეეტყო რომ ეს გვარი არასდერს ეუბნებოდა მის გულისყურს. იოლად წარმოსადგენია, თუ როგორ ეწყინება ახალგაზრდასა და ჯერაც უსახელო მწერალს, როცა სახელოვანი კაცი ისე მოისმენს მის სახელსა და გვარს, როგორც ათასისა და ათათასისას.

ვოლფგანგსაც უსიამოდ რეჩხი გულმა. მაგრამ ეს იყო ამ მოღუშულ კაცს იამა ცნობისმოყვარე ახალგაზრდა კაცის მიერ ასე უბრალოდ მასთან მისვლა ოა გასაუბრება. ამიტომაც თავაზიანად შეესიტყვა ამ უმაწვილს. გამოთხოვებისას ვოლფგანგმა ნება სთხოვა ჰერდერს კვლავაც ხლებოდა.

ვოლფგანგს გაცნობის პირველსავე დღიდანვე ფრიალ იზიდავდა ჰერდერის საკმაოდ თავაზიანი ქცევა, პირველ ხანებში ჰერდერი ფრთხილი და წინასწარ

განზომილი შეკითხვებით იკვლევდა მის სადაურობას, ვინაობას, მატეროდ ყოველივეს, რაც ახალგაწონილ ქაბუკის შესახებ შესაძლოა განთქმობო. ვოლფგანგი ფრიად გულლია ბუნებისა იყო და ალალი გულლი ყოველივეს უამბობდა ჰერდერს. ამ მგზავრობის დროს ჰერდერი პრინც ჰოლშტაინ-გუტენის ამაღაში იყო, მაგრამ თვალების ანთებამ, რომელიც დღითი-დღე ურთულდებოდა და ამასთან დაკავშირებულმა ოპერაციამ იგი აიძულა მცირე ხანს შტრასსბურგში დაყოვნებულყო. ვოლფგანგი სიყრმიდანვე ვარჯიშობდა უსიამო ოპერაციებისათვის თვალის შეჩვევაში და ამიტომაც გადასწყვეტა თავად ემზირა თუ როგორ უკეთებდა ექიმი ლომშტაინი ჰერდერს თვალის საკრემლეების ოპერაციას.

ვოლფგანგი საკმაოდ გავარჯიშებული იყო გულგრილობის ხელოვნებაში, მაგრამ როგორც გოეტე, ისე ექიმიც ფრიად გააოცა პაციენტის გულგრილობამ და მოთმინებამ.

მრავალგზისი ქირურგიული ჭრილობა მიაყენა ექიმმა ჰერდერს საცრემლეებსა და თვალის არეში, მაგრამ მიუხედავად ამისა, პაციენტს მცირედი კვნესაც არ აღმოხდენია.

ხანგრძლივად ექიმობდა ჰერდერი, ვოლფგანგი ყოველ დღე ორჯერ მიდიოდა მის სანახავად. როცა ამ განსწავლულ ბრძენს ახლოს გაეცნო ქაბუკი პოეტი, უკანასკნელი მალე დარწმუნდა, რომ ჰერდერის თავაზიანობა ისევე ხელოვნური ყოფილა თურმე, როგორც მისი ქარბად შეპულრული თმები.

ჰერდერი ფრიად თავმოთნე და გესლიანი ადამიანი იყო. იგი სავსებით არა ზოგავდა ახალგაზრდა გოეტეს ქაბუკურ თავმოყვარეობას. ხშირად მოურიდებლად ქირდავდა მას; უწუნებდა როგორც აზროვნებას, ისე პირველ ცდებს კალმისას. ვოლფგანგი იმჟინდ აოსტატის ჭირვეულობასა და ხშირად უტაქტო ჩქვეტასაც, რადგან იგი განუზომელად ნეტარიამდა ამ დიდი პიროვნებიდან გამომავალ უშველებელ ნათელის წილში. იგი სახტად რჩებოდა ამ უჭვეულო ერუდიციისა და არაწვეულმბრივი გონებაშახვილობის პირისპირ. ამიტომაც „გულკეთილ მროზავას“ უწოდებს გოეტე თავის ავტობიოგრაფიაში ჰერდერს. „გულკეთილმევივე ხიბლავდა მას ჰერდერის გულლია, პირდაპირი ინტელექტუალური კეთილსინდისიერება.

ვოლფგანგს სიყრმიდანვე უყვარდა უფროსებთან ბაასი და მათგან-განსწავლის მიღება, არა ერთსა და ორ უხნიერესს მეგობარს უცდია ზეგავლენა მოეხდინა მასზე, მაგრამ ჰერდერისებური ტაქტიკით არაფინ მისულა მასთან.

ჰერდერი არამც და არამც არ ჰგავდა იმ პირმოთნე ადამიანებს, რომელთაც საკუთარი ქალარის ეშინიათ და ახალგაზრდობას სულმოკლეთ ექალაჩუნებთან, რადგანაც მკვიდრი საფუძველი თავდაც აკლიათ და მომავალი თაობის წინაშეც საეჭვო დამსახურება მიუძღვით. ჰერდერი უფრო იმ გულკეთილ ქირურგსა ჰგავდა, რომელიც ცხოვრებაში ფრიად სათნოა და თავზიანი, მაგრამ იარების გაჭრისას უბადლო გულგრილობას იჩენს.

ვოლფგანგი ჯერაც არ იყო გონებრივად მომწიფებული. ლაიპციგში მიღებული ბუნდოვანი ცნობები ლიტერატურის, პლასტიურ ხელოვნებათა და იტრისპრუდენტის დარგებიდან ჯერაც არ დალაგებულყოვენ მის თავში, ფრანკფურტში იგი მისტიურ-ალქიმიურმა თეორიებმა გაიტაცეს და მისი გონება

ჯერაც შემოდგომის მაჰარსავეთ დულდა. ჰერდერთან გამართულმა სატრეგმა, მისმა მრავალგზისმა გაკილეამ, ზოგჯერ დაცინვამაც, მისი ცოდნის მოყვარეობა, ხანაც თავმოვარეობაც შეანჯღრია და გაამახვილა.

შტრასსბურგში გაანდო ვოლფგანგს ჰერდერმა თავისი ქვეყნის ენათმეცნიერება ამტკიცებდა: ადამიანს ლაპარაკის უნარი ღმერთმა ჩაუწერგაო. თავად იმდროინდელი მატერიალისტი ზუსმილხი თავის თეორიებში ენების ლეთაებრივ აღმოცენებას არ გადასცდნია. ჰერდერის ისტორიული დამსახურება ამ საკითხში სწორედ ის არის, რომ მან ეთნოლოგიის როლი საესებით უარყო ენის წარმოშობის პროცესში. მან აღიარა: ადამიანში საკუთარის ძალის გამოცდილებით და დაკვირვებით თავად ისწავლო ე. ი. ჰერდერმა განვითარების პრინციპი მოიხვედია პირველად. იმ დროისათვის ეს ფრიად პროგრესიულ, მე ვიტყვოდი, თითქმის რევოლუციურ აზრად ითვლებოდა. ვოლფგანგი აღტაცებული დარჩა ჰერდერის თეორიებისაგან, მაგრამ საუბრის დროს ალაგალაკ თავისი საკუთარი შეხედულებანიც გაუზიარა მკვლევარს ენის შექმნის შესახებ. ჰერდერი გაფიცდა, უღმობლად გჰკიცხა ახალგაზრდა პოეტი, რადგანაც ჰერდერი სიტყვის შებრუნებას და შეკამათებას საერთოდ ვეღარ ითმენდა.

შემჩნეულია: ხანგრძლივი გონებრივი მუშაობისაგან ადამიანები ხშირად პიზოხონდრიით სწეულდებიან. ჰერდერსაც ამგვარი სენი სჭირდა. თანაც იგი ფრიად გესლიანი იყო და ამგვარად მოწოლილ გესლს საესებით უმართებულად შეანთხევდა იმას, ვინც უნებურად ხელში მოხედებოდა ხოლმე.

ერთხელ მან გოეტეს ფრიად უტაქტო ეპიგრამა დაუწერა ლექსად. ამ ეპიგრამის ბოლორაიმები აღიურაცხებით ერთზეზოდა ურთიერთს. დაახლოვებით ასეთი აზრი იყო ამ სტრიქონებში: არ ვიცი ვისგან წარმოსდგები შენ გოეტე, გოტებისაგან თუ ტალახისაგან<sup>1</sup>. ვოლფგანგმა დუილით უპასუხა იმეამად ამგვარ უხიავ ხუმრობაზე, სამკიეროდ, გვიან დაწერილ ავტობიოგრაფიაში აღნიშნა: „ცხადია, ეს კარგი არ იყო. რომ მან (ჰერდერმა) ჩემი გვარის გამასხარება ინება, ვინაიდან გვარი უბრალო, სხეულზე წამოცმული წამოსასხამი როდია, რომლის ხელისწამოკერა არც ისე საწყინოა და იუფი, არამედ გვარი ზედმორგებული სამოსია, მე ვიტყვოდა: ისეთივე, როგორიცაა სხეულის კანი, რომლის შეხება ადამიანში ტკივილსა და გამწარებას იწვევს“.

საკმაოდ უხიავი მოპყრობის მიუხედავად, გოეტე თავყანისცემით ექცეოდა ჰერდერს.

1. Der von Göttern du stammst, von Goten oder vom Kote; Göttern-ღმერთები von Goten =გოტებისაგან, vom Kote—ტალახისაგან (Dicht. u. Wahrheit. X 6წ. II გვ. 151).



უფრო გვიან, ჰერდერისადმი მინაწერ ბარათში: „იაკობი უფროს ანგელოზს ერკინებოდა. მე კი თქვენ არ მოგეშვებით, დეე, დავკოპლდე კიდეცა; მაინც არ მოგეშვებით“.

ჰერდერი და ჰამანი რუსოს ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ჰერდერი ჰქადაგებდა ხელოვნების ნაციონალურ ნიადაგზე დამყარების აუცილებლობას. მაგრამ ჰერდერის სწავლაში ნაციონალური არ უნდა იქნეს გაგებული როგორც განსაზღვრული ეროვნული კულტურის დაპირიპირება სხვა კულტურისადმი. მას სახეში ჰქონდა მთელი კაცობრიობა და მრავალსახეურ კულტურათა კომპლექსი. წინასწარ დაშვებული იყო ყოველი ეროვნული კულტურის, ეროვნული პოეზიის პრიმატის თავისთავადობა. ჰერდერის თეორიით უახრობად იყო მიჩნეული ფრანგული პოეზიის თანდაყოლილი უპირატესობა. პარალელურად ლესსინგი თავისი ჰამბურგელი დრამატურგიით სასტიკად ილაშქრებდა ფრანგული პოეზიის შეუვალობის წინააღმდეგ და ენერგიულად მოითხოვდა გერმანული პოეზიის ფრახტული ზეგავლენისაგან განთავისუფლებას.

გერმანული ეროვნული მწერლობის სარანგებისათვის მით უფრო ძნელი იყო ბრძოლა ფრანგული სულობისა და ხელოვნების წინააღმდეგ, როცა თავად გაფრანგებული არისტოკრატია გერმანიისა გერმანულად ლაპარაკს არც კი კადრულობდა. თვით წინაპარი დღევანდელი პანგერმანიისტებისა ფრიდრიჰ დიდი აქვეყნებს წიგნს De la litterature allemande—იგი საკმაოდ დილეტანტი იყო ლიტერატურის საქმეებში, მიუხედავად ამისა, სექტატურად შესცქეროდა ახალი თაობის ბრძოლას ფრანგული ლიტერატურის ჰეგემონიის წინააღმდეგ. ფრიდრიჰის აზრით თავდაპირველად საჭირო იყო გერმანული ენის შესწორება და „გაკეთილშობილება“ ვიდრემდის ეს ენა პოეზიისათვის გამოსადეგი გახდებოდა. გერმანიის უახლესს ლიტერატურიდან იგი გოეტეს „ვოცს“ შეეხო და „შექსპირისადმი საცოდავ მიზაძვად“ გამოაცხადა.

ვოლფგანგი და მისი შტრასსბურგელი მეგობრები განგებ ერიდებოდნენ ფრანგულად ლაპარაკს, გერმანული ენისა და ლიტერატურის კულტს ემსახურებოდნენ. ამ წრეში დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: ფრანგული ლიტერატურა დაბერდა, მან პათოსი და გემოვნება დაჰკარგაო. აქამდის ვოლფგანგი ფრანგული ლიტერატურული გემოვნების ტყვეობაში იმყოფებოდა. ფრანგი ოსტატების გადაჭარბება შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული. მაგრამ ლენსინგმა გაუფანტა ვოლფგანგსა და მის მეგობრებს ფრანგების უმცდარობის ამბავი, ხოლო ჰერდერი უფრო შორს წაივდა: ფრანგებისადმი ზურგის შექცევა უკილო მოვალეობად გამოაცხადა.

როცა ვოლფგანგმა დრეზდენის სამხატვრო გალერეიდან მიღებული შთაბეჭდილებანი გაუზიარა, ჰერდერმა შხამიანი ეპიგრამით გაამასხარავა მისი ჰაბუკური ენტუზიაზმი. თითქოს ყოველ საკითხში ვოლფგანგს ახალგაზრდული დილეტანტიზმი ჰერდერის მტკიცედ შემუშავებულ შეხედულებებს შეეხალა და ბევრ შემთხვევაში „ღირებულებათა გადასინჯვა“ მოახდენინა ვოლფგანგს. ვოლფგანგი ოვიდის მეტამორფოზებს დიდად აფასებდა, აქაც საყვედურები მიიღო ოსტატისაგან.

ამგვარი გაკილეისაგან შემკრთალი პოეტი საიღუმლოდ ინახავდა თავის პოეტურ გეგმებს. განსაკუთრებით ფაუსტის იდეას, ვინაიდან წინასწარ გრძნობდა: არაფერი ისე არა აუნებს განზრახულ გეგმას, როგორც ცნებულებები წილიდან გამომავალი სტეპტოური დანამსვა.

ლესსინგი გრძნობდა: გერმანული პოეზია ჯერაც ველარ შესძლებდა საკუთარი მუხლებისათვის მინდობას, ამიტომაც მისმა ლიტერატურულმა პოლიტიკამ მოითხოვა ახალგაზრდობის გასაგონად შექპირი აიყვანა ფარზე. ამ ხანებშივე იწყება ვოლფგანგის შექსპირით გატაცება.

შექსპირი ევროპაში ყველაზე უკეთ გერმანელებმა შეიცნეს და შეისწავლეს. ეს ბუნებრივია, რადგან თავად ანგლო-საქსური ენის ინსტრუმენტი ძლიერ ახლოსაა გერმანულ ენასა და სულობასთან.

ჯერ კიდევ ლაიპციგში ყოფნისა: ვოლფგანგი გაეცნო დოდის Beauties of Shakespeare. იმავე ხანებში გამოქვეყნდა ვილანდის თარგმანიც.

ევროპაში ხშირად შეხედებით პოეტური ქმნილებების პროზაულ თარგმანებს, რადგან ეს იძლევა შინაარსის ზუსტი ბადალის გადმოცემის საშუალებას ასევე პროზით აქვთ მაგ. ფრანგებს პომერი და დანტე თარგმნილი.

გოეტეც სიამოვნებით კითხულობდა შექსპირის პირველ პროზაულ თარგმანებს.

შტრასსბურგში ვოლფგანგი დიდის ყურადღებით სწავლობდა შექსპირს როგორც ორიგინალის, ისე პროზაული თარგმანების მიხედვით. ჰერდერმა საგანგებო წერილი უძღვნა შექსპირს. შექსპირის თეატრალური ქმნილებები გაარჩია ლენცმა.

მოკლედ: შექსპირი უდიდესი კერპი გახდა ვოლფგანგისა და მისი შტრასსბურგელი ამხანაგებისათვის.

შექსპირი გახდა მისთვის თვალშეუვლებ სახატედ, რომელშიაც ყოველი მისი ლიტერატურული გატაცება ერთბაშად თავს იყრიდა: პომერის სახეების გამორული პლასტიკა, დაბადების საკრალური პათეთიზმი, ოსიანის პრიმიტიული ფანტასტიკა და საშინელების აპოლოგია. შტრასსბურგშივე წარმოთქმულ სიტყვაში ვოლფგანგმა აღვიარა: (შექსპირის შეცნობის შემდეგ)..... „მე ვიგრძენი, რომ ჩემი არსობა განუზომელად გავრცელდა, ყოველივე ახლად და ახლად შეცნობილად მომჩვენა, ამ უშველებელმა სინათლის ჩქერალმა მატკინა თვალნი... ზე წამოვიქერ და პირველად ვიგრძენი რომ ხელ-ფეხი მესხა“.

შტრასსბურგშივე იწყება ოსიანიტ გატაცება. გოეტე თარგმნის ოსიანის ქებებს.

ჰერდერი, ლესსინგი და გოეტე გარდამავალი ფრანგულ ზეგავლენას უპირისპირებენ გერმანულ ხალხური პოეზიის აპოლოგიას. გოეტე აგროვებს „სხვადასხვა ხალხის“ შემოქმედების ნიმუშებს, სთარგმნის, ბაძავს მარად უკნობ პრიმიტივებს.

„ეს ლექსები, აღვიარებს იგი, საუნჯის დარად მიტარებია გულში. ყოველი ქალი, რომელსაც კი უნდა თავი მომაწონოს, უნდა ზეპირობდეს და მღეროდეს მათ“.

## IX. ნილაგოსანი მიჯნური



გალრმავდა ვოლფგანგის შეგნებაში ინტერესი გერმანულ ბრძანებულ ხელოვნებადში. (ძველი მხატვრობა, ძელზე და სპილენძზე ძეგლვა, ხუროთმოძღვრება დი სხვ.).

შტრასსბურგიდან ვოლფგანგი და ორი მისი მენახე-მეგობარი: ენგელბახი და ვილანდი ცხენით გაემგზავრნენ ცაბერნს. ელზასი ცენტრალურ ევროპის უმშვენიერესი მხარეთაგანია. მისი ლანდშაფტი ოდნეუ წააგავს საქართველოსას. მეგობრები ალტაცებულნი იყვნენ ცალკერძ ბუნების მშვენიერებით, ცალკერძ ცაბერნის საეპისკოპოსო კოშკის ძველებური ხუროთმოძღვრებით.

ცაბერნიდან ბუსხვაილერს მიალწიეს, აქ მათ მასპინძლობა გაუწია მეგობრებს ვილანდმა.

ბუსხვაილერის სანახებიდან ბასტბერგი გადაიარეს. აქ კი „სამოთხის დარი“ ლანდშაფტები მიმოიხილეს. სამხრეთისაკენ მიისწრაფოდნენ ვოგეზების ცისფერი მთაგრებილები. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოსმანდა ლიხტენბერგის კოშკი, და ამ კოშკის ვადალმა ქვემო ელზასის ვრცელი და ნაყოფიერი ველები. უშველებელი ჩქერალები ქშეილით მიექანებოდნენ გაეაკებისაკენ. ბორცვები და გორაკები გაუვალი ტყეებით იყვნენ მოყენილი. გზადაგზა მათ ხედებოდა ძველ რომაელების მიერ მოწყობილი აბანოები, ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლები, წარწერები, ბარელიეფები. სიძველეთა სიყვარული იღვიძებს ვოლფგანგის გულში, უღრან ტყეში რომაულ საძირკველზე აგებული გერმანული კოშკი იდგა. მეგობრები ზეავიდნენ. ხელისგულსავეით მოსმანდა მთელი ელზასი-შტრასსბურგის გუმბათის წვეტი ღრუბლებს ებჯინებოდა. ენგელბახი გზაში ჩამორჩა მეგობრებს.

ვოლფგანგმა მოკლე გზა აირჩია, ჰაგენაუ გადაიარა და ზენზენჰაიმს მიაპირდაპირა.

ზენზენჰაიმში ეგულებოდა მას თავისი სატრფო ფრიდერიკე ბრიონ, ადგილობრივი პასტორის ქალიშვილი.

პასტორების ოჯახების იდილია მრავალგზისა შექმებული ინგლისურსა და გერმანულ პოეზიაში.

ჯერ კიდევ პერდერმა ჩამოიტანა შტრასსბურგში ინგლისელი მწერლის ოლივერ გოელდსმისის რომანი: The Vicar of Wakerfield. („ვეკიფილდის ვიკარი“). ამ სენტიმენტალურ რომანში აღწერილია ფრიალ სათნო პროტესტანტული მღვდლის ცხოვრება.

პერდერისაგან გადაედო ვოლფგანგს ამ რომანის სიყვარული. მისმა მენახემ ვილანდმა გააცნო ვოლფგანგს ელზასის სხვადასხვა კუთხეები, იქაური ყოფა-ცხოვრება, ოჯახები, ჩვეულებები, აგრეთვე ბრიონიანთ ოჯახი.

„ყოველ მნიშვნელოვან ადამიანს ეოთგვარ ჭირვეულობად სჩვევია გარეგანი ღირსებების ხელოვნურად დამალვა, რათა ამ გზით შინაგან ბუნების სიქველე უფრო იოლად გამოაშკარავდეს“.

საბერძნეთსა და ინდოეთის ღმერთებს ბაძადნენ ხოლმე ინკოგნიტოდ სიარულში ევროპის მეფეები და ტირანები. ჰაინრიხ მე-IV ერთ დღეს გადაცმული გაერია თავის გლეხებში და მათთან ერთად ინადირა.

ვოლფგანგს ადრე სიჭაბუკიდანვე ძლიერ უყვარდა სხვისი დანიშნულების გადაცმა. როგორც ყოველ დიდ ხელოვანს, ისე მასაც ინსტიქტურად მოსწონდა ეს წამიერი სხვადაცქევა.

ახლაც ზენზენჰაიმში სტუმრად ჩამოსულმა ზოგი საკუთარი, ზოგიც ნათხოვარი ძველმანები ჩაიცვა, პარიკი შეიცვალა, ასე რომ გზაში ვილანდი სიცილს ველარ იკაევბდა, ეამიდანეამზე თავისი მეგობრის კარიკატურულ აღნაგობას თვალს რომ შეავლებდა.

ზენზენჰაიმში მოსულნი ერთ დუქანში ჩამოხტნენ და ცხენები დააბინავეს, თავად კი, ქვეითად წავიდნენ პასტორ ბრიონის სახლისაკენ. დიდის სიყვარულით აწერილი აქვს გოეტეს ბრიონების კარ-მიდამო. შენახულია მისი ნახაზები: „ფრიდერიკეს სახლი“.

სახლი, ბელელი და ბოსელი ფრიად მოძველებული იყო. ეზოში ჩქამი არ ისმოდა. ტანმორჩილი, ჩუმი, უწყინარი პასტორ ბრიონი მარტოკა იყო შინ. ქალები მინდვრად წასულიყვნენ.

მასპინძელი ზეწამოდგა სტუმრების დანახვაზე და მიიპატივა. ვილანდი ქალების საძებნად გაემართა. ვოლფგანგს კარგად ემარჯვებოდა ყოველ კაცთან შესაფერი თემის გამოჩახვა. მახ სახლის შეკეთების საქიროებაზე აალაპარაკა პასტორი.

ამასობაში ვილანდი და ფრიდერიკეს დედა შემოვიდნენ. მცირე ხნის შემდეგ ფრიდერიკეს უფროსი დაა შემოიჭრა და ფრიდერიკე იკითხა.

გაბრუნდა და ფრიდერიკეს საძებრად გაემართა. ახლა ვილანდი შემოეშველა ვოლფგანგს, მოხუცებულებს გამოესაუბრა. აქმინებული უფროსი დაა ისევ შემოვარდა. სწუბდა: ფრიდერიკე რომ სადღაც გადაიკარგა. ვოლფგანგის სმენას დიხახაც ეალერსებოდა ფრიდერიკეს სახელის მრავალგზისი ხსენება. მის გულშიაც მოუსვენრობა ღიმღამებდა რომ მისი სასურველი არსაიდან გამოჩნდა.

ნუ ლელავთ, ნუ ლელავთ, იგი მალე მოვა აღბად. ჩააგდო სიტყვა უწყინარად მოხუცმა პასტორმა. ამ სიტყვების თქმაზე ფრიდერიკეც ღია კარებს მოადგა.

ჯერ კიდევ პარიზის მოდას არ მიეღწია ელზასის უკიდურესს სოფლებამდის. ასე რომ ორივე დას ნაციონალურ გერმანული ტანისამოსი ეცვათ. მრგვალი, კანიერი კაბა კოჭებადის სწევდებოდა ფრიდერიკეს. წელს ვიწროდ შემოქერილი თეთრი კორსაყი უმშვენებდა და შავი წინსაფარი, მღალღი კისერი საკმაოდ რხებული იყო უღოსავეთ დაგრებილის მწიფე თაველის ფერი ნაწნავების მისის საზიდავად. ნათელი, აუმიღვრველი მზერა ამშვენებდა ზღვისფერ თვალებს და „ოღნაგ მოჩლუნგებული ცხვირის ნესტოები ისე მოძრაობდნენ, თითქოს ამ ქვეყნად საზრუნავი გამოლენულაო“. ქილის ქუდი ზონარით გადმოკეიდა მხრის თავზე, საერთოდ იგი წრეში შემოსულ გაზაფხულსა ჰგავდა ვარდის ფურცლობისას ქვეყნად მოვლენილს.

ვოლფგანგს ფრიდერიკესთან საუბარი სწყუროდა, მაგრამ თავი მოკრძალებულად ეკირა და საერთო საუბრის დონეს არ სცილდებოდა. ზენზენჰაიმი/მიწროებული სოფელი იყო და ეს გამოჩნდა სულ მცირე ხანში. ბრიონების სახლი-ლანდის უსწრაფესად გაივსო ნათესავეებით და მეზობლებით. მორიდნენ/მეძები, ბიციოლები, დეიდები, მამიდები, მათი შვილები და ნათლულები. ოჯახის დედა წარამარა თვალს შეავლებდა ხოლმე ვოლფგანგს, დარცხვენილი ჰაბუქიცი/გრძნობდა მზერას გამოცდილი ქალისას, რომელიც მუშტრის თვალით შესცქეროდა მოშავალ სასიძოს.

როგორც იქნა ფრი. ერიკესთან გასაუბრებაც ელორსა ვოლფგანგს.

ვოლფგანგი მოეკრძალა მოახლოებული მიჯნურისათვის პირდაპირ შეხედვას.

მაგიდიდან ნოტების რვეული აიღო და ფურცვლა დაუწყო.

— პიანინოზე თუ უკრავთ?—ეკითხება ფრიდერიკე.

— ცოტას.

— მაშ დაუკარით.

მოხუცი პასტორი საქმეში ჩაერია. იგი ამტკიცებდა, წესი ასეა: ჯერ მას-პინტელმა სტუმარი უნდა მოახიზნოსო. ინსტრუმენტიც ისევე საჭიროებდა მომართვასა და შეკეთებას, როგორც ბრიონების მთელი სახლკარი, არც ფრიდერიკე უკრავდა მაინც და მაინც ჩინებულად.

ერთერთმა თანადამსწრემ ერთი სენტიმენტალური და მელანქოლიური სიმღერის ნოტი მიაწოდა ფრიდერიკეს, უნდა ემღერა მას, მაგრამ ფრიდერიკემ ვერ შეასრულა შენაკვეთი, რადგან ხალისიანად მოკისკასე ბუნებას მისას მელანქოლიური მოტივი არ უდგებოდა.

საერთოდ ბრიონიანთ ოჯახში გამეფებულმა ბიბლიურ-იდილიურმა განწყობილებამ, დედამამისა და ორივე დების სულიერმა აღნაგობამ—გოდლმისის-ჰეკერფილდელი პასტორის ოჯახი მოაგონა ვოლფგანგს.

ნავახშმევეს მეზობლები წაივინენ, მოხუცებმა ძლიი ნებისა უსურვეს და-ნარჩინებს. მთვარიანი ღამე სასეირნოდ იწვევდა ახალგაზრდათა გულებს.

ვოლფგანგმა მკლავი შესთავაზა ფრიდერიკეს, ვაილანდმა უფროს დას დაგემართნენ. ფრიდერიკე გზა და გზა უჭებდა ვოლფგანგს მახლობელ სანახებს.

ვაკი შეყვარებული თვალთ ზეკრავდა მთვარის შუქზე მიმკრთალებულ ფრიდერიკეს პროფილს და ნაზი მელანქოლით აესებდა მის სიცოცხლით საფსე გამომეტყველებას. მხოლოდ მისი წყრიალა ხმა ციურ რეკვასავით სწვდებოდა მიჯნურის გულს. ფრიდერიკე სთხოვდა კვალაც მოენახლებინა ვოლფგანგს ზენზენჰაიმი, ისე როგორც ყოველ უცხო სტუმარს სჩვეოდა ხოლმე ბრიონიანთ ოჯახში ოდესმე ჩამოსულს.

ვოლფგანგს უსიამოდ ეძგერა სმენაზე სიტყვა „უცხო“ და სინანული შეეპარა გულში, რომ მას აქამდის არ არგუნა ბედმა ფრიდერიკეს ხლება და მის ოჯახში მრავალგზისს მოსვლა.

სეირნობიდან მობრუნებული მეგობრები სასტუმრო ოთახის კარებამდის მიაცილეს დებმა. ვოლფგანგს ძლიერ აინტერესებდა, ვაილანდისათვის გამოეკითხა: ან შეყვარებული, ან დანიშნული თუ იყო ფრიდერიკე. ამ კითხვის დასმამდის

მან ძლიერ შორს მოუარა, ცისა და ბრის ამბები მოიტანა და მოიბოდიშა. ვანუშომელად გაიხარა, როცა ვაილანდმა აუხსნა: ფრიდერიკე რომ ან შეყვარებული იყოს, ან დანიშნული, იგი მიჯნურის აქარყოფისაგან უთუოდ დარდიანი გახდებოდა და მის ხასიათს არც ამდენი სიკისკასე შეტრფობდა. ეს ამბავი სარწმუნოდ მიიჩნია ვოლფგანგმა. უთენია გაელვია მეორე დღისას ასოფლური სახლის თხელი კედლები ეზოდან შემოსულ ხმაურობასა და ფრინველების ჭლივლს ველარ იკავებდა. საწოლშივე ებრძოდა იგი მოუთმენლობას: უნდოდა მალე ამდგარიყო, ხელპირი დაეხანა და ფრიდერიკესთვის თვალის შევლება მოესწრო.

ზეწამოიჭრა, დილის ტუალერს შეუდგა, პარიკი წამოიკვა, გეროკი ჩაიკვა, სარკეში ჩაიხედა და ვაი საშინელება! ულაზათოდ მოღრანჯული ძველი სამოსი, უხეიროდ დახტუჭებული ხელოვნური თქები, ეს ყოველივე აუწნოებდა მთელს მის აღნაკობას. საერთოდ იგი მიჯნურის სანახავად ჩამოსულ ქაბუქს როდი ჰგავდა, არამედ ნათხოვარ ტანისამოსში გამოწყობილ ბოვანოს.

ვაილანდს ჯერ კიდევ ეძინა, მისი ახალი და ბრწყინვალე ტანისამოსი შენიშნა გოეტემ. კვიმატის თავში უეცარმა ანგულრმა აზრმა გაიკვია: გაეტანა გარედ ვაილანდის სამოსი, თავად ჩაეცვა და ხოლო თავისი ძველმანები ვაილანდის სასთუმოლთან დაელაკებინა. ეს გეგმა გვიან მოსაზრებული შეიქნა, რადგან მეგობარს უკვე მოესწრო ვალეიქება და თვალეზ იფშენეტდა. ცხადი იყო: ამ გზით არაფერი გამოვიდოდა.

რა ექნა? განვლილი ღამით ფრიდერიკესთან სეირნობამ, მისი სუნთქვისა და ლოყების აღბურმა დიდი ხნით გულში ჩავარდნილი სიყვარულის თესლი იჩქითად მოამწიფა.

არა, შეუძლებელი რამ იყო ამ ძველმანებში კვლავ წარსდგომოდა ფრიდერიკეს. ბევრიც არ უუქრია. მშვიდრბით, მიახალა ვაილანდს.

ხომ არ გაგიყდი ვაჟო? წამოიყვია ლოგინში მწოლარემ, ზეწამოიჭრა, წაეპოტინა, მაგრამ ვოლფგანგი უკვე კიბებზე ჩარბოდა. ეზო გაირბინა. ელვის უსწრაფესად ცხენი შეიკაზმა. შემოჭრა ცხენს დეზი და დრუზენჰაიმში ამოჰყო თავი. ქენებით გაიარა პატარა დაბა. გათქვირული ცხენი მიწას ასქდებოდა. კარგა მანძილი გავლილი ჰქონდა, როცა ცხენი შეაყენა და ნაევარზე გადაიყენა. გეგმა მზად იყო: შუადღემდის ქალაქმდის მიილწეედა, რადგან შტრასს-ბურგიდან ზენზენჰაიმის ხუთიოდე მილია და არის. მაგრამ ერთბაშად ახალი აზრი დაეხდა: ზენზენჰაიმისკენ მიმავალმა დრუზენჰაიმში ადგილობრივი სასტუმროს პატრონის ვაჟს მოჰკრა თვალი, ეს ვაჟიც წელან სასტუმროს წინ იდგა კოხტად გამოპრანჭული. ამ დილითაც ფრიად თავაზიანი საღამი მისცა. იგი სწორედ ვოლფგანგის ტანისა იყო და ერთის შეხედვით ჰგავდა მას კიდევაც.

ვოლფგანგმა ცხენი შემოაბრუნა, დეზი ჰკრა ისევ და დრუზენჰაიმისაკენ გააქროლა. ცხენი სასტუმროს თაელაში დააბინა და ამ ვაჟს თავაზიანის ტონით სთხოვა: ზენზენჰაიმში პასტორისას მიწვეული ვარ და ტანისამოსი მიხონო. ვაჟმა არც თუ იუცხოვა ასეთი სათხოვარი, დაეთანხმა, თანაც დასძინა: „პასტორიანთ მამულებს მეც კარგად ვიცნობ, აღბად კარგ დროს გაატარებ-

თო". იგი ქებით იხსენიებდა ორივე დას, მაგრამ მომეტებულის თავაზით მამულელ რიკბენს, ე. ი. ფრიდერიკეს ახსენებდა.

სიტ ვა-პასუხში შეეტყო ამ ვ.ს., იგი დარწმუნებული იყო: გოგონე ვალად ვილაც მოხეტიალე ბიჭია, ტანისამოსი არა ჰქონია და ახლა სხვისი ნაწილით მშვენიერი რიკბენის გულის მონადირებასა ლამობსო.

ცოტაოდენი ყუყმანიც გამოუმჯღავნდა. მთლად ახლი ტანისამოსის ნდობაც ეძნელებოდა. მაგრამ მალე ესეც დათმო, ცხენი თავლაში რჩებოდა, სხვა რაღა უნდოდა!

ვაჭი თავის ორეულს შეაჩერდა: ბიჭოს, რა კოკმაზურა ვინმე ყოფილხართ? ეუბნება და მზაზე ხელი დაჰკრა.

ვოლფგანგი დაკვირვებული თვალით ზეერავდა ამ ქაბუკს. მას ოდნავ უფრო გრუხა წარბები აღმოაჩადა. ვოლფგანგმა ნახშირი გამოჩხრიკა საიდგანლაც, სარკის ნატეხში ჩაიხედა, წარბები დაიხშირა. პარიკი გადაავლო. თმები ისევე დაივარცხნა როგორც ამ ვაქსა ჰქონდა დავარცხნილი. ვაქსა თავისი ფართე ბანტიანი ქუდიც მიაწოდა.

— ერთი მითხარით ვეთაყვა, ეუბნება ვოლფგანგი, რაიმე საქმე თუ გაქვთ პასტორისას? მე სიამოვნებით ავასრულებდი თქვენს დავალებას. ეს მეც მოსამიზნებლად შექნებოდა კიდევაც.

— კარგი. მაგრამ თქვენ ორიოდე საათი უნდა შეიცადოთ ამ შემთხვევაში ახლა ჩვენსას პურისმცხოზი დედაკაცი მუშაობს. პასტორის ცოლს ნამცხვარებს გავუზავნი.

ვოლფგანგს ჰკუთხდა დაუჯდა ამ ქაბუკის თათბირი. ორი საათი ორ საუკუნედ მოქრუნა.

მალე ხამცხვარებიც დაამზადეს, ხელსახოცში გაუხვიეს. ვოლფგანგმა ძღვენი ილიაში ამოიღო და ქვეითად გაუდგა ზენზენჰაიმისაკენ მიმავალ თემშარას. სოფელს უახლოვდებოდა როცა თავისი მეგობარი და ორივე დაჰწინ შემოეყარნენ. ვოლფგანგს უმწეო ბრაზისაგან გული აეშლვრა. გრძობდა: არც ეს ნათხოვარი ტანისამოსი უხდებოდა. შესდგა, შეყოყმანდა, აღარ იცოდა რა მოემოქმედა. მეგობრები რუს ვადაღმა მოდიოდნენ როცა რამოდენიმე ნაბიჯზე მოუახლოვდნენ, ფრიდერიკე გამოეხმაურა:

— გეოგო, რა მოგაქვს? ვოლფგანგმა სალამის ნიშნად ქული მოუხადა, თანაც სახეზე მარჯვედ მოიფარა იგი.

— ნამცხვარები.

— ნამცხვარები? შენი დაიკო როგორაა?

— Guet! — მიუგო ელზასური დიალექტით ვოლფგანგმა გეორგეს მაგივრად.

— შინ წაილე, თუ დედა შინ არ დაგიხედეს, მოსამსახურე ქალს მიეცი.

მაგრამ უთუოდ მოგვიცადე, მალე მოვალთ. გესმის? მიიძახა უფროსმა დამ.

ვოლფგანგს გაეხარდა: საქმე ჩინებულად დაიწყო. ქალებს მცირედი იქვიც არ შეუტანიათ, რომ ეს გეოგო იყო და არა ვოლფგანგი.

მღვდლისას არავინ იყო, მხოლოდ მოხუცი თავის ოთახში ჩაკეტილი იყო და რაღაცას სწერდა. ბერიკაციის შეწუხებას მოერიდა და იქვე კარის ალაგთან დაგდებულ რგვალ ძელზე ჩამოჯდა, ქული სახეზე ჩამოიფხატა.



მას სიხარული უფროთხიალებდა გულში. საცაა ფრიდერიკე მტეა, მისი წყრილა ხმა კვლავ შემოესმება. გატრუნული იჯდა ამ ხმის კვლავ გაგონებას დანატრებული და იცდიდა.

მალე მსახური ქალიც მოვიდა.

— ეჭე, ნამცხვარები ჩინებულია. როგორაა შენი დანი?

— ყველანი კარგად არიან. უპასუხა ვოლფგანგმა და თვალი აარიდა.

დედაქალის ხმაზე პასტორმა გამოიხედა. რა ამბავიაო, იკითხა. პასტორსაც გეორგ ეგონა ვოლფგანგი. მეგობრული კილოთი მიესალმა და ზეწამომდვარს მამაშვილურად მხარზე ხელი დაადო, ისევ რგვალძელზე დასვა.

მალე პასტორის ცოლმაც მოაღწია, გეორგს მიესალმა, მოსაკითხი გამოართვა, მადლობა მოახსენა, სთხოვა: უსამზროდ არ წახვიდეო. ამასობაში ვოლფგანგი ბაღში შეყალიდა. მალე პასტორის ცოლი სახლიდან გამოვიდა, სამხარზე მიწვევა უნდოდა. ვოლფგანგი სახეზე ქედს იფარებდა, მაგრამ მღელღის ცოლი ახლოს მივიდა, თვალბში შეაჩერდა. ვოლფგანგმა გაიღიმა.

— უჰ, მე გეორგ მეგონეთ სწორედ, საოცარია, მაინც რამდენნაირი აღნაგობა გაქვთ თქვენ ყმაწვილო?

— სინამდვილეში მხოლოდ ერთნაირი, ხუმრობაში რამდენიც გნებავთ.

— კარგი, მე არ შეგიშლით ხელს. მინდვრისაკენ გაიარეთ, ისინი მალე მოვლენ, ვნახოთ თუ იოლად გიცნობენ.

ვოლფგანგმა ბალი გადაიარა, ველს გასცდა, პატარა მუხნარს თავი შეაფარა, მუხნარში რამოდენიმე სახელდახლოდ გაკეთებული სკამლოგინი იყო. ერთ მათგანზე ვილაცას დანის წვერით წაეწერა: „ფრიდერიკეს მოსასვენებელი ადგილია“.

ვოლფგანგი იჯდა ოცნებისაგან გაბრუნებული. ტყეში მცირედი ჩქამიც არ ისმოდა, თუმცა სამხრობა მოახლოებული იყო. ერთბაშად ფეხისხმა შემოესმა. შეკრთა. ფრიდერიკე მოდიოდა.

— გეორგ, აქ რას აკეთებ?

ფრიდერიკე შესდგა, ორივე ხელი გრაციულად ზეასწია, ისე როგორც ძველ ბერძენთა ფრესკების ფერიებს აქვთ ალტაცებისა, ან გაოცებისაგან ხელები ზეაღმართული.

— ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინეთ!

— პირველმა ნილაბმა მეორეში გადამაგდო, მიუგო ვოლფგანგმა, თანაც თვალი ჰკიდა; ფრიდერიკეს ოდნავ ფერმკრთალ სახეზე სიწითლის ალმურმა იფეთქა.

— ამ შემთხვევაშიაც გაპატივებთ სიცელქეს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მთელ სხეულზე შემოშენთო შიშის ელდა. აბა გვიამბეთ თქვენი დღევანდელი თავდადასავალი, თქვენი გაუჩინარების აბეები და შემდეგი თქვენი ავანტიურები. ეუბნებოდა მომღიმარე ფრიდერიკე, მის გვერდით მჯდომარე გამიჯნურებულ პოეტს. ვოლფგანგი უამბობდა თუ როგორ შესძავდა მას თავისი თავი ძველ ტანისამოსში, როგორ გაიჭრა ველად ახალი ნილაბის საძებრად. ფრიდერიკე კისკისებდა, ვოლფგანგმა სამაგიეროდ შესაფერი ჯილდოც მიიღო: ფრიდერიკემ ზელზე კოცნის ნება მისცა, მალე ორივენი დადუმდნენ. ქალწულმა ამოიოხრა.



წუთები უჩინარად მიჰქროდნენ. სვებენდიერი ვოლფგანგი გვერდით უჯდა თავის მიჯნურს და მისი სიახლით და ბუნების სილალით სტკბებოდა. ეს საოცნებო იდილია უფროსი დის ძაბილმა დაარღვია: „რიკენ, რიკენ“

— მოდიტ ერთი ისინი გაევაამპულოთ, ეუბნება ვოლფგანგი. რიკენ, ქუდი-რიგიანად ჩამოიფხატეთ სახეზე, განზე გაიხედეთ. უფროსი და და ვაილანდი მიუახლოვდნენ.

ოლივიე რამოდენიმე ნაბიჯის მანძილზე გახევებული შესდგა. სახე აერია: გაოცდა, გაფითრდა.

— რიკენ, რას ჩადიხარ? შენ და გეორგ ამ ტყეში განმარტოებული?.. რასა-ჰგავს ეს?

— რა მოხდა ქა, რამ შეგაშფოთა ესე, ამ საწყალ ბიჭს რაღაც სათხოვარი ჰქონდა, აქ შეეხვდით ერთმანეთს და ამ სკამლოკინზე ჩამოვსხედით. შერმე რა?

— არა, მე ეს არ მესმის. არ შესმის სწორედ.

ფრიდერიკე წამოდგა, ვოლფგანგიც აიყოლია.

— ახლა მოუტყევეთ შეცოდება. დაიძაბა ფრიდერიკემ და ვოლფგანგს მკლავში ხელი წააგლო, წინ გასწია.

— ბოდიში ბატონებო, ბოდიში მომიხდია, — დაილულულა ვოლფგანგმა და ქუდი მოუხადა ახლად მოსულებს. — მე გახლავართ იოჰან ვოლფგანგ გოეტე.

— უიმე, წამოიკვილა ოლივიემ, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მარჯვენა ხელი მხარზე მალდა ასწია. ასე გაშეშებული იდგა, სახე წითლად შეფაქლოდა. ერთბაშად თავქვე წიქცა მალალ ბალახში და ბავშვივით ხარხარს მოჰყვა. ვაილანდიც ველარ იკავებდა სიცილს. ვაილანდს საერთოდ ხელის ჩამორთმევა არ უყვარდა, მაგრამ ახლა კი თავად მიერდა ვოლფგანგს, ხელი ხელზე მოუჭირა, იცინოდა, ეუბნებოდა:

— კარგი ბიჭი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, კარგი ბიჭი ხარ.

ოთხივინი შინისაკენ გაემართნენ. რა გამოიჩქვა?

თურმე სეირნობიდან მობრუნებულნი: ვაილანდი და ოლივიე დაწანაურებულან, შინ წასულან, ხოლო ფრიდერიკემ თავის საყვარელ ადგილს მიაშურა ტყეში. შინ მისულებისათვის დედას დაუძალებია: ახლავე წადით, ფრიდერიკე საჩქაროდ აქ მომგვარეთ, უკვე საზნობის დრო გადავიდაო.

ახლა ოლივიეც ჰაზარტში შევიდა. მორიგი აუანტიურა ეს უნდა ყოფილიყო: მოხუცი პასტორი, ქა და მსახური ქალიც უნდა გაეთამაშნათ ცოტა.

განსაკუთრებით მსახური ქალის გაამპულობა უნდოდა ოლივიეს. მსახურ ქალს დიდი ხნიდან გულში ჩაეარდნილი ჰყოლოდა გეორგ. პასტორიანთ კარმიდამოს რომ მიუახლოვდნენ, ოლივიემ ბუჩქნარს გადაღმა დამალა ვოლფგანგი. თავად მსახური ქალი გამოიხმო, სერიოზული ტონით ახარა მის მიერ სახელდახელოდ მოჭორილი ახალი ამბავი: გეორგ თავის საცოლეს წასჩხუბებია და ახლა იმისთვის გვეწვია რომ შენი ხელი გვთხოვოსო ქალს დიდი ხნიდან ყვარებოდა გეორგ, ეს ამბავი კუკაში დაუჯდა, მით უმეტესს სარწმუნოდ ეჩვენა მსახურს, რაკი განავონი ჰქონდა: გეორგსა და მის საცოლეს შორის შავ კატას გაურბენიაო. ოლივიემ ხელი დაუჭნია ვოლფგანგს

— გეორგ აქ მო, შესძაბა.

ვოლფგანგი საჩქაროდ მიეჭრა. შეყვარებული ქალი დაიბნა, მოკრებულ თავი დახარა, თანაც გული ჟვანცქალებდა, ელოდა: საცაა საკუთარი ვერით გაიგონებდა თავის მეტოქე ქალის დაბარცხებას.

ჩქითად თვალები ზეაღმართა, სად ლა იყო გეორგ.

ერეკნული  
ხილვისი

საესებით უცხო ადამიანი შერჩა ხელში. გველნაკბენსავით წამოიკივლა და მოკურცხლა. ოლივიე უკან გამოუდგა. დანამუსა: შინაურებს არაფერი გაუმხილო. გზაში მებაღე შემოიყარათ. ახლა მასსზე მიდგა ჯერი, მებაღეს მსახური ქალი ყვარებოდა, თვალში რომ ჩაფარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა.

— ახალი ამბავი გახარო ფრიტც, ეუბნება ოლივიე მებაღეს, თანაც მოშინესავით ილიმება. გეორგს საცოლე გაჰქცევია, ახლა იგი ჩვენს გოგოს ცოლად ირთავს. მიაპირი მებღე დაღონდა, მხრები აიჩინა.

— შეც ასეთი გუშანი მქონდა, ის ქალი გეორგს ვერ ასცდებოდა. ლულულულებდა ბედშავი.

ახლა მთავარი იყო: პასტორის გაპაპულება. ვოლფგანგსაც ეს აინტერესებდა ყველაზე მეტად.

სახლში შევიდნენ. სუფრა გაწყობილი დახვდათ.

— მამა, შენ ხომ არაფერი გეკნება საწინააღმდეგო, გეორგმა რომ ჩვენთან ერთად ისადილოს? ძალიან გთხოვ ნება დართო, ქუდმოუხდელად იჯდეს.

— შე რა მენაღვლება იჯდეს. ამბობდა კეთილი პასტორი. მაგრამ ესაა, თავი ხომ არ გაუტეხია, ქუდი რაღათ უნდა?

— ქუდს ჭვეშ ჩიტები ჰყავს დამალული, ქუდი რომ მოიხადოს, ჩიტები გაუფრინდებიან.

ბებერი პასტორი დაიბნა, ამ ხუმრობასაც ვერ გაართვა თავი, იგი ძლიერ დამშეული ყოფილიყო და ასეთ ცელქობისათვის არა სცხელოდა.

ვოლფგანგმა ქუდი მოიხადა, ბერიკაცს რვეერანსი გაუყეთა.

პასტორმა თავი მალა ილო. ვოლფგანგს შეაშტერდა. თვალეები ხომ არ მატყუებს, ან რაიმე სასწაული ხომ არ მოხდაო.

უყურებს: გეორგის ტანისამოსი აცვია ამ კაცს, სახე კი ვოლფგანგისა აქვს.

გვიან მიუხვდა ეშმაკობას:

— პერი პა, პატრონო კანდიდატო, ეს რა ოინები დაგიწყიათ!

ბერიკაცი იცინოდა, წითელ ღრძილების სიშიშვლეს ცალი ხელით იფარავდა.

ვოლფგანგი სუფრის ბოლოს იჯდა, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ჩვეულებრივად სადილზე შემოსწრებულ გეორგს დასვამდნ ხოლმე. ასე რომ როცა პასტორის ვაჟი დაგვიანებით შემოიფერთდა მოსადილეებს, მან „გეორგის“ ზურგს შეავლო თვალი და ძვირედი იჭვიც არ შეპარვია, მხარზე ხელი დაჭრა სტუმარს.

— გაამოს, გაამოს გეორგ, ჩაილაპარაკა, სახეშიაც არ ჩაუხედავს, ესე მიაშურა თავის ადგილს, სუფრას მიუჯდა.

— მადლობას მოგახსენებთ იუნკერ, — მიღგო ცრუ გეორგმა.

ეაქს ხმა ეუცხოვა, ძლიერ შეკრთა, მოიხედა და გეორგეს ნაცვლად მასაც იგივე ვოლფგანგი შერჩა ხელში.

ნასადილევს ნამდვილმა გეორგმაც მოაღწია. მანაც ბევრჯერ ეცინა კეთილის ორეულის ოინები რომ მოისმინა.

## X ფრიდერიკე პრიმე

„ზოგი ქალი შინაურობაში უფრო მოსაწონია, ხოლო ზოგიც გარედ უფრო მეტად ხიბლავს ადამიანს. ფრიდერიკე ამ უკანასკნელთაგანი იყო. არსობა მისი და აღნაგობა ფრიად მომხიბლველი იყო, განსაკუთრებით როცა იგი მოძრაობდა; სიარულის დროს ოდნავ ცეკვავდა თითქოს. სახისა მისის სინატიფე წალკოტოვან მიწას ეჯიბრებოდა, ხოლო სიკისკასე მისის მხერისა ლაქვარდოვან ცას ეპაექრებოდა. შინ მობრუნებულს თან მოჰქონდა ხოლმე ეს ხალისიანი ატმოსფერო...“.

„უდიდესი სიხარულია, როცა ადამიანი თავად სქვრეტს რომ გულისა მისის საყვარელი სხეასაც სიხარულითა აღავსებს. საზოგადოებაში იგი სათნოსა და კეთილ შთაბეჭდილებას ჰბადებდა. სეირნობის ეამს იგი მზიარულად დაფარფატებდა, მოძრაობისა მისის სიანცე და სიკისკასე ჩვენს მიერ უკვე შექმნილია, მაგრამ უნატიფესად მოსჩანდა იგი სირბილის დროს. ველებზე ჰეხებით მიმქროლავდა მშელის დარად, რომელიც უდიადესად ამართლებს ხოლმე დანიშნულებას თვისას, ასევე ფრიდერიკეც თავას აღნაგობასა და მანერას განსაკუთრებით მკაფიოდ გამოსახავდა ხოლმე, როცა იგი დაკარგულის, დარჩენილის, ან დავიწყებულის მოსატანად ვარბოდა, ან რომელიმე უკან ჩამორჩენილ წყვილს უხმობდა... რბენის დროს იგი მუდამ წონასწორობას ინახავდა, არც თუ აქლოშინდებოდა ხოლმე. ამიტომაც ყველას გადაჰარბებულად ეჩვენებოდა მშობლების დიდი შიში ფრიდერიკეს ჰუძუს ტკივილის გამო“.

გოეტე დიდ ზეგავლენას ახდენდა ქალთა სქესზე არა მარტო თავისი მომხიბლველი ზედგავლენითა, არამედ საუბრითაც.

საერთოდ სიტყვამკვერობას დიდ როლს აკუთვნებდა იგი.

„მე საბალხო ტრიბუნე და ორატორი უნდა ვყოფილიყავ“. სწერს უკვე მიხრწნილებას მიწეული.

„წერა ენის დამახინჯებაა, მღუმარედ კითხვა ლაპარაკის სუროგატიო“.

ზენზენჰაიმელი ხუცის ოჯახში აერეხით დაბანდული ტალავრების ქვეშ ისხდნენ ვოლფგანგი და ფრიდერიკე. პოეტი მომხიბლველი სიმკვერით უამზობდა ქალწულს ზღაპრებს და ლეგენდებს.

ფირუზისფერი საღამოები მიჰქროდნენ, დღის გათენება მომდევნო შემოღამეებისათვის უხაროდათ მიჯნურებს. ორი ლანდი მხურვალედ ეხვეოდა ფრთხვრთს აერეხით დაბანდულ ტალავრებს ქვეშ, ელზასის ბულბულები სიყვარულის ამბებს ვალობდნენ ხვადამუნების ფალაგეებში.

ასე დაიწყო გოეტეს და ფრედერიკეს რომანი.

შტრასსბურგში მობრუნებული მიჯნური სამართლის უფლებას ბეჯითად სწავლობს. ე. ი. ისე როგორც აუცილებელ საქმეს, ლიტერატურას დიდის ინ-

ტერესით თვალს ადევნებს, მედიცინის ლექციებს ესწრება, რამდენადაც იგი მუდამ ინტერესით ეცნობოდა ალამიანის ანატომიას.

ხანდახან პარასკეობით ფრიდერიკეს წერილს უგზავნიდა მისი მხოლოდ მეორე კვირის ხუთშაბათს პასუხი მოსდის.

წიგნებს უმარაგებს სატრფოს, ხან კიდევ ოსიანის ლექსებს სთარგმნის ფრიდერიკესთვის,

„ჩემო ძვირფასო ახლო მეგობარო,

„უყოყმანოდ გიწოდებთ მეგობარს, ვინაიდან თუ თვალის საქმე ცოტაოდნეად გამეგება, უნდა გითხრათ, თვალმა ჩემმა პირველივე შემოხედვისთანავე იმედი მომცა: თქვენს გულში ჩემდამი მეგობრობა უკვე დასახულია, ხოლო რაიცა ჩვენს გულს შეეხება, აქ რე ფიცს დავდებდი...“

„ნაზო და ნარნარო ქალწულო, ნუთუ სიყვარულისა ჩემის საპასუხოდ არ უნდა მარგოთ გულისა თქვენის მიერი სითბო და თანაგრძნობა“.

შენახულია ფრიდერიკეს ფრანგული ფაქსიმილე: *Monsieur Goethe à Strasbourg.*

მოახლოვდა 1770 წლის საენივერსიტეტო არდადეგები.

ვოლფგანგი დაფაქურდა, ზენზენჰაიმს წასასვლელად ცხენი უნდა იშოვნოს. ვაილანდთან აფონია კაცი. ვაილანდი აღარსად სჩანს.

მიუხედავად ამისა ცხებს შემოახტა და გაქუსლა.

ნოემბრის ქარი ტუიურსავით ღმურს, ჩვენი მხედარი ქენებით მიჰქროლავს. ღამე წამოეწია, მუდარი აო სცხრება. კორდები, ბორცვები, ველი, ტყეები, ტყეები, ღრანტები, იელვებს სოფელი, ისევე ტყეები, ველები, ღრანტები, ველი.

მხედარი თავს წაადგა კარის ალაგთან ჩამომსხდარ ფრიდერიკეს და ოლივიეს.

მე ხომ გითხარი ის უნდა იყო. უჩურჩულა დას ფრიდერიკემ.

სტუმარი ოთახში შეიყვანეს. ოჯახის დედა გამოეგება, ალერსიანად მოიკითხა. ფრიდერიკემ უცრად კისკისი ასტება.

ამ მოულოდნელმა ხმაიანმა სიცილმა ოდნავ შეაკრთო მიჯნური. მხოლოდ მეორე დილას გააგო მიზეზი: ფრიდერიკეს რამოდენიმე დღით წინასწარ უთქვამს: ამ დღეებში ვოლფგანგი უთუოდ ჩამოეყო.

მეორე დღით ფრიდერიკემ სასეირნოდ წაიყვანა ვოლფგანგი. დედა და და სხვა სტუმრების მოლოდინში იყვნენ და ამიტომ ოჯახობას შერჩნენ.

სეირნობის დროს ფრიდერიკე დაბეჯითებით სთხოვდა ვოლფგანგს სტუმრების გართობაში დახმარებოდა საღამოს, ცეკვით იქნებოდა ეს, შაირობით თუ ფანდის თამაშის დროს. სოფლის სამრეკლომ წირვის დაწყების მოახლოება ამცნეს ეროტიული ორგეებით გართულ შეყვარებულებს. დაიწყო წირვა, ვოლფგანგი თავის მიჯნურს გვერდით უჯდა. ფრიდერიკეს მანის მოსაწყენ ქადაგებას ყურს უგდებდა.

საღამოს სტუმრებმა ფანდი გამართეს. როცა ვოლფგანგს მოუხდებოდა ფანდის ამოხსნა, მას ლექსებს აიჭმევინებდნენ, ხოლო როცა ვინმე სხვა ქალის კოცნა შეზღვებოდა, იგი ყოველნაირად სცდილობდა გაქცეოდა ასეთ რამეს,

რათა ამ გზით ზედმეტჯერ დაემოწმებინა ერთგულობა თავის გულის მიჯნურისათვის.

სეირნობის დროს მოხუცი მღვდელი ახალგაზრდებს აედევნებოდა ხოლმე; ვოლფგანგს ეკოდებოდა ბერიკაცის და უამიდან ეამზე ფრიდერიკეს მკვლავ ხელს შეუშებდა და გამოესაუბრებოდა ხუცესს. მოხუცი სწიოდა: სახლი დამიძველდა, ათასგზის გაიბზარა და შეკეთებაც ვერ მომიხერხებიაო. ვოლფგანგი ჩინებულად ხატავდა და ხაზავდა, ხუროთმოძღვრებაშიაც ესმოდა ცოტა რამ, ამიტომაც წინადადება მისცა ბერიკაცს: ახალი სახლის გეგმას დაგიხაზავო. როგორც მოხუცი მღვდელი, ისე ფრიდერიკეც ფრიად გაახარა ასეთმა თავაზიანობამ. ვოლფგანგი დაჰპირდა: ქალაქში უფრო დამშვიდებულად შევადგენ ნახაზს და იქიდან გამოვიგზავნივითო.

შტრასბურგში დაბრუნებისას ვოლფგანგი თავისებურის გულმოდგინებით შეუდგა სახლის გეგმის ხაზვას. ამასობაში წერილებს სწერდა რიკენს და ყოველი საპასუხო ბარათის მიღებას გულის თრთოლვით მოელოდა.

ფრიდერიკეშაც მოუხშირა წერილების წერას, ვოლფგანგი არ მალავდა რომ მიჯნურის ნახვა ძლიერ ენატრებოდა. ამასობაში რიკენმა კიდევ მოიწერა. ერთ ერთი დღესასწაულისთვის ეპატიებოდა, რაინს გადაღმელი სტუმრები მოეღწენ და უთუოდ უნდა გვეწვიოთო. ვოლფგანგი ნებას დაჰყვია.

შტრასბურგიდან დილითანი გაემგზავრა ზენზენჰაიმს. სტუმრებიც მოსულიყვნენ. მოხუცებულმა მღვდელმა ფრიად გაიხარა, როდესაც ახალი სახლის გეგმა გადასცა ვოლფგანგმა. გეგმა საუკეთესო ქალაღზე იყო შესრულებული. მღვდელმა ძლიერ მოიწონა იგი და სტუმრებს აჩვენა გაბარებულმა. ზოგ მათგანს აოაფერი გაეგებოდა, ზოგიერთმა არამკითხემ თავი წამოჰყო, ნახატი დაიწუნა და საერთოდ კი შშვენნიერად შესრულებული ნახაზი ხელისხლებით გააქუჭყიანეს. ბერიკაცი ფრიად დაალონა ეგზომ უხამსმა საქციელმა. მალე საუზმე გააწყვეს და სტუმრები მადიანად შეეჭკნენ ნაირნაირ საქმელებსა, საუცხოო რაინის ღვინოს. ვოლგანგი ფრიდერიკეს გვერდით ნეტარობდა. პუროზის შემდეგ სტუმრებმა ჩერო მოსძებნეს და აქ ისევ ფანდის თამაში გაიმართა. ურთიერთის სიახლოვით ალტაკებულნი—ვოლფგანგი და ფრიდერიკე ერთი მეორეს ეჯობებოდნენ გამოცანებისა და სხვა ათასგვარი გასართობების გამოგონებაში. განუზომელ ნეტარებას ეძლეოდა ახალგაზრდა პოეტი და როგორც კი ფანდი შემთხვევას მისცემდა, მყისვე დააცხრებოდა მიჯნურის ტუჩებს, როგორც გამოხამებული მიზინო აღრეულ საქნიერს.

მალე მუსიკაც მიეშველა გამზიარულებულ სტუმრებს. ცეკვა დაიწყო.

ცეკვადნენ ალემანდენს. ალემანდენ გერმანული ნაციონალური ცეკვაა. სახელდობო შვაბური, ირგვლივ სასრბოლი  $\frac{2}{4}$  ტაქტიანი, რომელიც თავის დროზე თავიანთ სუიტებისათვის გამოიყენეს ბახმა და ჰენდელმა.

ცეკვის დაწყებისას ვოლფგანგი და ფრიდერიკე ერთად იყვნენ, მაგრამ მალე ისინი გააკრძოეს, ცეკვის ტაქტიკამ მოითხოვა ასე. სამაგიეროდ როგორც კი ცეკვა დასრულდა, შეყვარებულები სასეირნოდ წავიდნენ, აერების ტალავერებს მიაშურეს.

კონცინდა ვოლფგანგი ფრიდერიკეს ტუჩებს და ათას წმინდანს მოკვამბდა: სამუდამოდ შენი ვიქნებიო.

სალამოს ვახშამი მოჰყვია, ვახშამს ცეკვა, მხოლოდ შეუღამდა და დასრულდა ლბინი. ღვინისა და ვენებებისაგან აფორიაქებულმა სისხლმა მას წააპრთა ახალგაზრდულ ძილს, ვოლფგანგს გამოეღვიძა, მოუსვენრად ბორავადა საწოლზე. ღამეს სწვევია სისხლის ამღვრევა და ხედავს ვოლფგანგი ვნებისგან აცახცახებულს, ატირებულ ლუციდეს, გრეტხენის წმინდანისებურ, ნატიფ სახეს, გაფითრებული ფრიდერიკე შეერია საროსტანიანი. ახალი და ახალი ზმანებანი მოჰქონდა ღამეს, ვერძიწდომა და ნდომა ურთიერთში აღრეული; მოუსვენრად ბორავადა ჭაბუკი და ნატრობდა ღამის მალე დაღევას. ინათლა.

მზე აფრთხობს მუდამ ღამეულ კოშმარს, მზეს მოაქვს ყოველთვის სასო და ხალისი. შეხუდა ფრიდერიკეს, იგი თავად მზესა ჰკავდა უღვევლო ენერგიით აღმობრწყინებულს. შეამჩნია კიდევაც მიჯნურის თვალმა, რომ ამ უკანასკნელმა ღამემ ფრიდერიკეს მამის პერს ქვეშ გათენებულმა ასკეცად დაუახლოვა შეყვარებული ურთიერთს.

შესტკეროდა ვოლფგანგი ფრიდერიკეს სათნო სახეს, მის მშვენიერ სხეულს, მოახლოებული გაყრის სიმწვავე სუსხავდა მის გულს.

ვოლფგანგის წასვლის დრო უკვე შორს აღარ იყო. გამოთხოვებისას ფრიდერიკე მიეჭრა ვოლფგანგს და მას ისევე აკოცა, როგორც თავის ნათესაეებს წამსვლელთა შორის.

შტრასსბურგში დაბრუნებულ ვოლფგანგმა ყოველდღიურ საქმიანობას ხელი მიჰყო. ისევე გაიმართა მიწერმოწერა.

ფრიდერიკეს სიყვარულმა ზენზენჰაიმში და მის მახლობელ რაიონებში სერიოზობამ, მშვენიერი ბუნების პანორამებმა ვოლფგანგს შემოკვამდების სტიმული გაუათქვია. ამ დროს ეკუთვნის მისი საუცხოო ლექსები ფრიდერიკეს ციკლიდან. მრავალი მათგანი დაიკარვა, რაც გადარჩა, მან უქკნობი სახელი მოუხვეჭა პოეტსა და მის მიჯნურს.

მოუხშირა ვოლფგანგმა ზენზენჰაიმში სიარულს. ფრიდერიკე შემთხვევას ეძებდა: ხან ქორწილზე მოიპატარებდნენ ზენზენჰაიმში ვოლფგანგს, ხან ნათლობაზე.

ფრიდერიკეს მამის ოჯახს მრავალი ნაცნობი და ნათესავი გააჩნდათ შტრასსბურგში. ესენი ხშირად ჩადიოდნენ ზენზენჰაიმში, სამაგიეროდ ფრიდერიკეს და მის დაიას ხშირად ეპატრონებოდნენ ხოლმე შტრასსბურგში. ოლივიე ისე გრძობდა ქალაქში თავს, როგორც რიყზე შერჩენილი თევზი. ფრიდერიკე იოლად შეეგუა ქალაქის გარემოს. ვოლფგანგი მიჩვეული იყო ბუნების წილში უნახა ფრიდერიკე, აგრესით დატვირთულ ტალავერებს ქვეშ, მოტიტინე რუების ჩქერალების გვერდით, თაველ-დანეჭილ ყანებსა და მობიზინე ველებზე. ფანჯრებთან, გვერდის სარკესთან მდგომი ფრიდერიკე სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ზენზენჰაიმში ვოლფგანგი ხშირად უთხოვრებდა ქალებს ზღაპრებს და ბალადებს, ხანაც თავის საყვარელ ავტორებს უკითხავდა. ზენზენჰაიმელებმა შტრასსბურგელ ქალწულებს ჩამოუტანეს ეს ამბავი; საერთო სურვილი იყო: აქაც წაეკითხა რაიმე პოეტს და ერთხელ სალამოს მთელი ჰამლეტი წაუკითხა

ვოლფგანგმა ქალებს. ვოლფგანგმა შეემჩნია: ფრიდერიკე ეამიდან ეამისე რხრა-  
და და წითლდებოდა. ეს იყო პოეტისათვის საუკეთესო პირობები.

ოლივიე კვლავ სოფლისაღნ მიიწედა. აქ ერა ი ვარემოებეკ ქეთე-დერიოთ  
სხვა უხერხულობას. შტრასსბურგელ ქალებს პარიზის მოდა ხეივანებში  
მხოლოდ ფრიდერიკე და მისი დაია ატარებდა გერმანულ ნაციონალურ ტანი-  
სამოს; ოლივიე ამას თავილობდა, ცნობისმოყვარე ქალაქელების ქვერეტას და  
იდუმალ ჩაინებას ველარ უძლებდა. რიკენ ამ ამბავს ყურადღებას არ აქ-  
ცევდა.

ერთხელ ვოლფგანგი დაინტერესდა.

— სადაც თქვენ მეგულებით, ყოველგან კარვად ვგრძნობ თავსო, — ამბობდა  
რიკენ.

იურისპრუდენცია არ იყო ვოლფგანგის საყვარელი საგანი, მაგრამ მამის-  
თვისაც უნდა გაეწია ანგარიში, შტრასსბურგში უნდა მოეხდინა ვოლფგანგს  
პრომოცია, ე. ი. აქ ჩაებარებია როგორც საწერი, ისე ზეპირი გამოცდები. მო-  
სალოდნელი „დისპუტაციისთვის“ მზადებას შეუდგა.

ვოლფგანგმა ზოგადი ხასიათის თემა აიღო სახელმწიფოს და ეკლესიის  
ისტორიიდან.

განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიას კარვად იცნობდა იგი. ახალგაზრდა  
იურისტს ასეთ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: აქვს თუ არა უფლება სახელმწი-  
ფოს ესა თუ ის რელიგია დააკანონოს?

მაგალითები არ აკლდა. ევროპის ისტორიაში დასაბამიდანვე ებრძოდა  
ურთიერთს სახელმწიფო და ეკლესია. ვოლფგანგიც აღვიარებდა თავის დისერ-  
ტაციაში რომ ჯარის საძღვლები და მეფეები განაწესებდნენ ხოლმე ამა თუ იმ  
რელიგიას. გოეტეს ლათინური წერა და ლაპარაკი ჩინებულად ემარჯვებოდა.  
ეს საამყოდ მიიჩნდა მამას. დისერტაციის ერთერთი პირი სუფთად გადაწერი-  
ლი ვაუგზანა მამას. მისმა პროტესტანტულმა ბუნებამ გაიხარა, როცა დარ-  
წმუნდა, რომ ვოლფგანგი „ვითარცა კეთილმორწმუნე პროტესტანტი“ სახელმწი-  
ფოს უპირატესობას აღვიარებდა. ფაქულტეტის დეკანმაც აქო ვოლფგანგის  
მეცნიერული შრომა.

დისპუტში ოპონენტებად გამოვიდნენ ვოლფგანგის მეინახე ქაბუკები. ასე  
რომ საქმე სასურველად დასრულდა. საღამოს დიდი ნადიმი გადაიხადეს.

საუნდერსიტეტო პრომოცია 1771 წლის აგვისტოში მოხდა.

სეჯულისდებისა, მედიცინისა და ლიტერატურის გარდა ვოლფგანგი ამ  
ხანებში დიდ ინტერესს იჩენს სიძველეთა მკვლევრობისადმი. იგი ეცნობა ადგი-  
ლობრივი მუზეუმების ექსპონატებს, სწავლობს როგორც უძველესი რომაული  
პერიოდის, ისე ელზასის საშუალო საუკუნოების ძეგლებს. ამ საქმეში ახალ-  
გაზრდა გოეტეს დიდმფარველობას და ხელმძღვანელობას უწევს ობერლინ.  
მანვე მიაქცია ვოლფგანგის ყურადღება გერმანელ მინერალოგებისა და გმირუ-  
ლი ეპოსისადმი.

ელზასში ყოფნამ ფრანგულშიაც. ძლიერ გაწაფა გოეტე რგი ბავშვობი-  
დანვე ბეჯითად სწავლობდა ამ ენას, საერთოდ მისი მეგობრები და სუფრის  
მეინახეები მეტწილად ფრანგულად ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ლერზენი ერთდ-  
ბოდა ფრანგულს.



იმ ეამად ვოლტერი ჰქუბდა, პროტესტანტულად განწყობილ გოეტეს არ ესმოდა თუ რათ ანთბეცდა ვოლტერი ამდენ შხამს ეკლესიისა და ხუცების წინააღმდეგ, თუმცა უფრო გვიან ფაუსტის ავტორსაც არა ერთხელ ვაძიარებებია ხუცები ვესლიანი სარკაზმით.

არც ის მოსწონდა ახალგაზრდა გოეტეს, რომ ვოლტერს <sup>წინააღმდეგ</sup> დიდ ზედგავლენას და ამა ქვეყნის ძლიერებთან მეგობრობას პრინციპის გასაუმჯობესებლად იყენებდა. საფრანგეთის მეფეს სძულდა იგი, მაგრამ საშაგეიროდ ევროპის დანარჩენი მეფეები ძლიერ წყალობდნენ ამ გამბოროტებულ გენიას. გავიხსენოთ თუნდაც ფრიდრიჰ დიდი, ეკატერინა მეორე, გუსტავე შვეციის მეფე, პოლონელი პონიატოვსკა, კარლ ფონ ბრაუნშვაიგი, ჭრისტიან დანიის მეფე და სხვანი. თავად რომის პაპებიც შემთხვევას ეძებდნენ ვოლტერის გული როგორმე მოენადირებინათ.

შტრასსბურგშივე ესმოდა მას რუსოს ხმა, დიდრო და სხვა ენციკლოპედისტები თავიანთი სახელის ზენიტზე იდგნენ იმ ეამად. გერმანული ახალგაზრდობა უკრადლებას არ აკლებდა ამ მოძრაობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალ თაობას საომარ ლოზუნგად ჰქონდა: საფრანგეთის ლიტერატურის ზედგავლენისაგან თავი დაეღწია. რუსოს ბიგმაციონს ალტაცებით კითხულობდა შტრასსბურგელი სტუდენტობა.

უნდა შევნიშნოთ: ვოლტერის მიერ დაწყებულ ომს რელიგიის წინააღმდეგ არც თუ დრდის თანაგრძობით შეხვდა გერმანული ახალგაზრდობა შტრასსბურგში. მიინც უნდა რთქვას: გერმანული ლიტერატურული რევოლუციის ნიადაგი ფრანგული ლიტერატურის ზეგავლენის წყალობით შემზადდა. ამ რევოლუციის ენერგიულ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა გოეტეც.

ძალმოჭირბებული შტრასსბურგელი ახალგაზრდობა ნადიმობდა, შაირობდა მუშაობდა და სეირნობდა. გერმანული ახალგაზრდობა გამონაკლისია ამ მხრით მთელს ქვეყანაზე, იგი საუკრეოდ ათავსებს ყოველივე ამას.

ვოლფგანგი და მისი ტოლები უამრავ აბსურდულ შაირებს და ეპიგრამებს სწერდნენ. კვირაობით კი ექსკურსიებს და პიენიკებს მართავდნენ ელზასის მშვენიერ სანახებში.

ფრიდერიკეს შტრასსბურგში მოსვლამ ოდნავ გაბზარა მიჯნურის გული. ახლა ვოლფგანგი აშკარად გრძნობდა: მათ შორის რაღაც უჩინარი უფსკრული ითხრებოდა.

ჩვენს თანადრ ულობს კარგად არა აქვს გათვალისწინებული იმ დროინდელი წოდებრივი ურთიერთობანი. მაშინდელი საზოგადოება კასტურ კარჩაკეტილობით ხასიათდებოდა, და ეს კასტური პსიქოლოგია უთუოდ ახალგაზრდა ვოლფგანგსაც ახლდა. ვოლფგანგის მეგობრებში მხოლოდ ზალცმანმა იცოდა ფრიდერიკესთან რომანის ამჟავი.

შტრასსბურგიდან გამგზავრების წინ ასე სწერდა ვოლფგანგი ზალცმანს: „ჩემს სულში იღრუბლება. საკმაოდ ფხიზლად ვარ, რათა ვერ გავიგო, რომ ლანდს ვეპოტინები, მიუხედავად ამისა, ხვალ უნდა ვინახულო იგი, ცხენი შეკაზმულია და მერმე მშვიდობით“.

ხოლო „დიხტუნგ უნდ ვარჰაიტში“ უფრო გვიან:



„...მქენჯნავი დღეები იდგა... როცა გამგზავრების წინ ცხენიდან ხელი გადავუწოდე, მას ცრემლები მოადგა თვალებზე. მეც გული ამეშლავდა. გაქუსლე ცხენი. აქ კი საოცარი გრძნობები წამომეწია. გონების თვალთვინებით ჩემივე თავი: ცხენზე ვიჯექი და ზენზენჰაიმისაკენ მივიდი. საფრანგულად ვეცვი, ისეთი, რაც აროდეს მცნობი. მტუტისფერი, ოღონდ ოქროსწიწკიანი ჩაგრატო კი გამოფხიზლდი, მოჩვენება გაქრა“.

კიდევ უფრო გვიან, ნანობდა: „გრეტხენი ძალით მომტაცეს, ანეტამ დამტოვა, აქ კი პირველი ცოდო ჩვიდინე: უმშვენიერესი გული უღარესად დავკოდე“.

## IX. შინგოზრუნავალი

ფრანკფურტში მობრუნებულ ახალგაზრდა იურისტს ოჯახში ცვლილებები დაუხვდა: პაპა ტექსტორი გარდაცვლილიყო. 1771 წლის სექტემბერში გოეტემ საადვოკატო ფიცი დასდო. მამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გულხშიერი დედა კარგად ამჩნევდა: ამ სიხარულის მიუხედავად მამას ბევრი რამ არ მოსწონდა ახალგაზრდა ვეჟილის ყოფაქცევაში. ამიტომაც ფრანკფურტი იმის ცდაში იყო: მამასა და შვილს შორის არსებული ტემპერამენტის სხვაობანი როგორმე კეთილი შთაგონებით გაექლიბა. მამას თავისი შვილის იურიდიული კარიერისაკენ ეჭირა თვალყური, ხოლო ვაჟი ამ კარიერის გადაღმა იმხირებოდა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ვეჟილი ველარ იტყვდა თავის პოეტური ბუნების მიერ ნაკარნახევ ექსცენტრიულობას. ფრანკფურტისაკენ მომავალმა მაინცში ერთი ახალგაზრდა ციტრის დამკრეელი ვაჟი გაიქნო. არც აცივა, არც აცხელა და ეს მოხეტიალე მუსიკოსი ფრანკფურტში დაჰპატიჟა, რადგან ფრანკფურტში იმ დღეებში ტრადიციული იარშარკა უნდა გამართულიყო. მაჰატიჟებისას დაჰპირდა კიდევაც მეციტრეს: ჭეენას უნდა ჩამოხტე, და შეძლებისამებრ დაგეზმარებიო. გოეტეს მუდამ უყვარდა ახალგაზრდობის წახალისება, ესეც ერთ ერთი მოტივი იყო ამ დაჰპატიჟებაში. ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ შეხედებოდა ამ ამბავს ვოლფგანგის მამა — ამჰარტაჟანი და ბიუროკრატი. „ვილაც მოხეტიალე მუსიკოსი“ უნდა მიეღო ოჯახში?

დედამ წინასწარ განსკვრიბა — ეს ამბავი დიდ ზღვაურს დაატრიალებდა. ამიტომაც იზრუნა და მკობლობაში დააბინავა მეციტოე. ვოლფგანგი ჟამიდან ჟამზე დადიოდა მასთან, შეძლებისამებრ ეხმარებოდა, მეგობრებს აცნობდა და უჭებდა მეციტრეს.

ხომ დიდი ფორმალისტი და მშრალი მორალისტი იყო გოეტეს მამა, ამავე დროს ფრიად ნახ მზრუნველობას იჩენდა შვილის მიმართ. შტრასსბურგში ყოფნის დროს გოეტეს შრავალი ლექსი, ნარკვევი და გამოკვლევა ჰქონდა დაწერილი. ეს ყოველივე მუყაითად შეკრიბა, შეკინდა მამამ.

ბევრი მეგობრები კვლავ მოგროვდნენ ვოლფგანგის გარშემო: შერკი, ჰორნი, რიიზე, ძმანი შლოსერ.

ამ წრეში ვოლფგანგზე მომეტებული გავლენა ჰქონდა შერკს. იგი ჩინებულად იცნობდა ახალ ლიტერატურებს. ისტორიულ მეცნიერებებში ფრიად გან-

სწავლული იყო. მას ბევრი უმგზავრია, უფრო მეტი უსწავლა. იგი ახოვანი იყო, მაგრამ კაფანდარა, წაწვეტებული ცხერი ჰქონდა, ცისფერი (რთაც მტუტისფერი) თვლები აქეთ იქით გაურბოდა, და ეს ვეფხისებურ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს. ბუნებით ყოჩაღი, კეთილშობილი და იმეფისწინა მკაცრი, რატომღაც მთელი ქვეყნის მიმართ გაბოროტებული იყო... *განმარტობა*

მისი დინჯი ბუნება ეამიდან ეამზე იიმღვრეოდა და ისეთ რამეს ჩაიდენდა, რაც მეორე ადამიანს უთუოდ გულს ატკენდა, ზიანს მიაყენებდა, ან აწყენინებდა.

მიუხედავად თავისი დიდი ერუდიციისა, მერკი ლიტერატურაში უნაყოფო დილეჟანტის ტიპს წარმოადგენდა. ასეთი ადამიანები დიდის უანგარობით სწავლობენ ხელოვნებებს და ლიტერატურას, მაგრამ მათ უკანასკნელ მომენტში შემოკმედების სტიმული შემოაკლდებათ და ამიტომაც მათი ერთად ერთი როლია ამ ქვეყანად: სხვა წააქეზონ და სხვას შესთავაზონ თავიანთი იდეები. გარდა ამისა, მერკი პრაქტიკულ საქმიანობას იყო გადაყოლილი და ლიტერატურისათვის არც არაოდეს მოუცლია სერიოზულად.

ფრანკფურტელების გარდა, დარმშტატელი ლიტერატორები და მსწავლულებიც დიდ ზედგავლენას ახდენდნენ ახალგაზრდა გოეტეზე. ესენი იყვნენ: გეჰაიმრატ ჰესსე, პროფესორ პეტერსენ, რექტორ მენკ, ჰესსეს მეუღლე და მისი და: ფროლინ ფლასლანდ, ჰერდერის საცოლე.

ამ წრეში კითხულობდა ვოლფგანგი თავის ახალსა და ახალ ქმნილებებს. აკრიტიკებდნენ, აქებდნენ, აქეზებდნენ ახალგაზრდა გოეტს და ეს ყოველივე ხალისსა და გამბედავობას ჰმატებდა მას.

ფაუსტი უკვე დაწვებული ჰქონდა, გოეტე ფონ ბერლიზინგენ დასასრულისაკენ მიიწევდა. ვოლფგანგი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგაც სწავლობდა და მუშაობდა. ბეჯითად ეცნობოდა საშუალო საუკუნეებს. ამ ხანებში გამოსცა მან პატარა გამოკლევა: გერმანული ხუროთმოძღვრება. Von deutscher Baukunst D. M. Ervini a Steinbach.

საშუალო საუკუნის შესწავლამ, ლუთერის პიროვნების დაკვირვებამ იგი თეოლოგიურ საკითხებს დაუკავშირა, სწორედ ამ ხანებში მომეტებულად დაინტერესდა გოეტე ბიბლიით. სწავლობდა, ებრაულ ტექსტს ადარებდა და თავისებურად აკრიტიკებდა კიდევაც ამ ნაწარმოებს. ცხადია, ამ ქმნილებაში გოეტე უძველესი პროზის ოსტატურ ნიმუშებს ხედავდა უპირატესად. სწორედ ამგვარად შესწავლის ნაყოფია ის გარემოება, რომ იობის წიგნმა ეგზომ დიდი ზედგავლენა მოახდინა გოეტეს ფაუსტის სუფეთურ ნაგებობაზე.

ჰერდერთან ურთიერთობა ისევ განახლდა. ჰერდერს უგზავნის ვოლფგანგი თავის შერეობილ ხალხურ ლექსებს, სთარგმნის მისთვის ოსიანის რამოდენიმე ტეზას. ბერძნულსაც ბეჯითად სწავლობს, პლატონსა და პომპერს დაწერილებით ეცნობა. განზრახული აქვს დასწეროს დრამა, რომლის მთავარი გმირი სოკრატეს უნდა ყოფილიყო.

კლოპშტოკსაც დიდის ყურადღებით შესცქეროდა გოეტე. იმ ხანად კარლ ფონ ბადენმა კლოპშტოკი თავის სასახლეში მიიწვია.

ამ ფრიად განათლებულსა და გონებამახვილ პოეტს მისი ამოცანა უნდა დაემშვენებინა. კლოპშტოკის ოდებს ხელით იწერდნენ და ასე ავრცელებდნენ მიუღეს გერმანიაში.

კლოპშტოკმა ძლიერ ასწია გერმანელი მწერლის ავტორიტეტს და სწორედ ამ ხანებში იწყება გერმანული ნაბეჭდი წიგნის კომერციულ ხი-დაგზე დაყენების საქმე. წიგნით მოვაჭრეებმა ჯიბეები გაისქელეს. კლოპშტოკმა თავად გამოაცხადა ხელის მოწერა თავის „მეცნიერთა რესპუბლიკაზე“. ამ ხანებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „მუზენ ალმანახის“ გამოცემაზე. ფრიად გაცხოველებული ლიტერატურული ცხოვრების მიუხედავად გოეტეს შინაგანი განცდებიც აღელვებდნენ. ფრიდერიკეს უკანასკნელი, გამოსათხოვარი ბარათი მისწერა, პასუხიც მიიღო და სწორედ ამ პასუხმა გული მოუკლა. ამ დარდის გასაქარვებლად მან სპორტს მიჰყო ხელი. ცხენოსნობას ეწეოდა, ფარიკაობდა და ზამთრობით ყინულზე სრიალებდა. აქაც კლოპშტოკის მალაღობათეთიურმა ოდებმა წაახალისეს დარდიანი პოეტი.

„და გარნა უკვდავი არ უნდა იყვეს,

„ვინაც ჩვენ გვარგუნა ლხენა და ჯანი“?

ვოლფგანგი ზშირად ფეხით დადიოდა ფრანკფურტიდან დარმშტატში და აქ ქალაქის მახლობლად, ბესსუნგის ტყეში ნადიმებს მართავდნენ მეგობრები და შეინახენი. ეს ის დრო იყო როცა ჰერდერი და რუსსო გონების ძალას გრძნობისას უქვემდებარებდნენ. ნადიმებს ქალებიც ესწრებოდნენ. შეხარბოშებული ქალვანნი განუკითხავად ეალერსებოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს, როცა ნადიში, ლექსების წაართქმა, თხრობა და ცეკვა მოთავდებოდა. ჰერდერის საცოლვე კაროლინა ფლახსლანდ ხან გოეტეს ჰკოცნიდა და ამ გზით ჰერდერს გაახელებდა, ხანაც მერკს მიუშვერდა ტუჩს საკოცნელად და მის მეთლ-ლეს გაანჩხლებდა.

## X. შარლოტბა ბუფს

მამამ უკარნახა გოეტეს: ვეცლარში გადასულიყო. ვეცლარში იყო მაშინ ა. წ. „რაინსკამერგერიხტ“—გერმანიის სახელმწიფო სამსჯავროს ა.წ. კამერა.

ვეცლარი პატარა ქალაქი იყო იმ დროს, სულ 5-ოდე ათას მცხოვრებს ითვლიდა. აქ გაეცნო ვოლფგანგი რამოდენიმე ფრიად გონებამახვილს, მაგრამ გადგვარების სტადიაში გადამდგარ არისტოკრატს. თავის ავტობიოგრაფიაში ირონიული ტონით იხსენიებს იგი გრაფ კილმანსვეგს, გულჩახვეულსა და მღუ-მარე აზნაურს ფონ გუესს. ფონ გუე რალაც საოცარი და იღუმალი „რაინდების კავშირის“ შთამოგონებელი და ხელმძღვანელი იყო. ამ ხანებში ევროპული რაინ-დობა უკვე გამახსარავებული იყო მიგუელ სერვანტესის მიერ, თავად გერმანიაშიაც იგი სულს ლაფავდა. ამის მიუხედავად, ფონ გუესს ორდენის წევრები დიდის სე-რიოზულობით ეკიდებოდნენ ამ „საქმეს“. „თვით რაინდად „დაქვედა“ უძველესი ტრადიციების მიხედვით ზღებოდა. საჭირო სიმბოლოები სხვადასხვა რაინდული ორდენებისაგან ჰქონდათ ნასესხები. რაინდების სიას კიდევაც ბეჭდავდნენ.“ მოსახლეობა დასცინოდა ამ უსაზნო საქმიანობას, მაგრამ რაინდები ამ დაცინვას

არ ეპუებოდენ. სასჯელითაც კი ემუქრებოდნენ გამჭირდავებს. საერთოდ ამ ორდენს მისტიურ ხასიათს აძლევდნენ. ორდენს რაღაც იდუმალი მოსახრებით სახელს არ არქვევდნენ. ორდენი სამ ხარისხად იყო დაყოფილი. პირველს: „გადასაველს“ უწოდებდნენ, მეორეს: „გადასაველის გადასაველს“, ხარისხ მესამეს: „გადასაველის გადასაველისაქენ გადასაველს“. ახალგაზრდობაში გრეტეს მისთვის მას-სონურ ისტორიებში გაუყვია თავი, მაგრამ ამ შლეგურ ორდენს მაინც ვერ გაუგო ავანჩავანი და ბოლოს მოსაწყენი ეჩვენა იგი.

1772 წელს ერთ ერთი მისი თანამედროვე ასე ახასიათებს გოეტეს:

„მას მრავალი ტალანტი მოეპოვება, კემშარტი გენიაა და ხასიათით განმკვიდრებული ადამიანი, უაღრესად ცხოველი ფანტაზიის პატრონია, ამიტომაც ხატოვანი თქმანი სჩვევია. თავადაც აღვიარებს: პირდაპირი გამოთქმა მიმძიმსო, პირდაპირ გამოთქმას მუდამ ვერიდებო, როცა კი ხანში შევალ, იმედი მაქვს აზრებს ისე გამოეთქვამ, როგორც თავად არიანო.“

იგი ყოველგვარ აფექტებში ფიცხია, მაგრამ ხშირად საკუთარი ბუნების დაოკებას ახერხებს. მისი აზროვნების მანერა კეთილშობილია, ისე მოქმედებს როგორც მას თავად მიანია მიზანშეწონილად, სრულიადაც არ დაგიდევს სხვას მოწონება თუ არა მისი საქციელი, არც მოდის მისდევს, არც თუ შაბლონურ შეხედულებებს ექვემდებარება, ყოველივე ძალადობის მტერია. ბავშვები უყვარს და სიამოვნებით ერთობა მათთან.

„იგი ფანტასტია და მის გარეგნობაში და საქციელში მრავალრამეს იპოვნით უსიამოს. ბავშვებს, ქალებს და სხვებს ძლიერ უყვართ იგი. ქალთა სქესს მოკრძალებულად ეტყევა. პრინციპებში იგი ჯერაც არაა მკვიდრად, მაგრამ განსაზღვრულ სისტემას მაინც ეტანება. რუსსოს დიდად აფასებს, მაგრამ მისი პრმა თავჯანისმცემელი როდია. მას ორტოდოქსი ვერ შეერქმევა, მაგრამ ეს არც სიამაყით მოსდის, არც თუ თავმოთნეობით.“

„სერიოზულ საკითხებზე ბევრს არ ეკამათება, მაგრამ არავის აზროვნებაში არ შეიჭრება.“

„სექტიციზმი სძაგს, კემშარტებას ეტანება და დეტერმინისტია.... ეკლესიაში არ დადის, არც მწუხრს ესწრება, იშვიათად ლოცულობს; ასე ამბობს: საამისოდ სიცრუეს ჯერაც ვერ მივჩვევივარო . . . . . მშვენიერი ხელოვნებანი და მეცნიერებანი მისი უმთავრესი სავანია, „პურის მეცნიერებებს“ არ ეტანება.“

სწორედ ამ წელს გოეტეს გულისყური შეპყრობილი ჰქონდა შარლოტტე ბუფფს, რომელიც მოგვიანებით მისი „ვერტერის ვენებანის“ გმირი ქალის ლოტტეს პროტოტიპი შეიქმნა. შარლოტტე ბუფფ ადრე დაჭრივებული, ხანში შესული ვერმანელი მოხელის ქალი იყო. ათიოდე ობოლ დაძმას დედობრივის მზრუნველობით უვლიდა (ისევე როგორც ლოტტე—ვერტერში). თუ გოც ბერლინბინგენის პოეტურ ანდაზად გოეტემ საშუალო საუკუნის რაინდული ყოფა გამოიყენა, ვერტერის ვენებების ისტორიული ჩარჩო მე. 18 საუკუნის ვეროპული სინამდვილე იყო, ის იდილიური საყარო, რომელშიაც გაბატონებული იყო რუსსოეზური გრძნობის პრიმატი. ფრიდერიკესთან გაყრის შემდეგ გოეტეს გულში სიკარბიელ სუფევდა და ეს უფსკრული შარლოტტე ბუფფმა ამოავსო.

სინამდვილეში გოეტეს დაუპირდაპირდა პრაქტიკული, „გონების კაცი“ კესტნერი, ისე როგორც რომანში ვერტერს ალბერტი. ლოტტე უკვე დანაშაულის იყო კესტნერზე, როცა გოეტე ამ რომანის შესაშვ პირი გახდა. იგივე ტრეპერტი განაწილები მოხელის ოჯახი, გერმანელი სოფლური იდილია. კესტნერი განაწილები რა მძიმე იყო მისთვის ბრწყინვალე გარეგნობის, უაღრესი განათლების და დიდი პოეტური გენიის მატარებელთან პაექრობა, მაგრამ იგი ნაკლებად ფიცხი იყო ვიდრე გოეტე, ნაკლებად გრძობიერი, ნაკლებად ფანტასტი, მისთვის დაკეტილი იყო ის დემონიური ბუნების ბჭეები, რომლის თანახმარად გოეტე მუდამ სთვლიდა თავის თავს. და შესაძლოა ეს გონიერი და ზომიერი საშუალება, რომელიც ოჯახური ცხოვრებისათვის მუდამ უპირატესობას იხვევს ხოლმე ქალის თვალში. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მომენტი.

ისევე როგორც ვერტერის რომანში, გოეტე კოცნას გაუბედავს ლოტტეს და კეთილსინდისიერი, ბიურგერულ წესიერების მიხედვით აღზრდილი ქალი თავის საქმროს კესტნერს ამცნობს ამ ამბავს.

ამის შემდეგ ლოტტე დაბეჯითებით უცხადებს ვოლფგანგს რომ უკვე დანაშაულ ქალისაგან მას შეეძლება მხოლოდ მეგობრობა მოითხოვოს და სხვა არაფერი. — გოეტე (იმ დღეს) ფერმკრთალი და დარდიანი წავიდა.

რამდენად ძლიერია გენიალური პოეტის არა მარტო გამოგონებული სიტუაცია, არამედ პირადი განცდაც!

ვერტერის დაწერის შემდეგ ვინ იცის რამდენმა ქალმა გაუმეორა ეს სიტუაციები თავის მოაშიყეს და რამდენმა მწერალმა ათქმევინა სწორედ ასეთი დღეიკატური უარი თავის რომანის გმირ ქალს მოაშიყე შესაშვ პირისათვის. საკვირველია: სწორედ ამ ამბავის შემდეგ ლოტტეს მამის სახლში ერთსადაიმამე ზღეს გადაიხადეს კესტნერისა და გოეტეს დაბადების დღე.

გოეტე ისევე ვეცლარში დარჩა. ჩვეულებრივად განაგრძობდა თავის იურისტულ საქმიანობას, ჰომერს და პინდარს კითხულობდა, ოსიანს სთარგნიდა, „ფრანკფურტელ გელეპრტენ ანციციგენ“-ისათვის წერილებს სწერდა.

მიუხედავად ამისა, მის გულში მობობოქრე ვნებების ზღვა არ დამცხრალა. უაღრესად საინტერესოა ეს მომენტი გოეტეს ცხოვრებისა და შემოქმედის პსიქოლოგიის შესასწავლად. ცხადია, ახალგაზრდა გოეტე უთუოდ დიდი თავმოყვარეობით იქნებოდა აღვსილი.

ჯერ პატარა კაცუნას: ც ფრიად შეურაცყოფს ხოლმე ქალისაგან მიღებულ უარი და ეს მით უმეტეს სამძიმო უნდა ყოფილიყო თავის საუკუნის უმწვენიერესი ქალებისა და უჭკვიანეს მამაკაცების მიერ განებივრებული გოეტესთვის და მართლაც იგი იმ ხანებში ხშირად ფიქრობდა: თავი მოეკლა.

სინამდვილეში განცდილი სულიერი კატასტროფა მოახლოებული იყო და რალაც უნდა მომხდარიყო, რომ ეს ცხადივი ტრაგედია ზმანებაში, შემოქმედებაში არ გადაეტანა.

სწორედ ამ დროს, თითქმის ანალოგიური უმედვეო გამიჯნურების მსხვერპლი ხდება ახალგაზრდა იერუხალიმი. სწორედ ეს იერუხალიმი აიღო გოეტემ ვერტერის პროტოტიპად. იგიც საელწოში მსახურობდა, საშუალო ტანისა იყო, ცისფერ თვალმზიანი, მსაც ცისფერი ფრაკი ეცვა, ყვითელი ქოლტი და შარ-

ვალი, გოეტე მას რამდენჯერმე შეხვედრია საერთო ნაცნობებთან. იერუსალიმის თვითმკვლელობის ამბები ჯერ კანტიკუნტად მოდიოდა, შემდეგ კი დეტალურმა ცნობებმაც მოაღწია. და აქ განცდილი და გაგონილი გადაეჯერა უნდოვრის, „მთელი მასალა ყოველის მხრიდან შეიკრა და შედგა, ისევე როგორც უნდოვრის მოქცეული წყალი იმ მომენტში, როცა იგი გაყინვის პროცესშია და ასეთ შემთხვევაში სულ მცირეოდენი გაქანებაც კმარა, რომ ეს თხიერი მასალა ერთ წუთში მკვიდრ ყინვად იქცეს“.

ამ ღრმა განცდებმა შემოქმედებაში იპოვნეს გამოსავალი და ოთხ კვირაში „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ დაიწერა.

## XI. სოფიი ლაროშ

ამ უბედო რომანის შეწყვეტას თავიდანვე უჩაგვდა გოეტეს მისი მეგობარი მერკი. სწორედ მერკის ზეგავლენით გადასწყვიტა მან ვეცლარიდან წასვლა. 11 სექტემბერს 1771 წლისას მან დაავლო ვეცლარი. მერკი თან ახლდა. ლოტტეზე ფრად მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა გოეტეს გამოსათხოვარმა ბარათმა. ვაილბურგ-ლიმბურგ-დიციდან ემსამდის მიალწია. ემსიდან ნაეს გაჰყვა რაინით ობერლანშტაინისაკენ. პოეტი ალტაცებაში მოიყვანა რაინის მშვენებამ. რაინის პირად მაღალ სერზე სდვას ფეოდალური კოშკი ეჭრენბრაიტშტაინი. ამ კოშკში სცხოვრობდა დიდი არისტოკრატი და ვოლტერის მიმდევარი გეჰაიმრატ ლაროშ. ლაროშ „ხუცების“ დიდი მტერი იყო. მან ერთ ერთ უსახელოდ გამოქვეყნებულ წიგნში ხუცებისა და ბერების წინააღმდეგ გაილაშქრა კიდევაც. მაგრამ ვოლფგანგს თავად ლაროშზე უფრო აინტერესებდა მისი შეუღლე სოფიი ლაროშ—კობლენცის სანტიმენტალად მოაზროვნე ლიტერატორთა ლიდერი და მეცენატი. ჯერ კიდევ ამავე წელს რამოდენიმე მწერალს, ვილანდის თაოსნობით, პატარა კონფერენცია ჰქონდათ გამართული. ამ ყრილობაზე პოეტებმა ცრემლების ფრქვევით შეფიცეს ურთიერთს მუდმივი მეგობრობა.

სოფიი ლაროშ ოდესღაც ვილანდის საცოლე იყო. მაღამ ლაროშის სალონში თავს იყრიდა მთელი მაშინდელი გერმანიის დიდი მწერლები და პოეტები. გოეტემ პომბურგში გაიცნო იგი, მაგრამ, პირველად არ მოეწონა მისი წრესგადისული კოცეტობა. ხოლო როცა, ეჭრენბრაიტშტაინის მდიდრულად მორთულ დარბაზებში შეხვდა ამ ქალს, მისმა კოცეტობამ და ელევანტობამ გოეტეს ყურადღება მიიქცია. არც მისი ახალგაზრდა ქალები დაუტოვებია უყურადღებოდ.

ლაროშის ოჯახთან მას ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა: „მამასთან მსოფლიო კაცობა აკავშირებდა, დედასთან ბელეტრისტული და სანტიმენტალური მიდრეკილებანი, ხოლო ქალებთან—სიკაბუჟე“.

ოჯახის დედამ ალტაცებაში მოიყვანა პოეტი, რადგან იგი „საოცარი ქალი იყო, უბადლო იმ დროში. მაღალი, კაფანდარა და ნაზი აღნაგობისა... რამოდენიმე წლის განმავლობაში მუდამ ერთფეროვან სტილზე იცვამდა, კონტა „ჰობიზენ“ უმშვენებდა პატარა თავს, ხან ყავისფერი ტანისამოსი ეცვა. ხანაც სოლიდური ნაცრისფერი. ყოველი ადამიანისადმი თანაბარ ურთიერთობას იჩენდა. მეუღლის ობუნჯობას, მეგობრების ტფილ დამოკიდებულებას, ბავშვების

აღერსს თანაბრად ლებულობდა და შეუდამ უცვლელი რჩებოდა. უცვლელ-  
ვლად, მშვიდად, გონება მახვილ საუბრებში გართული, უწყინარად სტუო-  
რობდა გოეტე ეპრენბრაიტშტაინის კოშკში. მალე მერკი და მანაჰაიმი ჩა-  
მოვიდნენ სტუმრად. აქ კი ახალი „შერჩევა“ მოხდა, მერკი თავად იჯანის შამას  
დაუმეგობრდა, მერკის ვაჟი დელაროშინათ ვაჟებს აჰყვა, ხოლო ლაროშის ქალი-  
შვილები გოეტეს ერგო. გოეტე შეუდამ სიამით განიცდიდა იმ მომენტს, როცა  
ძველი გრძობა ნელ-ნელა ჰქრება და ახლად ჩასახული ტრფიალი ბუნდოვანად  
იღვიპებს გულში. იგი მომეტებულის თანაგრძობით ექცევა უფროს დას. ასეთ  
მომენტს გოეტე ადარებს შებინდების მწუხრს: „როცა ჩამავალი მზის გასწვრივ  
მთვარე გამოჩნდება და გული ზეიმოვს ზეციური მნათობების ორმაგი სინათ-  
ლის მკერეტელი“.

ახალგაზრდები რაინის სანახებში დასეირნობდნენ, ხან ფეხით, ხან ნავით.  
პოეტი სტუბებოდა ბუნების მომზიბლველი სანახაობით. ხანაც ლანდშაფტებს  
ხატავდა თავის სამახსოვრო ალბომებისათვის.

თავად მადამ ლაროშ აქამდის ვილანდს სთვლიდა გერმანიის ლიტერატუ-  
რის ბელადად და აღმოჩნდა ცთომილად. მაგრამ დრო და ახალი თაობა ვი-  
ლანდის წინააღმდეგ იბრძოდა. გოეტესთან დაახლოვებამ იგი საესებით გადა-  
ტყორცნა გოეტეს ბანაკში.

მერკი იტყობდა: ეპრენბრაიტშტაინში დაყოვნება ვოლფგანგის გულში  
ლაროშის უფროსი ქალისადმი მიდრეკილებას გააძლიერებდა, ამიტომაც წასვლა  
დააჩქარა. ეპრენბრაიტშტაინიდან ხოშლდით იმგზავრეს მაინცამდის.

## XII. იოჰანა ვალნერ და მატხე ბრინტანო

დროს თავისი ხარკი მიჰქონდა.

გოტენათ ოჯახში ცვლილებები დაიწყო. გოეტეს დას კორნელიას ცოლად  
იქთავს გოეტეს მეგობარი გეორგ შლოსსერი. შლოსსერი ფრიად განსწავლული  
ლიტერატორი იყო თვის დროში, მაგრამ ქალები მას მოსაწყენ კაცად სთვლი-  
დნენ. კორნელიამ რატომღაც პედისწერად ჩასთვალა მისგან მიღებული წინა-  
დადება და თავმოდრეკილად დაექვემდებარა ამ „წერას“. ვოლფგანგის გულში  
ჯერაც არ იყო ამოვსებული „ლოტეს დაკარგვისაგან“ დარჩენილი უჟსკრული,  
ახლა თავისი სიყრმის მეგობარი, სათნო და გულხმიერი დაიკო გათხოვდა.

კორნელია და მისი მეუღლე ხშირად მოდიოდნენ გოეტესას. ზამპარის სა-  
ლამოებში ფრანკფურტელი ძველი მეგობრები უსხდნენ ბუხარს, ხან მუსიკით  
ერთობოდნენ, ხან წართქმით, ხან ცეკვით, ხანაც ვოლფგანგი უკითხავდა მეგო-  
ბრებს თავის ახალ ქმნილებებს. ამ სალამოებს ხშირად ესწრებოდნენ სოფიი ლა-  
როშ, მისი უფროსი ქალი, რიიზე, პორნი, პასიანტ, იაკობის და ფალნერის ქა-  
ლები. გოეტე ზერელედ ვაშიკებოდა სუსანე მაგდალენე მაუნსს, ხანაც მად-  
მუაზელ ლაროშს, ხანაც გეროკის და მერკის დებს, რომელთაც ასე ახსენებდ-  
ნენ: *formées d'après l'idéal de notre Goethe*.

ახალგაზრდა მეგობრებმა ლოტეს ადგილი მაინც ვერ დაიკავეს.



ბოლოს კორნელას და გოეტეს დედის მეგობარი იოჰანა ფალენერ ხდება მისი მიჯნურობის საგანი. იოჰანა ფალენერს მამა ადრე გარდაეცვალა, დედასთან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა და ამიტომაც დიდ მწუხარებას განიცდიდა. სწორედ ლოტტეზე „მგლოვიარე“ ვოლფგანგი შეეყარა მასთან. მწუხარებულნი დაკავშირა ახალგაზრდები.

ამასობაში მასვე ლაროშ თხოვდება, ერთ ფრანკფურტელ ვაჟარს მიჰყვება ცოლად. გოეტეს გულში ძველი ტრფობა იღვიძებს. ერთბაშად გოეტეს მიწერმოწერაში მაქსე ბრენტანო ლებულობს გოეტესთვის ჩვეულ ტიტულს; „ანგელოზი“. გოეტეს მუდამ უყვარდა ყინულზე სრიალი და ახლად გათხოვილი მასვე, რომელიც მდიდარი ვაჟრის ხელში დიხაბაც დარღობდა, გოეტეს პარტნერი ხდება ამ სპორტში.

ვოლფგანგი ბრენტანოს სახლში ხშირი სტუმარია. ახალ პატარძალს ართობს, ხან მუსიკით, ხან ლექსებით, ხან სეირნობით. მოკლედ: იგი მაქსეს გულის მესაიდუმლე ხდება. და ეს ურთიერთობა მანამდის არ შეწყვეტილა, ვიდრე ვოლფგანგის გულში ახალი „ანგელოზის“ ტრფიალი არ შეიჭრა.

1773 წლის ზაფხულში გოეტე ამთავრებს თავის დიდს დრამას: „გოტე ფონ ბერლიხინგენ“. წიგნი მან თავად გამოსცა.

თავად გამოსცა, რადგან დარწმუნებული არ იყო, რომელიმე გამომცემლისათვის რომ შეეძლია, ხელაწერს უკან არ დაუბრუნებდნენ. თანადროული კრიტიკა მძაფრად ეკიდებოდა გოეტეს. „დოიჩე შერკურის“ ფურცლებზე ვილაც „გონება შეზღუდულმა“ კრიტიკოსმა ნაწილობრივ აძაგა ეს დრამა. იმავე ეურნალში ვილანდი გამოექომაგა გოეტეს. მეგობარი მერკი გვერდით უდგა ავტორს და გულს უმაგრებდა. გოეტეს გამო დიდი მითქმამოთქმა გაიშაროთა. ზოგის აზრით „ნოტემით უნდა გამოეყა“ ავტორს, ზოგიც ასე ამბობდა: „ისტორიას ლალატობს“. მოდიოდნენ გოეტესას ნაცნობნი და უცნობნი, ყოველკაცს თავისი პრეტენზიები ჰქონდა, ზოგი უწუნებდა, ზოგი უწონებდა, ზოგი ჭკუას არიგებდა. ერთმა გამომცემელმა წინადადება მისცა „თორმეტი ამგვარი დრამა დაეწერა და მისთვის მიეყიდა“ პოეტს. ეს ის დრო იყო, როცა წიგნით ვაჭრობა ახლად ფეხს იდგამდა გერმანიაში. მხოლოდ „ვერტერის“ რომანისთვის ლებულობს გოეტე ჰონორარს, ამ ჰონორარით პოეტი „გოეტესთვის“ აღებულ ვალებს ისტუმრებს.

### XIII. ლაფატერი

ჭერდერის, ვოლტერის, შექსპირის რუსსოს გარდა გოეტეს სულიერ სამყაროზე დიდი ზეკავლენა ჰქონდა ლაფატერსაც. მალე მიწერ-მოწერაც გაიმართა გოეტესა და ლაფატერს შორის. ლაფატერი თავის დიდი ფიზიონომისტურ შრომებისათვის ემზადებოდა. ლაფატერი ისეთი წინასწარმეტყველური პათეთიზმით აღჭურვილი პიროვნება იყო, როგორც ჩვენს თანადროულობაში მოგვეპოვება გეორგეს, რუდოლფ შტაინერის და გრაფ ჰერმან კაიზერლინგის სახით. იგი მთელს ქვეყანას მოუწოდებდა ნახატები, ნახაზები, ქრისტეს სურათები და სხვა მისთანანი გავგზავნათ მისთვის.



პირადად გოეტესაგან დაეინებით მოითხოვდა, ქრისტეს სურათი დაეხატა ისე, როგორც მას—გოეტეს თავად წარმოედგინა და გაეგზავნა მისთვის. გოეტეს ამ ამბავმა ირონიული ღიმილი მოჰგვარა მხოლოდ. ზოგს იქვე შედიოდა ლაფატერის „წინასწარმეტყველობაში“, უწინარესს ყოელისა, მის „ფიზიონომიკურ“ მაგრამ სახუმაროდ მაინც უგზავნიდნენ ნახატებს.

ლაფატერი დიდი ფანატიკოსი იყო, მას კაცობრიობა ქრისტეს სახით ჰყავდა წარმოდგენილი და ვერც კი გაეგო: როგორ შეეძლო ადამიანს ესუნთქა, ან ეცხოვრა ამ ქვეყნად და ქრისტიანი არ ყოფილიყო. გოეტე ამ ამბებს თითქმის გულგრილად ექცეოდა და ცოტა არ იყოს კიდევაც თავს აბეზრებდა მას ლაფატერის ასეთი ენერგიული პროპაგანდა. ლაფატერმა ველარ მოითმინა და დაბეჯითებით მოსთხოვა გოეტეს: ან ქრისტე უნდა გახდეს, ან ანტიქრისტეო. გოეტემ ასეთი პასუხი გასცა: თუ ქრისტიანობის ჩემებურ გაგებასაც არ შემარჩენ, მე ათეიზმს მივეყდვლები, მით უფრო რომ, როგორც ვხედავ, არავინ იცის ან ერთი რაა და ან მეორეო. ამ მიწერმოწერის მიუხედავად გოეტე დიდად აფასებდა ლაფატერის ღრმასა და თავისებურ ბუნებას. ლაფატერი რელიგიურმა საკითხებში სიჭაბუკიდანვე გაიტაცეს და ამიტომაც მღვდლად ეკურთხა იგი. ლაფატერმა სახელი გაითქვა თავისი „Aussichten in die Ewigkeit“. მისი უმთავრესი შრომა „Physiognomische Frangente“ (ფიზიონომისტური ფრანგმენტები).

იგი თავად შვეიცარიაში მუშაობდა, თავისი პირველი მოგზაურობის დროს ლაფატერი შეხვდა იმ დროინდელი გერმანიის მოწინავე კაცებს. გოეტე ლაფატერის მიწერმოწერა დიდხანს არ გაგრძელებულა, დათქმული იყო: ფრანკფურტში შეხვედროდნენ ურთიერთს.

მთელი საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა ლაფატერის ჩამოსვლას. გოეტე და ლაფატერი ისე შეხედნენ ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. „ვადაეხვიენ კიდევაც ურთიერთს“. გოეტე გაოცებული შესცქეროდა „ამ უბრალო და უაუზესად თავიკებურ ადამიანს, რომლის მსგავსი ჯერ არვის უნახავს და ველარც ვერავინ ნახავს ასეთს“.

მე კი სულ სხვაგვარად მყავდით წარმოდგენილი, ლულუღებდა ლაფატერი. ლაფატერი ისე გატაცებული იყო თავისი ფიზიონომისტით, რომ საზოგადოებაშიაც ველარ ითმენდა უწინა და მახინჯ გარეგნობის ადამიანებს. თავად ლაფატერი ძლიერ გამზადარი იყო, მკერდაზნეცილი და ოდნავ მოდრეკილი. გოეტეს თქმით, მას წეროსმაგვარი სიარული სჩვეოდა. მაგრამ მთელი მისი სახის გამომეტყველება, მისი სათნოება, მოკრძალებული თავდაპყრობა უაღრესად იზიდავდა მის მნახველს, ასე რომ ვინც შორიდან ვერ ითმენდა მის ფანატიზმს, ვისაც შორიდან სძაგდა ლაფატერი, იგი მისი აღნაგობისა და გამომეტყველების პირისპირ უთუოდ მოიხიბლებოდა.

მერკი მყისვე ფრანკფურტს ჩამოვიდა. თანადროული საზოგადოება ორბანაკად იყო გაყოფილი. ერთნი დასცინოდნენ, ხოლო მეორენი ქეშმარიტსადა ახალ მესსიას ჰხედავდნენ ლაფატერის სახით. თავად მერკი მეფისტოფელის როლს ასრულებდა ლაფატერის მიმართ.

ფრანკფურტში ლაფატერს ბინა მოუნზადეს თავყვანისმცემლებმა. განსაკუთრებით მისტიურად განწყობილი ქალები თავყვანს სცემდნენ ლაფატერს. და

როცა ეს თავიანთსმცემლები ლათატერის საწოლ ოთახში შედიოდნენ, მერკი ოხუნჯობდა თურმე:

— ლეთისმოსავეებს დიხაც უნდა აინტერესებდეს თუ სედა წყეს უფალი მათი.

გოეტე დიდის ინტერესით შესცქეროდა ლათატერისა და ფროლიან ფონ კლეტენბერგის შეხვედრას. ესეც შენიშნა, რომ მათი ქრისტიანობაში სულ სხვა და სხვაგვარი იყო. ფროლიან ფონ კლეტენბერგ ქრისტიანობაში მხედვედა საყვარელს, ხოლო ლათატერი თავის ქრისტიანულ პიროვნებას უპირდაპირებდა მაცხოვარს. მას ამოძრავებდა ქრისტიანული გახდომის წყურვილი.

გოეტე საერთოდ ერიდებოდა გარკვეულ, კატეგორიულ მსჯელობას რელიგიის შესახებ. ფროლიან ფონ კლეტენბერგისა და ლათატერის ზაასში, გოეტემ თავისებური პოზიცია შეირჩინა.

— რწმენაო? — ამბობდა გოეტე, უმთავრესია გრწამდეს რაიზე, სულერთია თუ რა გრწამს.

ესადია, ასეთი პასუხი არც ლათატერს მოეწონებოდა, არც ფროლიან ფონ კლეტენბერგს, ვინაიდან ეს არ იყო „მართლმორწმუნე ქრისტიანის“ აღსარება.

ამიტომაც გოეტე გაურბოდა ამგვარი საუბრების გაღრმავებას და ხშირად მიანებებდა ლათატერს იმათ, ვისაც ლათატერის რელიგიური ქადაგებების მოსმენა ახალ გამოცხადებად მიაჩნდათ.

ლათატერს ნამდვილად სწამდა კალიოსტრო. კალიოსტრომ დიდი აურზაური შექმნამე-XVIII საუკუნოში. იგი ასპარეზზე გამოვიდა გრაფ ალექსანდერ კალიოსტროს (Kagliostro) სახელით (თავად კი ჯიუზეპე ბალზამო ერქვა). მთელს ევროპაში დაწოწილობდა როგორც ექიმი, ბუნებისმეტყველი, ალქიმიკტი, მენცარი და სხვ. კალიოსტრომ ძველი ეგვიპტის მისტიური სექტის დიდიკოპტას რესტავრატორად გამოაცხადა თავი, 1785 წელს ფრანგებმა შეიპყრეს იგი და ბასტილიაში დაამწყვდიეს. აქედან განთავისუფლების შემდეგ რომში დაატუსაღეს და სამუდამო საპყრობილე მიუსაჯეს. როცა საუბარში ზემოდმოხსენებულ ფაქტებს მოაგონებდნენ ლათატერს, იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა; ეს სხვა კალიოსტრო იყო, თავად ნამდვილი კალიოსტრო ხელშეუვალი წმინდანიყო.

გოეტეს საბოლოო მსჯავრი ლათატერის შესახებ ასეთია: უნიათო მისტიციზმმა მის გენიას ფრთები შეაკვეცაო.

ქრისტიანულ მისტიკისათვის გოეტეს ბევრი უფიქრნია, მაგრამ დიდმა ბუნებისმეტყველურმა განსწავლამ, და ბერძნულ-რომაულ კულტორის ზეგავლენამ აღრე განკურნა იგი ქრისტიანული მისტიციზმისაგან. ეკერმანთან საუბარში იგი დასცინის იმ ფილოსოფოსებს, „რომელნიც ლეგენჯაზე ამყარებენ ადამიანის უკვდავების თეორიას. ეს ნამდვილი უსუსურობაა. ჩენი ყოფნის განგრძობის ცნება მოქმედებიდან იღებს სათავეს. თუ მე ჩემ აღსასრულამდი დაუცხრომლად ვმოქმედებ, ბუნება მოვალეა მეორე სხვა ფორმა ყოფნისა მომიზნოს...“

„რელიგია რომ ღმერთის მოგონილი ყოფილიყო, ვერავინ გაიგებდაო“. ადამიანის აღნაგობის შესწავლამ ანატომიამდის მიიყვანა იგი, მხატვრის ინტე-

რესებმა ოპტიკამდის, ლანდშაფტისადმი უსახლერო სიყვარულმა მეტაფიზიკოლო-გამდის. ეკერმანი ვიმოწმით:

„რამოდენიღე დღის წინად, როცა ნასამხრალზე ერფურტისაკენ მივ-  
დიოდი, ერთი მოხუცი კაცი შემომივიერთდა. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ გოე-  
ტზე ჩამოვარდა ლაპარაკი. კვითხე: გოეტეს თუ იცნობ მეტქმ?

— თუ ვიცნობო? ორი წელი მისი კამერდინერი ვიყავი.

როცა მას გავეცანი, იგი 27 წლის თუ იქნებოდა. ძალიან გამზდარი იყო, ნახი აგებულობისა, ასე რომ მე იოლად ავიტატებდი...

ერთხელ შუადღისას დამირეკა, როცა მის ოთახში შევედი, ვნახე: თავისი რკინის საწოლი ფანჯრამდის მიუჩოჩებია, წვეს და ცას შეყურებს.

— შენ ხომ არაფერი შეგინიშნავს ცახე?—მეკითხება. როცა უარი ვუთხარი.

— ერთი ძირს ჩაირბინე და გუშაგებს ჰკითხე, მათ თუ შენიშნეს რაიმე. მეუბნება. ძირს ჩავიზბინე, მაგრამ არც გუშაგებს უნახავთ რამე. ოთახში რომ შემოვბრუნდი, იქვე იწვა და ცას მიშტერებოდა.

— გესმის, მეუბნება, ჩვენ ფრიად მნიშვნელოვან მომენტში ვართ. ამ წუთში ან დიდი მიწისძვრაა სადღაც, ან ახლავე იქნება უთუოდ. გვერდით მომისვა და მიჩვენებს ცახე წინასწარ ნიშნებს.

— როგორი დარი იყო? ვეკითხები ბერი კაცს, განაგრძობს ეკერმანი.

— ძალიან მოღრუბლული. ჰაერი მდორე იყო, არსაიდან სიოც არ იძვროდა.

— მყისვე დაუჯერეთ თუ არა გოეტეს?

— დიახ ამბობდა იგი, მე მისი ძალიან მჯეროდა, ვინაიდან მისი წინასწარ-  
თქმა მუდამ მართლდებოდა. „მეორე დღეს, — განაგრძო მოხუცმა, — გოეტემ მახ-  
ლობებს უამბო თავისი დაკვირვებანი. ერთმა დამამ მეორეს წასწროხულა:  
„გოეტე ოცნებობს“. მალე ყველანი დარწმუნდნენ გოეტეს სიმართლეში. სწო-  
რედ იმ ღამეს მესსინის ერთი ნაწილი მიწის ძვრამ დააქცია“.

#### XIV. ლილი

„ჰე, ყრმაო, ყრმაო იფიზილე როგორმე! მზიური ჰუნენი  
დროისა, ბედისწერიისა ჩენის ეტლს მიაჭროლებენ  
იდუმალ ძალთაგან შემკრთალნი; და ჩვენ, ჩვენ სხვა რა  
დავგრძენია, თუ არა და მსნედ ვიყვეთ მათადისა. სადა-  
ვნი ბელმარჯვედ გვეპურას რათა ბოზბლები ეტლისა  
ვინძლო ავარიდოთ ღრანტებს და ყორვებს. ზოგან მზარ-  
მარჯვნით ვუბლებდეთ, ზოგანაც მზარპარცხნით. ვი-  
ნაიდან თავადაც არ ვიციოთ თუ საითვენ მიგვაჭრო-  
ლებს ჩვენ ეტლი იგი“.

D. U. W. წიგნი XX.

„თუ კი თქვენ ძალგიძთ წარმოიდგინოთ, ასეთი გოეტე გაღონებით შემკუ-  
ლი გეროკით, თავიდან ფეხებამდის ვალანტურად მორთული და მოკაზმული,  
კედლისა და კრონშანდლების ლიელივა სინათლის ქვეშ ნაირნაირ ადამიანე-  
ბის საზოგადოებაში მოფუსფუსე, ხან რომელიმე თვალმშენიერის მოთვალ-  
თვალე, ხანაც სათამაშო მაგიდასთან მჯდომარე, ან მოწყენილობის გა-

საფანტავად კონცერტიდან კონცერტზე, ერთი საზოგადოებიდან მეორეში მოარული, თავქარიან ინტერესებს აყოლილი, რომელიმე კვლავ ქართან მოაშიკე;—მაშინ თქვენს თვალწინ წარსდგება ნამდვილი კარნავალის გოეტე, რომელიც ამასწინად ზოგიერთ ღრმა გრძნობებს ვიზიარებდათ, მხრებზე მსაქმელსაც თქვენთვის ბარათის მოწერა ვერ მოუხერხებია, რომელიც გოეტეს კარნავალს, ვინაიდან მას თქვენს სიახლოეს ყოფნა ვერ აუტანია, მაგრამ, კიდევ არის ერთი გოეტე, რომელსაც ნაცრისფერი ფრაკი მოსავს წაყის ბეწვიანი, უშველებელი ჰალსტუხი აქვს კისერზე და მალაყელიანი ჩექმები აცვია, რომელიც დაუღვეგარ თებერვლის ტაროსში უკვე საგაზაფხულო გუნებაზე დგება...

...საკუთარ ფიქრებში ღრმადწასული, საკუთარ ოცნების ბურანში მყოფი, მარად მოჭირნახულე, მარად მომუშავე გოეტე, რომელიც ხან ჰაბუკურ გრძნობებს პატარა ლექსებში სახავს, ხანაც ძლიერ ალტყინებას და ვნებებს დრამებით ამელავნებს. მეგობრების თვისის სახეებს და საყვარელ სანახაობის აღნაგობას კი ცარციით ხატავს ზოლმე ნაცრისფერ ქალაღზე. ილწვის, მაგრამ არავის არაფერს ეკითხება: ესა და ეს მოგეწონათ თუ არაო. და ეს იმიტომაც ხდება, რომ იგი შრომობს, და სწორედ ამგვარი მუშაობით საფეხურიდან საფეხურისკენ, სულ ზევით და ზევით მიისწრაფვის, ბრძოლით და თამაშით ანეითარებს და აღრმავებს გრძნობებს და ნიქს. სწორედ ამ უკანასკნელს მარად ახსოვხართ, ვინაიდან გულის მისის უდიდესი ბედნიერებაა: თავის დროის საუკეთესო ადამიანებთან ცხოვრება“.

ჟონ იტყვის ადამიანის შესახებ იმაზე მეტს, რაც თავად პოეტს წამოსცდება ზოლმე თავის ადამიანური ცხოვრების, საკუთარი აღნაგობისა და სულის ტკივილების შესახებ?

ვკონებ არავინ.

და ეს ავტობიოგრაფიის ნაკვეთი ამოღებულია გოეტეს მიერ ავგუსტა შტოლბერგისადმი მინაწერ ბარათიდან (1775 წ. 15. II), ეს გახლავთ „შტურმისა და დრანგის“ გოეტეს სილუეტი.

თებერვლის ცვალებად ტაროსზე საგაზაფხულო გუნებაზე დამდგარი, თავის საუკუნოში ნაადრევი კაცი, ოდნავ აზირებული, ოდნავ ცელქი, თავქარიანი ვალანტური კავალერის აღნაგობისა, მაგრამ მარად მომუშავე, საკუთარ შეძლების თავად შემცნობი. ტიტანური ძალების მატარებელი ადამიანი, და სწორედ ამ ხანებში იშვება „პრომეთე“, „მარადიული ჰერია“. მაჰმადის პიროვნებას სწავლობს გოეტე, ზეკაცებისა და დემონებისაკენ უჭირავს თვალი. ათასფერის იღუმალ ლანდს ესიტყვება, ტანტალური, იქსიონი, სისიპუსი, „წმინდანებად“ ჰყავს გამოცხადებული. მოკლედ: დემონები, კაცზე მეტნი და ღმერთებთან მოქიშბენი, ვინც კაცობას არა სჯერდებოდნენ და ღმერთებს შერკინებოდნენ. პოეზიაში მრავალი რამ საოცარია და გონების ძალით მიუწვდენელი. პოეტური ქმნილების გმირი ზედგავლენას ახდენს როგორც მყურებელსა და მსმენელებზე, ისე თავად შემოქმედზედაც, რომლის შიდაბუნების წიაღიდან იგი წარმოშობილა. ასე რომ გოეტეს პიროვნულს ცხოვრებაში მისივე გმირების შტრიხები უბეჭვლად საცნაური ხდება.

\* \*

ცნობილია: „ვერტერის“ პერიოდში თავად გოეტეც კომპლექსიანი უღვათავის თანადროულ საზოგადოებას. ამ საზოგადოების შარილს წარმოადგენდა ერთის მხრით წარჩინებული აზნაურობა, ხოლო მეორეს მხრიდან კი უღვათავობა. ხეხილი

მე. XVIII საუკუნის საზოგადოება ცნობილია თავისი დიდი „გალანტერიითა“ და მალალ ფარდოვანი ეტიკეტით. არსებითად ეს ორი ფენა წარჩინებულთა, დიდის მძულეარებით შესცქეროდა ურთიერთს. ჯერ დღესაც არაა დარღვეული აზნაურობის რიტუალური იერარქია ევროპაში, სადაც სერვანტესის გენიალური სატირის, მთელი მოწინავე მწერლობისა და სოციალისტურად მოაზროვნე პარტიებისა და პ-ესის მიუხედავად, აზნაურები გვაროვნულ პრივილეგიებს არაეის უთმობენ. წარმოსადგენია გოეტეს დროინდელი ფრანკფურტი. მხნე, გამრჯელი „უგვარო ბურჟუაზია“ და მოხელეთა წოდება შრომით იკაფედა ცხოვრების, გზას. აზნაურული ნაწილი საზოგადოებისა წინაპართა მიერ მონახევი კაპიტალით სცხოვრობდა, საზოგადოებაში აზნაური და „უაზნონი“ ურთიერთს ხედებოდნენ, მაგრამ წარამარა ვესლაედნენ ურთიერთს. ბანკოები, მოხელეები, იურისტები, ხელოვანი, მუშაობას განაგრძობდნენ და სახელმწიფო კარიერას იკეთებდნენ. გოეტეანთ ოჯახიც ამ უკანასკნელთა ბანაკს ეკუთვნოდა, თუმცა იგი „პატრიციულ მანევრებს“ მაინც ეპოტინებოდა.

რა კარგად ახასიათებს ამ ფარისევლურად მიჩქმალულ შულს ულრიხ ფონ პუტენის მიერ ბილიბალდ პირკჰაიმერისადმი მიწაწერი ბარათი:

„ყოველივეს, რასაც ბედი გვაძლევს, იგივე წაიღებს ბოლოს... მაგრამ მე მაინც სახელისაკენ ვისწრაფვი, მხოლოდ ეს მინდა: ურისხვოდ სოფიხევიკო იგი, სულ ერთი არის, რა გზით, ვინაიდან სახელის წყურვილითა ვარ შეპყრობილი, ამიტომაც მწადია რაც შეიძლება მეტი აზნაურული ტიტულის მოხვეჭა...“

„არა მარტო უსწავლელია სულელი, არამედ იგიც, ვინც საკუთარი მეცადინეობით დაწინაურებულს შურის თვალთ შესცქერის. სწორედ ასეთი ავადობით დასნეულებულია ჩვენი აზნაურობა; ეჰ, აბა რის მაქნისია შურიანი თვალთ უმზერდე მას, ვისაც ის მოუხევიკა, რაც ჩვენ ვერ შეგვიძენია საკუთარის ზედოვლათობის წყალობით. ვისი ბრალია მერმე? რად არ გავისარჯენით კანონების შესასწავლად? რად არ შევითვისეთ მეცნიერება და მშვენიერი ხელოვნებანი? ხომ ხედავ ჩემო, მეგლანებმა, მეწალებმა და მეურმეებმა რომ გაგვისწორეს და როგორ დაწინაურდნენ?“ ეს კარგად ესმოდა მოწინავე ნაწილს გერმანულ აზნაურობისას, მაგრამ უფრო მეტა იყო ისეთი, რომელიც აზნაურული ქედმაღლობის იხტიბარს არ იტებდა, და „მეტიჩარას“ უწოდებდა სწორედ ამ „მეგლანეების, მეწალების და მეურმეების“ შეილებს, რომელ რაც საკუთარის ოფლითა და ტალანტის ძალით მოიხევიკეს „აზნაურობა“, მაგრამ არა გვაროვნული, არამედ ინტელექტუალური. ამ ე. წ. „მეტიჩარათა“ წრიდან გამოსულნი არიან როგორც გოეტე. ისე ნაპოლეონი. ტალანტი თავისთავად არაფერს იძლევა, თუ იგი დიდ შრომის მოყვარეობასთან არ იქნა შეუღლებული. სწორედ ამ გარჯასთან დაკავშირებული ტალანტის შემწეობით გაიკაფა გზა გოეტეანთ გვარმა და თავად გოეტემ. ფრანკფურტის საზოგადოებაშიაც ზოგიერთი აზნაურული ოჯახი

ცხვირ აბზუებულად გადასცქეროდა კიდევაც გოგუცთანთ ოჯახს. არც არა აზნაურულ, ბურკუაზიულ წრეებში სუფევდა მშვიდობა. საშუალო სწრაფების მოქალაქურ წრეებს ირონიულად ეკიდებოდა მსხვილი ბურკუაზია, რომელს „მშვენებას“ ფრანკფურტელი ბანკირები და სოვდაგარნი შეადგენდნენ.

გონებაშახვილს, სახელგანთქმულს და პირმშვენიერ ტაქტიკოსს მსხვილკანგს ყოველი მხრიდან ცოტინებოდნენ. რადგან ადამიანური სისულელე ყოველდროში დიდი ყოფილა და მაშინაც ეგონათ, გენიის ფიზიკური სიახლოვისაგან შლეგებასაც რაიმე წაეცებათ.

ერთმა მეგობარმა სთხოვა იმ ხანებში ვოლფგანგს ერთ სოვდაგარის სახლში წაყოლოდა კონცერტის მოსასმენად.

მეგობრები მდიდრულად მორთულ დარბაზში შეიპატივეს. ურიცხვი შანდლების ციმციმა შუქი ისე ირბეოდა, როგორც მოლზე მოსული ყვითელი ბაიების წალკოტი. დარბაზის შუაგულში ფლავუგელი იდგა, ოჯახის ერთად ერთი ქალი ინსტრუმენტთან მიმჯდარიყო და დიდის პათოსით უკრავდა. ჩვეულებრივი მისალმებებისა და საჭირო გამოუცნაურების შემდეგ ვოლფგანგი ფლავუგელის მხარმარჯვებით მიდგა და გულდასმით სკურეტდა დამკვრელის აღწავობას. ქალწულს ჯერაც ბრ გადასვლოდა სახეზე ბავშური იერი, მიუჭირებელი და ბალღური ელასტიურობით მოძრაობდნენ მისი მშვენიერი მკვლავები. კობტა და მომკველო ბექებზე ყურადღებას იქცედა მისი მშვენიერი, ოვალური თავი და ნაზი, შინაატიურული სახე. ქერა თმისი იყო იგი და დიდრონი ზღვისფერი თვალები კიანთობდნენ გაფქვნილი ფორთოხლისებურ გამსჭვირვალე სახის ფონზე, როცა ქალწულმა უკანასკნელი სონატა მოათავა, წამოდგა სწრაფად და ფლავუგელის მოპირისპირე ბოლოში დადგა. ორივენი ერთი მეორეს თავაზიანად მიესალმნენ. ქალი ისევ დაჯდა და ახლა მომეტებულის ტემპერამენტით განაგრძო დაკრა.

ვოლფგანგმა უსიტყვოდ იგრძნო, რომ მისმა დანახვამ შემატა მზნეობა ახალგაზრდა მკლავებს და თითებს. ახალ პაუზის შემდეგ ვოლფგანგი ახლოს მივიდა ქალწულთან და ეუბნება:

„ფრიად მხარბებს, ქალბატონო, თქვენი გაცნობის უმაღლესი თქვენივე ტალანტი რომ შევიცანი.“

ქალმა მორცხვად თავი დახარა და თავაზიანი და გულტფილი მადლობა მოახსენა ვოლფგანგს.

როცა კონცერტი გათავდა, გამზიარულეებულ საროგადოება აირია, აზვავდა, ახმინდა. ვოლფგანგი ფრთხილად დადიოდა მწკრივებს და მწკრივებს შორის, და ეძებდა შემთხვევას ამ ქალწულთან დასალაპარაკებლად. ქალგაეის ანთებული თვალები ურთიერთს ეძებდნენ ბატონკაკური ბალის განმავლობაში, მაგრამ რიდით გვერდს უხვევდნენ ურთიერთს, რადგან ამას მოითხოვდა საზოგადოებრივი ეთიკა და ამ ეთიკის ძალით დასაქერი მანძილი.

ეს იყო ფრანკფურტელი ბანკირის შოენემანის ქალი, ლილი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა გოგუცს ცხოვრებაში.

ღრმად მიხრწნალებში გადასულს გოგუცს ეახლა ლილის შვილის შვილი და შორეული სიყვარულის უკვე ჩამკრალმა ნაღვერდალმა ეს ათქვეინა ბრძენ გოგუცს: „ახლაც თვალწინ მიდგას მშვენიერი ლილი და ასე მკონია მისი გამაზნე-

6 იერებელი სიახლოვის სუნთქვა აღწევდეს ჩემამდის. კეშმარიტად, იგი იყო ქალთაგანი პირველი, რომელიც ისე ღრმად და ნამდვილად მიყვარდა. მან უნდა ვუღვიარო: ლილი იყო უკანასკნელიც... ვინაიდან ის უმნიშვნელო ვატიჯურებანი, რომელნიც ჩემი ცხოვრების მანძილზე გზა და გზა შემთავსებელი უღელეს სიყვარულთან შედარებით, მსუბუქად და ზერულად უნდა ჩაითვალოს. მისი ცხოვრებასდროს ისე ახლოს არა ვმდგარვარ ნამდვილი ბედნიერების მიჯნასთან, როგორც იმ ხანებში, როცა ლილი მიყვარდა.

ეს სიყვარული სულ სხვა იყო, ვიდრე რომანებში აწერილი მიჯნურობა“. („მეკრძან. გოეტესთან საუბარი“ ტ. III. გვ. 210—12).

მანძილი და დრო უფრო გრძელი და ხანგრძლივი იყო მიჯნურობისათვის საჭირო და პირველი შეხვედრის შემდეგ რამოდენიმე ხანი უნდა გასულიყო.

ბალეზზე, კონცერტებზე, საზოგადოებაში ხვდებოდა გოეტე ლილის. დრო გადიოდა და იგი უფრო და უფრო ჩიხიბდებოდა მისი „ანგელოსური გულკეთილობით“, მისი ბავშური მიამიტობით. ამხნედა თანაც: ლილი ათასწილ უფრო ღრმა და მკვიდრი ბუნების მატარებელი იყო, ვიდრე ის ქალ-ვაენი, რომელნიც ვარს ერთჯერა ლილის და რომელთაც სხვა წრეებშიაც ხვდებოდა გოეტეთათვის სიყრმის მიუხედავად ლილი ნამდვილი როკოკოს ეპოქის საზოგადოების დამა იყო, თანდროული საზოგადოების ფუქსაეატობით თავმობეზრებული. ფრიად მდიდარი ოჯახის შვილს ადრე ეგემნა წარჩინებული კლასების ცხოვრების ყოველგვარი უპირატესობანი. ყოველივე ეს არაფრად მიიჩნდა მას და გოეტეში მხედავდა იგი რალაც ახალის მოციქულს და ღრმა ადამიანს.

მარტოობის წუთებში უამბობდა იგი პოეტს თავის პირადული და ოჯახური ცხოვრების ამბებს.

გოეტე ამხნედა: ლილის ხლება მისთვის მოთხოვნილებად რომ გადაიქცა. მაგრამ ფრიად რიგორისტულად განწყობილი ოჯახის ტრადიციები უწყალოდ ბოქავდა შეფარებულთა ურთიერთობას, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ვოლფგანგი და ლილი, უთუოდ მთა უნდა მოსულიყო იქ და ლილი თავად შინ წაეყვანა. „შტურმისა და დრანგის“ თავისებურ და ნებიერ ტენდენციებით აღვსილი გოეტე მძიმე კაპანად განიცდიდა ლილის ოჯახის პატრიარქალურ ზნეთა სიღუბსიერეს.

შეყვარებულნი თავისუფალ ატმოსფეროს ეძებდნენ, ასეთი რომ ფრანკფურტში შეუძლებელი გახდა და ამა, ლილი მიემგზავრება ფრანკფურტის მახლობლად მდებარე დაბა ოფენბახში.

ოფენბახში სცხოვრობდნენ ლილის ნათესაეები გვარად დორვილი და ლილის ოჯახის მეგობარი ერვალდი. ლილის დედა თავად დორვილი იყო გვარად. ლილი სწორედ ამ დორვილის სახლში იყო სტუმრად, ხოლო გოეტე ეწვია იქვე მახლობლად მცხოვრებს, კომპოზიტორს იოჰან ანდრეს, რომელიც ამავე დროს მუსიკალური ლიტერატურის გამომცემელიც იყო.

ანდრეს სახლში იმართებოდა შინაური კონცერტები. მასპინძელი ილტაცებაში მოჰყავდა ლილის ოსტატურ დაკვრას. კომპოზიტორი ლილის პიანოს ზისმენით გათენებამდის არ აღლებოდა, ხოლო ლილი და ვოლფგანგი ურთიერთის სიახლოვით.



თავად ოფფენბახი უშველებელ ბაღს წააგავდა, ქუჩები და ვილლები მწვანეში და ყვავილებში იფლებოდნენ. როცა მიჯნურები საზოგადოებისა და კონცერტებისაგან დაილლებოდნენ, ნავს აიყვანდნენ და მაინის წყალტუბორში მიჰყვებოდნენ.

გოეტე დიდი ოსტატი იყო არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ცხოვრებაშიც. ამ მხრით მასში საესებით განხორციელებული იყო მრავალკიდოვანი გერმანული ბუნების გენია. მუსიკით, ნადიმით, მიჯნურისა და მშვენიერი ბუნების სიახლოვით დამტკბარი და ალტყინებული ჰოეტი შემოქმედების თვისის გასამდიდრებლად ზრუნავდა მას საერთოდ დილით სწევოდა მუშაობა, და ოფფენბახშიაც დილა აღრიან დგებოდა და სწერდა, რათა ღამე ამურის ორგებისა და გონებამახვილ საუბრებისათვის შემოენახა.

გოლის თრთოლვით მოელოდა ვოლფგანგი ლილის დღეობას რიცხვით მეჩვიდმეტს, 1775 ივნისის 23.

ლილიმ სიტყვა მისცა ამ დღეს ოფფენბახს ჩამოსულიყო. მოახლოვდა ეს დღეც. განუსაზღვრელად გაგრძელდა 20 და 21 ივნისი, ვოლფგანგის მოუთმენლობა უფრო და უფრო იზრდებოდა. აჰა, ივნისის ოდნავ შეხუთული და ცხუნვარე დღე მიიწურა. შესწყდა მთიების კაშკაში ოფფენბახის ეკლესიების და გოტიურ კოშკების გუმბათებზე. ჩრდილები გაიზარდნენ და პაწია ქალაქი გაეხვია ღამეულ ძაბაში. ვოლფგანგი მოუსვენად დადიოდა თავის ოთახში. მოუსვენრად ეძინა იმ ღამეს. მეორე დილით სამუშაოს გული ველარ დაუდო უძილო ღამისგან აფორიაქე ულმან.

ოთახში ლილის მაგივრად მისი ძმა შემოვიდა. შეერთა ვოლფგანგი, როცა ასეთი მოულოდნელი დარბაზობის პირისპირ წარსდგა. დანაბარებიც ვერ იყო მაინც და მაინც საამურო. ლილი დიდ ბოდიშს იხდიდა: ოფფენბახში ვერ ჩამოვალ და ამ დღისათვის გასამართავ ნადიმში მონაწილეობას ვერ მივიღებო, მაგრამ იმედი მაქვს თუ უფროსებმა ნება დამართეს, როგორმე საღამოს ჩამოვიდო. ვოლფგანგი დადუმდა. ერთბაშად მის გონებაში ახალმა აზრმა იელვა.

— აბა იჩქარე გეორგ, წადი და უახარი არ იღარდოს, მე ისე მოვაწყობ რომ ნადიმი საღამოათვის გადაიდოს.

გეორგმა კარვად ვერ გაიგო თუ რას მოასწავებდა ვოლფგანგის განწყობილების ეგზომ იჩქითი შეცვლა, დაბალი საღამო მისცა და წავიდა.

დიდხანს დადიოდა დაფიქრებული ვოლფგანგი თავის პატარა ოთახში, შემდეგ ამისა მაგიდას მიუჯდა და დასწერა:

„იგი არ მოვა!“

„ოჯახური ვოდვილი, 23 ივლისში დაიდგმება ოფფენბახში. მოქმედება დილიდან საღამომდის გაგრძელდება“.

მოქმედება სწარმოებს დორვილის ოჯახში.

დორვილის ოჯახი და გალონებიანი მოსამსახურენი სანადიმოდ ემზადებიან. აქვეა კომპოზიტორი ანდრე.

ვოდვილის იდეას გასაგებლად საჭიროა გავიხსენოთ ერთი დეტალი ლილის ცხოვრებიდან: ერთხელ რომელიღაც დიდ ნადიმზე, რომელსაც იმ დროინდელ

ურ. „მნათობი“ № 10—12.



გერმანიაში „დინგეს“ უწოდებდნენ, ლილის არა საკადრისი სიტყვაა. ჯერჯერობა მის გვერდით მდგომმა კავალერმა.

ლილის წარბიც არ შეუხრია, მისი ბავშვრად გულუბრყვილო სახის არც ერთი ნაოკიც არ შეჩხვალა ისე გააეღო ხელი სუფრაზე და უცნაურად რაც კი რამ ზედ იყო: საინები, ბოჯალები, ვაშები, ჭიქები და დანახვლები ძირს გადმოფერთა. ეს ვაჟკონარი სკანდალი მთელს „სოსიეტეს“ მოედო თავის დროზე და ქორიკანა მამიდების, ბიცოლების და დიდებულების ჩუბჩული, აღშფოთება და კრუსუნი დიდხანს არ შენელებულა. დაუბრუნდეთ ახლა ექსპრონტად დაწერილ ვოდვილს.

დორვილის ოჯახში ფუსფუსი გრძელდება, ლაქიები სირაქლემას ნაბიჯებთან მიმოქროლდებიან. ტალანებში სტუმრები და ბავშვები ირევიან. როცა ყოველივე მზადაა და სალონში სტუმრები მოგროვდებიან, ლილის ნაცვლად ვილაც გაბურტყენილი და ახმახი შიკრიკი შემოიჭრება, ხელში დეპეშა უჭირავს და... ყველა და ყველაფერი აირევა, ფრაკიანი და პარიკიანი ბატონები და „ხაბარდანი“ ქალები ნერვიულად აცახცახდებიან. მასპინძლები ისტერიული ხმით ყვირიან: „მიმიშვით სუფრასთან, ჩამოფერთხოთ, ჩამოფერთხოთ“.

— რა იყო, რა მოხდა, გვიშველით, გვიშველით!

კომიური პანტომიმა გრძელდება.

მასპინძლები ხელს იშვერენ: ე, მანდ, ე, მანდ იატაკზეა.

ხელში აიღებენ დეპეშას და ყველანი ერთად ღრიალებენ: „იგი არ მოვა, იგი არ მოვა“.

მთელი დამე სწვრდა გოტე ამ ვოდვილს. დილით ყოველივე მზად იყო. მასპინძლები სადილისათვის ემზადებოდნენ, კომპოზიტორი ახდრე ადრე მოვიდა და კეთილბუნებრივად ხუცესმა ევარდმაც არ დაიგვიანა. სწორედ სადილობის წინ უნდა დამდგარიყო ვოდვილი დორვილის სახლში. მსახურებს, ლაქიებს, მხარეულებს, და შეეტლევებს ძალიან უხაროდათ, რომ გოეტეს ვოდვილი მათ ნებას აძლევდა ბატონებთან ერთად სცენაზე გამოსულიყვნენ. მხარეულება, სიცილი არ აკლდა ნადიმს, თუმცა ლილი ჯერაც არ მოსულიყო.

სალამოს ლილიც ჩამოვიდა. გამაზარულებული მონადიმენი, კაცი და ქალი დიდი და პატარა წინ შეეგება და უამბეს ყოველივე. თავად ლილიმაც ბევრი იცინა.

ცხადია: ამ ვოდვილმა და ლილის არ მოსვლამ მრავალი მოკლილი ენა ზედმეტჯერ ააღაპარა. შეიქნა კორობა და მითქმა-მოთქმა, რომელიც თან დაპყვება ხოლმე პროვინციულ რომანებს.

უსასტიკესი ეთიქეტების მიუხედავად, მეთვრამეტე საუკუნის საზოგადოება, ფრიად ექსალტიური იყო. ბურჟუაზია და თავადაზნაურობა ნადიმობდა, ნადიმობდა ზეიმობდა, მოილხენდა, პოეზიის, მუსიკის და მხატვრობის ქურუნი ამ „სოსიეტეს“ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებდნენ, ამ უკანასკნელთა შორის ისინიც ერიენ, რომელნიც ამ ფუქსავატი ცხოვრების სიღუბჭიროსაც გრძნობდნენ, მაგრამ არსად არ მომხდარა, რომ ხელოვნების ქურუმებს ცხოვრება შეეცვალათ, ამ მხრივ მე გადაჭარბებულად მიიჩნია ინგლისელი ესთეტიკოსის ოსკარ უალდის თეორია, რომლის მიხედვით ხელოვნება სინამდვილის უდიდესი რეფორმატორი იყოს

თითქოს. მე კი მგონია: მეზურეები და მეთორნეები უფრო დიდ ფაქტორებს ქმნიან, ვიდრე თუნდაც უაქტივესნი ხელოვანთა შორის — მწერლები. ფაქტორები „საზოგადოებაზე“ გულადრენილი იყო, მაგრამ მაინც ანგარიშს უწყევდა მას ნებისით, უნებლიეთ ბევრ შემთხვევაში მისი მონა იყო, მისივე მსახური და „*pleasure*“.

ამ საზოგადოებას მოწყენა ახრჩობდა, ბალღები, მასკარადები, შინაურ თეატრთან ერთად დიდი და გალა თეატრები სწყუროდა, საუცხოვო კონტრემებისა და გონებაშახელოების გამოსაჩენად. ოდითგანვე პოეტის ბუნების წყველა ყოფილა: რაც უნდა დიდი გენიის მატარებელიც არ უნდა იყოს იგი, მასში კლოუნი და მკინაზე უფრო ძლიერია, ვიდრე რევოლუციონერი.

ზემოდმოყვანილი ვოდევლი ფრიად ახასიათებს როგორც თავად გოგუტას ასევე ლილისა და მათ თანადროულ როკოკოს საზოგადოებას.

ახლა ისევ შეყვარებულებს მივხედოთ. გოგუტე მუდამ სჩივოდა რომ ეს „სონიეტე“ და მისი ფუქსაგატური ცხოვრება უამრავ დროს ართმევდა და „კონცენტრებულ“ ტალანტის პატრონს ფუქი გართობით ქანცავდა, მაგრამ ლილი აკავშირებდა მას ამ „მდიალ“ საზოგადოებასთან. ლილის ჯადოსნური გარეგნობითა და ბუნებით უზომოდ მიხიბლულს შეეძლო ეთქვა: „მე მძინავს, მაგრამ გული ჩემი ფხიზლობს მარადის“. დღეები მიტკროდნენ და „ნათელი და ბნელი საათები“ გათანასწორდნენ.

ოფენბახის მახლობელ სანახებში მოხეტიალეთ შუალამისათვის გადაცილებებით, შინმისულს ძილი არ მოეკიდა და ფრანკფურტისაკენ გაუდგა გზას. ტფილი და ჩუმი ღამე იყო. ვარსკვლავები წამწამებს ლულავდნენ. ერთ პარკში შეხეტილად, უახლოეს სკამზე ჩამოჯდა და ლილის მშვენიებაზე მეოცნებეს მსუბუქი რული მოკიდებოდა. რაღაც შარიშურმა შეაკრთო, ეს იყო ზღარბი მზმარ ფოთლებში ჩქამის გამლები. უკვე რიტაკი წამოსწრებოდა, ნისლის დარი ბურუსიანი ჰაერი ნელნელა გააპო ორიონმა, სხივებით მოსჩითა პარკის პირდაპირ მდებარე ციხის ბრუსტვერი და ქონგურები.

მართლაც და საოცრად მიმდინარეობდა გოგუტეს და ლილის ურთიერთობა. ჩვეულებრივად ფრიად ექზალტიურად და ლირიულად განწყობილი გოგუტე დიდბანს არ უმაღავდა თავის სულის დედოფლებს ხეაშიადს, მაგრამ ლილისათვის ჯერ გარკვეული წინადადების მიცემა არ ემარჯებოდა. დღეები, მამიდები და ბიკოლები დაუცხრომლად კამათობდნენ, ჩურჩულებდნენ, საზოგადოებაში ათასგვარი ჭორი მიმოდიოდა.

დაუცხრომლად ურთიერთისაკენ მისწრაფოდნენ, მუდამ ერთად ყოფნის მონატერულნი. ორივენი დარწმუნებულნი იყვნენ: გაყრა შეუძლებელი იქნებოდა.

გოგუტე თავადაც არ იყო მკაცოფილი. სინანულის იქვის, ან გაბრაზების წუთებში მტკიცე სიტყვას აძლევდა თავის თავს: არასოდეს ამგვარი გაურკვეველი და განუხაზღვრელად გაჭიანურებული ურთიერთობა არ ჩამოეგდო ქალთან. გორდის მარყუჯი ვინმე მესამეს უნა გაეჭრა და ეს იყო დემუაზელ დელფე-ჰაიდელბერგერ კომერციულ წრეებში კარგად ცნობილი ქალი. დემუაზელ დელფე ლილის ძველ-თაძველი მეგობარი იყო. მადმუაზელ დელფე თეთრი ყორანი იყო მეთვრამეტე საუკუნის ქალთა შორის. ფრიად საქმიანი, კვიანი, მამაკაცური ლოლიკის პატრონი. იგი საყვებით არ გავდა კვადრატ; ცუგრუმელა, კაპრიზიანს, გრძნობიერსა და ქარაფ-

1. გართობის ოსტატი.

შუტა როკოკოს დამას. მადმუაზელ დელუ ჰაიდელბერგის ერთერთი კომერციული სახლის დირექტორად ითვლებოდა. გარეგნობით ოდნავ მამაკაცურ გამომეტყველებისა იყო და მამაკაცით მხნე და გაბედული ნაბიჯებით დგდიოდა. მოკლედ: მადმუაზელ დელუ ათი ათასი თანადროული ევროპელ სუფრასტებისა და საქმიანი ქალების პიონერი იყო. ოდითგანვე სხვევით ადამიანებს: ის რაც მთა აკლიათ, ის რაც თავად ვერ მოუხერხებიათ, — სხვისგან შესრულებული უნდა ნახონ. მადმუაზელ დელუს. ქალობა აკლდა, მას დედისა და ცოლის როლი ვერ ეპოვნა ამ ქვეყნად, ამიტომაც მუდამ აინტერესებდა: სხვა როგორ შეასრულე და ამ გვარ როლებს, ამიტომაც საესებით უანგაროდ მაჰანკლობდა და მოკოჰმანე შეყვარებულებს შეელოდა ხშირად.

ლილის ოჯახში გაჩეული იყო, ხოლო გოეტეანთ სახლში თავად ვოლფგანგმა შეიყვანა იგი. ფრიად გონიერმა ქალმა წინასწარ განსკვრიტა. ცალკერძ ლილის მშობლებს მოელაპარაკა, ცალკერძ გოეტეს დედამას; და შემდგომ ამისა, ისეთი დრო მოიხელთა, როცა შეყვარებულნი მარტონი იყვნენ. თავს წამოადგა ქალ-ვაჟს და ზემდეგის ტონით უბრძანა ორივეს: ერთმანეთს ხელი გაუწოდეო. ვიმოწმოდ ღრმად მოხუცებული გოეტე:

„მე ლილის გასწორე ვიდექი და მყისვე ხელი გავუწოდე; მანაც თავისი შემომაგება, არც თუ ყოყმანით, მაგრამ მინც მცირედის ხანდაყოვნებით. ღრმად სულის მოთქმის შემდეგ გადავეხეიეთ ურთიერთს. ეს იყო ბედისა ჩვენის განმგებლის უცნაური განაჩენი: ჩემი გასაოცარი ცხოვრების მანძილზე ისიც უნდა შემეცნო თუ რა გრძობები აღეძერის ზოლმე საქმროს“ (D.U.W. წ. XVIII გვ. 20). ხანდაზმულად ზენიტზე დკომა აროდეს შეძლება ერთხელ შობილებს; გოეტეს და ლილის ურთიერთობაშიაც „კრიზისმა“ იჩინა თავი. მაგრამ ეს კრიზისი მარტოოდნ შინაგანი ბუნებისა როდი იყო. დრტვინავდა, შფოთავდა ახალგაზრდა გოეტე, „შტურმისა და დრანგის“ თავაწყვეტილი გენია, რომელაც არ იცოდა თუ რა იყო ამ ქვეყანად გადაულახავი დაბრკოლება. საზოგადოების, გარე სამყაროს უგულობას, მუხანათობას აბრალებდა თავისი დიდი ბედნიერების შემლალვას. მაგრამ დაბრძენებულმა მშვიდი რეზინიაციით აღვიარა „გარე სამყაროს“ მტკიცე და ურყევი ძალა. საშინელის დიდის ტრაგიზმით უნდა შერიგებოდა ახლად დანიშნული გოეტე რომ, ადამიანი მარტო არ არის და როცა ცალკეულ ადამიანს საზოგადოების მასსა დაუპირდაპირდება, იგი ბოლოს და ბოლოს უძლური აღმოჩნდება. ეს კერძო ცხოვრებაში იგემა ვოლფგანგმა ხოლო ნაპოლეონმა, მხოლოდ ელბაზე გაიგო ამ ქეშმარიტების სიძლიერე და საბოლოოდ კი ინვალიდების სამარხში შეურეგდა მას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# მ ა შ კ ა ე ტ უ რ ა ლ!

დაღამდება თუ არა—ბოროტი ზრახვებიც აიშლებიან.

ტარიელიც ასეთ ღამეს ელოდა სწორედ: ბნელსა, უმთვაროს.

ღრმა ვახშობა გადასული იქნებოდა, როცა მალლად შეფენილ ტყიდან ფეხაკრებით გამოვიდა ფხიზელი ნადირივით, მიმოაელო თვალი სიბნელით გასუღრულ არემარეს. ჭურციკივით ფხიზლად წაუგდო ყური სიჩუმით მიძინებულ გარემოს:

არსაიდან არავითარი ხმაური—ამ საარაკო მყუდროების დამარღვეველი.

ტარიელმა ძმანდაფიცივით გულზედ მიკრული ოსმალური კარაბინი მარჯვით შეატრიალა ხელში. როგორც ნაცადმა მეომარმა ერთიორჯერ კიდევ შეამოწმა ჩახმახის სწორი მუშაობა. დარწმუნდა, რომ ეს რკინის ძმა არ უღალატებს გაპირების წამს და შეუდრეკელ მუქარასთან ერთად იმედინად გასწია სოფლისაკენ.

რალაც ოციოდე წუთი იარა ტარიელმა მგლური ნაბიჯით და მიაღწია კიდევ სოფელ მუხისძირს. შიგ სოფელში არ შესულა. მხოლოდ შორიახლოს ჩაუარა ორღობეებს. აღარც ერთ სახლიდან აღარ იცქირებოდა ნაგვიანევი სინათლე. ხალხის დარდსა და სიხარულს ასე ნაადრევად, ასე მყუდროთ ჩასძინებოდა ყოველ ქოხში.

ერთი ორღობის თავზე რამდენიმე წუთით შეჩერდა ტარიელი. ყური წაუგდო იმის თავზე მდკომ ჩაბნელებულ პატარა ქოხს. სცდილობდა, ახალგაზრდული თვალითაც გაეკეთა სიბნელის გული, ეგებ შეემჩნია ჭრამე. მაგრამ პატარა ქოხის აზრდილის მეტი არაფერი სჩანს. არც საპიროა უნაყოფოდ დროის დაკარგვა.

ტარიელმა შეიტრიალა მხარი და გასწია გულდა-გულ მიზანში ამოდებულ ადგილისაკენ.

სადღაც ძაღლის ყეფა გაისმა, ტარიელი შეჩერდა. ბაღში ხის ტოტი გაიზმორა და გაადინა ლაწანი. ტარიელი აქაც შეჩერდა. მაგრამ ნახა: არცერთი ხმაური მისთვის არ მოასწავებდა ხიჯათს. ამიტომ გუნება გამართული ისევ მიეშურება დამუქრებულ ადგილისაკენ.

მრავალ ვენახებსა და ნაფუზრებს ჩაუარა გვერდზე და ბოლოს . . .

ოო, აქ კი ფრთხილად! სწორედ ეს არის მისი გულით და მისი კარაბინით მი-

ზანში ამოღებული ადგილი. ის კარგად იცნობს ამ მაღალ და მსოფლიოში უმთავრეს ღმერთს. კარგათ იცნობს იმ ხანდაზმულ კაცს ხმასაც, რომის იქით რომ დადის ბაღში და ლილინებს გულდაშევიდებით.

კამეჩი წვეს და იცნობს  
თავის ამინდი ჰგონია,  
ლაფში ჩაფლული ზრეში  
შინ მიტანილი ჰგონია.

მსოფლიოში უმთავრეს ღმერთს  
ხმასაც, რომის  
იქით რომ დადის  
ბაღში და ლილინებს  
გულდაშევიდებით.

ტარიელი ერთიანად ჩაიკეცა მახლობელ ჩირგვის ძირში და ნახტომად გამზადებულ ფოცხვერით მისწერებოდა ბაღში მოლილინე კაცის აჩრდილს.

გადიან წუთები, ერთი, ორი — გულის კაუნით რომ ითვლებიან სიკოცხლის გზასავალზე. ტარიელმა ჩირგვიდან ლობისაკენ გადაინაცულა. შემდეგ სამად ჩაქეცილი ნელნელა აიშართა და ტყუბის ცალივით აეკრა ერთ მომსხვილო ბოძს — თვითონაც ბოძით ქეცული.

ბაღში კი ხალის ქობის წინ ისევ წყნარად დადის მოლილინე კაცი და არ იცის რომ . . .

ამ დროს გაისმა თოფის ლაწანი და ბაღში მყოფმა კაცმაც საზარელი ხმით შეჰკივლა.

— მომკლეს! მიშველეთ!

მაგრამ იგი არ წაქცეულა. სულგამწარებული, თავგზააბნეული მირბის სწორეთ იქით, საიდანაც ტარიელი და მისი კარაბინი დაუნდობარი სისასტიკით იჭირებოდა და თან სასიკვდილოთ დაკოდილი ნადარივით ღრიალებს.

— მიშველეთ! მომკლეს!

აქ ხელმოკრედ გაისმა ცივი ლაწანი კარაბინისა და შველაზე მოღალადე კაცი უსულო ლოდივით დაეცა ტარიელის თვალ წინ. თოფის ხმა კი გაგორდა, გადაგორდა ტყიდან ტყეზე, მთიდან მთაზე და ჩაიღუბა მარადიულ მყუდროებაში.

რამდენიმე წუთს ყურწაგდებით სდუმდა ტარიელი, სამუდამოდ სდუმდა ბაღში გულაღმა გაშხლართული კაციც (ტარიელის მარჯვენამ არ იცის გამტყუნება. ამაში დაჯერებულია უწინ მრავალჯერ).

არც კარაბინის წველია ლაწანმა, არც მომაკვდავის საზარელმა ღრიალმა არ აახშურა შორეულად მაძინებული სოფელი. ტარიელსაც ეს უნდოდა. კარაბინს მადლობით აკოცა ჩახშავში, ერთგულ მძასავით მოიკიდა მხარზე და ნადვლიდან დაბრუნებული ნადარივით გამარჯვებულად გასწია უკან.

კოტანის შემდეგ გაჩნდა იმავე ტყის სიღრმეში. იქ მეხისაგან გულგამოლადრულ ასწლოვან მუხას მზრუნველობით ჩააბარა ბრეზენტში კოხტად გაბეული კარაბინი და თვითონ ალაღმართალი კაცივით საჩქაროდ გაშორდა იმ არემარეს. ნახევარი საათის გაკრული სიარულის შემდეგ, ხაშურის სადგურზე გაჩნდა. პირველივე შემთხვევით მატარებელს მოახტა და გასწია — თვითონაც არ იცის საით.

ტარიელს არ ესაიამოვნა ხალხით გაქედილი ვაგონი.

მას ეხლა მარტო ყოფნა ათასჯერ ურჩევნია რჩეულ ხალხში ქვიფსა და ზეიმს, როგორც იქნა მაღლა საბარგულ ფუტრულზე მოსძებნა ძუნწი ადგილი და მძიმე ტვირთმოხდილივით მიწვა ვაჟკაცი ამ ხმელ სარეცელზე.

ტარიელს ენატრებოდა მოსვენება, ძილი, მაგრამ ერთიც და მეორეც მოსისხლე მტრებივით შორს განრიდებოდა. ტრიალებს ხველ ფიცრებზე დაძმობული ტანით. მაგრამ ეს უფრო დაძმობული ფიქრების ტრიალებს ტანის . . .

არავის ეგონოს, რომ ტარიელი ნაწიბს ჩადენილ საქმეს. პირიქით ასე გაზარჯვეულად თავი არასოდეს არ უგრძნობდა მთელ სიცოცხლეში. მაგრამ არ იქნა, ეს მკვლევლობის სურათი არ შორდება მის დაღალულ ფიქრებს და თავლებს.

სამი წელიწადი ოსმალეთის ფრონტზე იყო კაცი. მისი ხელით რამდენი ათასი და ათიათასი ვაზნა გასროლილა! ყოფილა შემთხვევები, როცა თავთუბის ყანასავით შეჯგუფულ ოსალეთის ჯარებს შიგ შეაგულში ესროდა რიცხვდაუდებლად. მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში ტარიელს მაინც არ ახსოვს, რომ სწორედ მისი ხელით მომკვდარიყოს ვინმე. მის მარჯვენას გარკვეულად არავისი ცოდო არ აძევს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სწორედ მისი ტყვიით გაგშირულს, მისკენ ხელეგამოწვდილს, დაებლავლოს შველაზე და ის კი სასიკვდილოდ გამასპინძლებოდეს მეორე ტყვიით.

მაგრამ ყველაფერი ეს სწორედ აქ ჩაიდინა, თავის საწმინდოში, თავის მეზობლის წინააღმდეგ.

გვებ გულის სიღრმეში ტარიელს დანაშაულად მიაჩნია ეს მკვლევობა და სწუხს ნაგვიანვეათ ამ გაზოფსწორებულ საქმეზე? მაგრამ არა! სცდება ვინც ასე იფიქრებს:

რომ რაიმე სასწაულით ტარიელის მსხვერპლი აღზდებოდეს მკვდრეთით, იგი წამსვე მოკლავდა ისევე თავგამებრებით, ისევე სინდისის შეუბღალავად—როგორც პირველად მოიღწო იგი.

## II

მაგრამ მაინც რა იყო მიზეზი ასეთი დაუნდობარი მკვლევლობისა ტარიელის შრივ?

ამისთვის საჭიროა გადავიხედოთ ცოტა უკან. სწორედ იქ გამოკვანძულა ცხოვრება წალმა-უკულმა. ამ კვანძს კი თან ჩაჰგრებოდა საარსებო ძარღვები ტარიელისა და მისი მსხვერპლის.

ტარიელის მამას თავის ძეგლებიდანვე მემკვიდრეობით დარჩენოდა სიღარიბე და გაჭირვება. არ იქნა ვერც შემდეგში დააღწია თავი ამ გინუყურელ კირვარაშს. კაცი მუშაობდა, დღე-ღამეს ასწორებდა, წელებზე ფეხს იდგამდა, მაინც ვერავითარი ბარაქა ვერ დასდო დაცემულ ოჯახს. ან რა გასაკვირია: ერთხელვე ვალში და ვალში ჩავარდნილი კაცი დარში ყოველთვის სხვისთვის მუშაობდა, ავდარში კი თავისთვის. ცხოვრების ჩარხის ასეთი უკულმა ტრიალით რა მალამო დაედებოდა მის არაქათმილულ ოჯახს!

ასეთი შუბლგაუხსნელი სიღარიბის შვილად გაიზარდა ტარიელიც. მას ცხოვრება ვერ დააყვდრიდა ერთ მზიან დღესაც. მან არ იცოდა არც ბავშობის სითამამე, არც დავაჯაკების სიღალე. მამისაგან მემკვიდრეობაში მიღებული გაჭირვება და უდიერი გარჯილობა მანაც ბავშობიდანვე შეითვისა, და თავის მა-

მასთან ერთად ცხოვრების მძიმე ჭაბანს ისევე ქედმაგრათ ეწეოდა როგორც წლობით ნახედნი ღონიერი კამეჩი.

უღელი ხარი, სამი დღიური მიწა და ერთი დღის ნაფუზარი უკვე მთელი მათი დოვლათი, მათ ძარსა და ბელელს არ ახსოვთ გაზაფხულამდე მყოფი კარგად-ხულის ბარაქა. ცხოვრებაც თავისი დღეობა-ზეიმით მუდამ გიერდს უვლიდა მათ კარმიდამოს. მათი სახლის ჭერს არ ახსოვს ერთი ლაზათიანი მომხიარულება, თუმცა ტარიელის მამა განთქმული მომღერალი იყო, მაგრამ მისი უბადლო სუფრული ყოველთვის სხვის ჭერს ახარებდა და არა თავისას. ბარემ კი ენატრებოდა მამა-შვილს თავიანთ ოჯახში ენახათ ერთად მოღებნილი ნათესაეები, მეზობლები, მოყვრები, მაგრამ თვალი დაუდგეს სიღარიბეს, რომ საწყაღმა ხალხმა ერთხელ ვერ გაახარეს თავიანთი ქია.

არ ყოფილა გაზაფხული, რომ ტარიელის მამა სიმონი რომელიმე შეძლებულ მეზობელს არ მიიღგოშოდა ჭირნახულის სასესებლად, ყველაზე ხშირად კი ამ გვარ გაჭირვებისას მიმართავდა თავის უმახლოვლეს მეზობელს სოსიკო მისურაძეს. სოსიკო არასოდეს არ ეტყოდა უარს. ყოველთვის სიამოვნებით უმართავდა ხელს. მხოლოდ მოსავალზე კი უეჭველად კოდზე კოდს დააყრევინებდა და თანაც რამდენიმე მუშას გამოიჩენებოდა ხოლმე სარგებელში.

ჭირნახულის აკრეფისას სიმონი ყოველთვის პირნათლად არიგებდა, ჩაარიგებდა ვალებს, ღალას, ბეგარას, დრამას და ბოლოს რამდენიმე თვის სარჩო აღარ შერჩებოდა ხოლმე ხელში. ამ გვარად სიმონის ოჯახში მუდამ ცხოვრების გვაღვა იდგა და უმსგავსოდ გადაეტრუსა ყოველივე სიკეთე ამ ქვეყნიურს.

სამაგიეროდ სულ სხვანაირად ტრიალებდა ბედის ჩარხი სოსიკო მისურაძის ოჯახში. ცხოვრებას შრავალსახიერი თავის სიკეთე თითქოს აქ დაურბევია მთელის სიუხვით: გუთნეული ხარკამეჩი, ორას სულიანი ცხვრის ფარა, ორმოცი დღიური სოფლის თვალად მიჩნეული საუფეთესო მიწები, გამართული სახლ-კარი, დაუთვალავი წყრილფეხი. მთელ ამ დოვლათს კი დღე დაღამე ჭირით დასტრიალებენ თავზე თვითან სოსიკო, მისი დავაგაკცებული შვილები მიხა და გიგო, აგრეთვე ვაჟაკების სწორად ჩასათვლელი მიხას თხუთმეტი წლის ვაჟი გელა. ამას ზედ უნდა დაერთოს რძალდემამთილი, ორი მოჯამაგირე, ორიც პატარა მწყემსი. აი ყველა ესენი ბედაურებივით შემბულიყვენ ამ ძლიერი ოჯახის ცხოვრებაში და კიდევაც ეწეოდენ მას ყველაზე წინ.

არ გგონოთ, რომ სოსიკოს თავის მამაპაპათაგან მიეღოს მემკვიდრეობათ ეს დოვლათი, არა! ეს შეიძინა თავის სიკოცხლევივე, თავისი საკუთარი უნარით. ოჯახიდან მას გამოჰყვა მხოლოდ ერთი პატარა ბოსელი და უღელი კამეჩი გამართული ურმით, სოსიკო მაშინათვე შეუდგა ჭირაზე მუშაობას: ქიათურიდან ეზიდებოდა შავქვას, კერთხვიდან — შპალებს. აგრეთვე დადიოდა ჭირაზე ბორჯომში, გორში, ქალაქშიც. სოსიკომ ისე სახიეროდ მიიჩნია ეს საქმე, რომ რამდენიმე წელიწადს ხენათესვას არც კი მიჰკარებია. აიყვანა ერთი დაკარგული კაცი მოჯამაგირედ და მთელი ოჯახის საქმეს სულ იმას აკეთებინებდა. ამაში მარჯვენა ხელად ჰყავდა თავისი მეუღლე სალომე, რომელიც იოტისოდნადაც არ აგრძნობინებდა ოჯახს მისი უფროსის გარედ ყოფნას.



ორი-სამი წლის შემდეგ უკვე საკმაო თანხა შეიძინა სოსიკომ. მანებრდა კიდევ დღე და ღამ კარში სიარული და მოუტრიალდა ოჯახს, მაგრამ მოგებისა და ფულის ტრიალს შეუჩვეველი კაცი ვეღარ შეეთვისა ამ ჯერობაზე ოჯახურ მყუდრო ცხოვრებას და მიწაზე მხენელ-თესველობას. ამას საუცხოო ფული ვერაფერად ღებდა მისი მოჯამაგირე, მისი მეუღლე სალომე და უკვე მოჩიტული მისი ორი ვაჟიშვილი.

სოსიკომ ცოლვად მიიჩნია დღე-ღამის ტეხვით ქირაზე აღებული ფულები ასე უსარგებლოდ ლაგებოდა სკივრში, საიდანაც ნელ-ნელაობით უჩინრად გაქრებოდა იგი. აქ მან გამოსძებნა სრულიად ახალი საქმე: უფრო იოლი და უფრო შემოსავლიანიც. ის გუშაბანაგდა ერთ ნაცნობ ჩოღარას და მასთან ერთად დაიწყო საქონლით ვაჭრობა. ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზე რამდენიმე პირად შორეკავდნენ ხარკამერის ჯოგს და აჩაღებდნენ ფართე ვაჭრობას ყველა ახლო-მახლო სოფლებში.

როცა სოსიკომ ამ საქმეშიაც გაიმარჯვა, ამხანაგიც ზედმეტად მიიჩნია, ადგა და საკუთრივ დაიწყო ჩოდრობა. მართლაც საქმე კიდევ უფრო საუცხოესოდ წაუვიდა სოსიკოს. ის ეხლა ას თუმნებს ისე იოლად ატრიალებდა თითქოს გასართობი რამ იყვესო.

ამ ხნის განმავლობაში სოსიკომ გამართა მშვენიერი სახლკარი, ნელნელა შეიძინა საუკეთესო მამულები, რჩეული ხარკამერებიც ხომ მუდამ იმის ხელში იყო! რომელიც კი მოეწონებდა, ის სოსიკოს ოჯახიდან აღარ გავიდოდა. ამ წამოსწორებით გაიზარდნენ მისი ვაჟებიც. მიხა უკვე დაცოშვილიანდა, გიგო კი ჯერ-ჯერობით უფრო თამამობდა და ყოველთვის გარე-გარეთ ეჭირა თვალი, მოლოს მაინც გიგომ თავისი გაიტანა და ხაშურში ერთ ამხანაგთან ერთად სამიკიტნო გახსნა.

ამდენი გამარჯვების შემდეგ უკვე წლებით დატვირთული სოსიკოც დაიღალა გარე-გარე სიარულით. ამასთანავე აღარც საჭიროება მოითხოვდა: ოჯახი ყელთანვე სავსეა, შვილები მოსწრებული, სიკეთის მეტს არსადან ხიფათს არ ელის, ადგა და მიანება ჩოდრობას თავი. მაგრამ თაოსნიანი და მოგებას მიჩვეული კაცი აღარც ოჯახში ისვენებდა: სულ უნდოდა საქონელზე საქონელი შეემატებია, მიწაზედ—მიწა, დოვლათზე—დოვლათი. მისი სიმდიდრის მადას აღარ უჩანდა სიმაძღრე. და ასეთ მადააშლილ კაცს სამკალიც ბლომათ ჰქონდა თავის გარშემო. როგორც ღონიერ კაცს—ყველა იმას მიმართავდა გაჭირვების დროს: ვინ ფულის სასესხებლად მოდის, ვინ ქირნახულისა, ვინ თავედობას ეხვეწება ან სხვა რამე კიდევ ხელის გამართავს. სოსიკო უკმეხად არავის დაუხვდებოდა, თითქმის ყველას უსრულებდა თხოვნას, ვისაც კი პირი არ ჰქონდა შერცხვენილი მასთან. მაგრამ ვისმეს სამადლოთ და სასიკეთოდ კი არ აკეთებდა საქმეს, არამედ თავის სასარგებლოდ. ფულზე, ქირნახულზე ან სხვა რამე ხელის გამართვაზე აუარებელ სარგებელს ახდევინებდა. მაგრამ გაჭირვებულ კაცს იმის იქით გზა არა ჰქონდა. ყოველ პირობაზე წინდაწინ იყო შერიგებული, როცა მასთან მიდიოდა რაიმე თხოვნაზე. ყველა ამ საქმეზედ საუცხოოდ გაიწრთენა მისი შვილი მიხაც, იგი უკვე ღირსეულ მემკვიდრეობას ეწეოდა მამის მაგიერ



და ზოგჯერ კიდევაც აკარბებდა გაკირვებული ხალხის სულის ამოხდაში და გაყვლეფაში.

რამდენის საქონელი დარჩენიათ ვალში, რამდენის მამულია აქნა სულ რამ დოვლათი—ვინ ჩამოთვლის! ის კია, რომ სოსიკოს ოჯახი წლისწინათ უფრო ნდიდრდებოდა, ძლიერდებოდა, ქონება ქონებაზედ ემატებოდა.

სწორედ ასე გათამამებული სახით შეეგება სოსიკო მაისურაძის ოჯახი ცხრაას ჩვიდმეტი წლის რევოლიუციას. უნდა ითქვას, რომ სიმდიდრეთა და სიკეთით დაბაზებულ სოსიკოს ოჯახს რევოლიუცია არც გახარებია, არცა სწყენია: არ გახარებია რადგან რევოლიუცია ამაზე მეტად ველარც გაამდიდრებს მას, ველარც გააბედნიერებს, არა სწყენია კიდევ იმიტომ, რომ რევოლიუცია ემუქრება თვითმპყრობლობას, თავადაზნაურობას, ბურჟუაზიას, ის კი გლეხია და ამიტომ რევოლიუცია მას სრულიად არ ემუქრება თავისი შრისხანობით.

და მართლაც, რა გადაიარა რევოლიუციის პირველი დღეების ქართველმა, სოსიკოს ოჯახიც სულ ერთიან დამშვიდდა, გული ისევ საგულეს იგრძნო და ტოტებ შეურხეველად განაგრძო ერთხელვე შეჩვეული ცხოვრების გზა.

სწორედ აქ უნდა გავიხსენო ტარიელიც. გახდა თუ არა ოცდაერთი წლისა—ჯარში წაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ მსოფლიო ომიც დაიწყო და ტარიელიც აღარც მოშორებია ოსმალეთის ფრონტს. სამი წლის განმავლობაში ტარიელმა არ იცოდა ოჯახის ამბავი, აგრეთვე ოჯახმაც არაფერი იცოდა მასზე. მისი ლოდინით დაღუული მოხუცი დედა, რომელ დაბრუნებულ ჯარისკაცსაც კი დაინახავდა, ყველას ეკითხებოდა შვილის ამბავს, მაგრამ ვერავისგან სანუგეშო რამეს ვერ ჰღირსებოდა.

მხოლოდ ცხრაას თურამეტი წლის დასაწყისში ეღირსა ტარიელს შინ დაბრუნება—და რა ნახა. ისედაც ხელმოკარული ოჯახი ეხლა სულ დარბევის გზაზე დამდგარა. მისი მამა ორი წლის წინად გარდაცვლილა. მიუხედავით სიღარიბისა, ტარიელის დედას მოეხდომებია ქმრის გაპატიოსნება და აღარ დაეშოვა უკანასკნელი სახსარი მის წესიერად დასაფლავებისათვის. ცალი ხარი დაუკლა ხარჯათ, ცალი ხარი და ნაფუზრის მიწა კი სოსიკოსთან დაეგირავებინა აუცილებელ სახარჯოს საშოვნელად და ასე მოეზადა უკანასკნელი ვალი თავის ცხოვრების გაუხარელ სწორთან.

ბებერი დედისა, გვერდზე გადაწოლილი ქოხისა და არაქათ გამოლეულ სანი დღიური მიწის გარდა აღარაფერი დაუხვდა ტარიელს სახლში. ყველაზე მოუწუნებელ ჯავრად კი ტარიელს გადაექცა ნაფუზრის ხელიდან გაშვება. ეს მიწა მართლაც ერთ ოჯახად ღირდა. იმის იმედით აპირებდა ტარიელი ფეხზედ დადგომას, ხალხში გარევის. მაგრამ ფრთებშესხმული იმედი ასე კოკორ გამოუღებელად დაუქცნა საძირგშივე.

ტარიელი მივიდა სოსიკოსთანაც, მიხასთანაც, ბევრს ეხვეწა მამაშვილს: ნუ დამლუბავთ, დამიბრუნეთ ეს მიწა და ერთი ორად ერთი სამად გადაგიხდით ყოველივე ვალსო, მაგრამ აუღლებელ ციხეთ გადაიქცა მამა-შვილის გული და ტარიელის მუდარა ვერ შეიპრა შიგ-თანაგრძნობის მოსაპოვებლად.

—კაცო თავადს არ უწნია ჩემთვის, ეს საქმე და შენ რაზე მლუბავ გლეხ-კაცი? ცოტა ოდენი დანდობა აღარა გაქვს?



ამ სიტყვებზე სოსიკომ გულიანად ჩაიცინა.

— მე ჩემ ადგილას თავადიც ვარ და თავადზე მეტიც. **მენი გულგანმარობა** ამირაჯობი და ციციშვილები რითი მჯობიან მე? ხარკამეჩითა, **მამულს დედასთან**, სხვა რამე ქონებითა თუ სტუმრის მიღება-გასტუმრებითა? **მისი მისი**

ტარიელი მაინც ემუდარება:

— დამითმე, კაცო, ეგ ერთი ნაჭერი მიწა! ან მეზობლობას შეხედეთ, ან ადამიანობას! მეც ახალი მონაშენე კაცი ვარ, ხელის მომართვა მეჭირვება. მუქთად ხომ არა გთხოვ? რაც მოგიციათ, ერთი სამად შიიღეთ და მაინც დამითმეთ როგორმე!

მიხამ დაცინვით ფადაჰხედა ტარიელს, დარდიმანდათ გაბრუნდა სახლისაკენ და თან უქმენად გადმოისროლა:

— ვალში დარჩენილი საქონელი სხვა რომელ სულელს დაუბრუნებია უკან, რომ ეხლა მე დაგიტომო ეს უკვდავება მამული? წადი, ძმაო, სხვა საქმე გააკეთე! მაგის თხოვნაზე კი თავს ნულარ იწუხებ!

ან როგორ დაუთმობდნენ ცხოვრების სარბიელზე აღვირაწყვეტილათ დამსუნაგებული ხალხი! ამ ნაფუზარზე ისედაც დიდი ხანია თვალი ეჭირა სოსიკოს: მარჯვნივ უკვე ძველთაგანვე იმისი ვენახი იყო, მარცხნივაც ამ ხუთიოდე წლის წინად ვალში დარჩა ერთი მეზობლის ბაღი. ამთ შუა სოლივით იყო შეჭრილი ტარიელის ნაფუზარი. ეს ხელს უშლიდა სოსიკოს საუკეთესო ბაღ-ვენახების გაერთიანებას და ყოველთვის ნატრობდა ამ ნაფუზარის ხელში ჩაგდებას. ბოლოს აქი ჩაიგდო კიდევც. ეხლა კი ტარიელი ეუბნება— უკან დამიბრუნეო. როგორ? სოსიკო და მიხა ცოცხალი თავით ამ მამულს ხელიდან გაუშვებენ! მათ უკვე უღაო საკუთრებად მიითვალეს იგი, ნამყენი ვაზიც ჩაყარეს შიგ, თან წრეულობით სიმინდიც უთოხიათ. ნიადაგმა თითქოს საგანგებოთ გადისხნა პირიო და აქაური მოსავალი აადულა თავმოდგმული სიკეთით.

ამის დამნახვ ტარიელს უფრო გული უკედებოდა, უფრო მეტად აღტქრა სურვილი ამ მამულის დაბრუნებისა. რაკი ნებაყოფლობით ველარაფერი გააწყო, გადასწყვიტა— მიმართოს კანონს, ამ დროს უკვე მენშევიკების ბატონობას გაეშალა ფრთები მთელ საქართველოში.

ისეთ უმნიშვნელო საქმეებში მაინც, როგორც ერთი რაღაც ნაფუზარის დაგვა, საკითხს სწყვეტდა პარტიულობა, ნათლიმამობა, პურმარილი და აქაც სწორედ ამ დაუბლაგველმა ფარხმალმა გასჭრა.

სოსიკოს უცროსმა ვაჟმა გიგომ რევოლიუციის პირველივე დღეებში თავი მიანება მიკიტრობას. მან თავისი თავი გამოაცხადა მენშევიკად და გვარდიაშიც შევიდა ჩქარა. თავიდანვე გიგო მენშევიკებისა და გვარდიელების ყოველივე უპირატესობას დიდის მოხერხებით იყენებდა თავის ოჯახის სასარგებლოდ. ეხლაც, რომ ვაიგო, ტარიელი მიწას დაობსო, მაშინათვე ჩაერია საქმეში თავისი პარტიულობით, გვარდიულობით, რევოლუციითა და ფახაფუხით. ამას ზედ მიჰყვა სოსიკოსა და მიხასაგან ლახათიანად შემზადებული პურმარილი და ტარიელის ნაფუზარის ბედიც სამუდამოთ გადასწყდა სოსიკოს სასარგებლოდ.

აქაც გაუტრუდა ტარიელს იზედი. საშველ გზას თითქმის ველარსით ხედავს, აემღერა ახალგაზრდული სისხლი, აუმხედრდა შეუღახავი თავმომწყნეობა. იმის თვალწინ ჯერ კიდევ არ შემწყდარა თოფ-ზარბაზნის გრილი, ყუმბარების აფეთქე-

ბა, ნაღმების ხანზარი. იმის წინ ჯერ კიდევ ცოცხალ სახეებით ტრიალებდნენ თავაშე ტებულობრძოლანი, ვაგაკურთ შეტევენი, ცეცხლისა და მახვილის პრიადლი, ოთხი წლის ომებში ნაწრთობი სული ჯერ ისევ ამაყად უცქერის ცხოვრებებს. გზაზე დაბნეულ ნარ-ეკალს.

რაკილა ვერც ტკბილი სიტყვით გააწყო რამე, ვერც კანონით—გაალმასე-ბული ტარიელი ეხლა შექარაზე წავიდა. უკვე მოხუც სოსიკოს კი არ შეეკარა, მაგრამ მიხას კი პირდაპირ განუცხადა:

—ან დამიბრუნეთ ჩემი ნაფუხარი, ან იმის მოსაველს არ შეგარგებთ ცოცხალი თავითო!

მიხამ იტყვიდა ასეთი შექარა.

—განა ისე დალაჩრდა მაისურაძეების ოჯახი, რომ შენისთანა ცივანის შექარას შევეპოვოთ! სადაც ვიწრო იყოს, იქ დაგვხვდის და ვნახოთ ვისაც აუტირდება დედაო!

ამ გზითაც ვერაფერი გააწყო ტარიელმა. მისი ცხოვრება ყოველიმხრივ გზამოკრილია. ის ეტყობა ვერ გაიხარებს მაისურაძეების გვერდით. მაგრამ რადგან აგრეა—არც იმათ გაახარებს. და ამ დღიდან გადასწყვეტა სასტიკი შურისძიება.

გავიდა რამოდენიმე კვირე. ტარიელს მამულზე კრინტი ღლარ დაუძრავს. ისე კი შეზობლებში სიტყვა მიაგდ-მოაგდო.

—ჩქარა ბორჩალოში უნდა წავიდე მოზერების საყიდლათო.

ერთი თვის შემდეგ მართლაც კიდევაც წავიდა ტარიელი. რამდენიმე დღეს სადღაც დაჰყო თავისი სოფლის განრიდებით. ერთ ბნელ ღამეს კი დაბრუნდა უკან და თავისივე ნაფუხარში დაუნდობლად ჩაჰკლა სადარაჯოდ მყოფი მიხა მაისურაძე.

ეხლა წივს ტარიელი რახრახა ვაგონში და მისი ფიჭვებიც რახრახებენ ჩადენილ მკვლელობის თავიდან ბოლომდის შეათასეჯერ გადაფურცვლით.

### III

ოთხი დღის შემდეგ ტარიელი დაბრუნდა სახლში ხელცარიელი. ვერ ვიყიდე მოზერები სიძვირის გამო.

სწორეთ ამ დღეს დაესაჯლაგებინათ მიხა და მაისურაძეების კარნიდამოზე ხალხის მთელი ჯარი იყო თავმოყრილი.

ტარიელი დიდ ხანს იჯდა სახლში თავგორიდებით. მისი დედა ბევრს ეხეწა—წადი სამიძმარი უთხარი სოსიკოსაო, მაგრამ ტარიელს არ ეჩქარებოდა.

სალამოზე უკვე მაისურაძეების სამწუხარო სუფრაც აიშალა. შორიდან მოსულები მაშინათვე გაუღდგენ გზას, მახლობლები და შინაურები კი იქვე ტრიალებდნენ კარმიდამოზე.

აგერ ტარიელიც გაპოვიდა კარში და მიძიმედ გაიარ-გამოიარა თავის ქობის წინ.

მაისურაძეების კარმიდამოზე მაშინათვე შეიქნა ჩურჩულ-პუტუნე.

ყველანი ქვეშ-ქვეშად და საცქვოდ გამოხედავდნენ ტარიელს და შერე განაგრძობდნენ ისე რაღაცა საიდუმლო მითქმა-მოთქმას.

ამ დროს სოსიკოც გამოვიდა კარში შავ-ახალუბ ვადაცმული, რა დანინახა ტარიელი, მაშინათვე დამთხვეულ ნადირივით გაექანა მისკენ—

—ჰოი შენ აძალღებულის დანატოვარო! შენ მომიკალ შევლებს შენ გამოი-  
ოხრე ოჯახი!

ტარიელი იდგა უძრავად. მისი თავმოყვარეობა კმაყოფილებას განიცდის, თუ კი მასში გრძნობენ შურისმაძიებელს. მაგრამ მეორე მხრივ არც ესაჭიროება აღიაროს ეს ხმამალა: იცის, ამ აღიარებას რა სასტიკი პასუხისგებაც მოჰყვება ფეხდაფეხ. ამიტომ გულდაკოდილ სოსიკოს ლანძღვა-გინებას ის წარბშეუხრე-ლად უყურებდა.

მაგრამ დამუქრებულმა სოსიკომ გააარღვია ღობე და სარქენად ავიარდნილ ხარივით ეძგერა ტარიელს ყანყარატოში.

—ცოფიანი ძაღლივით უნდა დავახრჩო საკუთარი ხელით, შე ძაღლის დანატოვარო შენა!

ტარიელმა ერთხანად სცადა, სოსიკო როგორმე მოეშორებინა თავიდან; არ უნდოდა ამ დანადგებაზე ახალი უსიამოვნება დაერთო. მაგრამ ვერ მოახერხა. გააფთრებული სოსიკო კი ორივე ხელით ჩასკიდებოდა ყანყარატოში და ლამის მართლა აღჩნობდა კაცს. აქ კი ტარიელმაც გამოიღო ხელი და ერთი მაგარი მუშტი სთხლიოა სოსიკოს გაცოფებულ სახეში. სოსიკოს მაშინათვე სისხლი წას-ქდა თავპირში და ხელიც გაუშვა. აქ ხალხიც მეოშველა და იწყეს მაჩხუბრების დაშოშმინება.

ჩჭარა აქვე გაჩნდა სოსიკოს ვაჟი—გვარდიელი გიგო. რა დანინახა დასისხლიანებული მამა, მაშინათვე იძრო რევოლვერი და ჭექა გაადინა ტარიელის მკერდთან. მაგრამ ტყვია ასცდა მიზანს. თავდაცვის გრძნობით შეპყრობილი ტარიელი ერთი-ორი ვნებური ნახტოვით შევიარდა სახლში და წამსვე გამოვიარდა უკან ხელში ნაჯახ-ამართული.

აქ შემოეხვიენ ხალხი ცალკე გიგოს, ცალკე სოსიკოს, ცალკე ტარიელს და შეუდგენ მათ დაწყნარებას. როგორც იქნა, ხალხმა ძალიძალით გაჰყარეს მაჩხუბრები და თავიანთ სახლში დააბინავეს.

კიდევ დიდ ხანს ისმოდა გაშმაგებული გიგოს ღრიალი:

—ამ გველის წიწილს დიდხანს არ ვაბოგინებ დედამიწაზეო!

ტარიელი კი არაფერს ამბობდა, ხმამალა, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტითა გრძნობდა—რაც უნდა გაეკეთებინა ხვალ.

მაგრამ არა, ხვალამდის აღარ ღირს დაცვა! დღესვე უნდა განშორდეს აქაურობას. უიშისოთ სულ ადვილათ შეიძლება ეხლავე იმსხვერპლონ იგი მოსისხლე მტრებმა.

დღეიდან ცხადია: ან მაისურაძეები დალევენ მის სისხლს ან იმან უნდა გაანადგუროს მაისურაძეების გასავისი.

დალაჰდა თუ არა, შიატოვა ზუზრის ძირას დარდით და ვაგლანით დაოსებული მშობელი. გამოვიდა კარში და გასწია უღლიდან თავდახწყული გაუხენდავი ხარივით—საიღლაც შორს იალალისაკენ.

რამდენიმე დღეს ტარიელმა სულ შორეულ ნათესავებში იარა.

გული იჯერა მათი ნახვით და შედეგ უგზოუკლოდ მიიმალა სადღაც.

ორი კვირის შემდეგ გიგოს მეთაურობით მთელი რაზმი დაეცა შუალაშისას ტარიელის სახლს. უნდოდათ მისი ხელში ჩაგდება, მაგრამ უძლიერი დედაბერის მეტი შინ არავინ დაუხვდათ.

გიგომ ყველგან მოჰდინა ხმები, მთავრობამდისაც მიაწვდინა, რომ შუალაშელი ბოლშევიკია: მას კავშირი აქვს საჩუქრეში — ხეთაგურთან, ოსეთში — ტარიელთან. ჩრდილოეთ-კავკასიიდან პირდაპირ დავალებებს იღებს მახარაძისა და ორჯონიკიძისაგანო.

ამისთანა კაცის მოსპობა ან ხელში ჩაგდება, რასაკვირველია, მენშევიკებს ძალიან ეინტერესებოდათ. ამ საქმის შესრულება თავიდანვე გიგოს დაავალეს, და იგიც სცდილობდა როგორმე ხელში ჩაეგდო ტარიელი ან ცოცხალი ან მკვდარი. მაგრამ ტარიელს ვერც ადვილად ველარავენ ჩაიგდებდა ხელში. ის თავის ოსმალურ კარაბინასთან ერთად ეხლა მხოლოდ ტყეს ენდობა და თავის უტყუარ მარჯვენას.

ტარიელის დედასაც დაუდგა აღსასრული. ცხოვრებით ყოველმხრივ დაბრიყვებულმა ადამიანმა ველარ გაუძლო ამდენ ჭირვარას, ჭმარშვილის დაკარგვას, ოჯახის მრავალჯერ აწიოკებას და ბოლის განუტევა კიდევ ტანჯული სული. მეგობრემა სამადლოდ დაასაფლავეს. თავის ერთადერთი შვილის ტარაელისაგან არ ელირსა მიწის მიყრა.

#### IV

დრო მიდის სწრაფად, უკანმოუხედავად.

მიხას უკვე ორმოცი ადაუზადეს.

ერთი სოფლისოდენი ხალხი დაესწრო. სოსიკოს არ დაუშოგავს არავითარი ხარჯი. საკლავი, ღვინო, ხორაგეულობა — ყველაფერი თავსაყრელი იყო.

კარგად დაპურადებული ხალხი საღამოზე უკვე დაიშალა. სახლში კი ხელმეორედ გაიშალა სუფრა შინაურებისა და მახლობლებისათვის,

დიდხანს გაგრძელდა ეს ოჯახური სუფრა. შუალაშე გადასული იქნებოდა, როცა ძლივას აიშალა იგი. დიდი ლაპარაკისა, მთქმა-მოთქმისა და ანგარიშების შემდეგ პურღვინით დამცხრალმა ხალხმა ყველამ მიაშურა თავის ბინას.

ჩქარა სოსიკოს ოჯახშიც ჩამოვარდა სიმწყხარე ჩაქრა უკანასკნელი სანთელი და დღის აურ-ზაურით მოქანცული ხალხი ყველა მიეცა გულიან ძილს.

პირველი მამლის ყვილი ჯერ არ დამდგარა. სოფელი სიჩუმით სასაფლავის დამზგავსებია. კოტის ყვილიც კი არსად ისმის რაიმე საბედისწერო ამბავის მომასწავებლად. სდუმს ყველაფერი. ბნელა ყველგან...

მაგრამ არა, ყველგან აღარა ბნელა!

აგერ ცუცხლის ალი ავარდა სოსიკოს საბძელს და გადარეული სისწრაფით ეხვევა მთელ შენობას. ალის ძლევაშოსილი ტალღები სტიქიურის სისწრაფით იზრდებიან და თითქოს ცაში იტაცებენ ამ უზარმაზარ მუხის ნამშრალს.

მაგრამ მარტო საბძელი იწვის? აგარ სოსიკოს სახლსაც ავარდა ისეთივე გიჟური ალი და მთელ შენობას ელვის სისწრაფით იხვევს თავის კალთებში.

უკვებ გაიღო სახლის კარი და საცელების ამარა გადარეულივით გამოვარდა გიგო რვეოლვერით ხელში.

გაისმა კარაბინის ცივი ლაწანი და გიგო მოწყეტილი ვაშლივით გაგორდა ძირს.

აგერ გამოწნდა სოსიკოც. ნამდვილი შეშლილივით გადმოხტა საბერკველზე, მაგრამ კარაბინის მეორე ლაწანთან ერთად იქვე ჩაიკეცა ცეცხლის ნაღვი და აქ კარაბინის ლაწანზე უფრო ცივად გაისმა:

— ჰაი თქვე წუწუებო! თქვენ დალიეთ ტარიელის სისხლი თუ ტარიელმა თქვენი!

ამ დანადებაზე სოფელმაც გაიღვიძა. ახმაურდა ქვეყანა, ხალხი მიეშურა ცოცხლებს გადასარჩენად და ცეცხლის ჩასაქრობად.

მაგრამ ტარიელი ვადვა განზე და თოფამოღებულმა შეუტია რამდენიმე თავგამოდებულს:

— არაფერ გაბედოთ ცეცხლის ჩაქრობა! დაე სულ დაიწყეს არმათ ნაშოვნის საბედისწეროდ თავგანწირულ კაცს ვინ არ შეეუბნება! აქაც შედრკა ხალხი და თავი ანებეს ცეცხლის ჩაქრობას.

მაგრამ ხალხის გული მაინც ღმობიერია. განწირულების ეამს მაინც სჩვევია მას სულგრძელი თავგამოდება.

რამდენიმე მოხუცი მივიდა თავის კარაბინის ჩახმახივით ამართულ ტარიელთან და ემუდარებოდნენ:

— სოფელს ნუ შეარცხვენ შეილო! არ შეიძლება ასე გულხელდაკრეფილი ვუცქიროდეთ ამდენი დოვლათის განიავებასა და მთელი ოჯახის გაუბედურებას. ნუ შეგვიშლი ხელს, თუ კი რამის ვადარჩენა კიდევ შეიძლება!

ტარიელმა შეისმინა მოხუცების მუდარა. ბრძოლაც დამთავრებულად მიიჩნია და აპირებდა გაბრუნებას, მაგრამ ამ დროს დანახა მისკენ გარბის თმაგაწეწილი, პერანგშეტრუსული ბიჭი. გარბის ვადარეული, რალაც დამუქრებული ზრახვით. ტარიელმა ინსტიქტურად შეაშველა მარჯვენა და იმის ხელის გულშიც ჩაისრიალა ხანჯალა დანამ. ეს იყო მიხას თხუთმეტი წლის ვაჟი—გელა.

ტარიელმა მაინც მოასწრო ბიჭის გაკეცება. სასწრაფოდ გადაუგრიხა მარჯვენა და გამოგლიჯა დანა. მაგრამ გაათრებული გელა იმ წამსვე კბილებით დააცხრა ტარიელს მკლავებში და მკრა ჩაპბლუჯა კრიკაშეკრულა მგელივით... ტარიელი ერთწამს შეეცადა—ეერ გააშეებინა. ტკივლით სული გაუმწარდა. აქ ველარ აიტანა და ხანჯალა დანა სწრაფად დაუსვა გელას ლოყაში. ბავშვა შეპკეცლა და გაუშვა პირი, ტარიელმა ერთი მავარი წიხლი წაკრა პირმოსისხლია ნებულ ბავშვს და გააგორა მიწაზე. შემდეგ აღარ დაუყოვნებია. შეაქცია ზურგიცეცხლით და სისხლით შემფოთებულ სოფელს და მიიმალა შორეულ წყვილიადში.

ეს იყო უკანასკნელი მოჩვენება ტარიელისა. იმის შემდეგ აღარავის უნახავს იგი. ნადირმა შეტამა, მიწამ უყო პირი, სიშვილით მოკვდა თუ რაიმე საბედისწერო შემთხვევამ იმსხვერპლა—ამისი მოწმე არავინ არის.

მისი საბელი მაინც დიდხანს ტრიალებდა სოფლის პირში. ბოლოს ეს სახელიც მიწყდა და ტარიელის სსენებაც თითქმის სამუდამოდ დაიკარგა სოფლის ბსოენიდან.

## V



ამ თავზარდაცემის შემდეგ მაისურაძეების ოჯახი სულერთი გინადგურდა. ცოცხლები გადაჩენ მხოლოდ რძალ-დედაშთილი და მიხას ვაჟი—გელა.

ქონება ხომ რაღა დასათვლელია. რაც ცეცხლმა შთანთქა, ის ხომ სულ ამოდ წავიდა ხელიდან. რაც არა და ოჯახის ზედი-ზედ დამტყდარმა უბედურებამ ინაცვლა. თუ რაიმე დოვლათი გადაჩა კიდევ, ისაც მკვდრების დასაფლავებასა, მათ ორმოცება და წლის წირვებს მოუნდა ერთიანად.

ამ განიავებულ ოჯახში აღარავინ დარჩა ბურჯი, შემომტანი. თუ სახლში ვაჟაკის ხელი არა ტრიალებს, იქ ბარაქა ველარაფერს ვერ დაედება. ტარიელის შიშით მოჯამაგირეებიც აღარავინ გაუჩერდათ. ისე კი რაღას გააწყობდნენ ამ ქართველით აობრებულ ოჯახში უბედურებით ჩათუთქული ორი ქალი და ჯგერ თითქმის უსუსური ბავშვი გელა.

ამას ზედ დაერთო კიდევ ქალების უნუგეშო შიში—ვაი თუ ტარიელმა გელაც მოიღნოსო და ერთიან ამოსთაქოს მთელი მაისურაძეების გააგისიო. ამიტომ გადასწყვიტეს, გელა აღარასგზით აღარ დასტოვონ სოფილში. და მართლაც ერთი თვის შემდეგ ბავშვი გაისტუმრეს ქალაქში. იქ გელა ერთმა ხელოსანმა ნათესავმა შევირდათ აიბარა თავის სახარატოში.

ერთი წლის შემდეგ, ბავშვმა რომ გაიმარჯვა ხელი, რკინის გზის საბელოსნობეში გადავიდა. თან როგორც მკვირცხლი, ყველაფრით მონიტერესე ბავშვი წიგნებსაც მისდევდა. მოცილილ ერთ საათსაც კი ამოდ არა ჰქარავდა. რასაც მოასწრებდა — კითხულობდა, ვითარდებოდა, განსაკუთრებით კი ეწაფებოდა რევოლიუციის ამბებს, რადგან თვითონვე ამ ძლევამოსილ რევოლიუციის მძებნეარებაში უხდებოდა დაეაქაცება.

გელა უკვე საესებით შეეთვისა ქარხნებს, ქალაქის ცხოვრებას, მუშათა კლასის სულსკვეთებას, რევოლიუციით მომხდარ გრანდიოზულ ნგრევას და მშენებლობას. მას სოფელში თითქმის აღარაფერი დარჩენდა დედისა და ბებრუტუნა დიდდის მეტი. ორთავე წვალეებითა მიდიოდნენ იოლად, და ასე ატარებდნენ თავიანთ დათალხულ ცხოვრების დღეებს.

გელას ახალგაზრდული გზება და სიცოცხლით მალხაზი თვალეები სულ ხვალინდელი დღის გათენებას მისჩერებთან. იქ ელის რევოლიუციის ჯადოსნური ძლიერებით ხალხის სიკეთეს, ცხოვრებას სრულყოფილს.

სწორედ ამ ხანებში მოხდა საქართველოს გასაბჭოებაც. გელამ მრავალ თავის ამხანაგებივით ჭოკმანში აღარ დაჰქარვა ძვირფასი დრო და პირველ დღეებიდანვე ჩაება ახალი ხელისუფლების ქაპანწყვეტაში.

ძირიან-ფესვიანად გარდაქმნილ ქვეყანას აღარებელი მუშაკი სჭირდებოდა თავის განახლებულ ბუმბერაზულ მშენებლობაში. ვისმეს მცირეოდენი ცოდნა და გარჯილობაც უდიდეს დამაახურებათ მიითვლებოდა ქვეყნის წინაშე.

გელაც არ იყო დატვირთული ღიდი ცოდნით, მაგრამ მისი გარჯილობა, მისი გულწრფელი სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ არცოდნა ძლივსღა სჩანდა ყელთამდის მოყრილ საქმიანობაში.



ჩქარა გელამ შეატყო: თუ გინდა შენ შრომას ჰქონდეს მეტი ნაყოფი, თუ გინდა ქვეყნის ჰირვარამთან ახლო იდგე და შენი წელილიც შიითვალოს ნამდვილ საკურნებელ მალამოდ, არ შეიძლება — მმართველი პარტიაქსეგანგაშე იყო, და ჩქარა კიდევაც შევიდა ბოლშევიკური პარტიის მებრძოლნი მისი მხარე გელას პასუხისმგებლობა უფრო გაზარდა ქვეყნის წინაშე. ის უკვე ვისმეს დაზმარე ძალა კი აღარ არის, არამედ თვით შემომქმედი ძალაა, რომელსაც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის წაღმა თუ უკულმა მართავი. და აქ იგრძნო, რომ მისი ცოდნა მის მოვალეობაზე ბევრად სუსტია.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ წომ ფართოდ გაულო ყველას კარი, ვისაც კი ნიჭი და სურვილი აქვს სწავლისა!

გელაც შევიდა მუშაქაში. ორ წელიწადში გაიარა ზოგადი აუცილებელი ცოდნა. ამასთან სარგებლობდა ყოველივე თავისუფალ დროთი და ხარბად ეწაფებოდა ორლექსული მახვილივით ყოველმხრივ გამოსაყენებელ თვითგავითარებას.

იზრდება პარტიის რიგები, მრავლდებიან მუშაეები, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად იზრდებიან ქვეყნის მოთხოვნილებანი. გელაც ჩქარა შეაბეს ისევ პასუხისმგებელ მუშაობაში. მან ეხლა უფრო განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა ყოველგვარ საქმიანობაში.

სადაც კი მივიდა დაეადებულ, დასუსტებულ ორგანიზაციაში, ყველგან იწვევდა სრულ გადახალისებას, მუშაეების იშვიათ შერჩევას, თვით მუშაობის ძირიან ფესვიანად გარდაქმნას. მისი ენერგიით და სიცოცხლით საესე ბუნება, მისი უანგარო თავგამოდება და ახალგაზრობით აღსაესე გატაცება ყველას ედებოდა წამქმნებელ ცეცხლად. ყველა ბუნებრივად სცდილობდა მის მხარეში ამოდგომას, რომ არც თავიანთი თავი შეერცხვინათ და არც ისეთი ღირსეული ხელმძღვანელი.

რამდენი სუსტი ორგანიზაცია დააყენა ფეხზე, რამდენი ჩავარდნილი გეგმა გამოასწორა, რამდენი ნაკლი და ბოროტება აღმოუხვრა მუშაობაში — ყველაფერი ეს ხელმძღვანელი ორგანიზების მიერ საგანგებოდ არის ჩათვლილი გელას აქტივში.

გელა უკვე დამსახურებულად მიეკუთვნა იმ ღირსეულ ამხანაგების კადრს, რომლებიც ყოველ ჩავარდნილ საქმეში გაკვირების ტალყვისად ითვლებიან.

აგერ ეხლაც უმწვავეს ამოცანად წამოიჭრა მუშათა მომარაგების საკითხი. ბევრმა ორგანიზაციამ წაიკოჭლა ამ საქმეში და ვერ შეასრულა მათზე დაკისრებული მოვალეობა. ამის გამო გელას რამდენიმე ადგილას მოუხდა გადანაცვლება და ყველგან ჩინებულად გამოასწორა საქმე.

აგერ თევზით მომარაგების გეგმაც ლამის ჩაიშალოს და გელასაც მაშინათვე უკრეს თავი ჭობულეთისაკენ. ამ ჯერობაზე მეთევზეთა არტელის თავმჯდომარეობა ერგო მოვალეობათ.

გელასაც აღარ დაუყოვნებია და მეორე დღესვე გაეშურა საბრძოლო პოსტზე. გზაში მან უკვე ახლად მოუყარა თავი მთელ თავის გამოცდილებას. უკვე დააწყო გეგმა: როგორ მიაგნოს და გამოასწოროს ორგანიზაციის სუსტი მხარეები; როგორ მოსძებნოს საიმედო აქტივი მეთევზეებში, რომელზედაც შეიძლება ბოდეს დაყრდნობა ყოველ დამკერელ მომენტში; როგორ გამოიწვიოს პასიურ



ელემენტებში წაქეზება და როგორ წაახალისოს კიდევ უფრო მეტად თავგამოდებული მუშაკები.

ყველაფერ ამ საკითხებს ატრიალებს გელა თითისტარივით, ზედ ართავს თავის ფიქრებს და ალაგებს გეგმიანად ცხოვრებაში შესასრულს.

მართლაც მოვიდა თუ არა გელა ქობულეთში, მაშინათვე შეუდგა საქმის სათავეიდან გამოსწორებას. პირველყოვლისა, გაეცნო თევზის ჭერის პირობებს, სეზონს, მის განსაკუთრებულ მხარეებს. გამოიჩინა მეთევზეობის ინვენტარი, გაიცნო თვით მეთევზეების ცხოვრება, მათი მომარაგება და უზრუნველყოფა კანონით მინიჭებულ ყველა უპირატესობანით.

უმთავრესად კი გელა ყურადღებას აქცევდა თვით მეთევზეთა შორის საუკეთესო აქტივის გამოძებნას და ამ აქტივში კიდეთ-რჩეული მუშაკების პოვნას. გამოჰკითხა ყველას ერთი ერთმანეთზე: რომელია საუკეთესო ბრიგადა, ბრიგადის საუკეთესო წევრი. აქ ბევრი რამ სწორედ გაიგო გელამ, ბევრი რამ კი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. მხოლოდ ერთ რამეს აღიარებდა ყველა ერთსულოვნად.

— ბათუმიდან სოხუმამდის საუკეთესო ბრიგადა არის ჰასანას ბრიგადა. ამ ბრიგადაში კი საუკეთესო არის თვითონ ჰასანი.

მართლაც რომ გადასინჯა გელამ არტელის ისტორია და ანგარიშები მთელი წლების განმავლობაში, გაოცდა კაცი: არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჰასანს ყოველთვის დროზე და ყოველთვის გადაჰარბებოდა არ შეესრულებინოს გეგმა. ამასთან საუკეთესო ხარისხის თევზი ყოველთვის იმისი მონაგარი იყო. ამნაირი გარჯილობისათვის ჰასანს მრავალჯერ ჯილდოც მიუღია.

გელა არც ეხლა დასტოვს არტელის გამოჩეულ მუშაკებს დაუფასებლად.

მაგრამ სად არის თვით ჰასანი? ათი დღეა გელა ქობულეთშია. ყოველ მხრიდან ჰასანზე ესმის ლაპარაკი, მაგრამ არ იქნა და არ ეღიროს იმისი ნახვა.

ჰასანს ეხლა არავის სანახავად არა სცალია. მან კვალი აუღო მურმანა თევზის ქარავანს და მთელი კვირაა მისდევს ფეხდაფეხ. ყოველ დღე მიდის ქობულეთში მისი თევზით დატვირთული ნაგები, დაიცლებიან და ისევ მიეშურებიან ახალ ნადავლის მოსატანად.

გელამ გასინჯა დავთრები: ჰასანას გეგმით უნდა ჩაებარებია ოთხიათას ხუთასი ფუთი, მას კი უკვე ჩაუბარებია ექვსი ათასი ფუთი და ჯერაც არ ფიქრობს დასვენებას.

გელას პირდაპირ მოენატრა ჰასანის ნახვა. ეს საამაყო მუშაკი ღირსია ყოველგვარი წაქეზების, ხალხში გახმაურების. მშრომელმა მასებმა უნდა გაიცნონ მათი მომარაგების საუკეთესო დამკვერელი მუშა.

ღამის ყოველ დღის გათენებას ნატვრით ელის გელა, რომ ბოლოს როგორმე ნახოს ჰასანი, მაგრამ ჰასანს კი არ ეჩქარება: სანამ მის ბაღეს და ნესკავს ისევ ჯოგრად ედგება მურმანას ჯიში, ის ფეხს არ გაიმშრალებს ხმელეთზე ასე აქვს გადაწყვეტილი ჰასანს, თუ ამინდმა არ უღალატა.

გელას კი შინც ეინტერესება—ვინ არის ეს ჰასანი? მაგრამ ჰასანის ისტორია არც თუ ისე გრძელია.

ის ოსმალელია. ამ ათიოდე წლის წინად გადმოიხვეწა ბათომში და ჩქარა შიილო საბჭოთა ქვეშევრდომობა. ის პირველად მოჯამავირეთ მუშაობდა ერთ ბათომელ მეთევზესთან. შემდეგ მობეზრდა მოჯამავირობა და მოინდომა საკუთარ ფეხზე დადგომა. შეუამხანაგდა თავისავით ხელმოკლე ქობულეთელ მეთევზეს და გადასწყვიტეს ერთად საქმის მოგვარება.

თანხა არ გაიანდათ, მაგრამ მათ მარჯვენაზე კაი თანხა არ შეიძლება ყოფილიყო, კოროხის მალლობ ტყეებში მათ მოსჭრეს ათიოდე წაბლის ხე და ჩამოაღებინეს ზღვის პირამდის. აქ რომელღაც ოსტატს გააკეთებინეს ერთ ტონიანი ნაღი და ხელფასად მისცეს ყველა დანარჩენი ხეები. თვითან კი საკუთარი ნაღით შესტურეს ქობულეთის ყურეში და შეუდგენ ბედის ძიებას. მაგრამ კვიციანი და გამრჯელი კაცისათვის ბედი იმისი მარჯვენაა, მისი უნარი.

ჰასანის და მისი ამხანაგის საქმე თავიდანვე ჩინებულად წავიდა. სეზონზე მეთევზეობას ეწოდენ და ამითი იძენდენ ხაკმაო სახარჯოს. შემდეგ კი ქირაზე დადიოდენ რიზეში, ბათომში, სოხუმში. რამდენჯერმე ტრაპეზუნიდან სევასტოპოლამდეც გადაექრათ შავი ზღვის გული.

ჰასანმა ფეხი მოიკიდა ქობულეთში. შეიძინა პატარა სახლი კარმიდამოთი და ოჯახობასაც მოეკიდა. ამხანაგებში, ხალხში ჰასანს სულ ყველა კაი კაცად უცქერდა. მისი მომდურავი არაეინ იყო.

როცა კოლექტივიზაცია შემოვიდა მეთევზეებში, ჰასანი როგორც ბელადი პირველი თვითან ჩაეწერა და შემდეგშიც არ დაუხვია უკან. თავისი ნაღიც კოლექტივის საკუთრებათ გადააქცია, თუმცა მისით ისევ თვითანა თარეშობს შავი ზღვის ზურგზე.

ჰასანს უკვე მორწმუნე კაცის გატაცებით უყვარს თავისი ხელობა, უყვარს თავისი ამხანაგები, უყვარს თავისი ნაამაგარი ნაღიც, უყვარს თვით შავი ზღვაც. ჰასანს გულწრფელად მხოლოდ მაშინ შენანებია სიკვდილი, როცა ზღვაზე უცქეროდა მზის ჩასვლას და ათასგვარ განუმეორებელ სახეებად ენთებოდა ხელთუქნელი სილამაზე.

მაგრამ ჰასანთან რა უნდა ჯერ სიკვდილს. მისი ფიჭრის ლაწანი, მისი კუნთები, მისი ცეცხლოვანი ბუნება ჯერ მხოლოდ სიცოცხლის ძღვევამოსილებათ ლაღადებს.

ამა შეხედეთ მის მურმანით გაქვდილ ნავს—ზღაპრული ცალფრთიანი გედვიით რომ მოსტურავს ქობულეთის სანაპიროსთან! მეგრდმოღელილი ჰასანი ზეზეულად თვითონა ჰმართავს იალქანს და მოესწრადის....

მაგრამ ნაპირზე მდგომმა ამხანაგებმა შორიდანვე იცნეს ამხანაგი და შეუდგათ სიხარულის კრიამული.

— ჰასან! ჰასან!

გელაც ნაპირზეა. ეს არის გაათავა თათბირი არტელის წევრებთან გეგმების შესრულებაზე და აპირებდა წასვლას. მაგრამ რა დაინახა მომავალი ჰასანი, რომელ საქმეს არ გაანებებდა თავს და არ შეხედებოდა მას აღტაცებით?

ჰასანმა მიადგო ნაღი ნაპირზე და ხარი ირემის სილალით გადმოხტა ამხანაგების გუნდში. თან ხელში უჭირავს საამაყო—სპილენძის რალაც მრგვალი ფირფიტა.

— აჰა, ამხანაგებო! მოსკოველებსაგან გაშვებული მურმანა მე დავაჭირე იმათი ნიშნით.

— აი, ყოჩაღ, ჰასან! მაშ საპატიო საჩუქარიც შენ გიხარტვს—<sup>შასხახა</sup> მერე მხარედან გელამ.

ყველა მიესალმა ჰასანს. გელაც მივიდა მასთან.

ერთმა ამხანაგმა გააცნო ჰასანს:

— ჩენი არტელის ახალი თავმჯდომარე!

გელამ ხელი გაუწოდა ჰასანს, მაგრამ უეცრივ შეკრთა, თითქოს თავში რალაცა ელვამ დაჭრაო. შემდეგ უცებ მიუბრუნდა ჰასანს:

— ჰასან! დიდხანია შენ გელი! გამოდი განზე! შენთან საქმე მაქვს დიდი!

გელა გავიდა განზე ხალხიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით, ჰასანიც თან მიჰყვა.

უცებ გელა შემოტრიალდა, თვალი თვალში გაუყარა ჰასანს და ეკითხება:

— შენ ნამდვილად ჰასანი გქვია?

ჰასანი გაოცდა:

— აბა ჩემი ნათლია შენ ყოფილხარ და მითხარი—მაშ რა მერქმევა!

გელა ისევ თვალს თვილში უყრის:

— შენ ტარიელი არა ხარ?

ჰასანმა შეამჩნია გელას შუაზედ ჩახლეჩილი ლოყა. ელვის სისწრაფით მიხვდა ყველაფერს. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, ხანჯალა დანას მისწვდა ტარში და...

— დიად, მე ტარიელი ვარ და შენ კი გელა ხარ მისურაძე! მერე რა გნებაეს? გინდა გავსწორდეთ?

მაგრამ გელამ ჯიბის მაგიერ შუბლზე მოისვა ხელი და მერე იგივე ხელი გამბედავით გადასატყორცნა ჰასანისაკენ.

— ტარიელ! ჰასან! დავიფიწყით—რაც იყო წარსულში! დღეს შენცა და მეც ერთ დიად საქმეს ვემსახურებით, ერთ მიზანს, ერთ რწმენას! ჩვენ არც შეიძლება მტრები ვიყოთ! ჩვენ ძმები ვართ დღეის იქით! მაშ გამარჯობა, ძმაო, ტარიელ!

ჰასანმაც სიხარულით გაუშვა დანას მარჯვენა და გელას მარჯვენასთან გაადინა ლაწანი.

— გაგიმარჯოს, ძმაო გელა! ვენაცვალე შენს ვაჟაკობას! რახან ცხოვრების ძალა ეგრე გკოდნია, შენთან სიკვდილსაც არ დავინანებ! რომელ ვაჭირვებაშიც გინდა გამიხსენე და ან დავიხსნი ან თავს დავანაცვლებ!

და ორთავე, ბრძოლამოგებული ვაჟაკებივით ხელიხელ ჩაკიდებული გა-  
მობრუნდნენ მათკენ ყურადღებით მაკტერალ ამხანაგებისაკენ.

## VI

იმევე დღეს საღამოზე გელამ თავისთან დაუძახა ჰასანს.

— ჰასან! ტარიელ! წელან ფიცი მომეცი: როცა კი დამისაჯიროებ—თავს არ დავზოგავო.

- ეხლაც ვიშეორებ მაგავე სიტყვას და შემდეგშიაც გავიშეორებ!
- მაშ რახან ეგრეა, მოდი ერთ საკმეში დამეხმარე ვაჟაკურად!
- დამაფალე და გამომცადე, მართლა ვყოფილვარ თუ არა სიტყვის ტიტონი!
- კარგი! შენც უნდა იცოდე ჰასან. ჩვენი დამზადების [გეგმა] ჩატარდნი-  
ლია. შენი ბრიგადის გარდა თითქმის ყველანი მოიკოჭლებენ. მე კი ათიათასი  
ფუთი მაკლია კიდევ გეგმის შესრულებამდე. ამას აუცილებლად მოითხოვს ჩვენი  
შუშების უზრუნველყოფა მომარაგებით. შეგიძლია შენი ბრიგადით...
- ჰასანი თავმომწონედ გასწორდა წელში:
- მე მზათა ვარ! თუ ამინდი არ შეიცვალა, ორი კვირის განმავლობაში!
- იძლევი სიტყვას!
- დასტურ, ვიძლევი!
- გელას სიხარულის იერმა დაჰკრა და გაუშალა მარჯვენა ჰასანს:
- მაშ მოდის ათიათასი ფუთი, ძმაო ტარიელ?
- ჰასანამაც სასწრაფოდ შეაგება ლაბტივით მოქნეული თავისი მარჯვენა—
- ვაჟაკურად მოდის ათიათასი ფუთი, ძმაო გელა!

ქობულეთი, 1932 წელი.

კ ა მ ტ\*

თ ა ვ ი XV

დამოწმებული ასლი<sup>1</sup>

საქმე სისხლის სამართლისა დამზღვევ აგენტად წოდებულ დიმიტრი მირსკის (ნამდვილადსიმონ არშაკისძე ტერ-პეტროსიანცის) ბრალდებისა გამო 1884 წ. 9 ივნისის ასაფეთქებელ ნივთიერებათა დანაშაულებრივი და ზოგად საშიში ხმარების საწინააღმდეგო კანონის § 7 დარღვევისათვის. ბერლინის სამეფო 1 ლანდრენიხტის ბ. მთავარმა პროკურორმა მიმართა დაწერილებითი აქაური საავადმყოფოს სამმართველოს წინადადებით, რათა მოეცა ვრცელი დასკვნა ბრალდებულის სულიერ მდგომარეობის შესახებ,--ამასთან ცალ-ცალკე უნდა იყოს განხილული მისი ბრალშესარაცხობა, საქმის გარჩევაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა და მის მიმართ იმ სასჯელის სისრულეში მოყვანის შესაძლებლობა, რომელიც მას გადაუწყდება. დასკვნა უნდა შეიცავდეს აგრეთვე პასუხს კითხვაზე, არის თუ არა ან რა მოცულობიანი არის სიმულაცია ან ავადმყოფური მდგომარეობის გაზვიადება.

(ამ მიმართვას მოჰყავა შემდეგი პასუხი).

ამით პატივი მაქვს წარმოგიდგინოთ დასკვნა, რომლის შედგენა მე დამავალა აქაური საავადმყოფოს სამმართველომ.

1. წინასწარი გარემოებანი

რუსების ერთი საიდუმლო კრების დაშლის დროს 1907 წ. 22 ოქტომბერს მაგიდის ქვეშ ნახეს ქალაქის ფურცელი შემდეგი მისამართით: „ელზას-ერშტრასე, 11 სახ. № 14 მირსკი“. პოლიციამ აღრევე იცოდა, რომ ერთ-ერთი რუსი ტერორისტი ატარებს „მირსკის“ სახელწოდებას. ნახული მისამართის შესახებ უფრო დაწერილებითი გამოკვლევით გამოაშკარავდა ის ფაქტი, რომ მირსკის გვარის მატარებელი პირი იმყოფება ბერლინში სრულიად უსაქმოდ. 1907

\* იხ. მნათობი № 14 1-9.

<sup>1</sup> ეს დოკუმენტი აღმოჩნდა 1931 წ. ანხ. კამოს ბინაზე (დეიდაშის ელისაბედ ბახჩივთაძე ტფილისში) ბ. ბ.

წ. 9 ნომბერს გაჩხრეკილ იქნა მისი ბინა, სადაც აღმოჩნდა: შავი ტყვიის ორ-  
ძირიანი ჩემოდანი, რომელიც შეიცავდა დიდძალ ასაფეთქებელ გარსებში გაკე-  
თებულ საშიშარ ნივთიერებას, გარდა ამისა კოლოფი ფურცლებში გაშლილ  
ლოთოფის წაშლით და მრავალი მომართულობა, გამოსადეგი რუკისა და გზებზე  
მცდელობის მოსახდენად და სხვ. გაჩხრეკილ რუსს აღმოაჩნდა პასპორტი დამზღ-  
ვევ აგენტის დიმიტრი მირსკის სახელზე, რომელიც იყო რომატინიდან (გალიცია).  
პასპორტი გაცემული იყო ტფილისში მყოფ ავსტრიის გენერალური კონსულის  
მიერ. პასპორტის რუსი მფლობელის დაბადების წლად აღნიშნული იყო—1886 წ.  
პოლიციის კომისარმა მაშინვე მიაქცია ყურადღება იმას, რომ დაპატიმრებული  
არ გავდა 21 წლის მამაკაცს, გარდა ამისა შენიშნა აგრეთვე, რომ დაპატიმრე-  
ბულის ხელი სრულიად არ უდგებოდა პასპორტში აღნიშნულ ხელმოწერას. სა-  
პოლიციო დაკითხვისას 1907 წ. 10 ნომბერს მირსკის სახელით წოდებულ მო-  
ქალაქეს ძალიან მარჯვედ ექირა თავი მან განაცხადა, რომ პასპორტში აღნი-  
შნული ცნობები სავსებით სწორია, თავისი შედარებით ხნოვანი შესახედობა  
ახსნა თავისი კავკასიური შთამომავლობის თავისებური ხასიათით და სთქვა, რომ  
ჩემოდანი მას არ ეკუთვნის, არამედ ინათხოვრა ვენაში ვინმე პეტროვისაგან.  
პეტროვმა დაავალა მას ეს ჩემოდანი შემდეგ რუსეთში გადაეცა კოზლოვსკის  
სადღურის უფროსისათვის. ის ფაქტი, რომ ჩემოდანს ორმაგი ძირი ჰქონდა და  
შიგ ასაფეთქებელი ნივთიერებანი იყო, მან სრულებით არ იცოდა. მან განაც-  
ხადა აგრეთვე, რომ ტფილისიდან გამოვიდა 1907 წ. 25 აგვისტოს, შემდეგ იყო  
ბაქოსა და პეტერბურგში, პეტერბურგიდან გაემგზავრა ფინეთში იმატრის ჩანჩქე-  
რის სანახავად. მერმე პეტერბურგიდან წამოვიდა ბერლინში, აქედან ექვსი დღის  
გაჩერების შემდეგ წავიდა ვენაში, იქედან ცოტა ხნით იმგზავრა ბელგრადში  
და ბოლოს დაბრუნდა ისევ ბერლინში, სადაც ამჟამად პროფესორი დ-რი შფე-  
ლდი ექიმობს მას მარჯვენა თვალს.

1907 წ. 11 ნომბერს მირსკად წოდებული მოქალაქე გაგზავნილი იქნა  
მოაბიტის საგამომჩიებელო საპატიმროში რადგან საბუთების მიხედვით ეჭვი  
იყო მიტანილი მასზე ასაფეთქებელ ნივთიერებათა დანაშაულებრივი და ზოგად-  
საშიში ხმარების საწინააღმდეგო კანონის დარღვევის შესახებ.

1907 წ. 2 დეკემბერს დაკითხვის დროს სასამართლო გამომჩიებელთან მი-  
რსკიმ დაადასტურა წინანდელი ჩვენება თავისი პირადობის შესახებ. რაც შეე-  
ხება მარჯვენა თვალის ტკივილს, იგი, როგორც თვითონ განაცხადა გამოუწ-  
ვევია ტფილისის ერთ დუქანში სპირტის აფეთქებას 1907 წ. 10 მაისს. ბერ-  
ლინში ის მოვიდა დაახლოებით 1907 წ. 9 ოქტომბერს. როდესაც მას შენიშ-  
ნეს, რომ, როგორც გამორკვეულია, იგი მოვიდა ბერლინში 1907 წ. 28 სექტემ-  
ბერს, მან ჯერ აღიარა, რომ ის ბერლინში მოვიდა 19 თუ 20 სექტემბერს  
ახალი სტილით და ჩამოხტა სასტუმრო „ბრემერ ვოფში“, რომ ის  
პირდაპირ პეტერბურგიდან მოვიდა და თან ჰქონდა შოლოდ სურათი  
და საგზაო კალათი. მაგრამ მალე ამის შემდეგ ჩვენება შეცვალა იმ აზრით,  
რომ ის თავდაპირველად ბერლინში არც ერთს სასტუმროში არ გაჩერებულა,  
არამედ სადღურზე დტოვა თავისი ბარგი და იმ საღამოსვე წავიდა ვენა-  
ში. მას არ შეუძლია დანამდვილებით თქვას, როდეს მოვიდა ბერლინში, მაგ-

რამ მას გონია, ეს იყო სექტემბრის მეორე ნახევარი. თუ მან დითქვას სხვანაირად აჩვენა ადრე, ეს აიხსნება იმით, რომ თარგმანი არ იყო სწორი. ეს მაშინვე წავიდა ვენაში, რადგან ბერლინში პროფესორ ჰირშფელდს უნდოდა მისი თვალის გამოკვლევა რენტგენის სხივების საშუალებით, რაწინდაც კი არ დათანხმდა. ვენაში მან აგრეთვე მიმართა ექიმებს სარჩენისათვის. მაგრამ იქ, — მისი სიტყვით, — თვალის ოპერაციაში მოსთხოვეს 1000 მარკა, რაც მისთვის ძალიან ძვირი იყო. ამიტომ 3—4 დღის შემდეგ ის დაბრუნდა ბერლინში. ვენაში ის შეხვდა რუს სოციალ-დემოკრატს პეტროვს, ერთად იდგა მასთან სასტუმრო „ნაციონალში“ და მიიღო მისგან შემოსხენებული ჩემოდანი, რა თქმა უნდა მან არ იცოდა თუ ჩემოდანს ორმაგი ძირი ქონდა და რა იყო შიგ ჩადებული.

ახალი დაკითხვის დროს 1907 წ. 4 დეკემბერს რუსი ქალი თარგმანის მონაწილეობით მან აჩვენა აგრეთვე, რომ ის ვენაში წავიდა ბერლინში ჩამოსვლის დღესვე საღამოს, იქ მიიღო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრის პეტროვისგან ჩემოდანი, რომლის დაკარგვის შიში ჰქონდა პეტროვს, თუ ვინიციობაა რკინის გზით გაგზავნიდა მას რუსეთში. შემდეგ მან დაადასტურა თავისი წინანდელი ნათქვამი, რომ ის მირსკია და სრულიად არ იცოდა, თუ ასაფეთქებელი ნივთიერება იყო ჩემოდანში.

წინააღმდეგ ამ ახსნა — განმარტებისა, რომელიც წარმოადგინა მირსკად წოდებულმა პირმა. გამორკვეული იქნა შემდეგი:

1. იმ ცნობის თანახმად, რომელიც მიღებულია ტფილისში მყოფ ავსტრიის საკონსულოსაგან, ავსტრიის ქვეშევდომი, რომლის სახელზედაც იყო გაცემული პასპორტი, იმყოფება ტფილისში. ფოტოგრაფიული სურათი ბერლინში დაპატიმრებული პირისა, რომელიც თავის თავს მირსკის უწოდებს, ეტყობა სომეხი უნდა იყოს.

2. მირსკად წოდებული პირის განმარტება — რომ მარჯვენა თვალი მას დაუშავდა სპირტის აფეთქების გამო, აშკარა ტყუილია, პროფესორ დ-რ ჰირშფელდთან ექიმობის დროს მან განაცხადა, რომ 1907 წლის მაისში მას მარჯვენა თვალი დაუშავდა ყუმბარის ნაშტრევით, ამ განცხადების სისწორე დამტკიცდა თვალის საექიმო გამოკვლევის დროს 1907 წლის 6 დეკემბერს. („ალბათ სპილენძის ნამსხვრევებია თვალის სიღრმეში“) თვალის გამოკვლევისას ექიმების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მისი მხედველობის არე ნორმალურია;

3. მირსკად წოდებული პირი 1907 წ. 28 სექტემბერს საღამოს მოვიდა შემოსხენებული შავი ჩემოდანით სასტუმრო „ბრემერ გოფ“ში და დარჩა იქ 1907 წ. ოქტომბრამდე.

4. ვენაში მირსკად წოდებული მოქალაქე იმყოფებოდა, თანახმად ვენის საპოლიციო სამმართველოს ოფიციალური ცნობისა, 1907 წლის 14 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრამდე სასტუმრო „ნაციონალში“, სადაც ჩაეწერა ასე: „დიმიტრი მირსკი, ტფილისელი ვაჭარი“. სასტუმროს მოსამსახურეებმა დაადასტურეს მისი იგივეობა ბრალდებულთან გაგზავნილი ფოტოგრაფიული სურათის მიხედვით.

ამნაირად დადასტურებული ცნობების გამო მირსკად წოდებული პირი გამოტყდა ახალი დაკითხვის დროს 1907 წლის 12 და 30 დეკემბერს, რომ მი-



რსკის სახელით მან ისარგებლა, რის უფლებაც მას არ ჰქონდა. პასპორტი მიიღო ტფილისში. მას ესაჭიროებოდა ყალბი პასპორტი, რადგან რუსეთში მას იცნობდნენ როგორც სოციალდემოკრატს და რუსულ პასპორტს არ ეძიებდნენ. მაგრამ ნამდვილი თავის ვინაობა არ სურს დასახელოს, რომ მწუხარების სრულყოფილ თავის ოჯახს. შემდეგ აღიარა, რომ 1907 წ. მაისში თვალი დაუშავდა ყუშბარის ნამსხვრევით. ის რეპორტიორია ერთი ქართული გაზეთისა, რომლის დასახელება მას არ სურს. მან წამოიღო ჩემოდანი, მაგრამ სრულიად უდანაშაულოდ შეიქნა პეტროვის მსხვერპლი.

ის ეჭვი, რომ მირსკი რუსი ტერორისტი და მისი მოგზაურობა ტერორისტულ მიზნებს ისახავდა, გაძლიერდა კიდევ იმ ვარემოების გამოაშკარავებით, რომ მისი თანამგზავნი ბერლინში ეკუთვნოდნენ რუსეთის რევოლიუციონერთა რიცხვს და იმის საბუთიც იყო რომ მირსკად წოდებული პირი შუამავლის როლს ასრულებდა იმ რევოლუციონერების და ვაზნების ყიდვის დროს, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1907 წ. რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის გამომცემლობის საწყობში ბერლინში და სხ.

ბოლოს, ს-პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 1908 წლის 13 ივნისის ოფიციალური მოწერილობით გამოირკვა, რომ ბრალდებული არის სიმონ არშაკისძე ტერ-პეტროსიანცი, გორელი, ანარქისტი და რევოლიუციონერთა შორის ატარებდა „კამო—სომეხის“ სახელწოდებას.

ამასობაში 1908 წ. 14 თებერვალს ამ საქმის გასარჩევად შესდგა სასამართლოს სხდომა. უკვე ადრეც დაიბადა ეჭვი ბრალდებულის ბრალშეურაცხობის შესახებ. საგამომძიებლო საპატიმროში ჩაწერილ იქნა შემდეგი საურფო ცნობები:

1908 წ. 7 თებერვალს: „შმაგობს სდგას კუთხეში, კითხვაზე პასუხს არ იძლევა. გუშინ ნახა თავისი დამცველი. ამან ხომ არ გამოიწვია მისი აგზნებული მდგომარეობა?“

1908 წ. 10 თებერვალი: „გაიხადა, არც ერთ კითხვაზე არ იძლევა პასუხს“.

1908. წ. 13 თებერვალი: „ობრაჯს და გმინავს, საქმელი არ მიიღო“.

ბრალდებულის მოქცევამ სასამართლოს სხდომაზე 1908 წლის 14 თებერვალს გამოიწვია სასამართლოს დადგენილება, რათა სასამართლოს ეჭიმებს სამკურნალო მრჩევლებს, დ-რ ჰოფმანს და დ-რ ლემანს გამოეცვლიათ ბრალდებულის სულიერი მდგომარეობა.

ბრალდებულის მიერ 1908 წლის 14 თებერვლის სხდომის დროს სამკურნალო მრჩეველ დ-რ ჰოფმანზე მოხდენილი შთაბეჭდილების და აგრეთვე გამოკვლევის შედეგების შესახებ დასკვნაში მოხსენებულია შემდეგი:

საბრალმდებლო საქმის დაკავებისათანავე მირსკი კვნესოდა და თავში წაივლებდა ხოლმე ხელს. შემდეგ, დაკითხვისას თარჯიმანი ქალის შემწეობით მან ახსნა, რომ ის 26 თუ 27 წლისაა, რუსეთის ქვეშევრდომია, თავდაპირველად სწავლობდა სომხურ სკოლაში და დროებით ცხოვრობდა ტფილისში. სამი თუ ოთხი წლის წინად ის ემზადებოდა „ვოლნოპრედელიაიუშნად. არასოდეს არ ყოფილა სამხედრო სამსახურში, პროფესიით გაზეთის კორესპონ-



დენტია, ეწეოდა აგრეთვე თარგმანსაც, პოლიტიკური შეხედულებით მოცილდემოკრატია. ამის მეტი სხვა არავითარი ახსნა-განმარტება არ უჭირავს. დასდვა თავი მაგიდაზე და მხოლოდ ყრუდ და გაუგებრად გვიპასუხებდა: „არა, არა“ უფრო ხანგრძლივი დაკვირვების მიხედვით, ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბრალდებული უქველად სულით ავადმყოფია.

მისი ყოფა-ქცევის დამახასიათებელი თვისებების სიმულირება დიდიხნის განმავლობაში შეუძლებელია. ასე იქცევა მხოლოდ ნამდვილი ავადმყოფი, რომელსაც გონება დაბნელებული აქვს; გარეშე ქვეყნის შთაბეჭდილება მასში სრულიად უკვალოდ არ იკარგება, მაგრამ მის ტვინში აღიბეჭდება მხოლოდ ზერელედ და წამიერად; ამასთანავე ილუზია და გალუცინაცია მის აზრებს სხვა მიმართულებას აძლევს. ამას ემატება კიდევ საჭმელის მიუღებლობის ფაქტი, რომელსაც ასეთი დაკინებით ჯანმრთელი ადამიანი ვერ გაატარებს.

ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ისეთი სულიერი აშლია სახე, რომელიც უფრო მართებული იქნება ისტერიულ ფორმებს მივაკუთნოთ. ეს სულიერი აშლია ხანდახან ემართებათ ისეთ პირებს, ვინც ციხეში იმყოფება სასამართლოს განაჩენის ძალით ან გამოძიების ქვეშ; ამასთან უმეტეს შემთხვევაში ვისაც ნერვები სავსებით ჯანმრთელი არა აქვს და ვისაც მეგვიდრობითი მდგრადობა აქვს ან ნერვიული ავადმყოფობა ჰქონდა ან ისტერია, ან ბოლოს, უკვე წინადაც ემჩნეოდა დეფექტები თავის სულიერ განვითარებაში, სახელდობრ ეგრედწოდებული დეგენერაციის მოვლენები.

სულიერი ავადმყოფობა ამ სიტუაციის ვიწრო აზრით გვევლინება უკვე როგორც სატუსალოში ყოფნის შედეგი, რომელიც წარმოიშვა ამისთვის ხელსაყრელ ნიადაგზე.

შემოხსენებულის მიხედვით ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

დიმიტრი მირსკად წოდებული პირი დღეს წარმოადგენს სულით ავადმყოფ ადამიანს და ასეთად დარჩება მომავლაშიაც, რამდენადაც შეიძლება მისი გათვალისწინება.

მისი ავადმყოფობა არ შეიძლება განუკურნებლად ჩაითვალოს. მაგრამ მისი ავადმყოფობა არ იწყნარებს არც საწინააღმდეგო დასკვნას, რომ ის უკვე დასასჯელი ქმედების ჩადენის ეამს ბრალშეურაცხელი იყო საიმპერიო სისხლის სამართლის კოდექსის § 51 აზრით.

ბერლინი, 1908 წ. 23 მაისი.

ხელს აწერენ: დ-რი ჰოფმანი, დ-რი ლეჰმანი.

ამ საექიმო დასკვნის ძალით დადგენილება ბრალდებულის დატუსაღების შესახებ გაუქმებულ იქნა. ბრალდებული სამეფო საპოლიციო პრეზიდენტის დახმარებით 1908 წლის 4 ივნისს გადაიყვანეს ჰერცბერგის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში.

შემდეგ, 1908 წ. 29 ივნისს დამცველ-პოლიციური ხასიათის მოსაზრებით ის გადაიყვანეს ბუხის სულით ავადმყოფთა სახლში.

ბრალდებულის ყოფა-ქცევის შესახებ ჰერცბერგის საავადმყოფოს საჭრგო ფურცელში აღნიშნულია შემდეგი:

1908 წ. 4 ივნისი: მოდის სიმღერით.

1908 წ. 5 ივნისი: ავადმყოფი ლაპარაკობს განუწყვეტლივ და გაუგებრად; კითხვებზე არ უპასუხებს; ძალიან შიშვეულია, აფრთხილებს უმებრალი მიკარებაც კი, გარბის, როდესაც მისი გამოკვლევა უნდათ; მტკიცებით ფეხების ტრავმატიული კატარაქტი აქვს.

პავილიონი № 8.

1908 წ. 6 ივნისი: მოხსენების თანახმად, ძალიან ხმაურობს, მღერობდა ბერლინურ ქუჩურ სიმღერებს, განაცხადა, რომ ის ნაპოლეონია, რომ ის ექიმია, რომ მან დალია 10 მილიონი ლიტრა არაყი.

1908 წ. 8 მაისი: განუცხადა მოსამსახურე ფოგტს, რომ ის არის სოლომონ პეტროვსკი.

1908 წ. 9 ივნისი: ითხოვს მოუყვანონ ქალი, კოცნის ქალების სურათებს ჟურნალებში.

1908 წ. 10 ივნისი: ვაიკაწრა სახე და ითხოვნება გამოდენილი სისხლით.

1908 წ. 15 ივნისი: საკმლის მიღებაზე უარს ამბობს. მარცხენა ხელს შეუჩერებლივ ერთგვარად ამოძრავებს.

1908 წ. 16 ივნისი: კიდევ მიიღო საჭმელი, როდესაც უთხრეს, რომ მას ძალით აკმევენ, ზონდის საშუალებით.

1908 წ. 19 ივნისი: უჩივის თავის ტკივილს გულში მუშტის რტყმევით ლაპარაკობდა: „უნდა მოკვდე, არ მინდა ვიცოცხო“.

1908 წ. 21 ივნისი: ელაპარაკებოდა უფროს მოსამსახურეს. ეუბნებოდა, რომ მამა მისი კრაკოვიდანაა, დედა—რუსი, რომელიც მოუყვდა; ის თვითონ ბაქოდანაა. ამას წინადა აქ იყო მამა მისი, რომელმაც გულში ჩაიკრა ის, დაუძახა „დიმიტრი“ და მთელი ღამე მის ლოგინთან იღვა. ფეხებთან ედგა კაზაკი და მათრახს ურტყამდა, მისი სურვილია ახლოს ყავდეს ამბანაგი, რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრტი, რომ მას ესაუბროს.

1908 წ. 23 ივნისი: დაიგლიჯა უღვაშები, უნდა სახსოვრად გაუგზავნოს თავის ამბანაგებს, ღამით ძალიან ხმაურობდა, დადიოდა პალატაში, ელაპარაკებოდა თავის თავს ჩივის თავის ტკივილის.

1908 წ. 27 ივნისი: გულში მოსამსახურეს უამბობდა, რომ ის ბერლინში მოვიდა თვალის სამკურნალოდ დ-რ პირშფელდიან. ორძირა ჩემოდანი—ეს პოლიციის გამოგონილი ამბავია; ის სულაც არ არის ანარქისტი, არამედ სოციალ-დემოკრატია; ის 26 წლიანაა.

ექიმს მან თვითონ განუცხადა, რომ გულში ის ლაპარაკობდა, მაგრამ დღეს ის ისევ ცუდად გრძობს თავს და არ შეუძლია ლაპარაკი. დაინებით მიცემულ კითხვებზე ის ბოლოს იწყებს ტირილს და ავინებს პოლიციას გერმანულად დარუსულად. მან არ იცის, რატომღა დატუსაღებული, რატომ იმყოფება აქ. ის სულაც არ არის ბოროტმოქმედი. მას არაფერი არ ჩაუდენია. მან არ იცის რამდენი ხანია ბერლინში, მას ყველაფერი დაავიწყდა, სულით ავადმყოფია. მას ყველგან სცემენ, აქ პროტესტს აცხადებენ ყველა მისი მოქმედების წინააღმდეგ, არ უნდოდათ, რომ იმღეროს, ისეირნოს, ისიც კი არ უნდათ, რომ ფეხისადგილით ისარგებლოს, აქ ყველგან ინკვიზიტორებია, ესპანელი ინკვიზიტორები; იწყებს გინებას რუსულად. მას უნდა დაბრუნდეს რუსეთში, თუნ-

დაც ციმბირში, იქ ყოველ შემთხვევაში ამხანაგები გამოუჩნდებიან, აქ არა-  
ვინ არა ჰყავს.

ლაპარაკის დროს ის იხედება ფანჯარაში, ათელიერებს, ცეცხლებს, ხე-  
ლით შინჯავს მაგიდაზე მდებარე საგნებს.

მამის შესახებ შეკითხვაზე იმეორებს, რომ მან იგი ნახა აქ ღამით; მამამ  
ჰკითხა მას, თუ როგორ გრძნობს თავს.

1908 წ. 29 ივნისი: გადაყვანილია ბუხში.

ბუხში ჩაწერილია შემდეგი საურვო ცნობები:

1908 წ. 29 ივნისი: მიღებულია პერცბერგის სულით ავადმყოფთა სამკურ-  
ნალოს მოწერილობის თანახმად. მოთავსებულია 12 პავილიონში (სისხლის სა-  
მართლის დამნაშავე ავადმყოფთა პავილიონი).

1908 წ. 30 ივნისი:

იპრანქება. მარჯვენა ხელში უჭირავს ყვავილი, მარცხენა ხელი ჯიბეში  
აქვს. ლაპარაკობს ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

სახელი, გვარი? — „მირსკი“.

წლოვანება? — „ბევრი არა, ცოტა წლის, ოც... და

საიდან ხართ? — „არ მესმის“

ავად ხართ? — „აქ ცუდათაა“ — უჩვენებს თავზე. „აქ თბილა“.

სარწმუნოება? — „ო, მესმის, მართლმადიდებელი“.

ეტყობა ზოგიერთი კითხვები არ ესმის. ბევრს მღერის ხოლმე მიღების  
დროს. ლაპარაკობს მოაბიტის შესახებ გაუგებარი ექსტიულისადაც. თავში  
ნევისის ჩხვლეტა იწვევს გამოპასუხებას

1908 წ. 12 ივლისი: უარს ამბობს საქმლის მიღებაზე. პოლიციამ „კრინ-  
ტი“ არ დასძრასო. მოთავსებულია ლაზარეთში, წვეს ლოგინში.

1908 წ. 15 ივლისი: დღეს რძე დალია, როდესაც უთხრეს, რომ მასში  
საწამლავე ურევია.

1908 წ. 16 ივლისი: მტირალი სულისკვეთება აქვს. რამდენადაც შეი-  
ძლება გაევიგოთ, დანარჩენი ავადმყოფები მას სჯობნიან, უძახიან „ყუმბარის მსრო-  
ლელს“ და სხვ. არ სურს არც რძე და არც შოკოლადი, უნდა მხოლოდ პატარა  
ოთახი, აქ მას არ შეუძლია დარჩენა.

1908 წ. 25 ივლისი: არ ღებულობს საქმელს უკვე მესამე დღეა. კითხვაზე  
რატომ არა სკამთ? უპასუხებს: „მოვკვდი“.

1908 წ. 4 აგვისტო: რამოდენიმე დღის განმავლობაში ისევ ღებულობს  
საქმელს. გაიკაწრა კანი ხელის სალსართან პატარა ძელით.

1908 წ. 22 აგვისტო: ის არის არა მირსკი, არამედ არშაკოვი. მან არ  
იცის, რა ჰქვია. უკანასკნელ დღეებში ის ცოტა უფრო აგზნებულია,

1908 წ. 24 აგვისტო: 23 აგვისტოს ცდილობდა კბილით გადაეჭრა მარ-  
ცხენა ხელის ძარღვი. უარს ამბობს საქმლის მიღებაზე 22 აგვისტოდან. 22-ს არ  
მიიღო ვერონალი, 23 ს კი მიიღო.

გადაყვანილია ლაზარეთში — პავილიონი № 9 (ზედამხვედლობის ქვეშ  
ყოფ მამაკაცების პავილიონი).

1908 წ. 29 სექტემბერი: ლაზარეთში თავი უჭირავს წყნარად და დამშვიდებით, კრილობა უშუშდება. მოუსვენრობა თანდათან ქრება. ჰამს საკმარისად. თავისით ექიმს ცოტას ელაპარაკება. ამბობს, რომ უნდა რუსეთში დაბრუნდეს.

1908 წ. 25 ოქტომბერს; საერთოდ თავი მოსვენებით და წესიერად უკავია. ხშირად უჩივის ტკივილს კუჭის არეში, მაგრამ ობიექტიურად არაფრის გამოარკვევა არ შეიძლება. მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ გადაკრით ძნელია რისიმე თქმა, რადგან ავადმყოფი ლაპარაკობს მხოლოდ დამტკრებული გერმანულ ენით, ეტყობა, საკმარისად არც ის ესმის.

რამოდენიმე ხნის წინად, როდესაც მარცხენა ხელის კრილობას უხსნიდენ წაბარბაცდა და ბარბაციტ დაბრუნდა ლაზარეთში (ერთგვარად ისტერიული ავადმყოფის შთაბეჭდილებას ახდენს).

1908 წ. 31 ოქტომბერი: კატატონურმა ავადმყოფმა (ფეხნერმა) ფეხი კრა მას. დაწვა ლოგინზე და მწარედ ქვითინებდა (ქვითინებს მეტის მეტად როგორც ისტერიული ავადმყოფი).

1908 წ. 15 დეკემბერი: წყნარად და წესიერადაა. თავისუფლად უკავია თავი. ხანდახან აწუხებს კუჭის და თავის ტკივილი. კითხულობს რუსულ ლიტერატურას.

1909 წ. 27 იანვარი: მდგომარეობა უცვლელია. ექიმს განსაკუთრებულად არაფერს არ უტყვადებს.

1909 წ. 21 თებერვალი: იძინებს დასაძინებელ წამლის მიუღებლად. წყნარად და წესიერად უჭირავს თავი. თავდაბლად და ზრდილობიანად იქცევა. არ შეუმჩნევეთ არავითარი ვალუცინაცია ან ილუზია.

1909 წ. 15 მარტი: ძილი ისევ ცუდი აქვს. ღებულობს დასაძინებელ საშუალებას: თავის ტკივილების გამო მოთავსებულია ლაზარეთში.

1909 წ. 1 აპრილი: ხშირად აწუხებს თავის ტკივილი. სხვაფერ მოსვენებითაა და უცნაურობას არ იჩენს. ძალიან ბეჯითად მეცადინეობს.

1909 წ. 16 აპრილი: არშაკოვი ისევ გადაყვანილ იქნა საგამომძიებლო საპატიმროში.

1909 წ. 23 მარტს საავადმყოფოს სამართველომ პროკურატურის შეკითხვაზე შემდეგი აცნობა:

„არშაკოვი ამჟამად იჩენს ხანგრძლივ ნათელ შეგნებას; თავდაპირილად აგრეთვე ბეჯითად მეცადინეობს. სურვილისამებრ ის საღამოობით ღებულობს ფხენილს და ხანდახან ანტიპირინს თავის ტკივილის წინააღმდეგ.“

თუ საგამომძიებლო საპატიმროში ანგარიშს, გაუწევენ იმას რომ არშაკოვის მდგომარეობა უმჯობესდება, ექიმებს არაფერი არ აქვთ საწინააღმდეგო მისი საგამომძიებლო საპატიმროში გადაყვანის. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის გარჩევაში.

(ხელმოწერა) რიხტერი.

მას შემდეგ რაც ხელახლა დაადგინეს არშაკოვის დაპატიმრება. მან 1909 წ. 23 აპრილს მოსამართლეს, რომელთანაც მიიყვანეს, სრულიად სწორი ცნობები მისცა თავის ვინაობის შესახებ და აღუხსნა, რომ მას „ილარაფერი არ ახსოვს რაც მოხდა.“

მაგრამ უკვე 1909 წ. 24 აპრილს საგამომძიებლო საპატიმროს ექიმებმა პროკურატურას შემდეგი შეატყობინეს:

„მალე საგამომძიებლო საპატიმროში მოთავსების შემდეგ მირსკის უცნაურობა დაეტყო. საკმელი აღარ მიიღო თავისთვის გაუგებლად შეუძლებლად, რაღაცას ხანდახან იდიოტურად იღივება. უკანასკნელ დღეებში მისგან უჩინებლად პასუხს ვერ ვღებულობთ. საკმლის მოუღებლობის გამო დაუწყებულ ხელოვნური კვება. დღეს მირსკის მოუარა შმაგმა შეშლილობამ: დაამტვრია თავისი კაპურის საგნები. უნდოდა სცემოდა ზედამხედველს, ასე რომ იძულებული ვიყავით შეგვეკრა და მოგვეთავსებია შმაგ პატიმართა კაშერაში.

ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მირსკი 3 მაისისათვის იმდენად მოკეთდეს, რომ შეიძლოს საკმის გარჩევაში მონაწილეობის მიღება.

მე აგრეთვე თითქმის სრულიად უმკველად მიმაჩნია, რომ მირსკის საკმის განხილვა, რამდენადაც შეიძლება გავითვალისწინოთ, მომავალშიც შეუძლებელი იქნება. როგორც კი დაბრუნდება მირსკი საპატიმროში, ეს ავადმყოფობა, რომელიც ხელსაყრელ ნიადაგს პოულობს ისტერიაში, ისევ მოუვა. საჭიროა მირსკის სულიერი ჯანმრთელობა საგრძნობლად და მტკიცედ გამოკეთდეს, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ

(ხელმოწერა) დ—რი გოფმანი.

ამის მიხედვით დადგენილება არშაკოვის დაპატიმრების შესახებ ისევ გაუქმებულ იქნა და ის 1909 წ. 30 აპრილს ხელახლა გადაიყვანეს ბუხის სულით-ავადმყოფთა სამკურნალოში.

ბუხში არშაკოვის მეორედ ყოფნის შესახებ ასეთი საექიმო ჩანაწერებია საურვო ფურცელში:

1909 წ. 2 მაისი: საერთოდ დამშვიდებით და თავდაჭერილად. უჩივის, როგორც წინად, თავის ტკივილს და უძილობას. იმის შესახებ, თუ რა მოხდა საგამომძიებლო საპატიმროში დაწერილებით არაფრის ვაგება არ შეიძლება.

1909 წ. 8 მაისი: ლამაზობით გალუცინაცია ემართება, ხედავს პოლიციას და სხვ. როდესაც წამოდგება ლოგინში, ყველაფერი ქრება.

1909 წ. 14 მაისი: სულ სწუხს, რომ ლამაზობით პოლიცია მოდის მასთან და სცემს. უნდა ტყვია იკრას და მოკვდეს. ავინებს პოლიციას. სწუხს, რომ ცუდაა სძინავს.

1909 წ. 16 მაისი: რამდენადაც შეიძლება შემოწმება, გუშინწინ დილიდან არაფერი არ უქამია.

1909 წ. 17 მაისი: ბ-ნი დირექტორის ბრძანებით გადაყვანილ იქნა მეცხრე პავილიონში. ისევ ღებულობს საკმელს, უფრო თავისუფლად უქირავს თავი. აწუხებს თავის ტკივილი, უძილობა და მოუსვენრობა, რომელსაც აყენებს მას პოლიცია.

## II. საკუთარი დაკვირვებანი

როდესაც წინასწარ ვნახულობდი არშაკოვს ლაზარეთში მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ პირთა პავილიონში (№ 9) ის იყო ჯერ კიდევ ძალიან შეშინებული,

აღვლევბული, ხანგრძლივ იწვა ხოლმე ლოგინში. იყო გამხდარი, უფრო კეთილი, ქონდა დაძაფრული გამომეტყველება ემჩნეოდა შიშის გრიმასა სხეზე. ხელები ძალიან უკანკალებდა, მაჯა უცემდა ხშირად 120 მეტჯერ წუთში, როდესაც მას გამოელაპარაკებოდნენ, ის უმეტეს ნაწილად მერყეობდა, უპასუხებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და დაბნეულად, იჩენდა მორჩილ შიშნულ დამოკიდებულებას გარე-შეებინადში. მიუხედავად შიშის აშკარა ნიშნებისა, ის ხანდახან არაჩვეულებრივი ღიმილით აცხადებდა, რომ არ ეშინია სასჯელის. ახლავეც რომ მოუხდეს სასიკვდილოთ წასვლა, და რომ დეე წყნარად ჩამოაღრჩონ ის. მას აწუხებდა თავის და კუჭის ტკივილი, აგრეთვე უძილობა. ის აცხადებდა, რომ ღამით მასთან შიშის პოლიცია, რომელსაც უნდა მისი სურათის გადაღება; ერთხელ ღამით პოლიციამ შეკრა ის და გადაიღო ექვსი ფოტოგრაფიული სურათი. ასეთი ლაპარაკის დროს ის ხშირად საშინლად განრისხდებოდა, აკანკალებულ ხელებს კუმშავდა, მუშტებს ატრიალებდა, სახის ძარღვები უთამაშდებოდა და მაღალი შორთოლვარე ხმით მოყვებოდა გინებას:

„წყვეთლო ღორო; წყვეთლო პოლიციაე! მე ისეთი არა ვარ, როგორც სხვები, რომ მხოლოდ კარგი ჭამა და სმა—როდესაც მოვა დასასრული, მაშინ დეე, მიირთვი ჩემი ხორცი, პოლიციაე!“

ამ მღელვარების შემდეგ თავი ველარ შეიკავა და აუტყდა ქვითინი. მხოლოდ დიდის წვალებით შეესძლოთ მისი დამშვიდება.

ეს ერთი ხანია არშაკოვის მღელვარება კლებულობს ასე რომ დღისით მას შეუძლია ადგეს საწოლიდან და საერთო სადგომში გაატაროს დრო. ახლა მას უფრო თავისუფლად უჭირავს თავი, იცის, რომ ბუხში იმყოფება, „ნერვიულ ავადმყოფთა სამკურნალოში“, ლაპარაკობს უფრო გაბედულად, უფრო დარწმუნებით. აშკარა კმაყოფილებას გრძნობს, როდესაც ხელს ართმევენ. ხშირად რწმუნდება, რომ ბოროტმოქმედი არაა, რომ ის „ექიშია, ხალხის მასწავლებელია სოციალდემოკრატიული პარტიის მომხრეა, რომ ის უკეთესია რუსეთის პოლიციაზე, რომელიც შესდგება „ყაჩაღებისა, მკვლელებისა და მატყუარებისაგან“.

„მე ბოროტმოქმედი არა ვარ, არაფერი მომიპარავს, არავისი არაფერი მმართებს.—გერმანელი ბოროტმოქმედი უკეთ ცხოვრობს ვიდრე უდანაშაულო რუსიო:“

როდესაც ერთხელ უთხარი, რომ რუსეთის პოლიცია მას თვლის არა სოციალდემოკრატად, არამედ ანარქისტად, ის იმდენად აღელდა, რომ ლაპარაკიც ველარ მოახერხა, სახეზე აღებეჭდა ფარული სიმბოროტე და გულისწყრომა შემდეგ კი სრულიად აღარ მოისურვა ჩემთან ლაპარაკი. როდესაც მეორეჯერ სხვა შემთხვევის დროს ვკითხე, რატომ უწოდა მას რუსეთის პოლიციამ ანარქისტს, გულში მაგრად ჩაიკრა ხელი და განრისხებული ხმით დაიყვირა: „(მა, წაიღე.—უბრძანე ახლავე მომკლან,—მე მზადა ვარ უფრო ხალისიანად. მოკვდე, მე არ მეშინია“.

თუ მე მარტო იმით ვკმაყოფილდებოდი, რა ვუწინჯავდი მაჯას და ვეკითხებოდი, თუ როგორ გრძნობდა თავს, ის უმეტეს შემთხვევაში თავაზიანი იყო, ნდობით მეპყრობოდა და თითქოს მორჩილებით მეუბნებოდა „რა ვქნა,—დეე უკეთესია მოკვდე,—რაც იქნება, იქნეს...“

ერთხელ ჩემი ჩამოვლის დროს მოვიდა კარიდორში ჩემთან და მრულად გულახდილად მითხრა: „გამომიშვან, ოთახს ვიქირავებ და სრულიად მარყუანებით ვიცხოვრებო. ერთ მოსამსახურეს ვანუცხადა, რომ როდესაც წავიკრძალებ, მას ალბად ჩამოაღრჩობენ, რადგან რუსეთის პოლიცია იცნობს შას; თუ ციხეში გაგზავნიან, ამისი არ ეშინია, ციხეში მის ოცნებაა“.

1909 წ. 4 ივნისი: არშაკოვი იმდენად დამშვიდებული იყო, რომ მასთან გავმართე, თარჯიმანი ქალის მონაწილეობით, უფრო ხანგრძლივი სისტემატური საუბარი, რომლის ოქმი ამასვე ერთვის.

ბუხის სულით ავადმყოფთა სამკურნალო 1909 წ. 4 ივნისი.

1. რა გქვიათ?—სიმონ არშაკისძე ტერ-პეტროსიანი. „ტერ“ ნიშნავს იმ ოჯახის შვილობას, რომლის წევრები სასულიერო წოდებას ეკუთვნიან. ჩემი პაპა და ბაბუა მღვდლები იყვნენ.

2. რა სარწმუნოების ხართ?—მე—სომეხი ვარ, ჩვენი სარწმუნეობა მხოლოდ ცოტათი განსხვავდება მართლმადიდებელ სარწმუნეობისაგან.

3. როდის და სად დაიბადეთ?—ქალაქ გორში, კავკასიაში, მისსა თუ ივნისში, დაახლოებით 27 წლისა ვარ.

4. ცოცხალია თუ არა თქვენი მშობლები? როდესაც რუსეთში ვიყავი, ჩემი მშობლები კიდევ ცოცხლები იყვნენ.

5. ჯანმრთელები არიან თუ იყვნენ თქვენი მშობლები?—მამაჩემი იყო ვაჰარი, ჯარების მიმწოდ. მოიჯარადრე; ის ბევრს სვამს, შეუძლია დალიოს ერთი ვედრა ლენიო; წინად არაყს სხვამდა. დედაჩემი გარდაიცვალა 6-7 წლის წინად წყალმანკით ის ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მოკვდა, მე დავესწარი მის სიკვდილს.

6. იყო ვინემ თუ არა თქვენ ოჯახში სულით ავადმყოფი, ნერვიულად სნეული, ალკოპოლიზმით დაავადებული და სხ.?—ბავშობისას მხურვალე პატრიოტი ვიყავი, არასოდეს არ მაინტერესებდა ნათესაეები. ერთი დეიდაჩემი ძალიან ნერვიული იყო.

7. რა ავადმყოფობა გადაგიტანიათ ბავშობისას?—როდესაც პატარა ვიყავი, დიდი ხალისით ვსვამდი ძმარს და ძალიან მახველებდა. მე სპეციალური ექიმები მყავდა მიჩენილი, რადგან მამაჩემი ძალიან მდიდარი იყო.

8. ბავშობისას თავი ხომ არ გიტკენიათ? გული ხომ არ მოგდიოდათ, დამე ხომ არ იფსამდით და სხვ...?—არ მახსოვს. მე თავგასული ბავში ვიყავი. საიდან შემიძლია ყოველზე ეს მახსოვდეს:

9. ადვილად იგზნებით ხოლმე? ფიციბი იყავით თუ არა?—მე ახლაც ძალიან ფიციბი ვარ, ელიზიანდები მაგრამ ბოროტი არა ვარ.

10. რომელ სკოლაში სწავლობდით და რამდენი წლის იყავით მაშინ?—მე ვიყავი ტფილისის პროგიმნაზიაში. სულ ბავში ვიყავი, დაახლოებით 7 წლის, ხოლო მივტოვე სკოლა, როდესაც 18-19 წლის ვიყავი.

11. როგორ სწავლობდით, ადვილად ითვისებდით თუ არა სწავლას?—მე ყოველთვის საშინელი თავზე ხელაღებული ვიყავი. რაც მინდოდა, იმას ვსწავლობდი. გეოგრაფიასა და ისტორიას ყოველთვის კარგად ვსწავლობდი, არითმეტიკა კი არ მიყვარდა.



12. ყოფა-ქცევაში ყოველთვის კარგი ნიშანი ქონდათ?—მუდამ ვაჯერებდი მასწავლებლებს, ისინი ყოველთვის უკმაყოფილონი იყვნენ იმისთვის, რომ მე ბევრ სისულელეს ჩავდიოდი.

13. რას აკეთებდით სკოლის დატოვების შემდეგ?—მინდოდა მემეცადეობა სწავლა შინ. ხანდახან დღედაღამეში 14—15 საათს ვკითხულობდი, ყველაფერს ვეძებოდი, რაც მაინტერესებდა, მაგალითად, სოციალისტურ წიგნებს.

14. გიყვარდათ თუ არა არაყსი, ლუდის და სხ. სმა?—არაყსი არ ვსვამდი, ლუდი არ მომწონდა, მიყვარდა ღვინო და კონიაკი<sup>1)</sup>.

15. რამდენ კონიაკს სვამდით დაახლოებით დღეში?—არ ვიწვრიდი ამას. სანამ მშობლები მძალევედნ ფულს, ვსვამდი, გვიან, როდესაც პოლიტიკამ დამაინტერესა, სმას თავი დავანებე.

16. იყავით თუ არა სამხედრო სამსახურში?—არასოდეს არ მომსახურნია, სამხედრო ბეგარის მოსახდელად არ გაუწვევიათ. არც მსურდა მემსახურნა, რადგან არ მინდა ვემსახურო არც ავანაკებს, არც მკვლელებს და არც ჯალათებს.

17. სქესობრივი ავადმყოფობა ხომ არ გქონიათ?—ამის შესახებ არ მსურს ლაპარაკი. ავადმყოფობა არ მქირვებია.

18. რა შემთხვევაში და ვინ მოგაყენათ თქვენ ის კრილობანი, რომლის დალი განიხათ თავზე?—ყოველივე ეს პოლიციამ მიქნა. მე არ მეშინია. ყველაფერი მინდა გაიმბოთ. ჩემთვის არასოდეს არაფერი არ გამიკეთებია; ყოველივე რაც ჩამიდგინა, ვაკეთებდი პარტიისთვის. მე ავტორი ვიყავი. თავი დამიშავდა ნაწილობრივ ხმლის, ნაწილობრივ კონდახის დაკერით სომეხ-თათართა ერთი შეტაკების დროს. მე გონებადაკარგული წავეკეცი. ამხანაგებმა წამიყვანეს. ვიავადმყოფე რამდენადაც მახსოვს ოთხი თვე, ხოლო მანამდე კიდევ რამდენ ხანს, არ ვიცი.

19. თავის დაშვების შემდეგ იტკივებდით თუ არა თავს კიდევ?—არ მახსოვს, მხოლოდ კიდევ უფრო აჩქარებული და ნერვიული გავხდი.

20. დავაეკაცებისას გაქირვებით თუ არა სხვა რაიმე ავადმყოფობა ან დაგშავებით თუ არა რითიმე თავი?—მე ძალიან ხშირად მტკიოდა ხოლმე თავი.

21. რა ხნიდან გაქვთ კუქის კატარი?—ექვსი-შვიდი წლის წინად მოხდა დიდი გაფიცვა. მე ავტორი ვიყავი. ამასთან მოკლულ იქნა 15-16 კაცი; მეც მინდოდა მათთან ერთად მომკვდარიყავი, ამიტომ მივიღე ძლიერი საწამლავი (ანოტის სიმეავე). მას შემდეგ ტკივილები მაქვს კუქსა და მუცელის ქვედა ნაწილში. რუსეთში ბევრი მეგობარი მყავს აფთიაქრებს შორის.

22. როგორ დავიზიანდათ მარჯვენა თვალი?—თქვენ შეგიძლიათ რაც გინდათ ის მიქნათ, მაგრამ მე ამის თქმა არა მსურს. როდესაც რუსეთში მოვხვდები, რუსეთის პოლიციის ყველაფერი ეკოდინება.

23. რატომ იყავით თქვენ ასე აგზნებული საგამომძიებლო საპატრონოში? ამბობენ, თქვენ იქ თურმე შმაგობდით?—მე მხოლოდ ერთხელ ვიყავი აღელვე-

<sup>1)</sup> კანო არ სვამდა მაგარ სასმელებს. ზემოხსენებულ ფრანხს განზრახ ამბობს რომ გქმებს მიუთითოს თავისი ავადმყოფობის კიდევ ერთს მოსახვედარ მიზეზზე, კანო მონაწილეობდა ხოლმე ამხანაგების დროს ტარებაში, მაგრამ ღვინოს მაგივრად უმთავრესად რძეს სვამდა.



ბული, იმიტომ რომ იქ უნდოდათ სასაქონლო წესდების წესდების, მე კი ეს არ მინდოდა, რადგან თავში სხვადასხვა აზრები მიტრიალებდა, მე სრულიად უზიზღოდ დამიჭირეს, არასოდეს არ მიფიქრია აქ რაიმე ცუდის წაღწას. ვხვალა გამანათავისუფლებენ და მოვახერხებ ოთახის დაქირავებას, პოლიციის ხელახალი-თარი საბუთა აღარ ექნება ჩემ დასაქმებად. მე აქ მხოლოდ იმისათვის მოვედი, რომ ბერლინი შენახა.

24. ორძროიანი ჩემოდანის შესახებ რას იტყვი?—ეს სულ პოლიციის ოინებია; აქ ძალიან ბევრი რუსის პოლიციელებია და ისინი ყველაფერს ჩაიდენენ, რომ ორდენი დაიმსახურონ.

25. თქვენ აქაც ხშირად იყავით ხოლმე აღელვებული და ამბობდით, რომ პოლიცია მოდიოდა აქ თქვენი ფოტოგრაფიული სურათის გადასაღებად?—ერთ ღამეს ძალიან მაგრად მეძინა, უცრად ვიგრძენი, რომ ვილაცას უნდა მომპაროს წვერი და მისცეს მას მოგრძო ფორმა. გვახილევ თუ არა თვალეები, შევნიშნე პოლიციელი გაიქცა იქით. მე მინდოდა მესროლა მისთვის ჯამთასი.

26. რატომ ფიქრობთ, რომ ის პოლიციელი იყო?—მე ამ პოლიციელს ვიცნობ სახით.

27. რამდენს შეადგენს რეაჯერ ცხრა?—წარმოიდგინეთ, თქვენ ამას არ დაიჯერებთ, მაგრამ დამავეწყდა (კოტაოდენი პაუზის შერე)—72 9×9? (დიდი ხნის ჩაფიქრების შემდეგ)—81.

რამდენს შეადგენს 25 რომ გამოვაკლოდ 18?—6 თუ 7.

125 მივემატოთ 15— 133. მე წინად კარგად ვიცოდი თვლა. ჩემი ცხოვრება წასულია.

28. გაიმეორედ ჩემთან ერთად:

123476 133 . . . 4 ასი

215312 215 ათასი 3—30

144248 100 ხუთი ათასი

7548 568

3516 3516

42315 ორას ორმოცდა ცამეტი

29. დამისახელეთ ციმბირის მდინარე, რომელიც ჩრდილოეთისკენ მიიმართება—ამურ ტობოლსკი—(ბოლოს)— ყველაფერი გადამავეწყდა, წინად შემედლო რუქაზე თვალდახუჭული მეჩვენებინა.

30. რამდენი გუბერნიაა რუსეთში?—(პასუხი არაა).

31. დამისახელეთ ქალაქი ვოლგაზე.—ასტრახანი.

32. ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე?—იალტა.

33. რამდენი მცხოვრებია რუსეთში?—ჯერ თქვა ორი მილიონიო. მერე გაეცინა ამაზე და თქვა: 200 მილიონიო.

34. რამდენია ქვეყნის ნაწილი?—ხუთი: ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა ავსტრალია.

35. როდის იყო რუსეთ-ოსმალეთის ომი?—ღმერთმა იცის, არ მახსოვს.

36. რა იცით თქვენ ეკატერინეზე? ამ შესაზარ აღამიანზე არ შერს ლაპარაკი.—



- რა გაგიგონიათ პეტრე დიდზე? ისიც რუსეთის მეფე იყო.  
 რა ღვაწლი მიუძღვის მას?—არავითარი.
37. დამისახელეთ რუსეთის იმპერატორი, რომელსაც მიუძღვის სახელგაღი  
 რაიმე ღვაწლი.—ასეთი არავინ იყო.
38. დადიოდი თუ არა წინათ ეკლესიაში?—არა.
39. რატომ არა?—მე ჩემი ღმერთი მყავს, მე არ მწამს პოლიციური ღმე-  
 რთი: მე მწამს ჭეშმარიტი ღმერთი.
40. ვინ დაარსა თქვენი რელიგია?—მე აღარ ვეკუთვნი რელიგიას. ჩემი  
 რელიგია სოციალისტური სახელმწიფოა. მე მწამს კარლ მარქსი, ენგელსი და  
 ლასალი.
41. რა განსხვავებაა ხესა და ჩირგვს შორის?—ხე—ხეა, ჩირგვი—ჩირგვი.
42. მე მინდა ვთქვა: ის, რასაც ჩვენ ხეს ვეძახით რით განსხვავდება იმი-  
 საგან; რასაც ეძახით ჩირგვს?—ხე—ხეა და ჩირგვი კიდე ჩირგვი.
43. შეგიძლიათ თუ არა მოკლეთ აგვიხსნად ტელეფონის მოწყობილობა?  
 —რომ ერთიერთმანეთს ველაპარაკოთ.
44. როგორ ხდება, რომ როდესაც ლაპარაკობ ტელეფონში, მეორეს ესმის,  
 თუმცა შორს არის მოლმპარიკისაგან?—ეს მე არ ვიცი.
45. არ გაგიგონიათ თქვენ, რაა დამყარებული ელექტროობის მოვლენებზე?  
 —არა, ეს მე არ ვიცი. ამას არასოდეს არ დაუინტერესებია.
46. როგორ ხდება ელვა ქექა-ქუხილის დროს?—ეს დამავიწყდა. წინათ  
 შემეძლო ამის ახსნა.
47. იცით თუ არა თქვენ, რომ ჰაერში არის ელექტრობი?—ჰაერი? ყველ-  
 ვან არის ელექტრობი; ორ სხეულს თუ ვახახუნებთ ერთმანეთზე, მივიღებთ  
 ელექტრობს.
48. მაგრამ ეს ყველა სხეულში ხომ არ ხდება?—მეც ასე ვფიქრობდი.  
 დასასრულ, მან თქვა, რომ მისცენ პატარა ოთახი, რომ ის უკვე თვითონ  
 შონისპობს თავის სიცოცხლეს. ამაში ბრალი არავის არ დაედება.

(ხელის მოწერა)  
 დ—რ ვერნერი

ქ-ნი ოლლა ჰარშკამპი, ნაფიცი სასამართლო თარჯიმანი რუსული ენი-  
 სათვის:

არშაკოვის ფიზიკური გამოკვლევა, რომელიც მეტისმეტად გაძნელდა მისი  
 შინაგანობის და სიფრთხილის გამო, იძლევა შემდეგ ცნობებს:  
 არშაკოვი—შუა ტანისაა (169 სანტიმეტრი), კარგი მოყვანილია. ძვლების  
 აგებულება, აგრეთვე შესკულატურა—მაგარი აქვს. ცხიმოვანი ფენი დიდი არაა.  
 პირდაპირ დგას, ფერკმრთალია, სახეზე აღბეჭდილია ტანჯვა და დაძაფრულობა.  
 თავის და ზედა კიდურებზე შემდეგი ნაქდევნია:  
 1. თავის მარცხენა მხარეზე, დაახლოვნით 4 1/2 სანტ. ყურის ნიქარის  
 ზოლოს ზევით, იმ ხაზით, რომელიც წარმოადგენს ნიქარის ნაპირის გაგრძელე-  
 მას, იწყება განივი, ძვრადი და დაჭირებისას უმტკინეწეულო ნაქდევი 2 1/2 სანტ.  
 სიგრძისა.

2. თხემის თავში არის ძვრადი. უმტკივნეულო ნაქდევნი 3 სანტი სიგრძისა.  
3. კეფის ძვლის ბოლოზეა მეტად მგრძობიარე ადგილი ათი პტენინგის ოდენა, ტყავის და ძვლის დაუზიანებლმდ (არშაკოვი აცხადებს კარგად შეკრულ კაზაკებში დაპკრეს კონდახი).

4. მარჯვენით ირიბულად დაახლოებით  $2\frac{1}{2}$  სანტი. მანძილზე ზევით მესამე მუხლში აღნიშნულ ადგილიდან არის მორჩენილი უმტკივნეულო ნაქდევნი დაახლოებით 1 სანტიმ. სიგრძისა.

5. შუბლის ძვლის მარჯვენა ნახევარზე, თმის საზღვრის ახლოს არის უსწორო ფორმის ძალიან მტკივნეული ნაქდევნი 2 სანტი. სიგრძისა.

(კითხვაზე, თუ საიდან წარმოსდგა ეს ნაქდევნები, არშაკოვმა მრისხანე აგზნებით თქვა: "ყველა კაზაკები, კაზაკური ლორები, ხმლებით და თოფებით")

6. ორივე ხელის გულზე აქვს რამოდენიმე ნაქდევნი, რომელიც თითქოს დარჩენილია დაქრილ ჭრილობათა შემდეგ (მინის ნამსხვრევებიდან?)

7. მარჯვენა ხელის საღსარს ზევით აქვს მუქ-წითელი, კუთხოვანი ფორმის, ნაქდევნი.

8. მარცხენა ხელის საღსრის ზემოთ აქვს უსწორო ფორმის განივი, მოწითალო ნაქდევნი. (7 და 8 ნაქდევნი ეკუთვნის იმ დაშავებათა რიცხვს, რომელიც არშაკოვმა თავის თავს მიაყენა ბულში 1908 წ. 4 და 24 აგვისტოს).

თავის ქალა სიმეტრიულია, მისი უდიდესი მოცულობა უდრის 56 სანტიმეტრს. შუბლი შედარებით ვიწროა და უკან დაქანებული. ყურის ნივარები კარგად ჩამოსხმულია. სახის კუნთები თანაბრად ინერვირებულია. ორივე თვალის კაკალი ზომიერადაა წინწამოწეული, მაგრამ ამჟღავნებენ ნორმალურ წინააღმდეგობას. მარჯვენა თვალის კაკლის რქოვან გარსზე არის პატარა ნაქდევნი; ცხვირისკენ მდებარე გუგას გარსის ნახევარში არის ნაპრალი ბაიას ნაპირიდან წამწამების ნაპირამდე.

მარჯვენა თვალით არშაკოვს შეუძლია გაარჩიოს მხოლოდ ბნელი ნათლისაგან. მარცხენა თვალის ბაია-საშუალო სიდიდისაა და სწრაფად ერიავირება სინათლის დაცემას და ახლო მდებარე საგნების დანახვას. თვალების მოძრაობა თავისუფალია ყველა მიმართულებით. ხედვის არე ვერ იქნა გამოკვლეული, რადგან არშაკოვს, ეტყობა, არ ესმოის ამის გამო მისი აღნიშნული მოთხოვნა, კბილები მავარი და კარგად შენახულია. პირის ღრუში არავითარი უცნაურობა არაა. ენაზე არ ემჩნევა ნაქდევნი კბენისაგან, კუნთოვან ძაფებს ძალიან სტაკებს. ფილტვებში არავითარი ავადმყოფური მოვლენები არაა. გულის ძვრა წმინდაა, ცემა გარკვეული. გულის მოქმედება აჩქარებულია, პულსი სავსებით სწორი არაა და ამჟღავნებს ცვალებად ავსებას წუთში 115 ცემის დროს.

გაკვირული ხელების გაშლილი თითები ძალიან ცახცახებენ. მუხლის რეფლექსები ერთობ მკვეთრია, ერთნაირათაა გამოხატული ორივე ფეხზე. ზედა კიდურებში მყესის რეფლექსების გამოკვლევა არ მოხერხდა, რადგან არშაკოვს მეტისმეტად ეშინოდა გაშინჯვის საპერკუსიო ჩაქუჩის საშუალებით, ის ყოველთვის დიდის ძრწოლით გაურბოდა ამ პროცედურას. აგრეთვე შეუძლებელი შეიქნა მოგვეხდინა მისი გრძობელობის ბარისხის უფრო ზუსტი გამოკვლევა, რადგან არშაკოვს ნევის დანახვაზე საშინელი შიში იტანდა, არაფრის გულის-

თვის არ ხუჭავდა თვალებს და არც ჩვენ გვაძლევდა ნებას დაგვეხუროს ისინი გამოსაკვლევიად. დიდი ხნის შეგონების შემდეგ როგორც იქნა შემდგომი ცდების დროს ხუჭავდა ხოლმე თვალებს, მაგრამ მკაცრად გახტებოდა განუწყვეტელად წყნარად ან ბლავგი ბოლოს უბრალო შეხებისთანავე და უაღრესად შეშინებულად წაქანდებდა: „ძალიან მტკიავო“. თვალების დახუჭვის და ფეხების მოხრის დროს იწყებდა ბარბაცს, ხან წინ იწევდა, ხან უკან, არ ეცემოდა კი, ამასთან თარაზულად გაშლილი ხელებით ახდენდა მეტად აჩქარებულ ბრუნვითი მოძრაობას, თითქოს გაფრენას ეპირებაო, ხოლო შემდეგ აუქიგაძივდებოდა მთელი სხეული. დახურული ქუთუთოები აგრეთვე მუდამ ძალიან ცახცახებდნენ. თვალის ნერვების გამოსავალი ადგილები მეტად მგრძნობიარეა შეხების დროს, პირიქით გვერდებზე ხრტილებსა და მუცლის დაბლა ნაწილში არ აღმოაჩნდა არავითარი მტკივნეული წერტილები.

### III. დასკვნა

არშაკოვს აღმოაჩნდა სულიერი ავადმყოფობის ორი ხანგრძლივი ეპიზოდი. პირველი გარდამავალი (ეპიზოდური) აღგზნება დაიწყო 1908 წ. თებერვალში სასამართლოში საქმის გარჩევის დაწყების წინ; მის შესახებ თავისი დასკვნა მისცეს ექსპერტებმა, სამკურნალო მრჩევლებმა და დ-რმა ჰოფმანმა და დ-რმა ლეჰმანმა, რომელიც თავის დაკვირვებას საგამომძიებლო საპატიმროში ახდენდნენ. ეს მდგომარეობა განუწყვეტლივ გრძელდებოდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც არშაკოვი იმყოფებოდა ჰერცერბერგის და ბუხის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში, ე. ი. თითქმის 1908 წლის სექტემბრის ბოლომდე, რის შემდეგაც თანდათანობით იწყო კლება.

ეს გარდამავალი სულიერი აშლა ხასიათდებოდა დაბნეულობით, არევა-რევით, შეგნების შეეწროვებით, გრძნობათა მცთარობით. ილუზიებით და უმთავრესად, მშისრული აგზნებით, რასაც თანსდევდა მაჯისცემის აჩქარება, ბოლოს საქმლის მიუღებლობა და თავის ენების მიყენების სერიოზული ცდები.

მეორე ეპიზოდური აღგზნება დაეწყო არშაკოვს მალე საგამომძიებლო საპატიმროში დაბრუნების (1909 წ. 16 აპრილი) შემდეგ, რაც გამოიხატა სხვათა შორის, გახელებისა და სიშმაგეში, საქმლის მიუღებლობაში, ბოლოს, ღამის გალიუქინაციებსა და მშისრულ აგზნებაში. ეს მეორე აგზნება დღეს თანდათან კლებულობს.

უკვე პირველი პერიოდის აგზნების გამო თავისი დასკვნის მიცემის დროს ბ.ბ. სამკურნალო მრჩევლები—დ-რი ჰოფმანი და დ-რი ლეჰმანი აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ არშაკოვის სულიერი წონასწორობის დარღვევას აქვს ისტერიული ხასიათი. ბუხში შედგენილი ავადმყოფობის ისტორიაში ხაზგასმული იყო მისი „პრანკიობა“, აგრეთვე სპეციალურად იყო აღნიშნული ისტერიული რეაქცია სულ უმნიშვნელო საბაბის გამო.

აგრეთვე ჩემი ახლანდელ გამოკვლევის დროს მგრძნობელობის ხარისხის გამოსაცდელად და რეფლექსების შესამოწმებლად არშაკოვს აღმოაჩნდა შეუსაბამო აგზნებასა და რეაქციას შორის, განსაკუთრებით კი თვალების დახუჭ-

ვის და ფეხების მოხრის დროს, ის თავისებური, ფსიქიურ პროცესებზე დამყარებული რეაქცია, რომელიც, როგორც ცდიდან ვიცით, აჩნდება ისტერიულ ავადმყოფთ, ხოლო პროფანები ამას ხშირად ხსნიან სიმულაციითან გაბნეულობით გარდა ამისა, ხელების, კნის და ჭუთუთოების ცახცახი, მუხლების მოხატული რქვლეკსები, პირისახის ნერვების მგრძობელობა ხელის დაქერისას, აჩქარებულ მიჯის ცემა, გრძობათა გადამეტებული აგზნებადობა და მისი აფექტების უთანაზომობა, გაუგებარი ყოფა-ქცევა (ასე, ის ტრახობს სიმამაცით, ამგვარ დროს აშკარად შიშნეულობს), ყოველივე ეს ერთად აღებული წარმოადგენს ისტერიული ანუ ისტერიულ-ნევრასტენიული ორგანიზაციის გამოხატულებას. ისტერიულ-ნევრასტენიული ორგანიზაცია, რომელიც, როგორც ცდა გვიმტკიცებს, მოასწავებს დიდად შემტყობულ წინაღობადობას უფრო ძლიერი სულიერი მოძრაობის და ტკინის აღმძვრელ სხვა რყევათა მიმართ, მაშასადამე იგივეა უძველეს ფსიქიურ არანორმალურობის, — პირველ ხანებში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არაშაკოვს არაფერში არ გამოაჩნდა, მხოლოდ შემდეგში, უკვე საგამომძიებლო საპატიმროში, იგი გამოაშკარავდა აგზნების და სულიერი აშლის გარდამავალი მდგომარეობის სახით. როგორც ჰქვამთ აღენიშნაეთ, მან ხელი შეუწყო სულიერი აშლის აღორძინებას და მისცა მას ინდივიდუალური ელფერი.

უკვე წინასწარ დასკვნაში იყო აღნიშნული, რომ არაშაკოვის „მოქცევის დამახასიათებელი თავისებურებანი“ მოაზიტიში გარდამავალი აგზნებული მდგომარეობის დროს შეუძლებელია სიმულაციით აიხსნას. რომ ის მართალია ძლიერი შიშორული აგზნების მდგომარეობაში იყო, ამის დამამტკიცებელ ობიექტურ საბუთებს წარმოადგენდა აჩქარებული მიჯის ცემა, თავის თავის ვნების სრულიად სერიოზული ცდება და გადაჭრით საქმლის მიუღებლობა საგამომძიებლო საპატიმროსა, ჰერცბერგსა და ბუხში. აგრეთვე არაშაკოვის ახლანდელი საქციელი მაგალითად — ლამლამობით ვითომდა პოლიციის მიერ მისი დევნის ამბავი — არ შეიძლება სიმულაცია იყოს, რადგან მისი გრძობების მღელვარებას თან ახლავს დამახასიათებელი ფიზიკური მოვლენები, როგორც მაგ., ხელების ცახცახი, სახის კუნთების თრთოლვა და თავშეუკავებელი ქვითინი. არაშაკოვის ისტერიულ-ნევრასტენიულ ხასიათის მრავალრიცხოვანი ავადმყოფური მოვლენები ერთი მხრით მეტად ტიპურია, მეორე მხრით იმდენათ რთულია, რომ ყოველთვის მათი სწორი სიმულაცია საზოგადოთ არაა შესაძლებელი, განსაკუთრებით პროფანისათვის. დამოლოს, ისეთი ფიზიკური მოვლენების სიმულაცია, როგორცაა გულის ძვრის აჩქარება, ჭუთუთოების ცახცახი, საზოგადოთ შეუძლებელია.

ამნიარად, მე სრულიად შეუძლებლად ვთვლი, რომ არაშაკოვი იკონგბდეს ან აზვიადებდეს თავის ავადმყოფურ მოვლენებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეფიქრობ, რომ მის მიერ გადმოცემული ცნობები, რომელიც ეხება მის დანაშაულებრივ წარსულს და მის დასასჯელ ქმედებას, სიფრთხილით უნდა იქნეს მიღებული. თუ წინანდელ ცნობებს მივიღებთ მხედველობაში, ის ოფიციალური დაკითხვების დროს, როგორც დამტკიცებულია, აშკარად ყალბ ჩვენებებს იძლეოდა; მე მგონია, ის ამას დღესაც განაგრძობს, როცა, მაგალითად, ამტკიცებს რომ წარმოადგენაც არ ქონდა ორმაგ ძროზე და არ იცოდა, თუ რა ეწყო

ჩემოდანში და რომ ყოველივე ეს მოწყობილია რუსეთის პოლიციის მიერ, რომელსაც ამნაირად უნდა ჯილდო მიიღოსო. სრულიად უდაოა არშაკოვის ავადმყოფური მოვლენები. მაგრამ ამავე დროს ის უძველად ცდილობდა დაძალოს თავისი სისხლის სამართლის დანაშაული სიცრუის თქმის თუ სამართლებრივი საშუალებით. ასეთი მიდრეკილება, ალბად, გამტკიცდა მასში მისი მრავალი წლის რევოლუციური ცხოვრების განმავლობაში და საპოლიციო დაწესებულებებთან ხშირა კონფლიქტების მეოხებით.

წინასწარი დაპატიმრების ან სასჯელის მოხდის დროს ციხეში ეპიზოდური სულიერი შერყევის თავის ჩენა ხშირი მოვლენაა ფსიქიურად არანორმალურ ადამიანთა შორის. მეტნაწილად ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვხედავთ დაბადებით დეგენერატებს, ე. ი. იმისთანა ადამიანებს, რომელთა დეგენერაცია მემკვიდრეობის მომენტებზეა დამყარებული. ის გარემოება, რომ ეპიზოდური სულიერი აშლა უეცრად იჩენს თავს პატიმრობის დროს, მეტად ხელსაყრელ ნიადაგს კპოულობს მათს თანდაყოლილ ტვინის ავადმყოფურად დაკლებულ წინალობადობაში და ხშირად სულიერ მოძრაობათა ინტენსიურ ან ავადმყოფურად—მკაცრ შინაგან განცდაში (უკანასკნელი მოვლენა ემართებათ პატიმართ შიშით მათი აზრით მიყენებული შეურაცხყოფით და სხ). მეორე მხრით იმავე მიმართულებით მოქმედებს საპატიმროს ცხოვრების მძიმე პირობები სასტიკი დისციპლინით, ცუდი კვებით, მარტოობით და სხ. ტვინი, რომელსაც არ ძალუძს დიდი წინაღმდეგობების გაწევა, ნელნელა იმდენად სუსტდება თანდათანური სულიერი აღზნებით, მასთან გადაბმული ჩაფიქრებით, უძილობით, არასაკმაო კვებით და სხ., რომ სრულიად საკმარისია უმნიშვნელო, მაგრამ ავადმყოფის მიერ ღრმად ათვისებული საბაბი, რომ სრულებით დაეკარგოს სულიერი წინასწორობა და აშკარად გამოიჩინდეს სულიერი დაავადება.

ჩვენ ვნახეთ, რომ არშაკოვს ისტერიულ ნევრასტენიული ორგანიზაციის მეოხებით ახასიათებს ერთგვარი დეფექტიურობა ან ტვინის ავადმყოფურად დაკლებული წინალობადობა. დამტკიცებულია აგრეთვე მასში აფექტების ავადმყოფური ინტენსიურობა. ამნაირად, დაპატიმრებამ, ხანგრძლივმა სულიერმა აღზნებამ, უწინარეს ყოვლისა კი მოსალოდნელი სასჯელის შიშმა, გამოიწვია ის, რომ მან საქმის გარჩევის დროს სასამართლოს სხდომის წინ დაკარგა სულიერი წინასწორობა.

დღეს, როგორც უკვე ავლინებ, აგზნების უკანასკნელი მდგომარეობა ჯერ კიდევ საესებით არ გამჭრალა და არშაკოვის სულიერი წინასწორობა კიდევ არ აღდგენილა. ზემოთაღნიშნული ფაქტორების (დაპატიმრება და ძლიერი სულიერი აგზნება ან მშიშრული დამაგრულობა) ყოველი ახალი ზემოქმედება უძველად აწივ გამოიწვევს ხოლმე მასში სულიერი წინასწორობის დაკარგვას. მისი ფსიქიური ორგანიზაციის დამახასიათებელი ისტერიულობა და მასთან დაკავშირებული თვითშთავგონების გადამწყვეტი მნიშვნელობა გამოიწვევს ხოლმე მის ავადმყოფობას, ყოველთვის, როცა ის მოსალოდნელ სასჯელთან დაკავშირებულ შიშის წარმოდგენათა გავლენის ქვეშ იქნება. ასე, მე აქაურ საავადმყოფოში დაკვირვებამ დამანახვა შემდეგი: ისტერიული ხასიათის დამნაშავენი მხოლოდ იმ შემთხვევაში განაგრძობდნენ წარმატებით დარჩენილი სასჯელის

მოხდას, როდესაც თვითონვე ცდილობენ ამას და როდესაც ამით გამოწვეული თვითშთაგონება ხელსუწყობდა მათ შეენარჩუნებიათ სულიერი წონასწორობა სასჯელით დარჩენილი ვადის მოსახდელად.

ამიტომ არ ვფიქრობ, რომ არშაკოვმა მომავალში, კიდევ რამდენიმე წელიწადს სრული სულიერი წონასწორობა, მონაწილეობა მიიღოს სასამართლოს ორ დღიან სხდომაში, რომელიც დაკავშირებულია მისთვის ძლიერ სულიერ მღელვარებასთან, რომ მან სათანადოთ შესძლოს ბრალდებულის უფლებების განხორციელება. ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის თანდათან თვითონ მიეცა იქამდე, რომ აშკარად მოისურვებს ან ალარ შეეშინდება თავის საქმის გარჩევის სასამართლოში. ყოველ შემთხვევაში დღეს და მომავალში რამდენადაც მისი გათვალისწინება შეიძლება, მას არ შეეძლება საქმის გარჩევაში მონაწილეობის მიღება.

იმავე მომენტებს აქვთ გადაწყვეტი მნიშვნელობა იმ საკითხისათვისაც, თუ რამდენად შესაძლებს არშაკოვი იმ სასჯელის მოხდას, რომელსაც სასამართლო გადაუწყვეტს. ამასთან უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თუ ვინც-ცოხაა მისი საქმის შესახებ გამოიტანება განაჩენი, მას ალბათ, დიდი ხნით წაერთმევა თავისუფლება და ამ შემთხვევაში ყველა ზემოხსენებული უარყოფითი ფაქტორი კიდევ უფრო ძლიერად და უფრო ხანგრძლივად იმოქმედებს არშაკოვზე, ვიდრე საგამომძიებლო საბატიროში. ამიტომ ის მოსაზრება, რომ არშაკოვი მომავალში შესძლებს სასჯელის მოხდას, კიდევ უფრო შეუძლებლად ზიმაჩნია, ვიდრე მისი უნარი საქმის გარჩევაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ყოველ შემთხვევაში დღეს და შემდეგში, რამდენადაც შეიძლება მისი გათვალისწინება, არშაკოვს არ შეეძლება სასჯელის მოხდა.

ბოლოს რაც შეეხება არშაკოვის სულიერი მდგომარეობის შეფასებას, ანამნეზის ცნობების მხრივ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ უმთავრესად მისი საკუთარი მცირე და ამასთან სავსებით არა სარწმუნო ჩვენებით; ამიტომ ჩვენს დასკვნას არ ექნება მტკიცედ განსაზღვრული ხასიათი.

კითხვა ასე ისმება: არშაკოვი ბუნებრივი თანდაყოლილი დეგენერატია და მისი ორგანიზაციის აღნიშნული ნერვიულობა მეშვედრეობითი გადაგვარების ნაწილობრივ გამოხატულებად, უნდა იქნეს აღიარებული, თუ იგი მას შეძენილი აქვს შემდგომ ცხოვრებაში ან და, ბოლოს მისი ახლანდელი ძირითადი სულიერი მდგომარეობა ნაყოფია როგორც თანდაყოლილი დეგენერაციის, ისე მერმინდელი მავნებელი მოვლენების შერთობული მოქმედების?

იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ არშაკოვს მოსდგამს მეშვედრეობითი გადაგვარება, ლაპარაკობს მისი ჩვენება, რომ მაშა მისი—იყო ლოთი, ხოლო ერთი დეიდა—ნერვიული ავადმყოფი. ეს მოსაზრება აგრეთვე ეყრდნობა მის ჩვენებას, რომ ბავშობისას ის იყო ყოველთვის მეტად თავშეუკავებელი და ფიცხი, რომ სკოლაში თავისი ცუდლუტობით ყოველთვის იწვევდა მასწავლებელთა უკმაყოფილებას, სწავლობდა მხოლოდ იმას, რაც სურდა, და რომ ის სკოლიდან გამოსვლის შემდეგ შეიღდა სოციალისტური ლიტერატურის კითხვას. მეორე მხრით, ისეთი ისტერიულ ნევრასტენიული ორგანიზაცია, როგორიც არშაკოვს ახასიათებს, სავსებით შეიძლებოდა შექმნილიყო იმ ცვალებადი და



დაშაუძღურებელი ცხოვრების ნიადაგზე, რომელსაც არშაკოვი ატარებდა, როგორც რუსი რევოლუციონერი, გარდა ამისა იმ მრავალრიცხოვან შემოქმედებათა გავლენით, რომელსაც ის განიცდიდა სხვადასხვა რევოლუციურ მოქმედების შეტრუნვებისას (როგორც მაგალითად: მარჯვენა თვალის დაჭიმვა-არის ნამსხვრევით, აზოტის სიშავით მოწამულა), შემდეგ განსაკუთრებით თავის მძიმე დაშავებით, რასაც მოყვა, მისივე სიტყვით, უგონო შეუტნობელი მღკამარეობის ხანგრძლივი პერიოდი. ტრავმატიული დაშავება, განსაკუთრებით კი თავის დაშავება, როგორც დაკვირვებიდან ვიცით, ხშირად ხდება ისტერიულ-ნევრასტენიული წვალების მიზეზად. პირიქით, აფექტების ავადმყოფური ძალა ჩანს, არშაკოვის ეტუბობდა უკვე ბავშობისას, რაც ისევ თანდაყოლილი დეგენერაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

რაც შეეხება მის გონებრივ ნიჭს, მისი სკოლიდან მიღებული ცოდნის, მისი შეთვისების და განსჯის უნარის 1909 წლის 4 ივნისს მომხდარი შემოწმება ბრწყინვალე შედეგებს არ იძლევა. მართალია, ის ამტკიცებდა, რომ თავის დროზე განსაკუთრებით აინტერესებდა გეოგრაფია, მაგრამ მიუხედავად ამისა მან ვერ დაასახელა ციმბირის ჩრდილოეთისკენ მსრბოლი მდინარენი. ვერ თქვა რუსეთის გუბერნიების რიცხვი, მან აგრეთვე ვერ გაიმეორა შეუმცდარად ხუთწინწელოვანი რიცხვებიც კი. ის ვერ მიხვდა, თუ რაში მღკამარეობს ხისა და ჩირგვს შორის არსებული განსხვავების საკითხის არსებობა და ვერ ახსნა ელვის წარმოშობა ქუხილის დროს. მაგრამ შესაძლებელია, მიუხედავად იმისა რომ დღეს მისი სულიერი აშლა კლებულობს, მაინც დარჩა ერთგვარი სიძნელე ან დროებითი ავადმყოფური უუნარობა გონებრივ მოქმედებაში. მეორე მხრით, თანდაყოლილ დეგენერატების გონებრივ განვითარებაში, როგორც დაკვირვება გვასწავლის აგრეთვე ხშირად გვხვდება ერთგვარი დისპარმონია, ხშირად აშკარა უთანაბრობაც კი. ამიტომ კიდევ რომ დავუშვათ, რომ მნიშვნელოვან ცბიერებასთან ერთად, რომელიც წარსულის მიხედვით უნდა მოსდგამდეს არშაკოვს,—მას ჭონდა დიდი დეფექტები ცდისეული და სასკოლო ცოდნის აგრეთვე განსჯის ნიჭის დარღვი, —ამ გარემოებას არ უნდა გამოეწვია დიდი დაკვირვება და შეეძლო მხოლოდ დაედასტურებია მოსახრება არშაკოვის თანდაყოლილი დეგენერაციის შესახებ. ხელთქონებული მცირეოდენი მასალა არ გვაძლევს ნებას მტკიცე დასკვნა გამოვიყვანოთ ამ საკითხის შესახებ, მაგრამ ყველაზე უფრო დასაჯერებელია, რომ ძირითადი სულიერი მღკამარეობა, რომელიც საბოლოო ანგარიშით ჩამოყალიბდა არშაკოვში, წარმოიშვა ორივე ფაქტორის (თანდაყოლილი დეგენერაციის და მერმინდელ მავნებელი მოვლენების) ზემოქმედებით.

მიუხედავად ამისა მისი წარსულის ცნობების მიხედვით შედგენილი წარმოდგენა მთავი გონებრივი ნიჭის შესახებ ეჭვს არ გვიბადებს იმაში, რომ დასასჯელ ქმედების ჩადენის დროს ის ბრალშესარაჯი იყო.

ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით, მემივდივარ შემდეგ დასკვნამდე: 1. არშაკოვი წარმოადგენს ისეთ ადამიანს, რომელსაც ახასიათებს გონებრივი ნიჭის ნაკლი და ისტერიულ-ნევრასტენიული ორგანიზაცია; ის ძლიერი სულიერი აგზნების და ხანგრძლივი პატიმრობის გავლენით ადიდლად კარგავს



სულიერ წონასწორობას და მაშინ გადადის აშკარა შეშლილობის მდგომარეობაში.

მისი ძირითადი სულიერი მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს ჩვენთვის იგი ბრალშეურაცხველად სისხლის სამართლის კოდექსის § 51-ის მითითებით ის შემკველად უნდა იქნეს ცნობილი ბრალშეურაცხველად აგზნების ისეთი ეპიზოდური მდგომარეობის დროს, რომელშიც ვარდებოდა იგი საგამომძიებლო საპატიმროში ყოფნის დროს. არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება დავეჭვდეთ მის ბრალშესარაცხოფაში მონაცემ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს.

2. არშაკოვის მხრით ავადმყოფური მოვლენების წინასწარ განზრახულ სიმულაციის ან გაზვიადების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება.

3. არშაკოვს დღეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმის გარჩევაში და არც შეეძლება მომავალში, რამდენადაც მისი გათვალისწინება შეიძლება. საეჭვოა, რომ მან საზოგადოთ შესძლოს ამ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მიღება; უფრო დასაჯერებელია, რომ ასეთი გაუმჯობესება არასოდეს არ დადგება.

4. არშაკოვს დღეს არ შეუძლია მოიხადოს სასჯელი და ვერც ამას შესძლებს მომავალში. რამდენადაც შეიძლება მისი გათვალისწინება. მეტად დაუჯერებელია ის მოსაზრება, რომ მას მომავალში შეეძლება სასჯელის მოხდა. ბუხი, 1909 წ. 7 ივნისი, (ხელმოწერა) დ-რი ვერნერი, მთავარი უფროსი ექიმში გონება მიხდილთა ბერლინის საქალაქო სამკურნალოსი ბუხში.

### თ ა 3 0 XVI

## კამო გადასცემს მუხის მთავრობას

გერმანიის პოლიციის თვალსაზრისით კამოს ჯანმრთელობა 1909 წლის გაზაფხულისთვის იმდენად გამოკეთდა, რომ მას შეეძლო წამდგარიყო გერმანიის სამსჯავროს წინაშე. მაგრამ მისი პიროვნების ირგვლივ პოლიციური ინტერნაციონალისთვის რალაც მეტად არასასიამონო ორომტრიალი იწყებოდა. თავდაპირველად ო. კონი რევედა სოციალდემოკრატიას და ლიბერალებს. მერე დაირხა ხმები საგიეში ჩამწყვედული ტუსალის ძალდატანებით განთავისუფლების შესახებ. რასაკვირველია, გერმანიის „ობრანკის“ თვალსაზრისით ყველაზე ადვილი იქნებოდა გადაეცათ ეს მოუსვენარი ადამიანი რუსეთის მთავრობისათვის. „ობრანკის“ არ შეეძლო დავიწყნოდა ის მაგარი ძაფები ბერლინის იატაკქვეშეთში, რომელიც გამოაშკარავდა მაშინვე კამოს დაჭერის შემდეგ. რასაკვირველია, ეს იყო „შემაწუხებელი უცხოელი“, რომელსაც რუსეთის კოლეგები გაცილებით უფრო ბუნებრივად და უბრალოდ გაუსწორდებოდნენ, ვიდრე გერმანიის ბურჟუაზიული სასამართლო.

მიუხედავად ამისა, 1909 წლის აპრილში დ. მირსკის რუსეთისთვის გადაცემის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი.

რუსეთის ქანდარმერიის დახმარებით მზადდებოდა მხოლოდ რაც შეიძლება დამაჯერებელი მასალები გერმანიის სასამართლოსთვის.

ს.-პეტერბურგის  
საგუბერნიო ეანდარმთა  
სამართველოს უფროსი  
1909 წ. 17 აპრილი  
№ 6306  
ს.-პეტერბურგი.



ტფილისის საგუბერნიო  
ეანდარმთა სამართველოს  
უფროსს.

პოლიციის დეპარტამენტმა, ამა აპრილის ათის მოწერილობით № 127529 მაცნობა, რომ ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი ამა აპრილის ცამეტის (ახალი სტილით) წერილით იტყობინება: ამჟამად მირსკის ჯახმართელობა იმდენად გაუშვჯობესდა, რომ უახლოეს მომავალში განზრახულია სასამართოოში მისი საქმის გარჩევას; პოლიციის პრეზიდენტი აღნიშნაქს, აგრეთვე, რომ გერმანიის სასამართო შეეკითხა მას იმის შესახებ, თუ—



გამო სამებრო პოლიციაში.

1) რა გამოარკვია რუსეთის ხელისუფლების გამოძიებამ შესახებ მირსკის მონაწილეობისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გაძარცვაში და

2) რა საშუალებით მტკიცდება ფარული შეთქმულებში არსებობა მირსკის ძალდატანებითი განთავისუფლების მიზნით. პრეზიდენტი შუამდგომლობს შევატყობინოთ ცნობები აღნიშნული საკითხების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გამო, ამა აპრილის 15-ის მიმართებით № 6124, მე ვაცნობე პოლიციის დეპარტამენტს, რომ,—ა.იანხმად დადგენილებისა სის. სამ. წარ. წესდ. 208 მუხ. მიხედვით, გამოძიება დ. მირსკის შესახებ ამ წლის მარტის 20-ს № 5000 გამოგეგზავნათ თქვენ და რომ დ. მირსკის საქმის გამოძიებაში ნაჩვენებია მხოლოდ სააგენტურო ცნობები შესახებ დ. მირსკის (ნამდვილად ტერ-პეტროსოვის) მონაწილეობისა 1907 წ. იენისში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გაძარცვაში; მაგრამ შეურყეველი უტყუარი ცნობები ამ ექ-

სპროპრიაციის მიხედვით მონაწილეობის შესახებ გამოძიებას არ მიეძღვნა აგრეთვე გამოძიებაში არაა არავითარი ცნობები, რომელიც შეეხებოდეს საიდუმლო შეთქმულების არსებობას ბერლინში დ. მირსკის პასპორტით დაქვეითების (ტერპეტროსოვის) ძალდატანებითი განთავისუფლების მიზნით.

შემოსენებულს მოგახსენებთ ცნობად.

გენერალ-მაიორი (ხელმოწერა).

ასევე გაურკვეველი იყო ცნობები დაპატიმრებულ უკვე ნამდვილ დ. მირსკის და კამოს ურთიერთობის შესახებ. სააგენტურო ცნობების შემწეობით. დამკველი განყოფილება ცდილობდა მირსკი რაც შეიძლება უფრო სერიოზულ საქმეში გაეხვია. ასე. ნაშესტნიკის „სრულიად საიდუმლო მიმართებაში“ პოლიციის დეპარტამენტის სახეზე ჩვენ შემდეგ დაბნეულ ფრაზებს ვპოულობთ:

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის ნაშესტნიკის კანცელარიის განსაკუთრებულ საქმეთა საბოლიციო ნაწილის სრულიად საიდუმლო მიწერილობისა ასლი 1907 წ. 4 დეკემბერს № 11090 პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის სახელზე.“

გასული ნოემბრის 28-ს ტფილისიდან გადამალული დიმიტრი მირსკი ტფილისის დამკველ განყოფილების განსაკუთრებით მივლინებულ პირების მიერ ამოჩენილი იქნა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. საქარქედში.

აუწყებს რა შემოსენებულს თქვენს აღმატებულებას, სავანგებო განყოფილება დასძენს, რომ დაწვრილებითი ცნობები იმ წრის საქმის შესახებ, რომლის კუთვნილების გამო იყო გაჩაგრეკილი და დაქერილი მირსკი 1905 წ. პოლიციის დეპარტამენტმა უნდა იცოდეს ტფილისის საგუბერნიო ეანდარმთა სამმართველოს იმავე წლის 23 სექტემბრის მოხსენებიდან № 6785, — ამასთან, როგორც შემდგომი მიწერმოწერიდან ჩანს, მირსკი აღნიშნული წლის 11 ოქტომბერს განთავისუფლებულ იქნა, რადგან არ იყო ცნობები მის პასუხისგებაში მისაცემად ტფილისის დამკველი განყოფილების ფილერებზე დავდასხმის გამო ამა წლის ზაფხულში: ეს მონაწილეობა გამოიჩინა აბოლოდ ახლა, როდესაც იმ ფილერებმა, რომელთაც თავს დაესხნენ, იცენს ერთერთ თავდასხმელად მირსკი.“

ამავე წლის ივლისში ტფილისის ეანდარმთა სამმართველო უკვე უფრო დარწმუნებით ლაპარაკობს დიდი საქმის შექმნის შესახებ, თუმცა ძველებურად მას ხელთ არა აქვს არავითარი მასალა. სამმართველო ეკითხება გამოძიებულ შალინოვსკის შემდეგ:

#### საიდუმლოდ

„თქვენს მომართვაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „აღნიშნული გამოძიებით დამტკიცებულია, რომ დიმიტრი მირსკიმ გადასცა თავისი საზღვარგარეთული პასპორტი და მით საშუალება მისცა დამალულიყო უცხოეთში ამ ეამად ქ. ბერლინში დაქერილ უკნობ ადამიანს, რომელიც „კამოს“ სახელწოდებას ატარებს და რომელზედაც მოხსენებულ 250,000 მან. მოტაცების ექვია შიტანილი. გთხოვთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ მაქნობოთ ამავე მომართვაზე წარწერით, სახელდობრ რით და როგორაა დამტკიცებული მირსკის მიერ თა-

ვის პასპორტის გადაცემის ფაქტი იმ კაცისათვის, რომელიც „კამოს“ სახელ-  
წოდებას ატარებს, — მოწმეთა ჩვენებით, თუ რაიმე სხვა საშუალებით, სახელ-  
დობრ რომელ მოწმეთა ჩვენებით და სახელდობრ რა საბუთებშია განთავსებული  
თად გთხოვთ შემატებინოთ, მიცემულია თუ არა თქვენს მიერ ან ჩვენთან თუ  
არა მიცემული პასუხისგებაში „კამო“, რომელიც, ჩემს მიერ მოხდენილი გამო-  
ძიების ცნობით, არის ქ. გორის მცხოვრები სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსოვი  
და დიმიტრი მირსკი?

#### როტმისტრი (ხელმოწერა)

ამაზე მალინოვსკი უპასუხებს მთელი რიგ, ფაქტურ შინაარსს სრულიად  
შოკლებული, სასაცილო მოსაზრებების გადმოლაგებით. მისი პასუხი მეტად  
ფრაზისტული, დაფანტული, დაბნეულია, იგი უფრო ვანდარმულ „წინამძღვართ“  
გულისხმობს, ვიდრე ჩვეულებრივ დამარწმუნებლობას. მისი აქ მოყვანა არა  
ღირს უმთავრესად მისი მრავალ სიტყვაობის გამო.



კამო ბერლინიდან ჩამოყვანის დროს

როგორც ყველა ამ საბუთიდან ჩანს, საბრალმდებლო მასალა კამოს წინააღ-  
მდეგ უაღრესად სუსტი იყო გერმანიაშიც და რუსეთშიც. სააგენტურო ცნობები;  
ეს იყო და ეს. მაგრამ ეს სააგენტურო ცნობები სრულიად არ იყო საველდებუ-

ლო გერმანულ სასამართლოსთვის. მათი მიზეზდით განაჩენის გამოტანა საზოგადოებრივი სკანდალი იქნებოდა ბ-ნი პოლიციადირექტორისთვის. რასაკვირველია, პოლიციის დეპარტამენტი ანგარიშს აძლევდა თავის თავს იმაზე, რომ უკიდურესი-ორი თვე და გერმანიის სასამართლო, ალბათ, გაათავისუფლებდა ციხეს—ერთი იმიტომ რომ მისი ავადმყოფობა სასამართლოსთვის საცესებით დამაჯერებელი იქნებოდა, მეორე, იმიტომ რომ მართო ასფეთქებულ ნივთიერებათა შენახვის ფაქტი არ გამოიწვევდა ძალიან მძიმე სასჯელს. პოლიციის დეპარტამენტმა, რომელსაც მწარე გამოცდილება ქონდა მიღებული მიუხედავად, ენეცასა და პარიზში დაქვრივ გადაცემის ცდასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა კამოს საქმე ჩაეტარებია გერმანიის სასამართლოს დამოუკიდებლად. ცხადია, კამოს საქმეში ორ მთავრობას შორის წარმოებული მოლაპარაკების კვალი არსად ჩანს. იგი მოძებნილი უნდა იქნეს უფრო მიმალულ ადგილებში. როგორც შემოღებულია, ასეთ შემთხვევებში საჭირო მომენტში „მაღალი დაწესებულებანი“ დუმდებიან და ადგილს უთმობენ „გულუბრყვილო“ ადმინისტრაციულ ქვედა ფენებს, რომელნიც ვითომ თავის, აგრეთვე თვალთმაქციურ-გულუბრყვილო და წვრილმანი ინტერესების ნიადაგზე მოქმედებენ.

და აი სანამ სასამართლო საქმეს გააჩნევდა, მარჯვედ შერჩეულ მომენტში, „არმენდირექციონი“ (ლარიბთა მზრუნველობა—სახელწოდება იმ დაწესებულების, რომელიც განაგებს ბერლინის ოლქის საავადმყოფოებს და ქანონებს) ვითომდა მწუხარებით აცხადებს, რომ მას არა აქვს უფლება და შესაძლებლობა გერმანელ მოქალაქეთა საშუალებანი ხარჯოს უიმედო უცხოელი ხეიბრის შესანახად.

ოსკარ კონმა ყოველგვარი ღონისძიება მიიღო, რომ გადაერწმუნებია „არმენდირექციონი“ და გავლენა მოეხდინა ხელისუფლების წრეებზე. მაგრამ ვინდა დაეკვდებოდა იმაში, რომ რუსეთის ეანდარმერია, საგარეო საქმეთა სამინისტრო და საიმპერატორო ელჩი უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდნენ სოციალ-დემოკრატიულ ვეჭილზე? 1909 წ. 4 ოქტომბერს (ახალი სტილით) თითქმის სრული ორი წლის ტუსალობის შემდეგ კამო მიიყვანეს საზღვარზე და გადასცეს რუსეთის ეანდარმებს. ეს გადაცემა მოხდა კალიშის გუბერნიის შეუმჩნეველ „გადასავალ პუნქტზე“, საერთაშორისო ტრანზიტის ადგილებიდან მოშორებით.

30 სექტემბერს. (ძველი სტილით) კალიშის საგუბერნიო ეანდარმთა სამაროველოს უფროსი ატკობინებს თავის ტფილისელ კოლეგას კამოს მოყვანის შესახებ.

საიდუმლოდ

კალიშის საგუბერნიო ეანდარმთა  
სამაროველოს უფროსი  
განყოფილება 2.

ტფილისის საგუბერნიო ეანდარმთა  
სამაროველოს უფროსს


1909 წ. 30 სექტემბერი № 5737 კ. კალიში

„პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ამა სექტემბრის 26-ს № 1419 დეპეშის გამო, გიგზავნით ამასთან ერთად პოლიციის დეპარტამენტის 1905 წლის 1 თებერვლის № 1100 და ამა წლის 16 ივნისის—№ 131722 ცირკულა-

რეპში აღნიშნულ სიმონ არშაკის ძე ტერ პეტროსიანცს (იგივე პეტროსოვი და მირსკი) და გთხოვთ მისი მოყვანა ტფილისში დეპეშით შერატობინით.

დღეს ტერ პეტროსიანცი მაჰარი კანეოის გაყოლებით გაიგზავნა ქ. ვარშავაში ვარშავის საგუბერნიო ენდარშთა სამარაველოს განკარგულებაში ქვეით გამოსაგზავნად.

იგი ამა სექტემბრის 21-ს გადმოცემულ იქნა გერმანიის მთავრობის მიერ კალიშის გუბერნიის ლენცენის გადმოსავალ პუნქთან.



კამოს ოთახი ტფილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში

დანართი: ჩემი ამა სექტემბრის 23-ის დადგენილება პეტროსიანცის კალიშის საპატიმროში დამწყვედვის შესახებ, ნაბეჭდი ნაწარმოებნი, გერმანიის ხელისუფლების მიერ პეტროსიანცთან ერთად გადმოცემული, რომელაც ჩამოერთვა ქალ. ბერლინში, და ცალკე ღია პაქეტში სამი მისი სხვადასხვა ფოტოგრაფიული სურათი.

პოლკოვნიკი: კრიჟანოვსკი.

1 ოქტომბრის (ძველი სტილით) კამო მოიყვანეს ვარშავაში და ჩააჯინეს ვარშავის ციხის X პაეილიონში, რის შესახებაც წესისამებრ არის „გამოცხადებული“ სათანადო დადგენილება.

X პაეილ. მამე.

შემოს ფერნ.

1909 წ. 2 ოქტომბერი. № 2015.

#### დადგენილება

1909 წ. 1 ოქტომბერი ქალ. ვარშავა მე, ვარშავის საგუბერნიო ენდარშთა სამმარაველოს უფროსი—პოლკოვნიკი ბელსკი, ვლებულობ რა მხედველობაში,

რომ ამა რიცხვს მოყვანილი, პოლიციის დეპარტამენტის 1905 წ. 1 თებერვლის და ამა წლის 16 ივნისის ცირკულარებით ნაძებნი—სიმონ არშაყის ძე ტერ-პეტროსიანცი (იგივე ტერ-პეტროსოვი და მირსკი), პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის დებეშის გამო გადაგზავნილი უნდა იქნეს ქ. ტყაძრისს/ტყაძრისის საგუბერნიო ენდარმთა სამმართველოს განკარგულებაში, — და ეადგინე: დასახელებული ტერ-პეტროსიანცი (იგივე ტერ-პეტროსოვი და მირსკი) დამწყვედული იქნეს ვარშავის ციხის X პავილონში, ვიდრე გაიგზავნებოდეს დანი-ნიშნულბისამებრ.

### თ ა ვ ი XVII

#### კამო ტფილისში

იმავე წლის 19 ოქტომბერს კამო ტფილისში მოიყვანეს.

მისი საქმის საერთო მეთვალყურეობა ისევე განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამომძიებელს მალინოვსკის ქონდა დაკისრებული.

1909 წლის 19 ოქტომბრითაა დათარიღებული ორი, ჩვენდამი მოღწეული, დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი,—დადგენილება კამოს მეტეხის ციხეში ჩასმის შესახებ,—არაფერს განსაკუთრებით დამახასიათებელს არ შეიცავს ვარდა იმისა, რომ საგამომძებლო ხელისუფლებას ამეამდ კამოს მეორეხარისხოვან ბოროტ-მოქმედებათათვის თავი დაუნებებია,—მას აბრალებენ მხოლოდ ერევნის მოედან-ზე მოხდენილ ექსპროპრიაციას, რომელშიაც მას ეთმობა პირველი როლი და ეკისრება პირდაპირ მთელი პასუხისმგებლობა ყოველგვარი უბედურებისა, სისხლის ღვრისა და განადგურებისათვის,—თუმცა, როგორც ზევით ვნახეთ, ექსპროპრიაციაში კამოს მონაწილეობის შესახებ საგამომძებლო ხელისუფლებამ დანამდვილებით არაფერი არ იცოდა, თუ არ ჩათვლით სააგენტურო ცნობებს, ე. ი. „ობრანკების“ მიერ ყურმოკრულ ხმებს, გამყემი ა. ქარსიდის ცნობებს და ბერლინელ პროვოკატორის ეიტომირსკის ნაგულისხმევ მხილებას.

### დ ა დ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა

1909 წ. 19 ოქტომბერი. ქ. ტფილისი. ტფილისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა დაკითხა ამა რიცხვს გორის მცხოვრებს სიმონ არშაყის ძე ტერ პეტროსიანცს, რომელსაც ბრალად ედება თანამონაწილეობა ქ. ტფილისში ერევნის მოედანზე 1907 წ. 13 ივნისს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების ფულად ტრანსპორტზე ყაჩაღურ თავ-და-ხმაშ და ამ ტრანსპორტიდან 250.000 მანეთის გატაცებაში, რასაც თან ახლდა დიდი სროლა და ყუმბარების აფეთქება, რომლის ნამსხვრევებითაც მოკლულ იქნენ პოლიციელები—ვოიტკოვსკი და ივანოვი და ტფილისის მცხოვრე-ბი იუზბაშევი და დაიჭრა მრავალი, ე. ი. დანაშაული, რომელიც გათვალისწი-ნებულია სასჯელთა დებულების 13, 1630, 1633 და 1634 მუხ.,—და მიიღო რა მხედველობაში მის წინააღმდეგ ხელთქონებულ მხილებათა ძალა და ამ დანა-შაულისათვის სისხლის სამართლის სასჯელის სიმძიმე, სის. სამარ. წარ. წეს.



419, 431, და 416 მუხ. თანახმად, დაადგინა: ბრალდებულს სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანცისათვის გამოძიებისა და სასამართლოსაგან თავის დადგენის საშუალებათა აღსაკვეთად, ტერ-პეტროსიანცი დაპატიმრებულ იქნეს სსსრკ-ის მეტეხის ციხეში, რაიც მას გამოცხადოს და ამ დადგენილებით შემდეგ გაეცხადონ მის მეტეხის ციხის გამგეს შესასრულებლად, ხოლო ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორს ცნობად

სასამართლოს გამომძიებელი  
მალინოვსკი.

ეს დადგენილება მე გამომეცხადა ამა 1909 წლის 19 ოქტომბერს, რასაც ხელს ვაწერ.

სიმონ არშაკისძე ტერპეტროსიანცი.

იმავე რიცხვით დათარიღებული მეორე დოკუმენტია ეანდარმთა როტმისტრ ფირალოვის მიერ კამოს დაკითხვის ოქმი, რომელიც, წინააღმდეგ პირველისა, მეტად მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. კამოს რეპლიკების მიხედვით ჩვენ ადვილათ ვხვდებით მის განზრახვას—განაგრძოს ტფილისში ის რთული თამაში, რომელიც მან ბერლინში დაიწყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ გამოიცალა გარემოება, პირობები, გამოიცალა თვით თამაშის ფორმებიც. თავის უფრო ხელსაყრელია „ჯანმრთელად“ ყოფნა—და გადაჭრით უარყოფა იმ დანაშაულისა, რომელსაც მას აწერენ. არის სხვა მომენტებიც, როდესაც ის ხან ოდნავ შესაშინევი მოძრაობით, ხან ფრთხილად, შეპარებული დაპირებით „ახსენებს“ დამკითხველს „თავის ავადმყოფობას“, ამზადებს მომავალ გამოსვლებს, შინჯავს, ვებულობს მოწინააღმდეგის განზრახვას და მის მიერ საქმის ვითარების ცოდნის ხარისხს.

ოქმის პირველივე ფორმალურ კითხვებს შორის ჩვენ ვამჩნევთ უმნიშვნელო დეტალს. კითხვაზე აღზრდის ადგილის შესახებ (პ. 17) კამო უპასუხებს, რომ არ ახსოვს როდის შევიდა გორის საქალაქო სასწავლებელში. ასე ამზადებს იგი თავდაცვის იარაღის ერთერთ სახეს—მახსოვრობის ავადმყოფურ წვარდნას. საზღვარგარეთ წასვლის დასაბუთება (პ. 19) დაახლოვებით ისეთივეა, როგორც ვერმანელ ფსიქიატრთან საუბრის დროს (თვლის ოპერაცია). რევოლუციურ საქმეებიდან კამოს „აგონდება“ მხოლოდ ბათუმის ბრალდება (პ. 20) არალეგალური ლიტერატურის გავრცელების შესახებ. ამ პუნქტში მკლავდება განსაკუთრებით მკვეთრად კამოს ტაქტიკის შეცვლა ბერლინთან შედარებით. იქ ის ყველაფერს ურევდა ერთმანეთში,—აქ ის თავისთავს სოციალ-დემოკრატად თვლის, მზადაა მიიღოს სასჯელი არალეგალური ლიტერატურის არაერთხელ გავრცელებისათვის, მაგრამ გადაჭრით უარყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ტერორისტული ბქტების ჩადენას.

ტაქტიკის ეს ცვლილება საეცემბით მოფიქრებულია. კამო აღიარებს იმას, რის შესახებაც ეანდარმერიას ჭონდა, მისი მოსაზრებით, ურყეველი საბუთები—როგორც კამოს რუსეთულ წარსულსა, ისე პროვოკატორ ვიტომირსკის ჩვენებას-



თან დაკავშირებით. ეიტომირსკის სახელით კამო ძალიან ფართოდ საუბრობდა, ეტყობა მან სავესებით შეიგრძნო მისი საზიზღარი როლი თავის ქვეყნში: გამოდის ისე, რომ ეიტომირსკიმ და მხოლოდ მან ჩაათრია კამო მრავალქვეყნურ შაობაში სახლარგარეთ. კამო ეანდარმებს უგდებს ამ ძვალს—თავისთავის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრად აღიარებას, რათა უფრო გააფართოვებინებინოს იმ ბრალდებით, რომელიც მას მარყუქს უქადის. თავის დანაშაულთა კამო ორ ჯგუფით ჰყოფს,—ერთს აღიარებს მეორებს—უარყოფს. და ამ ხაზს ატარებს ის „სალი ვონებით და მტკიცე მესხიერებით“. თავის ავადმყოფობას ის თითქო მარავად იტოვებს. კამო მომზადებული იყო თავისი ტაქტიკის ჩაუარდნისათვის და, რასაკვირველია, უკიდურეს შემთხვევაში ფიქრობდა მოეხმოდნო დასახმარებლად როგორც ბერლინური „საურვო ფურცლები“, ისე თავისი ნაციონალური რკინისგზური გამძლეობა.

### რ ძ მ ი № 28

1909 წ. 19 ოქტომბერი. ქ. ტფილისი. მე ეანდარმთა ცალკე კორპუსის როტმისტრმა ფირალოვმა, სის. სამ. წეს. 1035 მუხ. თანახმად პროკურორის ამხანაგის თანდასწრებით დაგკითხე ქვემოთ დასახელებულ პირს, როგორც ბრალდებულს, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

1. გვარი, სახელი და მამის სახელი.—ტერ-პეტროსოვი (იგივე ტერ-პეტროსიანიცი), სიმონ არშაკისძე.
2. დაბადების დრო.—1882 წ. 16 მაისი.
3. დაბადების ადგილი.—ქ. გორი.
4. სარწმუნოება.—სომხურ-გრიგორიანული.
5. წარმოშობა.—მღვდლის შვილი-შვილი და ქ. გორის მოქალაქე.
6. ეროვნება.—სომეხი.
7. ქვეყნადროშობა.—რუსული.
8. წოდება.—მოქალაქე.
9. მუდმივივი საცხოვრებელი ბინა—მუდმივი საცხოვრებელი ბინა არ აქვს.
10. მიწერის ადგილი და სამხედრო ბეგარის მოხდა.—სამხედრო ბეგარას არ ვიხდი, როგორც მამის ერთად ერთი ვაჟი.
11. მოსაქმეობა.—განსაზღვრული მოსაქმეობა არ აქვს.
12. ცხოვრების სახსარი.—პირადი შრომა.
13. ოჯახური მდგომარეობა.—უცოლშვილო.
14. ნათესაური კავშირი.—მამა არშაკ ნერსისისძე ცხოვრობდა ქ. გორში, ახლა სად არის არ ვიცი; დედა მარიამ ანდრია იევაზოვის ასული, გარდაიცვალა. დები: ჯავაირა, სანდუხტა, არუსიაკ და ლუსია.
15. მშობლების ან მათ მაგიერი ნათესაობის ან მეურვეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.—ქ. გორი.
16. მშობლების ეკონომიური მდგომარეობა.—მამას აქვს საკუთარი სახლი ქ. გორში.

17. აღზრდის იდგილი.—გამოვედი გორის საქალაქო სასწავლებელის მე-  
სამე კლასიდან; სასწავლებლებში შესვლის დრო არ მახსოვს.

18. ვის ხარჯზე იზრდებოდა.—მამის ხარჯზე.

19. იყო თუ არა საზღვარგარეთ, სახელდიბარ როდის, ~~მეცხრამე წელს მიზ-~~  
ნით?.—1907 წ. ოქტომბრიდან 1909 წ. სექტემბრამდე ვიყავი ბერლინში, სა-  
დაც წავედი თვალის საოპერაციოდ.

20. წინადაც პასუხისგებაში იყო თუ არა მიცემული.

— 1903 წ. ქ. ბათუმში პასუხის გებაში ვიყავი მიცემული; გამოძიებას  
აწარმოებდა ჟანდარმთა ოფიცერი, ბრალი შედებოდა არალეგალური ლიტერა-  
ტურის გაყარებაში; ვიჯექი საპატიმროში, საიდანაც გავიქეცი 1904 წ.  
სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში.

წამოყენებულ კითხვებზე ვუპასუხებ: თავს დანაშაუდვად არ ვთვლი, მაგ-  
რამ ვაღიარებ, რომ ვეკუთვნი იმ შეამხანაგებას, რომელსაც ეწოდება „რუსე-  
თის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია“ და რომელიც, მე ვიცი, თავის  
მოღვაწეობის მიზნად ისახავს რუსეთში ძირითადი კანონებით დამყარებულ  
მართვა-გამგეობის ძალდატანებით შეცვლას,—ამესთან მე შევდიოდი რა რო-  
გორც აქტიური წევრი ხსენებული შეამხანაგების შემადგენლობაში, ვაგრე-  
ლებდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის საკავ-  
შირო კომიტეტის არალეგალურ ლიტერატურას, ე. ი. ჩავდიოდი ისეთ ქმედე-  
ბას, რომელიც არსებული კანონების მიხედვით ითვლება დანაშაულად, რაიცა  
გათვალისწინებულია სის. სამ. დებ. 102 მუხ. 1 ნაწ. მაგრამ მე პირადად ჩემს  
ქმედებას უკვე, 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, დანაშაულად აღარ  
ვთვლი, ამიტომ თავს არავითარ საქმეში დანაშაუდვად არ ვთვლი. 1907 წ.  
9 ნოემბერს ახალი სტილით მე დამიჭირეს ქალაქ ბერლინში დიმიტრი შირს-  
კის პასპორტით. ჩემი ბინა ვაჩხრეკეს, მაგრამ ვაჩხრეკის დაწყებამდე მე გამო-  
ყვანეს ჩემი ბინიდან და გამგზავნეს საპოლიციო უბანში, ასე რომ მე ჩხრეკის  
დროს არ დავსწრებოდი. საპოლიციო უბანში კი მითხრეს, რომ ჩემს ბინაზე  
ჩხრეკის დროს ნახეს ჩემოდანი, რომელშიაც აღმოჩნდა ასაფეთქებელი ნივთიე-  
რბანი. ამაზე მე მაშინ ბერლინის მილიციას განვუცხადე და ახლა თქვენ გიც-  
ხადებთ, რომ ჩემოდანი ჩემი არაა, ეს ჩემოდანი მე ვადმომცა ერთმა რუსმა  
ვენის სადგურზე და მთხოვა ჩამეტანა იგი ბერლინამდე, მე სრულებით არ ვე-  
ცოდი, რა იყო ჩემოდანში. გვარი იმ რუსის, რომელმაც ჩემოდანი ვადმომცა,  
არ მახსოვს. ჩემს ბინაზე აღნიშნული ჩემოდანის და შიგ ასაფეთქებელი ნივ-  
თიერების აღმოჩენის საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებდა ბერლინში, —ამას-  
თან მე გამოძიებელს განვუცხადე, რომ ჩემოდანი უნდა ვაგზავნილიყო რუსე-  
თში, მაგრამ ეს განვუცხადე გამოძიებელს იმ მიზნით, რომ მე ვავეგზავნეთ რუ-  
სეთში ნამდვილად კი ჩემოდანი რუსეთში არ უნდა ვაგზავნილიყო,  
არამედ უნდა ვადამეცა იგი პატრონისათვის ბერლინში ჩამოსვლის თა-  
ნავე. არ ვიცი, დასრულდა თუ არა ჩემი საქმის გამოძიება ბერლინში,  
მაგრამ ჩემთვის არაფერი არ გამოუცხადებიათ ამის შესახებ. მე ბერ-  
ლინში გერმანიის იმპერიის კანონების მიხედვით ვასამართლებული არ  
ვეყოფილვარ, არც საბრალდებლო აქტი და ასლი მიმიღია. დაკავების მომენ-

ტიდან ექვსი თვის განმავლობაში მე ვიყავი ბერლინის საპატრიარქოში, მერე ავადმყოფობის გამო გადამიყვანეს საავადმყოფოში. საავადმყოფოში ყოფნის დროს არ მინახავს არც გამომძიებელი და არც პოლიციის მუხლები. საკვად-მყოფოს მთავარმა ექიმმა შეიტხა, გსურს თუ არა ვაგზავნილხარ დასვენებაში. მე ვუბასუხე, რომ მსურს და ორი კვირის წინად გამოგზავნეს რუსეთში. ბერლინში მე თვითონ განვაცხადე, რომ დიმიტრი მირსკი არა ვარ, მაგრამ ნამდვილი ჩემი სახელი, მამის სახელი და გვარი არ ვთქვი. ვიყავი თუ არა ცნობილი ბერლინში და საერთოდ საზღვარგარეთ „კამოს“ სახელწოდებით, ეს მე არ ვიცი, მაგრამ ამ სახელწოდებას უცხოეთში არ ვატარებდი. რუსეთში მე ცნობილი ვიყავი ჩემს გორელ თანამემამულეთან შორის „კამუს“ და არა „კამოს“ სახელწოდებით. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვსწავლობდი გორის საქალაქო სასწავლებელში, მე ამხანაგებში დაცინვით მიწოდებდნენ „კამუს“ იმიტომ, რომ მე ერთხელ უხეიროდ ვუბასუხე რუსულად მასწავლებლის კითხვაზე: „Чемы“-ს ნაცოდ ვთქვი „Камы“. ხოლო ჩემი პარტიული სახელწოდებაა ივან ივანოვი“. 1907 წლის ოქტომბერში ბერლინში ჩასვლის რამდენიმე დღის შემდეგ მე გავეცანი ბერლინში მცხოვრებს ექიმ იაკობ ჟიტომირსკის. ის რუსია და სოციალ-დემოკრატი. მე რეკომენდაცია მქონდა მასთან სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან, სახელდობრ ვინ მომცა მე ეს რეკომენდაცია, ამის თქმა არ მსურს. ამ ჟიტომირსკის დავალებით მე ბერლინში მისვლის რამდენიმე ხნის შემდეგ პარტიულ საქმეების გამო წავედი პარიზში, იქიდან ვენაში, ხოლო ვენიდან დავბრუნდი ისევ ბერლინში. 1907 წლისათვის თუ აგვისტოში შტუტგარტში შესდგა საერთაშორისო სოციალისტური ყრილობა. ჟიტომირსკიმ დამავალა წამელო აღნიშნული ყრილობის დადგენილება, ჭარბულ ენაზე გადათარგმნილი პარიზში, ვენაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის იქაურ ჯგუფებისათვის, რომელნიც კავკასიელ ჭართელებისაგან შესდგებოდნენ და მთხოვა დასახელებულ ჯგუფებისათვის ფული კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის სასარგებლოდ. აღნიშნული დავალება მე შევასრულე დაახლოვებით სამი კვირის თუ ერთი თვის განმავლობაში. 1907 წ. ზაფხულში მე ვიყავი ტფილისში. ამასთან დაახლოვებით ორი თვე ავად ვიყავი, 1907 წ. მაისის დამდეგს თუ ივნისის დამდეგს მე თითქმის ორი კვირა ვიწევი ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში.

1907 წ. 13 ივნისს ტფილისში ერეცნის ზოგდანზე სახელწოდებულ ბანკის ტფილისის განყოფილების ფულადი ტრანსპორტზე ყაჩაღურ თავდასხმასა და 250.000 მან. გატაცებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის კავკასიის საკავშირო კომიტეტის არაღვეალურ ლიტერატურას მე ვავრცელებდი 1907 წ. საზღვარგარეთ წასვლამდე. ამ ლიტერატურას უმთავრესად ვავრცელებდი ტფილისში, მაგრამ ტფილისის გარდა ჩემს რაიონს შეადგენდა აგრეთვე ბაქო, ბათუმი და გროზნი. მეტი რაფერი მაქვს სათქმელი. ჩემი ჩვენება, ამ ოქმში გადმოცემული, წამეკითხა და ვაცხადებ, რომ ეს ჩვენება სწორადაა ოქმში ჩაწერილი ჩემი ნათქვამის თანახმად.

სიმონ არშაკისძე ტერაპეტიოსოვი.

როტმისტრი (ხელმოწერა)

ორი კვირის შემდეგ კამოს ხელახლა დაკითხეს. ახლა ის ფორალოვიდან გადავიდა განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამოძიებლის ხელში—მაგრამ ამ შეცვლას არსებითად თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ოქმის შინაარსზე. გამოძიებელიც და ბრალდებულებაც წვრილმანებს მიდევნენ. კამოს, ისე როგორც 19 ოქტომბრის დაკითხვის დროს, მარჯვით გამოყავს პროვოკატორი ეტიომირსკი. ყოველგვარი გაუფებრობის წყაროდ და მაცუფრად. ძირითადი ბრალდების შესახებ კი ეს ოქმი არაფერს ახალს არ იძლევა:

### ბრალდებულის დაკითხვის ოქმი

1909 წ. 5 ნოემბერი, ქ. ტფილისი ტფილისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით საგანგებო საქმეთა გამოძიებელმა ი. გ. მალინოვსკიმ სისხ. სამ. წარ. წეს. 403—7 ოქ. მუხ. თანახმად დაკითხა ქვემოთ დასახელებულ პირს როგორც ბრალდებულს, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

როდესაც მე და ეტიომირსკი ქ. ბერლინში წავედით ექიმთან ჩემი თვალის სამკურნალოდ და მიხდოდა მეთქვა ექიმისათვის, რომ თვალი დამიშვედა ვაზნის აფეთქებისაგარ, ეტიომირსკიმ მითხრა, რომ თვალის დაშავების ამგვარად ახსა არ ივარგებს, არაჰედ უნდა თქვა, რომ მიდიოდი ქუჩაზე ტფილისში, ამ დროს მოჭონდათ ფული მათ ესროლეს ყუმბარები და შემთხვევით დაიპერი ნაშხერევითო. როდესაც ეტიომირსკი უხერხულად თვლიდა ჩემი თვალის დაჭრას ვაზნის გასქდომით, მას აზრად ქონდა ეს დაჭრა აეხსნა შემთხვევით. სწორედ ასე უთხრა ეტიომირსკიმ ექიმს, როდესაც უკანასკნელმა იკითხა ჩემი თვალის დაშავების შესახებ, — ამასთან ჩემი სიტყვით უთხრა მას, რომ ეს მოხდა 1907 წ. 10 მაისს. შემდეგ გერმანიის ხელისუფლებამ დაკითხა ამ ექიმს, რომელმაც ჩემი თვალის დაჭრა ახსნა ისე, როგორც ეტიომირსკიმ უთხრა. პირადათ ჩემთვის კი გერმანიის ხელისუფლებას არ უკითხავს ჩემი თვალის დაშავების მიზეზები. როდესაც მე ბერლინიდან ციურხისში წავედი, შეგჩერდი მხოლოდ პარიზსა და ვენაში. დაკითხვის დროს გერმანიის ხელისუფლებისთვის არ მითქვამს, რომ ჩემოდანი, რომელიც ვენაში გადმომცეს და ბერლინში ჩხრეკის დროს აღმოშიინეს, მე მომცა ერთმა რუსმა ვასილ პეტროვმა, ეს რუსი ასე უწოდებდა თავისთვის მხოლოდ რამდენად ნამდვილი იყო ეს მისი გვარი და სახელი, არ ვიცი. რუსის ეს გვარი და სახელი მე ახლა გამახსენდა, როდესაც მომაგონეთ ბერლინში გერმანიის ხელისუფლებისთვის მიცემული ჩვენება. ფული დაახლოებით 900 მარკა რომელიც გადმომცეს პარიზელმა და ვენელმა ჯგუფებმა კავკასიის ორგანიზაციებისათვის გადასაცემად, შემოსული იყო ჯგუფების მიერ გამართულ საღამოებიდან, ცეკვიდან, კონცერტებიდან. ახლა არ მახსოვს იყო თუ არა ამ ფულებში ის ფულებიც რომელიც მე გადმომცა ბერლინის ჯგუფებმა. არც ის მახსოვს, მაძლევდა თუ არა ბერლინის ჯგუფი ფულებს კავკასიის ორგანიზაციებისთვის. მეტა არაფერი მაქვს სათქმელი. ჩვენება წამეკითხა სიმონ ტერ-პეტრასოვი გამოძიებელი: მალინოვსკი.

რასაკვირველია, კამო თავის თავს ანგარიშს აძლევდა იმაში, რომ მისი „ობრანკისთან“ მარტო ბრძოლის შედეგი მეტად სათუო, საეგებო იყო. განა

ლოლიკას და დიალექტიკას შეეძლო ქონოდა ძალა მეტეხის ციხის ან ტფილისის „ოხრანკის“ ოთხ კედელ შუა, სადაც კლასობრივი ბრძოლის პიკეტაჟი გამო, ეანდარმები ამტყუნებდნენ. ხოლო მსაჯულები ასამართლებდნენ უფრო მხნავანი რწმენით, ფარული აგენტების ჩვენებით ან გამცემთა აღსარებით, ვიდრე ობიექტური ცნობების მიხედვით? ეს იყო კლასობრივი ანგარიშის გასწორების იარაღი, ეს იყო ბრწყინვალე და საგულისხმიერო ილუსტრაცია მეფის მანიფესტისა იმის შესახებ, რომ სიმართლეს და მოწყალებას „ემეფნა“ სასამართლოში, რასაკვირველია, კამო გუნებაში არ აძლევდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას თავის მოხერხებულ ჩვენებებს. მაგრამ ეს იყო იმ წუთში მისთვის ერთადერთი ხელმისაწვდომი იარაღი, რომელიც მან აამუშავა იმ მიზნით რომ კიდევ ერთხელ შოგო დრო თავის ცხოვრებაში, ჯერჯერობით ზერელე და გადაკრული ნიშნები ავადმყოფობისა, ჩადენილ ტერორისტული აქტების უარყოფა, „ოხრანკის“ მაუწყებელი—ქიმი მირსკის როლის მეტისმეტად გაზვიადება, — ყოველივე ეს მხოლოდ გამომწყვდეული ნადირის დროებითი ხერხი იყო. კამო ერთში იყო დარწმუნებული: რომ ისევე სიმულიაცია დაეწყო, მისი ავადმყოფობა ოხრანკებს მეტად საეჭვოდ მოეჩვენებოდათ, ამიტომ ეს მოტივი რუსულ ნიადაგზე უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მერე ეანდარმებს და სასამართლოს კიდევ რომ დაეჯერებიათ და ეცნოთ ავადმყოფობა, ეს მაინც ვერ იხსნი და კამოს იმ ხანაში, როდესაც მეფის ხელისუფლებამ პეტერბურგში სულ ელემენტარული, პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების კანონებიც კი ფეხათ გასთელა და საკვდილით დასაჯა ორსული ქალი—რევოლიუციონერი, საჭირო იყო დროს მოკვალა და ხელსაყრელი შემთხვევების ცდა.

კამო თავის ცხოვრების მეტად სახიფათო და ძნელ წუთებში დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბედნიერ შემთხვევებს, ის ეძებდა მათ. მას წამდა, რომ გაიმარჯვებდა, როცა ხელს კიდებდა უაღრესად საშიშარ საქმეებს. და ასეთი შემთხვევები ერთობ ბევრი იყო მის ცხოვრებაში. ამ წუთში სწორედ ერთერთ ასეთს გადაწყვეტ შემთხვევას წარმოადგენდა ის მკიდრო ამხანაგური და მეგობრული კავშირი, რომელიც გაიბა ბერლინში ასკარ კონთან... ჩვენ არ ვიცით, ვინ და რა გზით გააგებინა კონს ის გარემოება რომ კამოს სამშობლოში საშინელი განსაცდელი. მოელის. შესაძლებელია, ამაზე კამოს, მახლოებებმა და ამხანაგებმა იზრუნეს, შესაძლებელია ისიც, რომ კონის მოქმედება იყო სრულიად დამოუკიდებელი და ნაკარნახევი რუსეთის პირობების ზედმიწევნით ზუსტი ცოდნით. დიდებული უნდა ყოფილიყო ეს პირობები, თუ, — კონი ამაში საკუთარი თვალით დარწმუნდა, — სულით ძლიერმა, მამაცმა რევოლიუციონერმა ორი წლის განმავლობაში უმძიმესი ფიზიკური და მორალური ტანჯვა-წვალება იიტანა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა სამშობლოში დაბრუნება!

ჩვენ არ მოგვეპოება ცნობები იმის გამოსარკვევად, ითვალისწინებდა თუ არა კამო თავის საპატიმრო ტაქტიკაში უცხოეთის ჩარევის შესაძლებლობას. თუ ითვალისწინებდა, — ის აკეთებდა სწორედ იმას, რაც საჭირო იყო საქმის გასაადვილებლად: უარყოფდა ტერორისტულ აქტებს და განაგრძობდა ფსიქიური ავადმყოფობის ვერსიას. თუ არ ითვალისწინებდა—დაკითხვის ოქმებში, მის მიერ, აღდგენილი სურათი, — უკეთუ ოდნავ მაინც შესუსტდებოდა თანდარბული

ზიზანისწრაფვა რევოლუციონერის ჩამოღობისადმი, — შეიძლება შემოდგომოდ მომავალ სამოსამართლო დამკველს ან წუთიერად მაინც შეეძლოთ ბრძოლა რომელიმე ადამიანურად ყველაზე უფრო „რივიანი“ მოსამართლეთაგანი. ასეთ შემთხვევებს, მართალია ძალიან იშვიათად, მაინც იხსენიებს მანუილ პოლიტიკური სასამართლოების ანალები...

### თ ა ვ ი XVIII

#### მხილვის ძეგალი

1909 წლის ნოემბერში გამოძიება ერევნის მოედნის ექსპროპრიაციის შესახებ თავდებოდა. ამასთან ერთად მეტისმეტად იზრდებოდა გამოძიებელი მალინოესკის მოუსვენრობა: მხილება, ნამდვილი მხილება იმ სახით, როგორც იგი ესაქიროებოდა „პირუთვნელ სამსჯავროს“ კამოს წინააღმდეგ არ იყო, — მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება გრძელდებოდა ორ წელიწად ნახევარს, ბრალდებული იჯდა მეტეხში — გამოძიებელის სრულ განკარგულებაში და მისი „საქმის“ შესახებ უკვე დაკითხული იყო არა ათეული, არამედ მრავალი ასეული ადამიანი. და იგი გამოძიებელს დაეხება ბედნიერი აზრი ეძებნა საზოგადოებრივი საბუთები, ასე ვთქვათ, თვით კამოშივე, იმ ქრილობების კვალში, რომელიც მას აჩნდა სხეულზე ნაგულისხმევი ტერორისტული აქტების ჩადენის მიზეზით.

პირველი ნიშნება ამგვარი მხილებისა მოვიდა გერმანიიდან და დატული იყო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ვადმოგზავნილ ქალაქებში საექიმო შემოწმების აქტის სახით. ალბათ, ამ ნიშნების გავლენით დაადგა გამოძიებელი ამ მხრით შემდგომი კვლევა-ძიების გზას.

თავის აქტში სამკურნალო მეცნიერების წარმომადგენელი თავისუფლად „აშუქებს“ მისთვის ბნელ მოვლენებს გერმანიის სასამართლოს წაჭრაღლებით. ეს სასამართლო, ემყარებოდა რა რუსეთის საენდარმო აგენტურის ჩვენებებს და გამოძიებლის შთაგონებას, — რასაკვირველია უფრო შორს და მეტს „ხედავდა“ ვიდრე შეეძლო დაენახა „ობიექტურ“ მეცნიერებას. ეს განსაკუთრებით ეხება კამოს თვალის დაშავების მიზეზებს, რომელიც ესოდენ „ზუსტად“ იყო გამორკვეული ბატონ სამეფო მკურნალის მიერ.

სამეფო სამოსამართლო ექიმი. ბერლინი 1903 წ. 29 აპრილი. კალვინ შტრასენ. 14.

სამეფო სასამართლოს პირველი სახელმწიფო პროკურორის მოთხოვნით შეუნდა მომეხდინა დიმიტრი მირსკის, სხეულბრძივი დათვალეირება და უნდა გამომეთქვა ჩემი აზრი მისი სხეულის ქრილობების მდგომარეობის და მათი წარმოშობის დროის შესახებ.

მე გავშინჯე მირსკი 28 აპრილს. დათვალეირება დიდ სიხნელესთან იყო დაკავშირებული, რადგან მირსკი, ალბათ, ამეამად შეურაცყოფილი, არავითარ კითხვაზე პასუხს არ იძლევა, მაშინ როდესაც წინად, მიუხედავად იმისა რომ მეტად ცუდათ ლაპარაკობდა გერმანულად რამოდენიმედ მაინც შეიძლებოდა მისი ვაგება.

კრილობები მირსკის მიყენებული უნდა ქონდეს 1907 წ. იენისში, — მაშასადამე, ათი თვის წინად. თავისთავად ცხადია, ახლა დარჩენილი მხოლოდ კრილობის კვალი და მათი ნამდვილი მიზეზების გამარჯვებულ-ბელია. მხოლოდ მარჯვენა თვალში ემჩნევა კატარაქტი; ამ კატარაქტის მიზეზების შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ნათქვამი სასამართლოს ხელთკონებული დოკუმენტის თანახმად ეს დაშავება ტრავმატიული ხასიათისაა ე. ი. მომხდარია ყუმბარის აფეთქების დროს.

სხვა რაიმე კრილობა ან მისი კვალი, როგორც ნათქვამია, არ აღმოჩენია.

შეურაცხველობის შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ მირსკი ჯერ კიდევ მთელი შემდგომი კვირების და შეიძლება თვეების განმავლობაშიაც კი შეურაცხველი დარჩება.

ექიმი (ხელმოწერა გამოურქვევია). სამკურნალო მრჩეველი.

მრავალჯერ კამოსთან საუბრის შემდეგ თვალის დაშავების და ხელზე საექ-ვო კვალის მიზეზების შესახებ, გამომძიებელმა მალინოვსკიმ, გერმანულ პროკუ-რორის მსგავსად, მოათხვა ბრალდებულის საექიმო შემოწმება. ეს შემოწმება სპეციალისტების მთელი კომისიის მიერ მოხდა 5 ნოემბერს კომისიამ აღნიშნა შემდეგი: „მარჯვენა გუგას აკლია გამჟვრვალება, იგი სავსეა მონაცრისფერო მასით, ბროლუკის გადაგვრების გამო რქიანი გარსის შინაგან კუთხეს აქვს განივი ქუჭრუტანა“; მარცხენა ხელის გულსა და თითებზე აქვს ექვსი მკვრივი ხორკალი, რომლის ქვეშაც მაგარს სხვაგვარ სხეულს იგრძნობთ“.

არ უნდა ექნა კამოს? ის იძულებული გახდა პირისპირ შეხვედროდა გან-საცდელს. შემოწმების ოქმის ბოლოში ჩვენ ვნახულობთ მის „შუამდგომლობას“ „გამოელოთ ხსენებულ ხორკლებიდა იქ მყოფი ნაშხვრევეები იმის დასამოწმე-ბლად, რომ ისინი წარმომდგარიან არა ყუმბარის, არამედ ვაზნის აფეთქები-საგან“.

გამომძიებელის ამ მხაკვრობამ აშკარად შეანუსტა კამოს პოზიცია. უარყო-ფის თამაში უნდა გათავებულყო. გამომძიებელი კამოს დრო გამოშვებით უყე-ნებდა პირში ექსპროპრიაციის შემთხვევითი მოწმეთ იმ იმედით, რომ ამნაირად სადმე ხელსაყრელ შემთხვევას გადაეყრებოდა. მაგრამ მან ახლა მთავარი ყურად-ღება მიაგვია კამოს მარცხენა ხელის მუხთა ხორკლებს. ამასთანავე კამომ იმავე 5 ნოემბერის დაკითხვის დროს გამოიჩინა ერთგვარი, მისთვის არაჩვეულებრივი დაბნეულობა, მისი პასუხები აღარ იყო ისეთი მარჯვე. მოსწრებული, მკვეთრი. შესაძლებელია, კამოს იმედი ქონდა, რომ ოპერაცია მოხდებოდა გაქცევისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებში შეიძლება, მისი წარმოდგენით ნამსხვრევეები იმ-დენად პატარა იყო, რომ ამით შეუძლებელი იქნებოდა ანაფეთქი საგნის დახა-სიათება. მისი იმ დღინდელი ჩვენება მეტად არე-დარეული, არადამაჯვრე-ბელი იყო მასში ისევ აღნიშნულია გადაკერით ინფორმაცია ექიმ ვიტომირსკისა რომელთანაც მეტად გულახდილად იყო კამო, რადგან არ იცოდა, რომ იგი პრავაკატორი იყო.

იმავე 5 ნოემბერს გამომძიებელმა გამოიტანა დადგენილება კამოსთვის სამ-ხედრო საავადმყოფოში ოპერაციის გაკეთების შესახებ. ამასთანავე კიდევ ერთი მბილება წამოიჭრა კამოს წინააღმდეგ, გამოირკვა, რომ ის 1907 წ. ზოიძის





გვართ ცხოვრობდა თავის დეიდა—ე. ი. ბახჩიევასთან და იმხვე <sup>გვართ არ-</sup> ჩენდენ მას ადგილობრივი ექიმები. კამომ არ დაასახელა ექიმები. გამოამძიებელ გამძაფრებით შეუღდა მათ ძებნას. სააგენტურო ცნობებით, <sup>ქვემოთაა</sup> ეწეოდა პროპაგანდას. ოხრანკას არ დაემალა არც კამოს აშხანაგები, რომლებიც მასთან ერთად არალეგარულად მუშაობდენ იმ დროს. მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოამძიებელი პირველად დაადგა სწორ გზას. ჩნდება სახელები კიდევაც დების ძმები კოტე და გრიგოლი ცინცაძეების, რომელთა შესახებ ახრანკამ იცოდა, რომ ისინი იმალებოდენ ტფილისში გამოგონებული გვარებით. მოხსენებულია კამო და ჯავაირა, რომელზედაც ერთ დროს ეჭვი იყო მიტანილი ოხრანკის აგენტის მოკვლის გამო. ექიმი ბლოცკი, რენტგენოლოგი, თავის ჩანაწერებში ნახულობს „ზოიძის“ ანგარიშს, მარგამ სარენტგენო გადაღების საბაზად აქაც აღნიშნულია არა ყუმბარა, არამედ იგივე გილზი, რომელსაც ასახელებდა კამო, და დაკითხვისას ექიმმა შლოცკმა ვენ იცნო კამო, ეტყობოდა, დაეიწყო, რომ მას თვალი ქონდა დაშვებული.

სამხედრო საავადმყოფომ კამო არ მიიღო საოპერაციოდ სათანადო სადგომის უქონლობის გამო, ახალა მისთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებიათ, 22 თუ 23 დეკემბერს მეტეხის საპატიმროს საავადმყოფოში. რითაც ისპობოდა გაქცევის შესაძლებლობა. თუ კი კამოს ამის იმედი ქონდა. მიუხედავად იმისა რომ ყუმბარის ნაშხვრეები, ჯერ კიდევ არ იყო ამოღებული, თვითონ კამო ეტყობა, ფიქრობდა, რომ მის საქმეში არსებითად აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან 1909 წ. 29 ნოემბერს გამოამძიებლის სახელზე მოცემულ განსაკუთრებული განცხადებით ის თხოვს გაწვეულ იქნას კაპერაში „ნამდვილ საქმესთან გასაცნობად“.

21 დეკემბერს ხარტურგმა ამოუღო ყუმბარის ნაშხვრეები, რომელიც „დაბეჭდილ კონკერტში“ გადაეცა ექსპერტიზას. ოპერაციის გამკეთებელმა ექიმმა საბოლევსკიმ კამოში იცნო სწორედ ის პაციენტი, რომელსაც მკურნალობდა კერძო ბინაზე 1907 წ. ბედმა აშკარად უმუბთლა კამოს და პირი გამოამძიებლისკენ იბრუნა. 24 დეკემბერს შესდგა ექსპერტიზა, რომლის დასკვნები პირდაპირ გამანადგურებელი იყო კამოსათვის.

მ მ მ ი

1909 წ. 24 დეკემბრი. ქ. ტფილისი. ტფილისის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამოამძიებელმა მალინოვსკიმ ქვემოზე ხელის მოწიწერ თანამოწმეთა დასწრებით დაათვალიერა ის ნაშხვრეები, რომელიც გადმოგზავნილია ტფილისის საგუბერნიო სამართველოს საექიმო განყოფილების მოწერილობასთან ერთად ამა დეკემბრის 23 № 7213, და აღმოჩნდა შემდეგი:

დათვალიერებული ნატეხები არის—წითელი სპილენძის ნაშხვრეები—დაქრის ხასიათი და ასეთი სიმრავლე წვრილი ნაშხვრეებისა (40-მდე), რომელიც შეჭრილია ხელის სიღრმეში, უნდა აიხსნას მხოლოდ ხელის ახლო რომელიმე წითელი სპილენძის და ძალიან დამნაწილადებელი შემადგენლობის გარსის აფეთქებით; ასეთი გარსი უნდა ყოფილიყო მპრგვინავი ცქრიას (ვერცხლის წყლის)



კავსული, რომლის აფეთქება იძლევა მხოლოდ წინამდებარე ექვსტემს, ამ თუ იმ ვაზნის აფეთქება, იმის გამო, რომ, დენტის ძალა ნაკლებია მტრგენიან ექვსტემს დასაბრუნებლად, ვიდრე მისი ძალაა ნაკლები მტრგენიან ექვსტემს დასაბრუნებლად. შედეგად, არაერთი შემთხვევაში არ იძლევა იმდენ სურათს, რამდენსაც სურათს, როგორც ეს ტერ—პეტროსიანცის მაჯის რენტგენულ სურათზე სჩანს.

შემდგომ დაკითხვის დროს კამო ერთობ უგულოდ უარყოფდა ექსპერტების დასკვნებს. თავდასაცავად მას უნდა ეძებნა სულ სხვა გზები და სხვა საშუალებანი.

ბრალდებული აჩვენებს: ჩემი მარცხენა მაჯის დაჭრის გარემოება ისეთი იყო, როგორც მე აჩვენებ ა/წ. 19 ოქტომბრის დაკითხვის დროს; ამასთანავე ის ვაზნა, რომელიც ხელში გამისკდა, მაგრატილით გაჭრისას ნახევარი პაპიროსის გილზის ოდენა იყო, ე. ი. მას სქონდა დაახლოვებით სანტიმეტრი სისქე. არ მახსოვს. რა მასალისაგან შესდგებულა იგი, არც ის მახსოვს, იყო თუ არა ვაზნაში ყტვია. მახოვს მხოლოდ, რომ ის დაეანგებულა იყო. როდესაც მე მივმართე ექიმს ვლოცეკს და ვთხოვე რენტგენის სხივებით გადაეღო ჩემი დაჭრილი მარცხენა მაჯა, მარჯვენა თვალი მტკიოდა და შეხვეული მქონდა“ ამიერიდან გამომძიებელი აშკარად უკეთებდა ჯამს მთელ თავის მუშაობას. მან დაკითხა ექიმ სობოლცეკის, რომელიც ადასტურებს, რომ კამოს, ანუ ზოიძის ხელი და თვალი ერთსადა იმავე დროს იყო დაჭრილი, რაც დაავიწყდა ექიმ ვლოცეკსო. გამომძიებელი უყენებს მირსკის და კამოს ა. ქარსიძის აშკარა ჩვენებას. დ. მირსკი უკანასკნელს ხსნის საპატიმროს პირობებში წარმოშობილი პირადი მტრობით.

1909 წ. 26 დეკემბერს გამომძიებელი უცხადებს ბრალდებულთა გამომძიებლის დასრულების და საქმის ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორისთვის გადაცემის შესახებ. გამომძიებლის საბუთებში ჩვენ ვპოულობთ ერგენის მოედნის ექსპროპრიაციის საქმეში ბრალდებულთა შავად შედგენილ სიას, სადაც ჩამოთვლილია ყველა რევოლიუციონერები; რომელნიც დროებით იყვნენ შეპყრობილი იმ ქვეყნების პოლიციის მიერ რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ. მეფის ხელისუფლება ამზადებდა დიდს პროცესს და რა თქმა უნდა, მისი ბრალი არაა, თუ ეს პროცესი ჩაიფუშა.

(გაგრძელება იქნება)

## სუხარჩელი

ნარკვევი

მინდოდა ამ ნარკვევისთვის დამერქვა — ნახშირის დაბადება. საერთოდ ეხლა ხშირია ასეთი სათატურები: გვირის დაბადება, გიგანტის დაბადება და ამგვარი, მაგრამ ყველა ამ სახელებს ერთი ძირი აქვთ. ეს სათატური მოდის მაქსიმ გორკის მოთხრობიდან „ადამიანის დაბადება“. მაგონდება, ეს მოთხრობა ამ ორმოცი წლის წინათ სწორედ ამ ადგილზეა დაწერილი.

— ეს იყო 92 შიმშილობის წელს, სოხუმსა და ოჩენჩირეს შუა მდინარე კოდორის ნაპირას, ზღვის ახლოსო, — ამბობს გორკი. შემდეგ ამ მოთხრობაში აწერილია ამ ქვეყნის ულამაზესი ბუნება: წაბლის ხეები, სამშინი (კავკასიური პალმა, ბზა), კაცხვის ხეები, სადაც ღრუში შეიძლება „მათრობელა თაფლის“ პოვნა, ამ თაფლმა ძველ დროში ლამის არ დაღუპა პომპეის დიდის ჯარი თავისი მათრობელი სიტკბოთი. მან რომელი რკინის დეგიონერები პანტასავით ძირს დაყარა. ამ თაფლს ფუტკარი აკეთებს დაფნისა და ახალიასაგან. გამვლელი გლეხები თაფლს ღრუდან იღებენ და სქლად უსვამენ ლავაშებს.

დამამახსოვრდა ამ მოთხრობიდან, რომ გზა ზღვისკენ იხრება, და სულ ახლოს მდის ქვიშიან ნაპირისკენ, სადაც ტალღები გამალებით შორბიან, ბუჩქებსაც უნდათ პირსახეზე დახედონ ტალღას და გზის ვადაღმა იხრებიან, თითქო ესალმებიან წყლის უდაბნოს ლურჯ სივრცესო.

ამ ოჩენჩირეს მიდიან შიმშილისაგან დევნილი არლოველი მუციკები. უნდათ აქ დადგენ გზის სამუშაოზე.

თავისი გათლილი შვინდის ჯოხით, ბოსიაკის პატარა ფუთითა და კარდალათი მოდის ამ გზაზე მაშინდელი მაქსიმ კორკი. მგზავრებს ჩამოსცილდება ერთი ორსული დედაკაცი, რომელმაც მარტომ უნდა შობოს ამ უღრან ტყეში.

მუციკებს განზრახ ჩამორჩება ეს ქალი. სცხეენია, მამა კაცებმა არ უცქირონ მის მშობიარობას.

და მართლაც, უდიდესი ოსტატობით არის აწერილი ის არაადამიანური ტანჯვა, როცა ქალი, თავის-ანაბარად დატოვებული, შობავს ტყეში ტკივილით, როცა სახსრები ეხსნება, ავადმყოფ ძალივით, დადაკაცი ღრღნის ბალახს და საშინელი ღმუილი აყრუებს გარემოს. შემთხვევითი თანამგზარი გორკი მიეშველება

ქალს მშობიარობაში და ეს მოხალისე ბებია-ქალი მარულაც დიდ საშახტურს უწევს ამ საწყალ-ადამიანს.

დიდებულია ის ადგილი, როცა გორკი ახლად დაბადებულ ბავშვს კბილით გადაუჭრის კბის. გორკის დანა ბარაკში მოპარეს. მან ბავშვი პირველად აბანაუა ზღვაში.

— Мотри—тихоночко... мотри же...

ძლივს ლულულუღებს საწყალი მშობელი.

— „მაგრამ ამ ნათელ ადამიანს სრულიადაც არ სჭირდება სიფრთხილე, მაგრად დაუბლუგია მუშტი და ყვირის და ყვირის. თითქო ვილაცას საჩხუბრად იწვევსო.“

— ია, ია, ია!..

— შენა ხარ, შენ დადუმდი ძპაო, გამაგრდი, თორემ მოყვანნი თავს წამავდებიებენ“.

ასეთია დიალოგი მაქაიმ გორკისა და ამ ახლადდაბადებულ არლოველ ადამიანის შორის.

საქმე იქამდისაც მიდის, რომ თავაზიანი თანამგზავრი მიწაში ღრმად მარხავს ძონძებს, რომელშიც გამოხეულია საბუღირი. ცრუმორწმუნე დედაკაცს ვერ წარმოუდგენია ვარდა აბაოს ზღურბლისა, როგორ შეიძლება ამ სასირცხოს დამარხვა. და როცა ავტორი ბრუნდება ავადმყოფთან, ის ხედავს დედაკაცს, რომელიც მოდის და ირხევა. ხელი წინ გაუშვერია, ზღვას დაუსველებია. წელამდე მისი კაბა, სახე ოდნავ შესწითლებია და თითქო შავნიდან ნათელი ეფინება დაეხმარება და ცეცხლის პირას მიიყვანს.

— Эка силища звериная!..

შემდეგ დალიეს ჩაი თაფლით და გავსაუბრენ ერთმანეთს.

— როგორ უნდა იცხოვროს ამ საწყალმა?—ამოიხზრა დედამ და მე ჩამათვალეირა.—დამეხმარე, და მადლობელი ვარ, მაგრამ კარგია ამ ბიჭისთვის თუ ცუდი, ეს კი არ ვიცი.

ბავშვი საშოს ძლივს მოსცილდა და დედა უმაღ სიმშილზე და სიკვდილზე ფიქრობს, და მის სახეზე ელავს ის მართლაც გაუმეორებელი შინაგანი ღიმილი, რომელიც სამუდამოთ აკეთილშობილებს მშობელს, და რომელიც მოდგმის გამარაგლების გენია არის.

დალია ჩაი, ცოტაც შეატანა, პირჯვარი გადაიწერა და სანამ მე ვაგროვებდი ჩემ საწყალ ნივთებს—განაგრძობს ავტორი—ქალი ძილში ირხეოდა და სთვლემდა, რალაცაზე ფიქრობდა, დასცქეროდა რა თავისი ხელახლა გადარეცხილი თვალებით დედამიწას. შემდეგ ფეხზე წამოდგა.

— ნუ თუ მიდიხარ?

— მივდივარ.

— ვაიშე დედა! ქალო რას შვრები?

— ღვთაისმშობელო! მომეცი ბავში.

— არა, მე წამოვიყვან...

შევედავეთ, დამითმო და ერთად წავედით მხარდახმარ.

— ნეტავი არ შევიშლებოდე, — სთქვა ქალმა და დამნაშავესკაცი ვაილიმა ხელი მხარზე დამადო. ახალი რუსეთის მიწის მკვიდრი, უცნობი ბედის ადამიანი ჩემ მკლავზე იწვა და ღონიერად ზერინავდა. ზღვა ირზეოდა, ტოკავდა, სულ ბურბუშელას არწივებში იყო ჩამჯდარი, ბუჩქები ერთმანეთს ეხურებოდნენ, მზე ბრწყინავდა და ნაშუადღევად გადასულიყო.

მოუდიოდით ნელა, ხანდახან დედა შეჩერდებოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, თავს მალა ასწევდა და დააშტერდებოდა გარშემო ზღვას, ტყეს, მთებს და შემდეგ თავის შვილის პირსახეს შეანათებდნენ მისი ტანჯვის ცრემლებით ძირამდე გაბანილი თვალები. ეხლა საუცხოვოდ ნათელი იყო ეს თვალები და ხელახლა ჰყვოდნენ და იწოდნენ სიყვარულის დაუშრეტელი ლურჯი ალით, ერთხელ შეჩერდა და მეუბნება: ჩვენ გვინდა ეს ფინალი მოვიყვანოთ იმ ენაზე, რომელზედაც დაწერალია ეს მოთხრობა და თვითონ მკითხველიც მიხედება რა ძნელია ამ შიგნით დაქვიტკირებული სიტყვების გაქართულება.

— Господи, боженька! хорошо-то как, хорошо! И так бы все шла, все бы шла, до самого аж до краю света, а он бы сынок — рос, да, все бы рос на приволье, коло матерней груди, родимушка моя“...

\* \* \*

უცქევლია ეს საუცხოვო მოთხრობა ბევრ ქართველ მკითხველს ახსოვს. შეიგი მხოლოდ იმიტომ არ გამოამაქვს აქ, რომ მოთხრობა იმ ადგილზეა დაწერილი, სადაც მე ვიმყოფები ეხლა და რომლის შესახებაც მე ვწერ ამ ნარკვევს. აქ მართლაც თვალმჭრელი დიალექტიკით არის მხატვრულად გადმოცემული ამ ოცდაათი წლის წინანდელი ცხოვრება. ამ სოციალოგიურ შინაარს ძროხაც კი იგრძნოს, არა თუ ადამიანი.

— განა მართლა რა გაქვივრება უნდა ადგეს ადამიანს, როს მხეცივით ტყეში შობოს და მოულოგინებელი ფეხით მიდიოდეს კიდევ ოცდაათ კილომეტრს...

საშინელ ტყვილებს ვერ გრძნობს დედაკაცი, მას მხოლოდ თავისი პირმშოს მომავალი ბედი აწუხებს და ქშინია შვილი შიმშილით პრ მოუყვდეს. ქალს იარა გახსნილი აქვს და ოცნებობს ცის კიდემდე რაროს თავის ბავშვიანთ, რომელიც არ უნდა გამოფხიზლდეს და არ იგრძნოს შიმშილის მომაკვდინებელი სუნთქვა, და განა მართლა ეს ქალი მაშინდელი კლასების დალაგების პირობებში? განა ის არ გამოხატავს გაღატაკებულ, მიწიდან აყრილსა და სიღარიბეში ჩამხევილ რუსეთის გლეხობას? ამ სოხუმის და ონემზირეს, და შემდეგ ცნობილ შავი ზღვის რკინისგზას აშენებდა რუსეთის თავად აზნაურობა, რომ უფრო მოახლოვებოდა თავის მეფის ნაწუქარს და მუქთად შევიდულ მამულებს ზღვის მთელ სანაპიროებზე, სადაც მათი საზღვაო კურორტები უნდა აშენებულიყო, და მართლაც თეთრი ტრედებივით დაფენილია ამ მთებში რუსეთის გენერლების აგარაკები.

თუ ადგილობრივი მოსახლეობა უნდა განწყვდარიყო, თუ შიდა რუსეთიდანაც მოდიოდა მუშა-ხელი, ეს მხოლოდ საექსპლოატაციო მასალა იყო ამ ქედმალადი ბიუროკრატიისთვის. მკვიდრ მოსახლეობას ადგილებიდან ჰყრიდნენ და

ოსმალეთში ასახლებდნენ აფხაზებს, ჩერქეზებს, ჩაჩნებს, და ზღვას უკვე შეს-  
დიოდა მუხაჯირების ცრემლები. აქედმე ისმის ა. ყაზბეგის ანთორიტეტის  
მოთქმა და კიანურის გულსაკლავი გოდება. თავის ქვეყანაში ნებას არ აძლევ-  
დნენ აღმანიანებს ეცხოვრათ, უკარგავდნენ მამაპაპის ძელებს და ჩამასწავლებელ  
ხალხსაც ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა, როგორც ამ მოთხრობაშია აწე-  
რილი. მაგრამ ამ „აღმანიანის დაბადებას“ სხვა ანალოგიაც აქვს, და მე მინდა  
უფრო ამას მივაქციო ყურადღება. განა როგორც ამ მოთხრობაშია აწერილი  
მშობიარე ქალი, ისე არ უჩნდებოდა პროლეტარიატს საბჭოთა კავშირში დაე-  
ბადებია ახალი სოციალისტური კულტურა?

განა ასე არ იყო ის სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული, როცა სასიკ-  
ვდილოდ ებრძოდა გაბატონებული კლასი და ცეცხლსა და მახვილს აძლევდა  
რაც კი გადაურჩა გაპანადგურებელ იმპერიალისტურ ომს? განა ყოველი მხრით  
ინტერვენტები არ ცდილობდნენ რკინის ხაზი გაეკლათ საბჭოთა კავშირისთვის,  
გამოეთიშათ, გაერიყათ და ეკონომიური ბლოკადით აეჭლებინათ დამორჩი-  
ლება.

განა მარტო შიმშილის ბლოკადა ითვლება მუქარად? რამდენი კრეისერი  
და ტანკები მოსდგომია თუნდაც ამ სანაპიროებს და გადმოუსხამთ საინტერვენ-  
ციო დესანტი, რომ სისხლით დაცლილი ხალხი აეჭლებინათ ხელი აეღო სო-  
ციალისტურ საბელმწიფოს შექმნაზე. განა ასეთ ანტი-ჰიგიენურ და ანტი-სანი-  
ტარულ პირობებში არ უხდებოდა მილიონიან მასას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის  
შექმნა, როცა გარედან ტანკები უშენდნენ და შიგნით კი ხმარებაში იყო ტილე-  
ბის ტყვიისმფრქვეველი (Взрывчатка) და პარტახტიანი სახადის ევიდემიის დრ ას,  
რამდენ კუბოს ეწერა:

— „მოიხმარეთ და დააბრუნეთ“-ო.

ყველაფერ ამას ვიგონებდი, როცა სოხუმიდან ოჩქმირეს გზით შიგვიოდი  
ტყვარჩელში და მინდოდა მენახა ნახშირის დაბადება, ტყვარჩელსა და სტა-  
ლინშენში...

ეს წინასიტყვაობა თავის-თავად დიდი გამოვიდა, არაფრად არ ვარგა,  
როცა თუნდაც დარბაზის შესავალი კარი დარბაზის ოდენაა, და ამ წინასიტყვა-  
ობის დამატება ავტორის ბოდის უფრო ართულებს. მაგრამ ამ შემთხვევაში  
ეს თვითონ ნარკვევის პრობლემას შეეხება. ეს ენარი მოთხრობისა, მიუხედავად  
იმისა, რომ შესაძლოა მას უქველეს წარსულშიც ჰყავდეს წინაპარი, ჩვენ დღეს-  
დღეობით ახალი კონსტრუქციით გვევლინება. აქ მე არ მინდა იმის გარკვევა  
თუ რამდენად ეთანხმება ეს ენარი ახალ სოციალისტურ კულტურას. მთლიანად  
მინდა ვთქვა, რომ განგებ არ ვიწყებ მარტო ციფრებით და ტყვარჩელის ნახ-  
შირის კონკრეტული აწერით, მით უმეტეს, რომ ჯერ ეს ნახშირი მხოლოდ  
სანიმუშოდ არის დაყრილი მალარობთან. თვითონ საწარმოებში ვერ ნახავთ  
უბრალო მუშას, რომ არ იცოდეს მეტნაკლებად ტყვარჩელის მშენებლობის გეგ-  
მა—ეს არის ბოლშევიკური მუშაობის მეთოდი.—როცა გეგმა დაზგასთან არის  
დაყვანილი. მგონია თითქო მარტო სამუშაოს აწერა არც მკითხველს და არც

სამუშაოს აქტიურ მონაწილეს არ დააკმაყოფალებს. ყოველ დღე ჩვენს განუთქმებულ თავსდება ბიულეტენები, სად რამდენი ნახშირი ამოიღეს, სად გაჩნდა ახალი ლუმელი.

ამ ბიულეტენებში ერთად არის მოქცეული დონბასი, ყუზბასი, ტყვიბულა და მალე შევა ტყვარჩელიც. ნარკვევისთვის უმთავრესი ის არის, რომ (უძველესად აიწეროს ვინც უშუალოდ ჰქმნის ამ საქმეს. აქაც არ შეიძლება მართო რომელიმე ოსტატის ან ინჟინერის სამსახურის ფორმალური სიის შეესება. საჭიროა მოცემულ იქნეს ამ ახალი კაცის გაცნობა, მუშა იქნება ის თუ გამოვგონებელი.

ამისთვის ბევრი დროა საჭირო შესწავლისათვის და მშენებლობასთან შეზღუდვისათვის.

და სწორედ ყველა ჩემი ბოდვისის ძაღლის თავიც აქ არის დამარბული.

სამუშაოზე დიდი ხანია არ ვყოფილვარ ტყვარჩელში. იმ რამდენიმე დღემ, რაც მე აქ დავყავი, ღრმად დამარწმუნა, რომ აქ წიგნის და ნარკვევის დასაწერად მაგრად უნდა დაჯდეს მწერალი, და თუ იქ ათასობათ მუშაობენ ახალი აღამიანები, აქ ათობით მაინც უნდა იხდენ მწერლები, კი არ უნდა იხდენ, აბმული უნდა იყვნენ წარმოებაში. სამუშაოზე ეს ჩემთვის მოუხერხებელი იყო. ჩემ იმას უფრო ვწუხები, რომ მე პირველი ქართველი მწერალი ვიყავი, რომელიც საერთოდ აქ ჩამოსულა და თავისი თვალთ უნახავს ეს წარმოება. გულწრფელად ვწუხები ყველა ამის გამო, უფრო კი იმის გამო, რომ ამის შესახებ წერა მომიხდებოდა.

ავტომობილშივე შევნიშნე ერთი უცხოელი კაცი. ის ყველაფერს უსმენდა მგზავრებს, ეტყობოდა კარგად იცნობდა ამ ქვეყანას. გზაშივე გამოიჩინა, რომ ის არის ტყვარჩელის გეოლოგიური სამუშაოების მთავარი ინჟინერი დ. ზელენსკი. აქაც მომაგონდა „აღამიანის დაბადებიდან“ სოხუმელი ინჟინერი, „როზელიც ბერავდა თავის მსუქან ლოყებს. ძალიან სერიოზული კაცი იყო. რატომღაც „Тише“-ს მაგიერ ხმარობდა „Чише“-ს და „Хоть“-ის მაგიერ „Хыть“-ის.

— Чише! Хыть ты и боек, но я тебя моментально в полицию...

„მას უყვარდა ხალხის გაგზავნა პოლიციაში და კარგია ფიქრი იმაზე, რომ ის ეხლა უთუოდ მკედარია და ძვლებამდე დაღრღნეს საფლავის ქივიზაო“.

მე კი ამ ოცდაათი წლის შემდეგ უფრო მახარებდა, რომ ამ სერიოზული ინჟინერის ეხლა არც გამოხრული ძვლები დაჩრებოდა და უფრო კიდევ ის მახარებდა, რომ ამ ტყვარჩელის ინჟინერის შესახებ, რომელსაც გავეცანი გზაში, ამის თქმა არ შეიძლებოდა. სოხუმელი ინჟინერისთანა ხალხი გან ვეცნილია სოციალისტური მშენებლობიდან. აქ უმეტესად ენტუზიასტური რჩებიან, და მიხაროდა, რომ ეს ზელენსკიც ასეთი ენტუზიასტია. ამაში მე მაშინ დავრწმუნდი, როცა ახლოს გავეცანი ტყვარჩელის წარმოება. ამხ. დ. ზელენსკი მიამბობდა ტყვარჩელის ნახშირის ისტორიას და სამუშაოთა ეხლანდელ მდკომარობას, აქ მეც მინდა გაკვირით მოვიგონო ტყვარჩელის ნახშირის ისტორია. ტყვარჩელის ნახშირის საბუღობს დიდი ხანია მიავნეს. აქაც პირველობა მსუნავი უცხოელი კონცესიონერისა იყო. პირველად იტალიელები დაინტერესდნენ ტყვარჩელის ნახშირით და ჯერ კიდევ მენშევიკების დროს დაიწყეს კონცესიაზე მოლაპარაკება. იტალიის

ყოფილ პრემიერ-მინისტრს ნიტტის თავის მოგონებებში ვრცლად აქვს წერილი, როგორ აპირებდა იტალია მაშინდელ საქართველოზე მანდატის აღებას და საქსპედლიციო კორპუსის გადმოგზავნას ა.კავკასიაში. თუ ამ პრემიერ-დაეუჯერებთ, მხოლოდ მისი წყალობით არ მოხდა ეს ავანტიურა და იტალიელე ბი გადაჩენ სირცხვილს. უმკველია ამ „მანდატის“ დიალექტიკური შინაგანი ტყვარჩელის ნახშირი იყო. იტალიელები ჯერ კიდევ გენუელების ბატონობისა და კოლონიზატორობის პერიოდიდან იცნობენ შავი ზღვის ამ სანაპიროებს. თუ ტყვარჩელი მაშინდელ მთავრობას ერთჯერად უცხოელების მოსატყუებლად ჰქონდა მიზნული და კონცესიის ნორდინში იყო, ესეც ვასაგებია. აბა მაშინ მათ სად შეეძლოთ ტყვარჩელის ნახშირის დამოუკიდებელი ექსპლოატაცია? მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს კოლხიდის უდიდეს პრობლემასთან ერთად დაისვა ტყვარჩელის ნახშირის საკითხიც. რასაკვირველია. ტყვარჩელს უშუალო კავშირი არა აქვს კოლხიდის პრობლემასთან, მაგრამ საერთოდ ის მაინც შედის კოლხიდის გარდაქმნის გრანდიოზულ გეგმაში. საქართველოს სმუსის ხუთწლედის მასალებიდან ირკვევა, რომ ტყვარჩელის საბუღობო საკმაოდ არის გეოლოგიურად გამოკვლეული. უმთავრესად აქ აწარმოებდა ცდებს ინგენერი მოკრინსკი, რომელსაც ამის შესახებ გამოკვეყნებული აქვს საფუძვლიანი შრომა. ტოპოგრაფიულად ტყვარჩელი 6 ფართობად იყოფა. გეოლოგიური მარაგი მიზნულია 110 მილიონი ტონა ნახშირი, რომელიც ასეა განაწილებული.

11 და 111 ფართობი	59 მილიონი ტონა
1 და 4 „	22,4 „
4 და 5 „	28,1 „

ამათგან კატეგორიების მარაგი მიკუთვნილი აქვს ჯერჯერობით მე 11 და 111 ფართობს და უდრის 39,8 მილ. ტონას. ეს ნახშირი ეკუთვნის ისეთ ჯიშს, რომელიც გამოსადეგია მეტალურგიული კოქსისათვის. ეს არის უმთავრესი. აქედან იწყება ტყვარჩელის როლი საერთოდ ამიერ-კავკასიის მეტალურგიის შექმნისთვის. პირველად ტყვარჩელის ნახშირით დაინტერესდა „იუგო-სტალი“, პირველად მან დაიწყო ტყვარჩელის გამოკვლევა და ტყვარჩელის ნახშირი უნდა მოხმარებოდა ჯერჩის ქარხნებს. მაგრამ ამჟამად ტაშქესანის პრობლემასთან დაკავშირებით—ტყვარჩელის ნახშირის თვითონ ამიერ-კავკასიისთვის ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

— ამ ვარიანტთან არის აგრეთვე დაკავშირებული ნავთსადგურის აგების საკითხი, რომელიც წინათ დიდ დავას იწვევდა, სად უნდა ყოფილიყო იგი, ოჩემჩირეში, სოხუმში, თუ ამისთვის გამოუყენებიათ ფოთი, რომელიც საუკეთესო ნავთსადგურათ ითვლება შავი ზღვის ამ კუთხეში და ამის გარდა დიდად აიაფებდა ტყვარჩელის ნახშირის თვითღირებულებას, რადგან ახალი ნავთსადგურის აგება ახალ მილიონებს მოითხოვდა. საერთოდ ტრანსპორტის საკითხი ყველაზე უფრო მტკივნეულია ამ კუთხისთვის და არა გჯერა, რომ ავტოობილით მიდინარ იმ გზაზე, რომელზედაც წინათ ცხენიც ძლივს დადიოდა. ოჩემჩირიდან კვეხანამდე ახლად გაკეთებულია საუკეთესო შარა-გზა. მას პარალელურად მისდევს ახალი რკინის გზა, აგრეთვე ოჩემჩირიდან კვეხანამდე—29 კი-

ლომეტრი. ეს რკინის გზა შეურთდება ორემჩირეში შავი ზღვის დიდ პორტის რაიონის გზას.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავზე გაიხსნა კიდევ ერთი ორემჩირემდე შავი ზღვის რკინისგზის ხაზი. კვხანში მოთავსებული ციხის სამუშაოთა მმართველობა. შთელ ამ ლალიზგას ხეობაში ეს ერთად ერთი ადგილია, რომლის ფართობებზედაც შეიძლება ნახშირის ექსპლოატაციისთვის საჭირო შენობათა აგება. კვხანიდან ნახშირის მალარობებამდე ვაჭყავთ ბაგორის გზა, რომელიც მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და არა თუ ჩვენ კავშირში, საზღვარგარედაც ჩაითვლება ამ დარგში საუცხოვოდ და სანიმუშოდ თავის მოწყობილობით. გასაგებია, რომ ტყვარჩელმშენის მუშებს ეს სიახაყედ მიაჩნიათ.

ტყვარჩელში ჩემი ყოფნის დროს იქ არ იყო სამუშაოების უფროსი ელბაქიძე. ის იყო ახლად დაენიშნათ მის მოადგილედ ბ. ლადარია, რომელმაც გასცა განკარგულება ჩემთვის ყველაფერი ეჩვენებით და აეხსნათ. მაგრამ როცა უჩვევი კაცი მოხვდება ამ სამუშაოზე, უცებ თვალი აგვირულდება, არ იცო რომელ მხარეს მიაქციო ყურადღება, როგორ გამოკყო უმთავრესი დეტალებიდან, და რა მასალები გამოვადგება შემდეგ წერის დროს. სამუშაოდ ჩამოსულიყო ჩემ ბედზე სწოედ ამ დროს ათამდე ახალგაზრდა ქართველი ინჟინერი, რომელნიც მოელენილნი იყვნენ ცენტრალურ კომიტეტიდან ტყვარჩელის სამუშაოზე. ესენი თვითონ გასცნობიან ამ წარმოებას ახლაბან და ეხლა ყველა მათგანი თავისი სპეციალობის მიხედვით მიხსნიდა ტყვარჩელის სამუშაოს გეგმებს.

ბინად მოვხვდი დონბასის ინჟინერ ტიხ. კოლესნიკთან, რომელიც უკებულელებში იყო და თავის სურვილით წამოსულიყო ტყვარჩელში. მას წინათაც უმუშავია ტყვარჩელში და ერთი მისი ენტუზიასთავანია. რასაკვირველია, დონბასთან შედარებით ტყვარჩელი პატარაა, მაგრამ საინჟინეროდ ეს ნახშირი უძვირფასესია, და ამასთან ჯერ კიდევ ადრეა მისი მარაგის სრული დაზუსტებით გაგება. ამ დალოცვილ კავკასიის მთებში რას არ უნდა მოელოდეს კაცი! სრულიადაც არ გამოიკვირდება, რომ ოქროს მდინარეებიც აღმოჩნდეს. ამხანაგი კოლესნიკი ახლად დაბრუნებულა ამერიკიდან, სადაც გაგზავნილი ყოფილა სხვა უკრაინელ ინჟინერებთან ერთად. ის მიაშობს ამერიკის ინდუსტრიის შესახებ გასაოცარ ამბებს. მას უკვე გამოუკიხოხავს ახალგაზრდა ქართველ ინჟინერებისთვის ჩემი ვინაობა და ძალიან მოსწონს, რომ მე მაინტერესებს ტყვარჩელის ნახშირი. ლაპარაკში ირ.ვევა რომ წინად მას უწერია ლექსები და ყოველ შემთხვევაში მშვენიერად ერკვევა თანამედროვე საბჭოთა მწერლობაში. ის გულმოდგინედ მკითხავს ქართული კულტურის ისტორიიდან ამბებს და მეც ლალიზგას ჩრიალზე ვუამბობ საქართველოს თავგადასავალს. მისი საუბარი ტყვარჩელზე ერთი გაუთავებელი პოემაა. ამ პოემაში ისმის საქმის მკოდნე ინჟინერის შთაგონების მუსიკა და მიხარია, რომ სწორედ ბედზე შეგვხვდი ამ ადამიანს. მართალია, ხანდახან ბედს ვიწყველი, რომ მე არ მესმის ტეხნიკური გამოთქმები, მაგრამ უმთავრესი ჩემთვის მაინც ნათელია. ჩვენს საუბარში ერევა აგრეთვე უკრაინიდან ჩამოსული სამმართველოს ერთი ტეხნიკური მომუშავე. იგონებენ ერ-



თად დონბასის ამბებს და მეპატიეებიან უმკველად ანაო დონბასი. ერთოდ ტყვარჩელის სამუშაოზე ბევრია უკრაინელი და დონბასის კვალდებიც მისი მუშა.

კვეზანიდან აკარმარაში წავედი საბარგო ავტომობილით, აქვე ლადარის მიერ გაფრთხილებული, მთავარი რეჟენერი დიმიტრი გავრიიჩი (სამუშაოზე) დამიხვდა. გზაში წვიმა მოგვისწრო. საერთოდ აქ წვიმა ძალიან ხშირად იცის. დღეში ათჯერ მოვა, დადგება მთებზე ნისლი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამოიღარებს, ამოვა მზე, თითქო აქ წვიმა არც კი ყოფილიყოს, ისე გაშრება არემარე. მაგრამ წვიმის დროს წითელი მიწა ისე აიხვლება, რომ ჯიხვსაც კი ფეხი დაუცდება. კვეზანიდან მთავარ სამუშაომდე თორმეტი კილომეტრია, მაგრამ გზა ისეთი ზრამებით მიდის ლალიზგას ხეობაში, რომ იშვიათად თუ ვინმეს ფერი არ ეცვალის და გული არ შეუღონდეს. გზის ორივე მხარე გარშემორტყმულია ულრანი ტყით. გზის გაყვანის დროს ტყე ვაუზებით და შესასავით ჰერია უძვირფასესი სამშიტის მორები, ზევით აიხვდავ და ეს სამშიტის ტყე იფარება უზარმაზარი გიგანტებით. ერთი ხე მოუჭრიათ და ხეობაში ჩაყუდებულია, ხეობა ისეთი ღრმაა, რომ თვალს ვერ ჩაატან. მაგრამ ეს გოლიათი ხე თითქმის შუამდე სწვდება. ქვეშაბრტყელს ეს არის გარსია-ვანტურა კალდერონის მიერ აწერილი პერუს პეიზაჟი, და გვონია, რომ ტყე საცაა დაიწყებს ქვითინს. ასე აქვს მას ერთს საუცხოვო ნოველაში მოთხრობილი. მხოლოდ აქ მაიმუნების მაგიერ ჯიხვები ატირდებიან. მარტო შევედი ამ ზღაპრულ ხეობაში. გზა და გზა ფეხი მისხლტებოდა და თვალუწვდენი ხრამები და ფრიალო კლდეები გულს მიღონებდნენ. სულ რაღაც ერთი კილომეტრი დარჩა აკარმარამდე, მაგრამ გზა არ თავდება, მიხვეულ-მოხვეულია თანმასავით და ყინულივით აცურებს ფეხს. უცებ ამ ხეობაში გაიშალა ახალი ქალაქი. მივადექი ტყვარჩელის ნახშირის სამუშაოს უშუალოთ. შემეყვანეს მთავარ ინჟინერ გარვინთან. ახალი პატარა სახლი დაკიდებულია ლალიზგას ფრიალოზე, კედლები მოყვანილია სამუშაო რუქებით. არაფერი არ განიშნებს, რომ აქ ადამიანის საცხოვრებელი სახლი იყოს. რომელ ოჯახურ მოწყობილობაზე შეიძლება ამ ლაშქრობაში ფიქრი! პირველათვე ყოფაცხოვრების საკითხებზე ჩამოვარდა საუბარი.

— აბა აქ რა ცხოვრებაა? ოჯახი სოხუმში მყავს, მეც და ყველა აქ მომუშავეც ვფიქრობდით როგორმე აქ მოგვეწყო ბინები. მაგრამ ძალიან გაძნელდა. ეხლა კიდევ არა უშავსრა, ზამთარში კი წარმოვიდგენიათ რა იქნება? მაგრამ ჩემ ბიჭებს არაფერია არ აშინებთ, მუშაობა ძალზე გაჩაღებულია, ბევრი მუშა მიჩვეულია მალაროს, ბევრი აფხაზი და მეგრელიც სწავლობს ჩვენს ხელობას. საჭიროა ახალი კადრების წამოწევა და ეროვნულ რესპუბლიკებში დახელოვნებული მუშა-ხელის შექმნა. მაგრამ ეს სამუშაო ძალიან ძნელია და აქაური ხალხი მაინც და მაინც არ ეტანება, უფრო კომკავშირი იბრძვის ამ ტენიკის დაუფლებისათვის და ხშირია მათ შორის მართლა გმირული გამბედაობა და შრომის უნარი. არ შეიძლება ითქვას, რომ მუშა-ხელი საკმაო იყოს, განსაკუთრებით მთის რაიონში 50%-ამდე გვაკლია, არ არის საკმაო საამშენებლო მასალა, მაგრამ ჩვენ უკვე მივეჩვიეთ აქაური ტყის გამოყენებას. მუშათა მომარაგების საქმეშიც ამ ბოლო დროს დიდი გადატეხა მოხდა, მაგრამ ჯერაც ბევრი რამეა საჭირო, რომ ასეთ ბუნებრივ პირობებში ყველაფერი ჯეროვანად იყოს



პირდაპირ ჯანმრთელობის სახელოსნოდ გახდეს ტყვარჩელის ნახშირის მოწმები-სათვის, რომელთაც დიახაც რომ ერგებათ დასვენება და მკურნალობა. მალე აპირებენ აქ სანატორიუმის მოწყობას. პირველი გოგირდის აბანოები უკვე მოწყობა გლუხებმა აღმოაჩინეს. თავისი რადიოაქტივობით ის ძალიან ჰგავს წყალტუმოს წყალს, უბრალო ხალხი დიდი ხანია პრიმიტიული წესით შეუდგა მის გამოყენებას. უმთავრესად ირჩენდნენ ქარებს, რომელიც სინესტის გამო ძალიან გავრცელებულია ამ მხარეში...

წარმოებასთან ერთად ვეცნობოდი ახალ კადრებსაც და ჩემ თვალისწინ იშლებოდა საუცხოო სურათი ამ ნახშირის გაგანტის მომავლისა, რომელიც სრულიად გარდაქმნის საბჭოთა აფხაზეთს.

ამ ადგილსაც სრულებით სხვა აზრი ეძლეოდა ფრანგი მეცნიერი და მოგზაურის დიუბუა დე მონსპეროს სიტყვებს, რომელიც ასე სწერდა წარსულ საუკუნის აფხაზეთზე:

— „ამ დიდმნიშვნელოვან ნანგრევებს ფარავს მშვენიერი ტყე, რომელშიაც აქა იქ გაფანტულან აფხაზეთის სოფლები.“

ეს შეუღალი ტყე და ეს მდინარის უდაბნო ნაპირები კაცმა, რომ ნახოს, განა შეიძლება იციქოს, რომ ეს ის ადგილია, სადაც ისტორია დაწყებულა? რომ ეს უძველესს ზღაპრებისა და მითოსების ქვეყანაა?

რომ ეს ის ადგილია, საიდანაც გავრცელებულა კულტურა?

რა მდგომარეობაში დარჩენილა ეხლა ის ხალხი, რომელიც სტკებოდა ამ სამოთხის მზგავსს ქვეყნის ნეტარებით.

დღეს თითქო მიტოვებულია ადამიანისაგან ეს მშვენიერი ქვეყანა.

ვინ იცის, იქნებ განგება ისე ასვენებდეს სამეფოებსაც, როგორც კაცი საყანებსა?“...

დიახაც ამ დასვენებულ და მივარდნილ ადგილებს დაეპატრონა, ახალი სოციალისტური კულტურის ადამიანი, რომელიც ფეოდალურ ნანგრევებზე აშენებს ისეთ მძლავრ გიგანტს, როგორიც არის სტალინმშენი.

ეს არ არის შარტო ერთი ადამიანის, ეს არის კოცხალი კოლექტივი, მუშათა ბრიგადები, რომელნიც სოცშეჯიბრით ჰქმნიან ახალ ისტორიას, სადაც ის წინათ ჩასახულა, ტყარჩელის ნახშირის დაბადება, და სტალინმშენის ხარაჩოები—ამ ახალ ადამიანთა ხელის საქმეა, რომელნიც გალიზგეს მრისხანე ხეობაში გვარწმუნებენ ხუთწლიან გეგმის რეალობაში და სოციალისტურ კულტურის შექმნაში...

ახალი ათონი

აგვისტო 1922 წ.

## „ფერო“

ბორის ჩხეიძის ახალი რომანი

თანამედროვე ახალგაზრდა პროლეტარულ ბელეტრისტებს შორის ბ. ჩხეიძემ უკვე კარგა ხანია მიიპყრო მკითხველთა ყურადღება თავისი ბელეტრისტული უნარით და მხატვრული მონაცემებით. ამდენ ხანს სწერდა პატარა მოთხრობებს, ამ ეამად გამოვიდა მისი საკმაოდ მოზრდილი რომანი „ფერო“. მოთხრობებიდან რომანზე გადასვლის ცდა ახალგაზრდა მწერლისათვის უსათუოდ გაბედულებაა. რომანი მწერლის უდიდესი გამოცდაა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მწერლის. რომანი მწერლისაგან თხოულობს გამოცდილებას, ოსტატობას, ცხოვრების ღრმა ცოდნას, მსოფლმხედველობითი სიმტკიცეს და სხვა.

წარმოადგენს თუ არა ბ. ჩხეიძისათვის ეს ნაწარმოები წინსვლას? რომანი „ფერო“ ამტკიცებს, რომ მისი ავტორი ნამდვილი ბელეტრისტიკაა, რომ მას საკმაოდ გააჩნია ამისი შესაძლებლობა, მხატვრული დაკვირვების უნარი, სინამდვილის ცოდნის მარაგი. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ ავტორი სრულიად თავისუფალია ნაკლოვანებებისგან.

რომანი „ფერო“ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის, ინდუსტრიალიზაციის ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ეხება: ფერო-მშენებლობის იმპროცესს, რომელსაც ადგილი აქვს ქალაქ ზესტაფონში. ეს წარმოება საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის—თავისებური მასშტაბის მაგნიტომშენია, რომანი „ფერო“ კი ამ მშენებლობის საუკეთესო პოემაა, იმ ადამიანების შემოქმედებითი დაუდგრომელობისა, ენერგიული მუშაობისა, რომლებიც ქმნიან სოციალისტური მშენებლობის სიმფონიას.

„ფერო“ს მნიშვნელობა იმაშია, რომ ის ცოცხალი და კონკრეტული მშენებლობის ფონზე-იძლევა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების, ყოველ-ღლიური ზმირობის, უცნობი მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მიღწევების მატარებელი ადამიანების ბრძოლისა და ცხოვრების მხატვრულ ილუსტრაციას.

„ფეროსა“ და მისი ავტორის ერთი სერიოზული შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მასალა და მოქმედება ალბულები ამ რომანში ფერო-მშენებლობის

სინამდვილიდან, ზოგიერთი ფაქტოლოგიური მხარეების დამახინჯებას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ავტორს ფერო მარგანშენის ერთ-ერთ წამომწყებ ინციატორად რომანში გამოყვანილი ყავს ვინმე ვოლკოვი, ურდულიდან მოსული კაცი, რომელსაც თითქმის არავინ იცნობს ამ მხარეში და ვინც ვერც მშენებლობას—ეს არავითარ შემთხვევაში არაა სწორი. რაკი ავტორმა განიზრახა ფერო-მშენებლობის მთავარი ინციატორების გამოხატვა, მას უნდა მიემართა სინამდვილისათვის და არა მხატვრულად გამოვეგონებია აქ ადამიანები. ხვალ რომ დაიწეროს ამ ფერო—მარგანეცის წარმოების ისტორია, ის ამ რომანს ძირითადადში უსათუოდ „გააშავებს“, ეს კი ნაწარმოების ნაკლია.

იშვიათია ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც რომელიმე კონკრეტულ მოვლენას იღებდეს, მას ამახინჯებდეს და ის არ იწვევდეს დავას, შითუმეტეს ასეთ შემთხვევაში. ცნობილია მაგალითად, რომ ა. სერაფიმოვიჩის რომანი „რკინის ნიაღვარი“ დაწერილია ნამდვილ ცხოვრებიდან. მაგრამ ავტორს ძირითადად არ დაუმახინჯებია არც სინამდვილე და არც სინამდვილეში მომქმედი ადამიანები. შეკითხვაზე არის მისი რომანის მთავარი გმირი—„კოკუხი“ ცოცხალი ადამიანი თუ ის მოგონილი ტიპია—სერაფიმოვიჩი უპასუხებს: „კოკუხი ცოცხალი ადამიანია, ჩემს მიერ სინამდვილიდან აღებული. მისი გვარია კოკუხი, ეხლა ის აკადემიის დამთავრების შემდეგ ჩრდილო კორპუსის მეთაურია (იხ. ჟურ „ნალიტპოსტუ“ 1928) წ.“

საილუსტრაციოთ ეს მაგალითი საკმარისია და იმისი მაჩვენებელი, რომ არ შეიძლება ყველგან და ყველაფერში გამოგონილი ტიპებით და გმირებით „მუშაობა“ ბ. ჩხეიძის „ფეროში“ ვოლკოვი რომ არა ფერო-მშენებლობის წამომწყები იყოს, არამედ დამკვერელი მუშა, პარტხელმძღვანელი და ამ მხრივ თუნდაც ცენტრალური ფიგურა—რომანი უფრო მეტს მოიგებდა.

რომანი იწყება იმით, რომ ქალაქში ჩამოდის „უცნობი“ ვოლკოვი, რომელიც სხვათა შორის ქართველი მგელაძეა. ჩამოსვლის თანავე ის იწყებს გრანდიოზულ საქმეს: ახდენს დაქსაქსულ და უმოქმედო მუშათა პარტიულ-პროფესიონალურ ძალთა მობლიზაციას. რაზმავს ამისათვის ნახევრად უსაქმოდ მყოფ კალატოზებს, მათ შორის ლოთებსაც და მათი საშვალებით აჩაღებს მუშაობას. რომანის მიზანია თითქოს აჩვენოს დაბკროლებათა გადაღახვის პროცესები და ამისათვის გამოწვეული მასიური ენტუზიაზმი, მაგრამ დაბკროლებათა გადაღახვა რომანში ყველგან უკებ და ადვილად ხდება და ხშირად ეს არაა დამაჯერებელი. მაგალითად მშენებლობას მუშა ხელი აკლია. ვოლკოვი ცემს ისეთ დეკრეტს, რომლის მიხედვით სამუშაოს ემატება „სამიკიტნოების“ მუშა-მოსამსახურეთა მთელი ჯარი.

რომანი „ფეროს“ ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ აქ არაა მოცემული გმირების ჩვენება ყალბი ფსიქოლოგიზმის მეთოდით. გმირები ნაჩვენებია მოქმედებაში, სადაც მათი ფსიქოლოგიური მხარეები დაქვემდებარებულია საწარმოო და შრომის პროცესებთან. რომანის პირველი ნაწილი ისეა გაკეთებული, თითქოს იქ რუსული სინამდვილე იყოს. მოქმედება ხდება იმერეთში, რომანის სიტუაცია და გმირები კი რუსულია: „ისხდენენ ბიჭები და მანდალინების დაკვრით ერთობოდენ“ ვოლკოვი, მელაშა, ბალაშოვი და სხვა.

ტიპიურ პროვინციულურ ქალაქში—ზესტაფონში შენდება გრადობული წარმოება. ათასი მუშა ხელი ტრიალებს, შენდება უზარმაზარი ყორაპუნები, რკინის ვაგონების ახალი ხ ზები ვეირაბები. ამ მშენებლობის და მოჭედების ტექნიკები და ის ენტუზიაზმი, რომელსაც მუშები და პარტხელმძღვანელები იხსენებენ მშენებლობაზე, სოციალისტური შრომის მთელი ემოციონალური აზვირთებაა. ავტორი ამ შრომის პროცესში სილუეტურად და შტრიხებით ხაზავს შრომის გმირების, მეზობლ ბოლშევიკების ტიპებს, ყველა ესენი დამაჯერებელი და საყვარელი ტიპებია. ავტორი არ აყალბებს კლასიური ბრძოლის სინამდვილეს. მშენებლობის ფონზე შტრიხებითვე, მაგრამ დამახასიათებელი დეტალებით კლასიური მტრის აგენტებსაც ამკლავებს: კულაკს—სოფლიდან, ქალაქში „საშოვრად“ მოსულს, ინჟინერს-რომელსაც არ სწამს მშენებლობის პერსპექტივა და მენებლობის განწყობილებები ამოძრავებს.

რომანში გამოყვანილია მთელი რიგი მუშა—ლოთები როგორც მაგალითად ბალაშოვი, რომელსაც შრომის ენტუზიაზმი დამკვრელობამდი მიყავს. ნაჩვენებია შეგნებულ მუშებიდან შეგნებულ მუშებით გადაქცევის პროცესი. რომანში არის ისეთი ადგილები, რომელიც საწარმოვო პროცესებს გამოხატავს. ზოგი მათგანი პიერ ამპის მანერითაა შესრულებული.

რომანში გმირების დილოგები—ცოცხალია და დამაჯერებელი. რომანში ადგილი აქვს სიუჟეტის იაფფასიან ფაბულარულ გაშლასაც, მაგალითად ვოლკოვისა და მელაშას დამოკიდებულება. ვოლკოვის ტიპი—როგორც პარტხელმძღვანელისა დამაჯერებელია. სუსტი იგი ყოფილი ფონზე. მელაშას ტიპი ნაწილობრივ გადაკარბებულია, იგი ახალი კომუნისტი ქალის ტიპია, მაგრამ არა თავისი ყოფით. ავტორი უსათუოდ ცდება, როცა მელაშას სქესობრივი თავისუფლების მომხრე ქალად ხატავს. კომუნისტი ქალის ასე მოცემა—მალაშკინისებური ყალბი ხაზია. ვოლკოვისა და მელაშას დამოკიდებულების საკითხში საინტერესოა ისეთი ხერხი, როცა მხოლოდ მკითხველისათვის იხსნება ვოლკოვისა და მელაშას ძველი დამოკიდებულების საიდუმლოება, მათ კი არაფერი ახსოვთ, მიუხედავად იმასა, რომ ბავშვი ყავთ და სხვა.

ვოლკოვის მოხაზვაში ავტორს ვერ აქვს თავიდანვე სწორი ხაზი აღებულ. ის შეცდომას უშვებს, რომ ვოლკოვი ჩამოყავს ურალიდან, როგორც „უცნობი“, რომელიც იმ თავიდანვე პარტკომში ცხადდება, მაგრამ შემდეგ უამზანაგდება ვილაც ლით ბალაშოვს, ცხოვრობს კიდევ მის ოთახში და მერე ყოველგვარი სიტუაციების გარეშე უცებ ხდება ფერო-მშენებლობის ცენტრი. ფერო-მშენებლობისათვის ბრძოლა რომანში ისეა ნაჩვენები, თითქოს ეს მხოლოდ ზესტაფონ-შორაპნის ინიციატივა იყოს, ამით ავტორს ალბად უნდოდა ეჩვენებია თუ რამდენად დიდია მასების ინიციატივა ქვეყიდან.

რომანში მხატვრულად ძლიერ ადგილებთან ერთად ადგილი აქვს მრავალ არა მხატვრულ გამოთქმას, როგორც მაგალითად ადგილი „ძლიერ ნაკლებად გაედენ იმ ხალხს, რომელიც მან დატოვა აქ თოთხმეტი წლის წინათ ვაგონში შეგდების დროს (გ. 18), „ღრუბლები მოედო მთებს და ჩაფარა ტაფობებს გაშლილ ხატის თრთებევით (გ. 26), „სიოზე გრიალებდენ ხეები და იძროდა ყოველი სხეული“ (გ. 30)-ეს, სიო კი არ ყოფილა, არამედ გრიგალი. „ჩემებით

იატაკს ანგრევედა (გ. 39) „სიოც ჩადგა და მიჩუმდა ქარის ბაღებზე საზომი ფრთების გამბული სტვენა“ (გ. 46), „როდესაც ხმა თავისსვე ტოლს შემანქანე ლეკიას გადაუქიდა და თვითონ ყელი გაინთავისუფლა“ (გ. 65) სოციალისტური ციოთ ესეც კმარა. ეს უხერხულობანი შემდეგში უნდა გასწორდეს, როგორც.

რაში მდგომარეობს მოკლეთ ბ. ჩხეიძის რომან „ფეროს“ ძირითადი პათოსი?

იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა უდიდესი სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესშია. ამ პროცესში ჩაბმულია მრავალი თავდადებულად მებრძოლი ადამიანი, რომ ხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. რომ ეს მასების შეგნებაა და ისინიც გმირულად იბრძვიან ამ ფრონტზე გამარჯვებისათვის. ესაა „ფეროს“ მთავარი მისწრაფება. „ფერო“ უსათუოდ ისეთი ნაწარმოებია, სადაც საკმაოდ გამოყენებულია სოციალისტური რეალიზმის პრინციპი.

# ბ ე ს ი კ ი

თხზულებათა კრებულის გამოცემის გამო

1

ბესიკის ბიოგრაფიული მომენტები სულხან საბა ორბელიანის ცხოვრებას გვაგონებენ. ორივენი მეფის კარზე აღზრდილი მგოსნები იყვნენ, ბესიკიც დიპლომატიურს საქმეებში იყო გართული და საბასავით კარისკაცთა ინტრიგის ქსელში ჩათრეული. და ბოლოს: ორივენი ერთსა და იმავე ლიტერატურულს ეპოქაში მოქმედებდნენ და წიერდნენ.

საბა ორბელიანი სხარტული არაკების ავტორი და დიდი ლექსიკოგრაფი იყო. მან არაკების კრებული დაუპირისპირა პოემების პროზაულ ვერსიებს, სადაც ლექსური სუფეტი და ფაბულა სხვა სისტემის—პროზის, ფორმებში იშლებოდა (ვისრამიანი, ამირანდარეჯანიანი); ლექსის მთავარი ელემენტი—სიტყვიერი რიტმი აფერხებდა პროზის მთავარი ფაქტორის—სუფეტის—გაშლას. საბამ შეძლო ამ საკითხის გადაჭრა: მან ჩამოაკლავა პროზა მოპირისპირე სისტემებიდან მოტანილ ატრიბუტებს და სათავე დაუდო ქართულ ბელეტრისტიკას.

ბესიკი მცირე ფორმებისა და სიტყვიერი ლექსიკის საუკეთესო ოსტატად დარჩა ქართულ პოეზიაში. გაამახვილა ლექსის სიტყვიერი რიტმი და შეასუსტა—ფაბულა და სუფეტი... ზეპირი თქმისა და სიმღერის ასპარეზად კი მეთვრამეტე საუკუნის სალონი—ბალი აირჩია, რომელიც კლასიკური ლიტერატურის დარბაზის მაგიერობას სწევდა.

ლიტერატურის ევოლუცია მეტყველების ფორმათა ცვლა როდია მარტო, ახალი მხატვრული ფორმების ჩასახვას თან ახლავს პოეტის ახალი ტიპიც. ბესიკი ბედნიერი შემთხვევაა ამ მხრით: მან საერთო ყურადღება და ინტერესი გამოიწვია.... ბესიკის ლიტერატურული ნიღაბი საესეებით შეეფერება მისი დროის ყოფას და სოციალურ გარემოს.

2.

ქართულ პოეზიაში ვეფხის ტყაოსნის *Ars poetica* ეპოსის კანონიზაციას მოითხოვდა. გენიალური პოემა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აწვა მას და გასაქანს არ აძლევდა: იმიტაცია ითვლებოდა საუკეთესო არჩევანად, ხოლო ოდნავი გადახვევა იწვევდა გაკილვას. დამახასიათებელია არჩილ მეფის თქმა: „რუსთველს რად ვერ წაბაძესა“...



მე-17 საუკუნეში პირველად იჩინა თავი ახალმა შეგნებამ—ლიტერატურულ-მიკა რუსთველის გარშემო. შესაძლებელი გახდა მის გვერდით სხვა პოეტის დაყენება. ასეთი პოეტი აღმოჩნდა „უმცროსი წიგნების“ ავტორი—**გიორგი მთაწარი** მეფე.

არჩილ მეფის „გაბაასებაში“ თითქოს ჩანს რუსთველის „უმცირება“ მეჩვიდმეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ფონზე. თუნდაც ის ფაქტი, რომ ავტორი გადაუჭრელად ტოვებს საკითხს—რომელი უფრო დიდი პოეტია—შოთა თუ თეიმურაზ პირველი, ზოლო „გაბაასება“ თავისთავად ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა—მეტად სიმპტომატიური მოვლენაა თავისი დროისათვის (უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პოლემიკა არ ატარებდა კლერიკალიზმის არაავითარ ნიშანს. თეიმურაზი სპარსული პოეზიის დიდი პატივისმცემელი იყო. გვიან ის დანაწევრით შენიშნავედა კიდევ: „მიჯობდა თუ სულისათვის სინანული დამეწერა“...\*)).

მიუხედავად რუსთველის კატეგორიული განცხადებისა რომ—„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზედ შენობს“, თეიმურაზ პირველს მის ნოვატორობაშიაც შეაქვს იჭვი („ჩაბრუხაძემ უწინ არ სთქვა, რად იპარავ პირველ თქმისა“... ამით თეიმურაზ მეფე მიუთითებს პოემის მეტრზე, რომელიც პირველად „შესხმაში“ გვხვდება, მართალია როგორც მეორე ხარისხოვანი და შემთხვევითი ფორმა—) და უფრო შორს მიდის—ასე ასაბუთებს თავის უპირატესობას:

„მართალია შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,  
ახლა ჩემმა დააქარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა,  
მეორე ღამეს გაანათლებს, მერე ფარავს შუქი მზისა  
ჩემმა წიგნმა დააქარბა, შენს წიგნს ვინც სწერს  
ცუდათ ზისა.“

ეპიგონობის ფაქტი ნაცნობი იყო (რუსთველის განცხადება „გაბაასებაში“: „მელექსენი ჩემზედ შენობს“...); ლიტერატურულ წრეებში დასმულა პოემის გადაფასების საკითხი.

„ვეფხისტყაოსნის“ უგულვებელ ყოფით ცხადდება ეპიგონობის აღკვეთის შეგნება და არა გენიალური პოემის უარყოფა...

ვეფხისტყაოსანში განსაკვირვებელი სიმეტრიაა დაცული მიმართვით ინტონაცია (შესავალი, წერილები, ლოცვა მნათობთადმი) და სუფეტს შორის.

\*) ვერძოდ „გაბაასება“ საეხებით სანდო დოკუმენტია, რადგან თეიმურაზის პოზიკა ავტორს კარგად აქვს წარმოადგენილი; მასში სუბიექტური არაფერია, მიუხედავად იმისა რომ ავტორი თეიმურაზის ლიტერატურულ სკოლას ეკუთვნის. ამას ადასტურებს შემდეგი საყურადღებო დეტალი: თავისი „მიჯამების“ პოლოსიტყვაში თეიმურაზ მეფე წერს:

„ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა  
მაშინ რუსთველსა აქებტენ, მე იმან გამაგულისა“.

„გაბაასებაში“ თეიმურაზი შემდეგი სიტყვებით მიმართავს შოთას:

„ზოგი შენ გაქებეს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენაო  
ხან კიდევ გამაგულისეს...“

შემდგომი წერტილები ბევრს დაპარაკობენ დოკუმენტის ტიპიურობაზე. მნიშვნელობას არაა მოკლებული ის ფაქტიც, რომ არჩილ მეფე თეიმურაზ I-ის საუკეთესო ბიოგრაფია.

დროის პერსპექტივა ვადმოცემულია სტროფების მცირე ნაწილით. მიუხედავად ამისა პოემა უდიდესი ინტერესით იკითხება.

შემდეგს საუკუნეებში ვერ გაივს პოემის ეს ორიგინალური მხარე: განაგრძობდნენ „ამბებს“, წერდნენ მხოლოდ ინტრიგების გაგრძელებას, არ სმოდათ პოემის მეტაფორების რთული სიმბოლიკა... სისტემის სტემაზე დაყრდნობა გამოიწვია თვითონ სისტემის პერიფერიაში გასვლა, და ეს უწინარეს ყოვლის მისი პირველსათვის, ვეფხის ტყაოსნის, „უარყოფის“ ნიშნის ქვეშ. თავისთავად ეს მოვლენა ეპიგონობისადმი უარისთქმას ჰგულისხმობდა მხოლოდ: „შენს წიგნს ვინც სწერს ცუდათ ზისა“...

ძველი სისტემების ასეთი დეფორმაციის ეპოქაში მოღვაწეობდნენ საბა და ბესიკი.

3.

ახლო გავიყნოთ ეს ლიტერატურული ეპოქა. ბესიკის ადგილი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უფრო ნათლად იქნება გამოჩენილი.

მეჩვიდმეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში არ დასრულებულა პოემის, როგორც სისტემის, დაშლის ხაზი.

ვეფხის ტყაოსნის გავლენა გრძელდებოდა მისი ელემენტების ახალ ფორმებში გამოყენებით და ფუნქციის შეცვლით. ჯერ კიდევ ბატონობდა შაირი (მეტრი), რომელსაც თავისთავად მოჰქონდა შინაარსობრივა ატრიბუტები. (რუსთველის აღწერითი და ასტროლოგიური მეტაფორების განმეორებანი თეიმურაზ მეფის ლექსებში).

თეიმურაზის მოვლენა იყო სიგნალი რეფორმებისათვის და არა თვითონ რეფორმა. უკანასკნელისათვის ნიადაგი მზადდებოდა.

რუსთველის „სწავლისათვის მოზაირეთასა“ შესამე ხარისხოვან მნიშვნელობას აკუთვნებს „სუფრის პოეზიას“:

„შესამე-ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერლად, სააშვიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრევლად;

ჩვენ მათიცა გვიამების, რაცაოდენ თქვან ნათელად მოზაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“

ვახტანგ VI ამ სტროფის კომენტარში, რუსთველის აზრის ცხადსაყოფად, სხვათაშორის წერს: „ჩვენ კარგის მეღექსეების სუფრის კარგად შაირობაც გვეამებაო“ (ვეფხის ტყაოსანი, 1712. გვ. სეთ, კომენტ. კდ), ხოლო სხვა სტროფის („მოზაირე არა ჰქვიან...“) აზრის განმარტებაში აღნიშნავს: „მას მოზაირედ არ აგდებს ვინც თვითო ოროლს ლექსს იტყვის და გრძელის გაღექსვა არ შეუძლია: ყოველს მეღექსეს თავი მეღექსის სწორი ნუ ჰგონიაო: ერთი ორი და შორი შორი უმსგავსო განაღამც რომ სთქვას, ეს არ ჩაიგდებაო“ (გვ. წებ... კომენტ. კბ)

შოთას ეს დღეობი კარგად ჰქონდათ შეგნებული მეჩვიდმეტე საუკუნეშიც. თეიმურაზ პირველი მას საწინააღმდეგო პოეტიკას უპირისპირებს:

„გათავდა წიგნი მაჯამა ლექსი აქაიქ თქმულეში, სასწრაფოდ უბეს სადებში, ან საარტყელს ჩასარტულეში, იახტანს თანა სარონი, გვერც თასი, ღვინო კულეში.“

ყოველის წიგნისა უმცროსი, ჩანს მისი უფლისწულები  
 „ლექსი აქა იქ თქმულები“, „უმცროსი წიგნები“ იკავებენ უკიდურ  
 თხზულებების ადგილს. საბას და ბესიკის შემოსვლა უფრო გვიან, რასაკვირ-  
 ველია, მეტი თვალსაჩინო მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა.

## 4.

გურამიშვილისა და ბესიკის პოეზიას წინ უსწრებდა მამუკა ბარათაშვი-  
 ლის „ჰაშნიკი“, ეს ქართული L'art poétique.

თუ თეიმურაზ მეფის მოვლენა წარმოადგენდა სიგნალს, სამაგიეროდ მამუ-  
 კა ბარათაშვილმა კატეგორიულად განაცხადა: „ლექსი ორს სტრიქონსაც  
 ჰქვიან და ამბავს, ერთად ვალექსულს, სულ ლექსის წიგნსაც  
 ყველას ლექსი ჰქვიან“ („ჰაშნიკი“ 1920. გვ. 25) და „ქილილა და და-  
 მანაში“ ჩართული ფრაგმენტები (ხშირად მართლაც ორსტრიქონიანი სტრო-  
 ფები) ვეფხის ტყაოსნის შესადარ მოვლენად გამოაცხადა. სხვაგვარად არ შეიძ-  
 ლება აიხსნას ამ სტროფების ავტორი—მთარგმნელის, საბას, ასეთი ოპოტა-  
 ცია: „სულხან საბა ორბელიანი ქილილა და მანა ვალექსა, თუცა რუსთვე-  
 ლის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ  
 არი, იმაში ბევრი ხმა მოუყვანია“ (გვ. 14.).

საბამ აღადგინა „ჩაბრუხაული“, მეტრი, რომელიც რუსთველის პოეტიკის  
 ბატონობამ დაასამარა მთელი საუკუნეების მანძილზე, მოიხმარა სხვა მეტ-  
 რებიც—„ბევრი ხმა“ („წყობილი“, „რფული“ და სხვ.); ინტონაციის სიახ-  
 ლემ გამოიწვია საბას პოეტური ავტორიტეტი, ამჟამად ვუგებარჩ ჩვენთვის...  
 მცირე უწყება ქართულ მწერალთათვის“ მას უწოდებს „ძველთა მელექსეთა  
 შესადარს“...

აქვე საყურადღებოა შემდეგი გარემოება:

დაქტილური და პეონური მეტრი რუსთველის პოემისა („შაირი“) თავისი  
 ნელი ტემპით (Andante) მხოლოდ ეპოსისათვის იყო გამოსადგევი. „ჩაბრუხაულის“  
 მოკლე ტერფთა გრადაციები და შინაგანი რითმები კი სპობდენ რიტმის ნელ მოძ-  
 რაობას, შემოქონდათ ხოტბის ორატორული ეესტი და ქმნიდენ ახალი თემების  
 დამუშავების შესაძლებლობას. ამიტომაც ხდება ჩაბრუხაულის სრული რე ტავრაცია  
 მე 18 საუკუნის ქართულ პოეზიაში. იწერება „ჩაბრუხაულით“ ოდები, ანტონ  
 კათოლიკოზი აცხადებს: „შოთას შაირთა, თუ სთქვა უკეთესთაცა, შექმელი მე-  
 სტიხე... ყოვლად საქები, რიტორთ მესტიხეთ გვირგვინი“ („წყობილ სიტყვაო-  
 ბა, 1853. გვ. 286.). მასვე იმეორებს „უწყება ქართულ მწერალთათვის“: „...რო-  
 მელსა უწოდდენ მესტიხეთ გვირგვინად.“ (საისტორიო მასალანი, ე. თაყაიშვი-  
 ლის. 1913. გვ. 26).

მეტრების მრავალფეროვნება მუთავრამეტრი საუკუნის ქართულ პოეზიაში  
 ვხას უხსნიდა ლირიკული თემების დამუშავებას. ამ მხრით საუკეთესო ოსტა-  
 ტად გვევლინება მესარიონ გაბაშვილი.

## 5.

დ. გურამიშვილის უშუალო, ყოველგვარ სტილიზაციას აცილებულ, პოე-  
 ტურ მეტყველებას თვალსაჩინო როლი არ უთამაშნია ქართული პოეზიის გან-  
 ვითარებაში. ის ემიგრანტი იყო თავისი ცხოვრებითა და პოეზიით.

ბესიკის პოეზიამ მიმბაძველებს მთელი თაობა აღზარდა. მისმა გამოჩენამ შეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურის ფონზე სპ. რსული უდარდებლობა და სიტყვის იშვიათი კულტურა მოიტანა. შენახულია ცნობა (თუ ლეგენდებია) ლეონტი მთებელით ბესიკი საკუთარი ლექსების მომღერლად გვევლინებოდა. ლეონტი მთებელი და მინწინგერის დაგვიანებული ტიპი საჯათნოვასთან ერთად... მას სპარსული ტასნიფების კილო შემოჰქონდა; ქალის სახის ნაკეთების შესზმას ეპიტეტებისა და სახეების ნიაღვარი მოჰყვა...

მისი ლექსების სიტყვიერმა კულტურამ თანამედროვეთა დიდი ყურადღება მიიპყრო. პოეტის ტალანტი ერთხმად იქნა აღიარებული და ეს შეგნება შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. „უწყება ქართველ მწერალთათვის“ აღნიშნავს: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიტიკოსი, მოშაირე მსგავსი რუსთველისა, რომელმანც მრავალნი საამო შაირნი დასწერა, სპარსთა ხმათა ზედა სამღერელი ქართულისა ენითა და აგრეთვე სხვანიცა ლექსნი. მოუთხობდეს ამისათვის, რომელ ჰსცოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული“ (45).

მოყვანილ ამონაწერში სძბას ლექსიკონი როდია ნაგულისხმევი. წინადადების შინაარსი პოეტის ლექსებზე დაკვირვებას გადმოგვცემს. ბესიკის ლირიკულ ოდებში სიტყვა სიტყვას მისდევს კავშირების გარეშე, სიტყვის ფრაზობრივი მნიშვნელობა შესუსტებულია და ლექსი ეფექტს აღწევს თავისი „ლექსიკონით“. გამოწვეულია ეს იმით, რომ ცალკეული სიტყვა მოქცეულია დამოუკიდებელი ტერფის (Fuss) ფარგლებში და ინტონაციური მიჯნები ემთხვევიან სიტყვათა შორის არსებულ პაუზებს.

მაგ. ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!  
 ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერ საქარებო!  
 წარბ წამწამ თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო!  
 ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ წამარებო!  
 პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარეო!

(„ტანო ტატანო“).

სტროფის თვითეული ტაეპი სამი მუხლისაგან შესდგება, ყოველი მეორე ტერფი—ცალკე სიტყვისაგან (გულწამტანო—მომკლავებო—მისათვალნო—დამდაგეო—მომიგონე). ამ გზით მიღწეულია თვითეული სიტყვის თანაბარი რელიეფობა, რომელსაც კიდევ უფრო აძლიერებს ტაეპის დასაწყისში მდგომი სიტყვის ბგერითი შედგენილობის მრავალკეცი განმეორება მიმდევრო ერთეულბში: \*)

მაგ. ტანო ტატანო, გულწამტანო . . . . („ტანო ტატანო)  
 ზილფო კავებო, მომკლავებო . . . . „  
 თვალთა ნარგისი, დამდაგისი . . . . „

\*) ბესიკის ეს თვისებურობა უნებლიეთ გვაგონებს რუსი პოეტი ვეღემირ ხლუბნიკოვის ლექსების ტექნიკის ზეგბებს. შორეული მსგავსება აქ უთუოდ არის. ა. გ.



ზილფო ნაშალო, შემაშალო . . . . .	(„მე შენი მგონე“)
ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი . . . . .	(„ცრემლთა ესარნი“)
დაგვებრნა ქარშან, დაუწყნარმან . . . . .	„ქვეყნისა“
დაბინდდა თვალნი, შეუმკოთაღნი . . . . .	„მისხარისა“
ვარდო სახურო, მაისურო . . . . .	(„ვარდო სასურო“)
ვარ მისთვის ზელი, მომნახველი . . . . .	„
ვიხილე სახე, ვივახვახე . . . . .	„
თმა სათ ვიშერი, შშეენიერი . . . . .	„
ორნი ობოლნი, ნახად მწოლნი . . . . .	„

და ასე მთელი ლექსის გასწვრივ.

ამ თავისებურობის სათავე უნდა ვეძიოთ ჩაბრუნების რესტავრაციაში ბესიკის დროს. „თამარიანი“-ს ოდების სტილი (შინაგანი რითმების შორით) უნდა ჩაითვალოს ზემოდ ნაჩვენები ტაქტოლოგიის საწყისად.

6.

ეს თავისებურობა ქმნიდა ბესიკის პოეზიის „სიუცხრვეს“ (მე-18 საუკ. ლიტერატურული ტერმინია). პოემაში ტაქს უნდა ვაღმოვცა შინაარსი კონტექსტის მიხედვით. ამიტომაც ახლდა სალექსო ფრაზას მეტნაწილად მსახური სიტყვები (აქსესუარები), რომელნიც მუხლებსა და ტერფებს შორის არსებული ცესურების(პაუზების, ხანდაზმულობის) ზეგავლენით ტაქსის ბუნებრივი ფარგლების გარედ ექცეოდნენ. იქმნებოდა „ფრაზობრივი მნიშვნელობა“, სიტყვა ჰყარვავდა დამოუკიდებელ ღირებულებას, მსახური სიტყვები გამოდიოდნენ მათ ტოლბად. „ვეფხის ტყაოსანში“ განსაკუთრებული ფუნქციითა აღჭურვილი უარყოფის („არ“) და კავშირის ფორმები, რომელნიც მეტრის ზეგავლენით მოძრაობენ ტაქსში. ეს შეეხება ცალკე სიტყვებსაც:

მაგ. „გაცრცილსა ტანსა ემოსნეს || ყარყუმნი უსაპირონი“,  
 ან „მას მონისა არა ესმა || სიტყვა, არცა ნაუბარი“

როგორც ვხედავთ, მთავარი ცესურა აქ სინტაქსურ ერთეულებს („ემოსნეს ყარყუმნი“ — „ესმა სიტყვა“) შვავზე ჰყოფს. პოემაში აუცილებელია ასეთი ვადასელები. ბესიკის ლექსებს კი ახასიათებს სრულიად საწინააღმდეგო პრინციპი: სიტყვა ტაქსის ფარგლებში ისევე დამოუკიდებლად მოძრაობს, როგორაც ტაქსი სტროფის ჩარჩოში. ინტონაციური აქცენტი კი უკანასკნელი ტაქსის უკანასკნელ სიტყვაზე ძვეს (ლექსში „ტანო ტატანო“-ს კურსივი მოუღის შემდეგ სიტყვებს: მზისა დარებო — დამამწერებო — უცხოდ მარებო). ლექსში მსახური სიტყვები, კერძოდ კავშირი „და“, არც ერთხელ არ გვხვდება. ბესიკის ამ ციკლის ლექსებისათვის ეს ხდრბი დამახასიათებელია.

7.

პ. უმიკაშვილი წერდა გურამიშვილზე: „გურამიშვილი, რასაკვირველია, ატყობდა, რომ ქართულს ლექსს ერთი ნაკლულევანება აქვს, მარტვეალთა რიცხვი თვითვეულს ლექსში თავიდან ბოლომდის ერთგვარია, თუნდაც რომ ცუხურა სხვადასხვა იყოს. ამ ნაკლულევანების შემცნევა ნიკოლოზ ბარათაშვილსაც

ეტყობა, რომელიც ამის მოსასპობლად სხვადასხვა ხანებს სხვადასხვა მარცხიანის მარცხლით ახამებს (მაგალითად, შერანი), მაგრამ ასეთი ლექსი მარცხ/ცოტა აქვს. გურამიშვილს უფრო წარმატებაში შეჰყავს ლექსთ თხზვა; ექვთიმის თვითონ ხანაში სხვადასხვა რიცხვის მარცვლოვანი სტრიქონები აქვს: „ქვედაფეთქი“ 1894 გვ. XXIII—XXIV).

ლექსის კომპოზიციურ სიახლეში ასეთივე დამსახურება ბესიკსაც მიუძღვის. ლექსები: „დედოფალს ანაზე“, „სტვენს ბულბული“, „პირველ სიმდაბლეს აღე-კარ“, „ოდებისა და პოემების უმრავლესობა ყურადღებას იქცევენ სტროფული აღნაგობის მხრითაც. ბესიკის ზოგიერთ ლექსს ახასიათებს სტროფული გარდა-მავლობის პრინციპი, შემდეგ რომანტიკოსების მიერ განვითარებულ ჩვენში.

ბესიკის პოემები ალაგ-ალაგ ცხადყოფენ „ტანო ტატანო“-ს ავტორს; ლირი-კული თემა აქაც სჭარბობს. „რუხის ბრძოლა“-ში კი ბესიკი აღადგენს ჩახრუ-ხისძის ორატორულ ეესტს:

„ათინელთ ენა, ქველ შესაძენა“—და შ.

ჩახრუხაისძე:

„შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო“).

ასეთი მეტრით აგებულ სტროფს იქვე ენაცვლება 16 მარცვლოვანი „შაირი“

„ოდეს ვისცა ეშმა ბრძოდეს, მუნ იცნობის კაცი კაცად“—და სხვა.

მიმდევრო სტროფს „კვლავ მისდევს ათმარცვლოვანი, შინაგანი რითმებით აგებული ტაბები:

„მოკრბა დასდასად, მწყობრ ბევრ ათასად“—და ა. შ.

ამგვარი „შეხამება“ თავისთავად იძლევა პოემის ახალ ტიპს, რომელიც ეპოსისა და ხოტბის შვა ძეგს. ასეთი ფორმების შემდგომი დაკანონება მოხდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

8.

ბესიკის ლექსებში მეტაფორებმა და სახეებმაც მიიღეს ეპიური პოეზიისათვის უჩვეულო ელფერი. რიტმიული წყობის სიახლემ გამოიწვია სემანტიური რიგების სიახლე. შედარებებს ჩამოცილდათ ზოგადი მნიშვნელობა, იქცნენ საგ-ნობრივ, კონკრეტულ ცნებებად. შეფის დარბაზის გადმოცემა ცისა და მნათობთა სიმბოლიკით (რუსთველი: „სახლსამყოფი არა ჰყოფნით, ცამცა გაიდარბაზესა“) შეიცვალა ბალის რომანტიკით. ბესიკი რუსთველიდან მარტოოდენ „მელნის ტბის“ პოეტიკას იღებს, მაგრამ არც ისე მოჭარბებულად, როგორც მისი წი-ნაპარნი პოეზიის სფეროში (მაგ. თეიმურაზ პირველი). ბესიკის შედარებებში უარყოფილია მეტაფორების აგების ნაცნობი მანერა:

„შეიღნი ციურნი მოციმციმედ არ შეგაღარე“

უცხადებს ბესიკი თავის მიჯნურს და ძველი შედარებების ასეთი უარყოფა იმთავითვე ბადებს მეტაფორის ახალ ტიპს. იშვიათ შემთხვევაში პოეტი მი-მართავს ნამყო ფორმებს:

„ეტლმშვენიერად მოართლო გამსგავსე მთვარეს“

(„მე შენი მგონე“)

განახევრებულა—მზე, მთვარე,—მნათობები. თვითონ ავტორი იქცა მეტა-ფორიის საგნად:

„შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს“  
მიმართავს ბესიკი (ალბად) ანა დედოფალს.

ეს „მილეული მთვარე“ აუცილებელი იყო მეთვრამეტე საუკუნის ქართული პოეზიისათვის.

საქართველო  
მეცნიერებათა  
აკადემია

## 9.

ბესიკის თხზულებათა გამოცემა დროული და მიზანშეწონილი ფაქტია. ამ გამოცემას უნდა მოჰყვეს დანარჩენი კლასიკოსების ხელახალი დასტამბვა. ასეთებია—ორიგინალურიდან:—„თამარიანი“ და „დავითის ქება“, თეიმურაზ პირველის ლექსები და პოემები, საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“ და მრავალი სხვა. ნათარგმნიდან—ვისრამიანი, ქილილა და დამანა, ამირან დარეჯანიანი. საჭიროა ხელახალი გამოცემა და თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ძეგლებისა. „ფედერაცია“-მ ჩვენში უნდა დაისახოს დაახლოვებით იგივე ამოცანები, რასაც რუსეთში ისახავს გამბა „Academia“.

აქაყოფილებს თუ არა ბესიკის ახალი გამოცემა კვალიფიციური მკითხველის მოთხოვნილებებს?

უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია შემდეგი: ტექსტი დადგენილია კარგად. რედაქტორებს (ალ. ბარამიძე და ვ. თოფურია) სერიოზული შრომაგაუწვევიათ ამ მხრით. საყურადღებოა განყოფილებები—„შენიშვნები და ვარიანტები“ და „ტექსტისათვის“. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი იქცევს ყურადღებას და მოწოდებს მისაღების გულდასმით შესწავლას. გამოცემას დართული აქვს ვ. თოფურის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ტექნიკურად წიგნი გამოცემულია კარგად, მხოლოდ ადგილის დაზოგვას თავისი დალი დაუსვამს ტექსტის შინაგან წესრიგზე. ხშირად რამდენიმე ტაეპი გადატანილია ფურცლის მეორე გვერდზე, რაიც საგრძნობლად ვნებს ლექსის შთლიან ათვისებას. ეს კი თავიდან უნდა აეცილებინათ შენიშვნების წერილი შრიფტით დაბეჭდვის გზით.

ეს საერთო შთაბეჭდილების შესახებ.

ბესიკის გამოცემა იხსნება ერთერთი რედაქტორის, ალ. ბარამიძის, შესავალი წერილით. ავტორის მიზანი უოფილა—პოეტის ცხოვრების აღწერასთან ერთად მოეცა მისი შემოქმედების ყოველმხრივი და სრული შეფასება. თუ პირველი ნაწილობრივ მიანიც არის მიღწეული, სამაგიეროდ ავტორის მსჯელობა, ბესიკის პოეზიის თემებისა და ხერხების ირგვლივ, მოკლებულია ყოველგვარ სერიოზულობას. აუტანელია ავტორის სტილი და ზოგადი, მეტწილად არაფრის მოქმელი წინადადებები.

რას ეუბნება მკითხველს მაგ. ასეთი გამოთქმა:

„გაიძახის ბესიკი (საუბარი ეხება ბესიკის ლექსიდან მოყვანილ ადგილს ა. გ.) და სანდომიანი ქრუანტელივით ეს განცდა ბგერულ ნაკვეთებად აგორდება მოხდენილ ტაეპში“ (გვ. 055).

ან—„აქა მალალი პოეტური სიტყვის სინოცივრე და მხატვრული მზერის მსუყე ყაშირი“ (გვ. 057).

ასეთი ერთ წერს ავტორი თავის „ბიოგრაფიულ-კრიტიკულ კრებულს“. ამ სტილის პატრონს არ აქვს უფლება განაცხადოს ბესიკზე, თითქოს ამ უკანასკნელის „აქა იქ მძიმე პედანტური“ სტილისტიკურ ელემენტებს სრულიად გაუგებარ მწიგნობრულ „ქონგლიორობა“ შესახებ ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ აქ მოტანილი ამონაწერის „პედანტური სტილისტიკური ხერხი“ კი, მთელი „ეტრუდის“ ვასწვრივ, პირდაპირ აღუგმურებს „ბესიკი“-ს კითხვას. მართლაც „მწიგნობრული ქონგლიორობა“ მასში ისე ხშირია, რომ წერილის ავტორი თვითონვე ვარდება იმ უკიდურესობაში. რასაც გამოჩენილ ჟართველ პოეტს უსაყვედურებს—მთელი ადგილები იწვევენ გაუგებრობას.

მაგ, „ფეოდალური ეპოქის არც ერთ ქართველ პოეტში ეს გრძნობა (სიყვარულის ა. გ.) ისე ბრჭყვიალა მხატვრულ ნაქრებად არ დაღეჭილა, როგორც ბესიკის შემოქმედებაში“ (050). გაუგებარია რას გულისხმობს ამ სიტყვების ავტორი „ბრჭყვიალა, მხატვრულ ნაქრებაში“ ან როგორ შეიძლება ამ „ნაქრების დაღეჭა“.

ან—„რიტმიული ტეხილი საერთოდ დამახასიათებელი სტილისტიკურ-კომპოზიციური ხერხია იმ პოეტურ ენარის, რომელსაც ამ შემთხვევაში ბესიკი იყენებს“ (051). ხამდვილად კი არაერთაო „რიტმიულ ტეხილს“ ბესიკის პოეზია აუ იცნობს. ავტორს წარმოდგენა არა აქვს პოეტიკის ტერმინებზე. „ტეხილი რიტმი“ (არ ვარგა გამოთქმაც!) ნიშნავს ტაეპთა სინტაქსურ განსხვავებებზე დამყარებულ ინონაციას (გადატანა და სხ.); რომანტიკოსებამდე ამ ხეზისათვის ზენში არც ერთ პოეტს არ მიუშართავს. ევროპულ პოეზიაში (ანტიურს რომ თავი დაეანებოთ) ის ადრევე იყო ნაცნობი (დანტე, განსაკუთრებით — პეტრარკა).

მაგრამ მართო სტილის საკითხში არ მოიკოჭლებს წერილის ავტორი. მისი განცხადებით „თანამედროვე მკვლევარ-კრიტიკოსს უპირველეს ყოვლისა საკვლევი ობიექტის იდეური შინაარსის გამომკვლავება მოეთხოვება“ და რომ მის მიზანს შეადგენს „პოეტის იდეურ-მხატვრული ხედვის შესაბამისოციალურ-კლასიური ნიშნის მოძებნა“ (გვ. 1, 2) ამ ნიშნის მოსაძებნად წერილის დასაწყისში ზოცემულია ვრცელი ექსკურსი საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრებისა მე-18 საუკუნეში.

ამრიგად ავტორი დასაწყისშივე ამხადებს ნიადაგს ბესიკის პოეზიის მარქსისტული ანალიზისათვის. ვნახოთ რამდენად აღწევს ის ამ მიზანს. ჯერ ნარკვევის ისტორიულ-სოციოლოგიური მხარის შესახებ.

ალ. ბარამიძეს სურს ერთგვარი კორექტივის შეტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი წარმოდგენით მეთვრამეტე საუკუნის საქართველო სოციალ-პოლიტიკურად საგვებით მომწიფებული იყო რუსული მონარქიზმის თავის ნიადაგზე გადმოტანისათვის და რომ რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკას რაიმე დაბრკოლებები არ გადაპლობებია წინ. მართალია „რუსთ ხელმწიფების“ არჩევანი თვითონ მეფე ერეკლეს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის ორიენტაცია როდი გამოხატავდა მთელი ქართული ფეოდალური არისტოკრატის



პოლიტიკურ მისწრაფებათ. მას არ იზიარებდა მმართველი წრეების არცერთი ფენა და მიუხედავად იმისა, რომ 1783 წლის ტრაქტატი საქართველოს მეფის სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას ითვალისწინებდა, ერეკლეს არსებულმა ორიენტაციამ მაინც გამოიწვია სასახლის ძლიერი ფეოდალურ წინააღმდეგობა, რომელმაც თავისი კონკრეტული გამოხატულება მეფის კანცლერის, სოლომონ ლეონიძის ოპოზიციაში ჰპოვა. ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ასეთმა წინააღმდეგობამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ამიტომაც არაერთარი საფუძველი არ გააჩნია ალ. ბარაზიძის შემდეგს განცხადებას: „ირაკლის სიკვდილის შემდეგ ძველი საზოგადოებრივი ყოფის დამპალი სხეული ისე მძლავრად შეირბა, რომ საბოლოოდ მოსწამლა სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის ატმოსფერო. ამით აიხსნება რომ პავლე პირველის ხელისუფლება სრულიად უმტკივნელოდ აუგებს ანდემს საქართველოს სხეულის გახრწნილ ლეშს“. (05). ნუ თუ ამ სტრიქონების ავტორი სერიოზულად ფიქრობს, რომ დარეჯან დედოფლის მიერ ოაზარევის მოკვლა და სასახლის წევრების რუსეთში გადასახლება „უმტკივნელო“ ამბები იყო მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური „სხეულისათვის“? ტყვიად ჰგონია ბარაზიძეს, თითქოს „პეტერბურგში მრკვეული ქართველი მოწინავე დონეიხოტები ნელი სიცილით იქარვებდენ დაკარგული ბატონობით გამოწვეულ გულის სიმწარეს (გვ. 05) და მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ აქტივობას. ბარაზიძეს ავიწყდება, რომ სწორედ პეტერბურგსა და მოსკოვში მყოფი ბატონიშვილები—დიმიტრი და ოქროპირი—იყვნენ სულის ჩამდგმელნი 1832 წლის შეთქმულობისა. ეს უკანასკნელი კი გვიანი გამოძახილი იყო საქართველოში არსებული მართებლობის დამყარებით გამოწვეული უკმაყოფილებებისა. ამ შეთქმულებამ ხომ დაბალი ფეოდალებისა და აზნაურთა ფენებიც ჩართია, რომელთაც აქამდე ვერ მოენღებინათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა?

ამრიგად სრული გაუგებრობის ნაყოფია ზღაპარი იმის შესახებ, თითქოს არსული აბსოლუტიზმის დამყარებისათვის საქართველოში ნიადავი იმ თავითვე იყო მოსუფთაებელი. მარქსისტული პუბლიცისტაქის საუკეთესო წარმომადგენელთა (ფ. შახარაძის და სხ.) ნაწელების გაცნობა ავტორს არ შეიყვანდა ამ შეცდომაში.

ცხადია: ასეთია „ექსკურსის“ შემდეგ პოეტის შემოქმედება ვერ იქნებოდა შესაფერისად გარჩეული და გაანალიზებული. წინასწარი მიმოხილვანი განზრჩებიან, ხოლო ავტორის იმპრესიონისტული მსჯელობა არაფერს არკვევს. „ბაზისისა“ და „შემოქმედების“ მექანიკური დაკავშირება, მარქსიზმის გაუგებრებაა. წერილიდან არა სჩანს რა საერთო აქვთ ამ მომენტებს ურთერთთან. აზრის დასადასტურებლად მოვიყვანთ შემდეგ ამონაწერს:

„სასეგბით უზრუნველყოფილი მატერიალურ-სოციალური პირობები ნებიერი და უდარდელი ცხოვრების სუშუალეზას აძლევდა პოეტს, ხოლო „ბრწყინვალე“ საზოგადოების ზნეობრივ-მორალური ყოფა და იდეური ცნობიერების

დონე ხორციელი ნაყოფიანი სილალისა და თავდავიწყების შესაძლებლობათა მდიდარ პოტენციას იტყვდა.

„ამ პირობებშია მოცემული ბესიკის მხატვრული შემოქმედებას ედიურო დიპაზონი. არისტოკრატიული უღარდებლობისა და ნაყოფიან-ქორეტიკული (მედონური) სიყვარულის აპოლოგეტიკა ბესიკის პოეზიის ძირეულ შინაარსეული ხაზია. „ვარდბელბულიანურ“ სიმბოლიკას ენებატეხილი კაცის მომენტალური მელანქოლია ნისლავს ხოლმე დროგამოშვებით, თორემ სიხალისე და სიამეს რეგულია სიყვარულისა და სიმშვენიერის შეხობტე“. (042).

საკითხის ამგვარი, თითქოს და-მარქსისტული, დაყენების შემდეგ პოეტის „იდიური ცნობიერების“ (!) გასაგებად და მის საფუძვლად დასახელებულია მხოლოდ ეროტიული მიდრეკილებები, რომელნიც მართლაც გვხვდებიან ბესიკის პოეზიაში, მაგრამ არც ისე გაზვიადებული სახით, როგორც წერილის ავტორს წარმოუდგენია. დაბოლოს: „იდიური ცნობიერების“ საკითხი ერთია, ხოლო მწერლის ეროტიული ემოციები კი მეორე. ზოგიერთი ლექსის მოტივი სრულიად უმართებულოდ არის მიჩნეული ავტორის „იდიურ ცნობიერებად“ ამის აღსანიშნავად არ იყო საჭირო მე-18 საუკუნის „მხატვრიულ სოციალური პირობების“ ისეთი ვრცელი მიმოხილვა, როგორც წერილს შესავალში ვხვდებო. სოციალოგიური, უკეთ მარქსისტული, თვალსაზრისი მოითხოვდა, რათა მკვლევარს ეჩვენებინა ამ პირობებზე აღმოცენებული იდეოლოგიური სისტემა და ამ სისტემის თავისებური ანარეკლი მწერლის შემოქმედებაში. ნაცვლად ამისა ავტორი, როცა საუბარი ბესიკის „იდიურ“ მხარეს-ეხება, სოციალურ მომენტებთან დაკავშირებით მხოლოდ ეროტიულ და „სატრფილო“ მოტივებს იხილავს. ალ. ბარამიძე წერს: „ბესიკი უაღრესად „საერო“ პოეტიკა, მოწინავე ფეოდალური არისტოკრატიის დულაბით შექმნილი (!) მისი მხატვრული მხერაც ამ საზოგადოებრივი კლასის „ესთეტიკური“ გემოვნების რკალით იფარგლებო“. (055).

მაგრამ როგორია თვით ამ „მოწინავე არისტოკრატიის დულაბი“ ბარამიძის წარმოდგენით? მის დასახასიათებლად არა ერთხელ არის ნახმარი ასეთი გამოთქმები: „ინტრიგანული ჭაობი“, „აშორებული საზოგადოებრივი ატმოსფერა“, „სპეციფიკური შმორი“ და სხვა. ბარამიძის ეტიულის მიხედვით ბესიკიც ქართული არისტოკრატიის დეგენერატიული ფენის წარმომადგენელია, რადგან ასეთს სწორედ მოწინავე არისტოკრატია შეადგენდა და რომლის „შესამკობად“ ბარამიძე მახვილ ეპიტეტებს არ ერიდება. „უმალღესი არისტოკრატიული საზოგადოება შეადგენდა მის (ბესიკის) იდეალს. ცდილობდა ამ საზოგადოების მსუბუქი მანერის შეთვისებას, იქონიებოდა ამ საზოგადოების იდიური „ბაგაჟით“ (018) გამოდის, რომ „შმორიანი“ არისტოკრატიის „დულაბით შექმნილია“ ბესიკის შემოქმედებაც, ბარამიძე თანამიმდევრია თავის მტკიცებაში და ამიტომაც საკმაოდ ბევრი მჭერმეტყველება დახარჯული ბესიკის ეროტიული, სექსუალური და სხვა ასეთი „იდიური ცნობიერების“ „მარქსისტული“ ანალიზისათვის.

თუ მართლაც ასეა, მაშინ გაუგებარია—რატომ გასწია ბარამიძემ ამდენი ჯაფა ბესიკის საეჭვო, შმორით „შექმნილი“ პიროვნებისა და შემოქმედების კვლევისათვის?

## 1832 წლის შეთქმულების მასალების დამუშავების და შესწავლის შესახებ\*

ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით საქართველოს ისტორია გამდიდრდა ახლად აღმოჩენილ უძვირფასესი მასალებით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის შესახებ. ისტორიის მკვლევართ პირველად მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიეცათ სრული შესაძლებლობა მეფის არქივებში მთელი საუკუნოების განმავლობაში დაგროვილ ისტორიული მასალების შესწავლისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მასალების შესწავლით ბევრი ისეთი რამ აღმოჩნდება ჩვენ წარსულში, რაზედაც ჩვენ აქამდის ან სრულებით არაფერი ვიცოდით ან, თუ ვიცოდით, სულ მცირე რამ. ეს გარემოება კი ისტორიის მკვლევართ ბევრ რასმეს ავალებს.

უპირველეს ყოვლისა, რომ ეს მასალები იქნან სათანადოდ შესწავლილი და გამოყენებული, ამისათვის საჭიროა დიდი მომზადება. საჭიროა მკვლევარს კონდეს ნამდვილი მასალები იმათ შესასწავლად, იმათ ასახუნელად. ე. ი. ჩვენ ვიმბობთ, რომ ისტორიის თანამედროვე მკვლევარები, ისე, როგორც სხვა ყველა მეცნიერულ დარგთა მკვლევარნი, უნდა იყვნენ შეიარაღებულნი მარქსიზმის და ლენინიზმის მოძღვრებით, იმათ უნდა კონდეთ შეთვისებული მარქსენგელს-ლენინის დიალექტიკური მატერიალიზმი. კერძოდ ისტორიის მარქსისტულ მკვლევარებმა უნდა იცოდნენ, თუ რა მნიშვნელობა ქონდა და აქვს კლასთა ბრძოლის თეორიას ისტორიულ ფაქტების მარქსისტულად შესწავლის და გაშუქების საქმეში. მაგრამ რაც ყველაზე უფრო საყურადღებო და მთავარია-ესაა მატერიალისტური ე. ი. მარქსისტული დიალექტიკის მეთოდის ცოდნა და მისი გამოყენება. ესაა სრულიად ახალი მიდგომა ისტორიულ მასალების შესწავლისა და დამუშავების საქმეში.

ცნობილია, რომ საქართველოს ცენტრალურ არქივში დღეს დიდძალი ისტორიული მასალებია დაცული და დაგროვილი; მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მასალების დამუშავება და შესწავლა ჯერ ვერ დგას სათანადო დონეზე. გაძლიერებული სოციალისტური მშენებლობის დროს ეს საქმე როგორღაც მოვიწყობული დარჩა. ყოველ შემთხვევაში მას დღემდის არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ეს არაა სწორი მიდგომა. წარსული ისტორიის შესწავლას, მის სწორ გაშუქებას, თავის თავად იგულისხმება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქა-

\* წინასიტყვაობა ანბ. ვიბალიშვილის წიგნისა 1832 წლის შეთქმულების შესახებ.

დრების მომზადებისათვის, და, მაშასადამე, სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისათვისაც, ჩვენ ვამბობთ ნამდვილ ისტორიაზე, და არა გვყალბებულ ისტორიაზე, რომელიც აქამდის იწერებოდა.

ერტონი

ამ უკანასკნელ დროს ჩვენ გვაქვს ამ მხრით ზოგიერთი სიტყვა-მოთხრობა ამგვარ ცდის წარმოადგენს ამ, გოზალი შვილის ნაშრომი 1832 წლის შეთქმულების შესახებ. მთავარი მასალები ამ შეთქმულების შესახებ დაცული იყო ლენინგრადის არქივში. ამჟამად კი მთელი ეს საინტერესო მასალები გადმოგზავნილია საქართველოს ცენტრარქივში. ამ, გოზალი შვილს შეუსწავლია ეს მასალები, რომლებიც რამდენიმე დიდტიანი ტომებს შეიცავენ. ჯერ ეს მასალები გამოცემული არაა, და რომც გამოცემული იყოს, მასიური მკითხველებისთვის ისინი მიუწვდომელი იქნებოდა. ამ, გოზალი შვილს თავის ნაშრომში ამოუკრეფია ყოველივე ის, რაც მისი აზრით, უმთავრესი და ღირსმნიშვნელოვანი უნდა იყოს ზევით დასახელებულ მასალებში. ამიტომ, ჩემი აზრით, მისი ნაშრომი ერთნაირ ინტერესს წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვისაც 1832 წლის შეთქმულების ამბავი ინტერესებს და ვინც მოკლებულია საშუალებას თვით არქივის მასალებს გაეცნოს. ამ, გოზალი შვილი ამ ნაშრომში გვიხატავს დაახლოებით ამ შეთქმულების ისეთ სურათს, რომელსაც თვით მასალები იძლევიან. ავტორი იმავე დროს ზხასიათებს შეთქმულების უმთავრეს მონაწილეებს ცალკალკე და აგრეთვე არკვევს თითოეული იმათგანის მონაწილეობის ხარისხს ე. ი. იმ როლს, რომელსაც თითოეული მონაწილე თამაშობდა ამ საქმეში.

შეთქმულების დასახსიათებლად ჩვენ გვაქვს ერთადერთი მასალა—ესაა შეთქმულთა ჩვენება მთავრობის კომისიის წინაშე. ამ, გოზალი შვილი დაწერილებითი ანალიზს უკეთებს ამ დაკითხვის და ჩვენების მასალებს და ამის მიხედვით არკვევს შემდეგ კითხვებს: 1) შეთქმულებისათვის მზადება, მისი ჩამოყალიბება და ორგანიზაცია; 2) შეთქმულთა ორგანიზაციის შემადგენლობა: წარჩინებულ ქართველთა და უცხოელთა მონაწილეობა; 3) შეთქმულთა ურთიერთობა გარეშე ძალებთან; და 4) რა საშუალებებით და რა სახით ფიქრობდნენ შეთქმულნი განზრახულის სისრულეში მოყვანას. ყველა ამ კითხვებზე ავტორი იძლევა დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას თვით შეთქმულთა ჩვენების საფუძველზე. ეს დადებითი მხარეა ამ, გოზალი შვილის ნაშრომისა. იგი კეთილსინდისიერად მისდევს კვალდაკვალ თითოეული შეთქმულის ნალაპარაკებს და გამოყავს აქედან სათანადო დასკვნა. იგი ხელალებით როდი უჯერის თითოეულის ნალაპარაკებს: ერთის ნათქვამს ან ჩვენებას, იგი უფარდებს მეორეს ნალაპარაკებს ან ჩვენებას, ე. ი. აკეთებს თითოეულს შეთქმულთაგანის ნათქვამის კრიტიკულ შემოწმებას. ყველა ამაში ჩანს ავტორის სწორი მიდგომა. ამ, გოზალი შვილი დაინტერესებულია მხოლოდ იმაში, რომ როგორმე აღადგინოს მკითხველის წინაშე შეთქმულების ნამდვილი სახე. მეორე მხრით ავტორის ამ ნაშრომის ნაკლულოვანება იმაში მდგომარეობს, რომ მას არ დაუყენებია თავისი თავის წინაშე საკითხი: თუ რა სწადდათ შეთქმულთ არსებითად ან თუ რა უნდა მოყოლოდა შედეგად ამ შეთქმულებას იმ შემთხვევაში, თუ რომ ის წარმატებით დამთავრდებოდა. შემდეგ ავტორი

სრულებით არ ეხება მაშინდელ საქართველოს პირობებს, გლეხების მთავარეზობას, იმათ აჯანყებებს როგორც რუსეთის მთავრობის, ისე ქართველ თავადაზნაურობის წინააღმდეგ, და არ უფარდება მაშინდელ სინამდვილეს. წინააღმდეგულ შემთხვეულთა ოცნებას ძველი დროის დაბრუნების შესახებ. ავტორის სასაქარო იყო მოგონებთა გლეხების გაქვირება, იმათი უზომო ტანჯვა და შემდეგ ამითი გააფთრებული ბრძოლა ყველა მხავერდების წინააღმდეგ. ყოველივე ეს დაეპირდაპირებია ქართველ ბატონიშვილების და ქართველ თავადების ფარულ მუშაობისათვის, რომლის მიზანი იყო საქართველოში მეფობის აღდგენა, რასაც უთუოდ უნდა მოყოლოდა ქართველ თავადაზნაურობის გაძლიერება. რაც შეეხება ქართველ გლეხობის მდგომარეობას, მის მწარე ხედვას, ამაზე ფარული საზოგადოების წევრები რა თქმა უნდა, ოდნავაც არ ფიქრობდნენ ამა. გოზალიშვილი ამ კითხვებს არ ეხება. იგი იძლევა ნედლ დაუმუშავებელ მასალას. დასკვნები აქედან თვით მკითხველმა უნდა გამოიტანოს. შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ მარტო იმით, რაც ამა. გოზალიშვილმა მოგვცა თავის შრომაში, ხსენებული მასალები არ ამოიწურება, მაგრამ ისიც, რაც ავტორმა მოგვცა თავის შრომაში, ბევრნაირად საყურადღებოა.

რა თქმა უნდა, რომ ქართველი ბატონიშვილები და ქართველი თავადაზნაურობა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში ოცნებობდნენ რუსების განდევნაზე და საქართველოში მეფობის აღდგენაზე, ეს საერთოდ ცნობილი ამბავია. ცნობილი იყო აგრეთვე ისიც, რომ სწორედ ამ მიზნით დაარსებულ იქნა „საიდუმლო საზოგადოება“, რომელიც გაკემულ იქნა ამ საზოგადოებისათვის ერთი წევრის მიერ, რის გამო შეთქმულება ჩაიშალა. ვიცოდით აგრეთვე დაახლოებით შეთქმულთა განზრახულის შესრულების გეგმა. მაგრამ მხოლოდ ამა. გოზალიშვილის შრომა გვაცნობს ჩვენ მთლიანად ამ გეგმას თანახმად შეთქმულთა ჩვენებისა მთავრობის კომისიაში. შემდეგ ამა. გოზალიშვილის შრომიდან ვტყობილობთ ჩვენ იმას, თუ როგორ უნდა მომხდარიყო შეთქმულების სისრულეში მოყვანისათვის აჯანყება მთელ საქართველოში რუსების წინააღმდეგ და საქართველოში მეფობის აღდგენის სასარგებლოდ. არის ნიშნები, რომ შეთქმულთ რაღაც კავშირი ჰქონდათ უცხოელ სახელმწიფოებთან, მაგრამ ეს საკითხი, როგორც ჩვენი ავტორი ამბობს, ჯერ კიდევ შესწავლას საჭიროებს.

იბადება კითხვა: რომ არ მომხდარიყო შიგნიდან. გაცემა, მიაღწევდნენ თუ არა შეთქმულები თავის მიზანს ე. ი. შესაძლებელი იყო თუ არა 1832 წლის შეთქმულების განხორციელება? ყველაფერი ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ეს შეთქმულება ვერ მიაღწევდა თავის მიზანს, თუნდაც რომ ის არ გაცემათ. ჯერ ერთი ის გარემოება, რომ 1832 წლის შეთქმულება მზადდებოდა რამოდენიმე წლის განმავლობაში. სად გაგონილა, რომ შეთქმულებისათვის საჭირო ყოფილიყო ასეთი ხანგრძლივი მზადება. რამდენიმეჯერ იყო დანიშნული ვადა შეთქმულების სისრულეში მოსაყვანად, და როცა ეს მომენტი ახლოვდებოდა, ახალ ვადას ნიშნავდნენ. ეს სისტემატიური ყოყმანი უარყოფით გავლენას ახდენდა შეთქმულებაზე და შეთქმულებზე. გარდა ამისა, მართალია, შეთქმულები ბევრს ლაპარაკობდნენ თავგანწირვაზე „სამშობლოს სიყვარულისთვის“, სიმა-

მატყე, გამბედაობაზე და სხვა ასეთებზე. მაგრამ, როგორც გამოირჩევა საქმის გამოძიების დროს, ეს მხოლოდ სიტყვები იყო, სინამდვილეში კი თითქმის ყველა შეთქმულები თავის სიცოცხლეს ყველაზე უფრო მალა აყენებდნენ. თავისი სიცოცხლის დახსნის გულისთვის ისინი არაფრის წინაშე არსებობდნენ. ბედნიერად ყველაფერს, სულერთია იცოდნენ, თუ არ იცოდნენ და იმავე დროს მთელ თავის დანაშაულს სხვებს ახვევდნენ თავზე, ოღონდ კი თავისი თავი გადაერჩინათ. აშკარაა, ასეთი ხალხი ვერ გაიმეტებდა თავს „სამშობლოს სიყვარულისათვის“. უამისოდ კი შეთქმულების სისრულეში მოყვანა წარმოუდგენელი იყო.

მაგრამ ყველაზე უმთავრესი აქ იყო შეთქმულების შემწეობით პოლტიტიკური გადატრიალების მოხდენა, და ისიც უმასოდ და მასაზე დაუყრდნობლად. ამიტომ ჩვენ გადაკრით ვამბობთ, რომ ეს შეთქმულება წინდაწინ განწირული იყო, ფალავანდიშვილსაც რომ არ გაეცა, სულ ერთია ის მაინც კიდევ უფრო სკანდალურად დამთავრდებოდა. ეს შეთქმულება და მისი მოთავენი სრულებით არ გავდნენ გლეხების აჯანყებებს, რომლებსაც იმ ხანებში ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. გლეხები იბრძოდნენ სასტიკად თავგანწირვამდე. სად იმათი გადაკრილი, მამაცური და გაბედული ნაბიჯები და სად წარჩინებულ თავადების მოქმედება და საქციელი შეთქმულების მზადების დროს, და ამ შეთქმულების ჩაშლის შემდეგ კიდევ უფრო, როცა ისინი თავის ცოდვებს აღიარებდნენ და ითხოვდნენ რუს ხელმწიფისაგან შეწყნარებას! ეს იყო ნამდვილი სილაჩრე და თავის შერცხვენა. ასე სამარცხეინოდ დასრულდა „ქართველ წარჩინებულთა“ და რაინდთა შეთქმულება, რომელზედაც ისინი ასეთ დიდ იმედებს ამყარებდნენ. დამარცხება ზოგჯერ გამარჯვებას უდრის. დამარცხებული ხშირად თანაგრძნობას იწვევს საზოგადოებაში ან იმ მიზნების გამო, რომელთა განსახორციელებლად ეს ხალხი იბძოდა ან კიდევ თავისი გმირული მოქმედებით და თავგანწირვით. არც ერთი ეს თვისება არ ახასიათებდა 1832 წლის შეთქმულების ავტორებს. იმათი მოქმედება მხოლოდ სილაჩრეს მოწმობდა. რაც შეეხება იმათ მიზნებს, რისთვისაც ისინი აწყობდნენ შეთქმულებას და ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, ისინი (მიზნები) პირდაპირ რეაქციონური იყვნენ. ხალხმა, გლეხკაცობამ არაფერი იცოდა, თუ როგორ აწყობდნენ ამ შეთქმულებას. ხოლო შეთქმულების ავტორებს იმათ მონაწილეებს გლეხკაცობა სინამდვილეში კარგად იცნობდა, რადგანაც ისინი იყვნენ იმათი უშუალო მხაგრელები და სულის ამომხდელნი, რომელთა წინააღმდეგ იგი არა ერთხელ აჯანყებულა.

ქართველ ხალხს არაფერი არ წაუგია იმით, რომ 1832 წლის რეაქციონური, მონარქისტულ-თავადაზნაურული შეთქმულება ჩაიშალა, რადგანაც ქართველ გლეხკაცობას განზრახული პოლიტიკური გადატრიალება თავისუფლებას ვერ მიანიჭებდა. 1832 წლის შეთქმულების ისტორიამ ეს უნდა აღნიშნოს სავსებით. ამხ. გოზალიშვილის ნაშრომი ამ მხრით იძლევა საინტერესო მასალას. სათანადო დისკვენები აქედან თვით მკითხველს შეუძლია გამოიტანოს.

## 1832 წლის შეთქმულება

ისტორიული ნარკვევი

დეკემბრის 9-ს ასი წელიწადი შესრულდა, რაც ტფილისში რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულება იქნა აღმოჩენილი.

1832 წლის შეთქმულება საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის ცენტრალური მომენტი. ის ერთი მხრივ ჯამს უკეთებს უცხო ხელისუფლების მოღვაწეობასა და საქართველოს მიერ ს უკუნის ერთი მესამედის მანძილზე განვლილ ცხოვრებას, მეორე მხრივ მიმართულებას აძლევს საქართველოს ცხოვრებას მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის მიჯნამდე: შეთქმულნი დარწმუნდნენ, რომ ეს გზა (ფიზიკური ძალიანის მოხმარება) გაუმართლებელი იყო და ბრძოლის ტაქტიკა შეგუების ტაქტიკით შეცვალეს; აჯანყების ნაცვლად თავისი ენერჯია მთავრობის საშახურს, ჩინ ორდენებზე ზრუნვას და რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის გამტკიცებას მოანდომეს.

## შეთქმულების ჩამოშალიზება და მისი ორგანიზაცია

იმპერიალისტური რუსეთის ხელისუფლების მიერ რუსეთში გადასახლებული, ნაწილობრივ თავის ნებით იქ განათლების მისაღებად წასული ქართველი ახალგაზრდობა, შეუძლებელია იმ ლიბერალურ განმათვისუფლებელი მოძრაობის გარეშე დარჩენილიყო, რომელიც იმ დროის ევროპაში გაერცელებული იყო და რუსეთშიაც საკმაოდ ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, რის შედეგსაც დეკაბრისტების მოძრაობა წარმოადგენს. საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა საუკეთესო ნიმუშსა და საბაბს იძლეოდა ამგვარი მუშაობით გატაცებისათვის თვით არა ქართველთა დახმარებითა და წაქეზებითაც. მართლაც ჩვენ ვრწმუნდებით, რომ შეთქმულების იდეა პირველად რუსეთში ჩასახულა და მის პირველ ორგანიზაციას პეტერბურგშივე ჩაყრია საფუძველი.

ამ საკითხზე საინტერესო ცნობები მოგვეპოვება.

დიმიტრი ერისთავის ჩვენებაში ვკითხულობთ: „1825 წელს მე ჩავედი პეტერბურგში, ვცხოვრობდი ფარშაო ბატონიშვილთან<sup>1</sup> და ხშირად ვხვდებოდი დიმიტრი ბატონიშვილს<sup>2</sup>, რომელთანაც ხშირად იყვნენ ხოლმე თავადები გიორგი და ელიზბარ ერისთავები. ის (დიმიტრი ბატონიშვილი) გვიამბობდა ჩვენ

<sup>1</sup>. ერეკლე მეფის შვილი.

<sup>2</sup>. ივლიან ბატონიშვილის ძე (ერეკლე მეფის შვილისშვილი).



ისტორიიდან ამბებს თავისუფლებაზე, რითაც ჩვენ, ასე ვთქვათ, მოვაგონა და, და მერე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების ჩამოსვლის შემდეგ, ჩავეინერგა რა ჩვენ აზრი თავისუფლებაზე, დაიწყო მათიც მომზადება. მაგრამ შემდეგ თავს ვიყრიდით: ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, გიორგი გიორგი და მე ერისთავები, დიმიტრი ბატონიშვილი ყოველთვის იწყებდა საუბარს საქართველოზე, და ამბობდა, რომ ქართველები ველური და გაუნათლებელი ხალხია, უმეფოდ არიან და სხვა. ამით უნდოდა შეურაცხყო ჩვენი თავმოყვარეობა და თავის განზრახვას კიდევ მიაღწია, რადგან ვის არ უყვარს თავის საშობლო და არ გამოიდებს მისთვის თავს? მან ისარგებლა ჩვენი სიტყვის შებრუნებით და უკვე აშკარად დაგვიწყო საქართველოზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი. პირველ საშუალებად ის ახალგაზღვრებისაგან საზოგადოების შედგენას და განათლებისა და საზოგადოების გავრცელებას აღიარებდა. ჩემი პეტერბურგიდან წამოსვლის წინ, ე. ი. 1832 წელს, მან განმიცხადა საიდუმლო მიმოწერის საშუალება, რომლითაც შეიძლება საკუთარი აზრის გადაცემა, ისე რომ მიმღებს წაეკითხა ის როგორც უბრალო წერილი. ამგვარი საიდუმლო მიმოწერა წარმოებდა ამოკრილი საფოსტო ქალაქის ნახევარი ფურცლის საშუალებით“-ო<sup>1</sup>.

უფრო საინტერესოა გიორგი ერისთავის ჩვენება, ის ამბობს: „კვირა-უქმე დღეებში დიმიტრი ბატონიშვილთან თავს იყრიდნენ ახალგაზრდა ქართველები, აქ იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე,— შეუძლიან თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, — ხალხის უფლებაზე, ბატონების მიერ გლეხთა შევიწროებაზე და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი. ამისათვის საუკეთესო საშუალებად ბატონიშვილი განათლებას აღიარებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას აპირებდა; აქებდა ფრანგებს როგორც თავისუფლების დამცველთ და აძაგებდა რუსებს, განსაკუთრებით კი ქართველებს, რომელთაც ბოშებზე უარეს ხალხს უწოდებდა“-ო.

ამ კრებებს თავის შედეგი გამოუღია.

შეთქმულების საქმეებში დაცულია 1828 წელს პეტერბურგში ერისთავთა შორის დადებული შემდეგი შინაარსის კანდრახტი:

„წელსა 1928-სა დღესა 13 მაისისასა შევეკარით კანდრახტი, ასე რო, რაც ჩვენი სარგებლობისათვის იყოს და რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმტყუნოს ან ამხანაგობაში და ან საერო სარგებლობისათვის იყოს შერყენებული ღვთისგან:“

მე ამ ზემოხსენებულზედ ხელს ვაწერ თ-დი დიმიტრი ერისთავი.

მეც ამ ზემოხსენებულზედ ხელს ვაწერ თ-დი გიორგი ერისთავი.

მეც ამ ზემოხსენებულზედ ხელს ვაწერ თ-დი ელიზბარ ერისთავი.“

1828-ს წელსა

მაისის 13 დღესა

პეტერბურგში

ლიეფინში ეანდსკის სახლში.

<sup>1</sup>. ამ გვარი ფურცლის ნიშნში დაცულია შეთქმულების საქმეებში.



ეს არის შეთქმულების პირველი ფორმალური ჩამოყალიბება: ამის კაიზნის მზადება უსწრებდა წინ. 1826 წლის 20 დეკემბერს სოლომონ დოდაშვილის მიერ პეტერბურგიდან ფილადელფოს კინაძესადმი ნიჟნი ნოვგოროდში წერილობრილ წერილში სხვათა შორის ვკითხულობთ: „.....და მსურდას თქვენს მსახურება ამის მიზნისათვის საქართველოსა შინა, არა შესახებლად მისსა, სადაც მე მწესებენ, არამედ სხვა ადგილებსა არს სარგებლად მამულისა“.

შეთქმულების მასალებიდან ირკვევა, რომ 1826—27 წლებში საკმად დიდი მოსამზადებელი მუშაობა ყოფილა წარმოებული, რის შედეგადაც 1828 წელს შეთქმულთა მუშაობა უკვე ორგანიზაციულ სახეს იღებს.

საქართველოში ორგანიზაციის მოსაწყობად იგზავნება ახალგაზრდა ინტელიგენტი ელიზბარ ერისთავი, რომელსაც მისი ძმა დიმიტრი პეტერბურგიდან ერთერთ წერილში ეკითხება: „...ახლა გთხოვ რომ მანდაურობის ამბავი წერილათ მომწერო; რატომ არ მწერ ბევრი მეგობრები გყავს თუ არა და ან როგორ გგონია შენი საქმისა. შენი ფიცრების ხერხის საქმე როგორ მიგდის კარგათ თუ არა შენი მეგობრის ბიძა სად არის და რასა იქს რა დაემართა მაგასაც თავისი საქმე რატომ ასე ცუდად მოჰყავს ასწავლე როგორმე.“

ლუარსაბშია,<sup>1</sup> დიმიტრიმ<sup>2</sup> და ალექსანდრემ<sup>3</sup> მოგკითხეს სულ გავინებენ რა უროდი იყო აქ რა იმედს გვაძლევდაო წავიდაო და არც კი ვახსოვართო და ბქნება აღარც აგონდებაო“.

ამ წერილის შესახებ საგამომჩიებლო მასალებში შემდეგი განმარტებაა დაცული: „თავის ძმა ელიზბარისადმი მიწერილი წერილის გამო დაკითხულმა დიმიტრი ერისთავმა აღიარა, რომ მასში მოხსენებული მეგობრის ბიძა არის დიმიტრი ბატონიშვილის ბიძა ალექსანდრე ბატონიშვილი და რომ წერილში ეკითხება შეთქმულების შესახებ“.

ამის გამო თვით ელიზბარი უჩვენებს: „1830 წელს თებერვლის პირველ რიცხვებში, ჩემი პეტერბურგიდან გამომგზავრების წინ“ დიმიტრი ბატონიშვილმა დამიბარა და მითხრა: „შენ მიდიხარ საქართველოში, ვახსოვდეს ჩემი სიტყვები—რაც მე თქვენ ყველას ჩავაგონეთ—რომ საქართველოს განთავისუფლებას უნდა ეცადოთ“ ამასთანავე მომცა ფოსტის ქალაქის ნახევარი აბოჭრილი ადგილებიანი, ხოლო მეორე ამისთანავე თვითონ დაიტოვა და მითხრა „ამ ქალაქის საშუალებით შემდეგში შენ მე მაცნობებ, რასაც ამ საქმის შესახებ მოასწრებო“.

იქვე განაგრძობს: „იმავე წელს მივწერე დიმიტრი ბატონიშვილს, რომ ალექსანდრე ორბელიანი გავიცანი და შეთქმულების საქმეს შეუდექით“.

საქართველოში შეთქმულების დაწყების ამბავს ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებაში ასე გადმოგვცემს: „...რუსეთიდან მოსული ყმაწვილი კაცები და მე, ამ საქმისთვის რომ გავერთდით, რჩევა მოვახდინეთ: პირველი მე მკითხეს როგორ დავიწყოთო?—აი ჩემი პასუხი: ეს საქმე ჩვენის მტრმა სხვამ არავინ

<sup>1</sup> და <sup>2</sup> ბატონიშვილები.

<sup>3</sup> ჩოლოყაშვილი, ხაქარიას ძმა.

უნდა შეიტყოს, ამისთვის, რომ მინამ გარემოება თავის თავად არ მოიტანს საქმეს, არას ვზით არ შეიძლება აღსრულებაში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ებლანდელ ქართველებში .... ამასობაში პოლშა იშალა... შეუდგენილია საქმის დიდის გულმოდგინებით ისე, რომ მშობლის მამულის სიყვარულით, სხვადასხვაგვარად ითუ კარგად ვეღარ ვავიგეთ რა, ისე რომ ეს ჩემი თავი აღარ მოვასვენე იმ საქმეში და ისინიც კი, ის ჩემი ამხანაგნი დიდი მცველნი იყვნენ იმ საქმისა, ნამეტნავად თ-დი ელიზბარ შანშეს ძე ქსნისა ერისთვის შეილი, რომელიცა ყველას ჩვენზედ უპირველესი მცდელი ის შეიქნა“-ო.

1829 წელს საქართველოში ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილი, მას 1830 წ. თან მოყვება ელიზბარ ერისთავი და ამ დროს შეთქმულებას უკვე მტკიცე ორგანიზაციული საფუძველი ეყრება.

### მისგან შესდგებოდა ეს ორგანიზაცია

ალექსანდრე ორბელიანი ერთს ჩვენებაში ამბობს, რომ ოქროპირ ბატონიშვილი: „მოყვა ესრეთ, აქ ბევრნი კარგნი პატიოსანნი კაცი არიან, რომ იმათ ენდოთ და კარგს რჩევასაც მოგკემენო, პირველი დიახ ჭკვიანი კაცი არის ჭავჭავაძე<sup>1</sup>, და განათლებული, და ჩვენის გულისხვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთშიო ამისი ნდობა შეიძლებაო... მეორე აქ კიდევ ელიზბარ ერისთავი არისო, ისიც კარგი ჭვიანი ყმაწვილი კაცი არისო, — მესამე კიდევ სოლომონ დოდაევი ჩვენთვის თავდადებული კაცი არისო, მე ვიცი ისიც იყაბულებსო, აი ესენი ბევრ კაცს იშოვნიან, და მასკვან—წყნარ-წყნარ მოხდება ჩვენი საქმეო... ესეც მითხრა თამარ ბატონიშვილისა<sup>2</sup>—დიახ ჭკვიანი დედაკაცი არისო, მე გონიხა ისიც იყაბულებსო“.

ეს იყო პირველი უჯრედი, რომელიც შემდეგ თან და თან გაიზარდა და გამოძიების დროს უკვე 150-მდის კაცი იყო მიცემული პასუხისგებაში შეთქმულებაში მონაწილეობისთვის... მაგრამ, რასაკვირველია, შეთქმულთა ნამდვილი რიცხვი გაცილებით მეტი იყო.

შეთქმულთა ორგანიზაცია ცალკე ჯგუფების, ცალკე საზოგადოებების სისტემაზე იყო აგებული. ესა თუ ის პირი აერთიანებდა თავის ირგვლივ რამოდენიმე კაცს შეთქმულების წევრთ, რომელნიც ამავე დროს პროფესიითა და პირადი მეგობრობითაც იყვნენ ერთი მეორესთან დაკავშირებული. თვითეულ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელის სახით ჰქონდა მუდმივი ცოცხალი ურთიერთობა ცენტრთან, რომელიც ტფილისში იმყოფებოდა, ამ ცენტრს შეადგენდნენ: სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი და შემდეგ მიემატა იასე ფალავანდიშვილი.

ვახტანგ ორბელიანი ერთ ჩვენებაში ამბობს: „ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარ ერისთავი და დოდაშვილი ხშირად ჩაიკეტებოდნენ ხოლმე ოთახში და იქი-

<sup>1</sup>. ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ლაპარაკი.

<sup>2</sup>. ეფლანის ასული, დიმიტრი ბატონიშვილის და, რომელიც შეთქმულებაში მჭიდრო მონაწილეობის მისაღებად პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა.

დან დიდ ხანს არ გამოდარდნენ“-ო, შემდეგ უმატებს: „ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარ ერისთავი და დოდაშვილი ცდილობდნენ შეთქმულების გაგროვებასა“-ო.

ლუარსაბ ორბელიანი კი უჩვენებს: „მე ხშირად დავიარაღებოდი ჩემს დის-წულ მელნიკოვის<sup>1</sup> ცოლთან, ხშირად ვკითხულობდი ელიზბარს, მაგრამ ყოველთვის მიპასუხებდნენ, რომ ის ალექსანდრე ორბელიანთან არის,—ყოველ დღე და ღამე ორი სამი საათი იქ, ალექსანდრე ორბელიანთან იყო ხოლმე ელიზბარ ერისთავი“-ო.

აი ეს ჯგუფი ხელმძღვანელობდა მთელს ორგანიზაციას. უმთავრეს როლს რა თქმა უნდა ს. დოდაშვილი და ელ. ერისთავი თამაშობდნენ. ალ. ორბელიანი მუდმივ ტფილისში იყო და ორგანიზაციის მდივნის როლს ასრულებდა; ყოველგვარი ინფორმაცია მასთან მოდიოდა, ყველა ჯგუფის ხელმძღვანელს მასთან უშუალო კავშირი ჰქონდა.

ს. დოდაშვილის მთავარ მოვალეობას შეადგენდა საპროპაგანდო ნაწილი ლიტერატურული პირბადის საშვლებით.

ის შეთქმულების სულის ჩამდგმელია. ალ. ორბელიანი ამბობს: „უფლის სოლომან დოდავეის საქმენი განმაცვირებდნენ, ესრეთ, რომელ დოდავეი იყო გლეხი კაცი და ახლა მთავრობის მიერ აჭყავებული იქნა, და ამა ბოროტ განზრახვასა შინა, ვითარ ფიცხლად იქნებოდა, რომელიც განმამტერებდნენ მისნი ესრეთნი საქმენიო“.

ელ. ერისთავი ტფილისის გარედ მყოფ წევრებთან და ჯგუფებთან ურთიერთობის საკითხებს აწუხებს, ჰქმნის ადგილებზე შეთქმულების წევრთა კავშირს. უკანასკნელად ის საერთო უფროსად და ხელმძღვანელად იქნა არჩეული.

ალ. ორბელიანი უჩვენებს: „როგორც მე მახსოვს, არ ვიცი სად იყო, რომ ჩვენმა საზოგადოებამ პირველად დამდევს ვალად, რომ შენ იყავ ჩენი ნაწალნიკიო.—მე დიახ ბატონისცივით დავითხოვე იმათი წინადადება. შემდეგ იასეს სთხოვეს მე ვგონებ იმანაც დავითხოვა, და მასკვან მგონია, როგორც მახსოვს, ელიზბარ ერისთავმა იკისრა, მე ვეჭნები თქვენი კომანდირიო.—ამაზე მეტი არ მახსოვს რომ სხვა ყოფილიყოს ვინმე.—და ჩენი ზაგოვორის თავი ელიზბარი იყო, ამისთვის, რომ დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილს მიმსვლელი ის იყო და შუა კაცი“-ო.

საინტერესოა ვიცოდეთ შეთქმულების დანარჩენი მონაწილენი, მაგრამ მათი ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და თუ მხოლოდ თვალსაჩინო წევრებს დავასახელებთ ესენი იქნებიან: ორბელიანები—გრიგოლი, მამუკა, ვახტანგი, დიმიტრი (ვახტანგის ძმა), ლუარსაბ; ალექსანდრე გიორგისძე; ერისთავები—გიორგი დავითისძე (ცნობილი დრამატურგი), გიორგი რევაზის ძე, დიმიტრი (ელიზბარის ძმა), ბიძინა და სხვები; სტეფანე დოდაშვილი (სოლომონის ძმა); ალექსანდრე ქავჭავაძე, ფილადელფოს კიკნაძე, სოლომონ რაზმაძე; ანტონ აფხაზი, იასე ფალავანდიშვილი; ბატონიშვილები: ფარნაოზი, ოქროპირი, დიმიტრი,

<sup>1</sup> ტფილისის პოლიციისტიერი ანდრია მელნიკოვი ელიზბარის სიძე იყო. მ. ლნიკოვი ერთ ვაჟთი შეთქმულთაგანია.

თამარი; ი. მამაცაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ზაალ ავთანდილაშვილი, თათარი ზამანა და სხვები.

ქართველების გარდა რუსები და ზოგიერთი უცხოელებიც იყვნენ მონაწილენი, რომელთაგან ზოგნი მთავარ შეთქმულებთან ერთად მონაწილეობას მართლებულნი.

ესენი არიას: ტფილისის პოლიციისტერი მეღნიკოვი, დუშეთის ისპრავნიკი პაუშენკო (უკრაინელი), პრაპორშჩიკი ფოდოროვი (დიმიტრი ყიფიანის მამობილი), ტფილისის გუბერნატორი ზაველეისკი, საფრანგეთის საკონსულოს მდივანი ლეტელაე (ალ. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი) ორი ლიტველი და ერთი თათარი, რომელთა ვინაობაც გამოურკვეველი დარჩა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცნობილი აკადემიკოსი მარი ბროსეს მონაწილეობა შეთქმულებაში.

შეთქმულების ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ, რომელიც შემდგომ განმტკიცდა ფილადელფოს კიკნაძის მიერ შედგენილი „აკტი გონიური“-ს სახელით ცნობილი წესდების ნიადაგზე, იწყება გაცხოველებული მუშაობა. განუწყვეტლივ წარმოებდა კრებები და რჩევები, რომლებიც ჩვეულებრივ ნადიმის სახით იმართებოდა ხოლმე ამა თუ იმ შეთქმულის ბინაზე მორიგეობით.

განსაკუთრებით საინტერესოა შეთქმულთა მუშაობა პროპაგანდა ლიტერატურული გზით.

ს. დოდაშვილი ამ მიზნით აარსებს სპეციალურ ორგანოს, „ტფილისის უწყებანი“-ს სახელწოდებით, სადაც ყოველგვერდზე საქართველოზეა ლაპარაკი ხან აშკარად ხან ალგორითულად.

შეთქმულთა ამ ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ ნიმუშს გავეცნოთ, ეს არის ს. დოდაშვილის ქალაქში ნაპოვნი პროკლამაცია, რომელიც თვით მისგან უნდა იყოს დაწერილი და რომელიც შემდგომს შეიცავს: „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა, თვისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი კელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამოზობილი მათგან. ხოლო აწ ზედავთა დამოზობასა და არაარობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა, რაისთვის არს ესე ესრეთ. ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა პაპათა ჩვენთანი, ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისასა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიბრძნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ინუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისათვის ცოცხალვართ\*.

გარდა ამისა შენახულია ამავე საკითხზე დაწერილი მრავალი ლექსი და შეთქმულთა შორის მიმოწერა, რომელიც ფილადელფოს კიკნაძის მიერ შეთხზული სიდიდმოლო ანბანის საშუალებით წარმოებდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. რაზმაძის იგავ არაკი „დათვი და ცხვარი“, აგრეთვე ფილადელფოსის თხზულებები: „მამულის სიყვარულისათვის“, რომე-

ლიც იმ დროინდელი ლიბერალური ლიტერატურის გავლენით უნდა იყოს და-  
წერილი და „გოდებანი იერემიასი ძისა ენაისნი ხილვათათვის მდგომარეობისა  
იერერიისასა აწინდელსა ზედა“.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## რა საზუალეობითა და როგორ ფიქრობდნენ შემთქმულნი განჯარხულის განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ შეთქმულებმა გამოძიების დროს მრავალი მომენ-  
ტი მათი საქმიანობისა შთაღ მიჩქმალეს, ზოგი კი გააუფერულეს. ამ მხრივ  
თვით საგანომძიებლო კომისიაც, სხვათა შორის, დიდ გულუბრყვილობას იჩენდა.

ჩვენ მიერ დასმულ საკითხზედაც შეთქმულებმა ძლიერ ცოტა ილაპარაკეს.  
მაგრამ რაც ვიცით ისიც საინტერესოა.

როგორც მასალებიდან ჩანს თვითველ შეთქმულს უნდა შეეძგინა პატარა  
რანში. ამაზე ალ. ორბელიანი უჩვენებს: „...ჩენი საზოგადონი ისრეთ ვაწყობ-  
დით და ესრეთ გვინდოდა, რომ ყველას გაგვეწერა, და ქალაქში ჩამოგვეყვანა,  
ვინც რაოდენს კაცს შეიძლებდა, — გავეწერეთ კიდევ, ლუარსაბს<sup>1</sup> — ახი კაცი  
უნდა ჩამოეყვანა. ელიზბარ ერისთავს — ორმოცი, მე — ოცი, გიორგი დავითის  
ძეს ერისთავს ოცო, — ელისბარ ერისთავმა მითხრა მამუკაც<sup>2</sup> ახს კაცს მოამზა-  
დებო. ბიძინა ერისთავი თანახმა არ შეიქნა, და არც შემიძლიან, რომ მე ჩა-  
მოვიყვანო ვინმეო, თუ ქალაქში მოხდება ბუნტიო, მაშინ არამც ოცხა, ანუ ორ-  
მოცხაო, ათასსაც ვიშოვნი, რომ ჩამოვიდე, იმათი ერთადაო“...

იასე ფალავეანიშვილის ჩვენებით ელიზბარ ერისთავს უთქვამს „...სხვადა-  
სხვა სოფლებიდან ველოდები ჩემი გლეხებისაგან თორმეტ მამასახლისს, რომელ-  
ნიც მიიღებენ განჯარგულებას, თუ აჯანყების დროს როგორ უნდა მოიქცნენო“.

აქვე აღუქსანდრე ორბელიანს დაუმატებია, რომ: „მას ამ შემთხვევისთვის  
შხადა ჰყავს რამოდენიმე ასეული თათართა ცხენოსანი“.<sup>3</sup>

ელიზბარ ერისთავს ერთ კრებაზე განუცხადებია, რომ: „მთელ ქართლ-  
ლებს ის უდგება თავდებად, კახელებს კი დოდაშვილი“. ხოლო ალ. ორბელიანი  
აცხადებდა, რომ: „ის ტფილისში „2000 კაცამდე იშოვის“. ტფილისში ხალხს  
აგროვებდა აგრეთვე ი. ფალავეანიშვილი.

გარდა ამისა მასალები ადასტურებენ, რომ შეთქმულთ ჯარშიაც უწარ-  
მოებიათ პროპაგანდა, როგორც ამას პაუშენკო ურჩევდა და სამოსწავლო ბათა-  
ლიონი მოსყიდული ჰყოლიათ.

შეთქმულთა მხარეზე იყვნენ აგრეთვე პოლონელი ჯარის კაცები, რომელ-  
ბიც პოლონეთის აჯანყების შემდეგ აქ იყვნენ გადმოსროლილი და რომელთა  
შორისაც აგრეთვე სწარმოებდა მუშაობა მათი შეთქმულთათვის მიმხრობის  
მიზნით.

შეთქმულთ ზარბაზნების შოვნის იმედიც ჰქონიათ.

<sup>1</sup> — ორბელიანები.

<sup>2</sup> ეს სონამდვილეა; ამ საქმის მომწყობი ბორჩალოელ თათართა ჯგუფის ხელმძღვანელი  
ზამანა მთაეარ შეთქმულებთან ერთად იყო გასამართლებული.

ი- ფალავანდიშვილის სათანადო შეკითხვაზე დიმიტრი ერისთავი უპასუხ-  
ნია: „მე დღეს დილით ვიყავ არსენალში ...და აქ სულ წერილით ვახსენებ  
(უნდერ აფიცერი ჩვენი იყო) სად რა მზადება არის ... ორთ არტილერიის საქმე  
ვიცი და ჩვენ ზოგიერთ ვასწავლით სროლას“-ო.

აჯანყების ფარგლები საქართველოს საზღვრებს სცილდებოდა. აღ. ორბე-  
ლიანი თავის მოგონებაში წერს: „...ეს შეთქმა ასე უნდა მომხდარიყო, რომ  
მთელი კავკასია შევიზღვიდნ მოკიდებული კასპიის ზღვამდის, სრულიად მთე-  
ბისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულყავით და ერთიანი აღრეულობა მო-  
გვეხდინა“-ო.

მასალების მიხედვით აჯანყების განხორციელების ცდის შემდეგი სურათი  
წარმოგვიდგება.

მოქმედება პირველად ტფილისში უნდა დაწყებულიყო 20 ნოემბერს. შემ-  
დეგში ეს დღე რამდენიმეჯერ იქნა სხვადასხვა დროს გადატანილი.

დამუშავებული იყო მოქმედების დეტალური გეგმა, რომელსაც შეთქმულ-  
ნი „პირველი ღამის განკარგულებას“ უწოდებდნენ და რომელიც შემდეგს შეი-  
ცავდა:

### „პირველი ღამის განკარგულება“

1. ციხეზე დაინიშნოს გუსარი<sup>1</sup> და ლევან ერისთავი 40 კაცით.
2. ყაზარმებში კაპიტანი ჩოლოყაშვილი, გვარდიის პრაპორჩიკი დიმიტრი  
ორბელიანი ორი ზარბაზნით და 200 კაცით.
3. არსენალზე
4. საპროვიანტო კომისიაზე
5. ხაზინაზე
6. ორდონანს-ჰაუსზე

არტილერიის პრაპორჩიკი ერის-  
თავი, ვახტანგ ორბელიანი, ბეგან  
ამილახვარი, პოროჩიკი გიორგი  
თუმანიშვილი და ივანე ერისთავი  
50 კაცით.

7. ნავთლუღის კომისიაზე ბიძინა ერისთავი, იასე ერისთავი, თეიმურაზ  
ამილახვარი 20 კაცით.

8. პურის მღაზიაში ორ-ორი სანდო კაცი უნდა ყოფილიყო დაყენებული.

9. შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა აზიურ  
მუსიკას და სადაც უნდა ყოფილიყვნენ თავადები: ლუარსაბ ორბელიანი, მარშალი  
დიმიტრი და მამუკა ორბელიანები, ალექსანდრე ორბელიანი, ასლან ორბელიანი  
და სხვა ორბელიანები; თავადი ელიზბარ ერისთავი; აქვე უნდა ყოფილიყვნენ  
გარდა ადგილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აგრეთვე აქ  
უნდა შეყრილიყვნენ პოლონელები თავად აზნაურნიც და დაბალი წოდებისა-  
ნიც და ისე, ემოქმედათ, როგორც საჭიროდ დაინახავდნენ.

აქ აღნიშნულ პირთ გვალეგობდათ:

- 1) შეეკრიბათ ქალაქში ხალხი.
- 2) ეკლესიაში აეტეხათ ზარის რეკა.

<sup>1</sup>. გიორგი რევაზის ძე ერისთავი.

3) მათ უნდა გამოეტანათ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, აგრეთვე სომხეთის ფეთხანის ეკლესიიდან ღვთისმშობლისავე ხატი რომლებიც უნდა ხელში სჭეროდათ და ეძახნათ საქართველოს განთავისუფლების ჩვენთვის უწირავთ!

ამავე საკითხზე ალ. ორბელიანი მოგვითხრობს: „...ჩვენ გვსურდა ესრეთ, ოდესაც აქ აღრეულობა მომხდარიყო, მაშინ თამარ ბატონიშვილი უნდა გამოგვეყვანა და ხალხისთვის უნდა გვექადაგანა, რომ აი, ჩვენი მემკვიდრე ბაგრატიონთ ქალი თამარ, რომელიც ყველანი ამას უნდა ემორჩილებოდეთ და რაც გვიბრძანოს უნდა აღვასრულოთ, ამაში, უნდა ზარების რეკვას მოყოლოდნენ და სიონის სამრეკლოზე, უნდა სამი კაცი ასულიყვნენ, და იქადგან ეძახნათ თავისუფლება და სიყვარული ყველასა ერსა ზედა, ამ დროს უნდა კაცი გაგვეგზავნა და მთელი საქართველოს ხალხი აქ უნდა ჩამოსულიყვნენ თავადნი, აზნაურნი და ქუდზე ყოველი კაცი, — და როდისაც ჩამოსულიყვნენ მაშინ უნდა ეცდილიყავით რომ როგორც იყოს პოლკები გავაწყვით რეგულისა<sup>1</sup>. და რიგი დავდეთ და მაშინ დაინიშნონ ნაჩაღნიკები. და მხედველობის ქვეშ გვყვანდნენ ნაჩაღნიკები. მხედართ მთავრად, პირველად, ღენერალი მაიორი თავადი ივანე აფხაზოვი ჯერ მკვდარი არ იყო, მასკვან აღექსანდრე ჭავჭავაძე, მესამედ ვასილი ბებუთოვი, მეოთხედ ღენერალ-ლეიტენანტი გიორგი ერისთავი და ღენერალ მაიორი სავარსამიძე. — სასამართლოთ პრეზიდენტად, პირველდ, მუხრან ბატონი უნდა ყოფილიყო, და ამისნი თანაშემწენი გიორგი ქილავეი და ლუბერნატორი თავადი ფალავანდოვი“ და სხვ.

აჯანყების წარმატებით დასრულების შემდეგ შეთქმულთ განზრახული ჰქონდათ საქართველოში შემდგენიარი წესწყობილების შემოღება.

გიორგი ერისთავის მიერ (როგორც ის აცხადებს ელიზბარის კარნახით) შედგენილი პროექტის მიხედვით: 2 სამთავრობო ადგილი იყო ზედა და ქვედა. ზედაში იყვნენ პირველი პირი თვით მეფე, რომელსაც აღექსანდრე ბატონიშვილს გულისხმობდნენ, 2-ე: სამხედრო მინისტრი ჭავჭავაძე, მე 3-მე: იუსტიციის მინისტრი მუხრან ბატონი, 4-ე: ფინანსთა მინისტრი თ. ფალავანდოვი 5-ე: შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი ქილაშვილი, 6-ე: საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალი თ. ბებუთოვი, ქვედა სამართველოში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც საჩივრის საქმეები უნდა გახეხილათ“.

ზაალ აეთანდრლაშვილი მოწმობს: „ჯანყის მეორე დღეს უნდოდათ შეეკმნათ სეიმი, და ვიდრე მეფეს აიჩრევდნენ საქართველოს მართველობა სეიმის წევრებისათვის ჩაებარებინათ, რომელნიც საზოგადოებას უნდა აერჩია“-ო.

### „შეთქმულთაის დასასრული“

მაძალების მიხედვით ჩანს, რომ საქმე თითქოს მწყობრად მიდოდა და შეთქმულთ გამარჯვების იმედიც ჰქონდათ... მაგრამ სრულიად მოულოდნელად შეთქმულების თვალსაჩინო წევრმა იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულების არსე-

1. რეგულიარული ჯარის შედგენაზეა ლაპარაკი.

ბოძა რუსის ხელისუფლებას აცნობა, რის შედეგადაც ყველა შეთქმულნი დააპატიმრეს.

მეფის მთავრობამ მრავალი შეთქმული შეიწყნარა, მრავალს კანონიერად გაარეშე გადასახლება მიუსაჯა, <sup>1</sup>. ხოლო სამართალში მისცა: ქლობბსკის მისი ძმა დიმიტრი ერისთავები, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, მისი ძმა ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე გიორგის ძე ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი, ზაქარია ჩოლოყაშვილი, სოლომონ რაზმაძე და თათარი ზამანა, რომელთაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მაშინდელი წესის თანახმად ხელფების დაქრის („Четвертовать“) საშუალებით. მაგრამ ეს სასჯელი სხვადასხვა ვადით რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადასახლებით. შეეცვალათ<sup>2</sup>.

<sup>1</sup>. დილადელდოს კიკნაძე გამოძიების პროცესშივე საპრობილემო გაარდაცვალა.

<sup>2</sup>. ეს წერილი წარმოადგენს მცირე რეზიუმეს ჩემი შრომისა „1832 წლის შეთქმულება“, რომელიც სახელგამის მიერ მიღებულია გამოსაცემად.



## ბენედიქტე სპინოზას ფილოსოფია და მისი ისტორიული მნიშვნელობა\*

ამბანაგებო! ჩემი დღევანდელი მოხსენების ამოცანაა გავაშუქო სპინოზას ფილოსოფიის მხოლოდ ძირითადი მომენტები, ვინაიდან ერთ მოხსენებაში ისეთი უდიდესი მოაზროვნის ფილოსოფიის მთლიანად ამოწურვა როგორც შეუძლებელი არის სპინოზა ყოველად შეუძლებელია. ამისთვის საჭირო იყო პრობლემების განაწილება და მათი სპეციალური გაშუქება ცალკე მომხსენებელთა მიერ. რამდენადაც ასეთი განაწილება არ მოხდა და ამ საღამოს დგას ერთი ძირითადი, სახელდობრ ჩემი მოხსენება, მიზანშეუწონელია ამ მოხსენებაში მხოლოდ ერთ სპეციალურ პრობლემაზე შეჩერება. მთლიანი წარმოდგენისათვის აუცილებელია ზოგადი მიმოხილვა, რომელიც თუმცა ვერ ამოსწურავს ყველა საკითხებს, მით უფრო ვერ მოგვეცემს მათს სპეციალურ გაშუქებას, მაგრამ მაინც გავვაცნობს იმ მთლიანობას, სისტემას, რომელსაც იძლევა სპინოზა ძირითად მომენტებში.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ იგი ძნელი ამოცანაა. მით უმეტეს, რომ სპინოზას ფილოსოფიაზე არ არსებობს ერთსულოვანი შეხედულება არა მარტო საერთოდ ფილოსოფიის ისტორიაში, არამედ მარქსისტ ინტერპრეტატორებს შორისაც. ეს გარემოება მაიძულებს დღევანდელ მოხსენებაში სრულებით გამოვტოვო სპინოზას ფილოსოფიის სხვადასხვა გვარი ინტერპრეტაციის საკითხი, შევებო მას მხოლოდ აქა-იქ აუცილებლობის მიხედვით და ვეცადო ვადმოქცეთ მისი ფილოსოფიის განსაკუთრებით თეორიული ნაწილი, რა თქმა უნდა-აუცილებელი ისტორიული კრიტიკით.

სპინოზას ეპოქის დახასიათება ძირითადად უკვე იყო მოცემული კრების თავმჯდომარის მიერ, ამიტომ მე ამაზე სულ მოკლედ შეგჩერდები. უნდა ითქვას, რომ სპინოზას ეპოქა სრულებით არ იყო ისეთი წყნარი<sup>1</sup> და მშვიდობიანი, რაც ახასიათებს თვითონ სპინოზას პიროვნებას. მართლაც, პირველი შეხედვით, მე-

\* წერილი წარმოადგენს სპინოზას დაბადების 300 წლის შესრულების გამო საქ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში წაკითხული მოხსენების სტენოგრამას.

ტად გაუგებარ კონტრასტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რეალური კონტრასტის და ბრძოლის ეპოქაში, როდესაც პოლანდია თავდასაცავ და დამპყრობელ ომების საშედეგად აღწევს დამოუკიდებლობას და პეგემონიას დასრულებს, როდესაც გამწვავებით ებრძვიან ერთმანეთს რეაქციონური და რესპუბლიკანური პარტიები, როცა ილუპებიან ისეთი დემოკრატიული ბელადები, როგორცაა იოჰან დევიტი და სხვები; ერთისიტყვით კაპიტალიზმის მძლავრი განვითარების პერიოდში მდებარე პარიზონტზე უკვე აღადგინა პიროვნება ბენედიქტე სპინოზა. ისეთ დროს ის გაურბის საზოგადოებრივ ცხოვრების აქტიურ ასპარეზს, სძლევს ყოველივე სასიცოცხლო მოთხოვნილებას და მიდის აბსტრაქტულ მეცნიერების სფეროში, აბსტრაქტული არსობის განსკვრეტის სფეროში, უფრო მეტიც—ქვეშმარტების უშუალო განსკვრეტაში ხედავს სიცოცხლის ერთადერთ მიზანს და ადამიანის მთავარ დანიშნულებას. მაგრამ ვფიქრობ, ეს კონტრაქტი გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არსებობს საზოგადოებრივი აქტიობის ბევრნაირი ფორმა და მე მგონია, რომ სპინოზამ უდიდესი საზოგადოებრივი აქტიობა სწორედ იმ სფეროში გამოიჩინა, სადაც ეს მაშინ არა ნაკლებ მნიშვნელობისა იყო, ვიდრე მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობა, სახელდობრ, ახალი ცოდნის, ახალი მეცნიერების ენერგიულ ჩამოყალიბებაში, იმ მეცნიერების და ფილოსოფიისა, რომელიც სწორედ უპასუხებდა მაშინდელ პროგრესული კლასის მოთხოვნილებას.

სპინოზას პირადი ასპექტში სრულებით ან ნიშნავს იმის მხრივ მეცნიერების სარგებლობის უარყოფას, და მეცნიერების აღიარებას წმინდა მეცნიერებისათვის ან და წმინდა განკურებით კმაყოფილებას. სპინოზას აზრადაც არ მოსვლია მეცნიერების სარგებლიანობის უარყოფა, პირიქით, ის აღიარებდა და ხაზს უსვამდა კიდევაც მის სარგებლიანობას და არა მხოლოდ აბსტრაქტულსა და განყენებულს, არამედ წმინდა პრაქტიკულს. ამას ის ხაზს უსვამს თავის ნაშრომში „ინტელექტის გაწმენდის ტრაქტატში“, ის ამბობს, რომ ბუნების ქვეშარტი შესწავლა საჭიროა იმისათვის, რაცაა „მოწყობილ გზად იქნას საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც რაც შეიძლება მრავალ ხალხს შესაძლებლობას მისცემს ადვილად და მკვიდრად მიაღწიოს დასახულ მიზანს... რამდენადაც „ტექნიკური ხელობის მეოხებით ბევრი ძნელი საგანი ადვილდება და ამგვარად შესაძლებლობა გვეძლევა დრო მივცეთ და შევქნათ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები მექანიკაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დავიწყებული“ („Трактат об очищении интеллекта“. Русский перевод Половцовой, Москва 1914 г. ст. 68—69).

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ სპინოზას სწორედ მეცნიერებისაგან მოვლის საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის და ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. რამდენადაც მეცნიერება ემსახურება გარკვეულ პრაქტიკულ მიზნებს „ყველაფერი ის რაც მეცნიერებებში არ წაგვიყვანს წინ, ჩვენი საბოლოო მიზნის მიღწევისაკენ, უნდა უკუგდებულ იქნას, როგორც უსარგებლო“ (იქვე. გვ. 69). სპინოზას რომ სრულებით არ ესმოდა განყენებულად ეს მიზნები, მას რომ თავის დროისთვის ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა შეთვისებული

ადამიანის ნამდვილი ბუნება და რეალური სახელმწიფოს საფუძვლები, ამას მოწმობს მისი შესანიშნავი აზრები „ეთიკის“ მე-3 და მე-4 ნაწილში.

ახლა გადავიდეთ თვითონ მოხსენების შინაარსზე. თუ ჩვენ დავსწრებით ვივლით ზოგადად შევადგინებთ სპინოზას ფილოსოფიას, უკველად უნდა ითქვას, რომ ის არის მეტაფიზიკური ფილოსოფია. მაგრამ ამავე დროს ის არის მატერიალისტური ფილოსოფიაც—ერთი სატყვიო, ის არის მეტაფიზიკური მატერიალიზმი. იგი წარმოადგენს აბსტრაქტულ მონისტურ სისტემას, რომელიც შეიცავს არსის ყოველ მხარეს, და ამდენად სპინოზას მოძღვრებას არსზე (бытие) უფრო გასაგებად კი—სუბსტანციაზე საიდანაც იწყება მისი ძირითადი სისტემატური შრომა. „ეთიკა“ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და სწორედ იმაზე დაშორებული ყოველი მხარე მისი მოძღვრებისა როგორც მისი შემეცნების თეორია, აგრეთვე მისი მოძღვრება მორალზე. სახელმწიფოზე რელიგიაზე და სხვა.

ცნობილია, რომ სპინოზას ფილოსოფიაში, საფუძვლიანად და უსაფუძვლოდაც, ხედავენ მთელ რიგს შინაგან წინააღმდეგობას, მაგრამ ძალიან ნაკლებ ამჩნევდენ ამ წინააღმდეგობათა ნამდვილ საფუძვლებს, ვინაიდან სპინოზას ფილოსოფიას გარკვეული წინასწარ-მიღებული აზრით უდგებიან. ყველა ეს წინააღმდეგობანი ადვილი გასაგები გახდება, თუ ამ ფილოსოფიას შევადგინებ ისტორიული თვალსაზრისით, იმ ისტორიულ სოციალურ-ეკონომიური და კულტურული პირობების მიხედვით, სადაც ფილოსოფოსი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ სპინოზას ფილოსოფიის ყველა წინააღმდეგობა განსაზღვრულია არა მისი მსოფლმხედველობით, არამედ მისი მეთოდოლოგიით. ჩვენ დიდ შეუსაბამობას ჩავიდენდით, თუ სპინოზას ზივანწრდით კომპრომისებს, მერყეობას, გადაუწყვეტელობას და არა თანამიმდევრობას დასკვნებში. სწორედ ამ მხრივ სპინოზა თითქმის უმაგალითო პიროვნებას წარმოადგენს ისტორიაში. ხშირად მას სოკრატეს აღარებენ, რომელმაც თავი შესწირა თავის რწმენას. მართალია, სპინოზა არც მოუკლავთ და არც უწამებიათ, მაგრამ მას ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი შეუწირავს თავის ფილოსოფიის დასაბუთებისთვის: თავისი საზოგადოებრივი კარიერა, პირადი ცხოვრების კეთილდღეობა და თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი თავისუფლებაც. სპინოზას აკრძალული ჰქონდა ცხოვრება ამსტერდამში—იმ ქალაქში, რომელიც მე-17 საუკუნეში თავშესაფარი იყო ყველა ე. წ. თავისუფალი მოაზროვნისთვის. არსებითად სპინოზა ცხოვრობდა კანონის გარეშე, ვინაიდან ის მოცილებული იყო არა მარტო ებრაელთა საზოგადოების და სინაგოგას, არამედ ოფიციალურ მოქალაქეობრივ უფლებებსაც. ამაზე მეტი რაღა უნდა შეშინებოდა სპინოზას, რომ რაიმე- დავებოდა და მიეჩქმალა! რა თქმა უნდა, ასეთი აზრი უსაფუძვლოა.

\* \*

დავიწყოთ სპინოზას ანალიზიდან ღვთის ანუ სუბსტანციის ცნების შესახებ, რაც ნამდვილ საფუძველს წარმოადგენს ე. წ. თეოლოგიური დანართისას (привесок). ღმერთი წარმოადგენს ერთადერთ დაუსრულებელს, განუყოფელს, შეუქმნელსა და მოუსპობელ სუბსტანციას. ის არის ყველაფერი, რომლის გარეშეც არაფერი არ არის, რომელთანაც ის შესაძლოა იყოს გარეგნულ დამო-

კიდებულებაში. ამიტომ, თუ დამტკიცებული იქნება, რომ ლმერთის ცენტრზე გავაბუნებავს, მაშინ ვადამწყვეტი ლახვარი დაესობა სქოლასტიკის და თეოლოგიის. აქედან გამომდინარე სპინოზას მოძღვრება სუბსტანციური (ერთი) წარმოადგენს მთელი სისტემის სიმძიმის ცენტრს.

ყველა იმ განმარტებიდან, რომელსაც სპინოზა იძლევა ღვთის შესახებ სწანს, რომ ლმერთის ცენტრს მის ფილოსოფიაში არაფერი აქვს საერთო სქოლასტიკის და თეოლოგიის ლმერთის ცენტრსთან. დუალიზმის დაძლევის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს არა იმდენად დეკარტეს სულიერ და მატერიალურ სუბსტანციების დუალიზმის დაძლევაში, რამდენადაც ლმერთის და ბუნების შორის არსებულ დუალიზმის სპეციალურ დაძლევაში დუალიზმის სწორედ ეს უკანასკნელი ფორმა ახასიათებდა მთელს საშუალო საუკუნოებს. იგი ემნევა დეკარტესაც, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელმა ამ საკითხში გადადგა ვადამწყვეტი ნაბიჯი ლმერთის ბუნებასთან დაახლოების სახით. დეკარტეს მაინც დარჩა ხელუღლებლად ლმერთის იმანენტობა, ტრანსცენდენტობა, ბუნების მიმართ, თუმცა იმ თავისებურებით, რომ მან უკუგადო თითქმის ყველა ძირითადი სქოლასტიკური და თეოლოგიური განმარტება ლმერთისა. საბოლოოდ დეკარტეს ლმერთს მაინც შერჩა მთელი რაგვი ანტროპომორფული თვისებებისა სპინოზამ კი კატეგორიულად უარყო ლმერთის ტრანსცენდენტობა და აგრეთვე ყოველგვარი მისი ანტროპომორფული განმარტებანი, ამით მან მოხსნა წინააღმდეგობა ღვთის და ბუნების შორის და ეს ორი ცნება ერთი მეორემდე დაიყვანა. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ჩვეულებრივი შეხედულებისა, სპინოზამ ბუნება კი არ დაიყვანა ლმერთან, სხეინაირად რომ ვთქვათ, ბუნების თეოლოგიზაცია კი არ მოახდინა, არამედ ლმერთი დაიყვანა ბუნებანდე, ე. ი. მან ღვთის ნატურალიზაცია მოახდინა. რომ ეს აზრი არ იყოს დეკლარატიული, თვითონ ავტორის სათანადო ადგილებს და დებულებებს მოვიყვან.

თავდაპირველად უარყოფილია ლმერთის პერსონიფიკაცია, მისი ანტროპომორფიზაცია: „ლმერთში ადგილი არ აქვს არც გონებას, არც ნებისყოფას“ (Этика пер. иванова-27) არსებითად ეს უკვე უარყოფს ქვეყნის შექმნას, მის თავისუფალ შემოქმედებას. „ლმერთი მოქმედობს მხოლოდ-და-მხოლოდ თავის შინაგანი ბუნების კანონებით“ Там же-26 მაშასადამე, ლმერთში უარყოფილია თავისუფლება ანტროპომორფული გაგებით ე. ი. სურვილის განხორციელების ან თავისუფალი არჩევის თვ ლახვრისით სწორედ ლმერთის ანტროპომორფიზაციის წინააღმდეგ არის მიმართული შემდეგი შესანიშნავი ადგილი მიმოწერიდან „სამკუთხედს რომ ჰქონოდა სიტყვის უნარი, ის ისევე იტყვოდა, რომ ლმერთი სხვა არაფერია, გარდამეტად სრულქმნილი სამკუთხედისა. წრე კი იტყვოდა, რომ ლმერთის ბუნება სრულქმნილი. წრისებურია“ (მიმოწერა წერილი № 56 ბოკსელის მიმართ). აქედან ცხადია რომ ლმერთს არ შეუძლია არაფრის არჩევა, არსებული წესრიგის დარღვევა, „სახეები არ შეიძლება და შექმნილიყო ლმერთის მიერ, რომელიმე სხვა სახით ან სხვა წესრიგში, ვიდრე ისინი არიან“ „Этика“ 45) ლმერთი წარმოადგენს ყოველის შემცველ მთლიანობას, უკეთ, ერთიანობას. ის გარეშე არ არის არაფერი: „ლმერთის გარდა არც ერთი სუბსტანცია არ შე-

ძღვება არც არსებობდეს და არც იყოს წარმოდგენილი („Этика“ გვერდი 14): „მაგრამ თუ ღმერთის გარეშე არ არის არაფერი, მაშინ ღმერთიც არ არის საგანთა მთლიანობის გარეშე.“ (იქვე 37) იმავე აზრით, რომლისთვისაც ღმერთის ეწოდება თავის თავის მიზეზი, ის უნდა იყოს წოდებული ყველა საგნების მიზეზად — ენგელსის მიერ მალლად შეფასებული causa sui-ს ცნება გამომდინარეობს ღმერთის ანუ სუბსტანციის ცნებიდან, როგორც ერთად-ერთი დაუსრულებელი და მაშასადამე, განუსაზღვრელი. რამდენადაც ღმერთი არის საგანთა (მოდუსთა) ერთიანობა, ცხადია ის უნდა იყოს ბუნებისათვის იმანენტური და არა ტრანსცენდენტური, „ღმერთი არის იმანენტური მიზეზი ყველა საგნების და არა მოშველი გარედან“... (იქვე 37 გ.).

ამით უკვე დამტკიცებულია ღმერთის და ბუნების იგივეობა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ცხადი თვით ღმერთის ბუნება, ამიტომ სპინოზას მატერიალისტური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით გადაწყვეტია ღმერთის დამოკიდებულება სხეულებრივი ბუნებასთან. „განფენილება წარმოდგენს ღმერთის ატრიბუტს, სხვა სიტყვებით—ღმერთი არის განფენილი საგანი“ („Этика“-66) აქედან ცხადია, რომ სხეულებრივი სუბსტანცია არ არის შექმნილი ღმერთის მიერ, ვინაიდან თვით ღმერთი არის განფენილი არსება. ცხადია ისიც რომ სხეულობა არ არის მხოლოდ მოდალობა, რომ ის არის აგრეთვე სუბსტანციალობა. სპინოზა პირდაპირ აიგივებს სხეულის შეუქმნელობის ცნებას, სუბსტანციის შეუქმნელობის ცნებასთან. უარყოფს რა აზრს სხეულების შექმნის შესახებ, ის ლაპარაკობს: „ღვთის ძღვეამოსილობის რომელი სახით შესაძლებელია მისი (სხეულის—ბ. შ.) შექმნა, იმით არ იციან სრულებით, ეს კი ნიშნავს იმას, რომ თვითონაც არ იციან რას ლაპარაკობენ, მე კი ჩემის აზრით, საკმარისად დავამტკიცე, რომ არავითარი სუბსტანცია არ შეიძლება შექმნილი იყოს სხვა რაიმეს მიერ“. (იქვე-20).

რამდენად არის ცდები სპინოზას ცნება სხეულის შესახებ მოაცილონ მატერიალობას, საჭიროა გამოვარკვიოთ მათი დამოკიდებულება. „მატერია ყველგან ერთიდაიგივეა და ნაწილები მასში შეიძლება განსხვავებოდეს ერთი-მეორისაგან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ წარმოვიდგენთ სხვადასხვა მდგომარეობაში, მაშასადამე, მისი ნაწილები განსხვავდებიან მხოლოდ მოდალურად.“ (იქვე-24) ეს დებულება არის მოყვანილი იმის დასამტკიცებლად, რომ სხეულებრივი სუბსტანცია ერთიანია და განუყოფელი. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ სხეულობა და მატერიალობა სპინოზასთვის ერთიდაიგივე ცნებებია.

ამით საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ სპინოზამ სწორედ ღმერთი დაიყვანა ბუნებამდე და ამით მოახდინა ღმერთის ნატურალიზაცია, და არა ბუნების თეოლოგიზაცია.

საინტერესოა ის გარემოება, რომ სპინოზასთვის სუბსტანციის არსებობა არ არის პრობლემატური, და თუ სპინოზა იძლევა იმის არსებობის დამტკიცებას, (მაგალითად, 1-ელი ნაწილის მერვე თეორემა, „Этика“.) ეს მხოლოდ მოჩვენებაა, ამიტომ ის თვითონ აღნიშნულ თეორემის დამტკიცებაში და სქოლიოში აღნიშნავს, რომ სუბსტანციის არსებობა უნდა იყოს ისეთივე აქსიომა, როგორც სხვა აქსიომატური დებულებანი, ვინაიდან სუბსტანცია წარმოუდგენელია.

არა არსებულად. „სუბსტანციის ბუნებას აუცილებლად ახასიათებს (присуше) არსებობა“, (Этика-6) შპსასადამე, ობიექტური რეალობა არა პრეფერენტული, არამედ არსებითად აქსიომატური გამოსავალი პრინციპია სპინოზის ფილოსოფიაში უკვე ვიცით, სპინოზას სუბსტანცია შეუქმნელია. ის არსებობს დაუსრულებლად და რამდენადაც უკანასკნელს (სუბსტანციას) ახასიათებს მატერიალობა, იმდენად მატერიალური სამყარო შეუქმნელია, ის არსებობს დაუსრულებლად.

მაგრამ არის ერთი ცნება სპინოზას ფილოსოფიაში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ღმერთისა და ბუნების დუალიზმის დასაბუთებისათვის. ეს არის ცნება *natura naturans* (ბუნება შემოქმედი, ან უკეთ მოქმედი) და *natura naturata* (ბუნება შექმნილი,) აი ეს ცნება იძლევა საფუძველს ამტკიცონ, რომ ბუნება (*natura naturata*) შექმნილია ღმერთის მიერ (*natura naturans*) მაგრამ იმის გათვალისწინების შემდეგ, თუ როგორ ახასიათებს სპინოზა ღმერთს ანუ სუბსტანციას, ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველგვარი შემოქმედება გამორიცხულია, მაგრამ გარდა ამისა არის უშუალო დამტკიცებაც იმისა, რომ *natura naturans* და *natura naturata*-ს შორის არ არის შემქნელ-შექმნილის, ე. ი. შემოქმედებითი დამოკიდებულება, რომ მათ შორის არ არის დროში მოცემული თანამიმდევრობა, არამედ ეს არის ლოგიკური თანამიმდევრობა (сделование). სწორედ ამაზე ლაპარაკობს პირველი ნაწილის პირველი თეორემა: „სუბსტანცია თავის ბუნებით უფრო პირველია, ვიდრე მისი მდგომარეობანი“ („Этика“ ст. 3). შემდეგ რამდენადაც სუბსტანცია შეუქმნელია სუბსტანციის გარეშე კი არაფერია, ცხადია, რომ ყოველი მისი ბნარე მუდმივი და დაუსრულებელია, და იმათგან თავის თავად, შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს მისი მოდუსები. რომ ეს უფრო ცხადი გახდეს, მე მოვიყვან სათანადო ადგილს „ეთიკა“-ს პირველი ნაწილიდან, სადაც უფრო პირდაპირ არის ნათქვამი *natura naturata*-სა და *natura naturans*-ს შორის დამოკიდებულების შესახებ.

„სანამ შემდეგზე გადავიდოდეთ, მე მინდა აღვნიშნო, უკეთ გაეახსენო მკითხველებს, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ *natura naturans* (ბუნება მოქმედი) და *natura naturata*-ში (ბუნება განხორციელებული). ზემოხსენებულიდან, მე მგონია, ცხადი უნდა იყოს, რომ *natura naturans*-ში ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ის, რაც არსებობს თავისთავად და წარმოდგენილი უნდა იყოს თავისთავის საშულებით (представляется само через себя), სხვანაირად—სუბსტანციის ისეთი ატრიბუტები, რომლებიც გამოხატავენ მუდმივ და დაუსრულებელ არსებას, ე. ი. ღმერთს, რამდენადაც ის განიხილება, როგორც თავისუფალი მიზეზი *natura naturata*-ში იგულისხმება ყველაფერი ის, რაც გამომდინარეობს ღმერთის ბუნების აუცილებლობისაგან, სხვანაირად თითოეული მისი ატრიბუტიდან, ე. ი. ყველა მოდუსები ღმერთის ატრიბუტებისა („Этика“ ст. 41). აქედან ცხადია, რომ *natura naturans*-ის და *natura naturata*-ს დამოკიდებულება ჩვეულებრივ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაზე ნიშნავს არსობის (сущности) და მოვლენის (явления) შორის დამოკიდებულებას, რამდენადაც სუბსტანცია, როგორც ზოგადი და მთლიანი, მოცემულია მოდუსებში. ჩვენ დავინახაეთ, რომ სპინოზას მოძღვრობაში ეს დამოკიდებულება წმინდა მეტაფიზიკურია, მაგრამ ეს მეორე საკითხია. მთელი,

სუბსტანცია ლოგიკურად წინ უძღვის თავის მდგომარეობას, მაგრამ ეს მოდუსები თავისთავად სუბსტანციის შინაგანი აუცილებლობით გაემიქმნენ რეალობის და არავეითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს შემოქმედებას. აი რატომღაც უწყვეტად ბუღლო იქნებოდა მიგვეწერა სპინოზასთვის ღმერთის ტრანსცენდენტობა და ბუნების და ღმერთის დუალიზმი რაგინდ რა ფორმისაც არ უნდა იყოს იგი.

რაც შეეხება სპინოზას ობიექტივიზმს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გარდა ზემოდ აღნიშნულისა აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ ის გარკვეულად არაფერს ერთი მეორესაგან რეალურსა და მატერიალურ (გეომეტრიულ)სხეულებს, სავსებით უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ფილოსოფიის ცნობილი ისტორიკოსის კუნო-ფიშერის აზრი, თითქოს სპინოზას გაიგივებული ჰქონდეს რეალური და ლოგიკური საფუძველი.

გადავდივარ რატარიზუტების ცნებაზე სპინოზას ფილოსოფიაში, უნდა აღნიშნო, რომ თუ სუბსტანციის საკითხში მოცემულია გარკვეული აზრები და ორაზროვნობას არა აქვს ადგილი, სპინოზას მოძღვრება ატარიზუტებზე უმკველად შეიცავს ბუნდოვანსა და ორაზროვან ადგილებს, სადაც მართლა რეალური საფუძველი აქვს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. ყოველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში ყველაზე უფრო მძლავრია საშუალო საუკუნოების და უშუალო წინამორბედების გავლენა სპინოზაზე. და მართლაც, სწორედ ამ საკითხში გამოიწვია ყველაზე უფრო მეტი დაეა სპინოზას ფილოსოფიის გაგებაში. აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად შეიძლება დაყვანილ იქნას ოთხ მომენტზე. ძალიან მოკლედ შეგვიჩვენებთ ოთხივე მომენტზე:

პირველი: ზოგი ცდილობდა გაეგო ატარიზუტები, როგორც ადამიანის განსწვრტის ფორმები, როგორც ხერხები ადამიანთა მიერ სუბსტანციის შემეცნებისა. ერთი სიტყვით, იყო ცდა სპინოზას კანტთან გაიგივებისა. თითქოს ატარიზუტები სპინოზას არ მიაჩნდა ობიექტიურ რეალობის გამოხატულებად. ამ შეხედულების ყველაზე უფრო ენერგიული წარმომადგენელი იყო ერდმანი პირველი შეხედვით თითქოს ასეთი გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს სპინოზას მიერ დასაწყისშივე მოცემული ძირითადი განმარტება. „ატარიზუტში მე ვგულისხმობ მას, რასაც გონება (გმ.) წარმოიდგენს სუბსტანციაში, როგორც მისი არსობის შემადგენელს („Матика“ ст. 2). ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სიტყვებს „გონება წარმოადგენს“. ეს დიდი გაუგებრობაა, ვინაიდან სპინოზასთვის (და ყველასათვისაც) ყველაფერს წარმოიდგენს გონება, მაგრამ სპინოზა პრინციპიალურად უარყოფდა საგნის წარმოდგენის და წარმოადგენის საგნის გაიგივებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იქნებოდა სუბიექტიური იდეალისტი.

გარდა ამისა, როგორც არა პირდაპირ არგუმენტს, იყენებენ იმ გარემოებას, რომ სპინოზამ დაუშვა ღმერთში განუსაზღვრელი დაუსრულებელი ატარიზუტები—რეალურ შესაცნობად კი მხოლოდ ორი—აზროვნების და განფენილობის. ამაში ხედავენ დიდ შინაგან წინააღმდეგობას და ცდილობენ მისგან გაანთავისუფლონ ატარიზუტების ფორმალისტური გაგებით. ამ შემთხვევაში სპინოზას უწევინ დათვურ სამსახურს.



არსებითად აქ არ არის ის წინააღმდეგობა, რომელსაც ზედინი რეჟიმები წინააღმდეგობა გამოიწვევს სპინოზის ფილოსოფიის ზოგად და მართლად ნაკლიდან—მისი მეტაფიზიკური ხასიათიდან, მაგრამ მისი მეტაფიზიკური ხასიათიდან, რომელიც წარმოადგენს დაუსრულებელს განსაზღვრულ ატრიბუტებს, ე. ი. მხარეები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც კი იქნებოდა დაუსრულებელი. ვისაც ჰგონია, რომ ამ დაუსრულებელი ატრიბუტების დაშვება ღმერთში თავისთავად შეცდომაა, მან საზოგადოდ უნდა დაუშვას სინამდვილის, ბუნების შეზღუდულობა მაგრამ რატომ არ განმარტა სპინოზამ არც ერთი სხვა ატრიბუტი, გარდა აზროვნებისა და განფენილებისა? იმიტომ რომ ვერ განმარტავდა, რადგან მისი დროის მეცნიერება მდგომარეობდა განსაკუთრებით რაციონალურ პიქოლოგიაში და მექანიკაში, რომლის საფუძველი იყო კარგად განვითარებული მათემატიკა, მაშასადამე, ერთის მხრივ მეტაფიზიკური არსებობის უარყოფითი გაგება დაუსრულებლობის, როგორც მხოლოდ თანაარსებობის და არა პროცესის, მეორეს მხრივ — თვით მეცნიერების განვითარების განსაზღვრული დონე, აი რამ განსაზღვრა სპინოზის წინააღმდეგობა აღნიშნულ საკითხში. მაშასადამე, შეცდომა არის არა მხოლოდ დაუსრულებელი ატრიბუტების დაშვება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ — ეს სწორედ წარმოადგენს ცდას ცალმხრივი მექანიკური იგივეობის დაძლევისა — არამედ მისი აბსტრაქტიული მეტაფიზიკური გაგება — აი რაში მდგომარეობს სპინოზის ნაკლი. სწორედ პირიქით, სუბსტანციის დაუსრულებლობა სწორედ მის ატრიბუტებში (არსებით მხარეებში) იყო პროგრესული, რამდენადაც ის უარყოფს ყოველგვარ გარეშე ბუნებრივ ძალების ჩარევას. სპინოზა იძლევა არსებითად დიალექტიკურ წარმოდგენას განმარტებაზე (определение) Omnis determinatio est negatio ე. ი. ყოველი განმარტება უარყოფაა იმდენად, რამდენადაც ის არის ფიქსაცია მხოლოდ გარკვეული არსებითი მომენტის, ყველა დანარჩენის გამორიცხვით. მაგრამ არსებითობა ნიშნავს შეფარდობითობას (относительность), ვინაიდან ყოველი სპეციფიურობის ცნება ჰკლვის ხშირად გარეშე დამოკიდებულებას. ამ მხრივ ღმერთში არ არის არც ერთი არსებითი მხარე, ვინაიდან მასში ყველა მხარე არსებითია, რამდენადაც მის გარეშე არ არის არაფერი, (რომელთანაც ის შეიძლება ყოფილიყო დამოკიდებულებაში), იმიტომ მისი ერთადერთი განმარტებაა განსაზღვრულობა. არსებითი მხარეების, ე. ი. ატრიბუტების დაუსრულებლობა სუბსტანცია უნდა იყოს ყოველი შესაძლებელი რეალობის შემცველი.

სწორედ ასე განმარტავს სპინოზა სუბსტანციას.

ანალოგიისათვის (მხოლოდ ანალოგიისათვის) მე მოვიყვანე ლენინის დებულებას მატერიის განმარტების შესახებ. მატერიის, როგორც ზოგადის, არსის განმარტება მდგომარეობს მის ობიექტურ რეალობაში, მაგრამ ამავე დროს მის დაუსრულებლობაში, ვინაიდან მის გარეშე არ არსებობს არავითარი რეალობა. ამასთან იგივე მატერია ამოუწურავია არა მარტო რიცხობრივად. არამედ თვისობრივადაც, და არა მარტო მთლიანობაში, არამედ ყოველ ცალკეულ მომენტში, ყოველ ცალკეულ დიდსა და პატარა ნაწილში. „ელემ-



ტრონი ისევე ამოუწურავია, როგორც თვით ბუნება. ის დაუსრულებლად არსებობს" რამდენადაც თითქმის იგივეობაა სპინოზას სუბსტანციის განმარტებისა და ლენინის მატერიის ზოგად განმარტების — ექსტენსიური-პიული წინააღმდეგობაა სპინოზას და ლენინის შორის ამ დაუსრულებლობის შინაგან მომენტების, ნაწილების დამოკიდებულებაში და სწორედ ეს გვიჩვენებს სპინოზას ფილოსოფიის ძირითად ნაკლს. სპინოზა ცდილობს აბსოლუტურად და უსრულებელი სუბსტანცია აბსოლუტურად დასრულებულ მოდუსებში წარმოადგინოს ამდენადაც აუცილებელია მათი გათიშვა — ლენინი კი აბსოლუტურად დაუსრულებელ მატერიის ყოველ ცალკეულ მომენტსაც სთელის დაუსრულებულად მოვლენათა შინაგან და არა მხოლოდ გარეგნულ კავშირის საფუძველზე. ერთი სიტყვით, სპინოზა გენიალური მეტაფიზიკოსია, ლენინი — გენიალური დიალექტიკოსი, სპინოზას გააჩნია ატრიბუტების რეალობის უშუალო დასაბუთებაცა. „ეთიკის“ პირველი ნაწილის მე-9 თეორემაში (გვ. 11) სპინოზა ამტკიცებს, რომ, „რამდენადაც უფრო მეტი რეალობა ან არსება აქვს ამა თუ იმ საგანს მას იმდენად უფრო მეტი ატრიბუტებიც აქვს“. მაშასადამე, ზემოდ განხილული ცდა ატრიბუტების ფორმალურ-სუბიექტივისტური ინტერპრეტაციისა უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს.

მეორე: არის ცდა ატრიბუტები გაიგონ, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციები. ასეთი ცდა აქვს წარმოდგენილი მაგალითად რობინსონს თავის წიგნში, „სპინოზას მეტაფიზიკა“. ის სცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს უფრო პატარა სუბსტანციები — ატრიბუტები მექანიკურად იყრიან თავს განუსაზღვრელ მთლიან სუბსტანციაში. ცხადია, რომ ასეთი შეხედულობა უცხოა სპინოზას-თვის, რომელიც ამტკიცებს, რომ სუბსტანცია ერთადერთი, განუყოფელი და განუსაზღვრელია. რამდენადაც „სუბსტანცია აბსოლუტურად დაუსრულებელი გაუყოფელია“, („Этика-17“) ამდენად არ შეიძლება არსებობდეს სრავალი სუბსტანცია.

მესამე: იყო აგრეთვე ცდა სპინოზას ატრიბუტები გაეგოთ როგორც ძალა. ასეთ შეხედულებას იცავს მაგალითად კუნო ფიშერი. მაგრამ ესეც არ გამოხატავს ქეშმარიტებას, ვინაიდან სპინოზამ არსებითად უარპყო საშუალო საუკუნოების მეტაფიზიკური ძალები. მისთვის არსობა (сущность) და მოქმედება ერთი-მეორეს ემთხვევიან მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების მხრივ. რაც ეს სრულებით არ ნიშნავს რაღაც მისტიურ ძალას, რომელიც უკუნითვე ახასიათებს სუბსტანციას.

მეოთხე: იყო აგრეთვე ცდა განსაკუთრებით დებორინის ჯგუფის წარმომადგენლების მიერ სპინოზას ატრიბუტების გაიგივებისა ქვალიტეტის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებასთან. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაზე უფრო უპატივბელი შეცდომაა, სპინოზას ატრიბუტი წარმოადგენს აბსოლუტურად ერთმხრივ, ერთბიანი ზოგადობას და ამ ერთმხრობაში დაუსრულებელს, ქვალიტეტი კი სულ სხვაა. ის არის სპეციფიურობა, გარკვეულობა, სტრუქტურული ფორმა, მაგრამ არა იგივეობა, ე. ი. ერთმხრივობა, არამედ მრავალსახიანობის მთლიანობა. რამდენადაც ატრიბუტი მხოლოდ და მხოლოდ ერთმხარეს გამოხატავს სუბსტანციისას, ის უფრო ვიწროა ქვალიტეტზე, რამ-

დენადაც ის ამ ერთმხრივობაში დაუსრულებელია (სპინოზას ტერმინოლოგიით — დაუსრულებელი в своем роде), ის უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე ქვალიტეტი მაგრამ მათ შორის არის კიდევ უფრო დამაჯერებელი, ვიდრე უფრო ელემენტარული განსხვავებაც. სპინოზას ატრიბუტი გამოხატავს სუბსტანციის მარადიულს, უცვლელს, ერთხელდასამუდამოდ მოცემულ არსებას „ყველა ატრიბუტები, რომლებიც აქვს მას (ე. ი. სუბსტანციას პ. შ.) ყოველთვის არსებობდნენ მასში ერთად და შეუძლებელია ერთი მათგანი წარმოშობილიყო მეორეს მიერ („Этика“, II), ქვალიტეტი კი არის ის ტორიული, კონკრეტული, რომელსაც დასაწყისიც აქვს და ბოლოც (წარმოშობა და მოსპობა).

რას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში ატრიბუტის ცნება სპინოზას ფილოსოფიაში?

ნაწილობრივ ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია ზევით. ატრიბუტი არის მარადიულ და უცვლელ სუბსტანციის ერთი—მხოლოდ ერთი—მხარის გამოხატულება. როგორც უკვე აღნიშნულია, ატრიბუტის დაუსრულებლობა არის მოცემული მხოლოდ ერთმხრივ და სწორედ, ამიტომ სპინოზა განმარტავს მას, როგორც დაუსრულებელს თავისებურად (в своем роде) და არა აბსოლუტურად დაუსრულებელს, რასაც წარმოადგენს სუბსტანცია. ატრიბუტი არის ზოგადობა, მაგრამ ზოგადობა ცალმხრივი, ერთტიპიანი, რაც ნიშნავს ერთი გარკვეული თვისების (существо) დაუსრულებელ პროგრესიას. ამიტომ ატრიბუტები არ გადადიან (შინაგანი კავშირის თვალსაზრისით) ერთი მეორეში. „ყოველ ატრიბუტის მოდუსებს აქვს თავის მიზეზად ღმერთი, რამდენადაც ის განიხილება მხოლოდ იმ ატრიბუტის ქვეშ, რომლის მოდუსსაც ის წარმოადგენს და არა სხვა რომელიმესი“ (id გვ. 70). სწორედ აქ მოსჩანს ყველაზე უფრო მკაფიოდ მთელი სისტემის მეტაფიზიკური ხასიათი, რაც სპინოზას მონიშნს აძლევს შეტად განყენებულ სახეს. სუბსტანცია უცვლელია, მარადიულია, მაშასადამე მას აქვს უცვლელი მრადიული მხარეები ან არსობანი, რომლებიც ამავე დროს უნდა გადადიოდნენ გარდამავალ ცვალებად ერთეულ (единичные) ნივთებში. სწორედ ეს აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური ხასიათი სპინოზას მონიშნისა აძლევს საბუთს მთელ რიგ ინტერპრეტაციებს — მაგ. კუნო ფიშერს, ჩელპანოვს და სხვა, აზროვნების და განფენილების დუალიზმი (მსიქო-ფიზიკური პარალელიზმი) დაასაბუთონ სპინოზას ფილოსოფიაში.

კუნო ფიშერი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ამ საკითხში სპინოზა, დარჩა კარტეზიანელი თავიდან-ბოლდე, მაგრამ თუ ამ გადამწყვეტ საკითხში სპინოზა დარჩა კარტეზიანელი, მაშინ ის მთლად კარტეზიანელი ყოფილა და მის ფილოსოფიას არ უნდა ახასიათებდეს მონიზმი. მე შევეცდები დავამტკიცო, რომ ეს სრულებით არ არის ასე და ვინც სპინოზას აწერს ფსიქოფიზიკურ პარალელიზმს, ის ამახინჯებს მის ფილოსოფიას.

რით ასაბუთებს, მაგალითად, კუნო ფიშერი თავის შეხედულებას? ის მიგვითითებს „ეთიკის“ მეორე ნაწილის მე-5-ე და მე-6-ე თეორიებზე. როგორც ამის თვალსაზრისით საბუთზე, რადგან მე-6-ე თეორიემა სწორედ ახლა მოვიყვანეთ ზევით, მას აღარ განვიმეორებ და მოვიყვან მე-5-ე თეორიემას. არც ერთი და, არც მეორე არ ამტკიცებს ფიშერის დებულებას: „იდეების ფორმალურ

ყოფადობას აქვს თავის მიზეზად ღმერთი მხოლოდ რამდენადაც ის განიხილება როგორც მოაზროვნე არსება და არა სხვა რომელიმე ატრიბუტის ქვეშ („Мѣтѣна“ ч. II, 68) ამით მტკიცდება მხოლოდ ის, რომ ყველა მოდუსებში ფორმალური საფუძველი არის სათანადო ატრიბუტებში, როგორც სუბსტანციის არსობის უშუალო გამოხატულებებში. სხვანაირად არც შეეძლო ეთქვა მეტაფიზიკოსს სპინოზას, რამდენადაც სუბსტანცია და მისი არსება დროის გარეშეა, რამდენადაც ის უცვლელია, მაშასადამე, რამდენადაც უარყოფილია ისტორიული წარმოშობა.

მაგრამ სწორედ ისე, როგორც სხვადასხვა ატრიბუტები შეადგენენ სუბსტანციასი განუყრელ ერთიანობას, რეალურ არსებობაში (ფორმალური ყოფადობისგან განსხვავებით) სხვადასხვა ატრიბუტების მოდუსები შეადგენენ განუყრელ ერთიანობას, მთლიანობას ცალკეულ ნივთებში. სწორედ ამ პრინციპებზეა აშენებული, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სპინოზას წმინდა მატერიალისტური ფსიქოლოგია. ამდენად რეალურად იდებებს არა აქვთ დამოუკიდებელი არსებობა. ისინი დაკავშირებულნი არიან სხეულებთან, როგორც თავიანთ განუყრელ და აუცილებელ შინაარსთან და არსებითად გაპირობებულნი არიან მათ მიერ. ამაზე თვითონ სპინოზა გარკვეულად ლაპარაკობს სწორედ უშუალოდ იმ თეორემების შემდეგ, რომლებსაც კუნო-ფიშერის აზრით უნდა დამტკიცებია ფსიქოფიზიკური პარალელიზმი „იდეათა კავშირი და წესრიგი იგივეა, რაც საგანთა კავშირი და წესრიგი“ (теор. 7, ч. II, ст. 70). ამავე თეორემის სქოლიოში ის უფრო გარკვეულად ლაპარაკობს ამ საკითხზე. „სუბსტანცია მოაზროვნე და სუბსტანცია განფენილი შეადგენენ ერთდამივე სუბსტანციას, ერთ შემთხვევაში წარმოდგენილს ერთი ატრიბუტის ქვეშ, მეორე შემთხვევაში— მეორე ატრიბუტის ქვეშ. სწორედ ასევე განფენილების მოდუსი და ამ მოდუსის იდეა შეადგენენ ერთდამივე საგანს მხოლოდ ორ სახეში (ფორმაში. პ. შ.) გამოხატულს („Мѣтѣна“ 70).

ამდენად სპინოზა სრულებით არ ეწინააღმდეგება თავის თავს, როცა ის აღიარებს სულს და სხეულს ერთდამივე ინდივიდუუმში. „სული და სხეული წარმოადგენს ერთდამივე ინდივიდუუმს, წარმოდგენილს ერთ შემთხვევაში აზროვნების ატრიბუტის ქვეშ, მეორე შემთხვევაში განფენილების ატრიბუტის ქვეშ“. „Мѣтѣна“ ст. 98). სულის და სხეულის (აზროვნების და განფენილების ატრიბუტების მოდუსების) დამოკიდებულების წარმოდგენა, როგორც ერთ ინდივიდუუმში მოცემულას, როგორც ამ ინდივიდუუმის ნაწილებს, ნიშნავს მათი განუყრელი რეალური კავშირის აღიარებას. ზემოთ თქმულის შემდეგ, ვფიქრობ იქვი არ უნდა დარჩეს სპინოზას ფილოსოფიაში აზრის და არსის დუალიზმის შესახებ.

ამავე დროს ზემოთ აღნიშნული იძლევა ხელახალ არგუმენტს ატრიბუტის ცნებას ზეენს მიერ მოცემულ ინტერპრეტაციის სასარგებლოდ. ე. ი. ატრიბუტები, როგორც ფორმალური ზოგადობა ერთტიპიან, ერთმხრივ თვისებებისა სუბსტანციაში, რადგანაც რეალურ საგნებში სხვადასხვა ატრიბუტების მოდუსები განუყრელად დაკავშირებულნი არიან ერთი-მეორესთან. მაგალითად, იდეას, როგორც ფორმას, აქვს თავისი არსება აზროვნების ატრიბუტში, მაგრამ იდეის

შინაარსი ყოველთვის მოცემულია ობიექტურ სხეულებში. „იდეის ობიექტი არის სხეული... და სხვა არაფერი“, ან და „სულის იდეა, ე.ე. იდეის იდეა, სხვა არაფერია, გარდა იდეის ფორმისა, რამდენადაც ის განიხილება როგორც აზროვნების მოდუსი ობიექტისაგან დამოუკიდებლად“ („Этика“-80) ახლა გადავიდეთ მოდუსების ცნებაზე სპინოზას ფილოსოფიაში:

„მოდუსში მე ვგულისხმობ სუბსტანციის მდგომარეობას—სხვანაირად, იმას, რაც არსებობს სხვაში და წარმოიდგინება სხვაში“. (Этика стр. 2) აქ მაშინვე იბადება კითხვა მოდუსების და ატრიბუტების დამოკიდებულების შესახებ სპინოზას ფილოსოფიაში. პირველი შეხედვით საფიქრებელია, რომ პირველად სუბსტანცია გადადის ატრიბუტში, შემდეგ კი ატრიბუტი მოდუსში, მაგრამ უკვე მოყვანილი განმარტება მოდუსებს სთვლის „სუბსტანციის მდგომარეობად“. აქ უნდა ვაგვას ხაზი იმ გარემოებას, რომელიც ჩვეულებრივ ყურადღების გარეშე რჩება ან გაუგებელი რჩება, სახელდობრ მოდუსის ორნაირ გაგებას სპინოზას ფილოსოფიაში. მოდუსის ერთი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს სუბსტანციის რომელიმე ცალკეულ ატრიბუტის მოდიფიკაციას—ამ შემთხვევაში ის უდრის ცალკეულ საგნის რომელიმე თვისებას. სპინოზა არსად არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ცალკეულ ნივთებს შეიძლება ჰქონდეს მრავალი მხარეები ან თვისებები, თუმცა რაოდენობით მაინც განსაზღვრული მეორე მნიშვნელობით მოდუსი უდრის უკვე ცალკეულ ნივთს, რომელშიც მოცემულია ორი ან რამოდენიმე ატრიბუტის მოდიფიკაცია—ამდენად ის არ არის ატრიბუტის მოდიფიკაცია არამედ ის არის ამ შემთხვევაში სუბსტანციის მორფიკაცია. მაშასადამე ცალკეულ ნივთში რეალურ კავშირში იმყოფებიან სხვადასხვა ატრიბუტების მოდუსები, მაგალითად ადამიანი, როგორც სუბსტანციის მოდუსი, შეიცავს ორი ატრიბუტის—აზრობისა და განფენილების—მოდუსებს.

ზოგიერთები (მაგ. კუნო ფიშერი) აქაც ხედავენ შინაგან წინააღმდეგობას სპინოზას ფილოსოფიაში. ერთის მხრივ სუბსტანციას აქვს დაუსრულებელი ატრიბუტები—მეორე მხრივ ყოველ ცალკეულ ნივთში მოდუსების რაოდენობა განსაზღვრულია. გამოდის, რომ სუბსტანცია არა ყოველმხრივ, არის გამოვლენილი მოდუსში. მაგრამ განა ეს კანონიერი მოთხოვნილებაა, რომ ცალკეულმა ნივთმა მთლიანად ამოსწუროს მთელი ბუნება? მართალია, აქ საკითხს დიალექტიკურად მიუდგებით, როგორც შემოთ იყო აღნიშნული, ყოველი ცალკეული დაუსრულებელია, რამდენადაც ის მოცემულია დაუსრულებელ კავშირში მთელთან, მაგრამ თავისთავად აღებულები, ის მხოლოდ ნაწილია მთელის და ამდენად მისი მთლიანად გამოხატვა არ შეუძლია. მით უფრო უკანონოა ასეთი მოთხოვნის წამოყენება მეტაფიზიკური სისტემის წინაშე, რომელსაც, როგორც ზემოდ აღვნიშნე, არ ჰქონდა გათვალისწინებული ცალკეული საგნების ერთი მეორეში უშუალო გადასვლა (კავშირი) და გამოდის მათი გარეგნული კავშირიდან. რომ სპინოზას ცალკეული ნივთებისათვის მიენიჭებია დაუსრულებელი მხარეები, ისინი მართლა გადიქციოდენ სუბსტანციებად, რაც ეწინააღმდეგება სპინოზას სისტემას. ამდენად დაუსრულებელი სუბსტანცია შეიძლება მოცემულ იქნეს დაუსრულებელ მოდუსებში.

გარდა ამისა სურთ წინააღმდეგობა დაინახონ იმაშიც, რომ სპინოზას თვალსაზრისით ყოველი ატრიბუტი უნდა იქნეს წარმოდგენილი, შემეცნებელი თავის „თავიდან, თავის“, თავის მეოხებით (იხ. *Teor. 1<sup>ა</sup> მუხლი „შემატება“* — *ct. 10*) და ამავე დროს, აზროვნების მოდუსის საშუალებით უნდა იქნეს შემეცნებელი განფენილი სხეულები. ერთი სიტყვით, მსურთ სპინოზას მოყვანილი დებულებიდან გამოიყვანონ გარეშე საგნების შეუცნობლობა ე. ი. უნდათ სპინოზას დაუმტკიცონ აგნოსტიციზმი, მაგრამ უბრალო გააზრებაა საჭირო, რათა ცხადი გახდეს, რომ სპინოზას აქ არ ახასიათებს არავითარი წინააღმდეგობა, ვინაიდან შემეცნება თავისი თავიდან (*ყვერ ცენგ*) სრულებით არ ნიშნავს სხვის მიერ შემეცნების შეუძლებლობას. შემეცნება თავის-თავიდან ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შესაცნობი ობიექტი თავის საფუძველს, თავის განმარტებას თავისივე ფარგლებში შეიცავს, მაგ. მოდუსის — ადამიანის სული — შეიცნობს ატრიბუტს მისივე საშუალებით, მისივე შინაგანი არსებიდან და არა სხვა ატრიბუტიდან ან, მით უმეტეს, მოდუსიდან. მხოლოდ ამნაირად უნდა გავიგოთ ზემოთ მოყვანილი დებულება და არა ისე, თითქოს ან ყველა ნივთი თავს შეიცნობს, ან ნივთები საზოგადოდ შეუცნობელია. რამდენადაც რომელიმე ნივთი ანუ მოვლენა თავისი ახსნა-გაგებებისათვის არ გულისხმობს სხვა ნივთს ან მოვლენას, ლაპარაკობენ, რომ ის შეიცნობა თავის თავით, მაშასადამე აქ კი არ უნდა ვეძიოთ წინააღმდეგობა სპინოზას ფილოსოფიისა, არამედ იმ მიმართულებით, რომელიც სწორედ ახლა იქნება გამორკვეული.

მოდუსი წარმოადგენს აბსოლუტურად გარეშედან გაპირობებულს; მაშასადამე მას აქვს თავის არსებობის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ თავისი თავის გარეშე. ყოველი ცალკეული საგანი გაპირობებული (*ობსლოვლენ*) მეორე ცალკეული საგნით, მეორე-მესამით, მესამე-მეოთხით და ასე დაუსრულებელიე. რამდენად აღიარებულია მხოლოდ გარეგნული კავშირი ცალკეულ საგნების შორის და აბსოლუტურად უარყოფილი ყოველგვარი უშუალო, შინაგანი კავშირი მათ შორის, მათი ურთ-ერთ შეჭრა, მაშასადამე უარყოფილი ყოველგვარი შინაგანი საფუძველი მათი არსებობისა „ღმერთის მიერ შექმნილ საგანთა არსება არ შეიცავს არსებობას“ (*მთიკა 36*) სრულებით გაუგებარია. როგორ იხსნება ეს ცალმხრივი გაპირობების ყალბი დაუსრულებლობა სუბსტანციაში, როგორც თავის თავის მიზეზში (*causa sui*), სადაც უკვე მთლიანად ემთხვევა ერთი მეორეს არსებობა და არსება („ღმერთის არსებობა და მისი არსება—ერთი და იგივე“) („*მთიკა*“ *ct. 32*). როგორც ხედავთ, აქ არ არის არავითარი უშუალო ვადასვლა დასრულებულიდან (*კონეჩიოე*), დაუსრულებელზე, ნაწილიდან მთელზე და პირუკულმა, მათ შორის ჩნდება მეტაფიზიკური გარღვევა (*პაპრავ*). მართალია, სპინოზა ცდილობს მათ შორის დაამყაროს კავშირი, ე. წ. დაუსრულებელი მოდიფიკაციების მეოხებით, მაგრამ ისინი ვერ ხსნიან გადამწყვეთ წინააღმდეგობას ამ პუნქტში, ვინაიდან დაუსრულებელი მოდიფიკაცია არსებითად სხვა წოდებაა ატრიბუტისათვის, რამდენადაც უკანასკნელში გამოხატულია ცალკეული დაუსრულებელი მხარე სუბსტანციისა და სწორედ მათი ატრიბუტების მოდიფიკაციის მთლიანობა შეადგენს ცალკეულ ნივთებს. ამდენად აღნიშნულ

ცნობით მაინც არ მყარდება უშუალო შინაგანი გარდასვლა ცალკეული შორის და, მაშასადამე, ცალკეულთა და მთელს ე. ი. სუბსტანციის შორის.

კიდევ უფრო თვალსაჩინო ფორმაში იჩენს თავს აღნიშნული მეტაფიზიკური გარღვევა სუბსტანციის აბსოლუტურ გაუყოფლობაში და მოუხერხებელი გაყოფაში (неделимость). სუბსტანციის გაუყოფლობის თეორემა უკვე მოყვანილი იყო ზემოთ, აქ კი მოვიყვანო მეტად დამახასიათებელ ადგილას: „წყალი, რამდენადაც ის არის წყალი, იყოფა და მისი ნაწილები სცილდება ერთიმეორეს, მაგრამ ეს შეუძლებელია მისთვის, რამდენადაც ის არის სხეულობრივი სუბსტანცია, ვინაიდან, როგორც ასეთი, მას არ აქვს უნარი არც გაყოფისა და არც გათიშვისა“ „წყალი, როგორც წყალი, წარმოიშობა და ისპობა, როგორც სუბსტანცია კი, ის არც წარმოიშობა და არც ისპობა“ („Этика“ გვ. 24) ამ რიგად, სუბსტანცია, სხვანაირად — საყოველთაო არსობა საგნებისა მეტაფიზიკურად სცილდება უკანასკნელთ და თუ მიუხედავად ამისა სპინოზას სუბსტანცია მაინც წარმოადგენს საგანთა იმანენტურ არსობას, ეს დებულება სრულებით არ არის დასაბუთებული მეთოდოლოგიურად მის ფილოსოფიაში. სუბსტანცია გარდასულია რაღაც აბსოლუტში, რომელიც უძრავი, უცვლელი და გაუყოფელია და ამავე დროს უნდა იყოს შინაარსი ყოველი არსებულის. მაგრამ სრულებით უმართებულო იქნება სპინოზას სუბსტანციის იდეალიზაცია, როგორც ამას ხშირად სჩადიან საბჭოთა ბანაკიდანაც (მაგალ. აქსელროდი და სხვა). ზემოდ მოყვანილი დებულებების გარდა შეიძლება აქ მოვიყვანო მეტად საინტერესო ადგილი რომელიც ნათელყოფს, რომ გაუყოფლობა (неделимость) სრულებით არ წარმოადგენს რაღაც მისტიურ თვისებას და ნიშნავს მხოლოდ განუწყვეტელ არსებობას სივრცეში, სუბსტანციალურ დისკრეტობის უარყოფას ცარიელ სივრცის უარყოფის საფუძველზე. ამართლაც და, რ. მ. სხეულობრივი სუბსტანცია იყოფოდეს იმ სახით, რომ მისი ნაწილები ნამდვილად ყოფილიყო განსხვავებული, მაშინ რატომ არ შეიძლებოდა განადგურებულყო ერთი ნაწილი იმ დროს, როცა სხვები როგორც წინა დარჩებოდნენ ერთ-მეორესთან შეერთებაში, რატომ უნდა იყოს ისინი ერთ-მეორესთან დაკავშირებული იმ სახით, რომ მათ შორის არ უნდა იყოს ცარიელი სივრცე ნივთები, ერთი-მეორესაგან რეალურად განსხვავებულნი, მართალია, შეიძლება არსებობდნენ და დარჩენ თავიანთ მდგომარეობაში ერთი მეორის. დამოუკიდებლად, მაგრამ ვინაიდან ცარიელი სივრცე არ არსებობს... ყველა ნაწილები უნდა იყვნენ შეერთებული იმ სახით, რომ მათ შორის არ უნდა იყოს დარჩენილი ცარიელი სივრცე — აქედან გამომდინარეობს, რომ მისი ნაწილები რეალურად (ე. ი. სუბსტანციალურად — პ. შ.) არ შეიძლება განსხვავებულდნენ ერთ-მეორისაგან, რომ სხეულობრივი სუბსტანცია, რამდენადაც ის სუბსტანციაა, არ შეიძლება იყოფოდეს („Этика“ ст. 24).

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ნამდვილი წინააღმდეგობანი სპინოზას ფილოსოფიისა სწორედ მისი არა-დიალექტიურობაშია მთლიანად, თუმცა მთელი რიგი საკითხების გაგებაში (სუბსტანცია, როგორც ცალკე მხარეების მთლიანობა, თავისუფლება, როგორც შინაგანი აუტოლებლობა და სხვა) მასში არის „დიალექტიკის შესანიშნავი ნიმუშები“ (ენგელსი).

თვითონ სპინოზა ალბათ გრძნობდა წინააღმდეგობას სუბსტანციის და მოდუსების დამოკიდებულებაში, რამდენადაც ის „ეთიკის“ მეორე ნაწილში კვლავ უბრუნდება ამ საკითხს. ასე, მაგალითად, მე-45-თე თეორემაში ის უბრუნდება შემდეგს: „ყოველი იდეა სხეულის ან ცალკეულ ნივთის, ნამდვილად (აქტუალურად) არსებულის შეიცავს ღმერთის მარადიულ დაუსრულებელ არსებას („Этика“ ст. 123) ცხადია, რომ ამ დაუსრულებელი არსებას ცალკეული ნივთი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ ეს დებულება მაინც ეწინააღმდეგება ზემოთმოყვანილ დებულებას მოდუსების აბსოლუტურ დამოკიდებულების და გარეგნული განსაზღვრის შესახებ.

ამ წინააღმდეგობას გრძნობს სპინოზაც და ცდილობს იგი მოხსნას. მოყვანილი თეორემის სკოლიოში ის ლაპარაკობს: „თუცა ყოველი ცალკეული ნივთი განისაზღვრება არსებობისათვის მეორე ცალკეული ნივთით, მაგრამ ამავე დროს ძალა, რომლითაც თითოეული მათგანი განმტკიცება თავის არსებობაში გამომდინარეობს ღმერთის ბუნების მარადული აუცილებლობისაგან“ („Этика“ ст. 124). ამ დებულებით სპინოზა ერთხელ კიდევ ცდილობს გააბას ხიდი მოდუსებიდან სუბსტანციისაკენ და პირუტყლმაც, მაგრამ აქ მაინც რჩება მეტაფიზიკური გარღვევა, რომელიც მაშინვე იჩენს თავს, როცა ჩვენ მიუღვებით სპინოზას ფილოსოფიას მარქსისტული ანალიზით. მოდუსები იმყოფებიან მოძრაობაში და ცვალებადობაში, სუბსტანცია უძრავი და უცვლელია, მოდუსები არსებობენ დროში, სუბსტანცია კი დროის გარეშე, რამდენადაც მარადიულობა ესმის სპინოზას არა როგორც დაუსრულებელი ხანგრძლიობა, არამედ როგორც გამოირიცხვა ყოველგვარი როდის, ან უწინ, ან შემდეგ, აქედან სპინოზას წმინდა მეტაფიზიკური დებულება (გარკვეულად გამოთქმული ჩირნაჰუზენის მიმართ ერთ ერთ წერილში), რომ სამყარო თავის მთლიან ფორმაში—Sub specie aeternitatis,—უცვლელი და უძრავია ცალკეული ნივთების დაუსრულებელ ცვალებადობასთან. მოყვანილი დებულება დამახასიათებელია ყოველგვარი მეტაფიზიკის. უცვლელი არსობის აღიარება ცვალებად მოვლენებთან, მაგრამ ამ საკითხშიც სპინოზას ახასიათებს გარკვეული თავისებურება და ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ, თუ როგორ ესმის სპინოზას მოყვანილი დებულება. ამისათვის საჭიროა შევჩერდეთ სხეულის მოდუსის ცნებაზე.

სხეულები წარმოადგენს გამყენილების მოდუსებს. როგორც მოდუსები, ისინი ცალ ცალკე წარმოადგენენ გაყოფილად არსებულებს. ასე ევლინებიან ისინი შეგრძნებას, მაგრამ გონება აღმოაჩენს მათში ზოგადობას, „ყველა სხეულებს აქვთ ურთი-ერთშორის რაღაც საერთო“ („ეთიკა“, 83). მაგრამ რით განსხვავდებიან ისინი? „სხეულები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან თავიანთი მოძრაობით და არა სუბსტანციალობით“ (იქვე). აქ ვინმე მოდერნისტს შეუძლია სპინოზა გამოაცხადოს დიალექტიკოსად, რამდენადაც ის ანსხვავებს ნივთებს მოძრაობის მიხედვით.

მაგრამ, როგორც იყო აღნიშნული, სუბსტანცია, როგორც ზოგადი, მეტაფიზიკურად გაეთიშა თავის მოდუსებს, რამდენადაც ცალკეული ნივთი აბსოლუტურად მოკლებულია დამოუკიდებლობას და ის მხოლოდ გარეგნულად ეზიარება (причастно) მთელს სუბსტანციას. მეორე მხრივ, თვით მოძრაობა სპინოზას



ესმის წმინდა მექანიკურად. „სხელი მოძრაეი ანუ უძრაეი უნდა განისაზღვროდეს მოძრაობისათვის ანუ უძრაობისათვის მეორე სხელით, რომელიც თავის რიგში, განსაზღვრულია მოძრაობისაკენ ან უძრაობისაკენ მესამე სხელით და სხეულსრულელებივ („ეთიკა“ გვ. 83). ამავე დროს, რაც მთავარია, თვით მოძრაობა არა სუბსტანციალურია, რომდენადაც უკანასკნელი უძრავია, არამედ მხოლოდ აკციდენტურია. ამ საკითხში სპინოზას არ ახასიათებს საბოლოო გარკვეულობა, და რომ ეს ასეა, ამას ვნახავთ შემდეგიდან. ზემოდ მოყვანილი დებულება მექანიკური მოძრაობის შესახებ ეხება უმარტივეს სხეულებს. „ყველაფერი— ზემოდ-თქმული ახასიათებს მხოლოდ უმარტივეს სხეულებს, სახელდობრ იმ სხეულებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან მოძრაობით და უძრაობით“. სწორედ აქ სჩანს, რომ სპინოზას არ დაუძლევია ატომიზმი, მიუხედავად ცარიელი სივრცის უარყოფისა და მისგან გამომდინარე სუბსტანციის გაყოფის უარყოფისა. ეს ვასაგებიცაა, რომდენადაც თვით ეპოქა, მაშინდელი მეცნიერების მდგომარეობა არ იძლეოდა მისი დაძლევის შესაძლებლობას. ატომიზმი ახასიათებდა არა მარტო მატერიალიზმს, არამედ იდეალიზმსაც, მაგ. ლეიბნიცის მონადოლოგია წარმოადგენს იდეალისტურად გადაბრუნებულ ატომისტიკას. ამ შემთხვევაში ატომიზმის დაძლევის ცდილობს სპინოზა რთული ინდივიდუულის ცნების მეოხებით, მაგრამ ეს ცდა ვერ გამართლდებოდა, თუმცა ამ მიმართულებით სპინოზამ მოგვცა მთელი რიგი საინტერესო აზრებისა. საბოლოოდ სირთულე და ინდივიდუალობა არ მიდის მექანიკის აგრეგატის ცნების იქით. აი, მაგალ. როგორ განმარტავს სპინოზა ინდივიდუუმს: „თუ რომდენი სხეულები ერთნაირ ან განსხვავებულ სიდიდისა შევიწროებულნი არიან სხვა სხეულების მიერ ურთიერთ შეხებაში, ანდა თუ ისინი მოძრაობენ ერთნაირ ან სხვადასხვანაირ სისწრაფით ისე, რომ გარკვეული სახით აძლევენ ერთი მეორეს თავიანთ მოძრაობას— მაშინ ჩვენ ვიტყვი, რომ ასეთი სხეულები შეერთებულნი არიან ერთი მეორესთან და ყველა ერთად შეადგენს ერთ სხეულს ან-და ინდივიდუუმს, რომელიც განსხვავდება სხვებისაგან ამ სხეულთა კავშირით“ („ეთიკა“, 86). რით განსხვავდება ასეთი ინდივიდუუმი უმარტივესი სხეულისაგან? იმით, რომ ამ უკანასკნელში მოძრაობა მთლიანად შეცვლას (რა თქმა უნდა, მექანიკურ შეცვლას) ნიშნავს, პირველის შიგნით შეიძლება იყოს მოძრაობა და ცვალებადობა მისი მთლიანად უცვლელობის საფუძველზე. და ეს უნარი მით უფრო მეტია, რაც უფრო რთულია ინდივიდუუმი. განსაკუთრებული ინტერესის გამო მე უნდა მოვიყვანო აქ ერთი მეტად გრძელი ციტატა: „აღნიშნულიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი სახით შეუძლია რთულ ინდივიდუუმს განიცადოს სხვადასხვაგვარი მდგომარეობა ამავე დროს თავისი ბუნების შენარჩუნებით. ამასთან, აქამდე ჩვენ ვიღებდით ინდივიდუუმს, შემდგარს ისეთი სხეულებისგან, რომლებიც ერთი მეორისაგან განსხვავდებიან, მხოლოდ თავიანთი მოძრაობით და უძრაობით, სიჩქარით და სინელით, ე. ი. ინდივიდუუმს, შემდგარს უმარტივესი სხეულებისაგან. თუ ახლა ავიღებთ სხვა ინდივიდუუმს, რომელიც შესდგება რამოდენიმე სხვადასხვა ბუნების ინდივიდუუმისაგან, მაშინ დავინახავთ, რომ მას შეუძლია განიცადოს კიდევ სხვა მრავალი მდგომარეობა თავისი ფორმის შენარჩუნებით, ვინაი-



დან თითველ მის ნაწილს შემდგარს მრავალი სხეულებისაგან, შეუძლია თავის ბუნების შეუცვლელად იმოძრაოს უფრო სწრაფად და უფრო ნელად და მასადავ, გადასცეს თავიანთი მოძრაობა სხვა ნაწილებს ხან უფრო ნელად და ხან უფრო ნელად. და თუ განვაგრძობთ ასე დაუსრულებლად დაუსრულებლად გავაგრძობთ, რომ მთელი ბუნება წარმოადგენს ერთ ინდივიდუუმს, რომლის ნაწილები დაუსრულებლივ იცვლებიან მრავალი სახით, თვით მთელი ინდივიდუუმის ყოველგვარი ცვალებადობის გარეშე“ („ეთიკა“, 87—88). აქედან სჩანს თუ როგორ ესმოდა სპინოზას უცვლელი სუბსტანცია ცვალებადი მოდუსებში, თუ როგორ იჭრება სუბსტანცია შიშინაგანი განსხვავების მომენტი და როგორ იჭრება მასში აგრეთვე მოძრაობა, მაგრამ ეს მომენტი შემდგომ არ განაწილდება, უკეთვე განაწილდება სპინოზამ (თუმც ის ბევრჯერ უბრუნდება მოძრაობის საკითხს და გამოსთქვამს მის შესახებ მეტად ღრვა აზრებს) თორემ საბოლოოდ არ მივიღებდით მეტაფიზიკურ, უძრავ და უცვლელ სუბსტანციას, რომელსაც ადგილი აქვს სპინოზას ფილოსოფიურ სისტემაში.

სანამ გადავიდოდე შემეცნების პრობლემაზე—მოკლეთ მინდა შევეჩრდე სულისა და სხეულის დამოკიდებულებაზე და ე. წ. ჰალოზოზმის საკითხზე სპინოზას სისტემაში. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი სპინოზას თვალსაზრისით არის ცალკეული ნივთი, მოდუსი და ამდენად ბუნების ნაწილი. ის მოკლებულა სუბსტანცილობას, „ადამიანის არსებას არ ახასიათებს სუბსტანცილობა“ („Этика“, ст. 76)-ის შესდგება ორი ატრიბუტის—აზროვნებისა და განფენილობის—მოდუსისაგან. სული ანუ აზროვნების მოდუსი არსებითად დამოკიდებულია თავის სხეულისაგან, რამდენად მისი მდგომარეობა ყოველთვის განსაზღვრულია ობიექტიური სხეულების მდგომარეობით, „სული შეიცნობს თავის თავს მხოლოდ იმდენად, რამდენად ის ითვისებს სხეულის მდგომარეობის იდეებს“ („Этика“ გვ. 99). ეს საკითხი უფრო ნათლად ირკვევა საყოველთაო გასულოვნების საკითხთან დაკავშირებით. ცალკეული ნივთები სპინოზას სისტემაში არ დაიყვანება მხოლოდ განფენილების მოდიფიკაციაშივე ისევე, როგორც სუბსტანცია არ დაიყვანება მხოლოდ განფენილობაზე. როგორც აღნიშნული იყო, ადამიანში აზროვნებისა და განფენილობის მოდუსები რეალურ მთლიანობაშია მოკეპული. რამდენადაც ცალკეული ნივთები ერთურთისაგან განსხვავდებიან მათი განსხვავებაც უნდა ყოფილიყო დაყვარებული არა მარტო ერთი და იმავე ატრიბუტის სხვადასხვა მოდიფიკაციებზე, არაჟედ სხვადასხვა ატრიბუტების მოდიფიკაციებზე, მაგრამ სპინოზას აზრით არსებითად ყველა მისაწევდომი ნივთები შესდგებიან ორი ატრიბუტის—აზროვნების და განფენილების—მოდუსისაგან. ამ საკითხში სამართლიანად ხედავენ შინაგან წინააღმდეგობას სპინოზას ფილოსოფიაში, მაგრამ რამდენადაც არ იცნობენ ამ წინააღმდეგობის ხასიათს, მის საფუძველს, იძლევიან კიდევ უფრო ცუდ გამოსაკალს მისგან (მაგალითად თითქოს სპინოზა გამოდიოდა სხვა ატრიბუტების შეუცნობლობისაგან და ა. შ.).

რით აიხსნება სინამდვილეში ეს შინაგანი წინააღმდეგობა სპინოზას ფილოსოფიისა? დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ფილოსოფიური აზროვნების მდგომარეობა ღრმად არის დაკავშირებული ამა თუ იმ ეპოქის

მეცნიერების განვითარების ზოგად დონესთან — ორივე ერთად განსაზღვრულია საწარმოო ძალების განვითარებით. სპინოზას ეპოქა (მე 17 სუკუნე) სხვათაგანაა მეცნიერებათა განვითარების მეტად დაბალი დონით, თუმცა სწორით ამ ეპოქაში დაიწყო მეცნიერებათა სწრაფი განვითარება. მხოლოდ მეცნიერების ისტორიკოსი ფსიქოლოგია (მეცნიერული ფსიქოლოგია შეუძლებელია ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების გარეშე), მექანიკა და მათემატიკა ე. ი. სულიერი პროცესების მეტაფიზიკა და მეცნიერებანი სიდიდებზე და მექანიკურ მოძრაობაზე, თავი რომ დავანებოთ თითქმის უცნობ მეცნიერულ ქიმიას და ბიოლოგიას, თვით ფიზიკის სხვა დარგებიც გარდა მექანიკისა, ძალიან სუსტად იყო განვითარებული. ცხადია, ასეთ პირობებში სპინოზას შეეძლო გამოსულიყო მხოლოდ აზროვნების და განფენილობის ატრობუტებისა და მოდუსებიდან და ვერ გაიგო სინამდვილის სხვა მხარეები, ვინაიდან ისინი არ იყვნენ შეცნობილი. რადგანაც ნივთები არ დაიყვანება მხოლოდ განფენილებაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მაგალ. დეკარტეს, ჰობსის და სხვ. სისტემაში, სპინოზამ დაუშვა ყველა საგანში აზროვნების მოდუსი, მაგრამ სპინოზას აზრადაც არ მოსულია მიეწერა ყველა საგნისათვის ადამიანური აზროვნების ატრობუტი სრულებით არ დაიყვანება მის მოდუსამდე — ადამიანის აზროვნებამდე — მას, როგორც ატრობუტს, შეუძლია სხვადასხვა გვარი მოდიფიკაცია. სწორით ამიტომ მე შემეძარად მიმაჩნია ის აზრი, თითქოს სპინოზა ჩვეულებრივი ჰილოზოფი იყო. მოუსმინოთ თუ რას ლაპარაკობს ამის შესახებ თვით სპინოზა: „ყველაფერს, რაც ჩვენ აქამდე აღვნიშნეთ, აქვს ზოგადი მნიშვნელობა და შეეხება ადამიანს არა უმეტეს, ვიდრე სხვა ინდივიდუუმებს, რომლებიც, თუმცა სხვადასხვა ხარისხით (პ. შ.), მაგრამ მინც სულიერი არიან („ЭТИКА“ გვ. 81). მე ხაზი ვავუსვი სიტყვებს „სხვადასხვა ხარისხით“, რაც სათანადოთ ზნის მოძღვრების შინაარსს, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ გასული ერების ხარისხი დამოკიდებულია სხეულობრივ ორგანიზაციის სირთულისაგან: „იდეები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, როგორც თვით ობიექტები. ერთი იდეა შეიძლება იყოს მეორე იდეაზე უფრო მაღალი და შეიცავდეს უფრო მეტ რეალობას ისევე, როგორც ერთი იდეის ობიექტი შეიძლება იყოს უფრო მაღალი მეორე იდეის ობიექტზე და შეიცავდეს მეტ რეალობას. ამიტომ, იმის განმარტებისათვის, თუ რითი განსხვავდება ადამიანის სული სხეულისაგან და რაშია ის უფრო მაღალი მათზე, ჩვენთვის აუცილებელია შევისწავლოთ „როგორც უკვე ვთქვით, ადამიანის სხეულის ბუნება“ (იქვე, გვ. 81—82).

ამგვარად, როგორც ირკვევა მოყვანილი დებულებიდან, სული არა მარტო დამოკიდებულია სხეულისაგან, არამედ ის არის არსებითად სხეულის მდგომარეობა, ვინაიდან ის შეიცნობა მხოლოდ სხეულის ორგანიზაციის მიხედვით და არა უშუალოდ, თავის თავად. მართალია, აზროვნება როგორც ატრობუტი — შეიცნობა თავისი თავის საშუალებით (через себя), მაგრამ ეს როგორც ზემოდ დავინიხეთ, შეეხება მის მხოლოდ ფორმალურ არსებას და უფრო მარტივად აზროვნების ფორმას. რეალურ ნივთებში კი აზროვნების მოდუსი არა თუ დაკავშირებულია განფენილობის მოდუსთან, ის განისაზღვრება უკანასკნელით, როგორც თავის შინაარსით თავისი ობიექტით.

ცხადია აქ საქმე გვაქვს ფორმის და შინაარსის მეტაფიზიკურ გათიხეთიხან, მაგრამ ამავე დროს არავის არ შეუძლია უარყოს წმინდა მატერიალისტური ტენდენცია სპინოზას მოძღვრებისა ამ გადამწყვეტ საკითხში.

მე შედარებით ვრცლად შევიჩერდი სუბსტანციის, ატრიბუტის და მოდუსის ცნებებზე სპინოზას სისტემაში, მაგრამ ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რამდენად ის განსაზღვრავს სპინოზას ფილოსოფიის ყველა მხარეს და კერძოთ მისი შემეცნების თეორიას, რომელზედაც ახლა გადავდივარ მოკლე ანალიზისათვის.

ამხანაგებო, შეიძლება ჩემი ყურადღება შემეცნების თეორიის საკითხის მიმართ დღევანდელ მოხსენებაში არ იყო პროპორციული მისი მნიშვნელობისადმი, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ მოხსენება გაგრძელდა და რამდენადაც მას წინ უძღოდა ვრცელი სიტყვა—აუდიტორია უთუოდ დაიღლებოდა, რის გამოც მე ვალდებული ვარ, რამდენად შესაძლებელია შევამოკლო ჩემი მოხსენება.

თუ სუბსტანციის, ატრიბუტების და მოდუსების პრობლემა სპინოზას შრომებში დამუშავებულია მკაფიოთ და ორაზროვნებას ადგილი არ რჩება და, მიუხედავად ამისა ის მაინც იწვევს გაუგებრობას, დავას და უთანხმოებას ინტერპრეტატორებს შორის,—კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა და უთანხმოება უნდა გავოეწვიო შემეცნების პრობლემას, ვინაიდან შემეცნების საკითხი საბოლოოდ არ დაუმუშავებია სპინოზას და სპეციალური შრომა „ტრაქტატი ინტელექტის გაწმენდის შესახებ“ მას დაუმთავრებელი დარჩა. ეს იმას არ ნიშნავს რომ სპინოზას არ მოუცია გარკვეული შეხედულებანი შემეცნების თეორიის შესახებ. მაგრამ მისი აზრები არ არის ზუსტად დამუშავებული და სისტემატიურად დალაგებული.

შემეცნების პრობლემის გაშუქების დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა მარტო აღნიშნული ტრაქტატით, არამედ სპინოზას მოძღვრებით ყოფადობაზე მთლიანად, ე. ი. მისი ონტოლოგიით, რამდენად, როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, სპინოზას ონტოლოგია განსაზღვრავს მის გნოსეოლოგიას, უფრო სწორად, მის მეთოდოლოგიას. ის გარღვევა, რომელსაც მე გავუსვი ნაზი ზემოდ ნაწილებსა და მთელს შორის, დასრულებულსა და დაუსრულებელს შორის—მოკლეთ-სუბსტანციასა და მის მოდუსებს შორის, თავს იჩენს სპინოზას მეთოდოლოგიაში შემეცნების პროცესის ცალკეულ მომენტებს შორის გარღვევის სახით, მათ შორის შანაგან კავშირს და გადასვლებს დაუსაბუთებლობის სახით.

ჩვეულებრივ სპინოზა ცნობილია, როგორც უკიდურესი რაციონალისტი, რომელმაც მოგვცა ჭეშმარიტების კლასიფიკაცია რაციონალისტური განმარტება (როგორც სინათლე აშუქებს თავის თავს და სიბნელეს, ისე ჭეშმარიტება აშუქებს თავის თავს და შეცდომას). მაგრამ მე შევეცდები დავამტკიცო, რომ სპინოზას რაციონალიზმი არსებითად განსხვავდება დეკარტის და ლეიბნიცის რაციონალიზმისაგან და მას უეჭველად აქვს მატერიალისტური შინაარსი.

მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ძირითადი პრობლემა, რომელიც ერთნაირად იდგა, როგორც რაციონალიზმის, ისე ემპირიზმის წინაშე, მდგომარეობდა ცნების ბუნების გარკვევაში. მაგრამ მისი ნამდვილი გადაჭრა შეუძლებელი იყო როგორც პირველის, ისე უკანასკნელის საფუძველზე, ვინაიდან ორივე

ეყრდნობოდა მეტაფიზიკას და უარყოფდა ისტორიზმს, მაშასადამე ცდილობდა მხოლოდ ლოგიკურად გამოეყვანა ცნების შინაარსი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ლოგიკური ისტორიული შედეგია და შედეგად ისტორიულად შეიძლება ლოგიკის დასაბუთება.

რაციონალისტები პირდებიან გამოდიოდნენ ცნების მოცემულობიდან და არც კი სვამდნენ საკითხს მისი წარმოშობის შესახებ. ამდენად ყოველ რაციონალიზმს არსებითად საფუძვლად უყევს ინტუიცია, აქსიომატიკა. ემპირიკოსები კი სვამდნენ საკითხს ცნების წარმოშობის შესახებ. მაგრამ რამდენად მეტაფიზიკურ, ანტიისტორიულ თვალსაზრისიდან გამოდიოდნენ, წარმოშობის საკითხს ცვლიდნენ ლოგიკური (უკეთ—ფსიქოლოგიური) შექმნის საკითხით. სწორეთ ამიტომ მათ აურთიეს ერთი მეორეს ცნება და წარმოდგენა—პირველი დაიყვანეს მეორეზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შემეცნების მეთოდი, როგორც რაციონალიზმში ისე ემპირიზმში ერთი და იგივე მეტაფიზიკური და ფორმალურ—ლოგიკური იყო, მიუხედავად მათი განსხვავებისა შემეცნების წყაროს საკითხში.

რომ სწორედ ცნების პრობლემა იყო ძირითადი, სჩანს თვით სპინოზას დამოკიდებულებიდან ზოგად აბსტრაქტულ ცნებების მიმართ. სპინოზას არ აკმაყოფილებს ზოგადი ცნებების ფორმალურ-ლოგიკური კონსტრუქცია, რომელიც მიიღება კონკრეტ-ინდივიდუალურისაგან განყენებით. ის აცხადებს, რომ ეს არის შემეცნების დაბალი ვეარი, ვინაიდან განყენების პროცესში ე. წ. ძირითადი, არსებითი მომენტის ფიქსაცია შემთხვევითია—ის დამოკიდებულია იმისგან, თუ ვინ—ამა თუ იმ შემთხვევის გამო—განსაკუთრებით რომელ მომენტს აქცევს ყურადღებას. ამიტომ ასეთი გზით მიღებული ცნება ყოველთვის ბუნდოვანია, ის ყველაფერს შეიცნობს ნაწილობრივ, მაგრამ არაფერს არსებითად. ასეთი ცნების შექმნის საფუძველი მდგომარეობს ადამიანის გრძნობის შეზღუდულობაში. „ეს ცნებები წარმოიშობიან იმის გამო, რომ ადამიანის სხეულში ჩნდება იმდენი სახეები, მაგალ. ადამიანების, რომ თუ რსინი სრულეებით არ სკარბობენ (приваждют) შეგრძნობის უნარს, ყოველ შემთხვევაში მაინც სკარბობენ იმდენად, რომ უმნიშვნელო თავისებურებანი (სახელობრ—ფერი, სიდიდე და სხვა) და მათი გარკვეული რიცხვი სულს არ შეუძლია წარმოდგინოს ადამიანის სხეულში, და წარმოდგენს გარკვეულად მხოლოდ მას, რაშიაც ყველა ისინი—რამდენათ სხეული განიცდის მათ ზეგავლენას—ემთხვევიან (сходны), ვინაიდან სხეული ყველაზე უფრო ამ მხრიდან, სახელდობრ—ყოველ კერძო ადამიანისგან—განიცდის გავლენას. სწორედ ამას გამოხატავს სული სიტყვით: ადამიანი, და მტკიცებს მას დაუსრულებლად ბევრ ცალკეულ ადამიანზე. ვინაიდან ცალკეულ ადამიანთა გარკვეული რაოდენობის წარმოდგენა სულს, როგორც აღვნიშნეთ, არ შეუძლია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნებები ყველას მიერ ერთნაირად არ იქმნება, მაგრამ ყველას მიერ სხვა და სხვა ნაირად იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარედან უფრო ხშირად განიცდიდა სხეული ზეგავლენას და რასაც მისი სული უფრო ადვილად შეიგრძნობს და დაიმახსოვრებს. „ამიტომ მე... ასეთ შემეცნებას ვუწოდებ შემეცნებას მოუწყისრიგებელი ცდის საშუალებით“ („Этика“, стр. 116-117).

ნახა თუ არა სპინოზამ სხვა, უფრო სწორი გზა ქეშმარიტი იდეების შექმნისა, რომლებიც გამოხატავენ ზოგადს არა მარტო ავრეგატიულად, არამედ არსებითად? არა—ამას ის ვერ შესძლებდა ვინაიდან სპინოზა იყო შექმნილი იდეების და გამოორიქხავდა ცნების შექმნის ისტორიულ პროცესს და მხოლოდ მხოლოდ როგორც აღნიშნული იყო ისტორიულის გარეშე შეუძლებელია ლოგიკური ის სწორი გზებია—სპინოზამ არსებითად გვერდი აუარა ცნების ლოგიკურ წარმოშობის გზასაც და დაუბრუნდა ინტუიციას, მართალია, დეკარტის ინტუიციისაგან ძირითადად განსხვავებულს.

სპინოზა ჩამოთვლის ძირითად და შემეცნების სამ გვარს (под) (მართალია „ტრაქტატში“ ჩამოთვლილია ოთხი გვარი შემეცნებისა, მაგრამ რადგან იქაც პირველი ორი გვარი ეკუთვნის ერთს იმაგინატიურ შემეცნებას—არსებითად გვაქვს სამი): 1. იმაგინატიური შემეცნება 2. რაციონალური შემეცნება. 3. ინტუიტიური შემეცნება. იმაგინატიური შემეცნება არის შეგრძნობითი (Воображение), მაგრამ უკანასკნელი შეიცავს არა მარტო უშუალო შთაბეჭდილებას ანუ აღქმის (восприятие), არამედ მთელს შეგრძნობითი ხასიათის ცდებს (Чувственный опыт) (იხ. „Этика“, стр. 116—117 და „Трактат об очищении интеллекта“, 1904, გვ. 72—73), მაგრამ რამდენადაც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შეგრძნობითი ცდა შემთხვევითია (experimentia vaga) არ არის ორგანიზებული ინტელექტის კანონებით—იმაგინატიური შემეცნებაც არ მიეკუთვნება ქეშმარიტ შემეცნებას.

რაციონალური შემეცნება უკვე იძლევა ადეკვატ (ქეშმარიტ) იდეებს (იხ. „Этика“, 117) და ამდენად მიეკუთვნება ქეშმარიტ შემეცნებას, მაგრამ ამ შემთხვევაში რითი უნდა განსხვავდებოდეს ინტუიტიური შემეცნება რაციონალურ შემეცნებისგან, რამდენადაც ორივე ქეშმარიტი არის? საქმე იმაშია, რომ რაციონალური შემეცნება იძლევა ადეკვატ იდეებს. მხოლოდ ნივთების თვისებების (своиств) შესახებ—ინტუიტიური კი ადეკვატ იდეებს ნივთების არსებაზე (сущность) მთლიანად („Этика“, стр. 117 — „Трактат“, გვ. 74)

ახლა ისმის კითხვა: არის თუ არა რაიმე შინაგანი კავშირი და გადასვლა შემეცნების აღნიშნულ გვარებს შორს? სხვა სიტყვებით:—წარმოადგენენ თუ არა შემეცნების აღნიშნული გვარები ერთი მთლიანი შემეცნების პროცესის მომენტებს, ან-თუ გამოორიქხავენ ისინი ერთი-მეორეს? „ტრაქტატში“ მთლიანად გამოორიქხულია იმაგინატიური შემეცნება (იხ. გვ. 80), მაგრამ არის აღიარებული შესაძლობლობა რაციონალურიდან ინტუიტიურზე გადასვლისა ამ უკანასკნელზე „ეთიკაში“ ნათქვამია უფრო გარკვეულად: „შემეცნების ამ გვარს (ე. ი. ინტუიტიურს, პ. შ.) მიეყვება ჩვენ ღმერთის რომელიმე ატრიბუტის ფორმალური არსების ადეკვატ იდეებისაგან (ე. ი. რაციონალურ შემეცნებისაგან პ. შ.) ყველა ნივთების არსების ადეკვატ შემეცნებისაქენ“ (გვ. 117). მაგრამ როგორ სჭირს „ეთიკა“—უპკველად უფრო მწიფე და სისტემატიური ნაწარმოები, ვიდრე „ტრაქტატი“, იმაგინატიური და რაციონალურ შემეცნების ურთიერთკავშირის საკითხს? აღსანიშნავია, რომ აქ მთლიანად არ არის უარყოფილი მათ შორის კავშირი, მაგალითად ბუნდოვანი იმაგინატიური იდეა არ ნიშნავს შემეცნების აბსოლუტურ უქონლობას, არამედ მხოლოდ მის ნაკლებობას. „სიკრუე

(ложность) არ შეიძლება მდგომარეობდეს შემეცნების აბსოლუტურ ნაკლებობაში. ის არ შეიძლება გრეთვე მდგომარეობდეს აბსოლუტურ უფიცილობელი/ვინაიდან არ ცოდნა და შეცდომა—ორი სრულებით განსხვავებულანაწილად. მასასადამე სიცრუე მდგომარეობს შემეცნების ნაკლებობაში, სიცრუისადაც ანივთების არა აღეკვატ შემეცნებას. ე. ი. არა აღეკვატ და ბუნდოვან იდეებში“. („Этика“ გვ. 109), გარდა ამისა ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ შეგრძნობითი შემეცნება შეეხება მოდუსებს. როგორც ცალ-ცალკე არსებულებს, ამიტომ რამდენად „ეთიკაში“ სპინოზა ცდილობს დაამყაროს უშუალო კავშირი მოდუსებსა და სუბსტანციას შორის—იმდენად ის ცდილობს მათ შორის დაამყაროს შემეცნებითი კავშირიც. „ადამიანის სულს აქვს იდეები, რომლებსაც ანაც ის შეიცნობს თავის თავს, თავის სხეულს, გარეშე სხეულს, მასასადამე მას აქვს აღეკვატი შემეცნება ღმერთის მარადიულ, დაუსრულებელი არსების შესახებ“ („Этика“) 125). როგორც ხედავთ საგანთა არსების მთლიანად ე. ი. ინტუიტიური შემეცნება აქ პირდაპირ გამოიყვანება შემეცნების სხვა ფორმებისაგან მათ შორის იმავინატურ შემეცნებისაგან.

მაგრამ მიუხედავად ასეთი ცდებისა, სპინოზას მიიწე დარჩა გარღვევა შემეცნების ცალკეული მომენტებს შორის, რაც აუცილებელი იყო მეტაფიზიკურ მეტოლოლოგიის გამო—რაშიც ჩვენ დაერწმუნდით სუბსტანციის პრობლემის განხილვის დროსაც, რამდენად იქაც ხაზი გაუსვით გარღვევებს, სუბსტანციას, როგორც Causa sui-ს, განუყოფელს მთლიანს და მის მოდუსებს შორის. შეგრძნება ეხება მთელს მოდუსებს, გონებას, სუბსტანციას, შეგრძნობასა და გონებას შორის უარყოფილია ურთიერთ გადასვლა, შინაგანი კავშირი. ერთი ადგილი „ეთიკა“ დან. სავსებით დაგვარწმუნებს ამაში. „თუ ჩვენ განვიხილავთ სიდიდეს ისე, როგორც ის არსებობს შეგრძნობაში, მაშინ ჩვენ ვხედავთ მას დასრულებულად, რომელიც იყოფა და შესდგება ნაწილებისაგან. თუ კი ჩვენ განვიხილავთ მას, როგორც ის არსებობს გონებაში და წარმოვიდგენთ, როგორც სუბსტანციას ის გვევლინება ჩვენ დაუსრულებლად, ერთიანად და გაუყოფლად (გვ. 24), მასასადამე, შეგრძნობასა, განსჯასა (passiоn) და გონებას შორის ისეთი გარღვევები უნდა ყოფილიყო სპინოზას მიხედვით, როგორც არის მოდუსებსა, ატრიბუტებსა და სუბსტანციას შორის. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ სპინოზას ინტუიციას არა აქვს არავითარი მისტიური, რელიგიური ხასიათი, როგორც ამის დასაბუთებას ცდილობს ზოგიერთი.

სწორედ ზემოდ აღნიშნული ცდა შემეცნების ცალკეული მომენტების გაერთიანებისა, ანსხვავებს მეთოდის მხრივ სპინოზას რაციონალიზმს დეკარტეს რაციონალიზმისაგან, რამდენადც ეს უკანასკნელი უარყოფდა შემეცნების შეგრძნობითი ელემენტებს მთლიანად. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს სპინოზას ინტუიციის განსხვავებას დეკარტეს ინტუიციისაგან, მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ სპინოზასა და დეკარტეს რაციონალიზმის განსხვავება არ გამოირიხება მათ შორის ზოგიერთ მშავსებას, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგინიან მართალია, დეკარტე გამოდიოდა თანდაყოლილი იდეებიდან, მაგრამ ასეთი უნდა ყოველგვარი ინტუიციისა, რამდენად ის აღებულია ყოველგვარი ისტორიულობის გარეშე. განა თვით სპინოზას არ ახასიათებს ეს ცოდვა? ჩვენში

უნდა იყოს, უპირველს ყოვლისა, ჭეშმარიტი იდეა, როგორც „ერთნაირი თანდაყოლილი (პ. შ.) იარაღი“ („Трактат“ 90—91). დეკარტესთან შემეცნების პირველი ნაბიჯი მდგომარეობს ინტუიციების ბუნდოვან იდეებთან შეწყვეტას. განწმენდაში სპინოზასაც სწორეთ ეს მიაჩნია შემეცნების პირველსავე სტადიაზე. დადგინდა მეთოდის პირველი ნაწილიდან, რომელიც... მდგომარეობს იმაში, რომ განეასხვაოთ და მოვაცილოთ ჭეშმარიტი იდეები სხვა პერცეპციებს და დავიცვათ სული ცრუ პერცეპციების ჭეშმარიტ პერცეპციებთან შერევისაგან“ („Трактат“ 99).

სად უნდა ვეძიოთ მაშინ განსხვავება დეკარტესა და სპინოზას რაციონალიზმს შორის? ეს განსხვავება მიდის შეზღვევი მიმართულებით 1. თანდაყოლილობას დეკარტესთან აქვს სულ სხვა შინაარსი, ვიდრე სპინოზასთან, რამდენად პირველი გამოდის აზრის და არსის დუალიზმისაგან. ე. ი. თანდაყოლილობა მისი მიხედვით ნიშნავს ჭეშმარიტების აპრიორულ მოცემულობას, როგორც ფორმით ისე შინაარსითაც. სხვა ნაირად დერკარტე ვერც კი დაასაბუთებდა ობიექტიურად შემეცნებას, რამდენადაც დუალიზმი განორიციავს აზრისა და არსს შორის უშუალო ურთიერთობას. სპინოზას მიხედვით თანდაყოლილობა ნიშნავს არსებითად ჭეშმარიტების აპოსტერიორობას მისი შინაარსის მხრივ, ვინაიდან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სულს არ გააჩნია არავითარი სხვა იდეები, გარდა ობიექტიური სხეულების მდგომარეობისა, რომელსაც ის (სული) ღებულობს თავისი სხეულებისაგან. „რამდენადაც აღამიანის სხეული განიცდის ზეგავლენას რომელიმე გარეშე სხეულისაგან, იმდენად ისიც (სული პ. შ.) შეიგარძნობს (воспринимает) ამ გარეშე სხეულს“ („Этика“, —102) ან და „რასაც ჩვენ ვერ შევიგარძნობთ... იმას ვერ მივალწევთ ვერავითარ აზროვნებაში“ („Этика“, 134), მაშასადამე, სპინოზასთან აპრიორულია მხოლოდ ფორმა იდეებისა და არა მისი შინაარსი, ვინაიდან ყოველი იდეა არის სხეულის გამოხატულება. „სული შეიცნობს თავის თავს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ღებულობს სხეულის მდგომარეობის იდეებს“. („Этика“—99). ამგვარად სპინოზას შემეცნების თეორია არის წმინდა მატერიალისტური (თუმცა რა თქმა უნდა არა დიალექტიური), აი სწორედ ეს განსაზღვრავს დეკარტესა და სპინოზას რაციონალიზმს. უკვე მათი შინაარსითაც აღიარა რა იდეათა თანდაყოლილობა არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც დეკარტემ უნდა უარყოს ყოველგვარი სხვა გზა შემეცნებისა, გარდა წმინდა ლოგიკური ოპერაციებისა, გამოსავალ ინტუიციებზე სპინოზამ უნდა დაუშვას რაღაც გზა ინტუიციისაქენ შავრამ მატაფიზიკამ ვერ მიცა საშვალება, ამ სწორი გზის გამოჩვენებისა. და მისი დასაბუთებისა. მე აქ მოვიყვან მეტად საინტერესო ადგილს „ტრაქტატიდან“, სადაც სპინოზა გამოხატავს ნამდვილ სინტეტიურ მოთხოვნილებას (და არა დეკარტეს ცრუ სინტეზს, რომელიც მდგომარეობს მათემატიკურ დედუქციაში) შემეცნების მოძრაობისა: „ისე, როგორც აღამიანებმა დასაწყისში, ბუნებრივი თანდაყოლილი იარაღების საშუალებით, შექნეს რაღაც ძალიან ადვილი, თუმცა დიდი შრომით და არა სრულქმნილად, და შეასრულეს თუ არა ეს— შეასრულეს შემდეგი, უფრო რთული, უკვე შრომის ნა-



კლები დახარჯვით, და უფრო სრულქმნილად; და ასე—თანდათანობით, უფრო პრიმატიული შემოქმედებიდან შრომის იარაღებზე გადასვლით. სწორეთ ასევე ინტელექტი მისთვის თანდაყოლილი ძალით ქმნის ინტელექტურ იარაღებს, რომელთა საშუალებითაც ლეზულობს ახალ სხვადასხვა სახეობის ახალი ინტელექტუალური შემოქმედებისათვის („Трактат,“ 82—83). აქედან აშკარად სჩანს, რომ თანდაყოლილობა სპინოზას ესმოდა არა როგორც ცოდნის შინაარსეული თანდაყოლილობა, არამედ უნარის, ძალის თანდაყოლილებათ, ე. ი. ქეშმარიტ იდეების შექმნის და ცრუ იდეებისაგან გარჩევის უნარის და ძალის თანდაყოლილებად. აქედან გამომდინარე—შემეცნების მოძრაობა არ შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ ფორმალურ ლოგიკურ კომბინაციებში, არამედ ის უნდა მდგომარეობდეს თვით შემეცნების თანდათანობით უფრო სრულქმნაში, მის გართულებაში შინაარსის მხრით, მაგრამ გამარტივებაში ფორმის, ხერხის მიხედვით.

ამიტომ ზემოთ მოყვანილი ცნობილი რაციონალისტური განმარტება ქეშმარიტებისა „ქეშმარიტება არის საზომი, როგორც თავისი თავის, ისე შეცდომისა“ („Этика“ 120)—ჯარჯავს ყოველგვარ იდეალისტურ ხასიათს, ვინაიდან სპინოზას მიხედვით ქეშმარიტების უშუალო სიცხადე სრულებით არ გამორიცხავს მის ობიექტურ კრიტერიუმს, რომელსაც გარკვეულად და პრინციპიულად გაუსვა ხაზი სპინოზამ ჯერ კიდევ „ეთიკა“-ს დასაწყისში აქსიომის შემდეგი სახით: „ქეშმარიტი იდეა უნდა ეთანხმებოდეს თავის ობიექტს“ (მე-6-ე აქსიომა „ეთიკა“-ს პირველ ნაწილსა. იხ. გვ. 3) და განიმეორა ეთიკის მეორე ნაწილის მე-4-ე განმარტებაშიც სადაც ის განასხვავებს ქეშმარიტების შინაგან ნიშნებს მისი ობიექტური ნიშნებისაგან. ე. ი. ობიექტისაგან დამოუკიდებლად შეიძლება დამყარებული იქნას ქეშმარიტების მხოლოდ შინაგანი ნიშანი ე. ი. სიცხადე. ეს იქედანაც ცხადია, რომ სპინოზა არ აღიარებდა ქეშმარიტებას როგორც შინაარსით თანდაყოლილს.

ამგვარად საბოლოოდ ირკვევა სპინოზას შემეცნების თეორიის მატერიალისტური ხასიათი, მაგრამ მეტაფიზიკურმა მეთოდმა „გამოიწვია გარღვევები შეგრძნობის, განსჯის და გონების შორის ისე, როგორც ეს დაეინახედ მოდუსებსა, ატრიბუტებს და სუბსტანციას შორის.

ახლა, ამხანაგებო, რამოდენიმე სიტყვით შევეხები კანონზომიერების პრობლემას. როცა ლაპარაკია მთელზე მაშინ, როგორც აღნიშნავდა ენგელსი, სპიროზა იძლევა „დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს“. დალექტიკის ერთ ერთი ასეთი ბრწყინვალე ნიმუში მდგომარეობს იმაში, რომ სპინოზამ სუბსტანცია გაიგო, როგორც Causa sui და თავისუფლება მასში გაიგო, როგორც შინაგანი აუცილებლობა. „თავისუფალი ეწოდება ისეთ ნივთს, რომელიც არსებობს მხოლოდ შინაგანი აუცილებლობის მიხედვით და თვითონ განსაზღვრავს თავის თავს მოქმედებისაკენ“ („Этика,“ 4. I. отд. 7 стр. 2).

აქედან ყოველგვარი მიზნის უარყოფა და ბუნებაში მტკიცე წესრიგის აღიარება: „ღმერთი მოქმედობს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ბუნების კანონების მიხედვით“ (იქვე, გვ. 26) ან კიდევ: „ღმერთს არ შეეძლო შეექმნა ნივთები რაიმე სხვა სახით ან სხვა წესრიგში, ვიდრე ისინი არიან შექმნილა“ (გვ. 45),



აქედან განომდინარეობს უპირობო თავისუფლების უარყოფა რაც საესებით მართალია, მაგრამ აქ აუცილებლად იჩენს თავს სპინოზას მეტაფიზიკა. არ არსებობს შინაგანი კავშირი და გადასვლა ნივთებში ან უკვე არსებობს, არსებობს ან თავის თავში ან რომელიმე სხვაში“ (სპინოზა 1, გვ. 3); აქედან აუცილებელია დილემა: ან შინაგანი—ან გარეგნული აუცილებლობა. პირველი ახასიათებს მხოლოდ სუბსტანციას, მეორე—მოდუსებს. აქედან აუცილებელია მიზეზობრიობის წმინდა მექანიცტური გაგება: „ყველა ერთ ეულს, სხვანაირად, ყველა თავის არსებობაში განსაზღვრულ და დასრულებულ ნივთს შეუძლია იარსებოს და იმოქმედოს მხოლოდ მაშინ, როცა ის განსაზღვრულია არსებობისათვის და მოქმედებისათვის რომელიმე სხვა მიზეზით—თავის არსებობაში ისევე განსაზღვრულითა და დასრულებულით. ეს მიზეზი, თავის რიგში... შესამე მიზეზით... და ასე დაუსრულებლათ“ („Этика“, стр. 38). ცხადია, რომ ასეთი, მხოლოდ და მხოლოდ გარეგნული, გაგება მიზეზობრიობისა ეწინააღმდეგება Causa sui-ს ცნებას, მაგრამ ეს წინააღმდეგობა ისევე აუცილებელია და ისეთივე ბუნებისაა, როგორც ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობანი. იგივე გარეგნული გაგება მიზეზობრიობისა განსაზღვრავს შემთხვევითობის აბსოლუტურ უარყოფას: „ბუნებაში არ არის არაფერი შემთხვევითი და ყველაფერი განსაზღვრულია არსებობისა და მოქმედებისა კენ გარკვეული . . . ბუნებრივი აუცილებლობით“ („Этика“, 40)

მაგრამ ამავე საფუძველზე ეყრდნობა ნებისყოფის თავისუფლებას აბსოლუტური უარყოფა. სწორედ ამ საკითხში მოხდა ყველაზე უფრო მწვავე შეჯახება დეკარტესთან. საზოგადოდ სპინოზას ეპოქაში ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას ჰქონდა მეტად დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ფილოსოფიურ ისე განსაკუთრებით, რელიგიური თვალსაზრისით, ვინაიდან საბოლოოდ მისგან იყო დამოკიდებული რელიგიის კარდინალური, საკითხები—ცოდვილობის (грехопадение), მოტყეების (искупление)—და შენდობის საკითხი, ამიტომ გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც მიაქცია ამ საკითხს სპინოზამ. ნებისყოფის თავისუფლების უარყოფას სპინოზა ეხლა თავის სისტემის ყველა ნაწილებში ეხება თითქმის ყოველ წუთსა და წამს და მას ასაბუთებს სხვა და სხვა ხერხით და საბუთით. ამიტომ საინტერესო იქნებოდა სპინოზას მიხედვით ამ პრობლემის სპეციალური გაშუქება, მაგრამ მე იძულებული ვარ ძალიან მოკლედ შევეხო მას.

სპინოზას კარგად ესმის, რომ ნებისყოფის თავისუფლება ეყრდნობა განსაკუთრებით მის სუბსტანციალობის, დამოუკიდებლობის აღიარებას. ამიტომ ის უპირველეს ყოვლისა უარყოფს ამას და დაიყვანს ნებისყოფას საბოლოოდ სულის ერთ ერთ მდგომარეობაზე: „სულში არა აქვს ადგილი არავითარ ნებისყოფის მოვლენას, გარდა იზისა, რასაც შეიცავს იდეა, რამდენად ის არის იდეა“ („Этика“, 128). აქედან ცხადია, რომ ნებისყოფა არ ვრცელდება გონებაზე უფრო შორს, როგორც ეს დეკარტეს ეგონა (იხ. „Этика“, 129-130) და ის ისევე განსაზღვრულია, როგორც ყოველივე დანარჩენი სულის მდგომარეობა და მას არ შეუძლია იმოქმედოს გრძობის საწინააღმდეგოდ. „ადაამიანები მხოლოდ იმ მიზეზით სთვლიან თავს თავისუფლად, რომ შეცნობილი აქვთ თავიანთი მოქმე-

დებმა, მაგრამ არ იციან ის მიზეზები, რომლებითაც განსაზღვრულია ეს მოქმედება და (არ იციან-პ. შ.) სულის განსაზღვრანი სხვა არაფერია, ვიდრე მისწრაფება, რომელიც სხვა და სხვა ნაირია სხეულის სხვა და სხვა მარეობის მიხედვით (პ. შ.) („Этика“ 150). აქედან ნებისყოფის სისუსტე-ლება არის ისეთივე ილუზია, როგორიც შეიძლება ჰქონოდა ქვას, რომელიც ადამიანის მიერ გასროლილი მიჭრის, რომ მას ჰქონოდა ცნობიერება ანდა ბავშს, რომელიც ეძებს რძეს ანდა ლაჩარს, რომელიც გაურბის საშიშროებას“ („Этика“, 149)

ამასთან დაკავშირებით სპინოზა გამოსთქვამს შესანიშნავ აზრს გადაწყვეტილების (ნებისყოფის აქტის) და ობიექტურ განსაზღვრის შესახებ. „სულის გადაწყვეტილება, მისწრაფება და განსაზღვრულობა სხეულისა თავიანთი ბუნებით ერთად ერსებობენ (Совжестны) ან უკეთ—ესენი ერთი და იგივე საგნები არიან, რომელსაც ჩვენ უწოდებთ გადაწყვეტილებას (სპინოზა), როცა ის განხილულია აზროვნების ატრიბუტის ქვეშ და განსაზღვრას, როცა ის განიხილება განფენილობი, ატრიბუტის ქვეშ.“ („Этика“, 146).

მიზანის ცნებაზე სპინოზას მიხედვით შე ვრცლად არ გაეჩრდები. ცხადია, რომ ნტიციელ გატარებული მექანიკური დეტერმინიზმი იწვევს მიზანშეწონილობის კატეგორიულ უარყოფას როგორც ბუნებაში, ისე საზოგადოებაში. (იხ. დამატება „ეთიკა“-ს I ნაწილზე, „Этика“ стр. 53, 54 და სხვ.).

მეტაფიზიკურ, აბსტრაქტულ მონისტური სისტემის შექმნის ცდამ არ მისცა სპინოზას შესაძლებლობა გაეგო სინამდვილის სხვა და სხვა სფეროების, ნაწილების კანონზომიერების სპეციფიურობა და აქედან გამომდინარე მექანიკური დეტერმინიზმი იწვევს თავისუფლების და მიზანშეწონილობის კატეგორიულ უარყოფას საზოგადოებაშიც, სადაც მათ აქვთ უმკველად ობიექტიური თუმცა კი შეფარდებითი მნიშვნელობა. შიუხედავთ ამისა, მისი მოძღვრება ამ საკითხებზე აუცილებლად იყო რევოლუციონური იმ ეპოქისათვის და იძლეოდა პრაქტიკულად უმკველად რევოლუციონურ დასკვნებს განსაკუთრებით რელიგიისა და სახელმწიფოს საკითხებში (იხ. ამის შესახებ „Этика“. 138-139), რაც არ შეიძლებოდა არ გაეგო და ეპატიებია მისი ავტორისათვის მაშინდელ რეაქციას, რომელიც სდევნიდა ფილოსოფოსს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

გადავდივარ რა სპინოზას აფექტების მოკლე ანალიზზე, უნდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხში ის იძლევა ისეთ შედეგს, რომლის მზგავსი არ მოიპოვება მე-17 საუკუნის ლიტერატურაში. ჩვეულებრივ სპინოზა წარმოდგენილი ყავთ, როგორც ადამიანი მეტად განყენებული ინტერესებით, რომელსაც არაფერი საამქვეყნო არ ესმოდა და ჰპოულობდა კმაყოფილებას წმინდა-აბსტრაქტულ არსობათა განსჭვრეტაში. ამ შემთხვევაში სრულებით გაუგებარია ის ბრწყინვალე ცოდნა ადამიანის ბუნებისა, რომელსაც მოწმობს „ეთიკის“ მესამე და მეოთხე ნაწილები, მე-3-მე ნაწილის წინასიტყვაობაში სპინოზა ლაპარაკობს, რომ შეიძლება ბევრს გაუკვირდეს ადამიანთა აფექტების წმინდა ბუნებრივი თვალსაზრისით განხილვა ისე, როგორც განიხილება ობიექტიური სხეულები. მორალურ სენტენციებს ადამიანის ბუნების ცოდნის გარეშე არა აქვს არავითარი ფასი,

რამდენად ადამიანი არის ბუნების ნაწილი მისი მოქმედება და ქცევა განისაზღვრება ობიექტიურად, ბუნებრივი მოვლენებით და არა მისი ნებისყოფით, რომლის თავისუფლება უკვე უარყოფილი აქვს სპინოზას, იმისათვის, ყოველგვარად უნდა აღამიანის მოქმედების და მოქცევის შეცვლა, სრულებით განსაზღვრავს მის ნებისყოფაზე ზემოქმედება—საჭიროა იმ პირობების შეცვლა, რომლებიც იწვევენ ამ მოქმედებას და ქცევას, ამიტომ არ უნდა გვეზიზღებოდეს და არ უნდა დავცინოდეთ ადამიანთა ქცევას, არამედ უნდა შევისწავლოთ და გავიგოთ იგი. ამიტომ ტრადიციული, ე.წ. *поучительная* მორალი წარმოადგენს სატირას ისევე, როგორც აბსტრაქტიული სახელმწიფო რეალური პირობების შესწავლის გარეშე არის უტოპია. ადამიანის ბუნების ასეთ ღრმა გაგებაზე არ ასულა მე-17-ტე საუკუნე. მხოლოდ მე 18 საუკუნის ფრანგ მატერიალისტებმა განავითარეს მსგავსი პრინციპი (ადამიანი გარემოების შედეგია, მისი შეცვლისათვის უნდა შეიცვალოს თვით გარემო და ა. შ.).

სპინოზას აფექტების თეორიის ძირითადი ელემენტი არის თვითშენახვის (*самосохранение*) პრინციპი, ეს პრინციპი უდევს საფუძვლად როგორც სპინოზას მოძღვრებას მორალზე, ისე მის მოძღვრებას სახელმწიფოზე. ყოველი საგანი, რამდენადაც ის მიისწრაფება დარჩეს "თავის არსებობაში" (*Этика* 153) ანდა, საგნის მისწრაფება დარჩეს თავის არსებობაში სხვა არაფერია, თუ არა მისი ნამდვილი აკტუალური არსება (იქვე-15); ამაზე ეყრდნობა ყველა აფექტები, მაგ. სიამოვნების აფექტი გამოწვეულია ნივთით, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი არსებობის შენახვას—უსიამოვნების აფექტი კი დაკავშირებულია ისეთ ნივთთან, რომელიც ეწინააღმდეგება მას, ე.ი. მავნებელია. ეს პრინციპი ვრცელდება ესთეტიკაზედაც, „თუ მოძრაობა, მიღებული ნევრების მიერ შეგრძნობით წარმოადგენილი საგნებისაგან ხელს უწყობს ჯანმრთელობას მაშინ იმ საგნებს, რომლებიც წარმოადგენენ მიზრს ასეთი მოძრაობისა ეწოდება *ლამაზი*, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ეწოდება *უმზავსო*. („*Этика*“, 60).

რამდენად აფექტი არის ორგანიზმის ბუნებრივი მდგომარეობა—მისი დაძლევა შეუძლია მხოლოდ მეორე აფექტს. ამიტომ, რათა დაიმორჩილოს აფექტები შეშეცნება თვით უნდა იქცეს აფექტად. ამ გზით შესაძლებელია აფექტების დაძლევა შეშეცნების საშუალებით, მაგრამ აფექტების დაძლევა სრულებით არ ნიშნავს საზოგადოდ მათ უარყოფას. ასეთი გაგება სპინოზას მოძღვრების დამახინჯება იქნებოდა. შეშეცნება არ სპობს აფექტს, არამედ შეიცნობს მათ და მით გაარღვევს მათში მისაღებს და მიუღებელს ე.ი. ისეთებს, რომლებიც სასარგებლოა ჩვენთვის და ისეთების, რომლებიც მავნებელია, ამიტომ „ეთიკა“-ს მე-5-თე ნაწილი რომელიც ეხება აფექტების დაძლევას შეშეცნების საშუალებით, არ შეიცავს არავითარ მისტიციზმს და იდეალიზმს, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონია.

როგორც აღნიშნული იყო, სპინოზას მორალი ემყარება თვითშენახვის პრინციპს. სპინოზა პირდაპირ რაიგივებს ამ პრინციპს და სიკეთეს: „წარმოუდგენელია სიკეთე, რომელიც უწინარესია... ვიდრე მისწრაფება თავის არსებობის შენახვისადმი“. „ჩვენთვის აბსოლუტურად სიკეთის მიხედვით მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა მოქმედება, ცხოვრება და თავისი არსებობის შენახვა...

მისწრაფება თავისი სარგებლობისაქენ გონების ხელმძღვანელობით („Этика“ 269, 270, 271); აქედან სხვათა შორის უშუალოდ სჩანს, რომ გონება არ სთბის თვითშენახვის პრინციპს, პირობით ემსახურება მას და იცნობს ხელმძღვანელობას, რომლებიც ხელს უწყობენ მას.

რამდენად თვითშენახვის პრინციპი გამოხატავს საგნების არსობას (იხ. მესამე ნაწილის მე 7-დე თეორემა) ყოველი ნივთის მოქმედება ამ მიმართულებით უნდა იყოს განუზღვრელი, ამიტომ ბუნებაში თავისთავად არც სიკეთეა და არც სიბოროტი „სიკეთეა ის რაც მარგებელია, სიბოროტი ის რაც მავნებელია“ (იხ. „Этика“, გვ. სტრ. 241-145-255-285) ჩვენ სიკეთეს ანუ სიბოროტს ვუწოდებთ იმას, რაც ხელს უწყობს ჩვენი არსებობის შენახვას, ან ხელს უშლის მას.

რამდენადაც მისწრაფება თვითშენახვისადმი წარმოადგენს ნივთის ბუნებრივი არსებას, იმდენად ის საფუძვლად უდევს ე. წ. ბუნებრივ უფლებას. ბუნებრივ მდგომარეობაში ეს ბუნებრივი უფლება უშუალოდ ემთხვევა ბუნებრივ ძალას, ვინაიდან ასეთ მდგომარეობაში მას არ აქვს შეზღუდვა. ამიტომ ასეთ მდგომარეობაში არაა არც სამართლიანობა არც უსამართლობა, არც დანაშაული არც დასჯა (იხ. „Этика“, 289). „ბუნებრივ მდგომარეობაში ყველა არსებობს ბუნების უმაღლესი უფლების მიხედვით და, მაშასადამე ყველა ბუნების უმაღლესი უფლებები ახდენს მას, რაც გამოდინარეობს მისი ბუნების აუცილებლობიდან. ამიტომ თითოეული ბუნების უმაღლესი უფლებით მსჯელობს იმაზე თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, თავისებურად ზრუნავს თავის სარგებლობაზე, შურს იძიებს თავისთვის და ცდილობს შეინახოს ის, რაც უყვარს, და გაანადგუროს რაცა სძულს“ („Этика“, სტრ. 287). ძნელი არ არის აქედან მოენახოთ სპინოზისა ჰობსის აზრთა მსგავსება ბუნებრივ მდგომარეობაში არსებობა (Bellum Omnium contra omnes) ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ; მაგრამ შემდეგ დადგინახვით მათი აზრების სხვაობასაც. სხვათა შორის სინტერესთა ხაზი გაუსვიათ აქ იმ გარემოებას, რომ სპინოზის ესმის საკუთრება არა როგორც ბუნებრივი მდგომარეობის გამოხატულება, არამედ როგორც მოქალაქეობრივი მდგომარეობის შედეგი. „ბუნებრივ მდგომარეობაში არავინ არ არის ყველას მიერ აღიარებული მფლობელი რომელიმე ნივთისა და ბუნებაში, არ არის არაფერი ისეთი, რომელზედაც ითქმოდეს რომ ეს არის საკუთრება ამ და ამ კაცის და არა სხვისი“ („Этика“, 289). რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკიც იმაზე, რომ სპინოზის არ ჰქონდა წარმოდგენა საწარმოო ურთიერთობაზე, მაგრამ იმ დროისთვის ესეც გენიალური აზრია.

როგორ ხდება გადასვლა ამ ბუნებრივ მდგომარეობიდან მოქალაქეობრივ მდგომარეობაზე ე. ი. სახელმწიფოზე. ჰობსის თეორიით, როგორც ვიცით, ეს ხდება ხელშეკრულების მეშვეობით. სპინოზამაც მიიღო არსებითად ეს ხელშეკრულების თეორია, მაგრამ თუ ჰობსისთვის ხელშეკრულებას აქვს რაციონალური საფუძველი—სპინოზისათვის კი მას აქვს ბუნებრივი საფუძველი, ამიტომ თუ ჰობსის მიხედვით სახელმწიფო ნიშნავს ბუნებრივი საფუძველის მოსპობას, სპინოზისთვის კი მხოლოდ შეზღუდვაა. „როგორ შეეძლოთ შეეკრათ ურთიერთ ვალდებულება და ჭონოდათ ურთიერთ ნდობა ადა-

შინებს, რომელიც აუცილებლად განიცდიან აფექტების გავლენას... ცხადია... იქიდან, რომ ყოველი აფექტი შეიძლება განსაზღვრული იყოს მხოლოდ მეორე აფექტით, უფრო ძლიერით და მისი მოწინააღმდეგით და რაიმე უფროსს თავს იკავებს სხვისათვის ცუდის მიყენებისაგან იმის შიშით, რომ ეს უფროსი ცუდი არ მოუვიდეს—ასეთ პირობებში საზოგადოებას შეუძლია განმტკიცდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიითვისებს თვითთვის უფლებას, შური იძიოს თავისთვის და იმსჯელოს იმაზე, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი: ამიტომ მას უნდა ქონდეს უფლება დააწესოს ცხოვრების საერთო ხასიათი და აგრეთვე კანონები და განამტკიცოს ისინი არა გონების საშუალებით, ვინაიდან გონებას არ შეუძლია შეზღუდოს აფექტები, არამედ მუქარის საშუალებით. ასეთი საზოგადოება დამყარებული თვითშენახვის და ხელისუფლების კანონებზე, იწოდება სახელმწიფოდ, ხოლო ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მისი უფლების ქვეშ—მოქალაქენი („Этика“ 288), მე მოვიყვანე ეს გრძელი ციტატა იმისათვის, რომ ცხადმყოფი ის, თუ როგორ ღრმად ესმოდა სპინოზას სახელმწიფოს ბუნება. გონებას არ შეუძლია შეზღუდოს აფექტი (მისწრაფება თვითშენახვისაკენ) მას ზღუდავს მხოლოდ უფლება, რომელიც უკვე გახდა სახელმწიფო უფლება, ანუ ხელისუფლება. რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი ჰობსის და რუსოს თვალსაზრისით—ბუნებრივ უფლების აბსოლუტურ გამორიცხვას;—სპინოზას აზრით—მის განსაზღვრას. მაშასადამე სპინოზას აზრით სახელმწიფო ვერანოა ბუნებრივ საფუძვლებს.

ამრიგად თუ ჰობსმა დაიყვანა სახელმწიფო საერთო რაციონალურ საფუძველზე და ახადა მას ლეგებრივი სამოსელი, რომელშიაც ის იყო გავრეული ფეოდალური არისტოკრატიის მიერ (და ეს იყო ჰობსის დროისათვის უდიდესი რევოლუციონური ნაბიჯი), სპინოზა კიდევ უფრო შორს მიდის და სახელმწიფო დაჰყავს ბუნებრივ საფუძველებზე. ამით სპინოზა ასაბუთებს იმ ბუნებრივი უფლების პრინციპს, რომელიც რევოლუციონურ ბურჟუაზიის credo იყო მაგალ. საფრანგეთის დიდ რევოლუციაში.

მაგრამ თუ ხელისუფლება არის მხოლოდ განსაზღვრა ბუნებრივი უფლებისა, მან არ უნდა გამოიწვიოს საზოგადოების რომელიმე წევრის, ან მისი ჯგუფის მიერ უფლების სავსებით დაკარგვა,—სხვანაირად, ბუნებრივი უფლების შეზღუდვა უნდა იყოს ურთიერთ ხასიათისა და არ უნდა დაარღვიოს თანასწორობა მოქალაქეებს შორის. აქედან—მართვა-გამგეობის ყველაზე უკეთესი ფორმა, რომელიც უპასუხებს მოქალაქობრივი საზოგადოების ბუნებრივ საფუძველებს არის დემოკრატიული ფორმა. ამ ფორმას ასაბუთებს „თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი“, რომელიც აუცილებლად გამოხატავდა სპინოზას დამთავრებულ აზრებს, რამდენადაც ის იწერებოდა „ეთიკა“-ს წერის დროს და პარალელურად. „მე საკმარისი გარკვეულობით განვაფიქრებ დემოკრატიული ფორმის მართვა-გამგეობის საფუძველები და განსაკუთრებით მიინდობა ლაპარაკი ამ ფორმაზე იმიტომ, რომ ის, ჩემი შეხედულებით, ყველაზედ უფრო ეთანახმება ბუნებას და ყველაზე ადრე აღწევს თავისუფლებას, რომელიც მინიჭებული აქვს ბუნებას ყოველი პიროვნებისათვის, ვინაიდან აქ არაფერ არ გადასცემს თავის ბუნებრივ უფლებას სხვა პიროვნებას იმისათვის, რომ შემდეგ თვითონ დაკარგოს

ყოველგვარი მონაწილეობა საზოგადოებრივ თათბირებში, და გადასვლა მას მთელი საზოგადოების უმრავლესობას, რომლის ნაწილს თვითონ შეადგენს. ამ ხელისუფლების დროს ყველა რჩება თანასწორი, როგორც ყველაფერი. ბუნებრივ მდგომარეობაში. ამიტომ მე შეგნებულად შეგნებულად აღიარებდი ამ ერთი სახელმწიფოებრივი ფორმის გამოკვლევას... ვინაიდან მე ვაპირებდი ლაბარაკს თავისუფლების მნაშენელობაზე სახელმწიფოში“.

რა თქმა უნდა ამ თანასწორობას და თავისუფლებას არაფერია საერთო არა აქვთ სოციალიზმთან, როგორც ამას ფიქრობენ მოდერნისტები ფილოსოფიის ისტორიაში (მაგ. დებორინი)—ვინაიდან ისინი გამოხატავენ თავისუფალი კონკურენციის სტადიაზე მყოფ კაპიტალიზმის მოთხოვნილებას.

თუ შემდგომ „პოლიტიკურ ტრაქტატში“ სპინოზამ შესცვალა აზრი მართვა-გამგეობის ფორმაზე და შეიწერა (თუცა არა საკმარისი გარკვეულობით) ერთგვარ ჰიბრიდულ ფორმაზე, დემოკრატიულ-მონარქიაზე,—ეს იმით როდი აიხსნება თითქოს სპინოზამ შესცვალა აზრი თავისუფლების მნიშვნელობაზე, არამედ, იმით რომ მთელ რიგ გარემოებებში (მაგ. დემოკრატიული ბელადის, ოპან დევივიტის და მისი ძმის მეცური მკვლელობა მასების მიერ და ანალოგიური საშიშროება თვით სპინოზას მიმართ) დააქუციანეს სპინოზა იმაში, თითქოს ოდესმე ამაღლებულიყო დემოსი თავისი ბუნებრივი უფლების შეგნებისა და მისი რაციონალური გამოყენების სიმაღლემდე.

აღნიშნულიდან საკმარისად ჩანს, თუ როგორ ღრმად ესმოდა სპინოზას სახელმწიფოს ბუნება, მისი წარმოშობისა და არსებობის რეალური საფუძვლები. მაგრამ რამდენადაც მას არ შეეძლო ამაღლებულიყო საწარმოო დამოკიდებულების გაგებამდე ცხადია, სახელმწიფოს სოციალური არსი უნდა დაეყვანა ბუნებრივ ბიოლოგიურ საფუძვლებამდე. საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ როცა საკითხი საზოგადოებრივ ცხოვრების სფეროს ეხება, სპინოზა იჩენს გარკვეული ისტორიზმის ალღოს. განსაკუთრებით აშკარად ჩანს ეს რელიგიის საკითხებში,

გადავდივარ რა მოკლედ სპინოზას შეხედულებებზე რელიგიის საკითხებში. უნდა აღვნიშნო, რომ ის აქ იმდენად საინტერესო და ორიგინალურია, იმდენად გაუსწრო თავის საუფუნეს, რომ მეტად საინტერესო და საჭიროც არის ამ თემის სპეციალური დამუშავება. ამ შრივ ჩვენ ძალიან მცირე გვაქვს ვაკეთებულო, მე მგონია ამ ამოცანას ჩვენ შევასრულებთ, ვინაიდან სპინოზას შემკვიდრობაზე მუშაობა არ უნდა ამოიწუროს, ერთი, თუნდაც საიუბოლეო, საღამოთი.

სპინოზას ათეიზმის საკითხმა ჩვენში იჭვი არ უნდა გამოიწვიოს. უკუ 1. ღმერთის პერსონიფიკაციის უარყოფა, 2. მექანიკური დეტერმინიზმის მტკიცედ გატარება და 3. აქედან გამოშინარე ნებისყოფის თავისუფლების უარყოფა—საკმარისი იყვნენ რელიგიასთან მწვავე კონფლიქტისათვის. პირველი ეწინააღმდეგება დოგმატს ღმერთის გააღამიანების შესახებ (вочеловечение), მეორე უარყოფს სასწაულების შესაძლებლობას და მესამე კი— დოგმატს ცოდეილობის (грехопадение) და მოტვეების (искупление) შესახებ.

მაგრამ სპინოზამ დაისახა სპეციალური ამოცანა რელიგიის კრიტიკისა და ამით გაუსწრო თავის ეპოქას თითქმის ერთ-ნახევარ საუკუნით. მანამდე სწორედ რელიგიის კრიტიკის ცდა არ იყო მოცემული დაეკავებოდნენ კომპრომისით, რელიგიის და მეცნიერების სფეროების გაუმჯობესებას (მაგ. ლეკარტე, ბეკონი და სხ.). მხოლოდ ჰობსმა გააკრიტიკა ზოგადად რელიგია, ვინაიდან პრინციპიალურად უარყო რელიგიის საფუძველი—სულიერი სუბსტანცია—ღმერთი.

რომ გავანადგუროთ რელიგია, საჭიროა გავანადგუროთ მისი საფუძველები. ძირითადი მისი საფუძველი არის ღმერთი. თავის დროზე (საშუალო საუკუნეებში) თეოლოგია ცდილობდა მეცნიერების საფუძველის—ბუნების განადგურებას—მისი გაღმერთებით, მისი თეოლოგიზაციით. სპინოზამ დაისახა სწორედ საწინააღმდეგო ამოცანა, მან გავანადგურა ღმერთი მისი ნატურალიზაციით ეს არსებითად რელიგიის მოსპობას ნიშნავს, ვინაიდან რელიგიას უკვე არ რჩება ობიექტი. ეს ამოცანა შეასრულა სპინოზამ თავის „თეოლოგიურ პოლიტიკურ ტრაქტატში.“

მაგრამ არსებობენ კიდევ რელიგიური საბუთები, რომლებიც ითვლებიან ღმერთის უშვალო სიტყვათ (откровение). შეგვიძლია ვიფიქროთ: რაკი ღმერთი არსებითად უარყოფილია—არ შეიძლება არსებობდეს მისი სიტყვა. მაგრამ შედეგი შეიძლება იქცეს. საფუძველად. თუ ჩვენ ვერ გამოვამკლავებთ ე. წ. საღვთო წერილს და არ დავამტკიცებთ მის სიცრუეს, მაშინ ის იქნება საფუძველი (თუმცა არა პირდაპირი) ღმერთის არსებობისა. ამიტომ მეორე ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საღვთო წერილის მხილებაში. მისი მხილება მდგომარეობს იმის დამტკიცებაში, რომ ის არის არა ღმერთის, არამედ ადამიანის საბუთი. ამ მეორე ამოცანასაც ასრულებს თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი და სწორედ ამ საკითხში გამოიჩინა სპინოზამ ის ისტორიულ-კრიტიკული მიდგომა, რომელიც მას აყენებს ერთ-ნახევარ საუკუნით მის შემდეგ არსებულ დ. ფრ. შტრაუსთან. რა შედეგები მოგვცა ამ კრიტიკაში? სულ მოკლეთ.

როგორც ძველი ისე ახალი აღთქმა (завет) არის ისტორიული, ადამიანური საბუთები. ძველი აღთქმა წარმოადგენს უძველესი ებრაული მწერლობის ძეგლებს, შემდგომ ისტორიკოსების მიერ გადაამუშავებულს, ამიტომაც, მიუხედავად თეოლოგების ათასნაირი ახსნისა, მასში შეტად ძლიერი შინაგანი წინააღმდეგობანი არსებობენ. ე. წ. ათი ცნება (заповедь), რომელიც თითქმის ღმერთმა გადასცა თავის ამორჩეულ საზოგადოებას მოსეს მეშვეობით სხვა არაფერს წარმოადგენენ, ვიდრე უძველეს ებრაელთა სახელმწიფოს კანონების ნაწილობრივ და აბსტრაქტულ გამოხატულებებს: თვით მოსე არ ყოფილა არავითარი წინასწარმეტყველი, ის იყო სახელმწიფო პირი და კანონმდებელი. რაც შეეხება ე. წ. ახალ აღთქმას, ისიც ისტორიული დოკუმენტია. მოციქულები იყვნენ პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც განსაზღვრულ პრაქტიკულ პოლიტიკურ მიზნებისათვის ეწეოდნენ\*სათანადოდ პროპაგანდას, რაც შეეხება სასწაულებს, ისინი შეუძლებელნი არიან რამდენადაც ყველგან ბატონობს აუცილებლობა და მექანიკურ-მიზეზობრივი კავშირი. ამიტომ ის სასწაულები,



რომლებიც აღწერილი არიან, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში — და მათი გეგმულად გამოხატავენ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მართლა იწყებდნენ მკვლევარს ცოცხებას, რამდენადაც მათ არ იცოდნენ მისი ზინაარსი და გამოწვევა. ამრიგად თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, თუ როგორ დასკვნაზე მივყავართ სპინოზა. და არა მარტო მივიდა, საჯაროთ გამოსთქვა კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ მისი დროინდელი რეაქცია იყო საკმარისად ძლიერი და საშიში. ამის შემდეგ თუ სპინოზამ კიდევ დატოვა რელიგია, როგორც პრაქტიკულად გამოსადეგი მასებისათვის, ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მასებმა დე-ვიტის მსგავსი მკვლევარებით და ხეებით დაიმსახურეს სპინოზაში ცუდი რეპუტაცია და მან დაუშვა რელიგია მათი შემკავებელ ძალად.



ამით მე ვამთავრებ ჩემს მოხსენებას სპინოზას ფილოსოფიის შესახებ, ცხადია, ერთ მოხსენებაში მე ვერ ამოვწურავდი ისეთ გრანდიოზულ სისტემას, როგორცაა სპინოზას ფილოსოფია. მოცემულ ანალიზიდან ცხადი უნდა იყოს სპინოზას ფილოსოფიის მატერიალისტური ხასიათი, მაგრამ ამავე დროს ის მეტაფიზიკური ფილოსოფიაა, რაც ნიშნავს მთელ რიგ შინაგან წინააღმდეგობას და გარღვევებს რაც ზემოდაღნიშნული იყო. თანამედვეარი შეიძლება იყოს მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი. ამიტომ მარქსმა და ენგელსმა დაახასიათეს სპინოზას სუბსტანცია, როგორც „მეტაფიზიკურად გადაბრუნებული ბუნება მის გათიშვაში (отрванности) ადამიანისაგან“ (წინდა ოჯახიდან) და აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის მატერიალისტებმა სხვებთან ერთად დასძლიეს სპინოზას მეტაფიზიკაც.

როგორც მე ვცდილობდი დამემტკიცებია ჩემ მოხსენებაში, ყველა წინააღმდეგობანი სპინოზას ფილოსოფიისა და დაუძნებელია მის მეტაფიზიკურ მეთოდზე. აქედან ცხადია თუ რა დიდს შეცდომას სჩადიან მოდერნისტები ამ. დებორინის ჯგუფიდან, როცა აცხადებდნენ სპინოზას დიალექტიკოს-მატერიალისტად, მაგრამ არა ნაკლები შეცდომა იქნება ვუწოდოთ სპინოზას იდეალისტი. პირველი შეცდომა მომდინარეობს უმთავრესად პლენანოვისაგან, რომელმაც მარქსიზმი გამოაცხადა სპინოზიზმის ერთ-ერთ გვარად ან სახეობად. ეს შეცდომა მით უფრო შეუსწნარებელია, რომ ის ერთი მეორეს ურევს მეტაფიზიკასა და დიალექტიკას. პლენანოვს ეგონა, რომ სპინოზას მიერ გადაჭრა აზრისა და განფენილების დამოკიდებულებისა ემთხვევა მარქსისტულ გადაჭრას. ამ შემთხვევაში მან მიაჭტია ყურადღება მათი ერთი მეორემდე და უყვანელობას, რაც მართლა აერთიანებს მარქსიზმს და სპინოზიზმს, მაგრამ მან სწორედ სპინოზა გაუშვა მხედველობიდან, სახელდობრ დიალექტიკა, ისტორიზმი. აზრის და მატერიის უშუალო დაუყოვნებლობა სრულებით არ ნიშნავს მათ ისტორიულ დაუყოვნებლობას, ვინაიდან აზროვნება ისტორიულად წარმოიშვა მატერიაში (და არა მატერიისაგან). სპინოზას მეტაფიზიკა კი, როგორც ეს იყო აღნიშნული, აუარყოფს ყოველგვარ ისტორიზმს და ამიტომ მისთვის აზროვნება ისეთივე მარადიული და წარმოუშობელი არსებაა, როგორც განუფენილობა.



მეორე შეკლამა ახასიათებს განსაკუთრებით ჩვენს საბჭოთა მეცნიერებს (აქსელროდი, ვარიაში და სხვ.) და გამობატავს ბურჟუაზიულ ფილოსოფიის ისტორიის გავლენას. ბურჟუაზიულ ფილოსოფიის ისტორიას საერთოდ ობიექტური შეფასება ამა თუ იმ ისტორიული სისტემისა და მათადაც უნდა დაამახინჯოს სპინოზაც.

თავის რეაქციონრობის დროს ბურჟუაზია ან მთლად ზურგს აქცევს თავის ისტორიულ წინაპრებს ან ასწორებს მათ იმ მიმართულებით, რომ გამოიყენოს დღევანდელი თავის ინტერესებისათვის. ისეთი დიდი წინაპრისთვის, როგორიცაა სპინოზა—ზურგის მიქცევა შეუძლებელია—რჩება მისი დამახინჯება და ამ მიმართულებით დიდი ხანია მუშაობს ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორია. მაგრამ რითი უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ უშუალოდ სპინოზას გარდაცვალების შემდეგ მისი ფილოსოფია მიეცა ერთგვარ „მიწაწყობას“, მიუხედავად იმისა, რომ ის გამობატავს ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს. მე მგონია, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა აღნუსხვას აქ არ შევუძლებია—სპინოზას შემდეგ ფილოსოფიური ჰეგემონია გადავიდა კონსერვატიულ გერმანიაში და მის საკარო (придворном) ფილოსოფოსებს, როგორიც იყო მაგ. ლეიბნიცი, არ შეეძლოთ სპინოზას ფილოსოფიის შეფასება—გერმანიის ბურჟუაზია საამისოთ არ იყო მომწიფებული. მაგრამ თვით ჰოლანდიაში, სადაც კაპიტალიზმი უკვე განვითარებული იყო, სპინოზას ჰყავდა ბევრი ფანატოკური მიმდევარი და მიგობარი, მასთან მიწერ-მოწერაში იყვნენ ეპოქის საუკეთესო მეცნიერული მოღვაწენი.

წინა რევოლუციონურ ხანებში უკვე თვით გერმანიის ბურჟუაზია უბრუნდება სპინოზას. სრულებით არაა შემთხვევითი, რომ სპინოზას „აღმოჩენა“ წილად ხვდა გერმანიის განმანათლებლების მამამთავარ ლესინგს. მას შემდეგ სპინოზა იპყრობს ყურადღებას. მასზე გულმოდგინედ მუშაობს ფიხტე—მისგან ძალიან ბევრს სესხულობენ, როგორც შელინგი, ისე განსაკუთრებით ჰეგელი, ფიქტე და მის ფილოსოფია არსებითად სპინოზას ფილოსოფიის აღორძინებაა მის ნამდვილ შინაასში—ზოლოდ სხვა (სენსუალისტურ) ფორმაში. ფრანგ მატერიალისტებში კიდევ უფრო ადრე შეითვისეს სპინოზას ფილოსოფიის ძირითადი იდეები, თუმცა იბრძოდნენ მისი მეტაფიზიკის წინააღმდეგ, მაგრამ იმის და მიუხედავად, თუ როგორის თანდათანობით ბურჟუაზია უფრო და უფრო რეაქციონური ხდება—ის ამახინჯებს სპინოზას ფილოსოფიას. თქვენთვის ნაცნობ მიზეზის გამო მე ვერ შევჩერდი დღეს სპინოზას ფილოსოფიის სხვადასხვა გვარ ინტერპრეტაციის საკითხზე—მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ზოლოდ მარქსიზმს შეუძლია გაიგოს და ისტორიულად შეაფასოს სპინოზას ფილოსოფია, ზოლოდ მას შეუძლია საზოგადოდ კრიტიკულად ჩაიბაროს ისტორიული მემკვიდრეობა. მარქსიზმის მატერიალისტურ წინამორბედებს შორის სპინოზას უკავია ისტორიულად განსაზღვრული საპატიო ადგილი.

ბურჟუაზიული ქვეყანა, რომელიც აუცილებლად აღნიშნავს დღევანდელ დღეს დიდი გარეგნული პათოსით—ვერ გამოანახავს სპინოზასთვის—ისტორიულ ადგილს—ვინაიდან ის დღევანდელ ეტაპზე იძულებულია ზურგი აქციოს თავის საკუთარ

ისტორიას. ამიტომ ის შეეცდებოდა გამოიყენოს სპინოზა თავისი დღევანდელი ინტერესებისთვის და ამისათვის ის უფრო დაამახინჯებს მას, როგორც ის შეეცადა ჰეგელის ფილოსოფიის გამოყენებას თავისთვის და ამისათვის დააბრუნა უკანასკნელი ფაშის ფილოსოფოსად.

მაგრამ თვით ბურჟუაზია მალე ჩამოვა ისტორიული სცენიდან—მისი დღეები დათვლილია. სპინოზას ფილოსოფია კი, მისი გრანდიოზულობით, და უშიშარი დასკვნებით, უზრუნველყო თავისი ავტორისათვის საპატიო ადგილს უდიდეს მოაზროვნეთა შორის, რომლებმაც წინ წასწიეს კაცობრიობის აზროვნების განვითარება.

## ბარუხ სპინოზა

(მოკლე ბიოგრაფია)

ბარუხ (ბენედიქტე) სპინოზა დაიბადა 1632 წლის 24 ნოემბერს ქ. ამსტერდამში, შეძლებულ ებრაელ ვაჭრის ოჯახში, რომელიც საზოგადოების დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ბიზნესდაწყებითი სწავლა სპინოზამ ამსტერდამშივე მიიღო ებრაელთა რელიგიურ სკოლაში. ამ სკოლის მიზანს შეადგენდა დაბადებისა და თალმუდის დოგმატიური სწავლება. სპინოზამ სკოლაშივე გამოამყვანა რაბინთა სიბრძნისადმი კრიტიკული დამოკიდებულება და მეცნიერული ცოდნისადმი შეურყეველი მისწრაფება. სპინოზა ხარბად დაეწაფა წმინდა მეცნიერებათა, მედიცინისა და ფილოსოფიის შესწავლას. განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მასზე იქონია დეკარტეს თხზულებებმა.

მეცნიერებათა და ფილოსოფიის შესწავლას მოჰყვა რაბინთა მოძღვრებისაგან ჩამოშორება. სპინოზა უკვე აღარ იცავდა სარწმუნოებრივ წესებს, საბურჯის დროს დაუფარავად გამოსთქვამდა თავისუფალ აზრებს. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამსტერდამის ებრაელთა სასულიერო წრეებში. რაბინთა საბჭომ სასტიკი გაფრთხილება მისცა სპინოზას. მაგრამ ამ ზომამ არ ვასპრა. მაშინ სინალოლის თავი კაცები შეეცადნენ სპინოზას მოსყიდვას: ჩინებულ პენსიას შეპირდნენ, თუ იგი უარიყოფდა თავის ღვთის მგმობელ აზრებს და რელიგიურ წესებს დაიცავდა. სპინოზამ ზიზღით უარჰყო ეს წინადადება, მაშინ სპინოზას მოკვლაც კი მოუწოდებდნენ. ერთი ებრაელი ფანატიკოსი მას დანით დახვდა მაგრამ საბედნიეროდ ფილოსოფოსი გადარჩა სიკვდილს. როდესაც ჯვარადიერი გააწყვეს, პოლანდიელ ვაჭრებისა და ამსტერდამის ებრაული ბურჟუაზიის მეთაურებმა მიმართეს უკიდურეს ზომას: შეჩვენებასა და თემიდან განდევნას. სპინოზას შეჩვენების აქტი მიღებული და საჯაროდ წაკითხული იქნა 1656 წლის 27 ივლისს.

შეჩვენების შემდეგ სპინოზა ერთხანს თავის ყოფილ მასწავლებელ ვან-დენ-ენდენთან ცხოვრობდა, შემდეგ გადასახლდა სოფელ რაინსბურგში, ლაიდენის მახლობლად. სპინოზა ოპტიკურ შუშების დამზადებით ირჩენდა თავს. მას დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა აგრეთვე ზოგიერთი მისი მეგობარი.

რანსბურგში სპინოზამ დაამთავრა თავისი ანდრინდელი ნაწარმოები „მოკლე ტრაქტატი ღვთისა, ადამიანისა და მისი ნეტარების შესახებ“. რანსბურგშივე მან დასწერა და 1663 წელს გამოსცა მეორე თხზულება „მეტაფიზიკის ფილოსოფიის პრინციპები“.

1663 წლის დამლევს სპინოზა შეუდგა თავისი მთავარი შრომის, „ეთიკის“, წერას.

1870 წელს მან ანონიმურად გამოსცა „თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი“, — რომელიც თავისი დროისათვის ფილოსოფიური კვლევა-ძიების თავისუფლების მეტად ვაბედულს ჭადაგებასა და ბიბლიის ისტორიული კრიტიკის შესანიშნავ ცდას წარმოადგენდა. „ტრაქტატი“ აუწერელი აღწვოთება გამოიწვია. ავტორის ვინაობა გამომკლენებული იქნა, მას დაუწყეს დევნა. 1674 წლის 19 ივლისს ჰოლანდიის მთავრობამ აღკრძალა „ტრაქტატი“, როგორც „ღვთის მგზობელი და სულის წამწყმედი წიგნი, სავსე საზიფათო აზრებითა და სისაძაგლით“.

1673 წელს სპინოზა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტმა მიიწვია ფილოსოფიურ კათედრაზე. სპინოზამ უარი განაცხადა კათედრის დაკავებაზე. სპინოზას თავისი ფილოსოფიური დამოუკიდებლობის შეზღუდვის შეეშინდა.

1675 წელს სპინოზამ დააპირა თავისი „ეთიკის“ დაბეჭდვა, მაგრამ ვინაიდან მას სიკვდილით დაემუქრენ, თავის განზრახვაზე ხელი აიღო.

სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში სპინოზა მუშაობდა „პოლიტიკურ ტრაქტატზე“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. იგი გარდაიცვალა 1677 წლის 21 თებერვალს, ჰააგაში, სადაც ცხოვრობდა 1670 წლიდან.

სპინოზას გარდაცვალებიდან 10 თვის შემდეგ, მეგობრებმა დაბეჭდეს „სპინოზას უკანასკნელი თხზულებები“. ამ კრებულში შედიოდა: „ეთიკა“, „ტრაქტატი ინტელექტის განწმენდისათვის“, „პოლიტიკური ტრაქტატი“, „მომწერა“ და „ებრაული გრამატიკის კომპენდიუმი“. ჰოლანდიის მთავრობის მიერ 1678 წლის 25 ივნისს გამოცემული დეკრეტით „სპინოზას უკანასკნელი თხზულებები“ აკრძალული იქნა, როგორც ღვთისმგზობელი და სარწმუნოების შემბლაღავი ნაწარმოები.

სპინოზას ფილოსოფია გაცხოველებული და გაათრებული კამათის საგანს შეადგენდა სამისი წლის განმავლობაში. სპინოზას სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ პირველი ერთი საუკუნის განმავლობაში სპინოზას ფილოსოფია რელიგიისათვის უაღრესად საშიშარ ათეისტურ და მატერიალისტურ მოძღვრებად ითვლებოდა. შემდეგ ერთ ხანს სპინოზა უგულვებელყოფილი იქნა, მხოლოდ მე-18 ს. დამლევიდან იწყება სპინოზიზმის პირველი აღორძინება. ამ დროს სპინოზიზმი პანთეიზმად მიიჩნდათ. იყო აგრეთვე ცდები სპინოზას შერიგებისა ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ფეიერბახმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი სპინოზას ფილოსოფიის მატერიალისტურ საფუძვლებს.

მარქსი, ენგელსი და ლენინი მრავალგზის აღნიშნავენ სპინოზას უდიდეს დამსახურებას მატერიალისტური მსოფლმხედველობის განვითარებაში.

## ბნელეთის მოციქულთა განაჩენი



პოლანდიის ბურჟუაზია და სამღვდლოება იმთავითვე მიხვდა სპინოზას ფილოსოფიური მოძღვრების აზრს. მრველიდან დროებით გაძევებით, ორგანიზაციულად მოწყობილ თავდასხმით, რომელიც ვერ მოუხერხდათ, მრავალი ღვენიისა, შეურაცხების და დამცირების შემდეგ, ვაჭრებმა, ბჭურუებმა და რაზინებმა მას, იმ დროის უდიდეს მოაზროვნე-მატერიალისტს, გამოუტანეს თავისი კლასიური განაჩენი. აი როგორ ჭვა და გუნდას ატეხდენ თავს ამ უდიდეს ფილოსოფოსს, როგორ უცხადებდენ ანათემას მის მოძღვრებას გაცოფებული ბნელეთის მოციქულნი:

„განგებითა ანგელოსთა და წმინდათა მიერ აღიარებულ განაჩენითა, განვარინებთ ჩვენ და უცხადებთ რა ბრალსა და წყევას ბორუბ დე-სპინოზას, ნებითა ყოვლად წმიდისა მეფისა და მრთელი ამ წმიდა მრველისა, წინაშე კანონთა წმინდა წიგნებისა ექვსასათამეტისა განსასჯელისა მას შიგან წერებულთა, — ვკრულავთ იმ წყევითა, რომლითა იესო ნაფინმა დასწყევლა იერიქოხი, რომელ აღამაღლა ელია ყრმათა ზედა, და ყველა იმ წყევითა, რომელ წერილ არს კანონთა წიგნსა შიგან...“

წყვეულ იყოს იგი დღითა და ღამით; წყვეულ იყოს იგი ქაშსა დაწოლისა და ადგომისა; წყვეულ იყოს იგი სახლსა შიგან შესვლისა და ვასელებისა ეამს. არა მიუტყვეოს რა მას უფალმა, დაატყდეს რისხვა მისი და ძიება შურისა ამა კაცსა თავსა ზედა, ჰხედეს მას ყველა ის წყვეანი, რომელ წერილ არს კანონთა წიგნსა შიგან.

აღგაეონ ღმერთმან სახელი მისი უკვალოდ ამა ცის ქვეშე, მისცეს იგი გვენასა ბოროტებისა, განატყვებს რა უწინარეს ისრაელთაგან ზეცის მიერ მოვლენილ წყევითა, რომელ წერილ არს კანონთა წიგნსა შიგან.

გაფრთხილებთ თქვენ, რამეთუ არცაერთი კაცი არა ეუბნას მას არცა ენითა, არცა წერილითა, არა მსახურებდეთ მას, არცა იცხოვრებდეთ მასთან ერთ ჰერ ქვეშ, არც დგებოდეთ ახლოს მისგან ოთხი წყრთისა უმოკლესად, არცა იკითხვიდეთ/შეთხზულსა მისსა და დაწერილსა მისსა“.

(სპინოზას გაძევებისა და დაწყველის აქტიდან 1665 წლის ივლისის 27-ს).

აი ასეთი იყო კლასიური განაჩენი, რომელიც გამოუტანა ბურჟუაზიამ ახალი დროის მატერიალიზმის ერთ უდიდეს გამომცხადებელს.

## შლიანტური რომანტიზმი ინგლისურ ლიტერატურაში

(პ. კონრად)

1

1893 წლ. ნოემბერში „კაპიტანთა ასოციაციის“ საშუამავლო კანტორის მეშვეობით ლონდონში ინგლისურ სავაჭრო ფლოტის კაპიტანმა ჯოზეფ კონრად კორეენესკიმ წინადადება მიიღო პირველ თანაშემწედ შესულიყო გემ „ადოვაზე“. ფრანგულ-კანადურ კომპანიის მიერ ეს გემი კანადაში ემიგრანტების გადასაყვანად იყო განწყობული და ამიტომაც რუანში იდგა. მის კაპიტანს ფრანგული ენის მკოდნე თანაშემწე ესაქიროებოდა. კორეენესკი წინადადებას დასთანხმდა და ფეხი შესდგა „ადოვაზე“. მაგრამ გემი კანადაში როდი წასულა. იანვრის 12-ს „ადოვამ“ ლუზა ტემზაში ჩაუშვა და ორი დღის შემდეგ კორეენესკიმაც სამუდამოდ მიატოვა საზღვაო სამსახური.

1894 წლის იანვარი მნიშვნელოვანი თარიღია ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში. ინგლისის სავაჭრო ფლოტმა დაჰკარგა ენერგიული, თუმც კი უბედო კაპიტანი კორეენესკი, ხოლო ინგლისურმა ლიტერატურამ შეიძინა ჯოზეფ კონრადი.

დიდი ხანი არ გასულა კონრადის სიკვდილის შემდეგ. და ამჟამად ძალიან ძნელია კონრადის დაფასება ისე, როგორც მის ოდენობას შეეფერება. მაგრამ ახლაც შეიძლება დარწმუნებით თქმა, რომ ინგლისურ ახალ ლიტერატურის ყველა სახელს შორის პოლონელ-კაპიტანის სახელი ინგლისისა და კონტინენტის შველევართა გამახვილებულ ყურადღებას იპყრობს. გაიზარდა მისი პოპულარობა მკითხველთა შორისაც ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში. კონრადი ძნელად შედიოდა მკითხველ ინგლისელის ბიბლიოთეკაში. „დღევანდელი დღის“ პრობლემათა გარე მდგომსა და მთელ ლიტერატურულ ინგლისის უთუო დამპყრობს, მას, რასაკვირველია, არ შეეძლო ფართო პოპულარობის მოხვეჭის იმედი ქონოდა, სანამ მკითხველი არ მოჰხიზლა მისმა დიდმა სახელმა ინგლისელ და ამერიკელ კრიტიკოსთა შორის. ეს მოხდა, დაახლოებით, ლიტერატურაში კონრადის შესვლის 20 წლის შემდგომ. მანამდე კი მისი წიგნები ნელა იკაფადენ გზას მაღაზიის თაროებიდან.

არ უნდა დაგეგვიწყდეს, რომ კონრადს ინგლისური ენა ინგლისს მისკლამდე როდი უსწავლია. ინგლისური ენის სკოლას მისთვის წარმოადგენდა საუბარი ამხანაგ-მეზღვაურებთან და საზღვაო გაზეთები. როცა პირველი რომანი უკვე დასწერა, მას ჯერ კიდევ არ ჰქონია ვაგონილი საკუთარი. უკუტყუარ მის მიერვე ნახმარი ბევრი სიტყვა. და ვინა უძნელეს პრობლემად სხვა-მან უკუტყუარ კაქტი იმ უდაო სტილისტურ ოსტატობისა, რასაც პირველივე რომანით მიაღწია ამ კაცმა, რომელმაც ოც წლამდე ინგლისური ენა არ იცოდა?

ჩვენი საუკუნის ინგლისელ მწერალთა შორის კონრადი ვანმარტოვებით სდგას. თუ ვნებათ, შეიძლება დაამყაროთ კავშირი კონრადსა და ჰენრი ჯემსს შორის, ესე იგი, მონახოთ ფსიქოლოგიური ანალიზის საერთო ხერხები, მაგრამ, კიდევ რომ მიზნად დაისახო ამის მონახვა, ასეთი კავშირი მაინც ვერ დაამყარებს კონრადის ინგლისურ გენეალოგიას. ვინაიდან არ შეიძლება იმის დაფიქვებაც, რომ თვით ჰენრი ჯემსი უცხოელია ინგლისურ ლიტერატურის ისტორიაში. არც თავისი მოთხრობითი ხერხითაა იგი ჯემსის მოვალე, მხოლოდ კომპოზიციაში თუ შეიძლება ამ გავლენის კვალის მონახვა. ხოლო კონრადის ლიტერატურულ გენეალოგიაში ინგლისელ რომანტიკოსების მონახვა კი არ შეიძლება. ინგლისურ ლიტერატურაში იგი შევიდა როგორც მოწიფული ადამიანი, რომელიც თავის მსოფლშეცნობით სრულებითაც არ იყო ინგლისის სოციალურ გარემოს მოვალე და კუნძულელთა ლიტერატურას კონრადის რომანტიკა დაამყნო.

2

„პირადი ანგარიში“-ის („Personal Records) ფურცლებზე კონრადი აღნიშნავს: „იმ დრომდე, სანამ რომანის წერა არ დავიწყე, მე არაფერი დამიწერია, გარდა წერილებისა, და ისიც არა ერთობ ბევრი, ჩემ სიცოცხლეში არაოდეს ჩამიწერია ფაქტები, შთაბეჭდილებანი ან ანეკდოტები. როცა საწერად დავგეგმე, განზრახული წიგნის კონცეპციაზე არაერთი წარმოდგენა არ მქონია, არაოდეს არა მქონია მწერლად გახდომის მედიდურება და მწერლის ცხოვრება ჩემს ოცნებას არაოდეს არ წარმოუდგენია იმ ცხოვრებად, რაზედაც ყოველ ადამიანს უყვარს ხოლმე ხანდახან ოცნება. ეს ცხოვრება წარმომიდგა იმ წუთს, როცა „ოლმეიერის შეცდომების“ ხელნაწერის პირველი ფურცელი დავასრულე“...

ეს მოხდა ლონდონში 1889 წლის სექტემბრის ერთ წვიმიან დღეს. კონრადი უკვე 32 წლისა იყო და „ოლმეიერის“ ხელნაწერი მთელი ხუთი წლის განმავლობაში სულ თან დაჰქონდა მას ყველა ნაოსნურ მოგზაურობაში. არ განზორებია იგი მას არც „წყვედიანის გულში“—სტენლის მიერ გაკაფულ გზებზე. თავისი მუშაობის შესახებ მას არავისთვის უცნობებია—თავის ბიძისა და მეურვისთვისაც კი არ მიუწერია. ლონდონის სახსოვარი დღის მხოლოდ სამი წლის შემდეგ წაიკითხა მან ვემ „ტორენსზე“, ადელაიდას რომ მიდიოდა, „ოლმეიერის“ ცხრა ნაწერი თავი. მისი მსმენელი აღმოჩნდა „ახალგაზრდა კემბრიჯელი“, ვინმე მისტერ ჯექს. გარნა კონრადს შეეძლო ეს ცხრა თავი ისეთივე წარმატებით თავის ბუსოლისთვისაც (კომპასი) წაეკითხნა. მ—რ ჯექსს სრულიად არაფერი გაეგებოდა იმ ატმოსფეროსა, რომელშიც კონრადის გმირები ტრიალებდნენ.

ძნელია იმის გამოკვეცვა, შევიდა თუ არა ეს ჯექსი კონრადის რომანებსა და მოთხრობებში, ვინაიდან თვით კონრადი ამის შესახებ სდუმს, ხოლო ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯექსს აგრერივად არ ეკარებოდა რუქებიცა და კოველ შემთხვევაში ეს მისტერ ჯექსი კონრადის მიერ დახატულს ზედაპირს გალესილი. კონრადის ახაერთხელ უწვევებია ისეთი გმირები, რომლებიც ორგანიულად ყრუ არიან „საიკოცხლისა და სიკვდილის ბნელ ძახილისადმი“, რასაც „ჩვენი რომანტიული ნაწილაკი“ ვაგვავაგონებს ხოლმე.

მაგრამ თუ კონრადმა არ ისურვა ჯექსის ჩვენთვის შენახვა, მან შეგვიჩინა პორტრეტი ვიღაც ნახევარდანიელისა, რომელიც შვილთან ერთად სცხოვრობდა ბორნეოზე მაშინ, „როცა კონრადი სინგაპურსა და ბულუნგანს შორის მიდიოდა გემ „ვიდარით“. ეს პორტრეტია ოლმეიერ, „ცოცხალი ბუნების“ ნახევარ დანელი, რომელიც გარდაიცვალა ჭრილობათაგან, პიფონზე ნადირობის დროს რომ მიეღო; სწორედ ის გამოადგა კონრადს ოლმეირის სახის შესაქმნელ ტრამპლიანად.

ედუარდ მარენტი, მის მიერ გამოცემულ კონრადის წერილების წინასიტყვაობაში იხსენებს: „ერთხელ მე ავუწერე კონრადს ოჯახური საშინელი დრამა, რომლის მოწმეც თვით ვიყავ. კონრადი ცუდ გუნებაზე დადგა და აღელვებით წამოიძახა: „არავითარ ამის მზგაგსს მე არ შეგხვედრივარ. ნახევარი სიკოცხლ ზეადანსხვა გემით ხეტიალში გამიტარებია და ნაპირზე მხოლოდ ნაოსნობასა და ნაოსნობას შუა გადავსულვარ. მე არაფერი, სრულიად არაფერი ვიცი. მხოლოდ შორით მაყურებელი ვყოფილვარ. იძულებული ვარ ყველაფერს უშუალოდ მივხედო“.

ცოცხალი ცხოვრება მიწაზე მიმდინარეობს. ზღვაზე კი—სულ სხვა ცხოვრებაა, სხვა კანონები, ადამიანები იქ სხვანაირად შედევნდებიან, და კონრადი, მართლაც, იძულებული იყო ბევრს რასმე მიმზღადარიყო. იმიტომაც ასცდა მის, როგორც ხელოვანის, თვალს ბევრი რთული და ერთობ „ხმელეთური“ თემა, რომელთაგანაც პირველია ოთხმოცდაათიან წლების დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ინგლისურ რომანის მიერ შეყვარებული თემა—ქორწინება. თავის ხომალდებსა და გემებზე მჯდომი კონრადი ამ თემას ასცდა. მაგრამ იგი როდი ასცდენია იმ ადამიანებს, რომელთა გაცნობაც მას მოუბდა მაღალის არქიპელაგსა, ინდოეთ-ჩინეთის ნავთსადგურებისა, ავსტრალიისა და აფრიკის მაღარიან ტევრებში, სადაც მისი ყველაზე უფრო რომანტიული გმირი კურჯი გარდაიცვალა.

შთაბეჭდილებებს კონრადი როდი დაუღრჩვია. მხატვრული მეხსიერების ფსკერზე ილექებოდნენ ადამიანები, ქალაქები და ზღვები, ხელუხლებლად ინახებოდნენ ცქერისა და სმენის გაღიზიანებით გამოწვეული ემოციური რეაქციები. და მეხსიერებაც იცავდა იმ მდგომარეობათა და გარეშე ამბების მტკიცე კონტურებს, რომლებითაც მისი მოგზაურობის რუკა იყო დამიჯნული. მას ესაქიროებოდა ჩონჩხი რამ, რასაც დაგროვებული შთაბეჭდილებანი უხდა მოეწესრიგებინა. ძნელი არ არის კონრადის ბევრ ნაწარმოებში ამ ფაქტებს, კონკრეტულს ამბებზე მისი სიუჟეტის ამ საყრდენების მოძებნა—წერილებსა, საუბრებსა და მოგონებებში იგი თვით გვაშეცნობს ამას. გვეუბნებოდა ხოლმე



იგი იმ ადამიანების შესახებაც, რომლებიც „პროტოტიპებად“ გამოირჩევიან. მაგრამ ამ უკანასკნელ ცნობებს სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ.

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, როგორი სახითაც წარმოგვიდგებიან ეს ადამიანები მისი რომანებისა და მოთხრობების ფურცლებზე. ჩვენ უნდა გავსწავლოვართ იყვენ ისინი ცხოვრებაში, მაგრამ სამაგიეროდ ერთი რამ კი კარგად ვიცით: კონრადი სესხულობდა ნამდვილი კაცის სახელს, ან ოდნავ ასხვანაირებდა მას; იგი ზოგჯერ რამდენიმე კოცხალი ადამიანის დამახასიათებელი თვისებებით ჰმოსავდა ერთ პიროვნებას და, დასასრულ—იმახსოვრებდა ამ ამბავს, რასაც შემდეგ სიუჟეტის მოტივად იყენებდა. ამისი დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ კონრადის ნაწარმოებთა დოკუმენტაციის მთელი პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობს თუ ამ რეალური ადამიანების რეალური ნიშნები რამდენად იძლეოდნენ საფუძველს იმ რომანტიულ პორტრეტების დასახატავად, რომლითაც კონრადი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შევიდა.

კონრადის მიერ ნახულ ადამიანის ხასიათის „სიპართლებზე“ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით თუ რა არის „გამოგონილი“ მისი გმირების პორტრეტში. ესაა და ეს, სხვა მაჩვენებლები ჩვენ არა გვაქვს. მაგრამ ცხადია, რომ ჩვენი მაჩვენებლები მეტად არისანდოა. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებოდით გვეწამა, რომ დედამიწის ყველა განივზე ერთობ ბევრია ისეთი ხალხი, რომელიც ყურს უგდებს „სიცოცხლისა და სიკვდილის ბნელ ჭაბილს“, ხოლო ამ ხალხის უმრავლესობას კი „მკერდში მშფოთვარე გული უცემდა არამატერიალური და ძვირფასი სინამდვილის,—სიყვარულისა და რწმენის სინამდვილის ნაღვლით შეპყრობილი“.

კონგოს ექსპედიციაში ყოფნის დროს კონრადის მიერ ნაწერ დღიურში (გამოქვეყნებულია Last Essays-ში) ჩვენ ვეცნობით იმ ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად დაედო „წყევდიადის გულს“. ამ ფაქტებს მოკლედ გვაძინობს მარლოუ, რომელიც „წყევდიადის გულში“ მოგზაურობაზე მოგვითხრობს. კონრადსაც ისე ჭიზნებოდა კამილ დელკამიუნი, როგორც მის გმირს მარლოუს.

ბატარა გემი „ბელგის მეფე“ გაგზავნილი იყო შორეულ სავაჭრო ნავთსადგურში, რათა იქიდან მოეყვანა მალარიით დაავადებული აგენტი კლეინი—რომანში კონრადმა კურცი დაარქვა მას. ექსპედიციის გაგზავნის ცოტა ადრე მართლა მოკლულ იქნა კაპიტანი ფრაისლენი—რომანში ფრისლენი.

„ჩრდილოვანი ხაზი“-ს თემა—მკედარი შტილა, რომელმაც დიდ ხანს აწამა ხომალდი შუაგულ ზღვაში, მოგონილი როდია კონრადის მიერ.

მოთხრობა „სიყმაწვილზე“ დაწერილია იმ შთაბეჭდილებათა გამო, რომლებიც კონრადმა მიიღო ნიუკესტილიდან ბანკოკში რეისის დროს 1881 წლ. სექტემბერში. თავდაპირველად კონრადი ბაქანზე შეორე თანაშემწე იყო; ამ ბარქას „პალესტინა“ ერქვა—მოთხრობაში სახელი შეცვლილია „იუდეათი“.

რომანში „შემთხვევა“ კონრადმა მოგვცა მეტად საინტერესო აღწერა ახალგაზრდა ნოუელის მიერ საშტურმანო გამოცდის ჩაბარებისა—მოგონება თავისი გამოცდის შესახებ, რომელიც მან მესამე თანაშემწის წოდებაზე ჩააბარა 1880 წლ. ივნისში.



რომანი „ოქროს ისარი“, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ავტობიოგრაფიულია მის რომანთა და მოთხრობათა შორის, ამ რომანში მან განაგრძო დომინიკო ჩერვონი, საკუთარი თავი—monsieur Georges და ქალი იდეალი, რომანტიული ქალი, რომელიც მან, ოცი წლის ყრმამ, შეიყვანა.

ისეთი ეპიზოდები, როგორიცაა დღელი, რიტა დე ლასტროსის დაკარგვა და ბევრ სხვა მომენტი ზუსტადაა ჩაწერილი—საკმაოა მხოლოდ შეადარო ისინი „ტრემოლინოს“ მოგონებებს კრებულში „ზღვის სარკე“.

## 3

ჩვენ ვიცით, რომ კონრადი, როგორც პატარა გემის მეთაური, სტენლის კვალს მიჰყვება და აფრიკის გულში—კონგოში შეიჭრა, რათა იქიდან ბელგიის ფირმის ავადმყოფი აგენტი გამოეყვანა. ეს ფირმა ერთ-ერთი სხელი სავაჭრო დაწესებულება იყო, რომელსაც სპილოს ბევრი ძვალი დაუძვრია „წყვდიადის გულისთვის“. კლუინი—სავაჭროს აგენტი—ერთი უნებურად მსახურთაგანი იყო. კონრადთან ერთად (მარლოუს მოთხრობაში) ამ პატარა გემით მოგზაურობდა რამდენიმე კაცი, რომელიც უზუნდების რომანტიკით მოხიბლვისგან საოცარი გონებრივი სიბლავებით იყო დაცული. მათ შორის ერთი ფირმის მონაწილეც იყო. და როცა, დასასრულს, გემმა მგზავრობის მიზანს მიაღწია, მკითხველის წინაშე წარმოსდგა კლუინ-კურცი.

კონრადი უკვე სასიკვდილოდ განწირულ კურცს აცნობს მკითხველს. ეს სავაჭროს აგენტი, მალარიან ვაჟვალ ტყეებში გადაკარგული და იქიდან ბრიუსელის კანტონაში თავის პატრონებისათვის სპილოს აუარებელ ეშვების მგზავნელი, სასიკვდილოდ ისე დაავადდა, რომ თვისი დიდი ზრახვების შესრულება ოდნავაც ვერ მოასწრო. თუმცა, ამ ზრახვების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით—აფრიკის ტევრებიდან დაბრუნებულ კურცს კონრადი გვიჩვენებს, როგორც განუსაზღვრელ მდიდურებითა და საკუთარი რჩეულობის შეგნებით გულსავე ადამიანს: „მას (კურცს) სურდა, რომ შედეგი ყოველ სადგურზე მიჰგებებოდენ მას, აზრდილოვან ქვეყნიდან დაბრუნებულს, სადაც დიდ საქმეთა აღსრულება ჰქონდა განზრახული“.

მერე რას ეძიებდა „წყვდიადის გულში“ ეს ჯადოქარი ადამიანი? მარლოუსთან ბაასში იგი იმ აზრს აწვითარებდა, რომ ჩვენ, თეთრები, რომელთაც განვითარების განსაზღვრულ საფეხურს მივაღწიეთ, „მათ (ველურებს), ზებუნებრივ არსებად უნდა მოვეჩვენოთ... ნებისყოფის ვარჯიშობით, ჩვენ შეგვიძლია განუსაზღვრელი და კეთილისმყოფელი ხელისულება მოვიპოოთ“.

არც კურცი, არც მარლოუ არ გვიხსნის ამ „კეთილისმყოფელ ხელისუფლების“ ცნებას, რომლითაც ამ თავისებურ კონკვისტადორს აზრდილოვანი ქმედების მცხოვრებთა დამორჩილება სწადდა, მაგრამ მისი პირადი თვისებანი, აღბად, სავსებით უზრუნველყოფდა ასეთი ოპერაციის წარმატებას; ყოველ შემთხვევაში, ამ „ველურების“ დამორჩილებას მაინც მიაღწია.

მარლოუ სცდილობს კურცის ერთ-ერთ თანამემწისგან ვაიგოს: „განა მიაღწია კურცმა, რომ ეს ტომი მის ბრძანებას მიჰყოლოდა?—იგი შეყოყმანდა, შემდეგ უპასუხებს: „ისინი ჰედს იხრიდენ მის წინაშე“.

მაშასადამე, კურცმა შეასრულა თავისი პროგრამის პირველი ნაწილი: მიღწეა განუსაზღვრელ ხელისუფლებას ველურთა სულში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი ტრიუმფატორად არ დაბრუნებულა—იგი მხოლოდ „დიქტატორბდა დიდი საქმეების გაკეთებას“. ავადმყოფობა მისი შებრალება ვერც შეუძლებს ჩვენ ვტყობილობთ, რომ მან „ბევრი ტანჯვა გაიარა. ყოველივე ეს სწავლა, მაგრამ რატომღაც იქიდან ვერ წასულიყო“.

ჩვენ არც მისი ღრმა ტანჯვის მიზეზები ვიცით. ვუჯერით მარლოუსს, რომ „კურცს ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და კიდევაც სთქვა“. სიამით აღვიარებთ კურცს, როგორც დიდ გაქანებათა ადამიანს ისე, რომ არცკი ვიცნობისმოყვარებთ, რა გვარისა იყო ეს გაქანებანი, მაგრამ ოდნავ გვაკვირვებს მაინც თუ რამ შეუშალა ხელი ამ გაქანებათა განხორციელებას. გვაკვირვებს იმ დრომდე, სანამ მომაკვდავი კურცი თვითონ შეაჯამებდეს მთელ თავის უცნაურ ცხოვრებას „წყვედიადის გულში“. „მან შეაჯამა და განაწინიც გამოიტანა: „საწინელება“.

ასეთი იყო უკანასკნელი სიტყვები „წყვედიადის გული“-ს გმირისა.

ამ რომანში კონრადს არსად არ უღალატნია რომანტიული პორტრეტის კანონებისთვის. კურც-კლეინის პორტრეტი შეფერადებულია რომანტიული სტილის ყველა კლასიკური ხერხით: იმ ქვეყანაში გარდახვეწა, რომელიც რომანტიული რეკვიზიტის ყველა ეპითეთითაა შემკული; იღუმალი შარე, რომელსაც „ჰმართავს უსაზღვრო ძლიერი ძალა; ადამიანის ნებისყოფა ამ ქვეყანას ირჩევს, რათა უდიდეს იდეას ემსახუროს. ამ იდეის სამსახური შესაძლებელია მხოლოდ იქაურ აჩრდილთა ადამიანის ნებისყოფისა და ხელისუფლებისადმი დამორჩილებით. ადამიანი სრულებით და საბოლოოდ იმორჩილებს ნათ, სავსებით უმწიოდ ხდის მათ, რათა შემდეგ რალაც დიდი მიზნისკენ წარუძღვეს მათ. ცოცხალი ცხოვრების დამგმობს და იქიდან წასულს, საკუთარი მოუსვენრობა და მარადიული წყურვილი იმ ოცნების სამყაროში გადააქვს, სადაც თავისი ხელისუფლება დაუმყარებია. მაგრამ ცოცხალი ცხოვრების იქითა მხარეშიც—ლამის სიზმარია იღუმალ სამყაროში—მოუსვენრობა არ ეშვება მას. ცოცხალი ცხოვრებიდან წასვლის წინ მან დასწყევლა ეს ცხოვრება, რადგან აქ ბოროტების მეტი არა იყო რა. ტანჯვამ აიძულა „მოჩენებათა“ ქვეყანაში წასვლა, ტანჯვა იქაც უთვალთვალებდა გარდახვეწილს. ოცნებას განხორციელება არ ეწერა, „დიდ ზრახვებს“—გამართლება, „დიდ საქმეს“—შესრულება, ყოველ შემთხვევაში, აქ—დედამიწაზე. ამიტომაც უკანასკნელ, სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვად მაინც „საწინელება“ რჩება.

რომანტიულ მსოფლმეტრძობის ძირითადი დამახასიათებელი თვისება— „სულიერი მატკსიმალიზმი“—კონრადმა განუსაზღვრელი სიმწვავეთ გააშიშვლა. „წყვედიადის გულში“ კონრადის კურცი—რეალური პერსპექტივის დამახინჯებით—ცოცხალ ადამიანის საწინელი პროექციაა რომანტიულს ეკრანზე. კონრადისეულ კონგოს გვერდით, შატობრიანის პეიზაჟი უფერული სჩანს, ხოლო ამ მოთხრობის სინტაქსი და ლექსიკა თითქმის სამავალითაა რომანტიულ პროზისთვის.

„ლორდ ჯიმის“ წინასიტყვაობაში კონრადი მეგობრის პირობა აღმოგვეცემს „ერთი ქალის აზრს, რომელსაც ეს წიგნი არ მოსწონებია“. კონრადს გააკვირებია ამ უარყოფითი აზრის მოტივი. ქალს უთქვამს: „ეტიკე ეს ქალიან მტკივნეულად“-ო. და კონრადი, თურმე, „მთელ საათს“ ჰფიქსირებს იმ განაჩენზე. ბოლოს იმ დასკვნამდე მისულა, რომ ეს ქალი კონტინენტის მცხოვრები არ უნდა იყოსო. „ყოველ შემთხვევაში, არცერთი ადამიანი, ვის ძარღვებშიც რომანული სისხლი სჩქევს, მტკივნეულად არ ჩასთვლიდა იმ სიმწეავეს, რომლითაც ადამიანი პატიოსნების დაკარგვას რეაგირობს.

განა სწორია კონრადის მოსაზრება იმ ქალის ეროვნებისა და რომანული სისხლის განსაკუთრებულ თვისებათა შესახებ? პატიოსნების დაკარგვით გამოწვეულ რეაქციის „მტკივნეულობაში“ კონრადი სამტკივნეულოს ვერაფერს ხედავდა სრულიად სხვა მოსაზრებით, რომელსაც მისი სისხლის ეროვნულ შედეგნილობასთან არავითარი საერთო არა ჰქონდა. ამ მოსაზრებაზე—ჭეშმოდ. ახლა კი საჭიროა ჯიმის სახეზე შევერდეთ, ვინაიდან მაში, რომელიც კურცის სახეზე აწა ნაკლებ დასრულებული სახეა, საესებითაა გახსილი რომანტიზმის ის პრობლემატკია, რასაც კონრადმა მთელი თავისი ოცი ტომი მოანდომა. კურცის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით, ვხედავთ გმირის დასრულებულსა და სტატურ სახეს, ვხედავთ მის ნიღაბს, რომელიც მაღალ რომანტიზმის კანონების მიხედვითაა ჩამოსხმული. კურცი ფსიქოლოგიური პორტრეტი როდია, და კონრადმა „წყვედიანის გულში“ რომანტიზმის ემბლემატკიკის ამოცანა ახსნა. მთელი თავისი შემოქმედება, და პირველ რიგში, „ლორდ ჯიმი“ კონრადმა რომანტიულ ხასიათის პრობლემატკიკას მოანდომა.

და ჯიმიც ხომ „მათუნებელი არდილებით, მრისხანე ლანდებით გარშემოხვეული ცხოვრობდა“. ჯიმი ამ მოჩვენებათა ხელში იყო ჩავარდნილი, რომელთა წინააღმდეგაც იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა თავისი უბედო ცხოვრების მეორე ნახევარში, „მიწას დაანარცხო შენი არსობის პური, რათა ხელები თავისუფალი ქანდეს მოჩვენების წინააღმდეგ საბრძოლველად—ეს პროზაული გმირობის აქტი შეიძლება იყოს“.

კონრადმა იცოდა ეპითეტების არჩევა და ამ ეპითეტის „პროზაულად“ გვერდის აგლა არ შეიძლება. ლორდ ჯიმის რომანტიულ პორტრეტში ეს ყველაზე უფრო ძვირფასი და ყველაზე უფრო მკაფიო ხაზია. კურცის პროზაულ გმირობის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით—მისი გმირობა ზეპოეტური რიგისაა. მისი მაღალი ფარდის ცხოვრებას არ აბნელებს ყოველდღიური პროზის შიგ შეპრა ლუკმა ბურისთვის ბრძოლა. ხოლო კურცის სახით კონრადი სულ სხვა ამოცანას ხსნიდა. კურცის მკვდარი ნიღაბი არ უნდა გავცოცხლებინა ადამიანის სახის მიმიკას; ცოცხალი კაცის-ჯიმის გმირობა მკვდარი იქნებოდა, პროზაული ბრძოლის ელემენტები რომ არ შეესუტა.

მეტად მარტივია თემა ამ შესანიშნავ მოთხრობისა მტურმან ჯიმის შესახებ. ახალგაზრდა მტურმანი, თავის მეზღვაურ ამბანაგების პანიკით შეპყრობილი, მათთან ერთად სტოვებს გემს იმ წუთში, როცა ხსნის იმედი თითქოს აღარ უნდა ყოფილიყო. ჩვენ არ ვიცით, რა ბედს ირჩევდა ჯიმი იმ შემთხვევაში, გემი რომ დაღუპულიყო. ხოლო გემი არ დაღუპულა. და მტურმანმა ჯიმმა პა-



მიზნების გულისათვის“... უთხრა მარლოუს იმ ქალმა, რომელმაც ვერ მიხსლო ცხოვრებისთვის შეენარჩუნებინა ჯიბი.

კაპიტან ლინგარდის წინაშე („ხსნა“) კონრადმა იგივე პრეტენზიები წამოაყენა— მოვალეობისა და პატიოსნების. ლინგარდი უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე კონრადმა განიხილა მას ძალა, სიყვარულმა აიძულა საეგვიპტოდ გაეხადნა პატიოსნება და კიდევ წაეგებინებია. საზღაურიც მალე მოვიდა— დაიქცა ის საქმე, რასაც ძალა და ვაჟაკობა შეეწირა, ხოლო ქალმა კი უარი სთქვა და კეთილი ცხოვრება ოკეანეებში ხეტიალზე არ გასცვალა.

მოვალეობისა და მისთან დაკავშირებულ პატიოსნების პრობლემას კონრადი ხშირად უბრუნდებდა, მსოფლიო ლიტერატურაში საეგვიპტო მოიძებნოს მაკ ვირასთანა მეორე კაპიტანი. ბრმა და დასრულებული მატარებელი მოვალეობის იდეისა, არც თუ ქარიშხლის აღწერა მოიძებნება ასეთი, როგორც „ტაიფუნ“-შია მოცემული. ხოლო ყველაზე უფრო ზუსტი ფორმულა, ყველა იმისთვის სავალდებულო, ვისაც კონრადი არა ერთგვის აღგვიწერდა და ვისთვისაც თავი მოჰქონდა, მოგვცა შხარეულმა „ნარციელ ზანგში“— „სანამ ბარქასი წყლის ზედაპირზეა, — მე შხარეული ვარ“-ო.

ბევრმა ხალხმა გაიარა კონრადის თვალწინ მის საზღვაო საშახურის განმავლობაში— სხვადასხვა ფერისა და სოციალურ მდგომარეობის ხალხმა, მაგრამ რა თემაც უნდა აეღო კონრადს თავის მორიგ რომანისა თუ ნოველისთვის ცენტრალური თემა პატიოსნებისა, დანაშაულისა და საზღაურისა თუ სხვა— მან მხოლოდ ერთა გვირის დანახვა იცოდა, ეს გვირი (მამაკაცი— ქალის აღწერას კონრადი ვერ ახერხებდა) შეეპყრობილი იყო— მოვალეობით ან ვნებით, გაბოროტებით ან სინანულით, დანაშაულის შეგნებით თუ საზღაურის წინაგრძნობით, ყოველი მათგანი— ჯასპერი, ფალკი, კარაინი რომელსაც ავი სული სდევნიდა, ზანგი „ნარცისიდან“, ჯიბი, მაკ ვირა, ლინგარდი და არსატი— ყველას შეეძლო რაზუმოვთან ერთად („დასავლეთის შეხედულებით“) გაემეორებია სიტყვები აღსარებისა, ხალდინას რომ გაუგზავნა: „ნატალია ვიქტოროვნა“, მე შეპყრობილი ვიყავ“. ასევე შეპყრობილი იყო კურცი, რომლის შესახებ ვკითხულობთ: „სული მისი სიგიჟით იყო შეპყრობილი“.

ულმომელი იყო კონრადი თავის გვირებისადმი, ვნებას შეპყრიდა ხოლმე მათ და აიძულებდა ფსკერამდე ამოეწურათ იგი. აიძულებდა მათ საკუთარ თავისთვის ელაღატნათ, უკეთუ მისივე ფორმულით ვისარგებლებთ, რომელიც ისეთ ექსპერიმენტალურ ნოველაშია მოცემული, როგორიცაა „დაბრუნება“: „ეს ერთობ ემგავსებოდა საკუთარ თავის ლალატს— გულის სააშკარაოზე გამოფენა“. სიცოცხლის ხორცი შიშვლდება ყოველ ფურცელზე, ვინაიდან კონრადი ყოველ ფურცელზე მაჯას სინჯავს და ულმომელად აიძულებს გამოამზეოს ადამიანის გული.

როცა თავის მალაელებსა და თეთრებს საკუთარ თავის ლალატს აიძულებდა, რათა ქედმაღალ ევროპისთვის ვნებათა დიდებული სანახაობა ეჩვენებინა, კონრადმა ძალიან კარგად იცოდა, რომ „სიცოცხლის ხორცის“ გაშიშვლება იმდენად უფრო სრული იქნებოდა, რამდენადაც ჩადენილ ცოდვისათვის საზღაურის ჩარევა აუცილებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში კაცი სავსებით ემოციური

სტიქიონის ხელშია ჩაყარდნილი—შიში, თავის დამცირება, თავდავიწყების ძებნა წარმატებით ჰკვებავენ გულის მოუსვენრობასა და ახშირებენ სატანჯველს.

კონრადი გვერდს უვლის ადამიანის მოსვენებას და მკითხველს მძლეოდ იმ გმირებს უჩვენებს, რომელთაც სულიერი ძალები ცაბცაჰსით... გამოსწვსით. ამიტომია იგი იძულებული ხშირად მიმართოს ხულიერ მოძრაობათა პიპერ-ბოლურ დახასიათებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ კონრადი ყოველთვის ერიდებოდა ადამიანისა და ცივილიზებულ ცხოვრების დოგმატების შეჯახებას მიწაზე, ხოლო ზღვაზე მხოლოდ ისინი დაინახა, ვინც განდევნის, ბურჟუაზიულ ყოფიდან ფსიქოლოგიურ განდევნილობის სიანე და სიმწარე გამოსცადა. იგი მაშინ დაეწყო და ხოლმე მათ, როცა ემოციური დატენილობა უთუოდ უნდა აფეთქებულიყო, ა<sup>2</sup> დატენილობის თანდათან ზრდა და აფეთქება ფსიქოლოგიურ ანალიზის ისტეროა, რომელშიც კონრადს მხოლოდ ერთი მასწავლებელი ჰყავს. ძნელი არ არის იმის მიხედვრა, რომ ეს მასწავლებელი დოსტოვესკია.

## 4

ყველა, ვინც კი კონრადს იცნობს, აღნიშნავს მის განუწყვეტელ სიძულვილს დოსტოვესკისადმი. „დასავლეთის შეხედულებით“ -ისა და „საიდუმლო აგენტის“-ს ავტორის (ამ რომანებს ყველაზე უფრო აჩნიათ დოსტოვესკის გავლენა) ასეთი დამოკიდებულება დოსტოვესკისადმი ღირსია ჩვენი ყურადღების მიპყრობისა, უქველია, რომ რამდენადმე ღრმა სიძულვილი დოსტოვესკისადმი იმ გარემოებით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელი რუსია. კონრადს სრული საფუძველი ჰქონდა ეფიჭრნა, რომ სწორედ რუსეთის თვითმპყრობელობა იყო დაშნაშავე მისი დედ-მამის ნაადრევი სიკვდილისა. კარადისთვის დაფარული იყო ის განსხვავება, რაც დოსტოვესკის მიერ „თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობისა და ხალხოსნობის“ დაცვასა და ოფიციალურ დაცვას შორის არსებობდა, ხოლო, მეორეს მხრითაც, დოსტოვესკი როდი ზრუნავდა იმისთვის, რომ დაეშალა თავისი პირადი ანტიპატია პოლონელებისადმი და თავისი ვარიანტები პოლონეთის პრობლემის გადაკრის შესახებ. საკმაო გავიხსენით კონრადის დამოკიდებულება ტურგენევისადმი (მისი სტატიები ტურგენევეზე, წერილები პარნეტისადმი), რათა დავერწმუნდეთ, რომ კონრადისთვის დოსტოვესკის ეროვნებას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ მის პოლიტიკურ პროგრამას.

უკეთეს ასეთი პოლიტიკური სიძულვილი ერთგვარ საბაბს იძლეოდა ანტიპატიისთვის, მაინც ერთობ ცხადია, რომ მხოლოდ ამით როდი შეიძლება კონრადის „სიძულვილის“ ახსნა. პარნეტისადმი წერილში 1912 წელს იგი „ძმები კარამაზოების“ შესახებ სწერს: „ძალიან დაინტერესებული ვიყავი ამ წიგნით. მაგრამ ეს საშინლად ცუდია, შთაბეჭდილების მომცემი (impessive) და სასოწარკვეთილებამდე მიმყვანი. ამასთანავე არ ვიცი, რას იცავს და რას ხსნის დოსტოვესკი, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ჩემთვის იგი ნამეტანი რუსია“.

უკანასკნელი ფრაზა: „ჩემთვის იგი ნამეტანი რუსია“-ო ერთგვარ გაშუქებას ღებულობს რომანის „დასავლეთის შეხედულებით“ ორი რუსი გმირის შესახებ გამოთქმულ აზრში; ეს აზრი ხალდინას და რაზუმიოვის შესახებ გამოთქმუ-

ლია პროფესორის მიერ: „აქ უზიარებდნენ ისინი ერთმანეთს აღწერილობისა და განცდებს, რაც ჩემი შეგნებისთვის მეტად მწვავე იყო, ვინაიდან მე რუსი არ ვიყავი“. და იმავე რომანში ვკითხულობთ იმავე ევროპელ პრინციპალს: „მეგობარ ღონდა გამოეტყუდე, რომ რუსის ხასიათი მე ჯერჯერობაში უმეტესად უსიკეთო და საჭკიველია, თვითნებობა დასკვნებში, გადახრა საერთოდ მიღებულიდან — ეს, თუ გნებავთ, შესაძლოა ვაიგო ბევრი ენის მცოდნე კაცს, მაგრამ ყოველივე ამაში რაღაც ადამიანური ხაზი, რაღაცნაირი მჭრალი განსხვავება, ამის მიწვევად კი პროფესორობა როდი კმარა“.

ჯიშისა და კონრადის კიდევ ბევრი გმირის „განცდანი“ მართკო იმ ქალს როდი ერგებოდა „განსაგებად მეტად მწვავედ“, ვინც ახალგაზრდა შტურმანის ემოციებს „მტკივნეულობის“ განაჩენი გამოუტანა. ჩვეულებრივ კრიტიკოსებისთვის — „ნამეტან ევროპელებისთვის“ — კონრადის რომანებისა და ნოველების გმირებში სწორედ ის „მჭრალი განსხვავება“ იხსენებოდა, რაც საშუალებას აძლევდა მათ კონრადის ანალიზში დახლართულიყვენ და მისი გმირების „მტკივნეულობის“ გამართლება ავტორის სლავურ „შთამომავლობაში“ ეპოვნათ. დოსტოვესკისადმი კონრადის დამოკიდებულებით ნათელი ეფინება ერთ საყურადღებოსა და არც თუ ისე ხშირად ნახულს მწერლურ თვისებას — ეს არის განოტება მოსახლეობედ მდგომ ერთ მწერლურ ინდივიდუალობისა მეორისაგან, განოტება ხშირად უფრო მწვავე, ვიდრე თვით შინაგანი კონტრასტული წყობისადმი სიტუაცილია. საჭიროა აღინიშნოს, რომ კონრადისეულ შემკვიდრების მთელი ორი ათეული ტომი დიდის დამაჯერებლობით ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ყოვლად შეუძლებელია მწერლის ლიტერატურული დამოკიდებულება დადასტურო, უკეთეს მის მიერ ლიტერატურულ გემოვნების შესახებ გამოთქმულ მსჯელობით იხელმძღვანელებ.

ყველა დროის სრულყოფილ ხელოვნებად კონრადი ფლობერსა და ტურგენეეს სთვლიდა. კონრადის მიერ ფლობერის ოსტატობის თაყვანიცემა ისეთივე ადილი ასახსნელია, როგორც იმის დამტკიცებაც, რომ ამ ორი ოსტატის შემოქმედებაში არავითარი საერთო ხაზი არ არსებობს, მეტი საერთო ხაზი არც კონრადსა და ტურგენეეს აქვთ, რომელზედაც ჰარნეტისადმი წერილში ასეთ აზრს ვაძლავთ: „თქვენ ერთად ერთი კაცი ხართ, ვისაც ტურგენევი უნახავს არა მხოლოდ კაცობრიობასთან ურთიერთობაში, არამედ რუსეთთანაც. ორივე ურთიერთობაში იგი დიდი ადამიანია... აბსოლუტური ჯანსაღობა და უღრმესი გულისხმიერება, ნათელი ხედვა და განსაკუთრებული თანაგრძნობა, მწვავე გაგება იმისი, რაც მნიშვნელოვანი და საარსო ადამიანისა და გარე სამყაროში, ნათელი კვება, მუხრვალე გული“...

კონრადს უყვარდა კიტისის „აბსოლუტური ჯამრთელობაც“, ა. ფრანსის მშვენიერ სინათლეს, მოპასანის გამჭრიახი რეალიზმიც, ალტაცებული იყო დიკენსის მიერ ბრბოს აღწერის ოსტატობით, მუდამ ენტუზიაზმით იხსენიებდა მარიეტისა და ფ. კუპერის საზღვაო ნოველებს. მაგრამ ჩამოგდებდა თუ არა საუბარს ისეთ მწერლებზე, ვისი ფსიქოლოგიური ანალიზის მეთოდიც მასთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე მოპასანის რეალიზმი, ტურგენევის აბსოლუტური ჯანმრთელობა და ფრანსის „სინათლე“, — ეს განოტება მყისვე თავს იჩინდა.



როცა კონრადის ლიტერატურულ გემოვნებას იკვლევ, ისე გვიჩვენება, თითქოს იგი განგებ მალავდა არა მხოლოდ თავის დამოკიდებულებას დოსტოევსკისთან, არამედ, საერთოდ, ვისთანმე ახლოობას. რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელობა ვიფიქროთ, რომ კონრადს არ ესმოდა დოსტოევსკის ძალა და მნიშვნელობა; მისი ერთი ფრაზა, თუ კი მას ისე სწორედ ავხსნით, როგორც მარფი; საშუალებას მოგვცემს კონრადისეულ „გან-ოტების“ პრობლემაც ავხსნათ. გელსუორსთან საუბრის დროს კონრადმა წამოიძახა, რომ დოსტოევსკი „ღრმა არის როგორც ზღვა“. ხოლო კონრადის ენაზე ზღვის სიღრმე „ცუდი, ბნელი სიღრმე“ იყო.

კონრადს დოსტოევსკისა და ტოლსტოიში, აგრეთვე იმ დახელოვნებულ ფსიქოლოგებში, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურაში მათ შემცვლელად შემოვიდნენ, საშინლად ეჩვენებოდა ის დამაჯერებლობა, რომლითაც ყველა ისინი თითოეული შინაგანი მოძრაობის დიალექტიკას—თავის წინააღმდეგობად მის გადაქცევას, და ასეთი ინვერსიის ფსიქოლოგიურ კანონებს გვიჩვენებდნენ. კონრადს არ სურდა გავგო, ან უკეთ, სცდილობდა არ დაენახა, რომ მთელი თვისი მხატვრული შემოქმედებით იგი იმავე ფსიქოლოგიურ კანონებს ადასტურებდა, რომლებიც ფსიქოლოგიურ რომანების მსოფლიო ოსტატების ანალიზით მქლავდებოდა.

რომანითა და ნოველით იგი იმას ამართლებდა, რაც გამართლების ღირსი არ იყო მისი, —კონრადის—ეთიკის თვალსაზრისით. მან გაამართლა მოვალეობისადმი ლალატიც, ვამცემლობაც და სისუსტეც, მან გაამართლა... ფოლისტერობაც კი. იგი აიძულებდა თავის გმირებს საზღაურის ტვირთების და ისინიც შორჩილებით ასრულებდნენ ამას. მაგრამ ფსიქოლოგიური ანალიზი, რასაც იგი ასე ოსტატურად ხმარობდა, მკითხველს აფიქრებინებდა რომ ეს საზღაური მეტად სასტიკიაო. ეს ანალიზი აიძულებდა სასჯელის მიუღებლობას, ვინაიდან—თვისი ნების წინააღმდეგ—კონრადი გვიჩვენებდა თავისი „დამნაშავეების“ სრულ უდანაშაულობას, რომლებიც, მიუხედავად თავიანთ უეჭველ უბრალოებისა, თვითონვე იდებდნენ სასჯელს.

კონრადს ეგონა, რომ დოსტოევსკისა და ტოლსტოისადმი მისი სიძულვილის მიზეზი ამ მწერალთა „ფანატიზმია“, იგი ცდილობდა თავის თავისთვის დაემალა უსიამოვნო ფაქტი—საკუთარი „რომანტიკული“ ფანატიზმი; მას არ უნდოდა დაენახა, რომ ყოველი მისი მხატვრული ნამუშევარი სრულიად აფეთქებდა მის „მაღალ ეთიკის“ დოგმატებს.

ანალიზი იმ ფორმით, რომლითაც მას ხმარობდნენ კონრადიც, დოსტოევსკიც, პრუსტიც და ჯემსიც—ფასს უკარგავდა „წმინდა მოვალეობის“, „მართალი ცხოვრების“ რომანტიულ ლოზუნგებსა და მაქსიმალისტს ეთიურ შეფასებას, ვინაიდან ავტორი უნებლიედ გვასწავლიდა იმ ადამიანის ბოროტების დავიწყებას, რომელსაც მოჩვენებათა ქვეყნის სასტიკი კანონები დაურღვევია. ანალიზი პრობლემის ისეთ მხარეებს აწიშვლებდა, რომლებიც მაქსიმალისტს შეგნებულად არ უნდა დაენახა, რათა ვაკიცხვის უფლება შეენარჩუნებინა. კონრადს ეშინოდა თავისი მაქსიმალისტის ბედისა. საკუთარ თავს იცავდა, მაგრამ



იმავე დროს „სძულდა“ ფანატიკოსები; თვითონ კი იმავე ფანატიზმით „სასტიკად“ სჯიდა თავის გმირებს.

კონრადის შემოქმედებით მეტად ცხადი ხდება კლასობრივი განსხვავება იმ პრობლემებისა, რომელნიც მას აინტერესებდა, და აგრეთვე იმ მკაცრად განსაზღვრული წარმოშობა, რომლითაც მისი გმირების მორალური კოდექსია აღნიშნული. კონრადი არა ერთხელ დაბრუნებია თვისი საქციელის ძირითად კანონს—იმ კანონს, რომელსაც მისმა გმირებმა ყური მოჰკრეს „მოჩენებათა“ ქვეყანაში. „ანგარიშის“ ერთ ადგილს ვკითხულობთ: „ვისაც მე წაუყითხავარ, მათ ალბად იციან ჩემი მტკიცება, რომ სამყარო, დროებითი სამყარო დაფუძნებულია მეტად რიცხვმცირე უბრალო იღებზე: შეიძლება ეს იღებები ისეთივე ძველი იყოს როგორც ძველია ჩვენი მთები, სხვათა შორის, იგი დაწყობულია ერთ გულეების იღებზე“ (ეურსივი ჩემია. ე. ლ.). მეორე ადგილს იგი საჭიროდ სთელის აღნიშნოს: „უბედავ და ვამბობ, რომ არც ზღვაში და არც ხმელეთზე მე მოვალეობის გრძობა არ დამკარგვია“.

მისი გმირების „აზრდილები“ ხორცს იხმენ. მათი სახით პოლონელი შლიახტა თავის-მორალურ კოდექსს ამეღავენება. იმ ატმოსფეროში, რომელშიც კონრადს უხდებოდა ცხოვრება თავის ყმაწვილობაში, და მისმა პროფესიამ მოწოდებლობაში საშუალება მოგვცა გარკვევით მოგვესმინა წერილი აზნაურის ზმა. კონრადის გმირების მაღალ რომანტიკის „გადაღმა მხრიდან“ წარმოშობა ამით მიწიერსა და უფრო ზუსტ ახსნას ჰპოვებს.

## 5

1918 წ. კონრადი ამერიკულ ჟურნალში „New Republic“ (40 გვ.) სწერდა: „... მე-18 საუკუნის განმავლობაში ჩემი წინაპრები მამის მხრით მნიშვნელოვანი პირები იყვნენ, პროვინციაში მათ ხშირად ირყედდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე. ჩემი პაპა, მამის მხრით პოლონურ ჯარში მსახურობდა 1817 წლ. 1820 წლამდე, როცა მან თავისი მამული პოდოლიაში გააქიდა და საცხოვრებლად ვოლინზე გადავიდა. მის ქონებას, (რომელიც მის ძმას, დასა და მამა ჩემს დარჩათ), კონფისკაცია გაუკეთა რუსეთის მთავრობამ 1863 წლ. ამბოხების შემდეგ“.

ეს პაპა—თედორ კორკენევესკი—პოლონელი, კათოლიკე და ჯენტლმენი ტიპური წარმომადგენელი იყო ეპოქისა და წრისა—წერილი შლიახტისა, რომელსაც ეზიზღებოდა რუსეთის თვითმპყრობელობა, მაგრამ რომელსაც საშუალება არ ჰქონდა აქტიურად გამოსულიყო მის წინააღმდეგ. თავის ოჯახში თედორ კორკენევესკი თავნება კაცი იყო. მის სამ ვაჟთაგან, რომერტი ბანქოს მოთამაშე და ლოთი—გარდაიცვალა 1863 წ., ილარიონი, რომელიც მამას ძალიან ჰგავდა, ჯერ კიდევ პოლონეთის აჯანყებამდე დააპატიმრეს და გადაასახლეს ტომსკის გუბერნიაში, სადაც მიწის საეკულიაციას მოჰკიდა ხელი. მესამე ვაჟი აპოლონი ცოტა სხვანაირი ხასიათისა იყო; აინტერესებდა ლიტერატურა, სთარგმნიდა ფრანგ და იტალიელ კლასიკოსებს; ხელნაწერით ცნობილია კრასინსკის უმჯველი გალენი და დაწერილი მისი პოემა.

კონრადი დაიბადა 1857 წლ. დიკემბრის 3-ს ქ. ბერლიჩევში და ოთხის წლისა მშობლებთან ერთად გადასახლდა ვარშავას, სადაც აპოლონი კორკენევესკი

მალე დაუკავშირდა იმ წრეებს, რომლებიც აჯანყებას ამზადებდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ამ თავად-ახნაურულსა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას წრეებში ორი დაჯგუფება იყო. „თეთრები“ ანუ „არისტოკრატები“ მარქსიზმ-მოლიტიკის მომხრენი იყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; „წითლები“ ანუ „ექსტრემისტების“ ჯგუფი უმთავრესად შესდგებოდა პოლონელ სტუდენტებისა და რადიკალურ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წარმომადგენლებისგან. აპოლონ კირენევსკი „წითლებს“ მიეკუთვნება და პატიმრეს 1862 წ. და ვარშავის ციხეში ჩასვეს, საიდანაც ვოლოჯდას გადაასახლეს; ცოლი და პატარა იოზეფი თან გაჰყვეს გაძევებულს. 1863 წ. კორენევსკებს ნება დართეს ჩერნიგოვს გადასვლისა, იოზეფის დედა ქლეჩინი ქალი იყო. და მიუხედავად მისი ძმის თადეუშ ბობროვსკის ბევრი ცდისა, მას ნება არ მისცეს უფრო სამხრეთად ცხოვრებისა და ორი წლის შემდეგ ქალი გარდაიცვალა.

მ წლის კანრადი მამასთან დარჩა. უამხანაგოდ იზრდებოდა ერთადერთი მისი გასართობი წიგნები იყო; სხვათა შორის, მამის თარგმანებში კონრადმა წაიკითხა ჰიუგოს „ზღვის მშრომელები“, რამაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება იქონია მასზე. 1867 წ. დეკემბერში აპოლონ კორენევსკის ნება დართეს შეილიანად ლვოს დასახლებულიყო. 1869 წ. დასაწყისში ისინი კრაკოვს გადავიდნენ, ხოლო ამავე წლის მაისში კონრადის მამა გარდაიცვალა. კონრადი პანსიონში მოათავსეს. აღმზრდელად მოწვეულ იქნა პოლონელი სტუდენტი; რომელთანაც ერთად კონრადმა 1873 წ. იმოგზაურა გერმანიასა და შვეიცარიაში. იქიდან დაბრუნებისას მან განაცხადა, მეზღვაურობა მინდაო და გაემგზავრა მარსელს.

ფრანგული ენა კონრადმა საუბოვოდ იცოდა. მარსელს მისვლისას იგი მეზღვაურებს გაეცნო და იწყო მზადება საზღვაო კარიერისათვის, შემთხვევის წყალობით, მარსელში იგი ისეთ გარემოში მოექცა, სადაც კიდევ უფრო განამტკიცა ის თავად-ახნაურული ტრადიციები, რომლებიც ყრმობაში მიეღო. იმ მცირე თანხებს, რასაც ბიძა მისთვის იმეტებდა, კონრადი ბანკირ დალესტანის მეშვეობით ღებულობდა. თვით დალესტანი რომაილისტი და ლეგიტიმისტი იყო, ხოლო მის ცოლს ლეგიტიმისტური სალონი ჰქონდა მარსელში.

იმ ხანებში მარსელი ცენტრი იყო, საიდანაც დონ-კარლოსის ესპანელი მომხრენი ამ პრეტენდენტის მიერ ესპანიის ტახტის ხელში ჩაგდებას აწყობდნენ. მარსელიდან იგზავნებოდა საამისო ფულადი საღისრებიც. m-me დალესტანის სალონის დამსწრეებმა თავი ერთგულ კარლისტებად გამოაცხადეს და აჯანყების მოწყობაში მონაწილეობა მიიღეს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი რომანტიული ავანტიურა უგავლენოდ ვერ დასტოვებდა აბალგაზრდა კონრადს. კარლისტების შეთქმულებაში მან მზურვალე მონაწილეობა მიიღო და თავისი გეგმა გაუზიარა სწორედ იმ ლეიტენანტ ჩერვონის, რომელიც მისი მასწავლებელი იყო საზღვაო საქმეში. კონრადი დაუახლოვდა ჩერვონის—ამ იტალიელის თავგადასავალისადმი სიყვარული და საზღვაო რომანტიზმი ძალიან მოსწონდა კონრადს. ჩერვონი გაეცნო კონრადისა და მისი სამი მეგობრის—ინგლისელ ჰენრის, ამერიკელ ბლუნტისა და ფრანგ როჟე დე ლას გეგმას და დახმარება აღმოუჩინა მათს ავანტიურულ საქმეს. ეს ავანტიურა იმაში მდგომარეობდა, რომ კარლისტ-შეთქმულთათვის იარაღი მიეწოდებინათ ესპანიაში, რისთვისაც შეი-

ძინეს მცირე გემი „ტრემოლინო“. ბევრი რამ გნიცადა ოცი წლის კონრადმა ამ რეისების დროს მარსელსა და ესპანეთის სანაპიროებს შორის. ერთ ასეთ რეისში სანაპიროს მცველები ახალგაზრდა ავანტიურისტებს დაიჭინეს. გემი კლდეს დაეჯახა და დაიღუპა.

ამ ავანტიურის პარალელურად კონრადისათვის გაიშალა მეორე რომანტიული ავანტიურა. m-mre დალესტანის სალონში კანრადი შეხვდა ერთ ქალს, ვისი სახელიც უცნობი დარჩა. ამ სახელის დონკარლოსის სახელს უკავშირებდნენ და ქალის მთელი წარსულიც ძალიან უცნაური იყო. ეს ქალი შეუყვარდა კონრადს და ამ რომანტიულ სიყვარულის ისტორიის კვალი რიტა დე ლასტეოლას სახით „ოქროს ისარში“ მოგვცა. 1878 წლის თებერვალში კონრადს დღეული მოუხდა თავის მეგობარ ბლენტთან, რაც გამოწვეული იყო „რომანტიულ ნიადაგზე“, რომელშიც კონრადი მიიმედ დაიჭრა; როცა იგი გამომრთელდა, მისი „ოქროს ისარის“ რიტა დე ლასტეოლა უკვე უკვალოდ გაქრა საღაცა. იმავე წლის ივნისის 18-ს კონრადი პირველად ესტუმრა ინგლისს. აქედან იწყება მისი მეზღვაურობის პროფესიული ცხოვრება ინგლისის სავაჭრო ფლოტში.

მის მეზღვაურობის თავგადასავალის აღწერა საჭირო არაა: ხომალდების სახელები, გამოცდები საზღვაო სამსახურის სხვადასხვა ხარისხისათვის, ნავთსადგურები, ინტერვალები ნაოსნობათა შორის, კვლავ ხომალდები და გემები. აღსანიშნავია, რომ კონრადს ახასიათებდა რაღაც განსაკუთრებული მიდრეკილება გარემოს გამოცვლისადმი—თავისი ოცი წლის მეზღვაურობის განმავლობაში, უბრალო მეზღვაურიდან კაპიტანამდე—ოციოდ გემი მაინც გამოუცვლია. ხოლო 1894 წ. იანვრის 14-ს სამუდამოდ გამოეთხოვა მას.

დაიწყო მისი ცხოვრება „მიწაზე“. ამ ცხოვრების აღწერა მისი წიგნების უბრალო ქრონილოგიური ჩამოთვლა იქნებოდა, ვინაიდან ეს ცხოვრება ძალიან ღარიბი იყო გარეგანის მოვლენებით, ხოლო ეს კია, რომ ამ ცხოვრებაში იგი სხვადასხვა გემთა პატრონების საუცხოო ოტისტატებით შევიდა. იმ ქვეყნის პირველ გემზე, რომელიც მალე დაარქმევს მას თავის კლასიკოსის სახელს, ეთიური კონცეპტია მიიტანა იმ ახალგაზრდა აზნაურმა, რომელიც აღზრდილი იყო ფრანგ და პოლონელ რომანტიკოსების წიგნებით, პოლონელ თავად-აზნაურობის ტრადიციებით და მარსელელ შეთქმულთა ავანტიურულ-რომანტიულის პრაქტიკით.

უშეველია, რომ არცერთი ეთიური პრობლემა ისე აშკარად არ აწივლებს თავის კლასობრივ ხასიათს, როგორც მოვალეობის პრობლემა და მასთან დაკავშირებული პრობლემა პატიოსნებისა. საეჭვო არც ისაა, რომ საზღვაო ტრადიციის მრისხანება და სისასტიკე არა მარტო საზღვაო სამსახურის სპეციფიკით აიხსნება, არამედ მეთაურთა შედგენილობის კლასობრივი მდგომარეობითაც. არ უნდა დავიფიწყაოთ, რომ იმ დროს, როცა ეს ტრადიციები მყარდებოდა, გემის მეთაურობა „პირველი წოდების“ ხელში იყო. დროთა ვითარებაში ამ ნორმების კლასობრივი ელფერი დაფიწყებულ იქნა და მათი დარღვევით გამოწვეული სისასტიკე საზღვაო სამსახურის განსაკუთრებულ პირობებს მიაწერეს. პროფესია დაეხმარა კონრადს, რათა თავის შემოქმედებაში პირველი

ადვილი მოვალეობისა და საზღაურის პრობლემებისათვის დაეთმო. ამას რომ გვერდი ავუაროთ—კონრადი აუხსნელი დარჩება.

6

ქართული  
ენებისათვის

ზღვას უნდა უმადლოდეს კონრადი, ხოლო მას შემდეგ ჩვენც, იმ დიდებულ ეგზოტიკას, რაც მის მრავალრიცხოვან რეისების დროს ეშლებოდა თვალწინ. რა ადვილი იყო მისთვის კიპლინგის გზით წასვლა, სადაც მას ინგლისურ ჯინგოიზმის ანხარუნება მოუხდებოდა. მით უფრო ადვილი იყო, რომ თვისი პოლიტიკური შეხედულებით იგი კონსერვატორებს ემხრობოდა. მაგრამ მას არ სწამდა, რომ კოლონიის ხალხების მხსნელი ქაში, სწრაფმსროლელი მაქსიმი დასაეპრო კანტორები ყოფილიყო, ამ პუნქტში—კოლონიურ პოლიტიკის საკითხებში—იგი შეურიგებელი მტერი იყო თავისი პოლიტიკური თანამოაზრებისა. თავისი თავის ასეთი წინააღმდეგობა მოჩვენებითია. კონრადი თანმიმდევრობით მოაზროვნე იყო. ეს თანამიმდევრობა ცხადი გახდება. უკე თუ გავიხსენებთ იმ რეაქციას, რომელითაც იგი უპასუხებდა ხოლმე შეგობრების დაციწვას მისი კონსერვატიზმის გამო. როცა მას გაახსენებდნენ ხოლმე, რომ იგი იმ ქვეყნის შვილია, რომელმაც რამდენჯერმე მოახდინა აჯანყება, თვით კონრადი კი გადაჭრით უარჰყოფდა სოციალურ რეფორმებს, იგი თავს ასეთი თქმით იცავდა: „ეს პატრიოტული აჯანყება იყო“. მართალია, პოლიტიკურად კონსერვატორი და ინგლისის სახელმწიფოებრივობის ერთგული იყო, მაგრამ ინგლისურ საგარეო პოლიტიკა კი არ იზიარებდა, იმ პოლონელ ნაციონალისტების ტრადიციებმა, რომელნიც ცარიზმის მოწინააღმდეგე პოლონეთის განთავისუფლებაზე ოცნებობდნენ, აიძულა ახნაური კონრადი დამოუკიდებელი პოზიცია დაეკავებინა ხალხთა თვითგამორკვევის საკითხში.

ამ საკითხში იგი კიპლინგს არ გაჰყვა. ყველგან, ყოველ სხვადასხვა ფერის ქვეყანაში მან მხოლოდ ერთი რამ დაინახა: ადამიანის გული. და ყველგან ახსოვდა, რომ ამ კარიანების, ტომბ იტამახების, გობილებისა და არსატების მკერდში „მშფოთარე გული სცემდა“. კონრადისთვის არ არსებობს საკოლონიზაცია ხალხი. მაგრამ იგი მხოლოდ ადამიანს როდი სცემს პატივს, ადამიანში მან იცის, რომ ყველაფერი, რითაც თითოეულის გული სძვრს, მხოლოდ მას—ცალკეულ ადამიანს, როდი ეკუთვნის, ვინაიდან მარტოობა მოჩვენებითია. კონრადს სწამს, რომ „მამაცობა, გულგრილობა, რწმენა, ემოციები და პრინციპები თითოეული დიდებული და თითოეული უნიშვნელო აზრი ეკუთვნის არა ერთეულს, არამედ მასას, მასას, რომელსაც ბრმად სწამს თავის დაწესებულებათა და მორალის შეურყეველი ძალა, თვისი პოზიციისა და შეხედულებათა ძლიერება“.

კონრადისგან ამაზე უფრო ზუსტი ფორმულირების მოთხოვნა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ასეთი ფორმულირების ბუნდოვანება ცხადია, მაგრამ როცა კონრადი ამ თეზისს თავის მხატვრულ პრაქტიკაში იყენებს, იგი რომენ როლანის ურბანიზმს წინ უსწრებს. აქ უნდა გავიხსენიოთ „ხანგი ნარკისიდან“, სადაც მოთხრობილია ერთი ეკიპაჟის ისტორია. მუშაობით დასისხლიანებული ზღვებით ამ ეკიპაჟის წევრები ზღვის საშინელ სიძნელეთა შორის იკვლევენ

გზას. ყველა ისინი ერთი მთელი რამეა, ერთი ნებისყოფითა და ერთი სოციალისტულით, მასა, რომელშიაც პიროვნება იმდენად გათქვეფილა, რომ ინგლისურად მთავრული ასოთი ნაწერი „მე“ მოთხრობაში არსად იხსენება. **ე. რ. ც. ე. ნ. უ. ლ.**

კონრადის საერთო პრობლემაში ორი საკითხი არ იწვევს უკმაყოფილებას ვეროპელ კრიტიკოსთა შორის—საკითხი კონრადის მხატვრული მანერისა და მისი სტილისტური ოსტატობის შეფასება.

„ინგლისური ენის აღწერილობითი შესაძლოებას არასოდეს არ მიუღწევია იმ ეფექტებამდე, რასაც ამ უცხოელმა მიაღწია“. ასეთი ვარიანტები შეფასებისა, რაც ანდრე შევრილიონმა გამოიტანა, შეიძლება უპოვნოთ ყველას, ვისაც კი კონრადის სტილისტური ოსტატობა დაუფასებია. პენრი ჯემსი კონრადის ტექნიკის შესახებ სწერდა: „კონრადი ერთად-ერთი მომხრეა პეთოდისა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საგანს ყველაზე უფრო ძნელი მხრიდან მოხვია ხელი“. და, მართლაც, ეს ასეა. იგი არასოდეს არ სჯერდება საქციელით გმირის გამოვლინებას და ამ საქციელის პირდაპირ აღწერას. იგი მკითხველს აიძულებს სხვა პირებისაგანაც მოისმინოს აზრი თავის გმირების შესახებ, ყური დაუგდოს მათზე ნაამბობს, დაიმხსოვროს მათ მიერ გამოწვეული შთაბეჭდილებანი, ყური ათხოვოს ხმებს მათ შესახებ და სხვ. ამგვარის კომპოზიციური ხერხით იგი თავისი გმირის სულიერ ვითარების ყოველ მხარეს აწიშვლებს.

კონრადის კომპოზიცია ისე ორგანიზულად შედის მისსავე სტილში, რომ ადვილი ვასაგებია კონრადის უკმაყოფილება იმ შეხედულებით, რაც ერთმა ბეცმა კრიტიკოსმა გამოსთქვა.

რომან „შემთხვევა“-ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში კონრადი სწერდა: „გაბედულებამ წაიყვანა კაპიტანი ენტონი გრძელი და ხეული გზით და აი ამიტომ ეს წიგნიც გრძელი გამოვიდა. ერთმა კრიტიკოსმა შეშინა მე, რომ კომპოზიციის სხვა მეთოდი ამერჩია და ცლტა მეტი მეშრომნა, მოთხრობა შეიძლებოდა ორას გვერდზე მოთავსებულიყო. უნდა გამოვტყდე, მე კარგად ვერ გამიგია ამგვარი კრიტიკის აზრი და ასეთი შენიშვნის სარგებლიანობა. უცხვიელია, უკეთუ განსაზღვრულ მეთოდს ავირჩევდი და ძლიერ ბევრსაც ვიშრომებდი, შეიძლებოდა მთელი მოთხრობა ისეთ ქალაქზე მომეთავსებინა, რომ პაპიროსის დასახვევად კმარაყო“.

კონრადს თავისი სიცოცხლეში ბევრი ამგვარი ძვირფასი „შენიშვნის“ მოსმენა მოუხდა სწორედ ასეთივე „ნამდვილ“ კრიტიკოსებისგან, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მათი ხმა უკვე აღარ ისმოდა, ხოლო დღეს კი, როცა კონრადისეულ მემკვიდრეობის გულმოდგინე შესწავლას შეუდგენ და როცა თითოეული გამოკვლევა უფრო და უფრო ფართოდ შლის პოლონელ კაპიტანის გამარჯვების გზას ჩვენი საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში—ასეთი კრიტიკოსები სამუდამოდ ჩაჩუმდნენ.

## „Фрески древней Грузии“

ბ. ტოლმაჩევისკაია

გამოცემა სახელგამის, 1932 წ. ფ. 4 მ.

ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისში მოეწყო მხატვარი ქალის ტოლმაჩევისკაიას ნამუშევართა გამოფენა.

ლენინგრადიდან მოსულმა შუახნის ქალმა გადალახა ყოველი დაბრკოლება, ფეხით შემოიარა საქართველოს მრავალი კლთხე, ინახულა ბევრი ხევი და მალ-ლობი. ყველამ ვიცით თუ ამ ხეებში და მალლობებზე ამართულ მონასტერში და მათ ნანგრევებში რამდენი მხატვრული საიდუმლოება იმალება. მხატვრობას შეყვარებულმა ოსტატმა ქალმა ნაწილობრივ ფარდა ახადა ამ საიდუმლოებას და დიდი სიყვარულით გადმოღებული ფრესკები გამოფინა.

ამ ნამუშევართა გამოფენამ იმ დროს დიდი ინტერესი გამოიწვია და გადაწყდა ამ ფრესკების ნაწილობრივი გამოცემა ცალკე წიგნად.

ტოლმაჩევისკაიას „Фрески древней Грузии“ ამ გადაწყვეტილების შედეგია. ქართული ფრესკა—ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი თემაა, რომ მასზე ორიოდე სიტყვით არა ითქმისრა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ფრესკებზე მხოლოდ საბიბლიოგრაფიო წერილი იწერება.

სარეცენზიო წიგნი საინტერესოა იმით, რომ თითქმის ყოველ ფრესკის შესახებ თვით ავტორი იძლევა ნაწილობრივ შეფასებას. ამას განსაკუთრებით მეტი მნიშვნელობა ეძლევა. წიგნი გამოცემულა რუსულ ენაზე და ყოველ უცხოის საშუალება ეძლევა ერთსა და იმავე დროს, როგორც თვით ფრესკების, ისე მათ რაობას გაეცნოს.

ქართული ფრესკების განხილვა განცალკევებით, ისევე შეუძლებელია როგორც ქრისტიანობისა. ქართული ფრესკის ისტორია ეპოქალურია და დაკავშირებული საქრისტიანო კვყენების მხატვრულ კულტურის განვითარებასთან.

ხსენებული წიგნის ავტორიც ასევე უდგება საკითხს და ქართული ფრესკის განვითარებაში სამ ხასიათს აღნიშნავს. პირველი—ბიზანტიის და რომის მხატვრული ტრადიციები, მეორე—ამ ტრადიციების რღვევა ეროვნული, ქართული

მიმართულებით, მესამე—აღორძინების პერიოდი და ცდა საკუთარი, ეროვნული სტილის მონახვისა. აქ ავტორი შეგნებულად გაურბის ყოველგვარ საღაო საკითხებს და მთავარი ყურადღება ფრესკების სიუჟეტურ აღწერილობაზე გადააქვს. ჩვენის ფიქრით ტექსტის ნაკლოვანებად სწორედ ეს გაჩვენდება უნდა ჩაითვალოს, რადგან თანამედროვესათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ფრესკების მხატვრული შეფასება და არა მათი აღწერილობა (სიუჟეტური).

ჩვენთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს დღეს ამ ფრესკების მხატვრული ხერხების, ტექნიკის და ოსტატობის გაცნობა და შესწავლა. ამ მხრივ წიგნის ლიტერატურული ნაწილი მცირე მასალას იძლევა.

ჩვენ ვფიქრობთ გამომცემლობას ამ გარემოებისათვის უნდა მიეძღვინა ყურადღება და წიგნში მოეთავსებია რამოდენიმე ფრესკა საკუთარი ფერებით. გვესმის ამ გარემოების სიძნელე მაგრამ თუ ფერებში იქნებოდა მოცემული ერთი ორი სურათი დიდ დახმარებას გაუწევდა თანამედროვე მკვლევარს ფერთი წერის ოსტატობის შესწავლის საქმეში. გამომცემლობას ეს ვერ მოუხერხებია, მაგრამ ის ფრესკები, რომელიც წიგნშია მოთავსებული ერთფერად, ტექნიკურად კარგათ არის გაკეთებული და დაინტერესებულს საშუალება ეძლევა ნაწილობრივ მაინც წარმოიდგინოს ორიგინალი.

ვისაც ოდნავი წარმოდგენა აქვს მხატვრობაზე უთუოდ შეამჩნევს იმ დიდ ტექნიკას, რომელიც, განსაკუთრებით IX, X XI და XII საუკუნეების მხატვრობას ახასიათებს. XII საუკუნეში აღნიშნული ფრესკები ტექნიკის და კომპოზიციის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს. მომდევნო საუკუნოები თითქოს დეკადანსით უნდა ხასიათდებოდეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ხდება. დიდი მხატვრული ტრადიცია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან ერთად უცბათ არ ეშვება დაბლა, გრძელდება შილწევების შენარჩუნება. გამონაკლის XV საუკუნე წარმოადგენს ეს შავბნელი ხანა ქართული ფრესკისა ასევე უსინათლოა ქართული ფრესკის განვითარებაში. XVI და XVII საუკუნოებში დაწყებული აღორძინება განსაკუთრებით საგრძნობი ხდება. ამ დროს შექმნილი ფრესკები მეტი გაბედულებით ატარებენ ეროვნულ ხასიათს როგორც სამოსში, ისე სახეების დამუშავებაში; თუმცა აღმოსავლური მხატვრობის გავლენა თანდათან უფრო ფეხს იკიდებს და ნაციონალურ ელფერს იღებს.

მართალია, სარეკენზიო წიგნში მოთავსებული ფრესკები როგორც ავღნიშნეთ ერთ ფერშია მოცემული, მაგრამ მათი გრაფიკა და კომპოზიცია ერთ ფერშიაც გაკვირვებას იწვევს. დაკვირვებაც კი არ არის საჭირო, რომ ატენის ფრესკებში წმინდა ქართული სახეები დაინახოს კაცმა. სა ო რ ბ ი ს ი ს მ ხ ა ტ ვ ა რ ს (სურ. 18) მხატვრული ოსტატობა ვირტუოზობამდე მიჰყავს და ჩრდილ სინათლის განაწილების ახალ მიმართულებას აძლევს. უ ბ ი ს ი ს „ წ მ ი ნ დ ა ხ ი ს თ ა ვ ი “ იმდენად დინამიურია თავისი კომპოზიციით, რომ თანამედროვე „გემარცხენე“ სურათის განცდას იძლევა.



ბონის „შობა“ (XVII საკ.) ნაკლებ გასაოცარი არაა თავისი კომპოზიციით გარდა იმისა, რომ ეს ფრესკა წმინდა აღმოსავლურ ყაიდაზე გათქმული იმავდ დროს უალრესად „იმრესიონისტული“\*.

ამ შტორე წეოალში ჩვეი არ შეგვიძლია შევებოთ წიგნში მუთავისებულ კვლელა მეტად საინტერესო ფრესკებს, არა ნაკლებ საინტერესო ნახაზებს და მეტად ოსტატურ სართებს, მაგრამ გვერდს ვერ ვუვლით ერთ გარემოებას: ეს არის მთების განცდა ჩვენს ფრესკულ ხელოვნებაში. მთები განსაკუთრებული სიყვარულით არის დამუშავებული ფრესკების შემქნელების მიერ. ეს არ არის ნატურალური ასახვა, არც რეალისტური გადმოკემა. აქ სულ სხვა მიდგომა მოსჩანს, რომელიც უფრო ხაზების და ფერების სიმფონიაა, ვიდრე მატერიალური ნივთობრიობის ასახვა.

ტოლმაჩეცკაიას ნაშრომი უთუოდ საჭირო და მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ქართული მხატვრობის მკვლევარისათვის. გამომცემლობას, იტყობა კარგათ გაუთვალისწინებია ეს გარემოება, დაუბეჭდია საუკეთესო ქალაღზე და მოფიქრებული ტექნიკური გაფორმებით წიგნის ღირსება დაუცავს.

\* აღმოსავლეთის მხატვრობასა და იმრესიონიზმს შორის მსგავსება უთუოდ თავის მკვლევარს მოითხოვს.



ქონორი დე-ბალზაკი: „ზარანის ტაყვი“.

ფილოსოფიური ეტიუდი. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძის მიერ. ნიკოლო მიწიშვილის წინასიტყვაობით.

სახელგამი.

ბალზაკის შესახებ საკმაოდ დიდი ლიტერატურაა დაგროვილი გეროპულ ენებზე. უცდიათ მისი ცხოვრების გადმოცემა მონოგრაფიული რომანის სახით (ბენეამენის „ჰონორე დე-ბალზაკის არაჩვეულებრივი ცხოვრება“). მწერლის პირადი ბარათები გვაწვდიან საინტერესო ცნობებს იმ გარემოს შესახებ, რომელშიაც გამოჩენილ ფრანგ რომანისტს უხდებოდა მუშაობა. მკითხველის წინაშე ნათლად ისახება მწერლის, სილუეტი: შეგნებით მატერიალისტი, ჰონორე დე-ბალზაკი, იძულებული იყო მრავალი წელი გაეტარებია სიმდიდრის შეძენაზე ოცნებაში, ესულდგმულა პერსპექტივებით და მძიმე გაჭირვება აეტანა.

პირველმა ცდებმა ვერ მოუპოვეს სახელი. დასწერა ორმოცამდე რომანი, რომელთაც აუდიტორიის ყურადღება ვერ დაიმსახურეს. გამდიდრების მიზნით იყიდა ტიპოგრაფია, წიგნების ბეჭდვას შეუდგა (მოიგონეთ სეზარების პროვინციული ტიპოგრაფიის აღწერა მის შესანიშნავ რომანში: „დაკარგული ილუზიები“). გამოსცა მოლიერისა და ლაფონტენის თხზულებანი. ამ ცდებმაც უშედეგოდ ჩაიარეს. ტიპოგრაფია გაჰყიდა. ვალი დაედო.

ბალზაკი უდიდესი ენერგიით შეუდგა რომანების წერას. თანამედროვე ადამიანის ძალღონეს აღემატება ის ტემპი, რომლითაც ეს ტიტანიური შემოქმედი მუშაობდა. ვალებსაგან თავის დახსნა და ნორმალური ცხოვრება შეადგენდა ბალზაკის მიზანს. დისადმი მიწერილი ბარათები გადმოგვცემენ იმ სულიერ მოუსვენრობას, რომელიც მწერლის მაგიდასთან სუფევს. ამავე დროს პირდაპირ საკვირველი სინელე თბრობაში და ის ენციკლოპედიზმი საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენათა ცოდნაში, რომელიც ასე აოცრებადით ბალზაკში მარქსსა და ენგელსს.

„ძვირფასო დაო, ვაპირებ ვიმუშაო, როგორც ჰენრიხ IV-ის ცხენმა“ — ამბობს ბალზაკი დისადმი მიმართულ ბარათში, 1822 წელს. ხოლო 1831 წელს ერთერთ ნაცნობს უჩივის.

„ვეწერო? არ ძალმიძს... ძალიან დიდი დადლილობა დამეტყო... გამაჩნია მხოლოდ კალამი, რომ ვიცხოვრო და გადავიხადო ას ოცი ათასი ფრანკი. ექვსი თვის შემდეგ ყველას გადვიხდი და მექნება შემოსავალი, მოვაწყობ პატარა მეურნეობას. მაგრამ ექვსი თვის განმავლობაში კიდევ უნდა ვზიდო სილატაკის უღელი“...

1833 წელს:

„მხოლოდ ზუთი საათი მძინავს. შუალამიდან შუალამემდე ვმუშაობ საკუთარ თბზულებებზე, შუალამიდან ოთხ საათამდე—ვასწორებ კარკაშხანას...“

გამდიდრების მიზნით ჰონორე დე-ბალზაკი თავისი ნიჭისა და ფიზიკური ძალების კატორღულ ექსპლოატაციას ეწევა. ვებერთელა მოთხოვნას ერთს ღამეში სწერს, მთელი რომანი მზადა აქვს სამი დღის განმავლობაში. ცხოვრობს ცუდათ. შრომობს ნაყოფიერად, მაგრამ ნადგურდება ფიზიკურად. პოლონელ გრაფინია განსკაიას, რომელიც შემდეგ მისი ცოლი გახდა, გულისტკივილით სწერს: „კორექტურა მკლავს“... ბოლოს ოცნებაც აუხდა, ვალები გასტუმრებულია. მისი ნიჭი საქვეყნოდ არის აღიარებული. განსკაიამ ვაანათვისუფელ ბალზაკი შიშიმ და ზედმეტი მუშაობისაგან. ქორწინდებიან და, აი ამ დროს, რამდენიმე თვის შემდეგ, მას ეწევა... სიკვდილი.

ბალზაკის ცხოვრებასა და „შაგრენის ტყავის“ გმირის, რაფაელის ბედს შორის თითქოს ერთგვარი მსგავსებაც არსებობს.

რაფაელი მეოცნებე, ცხოვრებაში მოუწყვრივებელი პოეტია. ფული და პატივი არ მოუხვეჭია, არც მისი ნიჭია საქვეყნოდ ცხობილი, ანაზღუელად დიდი ქონების მფლობელი შეიქნება, სურვილები უსრულდება. სამავიეროდ—სასიცოცხლო წლები გაფლანგული აღმოჩნდება.

შემთხვევითი მსგავსებანი მოიპოვებიან... საერთოდ კი—ძნელია მწერლის ცხოვრების შესწავლი! გზით მისი შემოქმედების ძირეული მოტივების გათვალისწინება. გაუგებარია—როგორ მოახერხა საარსებო პირობების მზრით უკილურესმა იდეალისტმა ისეთი კმნდლებების შექმნა, სადაც, ფერადების საერთო გარკვეულობასთან ერთად, არც პერსონაჟს ახასიათებს რომანტიული სიმკრთაღე და სისხლნაკლულობა.

ჰონორე დე-ბალზაკმა მე-19 საუკუნის ფრანგულ პროზაში მთელი ეპოქა შექმნა. გენია ყოველთვის გულისხმობს ინდივიდუალურის შეერთებას საზოგადოებრივთან, ცხოვრების გარდამქმნელ ძალებთან. „ჩემი თავით მთელს საზოგადოებას დავატარებდი“—ეს შესანიშნავი განცხადება ჰონორე დე-ბალზაკს ეკუთვნის. ამ მწერალს დიდი გეგმები ამოძრავებდა. ნაპოლეონის, კიუვესა და ოკონელის მსოფლიო მიზნების ნაცვალი სურდა ლიტერატურაშიც.

„შაგრენის ტყავი“ ერთერთი თავია 92 ტომიანი „ადამიანური კოშედიის“ იმ ნაწილისა რომელსაც ბალზაკმა „ფილოსოფიური კლეფანი“ უწოდა.

რომანის მთავარი გმირი თვითონ შაგრენის ტყავია და არა რაფაელ. ჯადოქრობისა და ბედისწერის იდეა, შაგრენის ტყავის სახით, ამ რომანში სიმბოლიურად გამოხატავს საზოგადოების იმ ფენის რწმენას, რომელმაც სოციალური დასაყრდენი დაკარგა და თავისი შემეცნების ქვეყანა დაასახლა აიად-მყოფური წარმოდგენებით. ეს წარმოდგენები ავტორს მატერიულად აქვს განსახიერებული და ჯადოქრული საგანი (შაგრენის ტყავი) სიუჟეტის მთავარი მამოძრავებელია. მწერალი შესანიშნავად შლის რომანს ამ მატერიული ნაწილის ირგვლივ.

ვრცლად შეიძლება საუბარი „შაგრენის ტყავ“-ში ნაჩვენებ ტიპების, სოციალური ყოფის ანარქიკლისა და ავტორის დიდი ლიტერატურული/ისტატობის შესახებ. საჭირო იყო ფრანგული მწერლობის ისტორიისა და ევოლუციის გათვალისწინება, რაიც საკმაოდ დიდ ადგილს დაიჭირებდა.

„შაგრენის ტყავი“ საუკეთესო დოკუმენტია ბურჟუაზიული კლასის სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოს გასაცნობად. მკითხველის შოვალეობას შეადგენს მისი დაკვირვებული გადაკითხვა.

რომანი ქართულად თარგმნილია გერონტი ქიქოძის მიერ. ეს მალაზხარისხოვანი თარგმანი როდია მარტო. მთარგმნელის ენა და სტილი აქ პირდაპირ სახარბიელო ეფექტს აღწევს. იშვიათია ქართველი მწერალი, რომელსაც სტილის შხრით ესოდენი სისადავე და პლასტიურობა გააჩნდეს. „შაგრენის ტყავი“-ს თარგმანში მიღწეულია ქართული ფრაზის ბუნებრივობის დაცვა და ორიგინალობა ერთსადაიმევე დროს, ლექსიკური მასალის ისე შერჩევა, რომ სიტყვას ამსახველ ძალასთან ერთად შენარჩუნებული ჰქონდეს მუსიკალური ელემენტი და მელოდიურობა. ყველაფერ ამას გერონტი ქიქოძე აღწევს მეტად მარტივი საშეალებებით. თარგმანში არ გვხვდება არც ერთი ნაძალადევი გამოთქმა, ცუდით აგებული თუნდაც ფონეტიური შხრით.

თუ „ტრისტან და იზოლდა“-ში არქაული ლექსიცა განგებ იყო გამოყენებული მთარგმნელის მიერ, სამაგიეროდ „შაგრენის ტყავ“-ში ეს არქაული ლექსიცა აბალი ქართულის მიხედვით არის გადმოცემული. მთარგმნელის კულტურას მოწმობს ქართული ეპიტეტების ისე კარგად გამოყენება, რომელსაც მკითხველი ზედავს „შაგრენის ტყავში“. მოვიყვანთ ერთ ადგილს:

„ამ ფერიბივით მომჯადოებელი ქალების ვნებიან თვალეში მეტი ცეცხლი იყო, ვიდრე სინათლის ღვარში, რომელიც აციაგებდა კედლების ატლასს, ბრობაკს ჰქმნიდა მარმარილოს გარშემო და ლივლივობდა ბრინჯაოს ნატიფ ხრახნილებზე. გული ენთებოდა იმ კონტრასტების დანახვაზე, რომელსაც მათი თმის ტალღები და მათი პოზები ჰქმნიდა, ეს პოზები სხვადასხვანაირი იყო თავისი მიზიდველობითა და ხასიათით. ეს იყო ყვავილების ლომე, შემკული ლალებითა, საფირონებითა და მარჯნებით; თოვლივით თეთრ კისერს შავი საყელური ეხვია, მსუბუქი მანდილი კანდელის სინათლესავით ფრიალობდა. მხრებზე ამაყი პირბადე ეშვებოდა, სხეულს მორცხვად გამაღიზიანებელი ტუნუკები ეკვროდა. ეს ჰარამშანა ჯადოს ჰქმნიდა ყველა თვალეებისათვის, ენებათა ლეღვის სიტკბობას ყოველგვარი ეინისათვის. ერთი მოცეკვავე ქალი თითქო ტოტველი იყო კაშმირის ხვეულეში. იქ გამჰვირვალე ვაზი, ხოლო აქ მოლიე-ლიე აბრეშუმი ფარავდა და ამელავნებდა სხეულის იდუმალ სრულყოფას“ (გვ. 81—82).

ასეთი აღწერილობით მდიდარია „შაგრენის ტყავი“-ს თარგმანი და დედნის ბრწყინვალეობა ალბად ამას იქით არც მიდის.



## ოქტომბრის რევოლუციის 15 წელი და კინემატოგრაფია

ცნობილი გერმანელი კინო-კრიტიკოსი გეორგ ფერსტერ „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ“-ში (24—4-32) სხვათა შორის სწერს ბურჟუაზიულ კინემატოგრაფიის შესახებ შემდეგს:

...ჩვენს კინო-წარმოებას ტექნიკის ყოველგვარი მიღწევა ხელთ აქვს—მათ არ იციან მხოლოდ რაზედ გამოიყენონ იგი... ძალიან მოგვწყინდა ეს უიდეურობა, ეს ფანტაზიის უქონლობა, უარისთქმა იმ შესაძლებლობაზე, რომელიც აუარებელი რიცხვით ხელთ გვაქვს... რას ნიშნავს ეს თუ არა იმ დიდ კრიზისს, რომელშიაც იმყოფება ბურჟუაზიული კინო-ხელოვნება, ისე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები. ერთის მხრივ უკიდურესობამდე განვითარებული ტექნიკა, მეორეს მხრივ სრული უშინაარსობა, უიდეურობა, სიუჟეტის უქონლობა—აი რა ახასიათებს თანამედროვე ბურჟუაზიულ კინოხელოვნებას—მაკრამ ცარიელი ტექნიკა, თუ იგი გამოყენებული არ არის მაღალიდეურ, სრულშინაარსიან სურათების გაკეთებაზე, თავისი უარყოფამდე მძდის. ბურჟუაზიული სისტემა არ იძლევა საშუალებას ტექნიკის განვითარებისათვის, რადგან იგი თვითმიზნათ ხდება. გარდა შემოქმედებითი და ტექნიკურ კრიზისისა, ბურჟუაზიული კინემატოგრაფია განიცდის დიდ ფინანსიურ კრიზისს. იმავე გეორგ ფერსტერის თქმით: „ხუთი ყველაზე უძლიერესი ამერიკული კინო კონცერნი ყოველკვირეულად კარგავს 200 ათას დოლარს“. უმუშევრობა კინო-მსახიობთა შორის დღითიდღე იზრდება. ისეთი დიდი კინო-მსახიობები, როგორც გრეტა გარბო, ჩაპლინი და სხვები რამდენიმე თვე არ მუშაობენ, ცნობილი კინო-რეჟისორი ფრიკ შტროკჰეიმ უადგილობის გამო მსახიობობს, და სხვა ასეთი მრავალი ფაქტები ბურჟუაზიული ხელოვნების „აყვავებისა“, რომელსაც თვითონ ბურჟუაზიულ პრესაც კი აღარ მალავს.

და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ქვეყნის ერთ მეექვსედ ნაწილზედ, საბჭოთა კავშირში, ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე, ყველა ხელოვნება და მათ შორის კინო-ხელოვნება დიდ მიღწევების გზით ვითარდება. პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას კარგად ახსოვს ამხ. ლენინის ფორმულა, რომ

ყველა ხელოვნებიდან ჩვენი ყველაზე საჭირო არის კინო“ და ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ კულტურული რევოლუციის ამ დარგსაც.

თავის არსებობის განმავლობაში საბჭოთა კინემატოგრაფიის მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. კინო-დადგმულებათა ქსელი შედარებით სწრაფად ვითარდება. წინ დროსთან ვაიზარდა 30 ჯერ მეტად. შარშან საბჭოთა კინემატოგრაფიამ ერთი მილიარდი მაყურებელი გაუშვა, წირულს მაყურებელთა რიცხვი უდრის ორ მილიარდს, კინო-დადგმულობათა რიცხვი კი 75 ათასამდე აღწევს.

საბჭოთა კინემატოგრაფიამ შექმნა მთელი რიგი კინოსურათებისა რომელთაც მას მართლაც, შეუძლიან იამაყოს მსოფლიო მასშტაბით. ეს არიან „პოტიომკინი“ ეიზენშტეინის, „დედა“ და „ჩინგის-ხანი“ პულვეკინის, „არსენალი“ და „დედამიწა“ დოვენკოსის, „ელისო“ შენგელაისის, „ტურქსიბი“ ტური-ნის და სხვ...

ამასთან ერთად იზრდება ჩვენი კინემატოგრაფიის ტექნიკური შეიარაღება წირულს კინო-ფირმის გამოშვებით საბჭოთა კავშირი იტალიას და საფრანგეთს დაეწია. ამით საბჭოთა კინემატოგრაფია სრულიად თავისუფლდება უცხოეთი-დან კინო-ფირმის შემოტანისაგან. ორი ფაბრიკა მუშაობს საბჭოთა კავშირში კინო-ფირმის წარმოებაზე (შოსტკა და პერეიასლავი). მესამე ფაბრიკის გაშვებით (ყახანში) კინო-ფირმის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირი დაიჭერს მესამე ადგილს მსოფლიოში ამერიკის და გერმანიის შემდეგ.

საბჭოთა კავშირში განვითარდა ახალი კინო-წარმოება, რომელიც აგრეთვე ანთავისუფლებს ჩვენს კინემატოგრაფიას უცხოეთისაგან, ეს არის კინო-აპარატურის წარმოება, კუსტარული მექანიკური კინო-სახელოსნოები ლენინგრადში, მოსკოვში და სამარაში გარდაიქმნა დიდ ქარხნებათ მილიონიან პროდუქციით. ისინი უშვებენ სტაციონალურ აპარატებს, მოძრავი კინოს აპარატებს, გამნათებელ აპარატურას და ელექტრო-მოწყობილობას. მესამე დიდი ქარხანა შენდება ოდესაში. იგი გამოუშვებს მძიმე კინო-აპარატურას, ხმების ჩამწერ აპარატებს, რთულ დაზგებს და სხვ. ოდესის ქარხნის გაშვებით საბჭოთა კინემატოგრაფია უფრო ძლიერ გაიმაგრებს თავის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და გარდაიქმნება ნამდვილ მსხვილ წარმოებათ, რომელსაც სრული შესაძლებლობა ექნება დააკმაყოფილოს ის გადიდებული მოთხოვნილებანი, რომელთაც უყენებს კინოს ქალაქის და სოფლის მშრომელი მასა.

საბჭოთა კინემატოგრაფია ხვდება ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის უდიდეს არაჩვეულებრივ დროს.

გაზ. „პრავდა“-ს 14 დეკემბრის მოწინავე, სადაც დასმული იყო კინემატოგრაფიის წინაშე, როგორც ცენტრალური ამოცანა, ბრძოლა კინო-პროდუქციის ხარისხისათვის, და ცეკას 23 აპრილის ცნობილი დადგენილება მართლაც ისტორიულად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის, რადგან უკანასკნელის წინაშე დაისვა ახალი და მეტად პასუხისმგებელი ამოცანები. საქართველოს კინემატოგრაფია წარმოადგენს საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ნაციონალურ რაზმს, რომლის წინაშე დასმულია აგრეთვე ისეთივე ამოცანები, რომელიც მან უნდა განახორციელოს ნაციონალურის გზით. საქართველოს საბჭოთა კინემატოგრაფიას მალე თორმეტი წელი უსრულდება, და თვალს რომ

ვადავაელოთ ამ გასულ წლებს, ჩვენ წინ აღსდგება სურათი არაჩვეულებრივი ზრდისა და განვითარებისა, როგორც შემოქმედებითი ისე ტექნიკურის მხრივ.

ცოტა ისტორიიდან: 1919 წელს მენშევიკების ბატონობის ქრონოს ვილაც კინო-კომერსანტმა პირონემ მოიწვია ვ. ბარსკი, რომელმაც კინო-საქარტორობათ დასდგა პირველი „მატერული“ კინო-სურათი: „თავმოკვეთილი გვამი“ (!!!). სურათი გაკეთდა პრიმიტიულ-კუსტარულ პირობებში: გადაღებანი სწარმოებდნენ კინო-თეატრ „აპოლო“-ს ფოიეში და კანტორაში მხოლოდ 4 „იუპიტერის“ საშუალებით.

დანარჩენ სურათების შესახებ კარგად ლაპარაკობენ მათი სათაურები „შოპენის ნოკტიურნი“, „ცეცხლის თავყანისმცემლები“ და სხვ. ერთადერთი „ქართული“ ხასიათის სურათი იყო რეჟ. ა. წუწუნავას მიერ გაკეთებული „ქრისტიანი“ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით.

ეს იყო პირველი ცდა კინო-სურათის გაკეთებისა ადგილობრივ მასალაზე. ამაზე შორს მენშევიკები ვერ წაეიდნენ, რადგან კინემატოგრაფია კერძო მოვაჭრეთა ხელში იყო და მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მისცა როგორც ხელოვნების სხვა დარგებს ისე კინემატოგრაფიასაც ფართო განვითარების საშუალება:

1921 წელს პირველად დაიდგა კინო-სურათი „არსენა ჯორჯიაშვილი“ რეჟ. პერესტიანის მიერ. ამ სურათიდან დაწყებული ვიდრე „ელისო“-მდე საქ. კინემატოგრაფია ვითარდებოდა ერთი ხაზით. ეს იყო სწორედ სრულიად საქავეშირო კინო-პარტათობიზმზე, რომელიც მოწვეული იყო ს. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ 1928 წელს მარტში. ამ პირველ პერიოდის მრავალი სურათებიდან აღსანიშნავი არიან როგორც საქართველოს კინემატოგრაფიის უდავო მძღვევები „წითელი ეშმაკუნები“ და „სამი სიცოცხლე“ (მეტადრე პირველი სერია)—რეჟ პერესტიანის და „ვინ არის დამნაშავე“ რეჟ. წუწუნავასი, დანარჩენი სურათები არ წარმოადგენენ მაინც და მაინც ისეთ დიდ განძს, რომ შეიძლებოდეს მათზე დღეს ლაპარაკი. მართალია დიდი ნაწილი ამ პერიოდის სურათებისა კეთდებოდა ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის მიხედვით, რასაკვირველია ეს გზა კინემატოგრაფიის განვითარებისა დღესაც არ არის დასაგმობი. ჩვენ, ვიცით, რომ ყოველ კინო-ნაწარმოების საფუძველს წარმოადგენს კინო-სცენარი, რომელიც უნდა იყოს აკრებული სწორედ ისეთ მაგარ და სრულყოფილ შინაარსზე, როგორც ლიტერატურული სიუჟეტი არის გაკეთებული. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მთელი რიგი სურათებისა, რომლებიც მაშინ გამოშვებული იყო საქ. კინოს მიერ, არამც თუ არა სდგას ლიტერატურული ნაწარმოების დონეზე, პირიქით ხშირად წარმოადგენს მათ დამახინჯებას და დისკრედიტაციას. მაგალითად ა. ყაზბეგის (გარდა სურათ „ელისო“-სი) ყველა მოთხრობა გაფუჭებულია და გაბითურებული კინო-ეკრანზე. იგივე ითქმის დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხე“-ზე, ნინოშვილის მოთხრობებზე („ქრისტიანი“, „ტარიელ-მკლავაძე“) და დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანაშვილის დედინაცვლის“ შესახებ.

1928 წლის პარტათობიზმა საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე დასახა ახალი ამოცანები, მთავარი ამოცანა იყო ის, რომ კინო პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელში გამხდარიყო მძლავრ იარაღათ მილიონიან მასების კომუ-

ნისტურად აღზრდისათვის. „ელისო“ რეჟ. ნ. შენგელიას მიერ დადგენილი, იყო ნამდვილი პასუხი საქ. საბჭინმრეწვისა ამ პარტიათმზრისათვის, აქ ეხლა არ შევუდგებით ამ კინო-სურათის დეტალურად ანალიზს, თავის დროზე მჭირი ითქვა მის შესახებ, როგორც საბჭოთა, ისე საქართველოს კინემატოგრაფიის ცხოვრებაში. ამ მეორე პერიოდს ეკუთვნის სურათები „საბა“ მიხ. ჭიაურელის და „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ მიხ. გელოვანის. მთავარი რაც ახასიათებს ჩვენი კინო-მრეწველობის ამ პერიოდს ეს არის კინო-ახალგაზრდობის წამოწევა. სურათი „ელისო“ უდავოდ უნდა ჩათვალოს საქართველოს კინემატოგრაფიის დიდ მიღწევად. ამ სურათმა დაამტკიცა რომ ნიჭიერი ახალგაზრდათა წამოწევა მხატვრულ-შემოქმედებითი დარგში სწორი და მიზანშეწონილი იყო. რასაკვირველია, თუ მას სათავეში უდგას მაგარი პოლიტიკურ-მხატვრული ხელმძღვანელობა. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ 1930 ლიდან დაწყებული საქ. საბჭინმრეწველში ზოგიერთ მიღწევებთან ერთად ჩვენ ვხედავთ ჯერ ხარისხობრივ და ბოლო რიცხობრივ ზრდის შეჩერებას ერთ წერტილზე. რასაკვირველია, ეს არ იყო კრიზისი, ეს იყო უფრო ძაღების შემოკრების, ზრდის სიძნელეები და ექსპერიმენტალური სწავლება, რასაც ემატებოდა ძლიერი კინო-ხელმძღვანელობის უქონლობა. ზრდის ხაზი ხან პორიზონტალურად მიიმართებოდა, ხან ქვეით ეცემოდა (ამას მოწმობს ზოგი სურათების თაროზე ყოფნა). პოლიტიკური ამოცანები გაგებულ იყო აგიტაციონური შტამების, სტემატიურობის და გაუბრალოების ხაზებში. მხატვრულობა ან სრულიად განდევნილი იყო, ან ფორმალისტური ექსპერიმენტებში პოულობდა თავის განსახიერებას. უკანასკნელის ნათელ მაგალითს წარმოადგენს რეჟ. მ. კალატოზიშვილის სურათი „ჯიმ-შვანთე“, რომელიც ტენიკურის და ოპერატიულის მზრივ დიდ მიღწევას წარმოადგენს, აგრეთვე რეჟ. კ. შიჭაბერიძის გამოუქვეყნებელი სურათი „ჩემი ბებია“, რომელიც წარმოადგენს გაბედულ ცდას საბჭოთა კომედიის შექმნისათვის, მრავალმა სურათმა ვერ ნახა კინო-ეკრანი: „დამკერვლები“, „შემხვედრი“ კავკასიელი ყაჩაღი“ „ბრმა“ შეხვედრა“ და სხვ.

საინტერესო სურათებს წარმოადგენენ აგრეთვე ამერიკანკა“ რეჟ. ესაკიასი, რომელიც წარმოადგენს 1905 წლის კინო-დოკუმენტს, „საკანი № 79“ რეჟ. შ. ბერიშვილის, სადაც იმავე ეპოქის ამბები მელოდრამატიული ემოციონალობით არის გადმოცემული. შემდეგ რეჟ. შ. ხუსკივაძის ორი შესანიშნავი სურათი „შირაქი“ (კინო-პოემა კოლმეურნეობის შესახებ) და „ფლორა“ (კინონარკვევი საქართველოს მცენარეულობის შესახებ). „უგუზზიარა“ რეჟ. დ. რონდელის, როგორც ცდა ნაციონალურ უმცირესობათა ცხოვრებიდან (აფხაზეთი) სურათის გაკეთებისა და „ზვავთა სამეფო“ რეჟ. ს. დოლიძის. სრულიად ცალკე სდგას სურათი „ხაბარდა“, რომელიც დიდის მხატვრული კულტურით და კინოსტატობით გაკეთებული რეჟ. მ. ჭიაურელის მიერ, წარმოადგენს პირველ ნაბიჯს საბჭოთა კინემატოგრაფიაში ჯერ კიდევ უცნობ ჯანრს კინოპამფლეტის შექმნის მზრივ.

ხმოვანი კინო-სურათების გამოშვებით საქ. საბჭინმრეწვემა დააგვიანა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეხლახან გამოშვებული ოქტომბრის 15 წლის თავისათვის ხმოვანი-მოლაპარაკე დიდი ფილმი „შაქირ“ (როტე-ფანე) რეჟ. ლ.



ესაკიას მიერ დადგმული, მიუხედავთ ზოგიერთი მხატვრულ და ტექნიკურ დეფექტებისა — წარმოადგენს საქართველოს კინემატოგრაფიის ხმოვან კინოს განვითარების საქმეში დიდ მიღწევას, როგორც პირველი ნაბიჯი ამ დარგში. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენში ხმოვან კინოს ნამდვილად მნიშვნელოვანი ფილმების შექმნას.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი საბჭოთა კინემატოგრაფია, და მასთან ერთად საქართველოს კინემატოგრაფია, დღეს დიდ და ახალ ამოცანების წინაშე სდგას. საჭიროა „პრავდა“-ს ცნობილ მოწინავეს და ცეკას 23 აპრილის დადგენილების ჩქარი და სრული რეალიზაცია, სამწუხაროთ ცეკას დადგენილება მეტად ნელი ტემპით და ხშირად დამახინჯებით ტარდება ჩვენს კინემატოგრაფიაში. საქ. კ. პ. (ბ) სტალინის სახ. რაიკომის ბიურო თავის ამა წლის 17 სექტემბრის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ „საქ. სახკინმრეწვის მუშაობაში ადგილი აქვს დიდ გარღვევას, რაც შედეგია უყარათობის, პასუხისმგებლობის და მოქმედების პერსპექტივის დაკარგვის, ბოლშევიკურ თვითკრიტიკას მეტად სუსტი ვაშლის, „ოჯახურობის“ და სხვ... კინო-ფილმების წარმოების წლიური გეგმა ნახევარ წელში შესრულებულია მხოლოდ 16 პროც. რამაც გამოიწვია 646,000 მან. მეტი ზარალი. საჭიროა არსებულ ძალების, მეტადრე მხატვრულ შემოქმედებითი ძალების, დიდი დაქიშვა, რომ საქ. სახკინმრეწვი გამოყვანილ იქნეს იმ სამარცხინო გარღვევიდან, რომელშიაც იგი იმყოფება დღეს. საქართველოს კინემატოგრაფიას ყოველგვარი პირობები ხელს უწყობს, რომ მან ისევე დაიკავოს ის ადგილი, რომელიც მას ეკავა საბჭოთა კინემატოგრაფიაში ლენინგრადის შემდეგ.

ბუნებრივი შესაძლებლობანი, (ნატურ-გადაღებანი), დიდი ატელიე, უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით გაშენებული კინო-ლაბორატორია, მხატვრულ შემოქმედებითი ძალების მეტად ნიჭიერი კადრები — ყველა ეს თავდება იმი სი, რომ საქართველოს კინემატოგრაფია კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით შესძლებს მასზე დაკისრებული ამოცანების ნათლად და მკაფიოდ შესრულებას.

**შ. ალხაიშვილი**

### ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

გასული წლის ივლისიდან, მთავრობის უზენაესი ორგანოების დადგენილების თანახმად, დაწესებული იქნა წინასწარი საშუადისი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსაცემათ. მოსამზადებელ მუშაობასთან დაკავშირებული ზარების დასაფარავად გადადებული იყო 100,000 მანეთი. წინასწარი მოზაობა დამთავრდება მიმდინარე წლის დასაწყისში. მთავრობის მიერ გამოყოფილი სარედაქციო კოლეგია უკვე შეუ გა პრაქტიკულ მუშაობას ენციკლოპედიის პირველი ტომების გასამზადებლად და გამოსაცემად.

ენციკლოპედიის შეს. დგენად მიზიდული იქნებიან სამეცნიერო ძალები, საუკეთესო მხატვრები, მწერლები, კრიტიკოსები, გეოგრაფები, სამკურმალე მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები და სხვ.

ენციკლოპედიის გამოცემასთან დაკავშირებით, გამბეულია კავშირი ყველა მოკავშირე რესპუბლიკების საზენიერო დაწესებულებებთან — უკრაინასთან, რ. ს. ფ. რესპუბლიკასთან, ბელარუსასთან, სომხეთთან, აზერბეიჯანთან და სხვ.



—ამ ათი წლის წინად,—განაცხადა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამომცემის შესახებ პროფ. ყაუხჩიშვილმა,—საქართველოს მეცნიერება ჯერ კიდევ არ იყო იმდენად მომავრებული, რომ შეგეტლებოდა ენციკლოპედიის გამოცემა. ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველო იმდენად განიარაღა, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად, რომ შესაძლებელი გახდა საკუთარი ძალებითვე შევადგინოთ და გამოვეცეთ ახალი ენციკლოპედიური სიტყვარი.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შევა ერთი მზრივ ქართულ-კავკასიური ბასიათის სიტყვები, რაც არც ერთ ენციკლოპედიაში არ არის შეტანილი ისეთი მოცულობით, როგორც ქართულ ენციკლოპედიაში შევა. სიტყვარში შეტანილი იქნება აგრეთვე საერთაშორისო-ინტერნაციონალური ბასიათის სიტყვებიც. სულ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შევა 50.000-მდე სხვადასხვა სიტყვა. მცირე საბჭოთა ენციკლოპედია (მსგ) შეიცავს 31.526 სიტყვას. ასე ქართული ენციკლოპედია გაცილებით უფრო დიდი იქნება.

1933 წლის იანვრისათვის უკვე დამთავრდება ენციკლოპედიაში შესატან სიტყვათა სიის შედგენა.

შედგენილია აგრეთვე ენციკლოპედიის შედგენაში მონაწილე ძირითადი ავტორების სია. ლიტერატურის დარგში ენციკლოპედიაში შესულ ყველა სიტყვების დამუშავებას უზღმებლანგლებს უშუალოდ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი.

მომავალი 1933 წლის მეოთხე კვარტალისათვის გაზიარებული იქნება პირველი რამოდენიმე ტომი პირველ ასოებზე—ანზე, ბანზე და განზე და გადაეცემა სტამბებს ასაწყობად.

პირველ ხანებში გათვალისწინებული იყო სპეციალური სტამბის მოწყობა, მაგრამ შემდეგ გადაწყდა, რომ ერთ-ერთ სტამბას გადაეცეს თანხა ახალი მანქანების, შრიფტის და სხვ. მასალების შესაძენად. ამავე დროს შერჩეულ სტამბასვე გადაეცემა თანხები კვალიფიკური ბუნების მოსამზადებლად. სულ საჭირო იქნება ათი ასოთ-მწყობის მომზადება.

### სამხედრო მწერალთა შორის

საბჭოთა მწერლების კავშირთან სამხედრო კომისიის ჩამოყალიბების დღიდან გაიშალა მუშაობა სამხედრო მწერალთა შორის. სამხედრო კომისიის ხელმძღვანელობით გაზ. „წითელ არმიელთან“ არსებობს ცენტრალური სამხ. ლიტ. წრე, რომელიც აწარმოებს სისტემატურ ლიტ. სწავლებას. წრის თავმჯდომარედ არჩეულია აბ. გ. ტაბიძე. სამხედრო კომისიის ხელმძღვანელობით ამ მოკლე ხანში განხრახულია ქუთაისში და ავტონომიურ რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციებთან სამხედრო კომისიების ჩამოყალიბება. აგრეთვე წ. არმიის ქართულ ნაწილების კლუბებთან უნდა ჩამოყალიბდეს სამხ. სალიტ. წრეები, ჯერჯერობით ასეთ წრეებთან ჩამოყალიბებულია მხოლოდ ერთი წრე ამიერ-კავკასიის ქვეით სამხედრო სკოლასთან. წრეს ხელმძღვანელობს საქ. საბჭ. მწ. კავშირის სამხედრო კომისიის მ. გ. შიდაგია მხ. ბობოხიძე. სამხ. კომისია აგრეთვე აგრავებს ლიტ. მასალების (დექსებს, მოთხრობებს, პოსტებს, ნარკვევებს და სხვ.) სამხედრო ლიტ. კრებულისათვის, რომელიც გამოვა 33 წლის 23 თებერვლისათვის. წ. არმიის 15 წლის თავთან დაკავშირებით, კრებულს გამოსცემს სახელგამი.

### ლიტერატურის აღრიცხვა

მწერლობაში ახალი კადრებისათვის წამოშვების გახადვებულადა, ნიჟერ მუშა-ახალგაზრდობისათვის შესაფერ კონკრეტულ დახმარების გასაწყვეად და ამ მიზნით ყველა ლიტერატურის მწერალი კავშირის ერთ მთლიან ხელმძღვანელობაში მოხაქცევადა, ჩატარებული იქნება საშუალო ხასწავლებლებთან, მუსიკელებთან, და ტექნიკელებთან არსებულ ლიტერატურის აღრიცხვა. აღრიცხვა შეეხება დღემდე მწ. კავშირის ხელმძღვანელობის ვარეშე მუშათა კლუბებთან და ქაზან-ფაბრიკებთან არსებულ ლიტერატურის ხელმძღვანელებს. ხალხიცივად უნდა გამოცხადდეს მწერალთა კავშირში აღნიშნულ ლიტერატურის ხელმძღვანელები, დღის 12—3 საათამდე, შემდეგი ცნობებით: სად, როდის დაარბა წრე, რამდენა მწერი ირიცხება წრეში, რა რიცხვებში წარიივებს მუშადინობა და სხვ.

ასეთი აღრიცხვის ჩატარება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებში ცვალებათ მწერალთა კავშირის განყოფილებებს.

კონსტანსი საპეტიციო ლიტერატურა



ლიტერატურაში მემოიბის გაცხოველებისა და მისი სათანადო სიმბლუბე დამაღწებლად გადაწყვეტილია მოეწოს კონკურსი საუკეთესო ლიტერატურაზე. კონკურსის პერეპტივ უძველესი გამოქვეყნებული იქნებინა „სალიტერატურო გაზეთი“-ს მორიგ ნომერში. **კონსტანსი**

კონსტ. ლორთქიფანიძის ლექსები

ახლო ხანში გამოვა პოეტ კონსტანტინე ლორთქიფანიძის რჩეულ ლექსთა კრებული. გამოცემა სახელგამის.

„გმირი და წინ“

რედაქციამ მიიღო პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსების ახალი წიგნი: „გმირი და წინ“. კრებული შეიცავს უკანასკნელი ორი წლის პროდუქციას.

„ნიბელუნგები“ ქართულად

პოეტი კ. ტიკინაძე უკვე ერთი წელიწადია სთარგმნის გერმანული გმირული ეპოსის (12—13 საუკ.) საუკეთესო ძეგლს—„ნიბელუნგებს“. მთლიანად ეს პოემა შეიცავს 2400 სტროფს. კ. ტიკინაძეს უგრჯერობით დასრულებული აქვს მხოლოდ პირველ თავების (700 სტროფის) თარგმნა.

„არსენა მარაბდელი“

სახელგამმა წალკე წიგნად გამოცემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „არსენა მარაბდელი“. ეს რომანი თითონ ავტორმა სთარგმნა რუსულად. მას სცემს მოსკოვის „ფედერაცია“. იგივე რომანი უკრანულად სთარგმნა გ. ნამორაძემ და 1933 წლის განმელობაში გამოიცემა უკრაინის სახელგამის მიერ.

დავით კლდიაშვილის მემუარები

გამოვიდა დავით კლდიაშვილის მემუარები („ჩემი ცხოვრების გზაზე“). წიგნი გამოცემა სახელგამმა.

ხალხური პოეზიის კრებული

სახელგამი სცემს ქართული ხალხური პოეზიის ახალ კრებულს ვანტანტ კოტეტიშვილის რედაქციით.

„ღვთაებრივი კომედია“ ქართულად

პოეტებმა კ. გამსახურდიამ და კ. ტიკინაძემ ქართულად სთარგმნეს დანტეს „ღვთაებრივი კომედია“.

გრიგოლ რომაქიძის წიგნები გერმანულ ენაზე

გრიგოლ რომაქიძის გერმანიაში სათანადო ყურადღება მიუპყრია. 1933 წ. განმელობაში გამოვიდა მისი ორი წიგნი: 1. „კავკასიური ნოველები“ (Kaukasische Novellen) და 2. „მეგეი, ქართველი ქალი“ (Megi ein georgisches Mädchen. Roman). პირველი — გამოცემულია ლაიპციგის „Insel“-ის გამოცემლობის მიერ და შეიცავს 79 გვ. წიგნში მოთავსებულია წინასიტყვაობა და სამი ნოველა: „მავკური სათავეები“, „წმინდა ხარის დაკვლა“ და „იმამი შამილი“. პირველი ნოველა გერმანულად გადათარგმნილია ქეთე რეზენბერგის, ხოლო ორი უკანასკნელი პოლფ. რინბარდ მეცელაინის მიერ.

მისი მეორე წიგნი: „მეგეი, ქართველი ქალი“ (რომანი), მიძღვნილია სტეფან ცვაიგისადმი. გამოცემულია „Reiner Wunderlich“-ის გამოცემლობის მიერ ლუბინგენში და შეიცავს 239 გვ. რომანი გერმანულად გადათარგმნილია რაინჰოლდ ჩაკერტისა და თეთ

მწერლის მიერ, პროფ. რიხარდ შტეტელაინისა, მარგარეტ გარდუნიუს და კლასიკურ ვიტუელის თანამშრომლობით, გამოცემლობის უახლეს წიგნთა კატალოგში რიხარდ შტეტელის ანოტაცია არის მოთავსებული:

„ამბოზენ, თითქოს კავასია კაცობრიობის აკვანი იყო. ეს წიგნი თავის დასრულებით კავასიაში აღმოცენებული და შექმნილია გადაღებულნი იქნება, რომ ჰერმანოვს და იმ პოეტურ ნაწარმოებშია, გრიგოლ რიხარდ გერმანელ მკითხველისათვის უცხო აღარ არის. მისმა რომანმა „ველის პერანგმა“ ბრწყინვალე გამოძახილი გამოა და მრავალი მეგობარი გაიჩინა. მაგრამ მის ამ მეორე წიგნის დამთავრების შემდეგ დასაჯული იქნა და მრავალი მეგობარი დაკარგა. მისი გადარჩეულია. პოეტს ამ წიგნით აღძურული აქვს კაცობრიობის უპირველესი საკითხები: სიყვარული, უნება, სქესთა პირველყოფილი ბრძოლა, ქალი როგორც მადონა და მისი წინააღმდეგობა, შეუკავებელი ამორდ. ძველ კოლმეტის ჰაერი მოჭკრის კაცობრიობის პირველყოფილ თქულებს და, მის ნიადაგზე დადიან ბედის ასულები. მთელი ეს უღამაესი ქალები. თუმცა მეგის, ქართულ ქალის ისტორია აწმყაში ზდება, მაგრამ იგი მაინც დაჭკრის დროით განუხლებელ სფეროში, რომელიც არის ყველა ჰერმანოვს და პოეტურ ნაწარმოების სამშობლო. ჰომეროსის დროიდან თითქოს მსაფლიოს ამ კეთილნი დრო არ დაძრულა. ჩვენზე იგი ახდენს ძველ თქულების შთაბეჭდილებას. მაგრამ მაინც დამაჯერებელ სიხამდულად გვეჩვენება ის, რაც აქა მოთხრობილი ადამიანებზე, რომელთა სიცოცხლე თანაზარ რიტმით ფიქსირებულია პოეტისგანთან ერთად. ჩვენ, მანქანით დღენილი შვალეები ჩვენ მიწიერ დედასებებს მოკლებულნი და თითქოს მ ნქანის ნაწილებად ქცულნი, დაკარგულ სამოთხესავით შევფრთხობთ ამ გაუტყურელ აკამიანებს, რომლებიც ტრადიციულ აღსასრულისდა მიჩნედევენ, გვეჩვენებათ და შერის ღირს ადამიანებად. მეგის გრანობის აღმძვრელი სახე იქნება მსოფლიო ლიტერატურის ქალთა საუკუნო სახეთა შორის შერიცხვისა. წმინდა ქალწული, სიყვარული და დედობისათვის შექმნილი, მიუდგომელი და თავისში შეცდული მარცხება ფარულად მისადმი გამოჯერებულ ვაჟის ველურ შტეტელს. ამის შემდეგ, მას, მთელ თავის სიცოცხლეში, უკეთ აღარ შეუძლიან მიეცეს მის ნაშვილად მოსიყვარულეს. უდაბნაშელოდ დამნაშავე ფქობთ თავს იდეთა თავის ბავშვის სიყვარლის დანაშაული. ყველაფერი მისი სასოწკავთილი იგი სტოეებს სამშობლოს და მეორედ ზდება მსხვეპლი სხვა კაცის, მანზე კობლდის. იგი ახრობს ამ უკანასკნელს სასიყვარლო საშინელებაში. დედისა და თავის ცრისავე მიწუბობით სავეს იგი გადაიყრის თმა და რევილიტუცია და რჩევა მაინც წმინდა ქალწულად. სამშობლოს ბჭესთან მას შედგება უმამისი მწუხარება, იგი ჰკარგავს რწმენას უახლესოდ საყვარელ დედისადმი და ამის შემდეგ საშედეგად მიენება გამოცნობ ბედს, როგორც მიუსაფარი მოგზაური. მისი კონტრასტია ციციოს, დედა და ამორქალი. სიცოცხლის დმი ზარბი, დაჭკრებელი ანაწოის ქალი, დედობრივ სიყვარულის მიუხედავად, თავის მოზრდილ ქალს მიჩნებს რაყიფად და მაგრამ ბუჯავს ხელში მას, რასაც ის თავის უფლებადა ითვლის. სულ სხვა კეთადობის სახეა ახალგაზრდა მარტარი ვატო მას განეცხადა როგორც დასაჯულის, ისე აღმოსაჯულის კულტურის სული და მას სერის სიღრმეთა საიდუმლოებიდან შექმნის ნამდვილი სახე ქალწულის, რომელიც მას უფარს. ეს სურათი ზდება სასწაულმოქმედ ზატად. და მოუსაფარი მეტი უმხერს ამ, მის პიროვნებისგან გამოყოფილ და მითოსში გადასულ სახეს. შევჩვენებლი ამ წიგნს მთელ სიღრმის რანდენიშ სიტყვაში გადამოცემა. კაცობრიობის გახადებული მოჭკრის ამ წიგნიდან მკითხველზე და იგი აღელვებული და მადლიერი უმხერს, თუ როგორ ნათდება პოეტური კნინება, რომელიც ჩვენ, იშვიათად გვნიჭება“.

ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში მოთავსებული იქნება რეცენზიები გრ. რიხარდის ახალ წიგნებზე.

**სამ. სხმ. მწერლობის პირველი კლასი**

25—31. დეკემბრის ე. წ. ნომერის სახელ. მწერალთა სახელში ჩატარდა საქართ. საბჭოთა მწერლების კვების პირველი კლასი.

პლენუმი გაიხსნა 25 დეკემბრის საღამოს, ხელოვნების სახალხეში.

პლენუმს დაესწრა საბჭოთა მწერლების სრ. საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია ახმ. კულიკა, ხ. ამაღლობელი და. მ. იურიანის შემადგენლობით.

პირველ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა სრ. საკანონმდებლო საბჭოს წარმომადგენლის (უკრაინის საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე) ანტონოვიჩის მოხსენება სრ. საკანონმდებლო საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტის პირველი პლენუმის შედეგების და საბჭოთა ამოცანის შესახებ.

ამვე სხდომაზე საქ. საბჭოთა მწერლობის მიხედვით სხდომის საბჭოს წარმომადგენელი ანტონოვიჩი და რ. წითელი არმიის გართული ნაწილების პოლიტსამმართველოს უფროსი ანტონოვიჩი, რომელმაც საბჭოთა მწერლობის წინაშე დასაბამი შეიქმნა რიგი ამოცანები თავდაცვის საქმეში.

2) დეკემბერის საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ანტონოვიჩის მოხსენება მწერლობის კავშირის მუშაობის და ანტონოვიჩის მოხსენება მხატვრული ლიტერატურის გამოცემის და მწერალთა საფუძვლებზე მდგომარეობის შესახებ.

27 დეკემბერს დიდის სხდომაზე თანამოსწავლებელი გარეგანი ლიტერატურის წარმომადგენელი ანტონოვიჩი და ჩხაიძის საბჭოთა მწერლობის წარმომადგენელი ანტონოვიჩი, რომელმაც საბჭოთა მწერლობის წინაშე დასაბამი შეიქმნა რიგი ამოცანები თავდაცვის საქმეში.

27 დეკემბერის საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ანტონოვიჩის მოხსენება მწერლობის წარმომადგენლის ანტონოვიჩის მოხსენება მხატვრული ლიტერატურის გამოცემის და მწერალთა საფუძვლებზე მდგომარეობის შესახებ.

27 დეკემბერის საღამოს სხდომაზე ყველა მომხსენებელმა გარშემო დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდა 31 დეკემბრამდე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: მ. ჯავახიშვილი, შ. დუდუჩავამ, კ. მელაძემ; ს. კლდიაშვილი, ლ. ბეგრელიძემ, კ. კალაშნიკოვი (აფხაზეთი), ვ. გორგაძემ, მ. იურიანი (საქ. ორგ. კომიტეტი), მ. ლაზოროვი (აჭარისტანი), კ. ბობოხიძემ, დ. სულაშვილი, დარბინიანი (სომხური სექცია), გ. ბაბოჯანი; პ. სამონიძე; რ. კალაძემ; კ. კუპჩენკომ; გ. ტაბიძემ, კ. გამაბურჯიამ; ალი არსენიშვილი; დ. ჩიანელი (ქუთაისი); ს. ხიდისთავი; მ. ჩიქოვანი; დ. ჯანელიძემ (მარტოხი-ლენინის ინსტიტუტი); მ. რადიანი, დ. დემეტრაძემ; პ. კალაძემ, ს. ჩიქოვანი; ი. ლისაშვილი, საფო მგელაძემ; კ. ხობისპირელი (ქუთაისი); ს. შანშიაშვილი, კ. ლორთქიფანიძემ; ვ. ტურული; ჯ. ბაბოჯანი; ალ. სულაშვილი; დ. შენგელიანი; ს. ანალოვილი; ა. გაჭვავიანი; ნ. ხომლიაძე; ს. ერთაშვილი; კ. ჩუჩუაძე; სიმ. ბუნდაძემ; ლ. ასათიანი; ტ. ტაბიძემ; ს. თაბაძემ; ი. მჭედლიშვილი. და ირ. აბაშიძემ.

28 დეკემბერის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ანტონოვიჩი; ხოლო 30 დეკემბერის საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოასრულა საქ. კ. პ. (ბ)-ის ც. კ.-ის ულტრაოპანკრადისტების გამგე ანტონოვიჩი, კ. ორაგველიძემ.

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც შესდგა 31 დეკემბერს საღამოს, მომხსენებელთა საბოლოო სიტყვების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლუცია გადთებულ მოხსენებათა მიხედვით.

### საბრძოლველი

#### აფხაზეთის საბჭოთა ენციკლოპედია

აფხაზეთის საბჭოთა ენციკლოპედიაში ინსტიტუტი შედგა მოსაზრებებელ მუშაობას აფხაზეთის პირველი საბჭოთა აკადემიური ენციკლოპედის შედგენის თვალსაზრისით. ენციკლოპედია უშუალოდ გააშუქებს აფხაზეთის რესპუბლიკის ცხოვრებას.

გარდა ამისა დიდი ადგილი დაეთმო ამირ-კახკისის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს.

#### ვაჰრამ შაჰინი

დასავლეთ ფრონის ქვეყნებში მანკარაღი საგანგებო მოვლათაში შეიქმნა ბაქოს დაბრუნება სომხეთი გამოჩენილი აქტორი, დასახურებული მანკარაღი ვაჰრამ შაჰინი. ბაქოს

სიმუშრ თეატრში პაპახიანი გამოვიდა „ოტელოში“, „ჰამლეტში“, „ედმონდ კინში“ და „კაი-ლებში“. ბაქოდან პაპახიანი მიემგზავრება ისევ საგასტროლოდ თურქეთში.

### თურქული მხატვრული თეატრის ათი წელი

ბაქოს თურქული მხატვრული თეატრი დღესასწაულობს მისი დაარსების ათი წლის თავის შესრულებას. თეატრმა ამ წლის განმავლობაში დასაჯა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა მთელი რიგი, აგრეთვე პიესები თურქ ავტორთა: მირზა ფატალი ახუნდოვის, ახერდოვის, ნარიმან ნარიშაზოვის, ჰუსეინ ჯაფადის, ჯ. ჯაბარლის და სხვ.

### ფირდოუსის იუბილე

მიმდინარე წელს ათასი წელიწადი სრულდება რაც გარდაიცვალა საბელჯანთქმული სპარსელი პოეტი ფირდოუსი, ავტორი ცნობილი პოემისა „შაბ-ნამე“. ახერბეიჯანის ლიტერატურის, ფისა და ხელოვნების ინსტიტუტი გატარებულ სამზადისს აწარმოებს ფირდოუსის იუბილესათვის: იწერება მონოგრაფიები პოეტის შესახებ, შიადდება თარგმანები „შაბ-ნამედან“ და სხვ.

ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში მოთავსებული იქნება სპეციალური წერილი ფირდოუსის შემოქმედებისა და კერძოდ მისი მნიშვნელობის შესახებ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

### მატერიალური კულტურის მუზეუმი ხანის სახანლეში

ბაქოში შეუდგენ ხანის სახანლის რესტავრაციას. სახანლე მე-XV-ში არის აკბული არაბული სტილით. შენობა გარედან კარგათ არის შენახული.

გათარების დროს ბევრი საგულისხმო ნაშთი იქნა აღმოჩენილი: მე-XIVს. ფულები, კერამიკა, ქვის მოაჯირის ნაწილები და სხვ. აღმოჩენილი იქნა აგრეთვე მიწის ქვეშა ნაგებობანი, გათხრილი კედლები.

სახანლის რესტავრაციის შემდეგ აქ მოთავსებული იქნება ფეოდალური ეპოქის მატერიალური კულტურის მუზეუმი.

### დაღმსტანი

#### დაღესტნის სიძველეთა ძეგლები

დაღესტანიდან და ახერბეიჯანიდან მოსკოვში ჩაბრუნდა საბელმწიფო ცენტრალურ სარესტავრაციო სახელისნათა ექსპედიცია. მან დაწერილებით შეისწავლა დარუბანდის (დერბენტის) კედელი, რომელიც აშენებულია მე-VI საუკუნეში. ეს კედელი გრძელდება 60 კილომეტრზე მეტში. კედელზე ურიცხვი წარწერებია (ძველი სპარსული და არაბული), რომელიც მო გვიბრუნს დარუბანდის ისტორიას.

გამორკვეულია, რომ უფრო ადრე არსებობდა მეორე კედელი, აკბული მე-IV საუკუნეში ექსპედიციის მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე უძველესი მესამე მე-8 საუკუნისა, აკბული არაბთა მიერ დაღესტანის დაპყრობის ხანაში, დერბენტის ქალაქის საბჭო უყვე შუადგა შეჩვითის სარესტავრაციო მუშაობას. დაღესტნის მთავრობის დადგენილებით არსდება მუზეუმები დერბენტსა და ბუინაქში.

### უკრაინა

#### კომპოზიტორ ლისენკოს მოგონება.

უკრაინის მუსიკალურმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა უდიდესი უკრაინელი კომპოზიტორის, მუსიკის უკრაინულური ნაციონალური სკოლის დამაარსებლის, კომპოზიტორ ლისენკოს გარდაცვალების 20 წლის თავი.

ოქტომბრის წინა პერიოდის უკრაინული მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიაში ლისენკოს მოწინავე ადგილი უკავია. ლისენკოს შემოქმედებითი მუშაობა მუსიკალურ-კანია. მის პიროვნებაში გაერთიანდა კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, პიანისტი, მენეჯერი, საზოგადო მოღვაწე.

მეფის მთავრობის დიდმსჯობელური პოლიტიკა უკრაინული კულტურის განვითარებისადმი იყო მიმართული. უკრაინულ მხატვართა და მუსიკოსთა შემოქმედება წარმოუდგენლად სასტიკ დევნას განიცდიდა. საიმპერატორო რუსული საზღვარგარეთი საზოგადოება იგნორაციას უკეთებდა ლისენკოს, კრისტს არ სძრავდა მის შესახებ თავის პრესაში, ბელს უშლიდა მის საკონცერტო და პედაგოგიური მოღვაწეობას. კიევის პოლიცია მას სთვლიდა პოლიტიკურად არა კეთილსამიერად „შახუბას მიმდევრად“, მაგრამ რუსული მუსიკალური საზოგადოებრივობის მოწინავე წარმომადგენლების (ჩაიკოვსკი, რომსკო-კორსაკოვი და სხვ.) ძალიან დიდთა აფასებდნენ ლისენკოს შემოქმედებას. რაც შეეხება უკრაინულ ინტელიგენციას, რატორც ადგილობრივ ისე საზღვარგარეთის უკრაინაში მცხოვრებს, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა, — ლისენკოს ეს ინტელიგენცია სთვლიდა ერთნულ გენიოსად.

ლისენკოს მოღვაწეობა (დაიბ. 1840 წ.) ცუთუნის მე-XIX ს. მეორე ნახევრისა და XX-ის დასაწყისს, ე. ი. პერიოდს, რომდსაც უკრაინა, — იმ დროს რუსული და საკონცერტო კაპიტალის კოლონია სწრაფი კაპიტალისტური განვითარების სტადიაში იყო შესული.

ლისენკოს შემოქმედებითი გზა მჭიდროდ იყო დაკავშირებული უკრაინული ნაციონალური ბურჟუაზიისა და წერილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის გზასთან. ფერ კიდევ სტრუფენტობის დროს იგი გვედღება უკრაინული სტრუფენტურ წრეებს. ლაიპციგის კონსერვატორიიდან დაბრუნების შემდეგ იგი გულმოდგინეთ სწავლობს უკრაინის სასიმღერო ფოლკლორს, განსაკუთრებით ბელოსანთა, აჯანყებულთა და მდამთო ეფენების სიმღერებს, სადაც ასახული იყო ბრძანაში მეოფე ფეოდალურ საზოგადოების სხვადასხვა ფენათა რევოლუციონერული ტენდენციები. ფოლკლორის ბაზაზე მას სწავდია შექმნას დიდი სიმღერო ფორმები (პირველი მისი ოპერა „რიდსვიანა ნირ“ დადგმულ იქნა 1874 წ.). ლისენკოს შემოქმედების სრული დამწიფების პერიოდია მე-XIX ს. უკანასკნელი წლები და XX-ს დასაწყისი. ამ ბანებს ცუთუნის მისი უდიდესი ნაწარმოები — ოპერა „ტარას ბულბა“, სადაც მოყვებულია ხაპორიოების სემის და ხაპორიოების კანკოობის იფდალიზაცია ნაციონალურ ბურჟუაზიული რიანტიკის თეატლსარისით. „ტარას ბულბა“ მონუმენტალურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

ლისენკოს შემოქმედებითი მემკვიდრეობა ძალიან დიდია. მას ცუთუნის 11 ოპერა და უამრავი სხვა ზასიათის მუსიკალური ნაწარმოები.

ლისენკო უკრაინული მუსიკის კლასიკოსია. მისი ოპერები განუწყვეტლად იდგმება უკრაინის თეატრებში, გასულ სემონში „ტარას ბულბა“ დაიდგა ზევს ოპერაში, ამ დადგმას მიეცა უკრაინასთან ინტერნაციონალური კულტურული დაახლოების სახეიზო ზასიათი.

## ბელორუსია

### იაკუბ კოლასის იუბილე

ბელორუსიის საბჭოთა მწერლობა და საზოგადოებრიობა ზემოთ დღესასწაულობს ბელორუსიის საბაღბო პოეტის იაკუბ კოლასის დაბადებიდან 50 წლის შესრულებას. ბელორუსულ საბჭოთა მწერლობის კავშირის გაზეთის „ლიტერატურა და ბელოენებას“ მორიგი ნომერი მიეძღვნა იუბილიარს.

საკართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირმა დგემით მილოცვა გაუგზავნა ბელორუსეთის საბჭოთა მწერლობის კავშირსა და იაკუბ კოლასს.

რუსეთი

მონორე ბალნეის ახალი წერილები



მე-3 განყოფილების არქივებსა და გრაფ უვაროვის პირად არქივში წახვეტილი წერილები მონორე ბალნეის ახალი, ჯერ უნაბი წერილები და აგრეთვე ჟანდარმთა შედის მიმწერა კრევის განვრალ—გუბერატორთან ბალნეის ჩამოსვლის შესახებ.

აგრეთვე მასალები უკრაინაში იპოვა პროფეს. ბაზილევინმა. ყველა ეს დოკუმენტები განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს ბალნეის ბიოგრაფიის უფო ღრმა შესწავლისათვის.

ლაზუტის ლექსები რუსულად

გამომც. „ფედერაცია“ სცემს საპირველ რევილუციონერ პოეტის, სპარსულ სარევილუციონერ ზოძრავის მონაწილის, ლაზუტის ლექსებს. კრებული შეიცავს ნაწარმოებთ, რომლის თემას შეადგენს ირანის მშრომელთა რევილუციური განმათავისუფლებელი ბრძოლა.

რომანი „შავი ოქრო“

ალექსი ტოლსტოი თავისი რომანი „შავი ოქრო“ გადააკეთა სცენარად ხმოვან კინო სათვის. სერაიი გაბმოვანებული იქნება რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მონოგრაფიები მხატვრებზე

რუსეთის სახვითი ხელოვ. სახელგამის სალიტურ. სექტორი სცემს მონოგრაფიებს რაფაელზე, მიქელ-ანჯელოზე, ვრუბლზე, რუბინზე, ფაფორსკიზე და ლეონარდო და ვინჩიზე.

ახალი წიგნები მხატვრობაზე

სახვითი ხელოვ. სახელგამი ძვირფასი გაფორმებით სცემს მთელ რიგ წიგნებს სახვითი ხელოვნების თეორიის საკითხებზე. მათ რიცხვში აღსანიშნავია: ლეონარდო და ვინჩის „ტრაქტატი მხატვრობაზე“, ლესინკის „ლაოკოონი“, სერაუზიეს „მხატვრობის ანბანი“ და ზამბერაის „სინათლისა და სივრცის პრობლემა“.

წიგნი კარელიაზე

მწერალთა ბრიგადა: ლავრენცი, საიანოვი და ლუფანოვი—ამზადებს წიგნს საბჭოთა კარელიას შესახებ.

მხატვრის ხუთი ტომი

მოსკოვის „მწერალთა გამომცემლობა“ სცემს ბორის მხატვრის პოეზიისა და პროზის ხუთტომიან კრებულს.

სიძველეთა ნაშთების მოხკოვში გადატანა

მეცნიერებთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობით არხანგელსკში დაშალეს და მოსკოვის წასაღებად მოამზადეს ნიკოლო-კარელის უძველესი მონასტრის უზარმაზარი ხის კოშკი, აგებული მე-17 საუკუნეში. წინათ კოშკი სახეურად პეტრეს წარმოადგენდა, აქეს სათოფურებიც, კოშკს აქვს აგრეთვე საგულსსხმო ნაშთი: დიდი ძველებური საათი. კოშკი გადატანილი იქნება კოლომენის არქიტექტურის მუზეუმში. აქვე მოაქვთ ნოვო-დენისკის სიმაგრის ბასტიონის მოაჯირები, რომელიც მე-XVIII საუკუნის ნაშთია და დიდ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენს. ამირებურ აგრეთვე პეტრე დიდის სახლის გადმოტანასაც, სამეფო შინაგან წარმოადგენს მე XVII და მე-XVIII ს. ს. არქიტექტურის საუცხოო ნიმუში. მათ განსაკუთრებული სამეცნიერო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.



### „ჩემი მეგობარი“ რევოლუციის თეატრში



რევოლუციის თეატრმა მოსკოვში დადგა ნ. პოგოდინის ახალი პიესა „ჩემი მეგობარი“. ამ პიესის დადგმა სწავაზე „ნეესტია“ სხვათაშორის სწერს: „რევოლუციის და სბეების“ შემდეგ ნ. პოგოდინის „ჩემი მეგობარი“ საკეთესო პიესას წარმოადგენს ცენტრურ ნაწილს... ჩვენ ვხედავთ სწორედ ასეთი პიესები გვჭირდება, პიესები სადაც ასახულია მშობთა კლასის მიერ პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებული აღმშენებლობა ჩვენს ჭეყანაში, სადაც ნაჩვენებია თუ პარტიას, ყველა დარკობა-ბათა ძლევით როგორ მიტყავს ქვეყანა გამარჯებისაკენ.

### პაგანიჩის დღეები მოსკოვში

მოსკოვში ამჟამად იმართება კონცერტები უდიდესი ეიოლონისტის-ვირტუოზის ნიკოლოზ პაგანიჩის დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავად. კონცერტებში მონაწილეობენ საუკეთესო საბჭოთა ეიოლონისტები და პიანისტები. კონცერტები იმართება ცენტრალურ დარბაზებსა და მუსათა კლუბებში.

პაგანიჩის შემოქმედება ევთენის მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარს (გარდაიცვალა 1840 წელს). თავისი გენიოსური ოსტატობით იგი არა მარტო მუსიკოსთა ყურადღებას იპარობდა. პაგანიჩით შიზიბლელი იყვნ პოდტები და მწერლებიც. პიანობ პაიონემ საუკხოვრად ასწერა მისი დაკვრა თავის „ფლორენციის ლამეებში“.

პაგანიჩი თავის თანამედროვე მსმენელებს ხიზლავდა არა მარტო განსაკვირვებელი ტუბნიკით, სკრიპკის სრულიად ახალი ეფექტებით, არამედ თავისი დაკვრის დიდი გამოიმატელო ბითი ძალით. პაგანიჩი ზერულე ვირტუოზი არ ყოფილა. იგი იყო ბერების უდიდესი მატარარი და ბერმა მისმა ნაწარმოებმა, განსაკუთრებით 24 კაპრიჩომ სკრიპკა-სოლომთვის, ბრწყინვალე ვარიაციათა მთელმა რიგმა ჩვენს დრომდეცა მოაღწია და ეხლაც პოპულარულია. როგორც ეიოლონისტი, იგი შამშითავარია ოსტატთა დიდი სკოლისა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ მთელი მე-XIX ს. მანჩილზე.

### ანდრეი ბელის „ნიღაბები“

ჩრქეთის საბულგარია გამოსაკემად ამხედებს ანდრეი ბელის ახალ რომანს „ნიღაბები“. ეს რომანი მკორე ნაწილია რომან „მოსკოვისა“, რომელიც ავტორს განზრახული აქვს გააკეთოს 4 ნაწილად. რომანში მოქმედება სწარმოებს რევოლუციის წინა პერიოდში - 1916 წ. შემოდგომასა და ზამთარში.

### კ. მარჯანიშვილის ახალი დადგმა მცირე თეატრში

მოსკოვის მცირე თეატრი შეუფაგა მუშაობას „დონ-კარლოს“ დასადგმელად. პიესას სდგამს საბაბხო არტისტი კოტე მარჯანიშვილი.

### სერგეი ტრეტიაკოვა

დაამთავრა გერმანელ დრამატურგის ბერტოლდ ბრებტის პიესის გადაწმევა. ეს პიესაა „ნიკაგოს სასაკლოთა ორღეაწელი ქადწუღი“. სიიი თემა კრიზისი ზეროთბულ მტატებში, უმეუფრობის ზრად, ბირქისა და მსხნელი არმიის მნიშვნელობა კაპიტალისტური ამერიკის სოციალურ ცხოვრებაში.

### ი. სელდინსკიმ

ხელახლა გადაამწევა თავისი პიესის „პაო-პაოს“ მტუთე თაეი. პიესას ამზადებს დასადგმელად რევოლუციის თეატრი.

### საფრანგეთის რევოლუციონერი მწერლები

მოსკოვში იმყოფება საფრანგეთის რევოლუციონერი მწერალთა და მბატკართა ასოციაციის გენერალური მდივანი ანბ. ეიიიან კეტუოიე ამ ასოციაცია მუშაობას შესაბენ კეტურიემ მოსკოვის პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუბადა:





სერაფიმოვიჩის მოთხოვნები 1905 წლის რევოლუციის თემაზე მხატვრულად ასახავენ პოლიციის ტერორის ქვეშ მოქცეულ მასების ტრაგედიას. მოთხოვნებში „ცოცხალი კრწან“/ „ბორცვი ჯვრებით“, „შეფასებული თავი“ და სხვ. სერაფიმოვიჩმა დაგვიხატა ატყუებული მომუშავე რევოლუციონერთა გაღიზიანება.

მსოფლიო ომის დროს სერაფიმოვიჩმა დასწერა პირველხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებთა მთელი რიგი, სადაც ომი ასახულია, როგორც უაზრო სასაკლავო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც სერაფიმოვიჩი უკვე კომუნისტური პარტიის წევრი იყო, იგი „პრაქტიკა“ კორესპონდენტად გაემგზავრა სამოქალაქო ომის ფრონტზე. აქ იგი თავისი სამწერლო კალამით დიდ სამსახურს უწევდა პროლეტარიატს კონტრრევოლუციისთან ბრძოლაში. ამ დროს მან შექმნა თავისი პოპულარული ნაწარმოები „კრინის ნიაღვარი“, სადაც სამოქალაქო ომის გეროიკის მხატვრული ასახვა მოცემული.

სამოქალაქო ომის ფრონტზე დაიღუპა მწერლის უფროსი ვაჟი. ამის გამო ელადიმირ ლენინმა სერაფიმოვიჩს მისწერა სამომხრობის წერილი. „ნება მიბოძეთო,—სწერდა ლენინი,—მგერად, ძალიან მგერა, ჩამოგართვათ ზელი და გისურვოთ მინეობა და სულის სიმტკიცე... თქვენმა მოთხოვნებმა დრმა სიმბატია აღმიძრეს თქვენდამო. მე ძლიერ მსურს გიხიხათ, რომ თქვენმა მუშაობა დიდ საჭიროებას წარმოადგენს მუშებისათვის და ყველა ჩვენთვის“.

### იპოვეთუმი მისინიკება ვანის ლურსმული წარწერების შესახებ

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის გამოცემათა ახალი სერია იხსნება ნაყოფიერი ქალდოლოგის აკადემიკოს ი. ი. შვიციანი ნიკოვის წიგნით — „ვანის ლურსმული წარწერების ენა — იათეტური ენათმეცნიერების საფუძვლებით“ (ლენინგრადი 1932 წ. 143 გვ., აკად. ნ. მარის რედაქტორობით და წინასიტყვაობით). შრომა არსებითად რეგისტრაციული ხასიათისაა: წარმოდგენილია დასკვნები და დებულებები იათეტური მეცნიერებისა (კერძოდ მარის შრომების) — ქ. ვანის ლურსმული წარწერების ენის, ე. წ. ქალდური ენის“ კვლევა-ძიების შედეგად. წიგნში მოცემულია: ვანის მეფობის ისტორიული მნიშვნელობა, ეთნიური შემადგენლობა და ვრცელი, დაწვრილებითი მიმოხილვა ენის აღნაგობისა (გრამატიკული მხარე, ლექსიკონი). ვანის ლურსმული წარწერების პრობლემა დიდი მნიშვნელობის შემკველია კულტურის ისტორიაში. მისი (წარწერების) აღმოჩენა ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს ფრ. შულცს 1828—29 წ. ლურსმ. წარწ. ამოკვეთილია ქვაზე, კლდეზე. იდეოგრაფები (ნიშნების სისტემა) ასურულიდანაა ნასესხები (პალეოგრაფიულად წარწერები ჯერ კიდევ არაა საკმარისად შესწავლილი), ამ წარწერების აღმოჩენით კულტურის ისტორიაში გადაიშალა მეტად საინტერესო ფურცელი, დაისვა საკითხი თუ რა წარწერებია ეს წარწერები და ვინაა მისი შემომქმედი; რა ენაა, ეს ენა და რომელ ლინგვისტურ ჯგუფს მიეკუთვნება იგი და სხვ... ამოკითხვა წარწერების მიმდინარეობდა სემიტური ფილოლიგის მიერ გამოიმუშავებული ნორმების მიხედვით, მაგრამ ხშირად დიდ როლს თამაშობდა მეცნიერის ინდივიდუალური მიხედვა. იათეტურ ენათა შედარებითი გრამატიკის (კერძოდ 'ფონეტიკის) ნიადაგზე წარწერების ამოკითხვას უშეკველი ხასიათი ეძლევა... ამოკითხვას ხელი მიჰყვეს სხვადასხვა მეცნიერებმა. ენა მიჩნეული იქნა ალაროდიულად და მოაქციეს ქართუ-

ლთან ერთად ერთ ენობრივ ჯგუფში (1871 წ., ლენორომანი და სხვ.). ზოგი მეცნიერი წარწერების ენას ასიოიულად ნათლავდა... სერიოზული, დამაჯერებელი ამოკითხვა წარწერებისა 1880 წ. იწყება... რაც შეეხება ამიერ-კავკასიის მნიშვნელოვან წარწერებს მათ შესახებ პირველად კესტერიმა მოათავსა შესწავლა 1882 წ. ამას მოჰყვა სომეხ მეცნიერთა მნიშვნელოვანი შრომები. სომხეთის ქალღმრთელ წარწერების პრობლემის გადაჭრაში დიდი ახავი დასაძო პროფ. გ. ვ. ნიკოლსკიმ. იგი თავდაპირველად იმ აზრს ადგა, რომ წარწერების ენა იზოლირებულია, თუმცა თვალსაჩინო პალეოლოგების გაჩარება შეიძლება ქართულ ენასთან. „მხოლოდ ქართველოლოგ—ლინგვისტებისგან შეგვიძლია მოველოდეთ გადაჭრილ პასუხს ამ საკითხის ირგვლივ“, აღნიშნავდა ნიკოლსკი ჯერ კიდევ 1893 წ. კავკასიის ენობრივი მასალა ამ პრობლემის დამუშავებაში 1907 წ. გლეგე შიერ იქნა ჩართული (ეს ცდა უფერული იყო ძალზე; ემყარებოდა მარტოოდენ ლექსურ ენას და ისაც ბუნდოვნად!). ნიკო მარის—ამ საკითხის ირგვლივ—შრომითა სერიის გამოქვეყნებიდან იწყება ახალი ეტაპი ქალღმრთელ ენის შესწავლის ისტორიაში. ქალღმრთელის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის შესწავლის შედეგად წარწერათა ენა მიჩნეული იქნა იაფეტურ აღნაგობის ენად. დადგინდა იქნა ტიპი ენისა: შერწყმული სისინა-შიშინა სახეობისა, ტიპოლოგიურად იგი დგება სვანურის, მეგრულისა და ჰანურის რიგში. ქართული ენის ბუნება ძვირფას მასალას აწვდის ქალღმრთელის მკვლევარს... მეორე მხრივ ვანის წარწერების ენის ბუნების ნათელსაყოფად მეცნიერული მუშაობა წარიმართა ასურულის გზით—სუმერულისა და ელამურისაკენ სუმერულ-ქართული პრობლემისთვის დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. მიხ. წერეთელს) მსოფლიო ისტორიაში ვანის უაღრესად ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა არა ერთსა და ორ პრობლემას აშუქებს; წინა აზიის უძველესი კულტურული ვითარების შესასწავლად მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რასაც ფარდას ხდის ლინგვისტური და არქეოლოგიური ძიებები იაფეტური ენათმეცნიერება.

### ქართული ენის გრამატიკა ფანავულად

პარიზში დაიბეჭდა და გამოვიდა „ქართული ენის გრამატიკა“, შემუშავებული აკადემიკოს ნიკო მარის მიერ, ეს პირველი გრამატიკაა ქართული ენისა ევროპულ ენაზე, რომელშიც მთლიანად წარმოდგენილია ქართული ენის ბუნება—მრავალსაუფროვანი ძეგლები და თანამედროვე ცოცხალი დიალექტების შესწავლის შედეგად. თავი რომ დავანებოთ მეთოდოლოგიურ მხარეს, ქართული ენის შესახებ უამრავ გამოკვლევებში (ევროპულ ენებზე) ჩვეულებრივია ფაქტების უცნაური დამახინჯება, რაც პირობიკული ხასიათის დასკვნებს იწვევს და სრულიად ყალბ მიმართულებით წარმართავს ბოლომდე ლინგვისტურ ძიებას. მარის „გრამატიკა“ ფართო მასალას აწვდის ევროპის ლინგვისტურ აზროვნებას ქართული ენის აღნაგობის შესახებ წიგნის გეოგრაფიული დანიშნულებათა ნათელყოფის და ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ცენტრში დგას ქართული (და სხვა იაფეტური ენები), როგორც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი სისტემის ენა. ამასთანავე გადაშლილია მეტყველების პალეონტოლოგია, ახალი ენათმეცნიერული აზროვნების მეთოდოლო-

გიორგი დედაარსი—დაყრდნობილი დინამიტის და ისტმატის საფუძვლებზე. ქართული ენის ეს გრამატიკული მიმოხილვა კონკრეტული ამოხატულია იმ პოსტულატის, რომლის მიხედვითაც ენა თავის სტატიკურ შინაყოფაში უნდა შეისწავლებოდეს. არამედ მის დინამიურ მიმდინარეობაში, დრამატის მეთოდის საფუძვლებით. მეთოდოლოგიურად უარყოფილია ინდოევროპისტიკისათვის ჩვეული ფორმალისტური, ენის სქოლასტიური კვალიფიკაცია და მოცემულია ცდა მარქსისტული ენათმეცნიერების პრინციპებზე დაყრდნობით ენის როგორც ზედნაშენური კატეგორიის შესწავლისა. ამგვარად, ეს არათუ პირველი მეცნიერული გრამატიკაა ქართლისა ევროპულ ენაზე, დამყარებული უტყუარ ენობრივ მონაცემებზე, არამედ, ამავე დროს, იგი წარმოადგენს მარქსისტული ლინგვისტიკის (resp. ინფექტიოლოგიის) საფუძვლებზე დამყარებული პალეონტოლოგიური ანალიზით ენის შესწავლის პირველ ცდას. განზრახულია წიგნი ითარგმნოს ქართულ ენაზე. წიგნი დიდი ტანისაა (შეიცავს 500 გვ.).

### აკად. ნ. მარის ნაწიკების კამეზული

განზრახულია მოსკოვში გამოიცეს აკად. მარის მთავარი შრომები 5 კაპიტალურ ტომად. გამოკეპა იქნება აკადემიური ხასიათის და მასში შევა ის მთავარმნიშვნელოვანი შრომები აკადემიკოსისა, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ იაფეტური მეცნიერების თანდათანობრივ განვითარებაში, ეტაპების მიხედვით.

### ახალი შრომები იაფეტოლოგიის დარგიდან

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა: 1. „საბჭოთა მეცნიერების მიღწევები ლინგვისტიკის სფეროში“ (ციკლიდან—„ენა და თანამედროვეობა“) —აკად. ნ. მარისა, რომელიც წაკითხულ იქნა მოხსენებად გასულ წელს ლენინგრადში დედა-ენისა და მშობლური ლიტერატურის პედაგოგთა კონფერენციაზე. 2. დასკვნითი ხასიათის შრომა იაფეტოლოგიის საფუძვლებისა, გერმანულ ენაზე (იმავე ავტორის) რომელიც მოთავეებული იქნება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ უკანასკნელ გამოშვებაში. ეს ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს ახალი ენათმეცნიერული მოძღვრების გასაცნობად არა მარტოდენ ევროპიულ მკითხველს, არამედ ჩვენს მკითხველსაც, რამდენადაც იგი წარმოადგენს შეჯამებულ მასალას, დებულებების, პრინციპულ მოსაზრებათა თავმოყრას. ამ გერმანულ მიმოხილვაში, ავტორის სიტყვით, მოცემულია მთელი სურათი იაფეტური ლინგვისტიკისა.

### ახალი კიწევაი ფოლკლორისტიკაში

საკ. მეცნ. აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია „მითის სემანტიკისა და ფოლკლორის სექტორი“. რომელიც იკრებს ცნობილ სპეციალისტებს (პროფესორები: ი. გ. ფრანკ ემენეცი, ვ. ვ. სტრუვე, ო. მ. ფრეილენბერგი, კ. დ. დონდუა და სხვ.). სექტორი შეისწავლის პალეონ-

ტოლოგიური ანალიზის გზით მითოლოგიურ და ფოლკლორისტულ მიმდინარეებს. მისი ძირითადი მიზანია იაფეტური ენათმეცნიერების მიერ წამოყენებული სიუჟეტის სტადიური განვითარების კონკრეტული ნათელყოფა. ~~მანქანაში!~~ განალიზიროს სხვადასხვა გაფორმება სიუჟეტისა სოციალ-ეკონომიურ ფორმაციათა ცვლასთან დაკავშირებით. სიუჟეტის პალეონტოლოგია ირკვევს ამათუ იმ სიუჟეტის წარმოშობას გარკვეულ საზოგადოებრივ გარემოცვაში, სიმძიმის ცენტრი გადააქვს პირველყოფილი, კოსმიური აზროვნების კვლევაში და იხილავს მის განვითარებას სხვადასხვა ეპოქებში. მეორე მხრივ, ამათუ იმ სიუჟეტის ანალიზები კი არ იქმნება სხვადასხვა ხალხის ფოლკლორულ მონაცემებში (როგორც იქცეოდა ფორმალისტორი სკოლა), არამედ სტადიური ექვივალენტები. უგულვებელყოფა „მითოლოგიური სკოლის“ (ბუსლაევი, მიულერი) პრინციპები, რის მიხედვითაც მათი პოეტური ფიქციაა, გამოგონება და სხვ. ამას უპირისპირდება გაგება მითისა, როგორც ზედნაშენური კატეგორიისა სპეციფიური აზროვნებისა და იდეოლოგიის ერთი სახისა (აკად. შარი) მითი გაგებულია, როგორც დროებითი ისტორიული კატეგორია, განსაზღვრული სოციალური პირობებით... სექტორმა ჯერჯერობით გამოაქვეყნა კოლექტიური ნაშრომი ტრისტან და იზოლდას სიუჟეტის შესახებ. სხვათა შორის, ტრისტან და იზოლდას სიუჟეტურ ექვივალენტების რეალში თვალსაჩინო ადგილი უკავია მასალებს ჩართული ხალხური შემოქმედებითი სინამდვილიდან (აბესალომ და ფთერი, მზეთუნახავის ტირაეი და სხ.).

## 1932 წელს „ნათროგზი“ მოთავსებული ნაწარმოებები

### I. პოემები და ლექსები.

- ზრ. აბაშიძე—შიგტენ გმირი (ლექსი) № 3—4.  
 ოდიშის პლანტაციები (ლექსი) № 7.  
 კალე ბობოხიძე—ბანაყის მშენებელი ხეურობი (ლექსი)—№ 3—4.  
 ზერანძე—ქმრის გოდება—ლექსი—თარგმ. აკაკისა—№ 7.  
 დებუტატი ანგარიში—ლექსი—თარგმ. ი. ედოშვილის—№ 7.  
 უგნური—ლექსი—თარგმ. ე. გაფრინდაშვილის—№ 7.  
 ვ. გაფრინდაშვილი—ისრიში, ანტოლოგია და ბეტონი (ლექსი)—№ 5—6.  
 რეკლამის წარსულიდან (ლექსი)—№ 8—9.  
 \* ვ. გოდეძე—ლექსები—თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა № 3—4.  
 აღ. გომიაშვილი—ანბანგმა მთამ აიღო სიტყვა № 1—2.  
 პაოლო იაშვილი—ვიქტორ გოგლიძეს (ლექსი) № 7.  
 „ მაგიდა—ჩემი პარნასი (ლექსი) № 7.  
 „ ბალის ამბავი (ლექსი) № 7.  
 „ როგორც აფრის ტყაცუნი (ლექსი) № 7.  
 კარლო კალაძე—ამბავი აპარულ ანბანაგების (პოემა) № 3—4.  
 „ უჩარდიონი (პოემა) № 10—12.  
 გ. კაჭხიძე—ტალარა მწყემსი და თეთრი ლაუშა (ლექსი) № 8—9.  
 ვიორჯი ლეონიძე—პოეტის შენიშვნები (თავები ჰომეიდან)—№ 7.  
 ვლ. ლუგავსკოი—წერილი რესპუბლიკას (თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა) ლექსი—№ 10—12.  
 ნ. მიწიშვილი—უსაქელი (ლექსი)—№ 7.  
 ნ. მიწიშვილი—უსაბელო (ლექსი)—№ 7.  
 ფრ. წარუშვილი—ერისულაბია (პოემა)—№ 5—6.  
 ვარ. თურული—ანბანგო ლენინი (ლექსი)—№ 1—2.  
 „ მდინარეების ხედისეფლება (ლექსი)—№ 1—2.  
 „ ცხენოსანთა ლაშქრული (ლექსი)—№ 5—6.  
 ვარ. რუხაძე—საბჭოთა სახლი (ლექსი)—№ 8—9.  
 პ. სოსიურა—ვარკლავები (ლექსი, თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის) № 1—2.  
 ვალ. ტაბიძე—ეროვნებათა მარში (ლექსი)—№ 3—4.  
 ტიციან ტაბიძე—მურხანის ველზე სათქმელი (ლექსი)—№ 8—9.  
 „ მეწყერი მეწყერს (ლექსი)—№ 8—9.  
 „ წინათ თუ ერთი იყო მთრებელი (ლექსი)—№ 8—9.  
 ვ. ქუჩიშვილი—საბჭოთა სოფელი (ლექსი)—№ 7.  
 „ მთათა დაბეჭობა (ლექსი)—№ 7.  
 „ ხალხურ კალაზე (ლექსი)—№ 8—9.  
 „ ლექსები ოტომბერზე—№ 10—12.  
 გ. შატერაშვილი—ღამე ყაზბეგში (ლექსი)—№ 8—9.  
 „ მამონ ჩიქოვანი—გადასვლა გორვანზე—№ 1—2.  
 „ გმირის ძიებაში—№ 3—4.  
 „ ცეცხლაძე—სოციალიზმის ენტუზიასტებს—№ 3—4.

## II. რომანები და მოთხრობები

- კონსტანტ. გამახურდია—გოეტის ცხოვრების რომანი—№№ 7, 8—9, 10—12.  
ხერგო კლდიაშვილი—სვანური მოთხრობები („ლაშეთის“, ბატანი, „მურჯანის“) № 5—6.  
კონსტ. ლორთქიფანიძე—ძირს სინინდის რესპუბლიკა—№№ 1—2; 3—4; 5—6.  
ლევ. შეტრეველი—ვაკაცურად! (მოთხრობა)—№ 10—12.  
დავ. ხუღიაშვილი—კედელი (მოთხრობა)—№ 1—2; 3—4; 5—6; 8—9.  
როდიონ ქოჩია—გრაგალი (მოთხრობა)—№ 7; №№ 8—9.  
პანტ. ჩხაკვაძე—ნახევები (რომანი)—№№ 1—12.  
მის. ყავახიშვილი—არსენა მარაბდელი (რომანი)—№№ 1—2; 3—4; 5—6; 7.

## III. ნარკვევები

- ა.კ. ბელიაშვილი—არაშენდას დასასრული—№ 3—4.  
ტიკ. ტაბიძე—ტყვარჯელი—№ 10—12.  
დემნა შენგელია—რამდენიმე დღე „ბრძოლის ველზე“—№ 3—4.

## IV. ხალხური შემოქმედება

- ხალხური ლექსები—ჩაწერილი ი. შვედილიშვილის მიერ—№ 5—6.  
ს. იორდანიშვილი—ფოლკლორისტიკის ახალ მეთოდისათვის (ა. შანიძის „ქართ. ხალხ. პოეზიის გამო“) —№ 1—2.

## V. ხალხურკატურო არქივი.

- შაშია გურიელი—„ირმის ნამბობი“ (პოემა)—№ 3—4.

## VI. მემუარები და დოკუმენტები

- ზარ. ბიბინიშვილი—კამო—№№ 1—12.  
ხერგო კლდიაშვილი—„დავით კლდიაშვილი“—№ 3—4; № 5—6.  
სიმ. ხუნდაძე—„ვენ. ნინოშვილის კერძო წერილები“—№ 5—6.  
„სერაფი მესხის კერძო წერილები“ № 8—9.  
ილია ჭყონია—ჩემი დღე და სოფელი—№ 5—6.

## VII. კრიტიკა

- ალი არხენაშვილი—ბრძოლა ახალი პოეზიისათვის (ს. ჩიქოვანის „ბედი—რესპუბლიკა“-ს გამო)—№ 1—2.  
„განმათავისუფლებელი თანხმობა“ (ი. ვ. გოეტე)—№ 3—4.  
ლევან ახათიანი—გორაკი წერილები—№ 5—6.  
„ბერანგი ქართულ ლიტერატურაში“—№ 7.  
დიმ. ბენაშვილი—მეთოდოლოგიური შენიშვნები (შ. რადიანის წიგნის გამო)—№ 3—4.  
ნ. ბუხარინი—ახალი კაცობრიობა—№ 8—9.  
ა.კ. გაწერელია—გოეტე ქართულ ლიტერატურაში—№ 3—4.  
„ბესიცი“—№ 10—12.  
მ. გორაკის ცხოვრება და შემოქმედება—№ 8—9.  
მ. გორაკის შესახებ ქართველი მწერლები (რ. კალაძე, ლეო ტიაჩელი, დ. ხუღიაშვილი, ვ. რუხაძე, ბ. ჩხეიძე, შ. ჩიქოვანი)—№ 8—9.  
ი. ვ. გოეტეს ბიოგრაფია—№ 3—4.  
ფრიდრიხ ენგელსი—წერილი პაულ ერნსტისადმი—№ 5—6.  
„წერილი მარგარეტ ჰარკნესისადმი“—№ 5—6.



- მეც. ლანჩი—შლიაბტური რომანტიზმი ინგლისურ ლიტ-ში (ჯ. კონრადი)—№ 10—12  
 ბენარაონ ელენტი—გადამწვევტი წელი ქართულ ლიტერატურაში (1881 წლის ქართ. ჟურნალ-  
 ბის მიმოხილვა)—№ 1—2; № 3—4.  
 ა. ხტეცა—მ. გორკის სალიტ. მოღვაწე. 40 წელი—№ 8—9.  
 ფ. შილდერი—ფ. ენგელსი და 90 იანი წლ. შექანისტური ლიტ.-მეცოდნეობის საკითხები  
 მარქსი და ენგელსი ბალზაკისა და რეალიზმის შესახებ ლიტ-ში—№ 5—6.

VIII. ლიტერატურის აქტუალური საკითხები

- გიბკუსია—საქ. საბჭ. მწ. ფედერაციაში (სიტყვები: რ. ვვეტაძის, დ. სულიაშვილის, ა. არსენი-  
 შვილის, ლეო ქიარელის, მ. ჯავახიშვილის, ბესო ელენტი)—№ 1—2.  
 მ. რადაანი—თანამგზავრობა და მოკავშირეობა—№ 1—2.  
 გიორგი ყურულაშვილი—საკ. კ. პ. (ბ) ცეცას 23 აპრილის დადგენილება და საბჭოთა მწერლო-  
 ბის ამოცანები—№ 5—6.  
 რეზოლიუცია—საქ. საბჭ. მწერლების საგანგებო ყრილობისა—№ 5—6.

IX. თეატრი, კინო, მხატვრობა

- მ. აღმაშენებელი—ოქტომბრის 15 წლის თავი და კინემატოგრაფია—№ 10—12.  
 თ-ლი და მ-მე—აბალი ეტაპისათვის თეატრალურ ფრონტზე (1931 წლის თეატრალური  
 სეზონი)—№ 7.  
 ბ. გორდენაინი—მ. ტოლშტეინის „ძველი საქართველოს ფრესკები“ (რეცენზია)—№ 10—12.

X. მეცნიერება, ფილოსოფია, პუბლიცისტიკა

- პროფ. ი. ბერიტაშვილი—დარვინიზმის მეთოდოლოგია—№ 3—4.  
 გ. გოზალიშვილი—1832 წლის შეთქმულება—№ 10—12.  
 ჩარლზ დარვინის ბიოგრაფია—№ 3—4.  
 ა. ერქომაიშვილი—შაფლიო კრიზისი და სოციალ-ფაშიზმი თანამედ. ეტაპზე—№ 8—9.  
 ფილიპე მახარაძე—1832 წლის შეთქმულების მასალების დამუშავებისა და შესწავლის  
 შესახებ—№ 10—12.  
 ბენედიქტე სპინოზას ბიოგრაფია—№ 10—12.  
 პეტრე შარია—ბენედი. სპინოზას ფილოსოფია და მისი ისტ. მნიშვნელობა—№ 10—12.

XI. წიგნების მიმოხილვა

- ალი არხენიშვილი—გ. ლუარსაბიძე „ქართულ ეირონდის მწერლობა“—№ 3—4.  
 „ ალ. ბარამიძის „ნარკვევები ქართ. ლიტ.-ისტორიიდან“—№ 8—9.  
 დიმ. ბენაშვილი—ა. ვოშიაშვილის „ანდებიტის სიმღერები“—№ 3—4.  
 ვ. ბ-მე—დანიელ ტონაძის „სურამის ციხე“—№ 7.  
 ავ. გაწერელია—ბალზაკის „შაგრენის ტყავი“ თარგ. გვრონტი კიკოძისა—№ 10—12.  
 გ. ნატროშვილი—გ. კაპახიძის „ჩემი პირველი უჯრედი“—№ 3—4.  
 „ ირ. აბაშიძის „რამდენიმე ლექსი“—№ 5—6.

შეცდომის გასწორება: გვ. 200: დაბეჭდილია: „1832 წლის შეთქმულება საქართველოს მეცხრა-  
 მეტე საუკუნის ისტორიის ცენტრალური მომენტია“.  
 უნდა იყოს: „1832 წლის შეთქმულება საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის  
 პირველ ნახევრის ისტორიის ცენტრალური მომენტია“.



# „მნათობის“ № 10—12-ის შინაარსი

თარგმანების კვლევა  
სტრუქტურული

1. კარლო კალაძე—უზარდიონი (პოემა) . . . . .	3
2. პანტ. ჩხიკვაძე—ნაბიჯები . . . . .	37
3. მ. ქუჩიშვილი—ლექსები ოქტომბერზე . . . . .	62
4. მ. ლუგოვსკოი—წერილი რესპუბლიკას—ლექსი თარგ. ვ. გაფ- რინდაშვილისა . . . . .	6
5. ქ. გაშხაჭურდიანი—გოეტეს ცხოვრების რომანი . . . . .	6
6. ლ. მებრძული—ვაჟაკურად (მოთხრობა) . . . . .	11
7. ბ. გივინიშვილი—კამო . . . . .	134

## ადამიანები და უპატივობა

თინათინ ტაბიძე—ტყვარჩელი—(ნარკვევი) . . . . .	171
---	-----

## კრიტიკა.

ა. სულაშა—„ფერო“ . . . . .	181
აპ. ვაჟაშვილი—ბესიკი . . . . .	185

## წარსულიდან

ფილ. მახარაძე—1832 წ. შეთქმულების მასალ. დამუშავებისა და შესწავლის შესახებ . . . . .	196
გ. გოჯალიშვილი—1832 წლის შეთქმულება (ისტორ. ნარკვევი) . . . . .	200

## მეცნიერება და ფილოსოფია

პეტრე შარიბ—ბენედიქტე სპინოზას ფილოსოფია . . . . .	210
ბარუხ სპინოზას ბიოგრაფია . . . . .	243
ბნელეთის მოციქულთა განაწინი . . . . .	245

## თანამ. დასავლეთის ლიტერატურა

მეგონე ლანდი—შლიახტური რომანტიზმი ინგლისურ ლიტერატურ- რაში (ჯოზეფ კონრადი) . . . . .	246
---	-----

## წიგნების მიმოხილვა

ბ. გორდუნიანი—ნ. ტოლმაჩევსკაიას „ძველი საქართველოს ფრეს- კები“ . . . . .	263
აპ. ვაჟაშვილი—ბალზაკი—„შაგრენის ტყავი“ თარგ. გ. ქიქოძისა . . . . .	266

## კულტურის მართიანი

შ. ალხაშიშვილი—ოქტომბრის რევ. 15 წლის თავი და კინემატო- გრაფია . . . . .	269
ძროშობა: საქართველო, აზერბეიჯანი, დაღესტანი, უკრაინა, ბელო- რუსია, რუსეთი. . . . .	273

1932 წელს მოთავსებული ნაწარმოებები